ანრი ბარბუს.

ცეცხლი

რომანი

ფრანგულით თარგმნილი

თ. სახოკიას მიერ

სახელმწიფო გამომცემლობა.

ტფილისი
1923

გრუიში და მე-119 ფერდობზე ჩემს გვერდით დახოცილ ამხანაგთა ხსოვნას.

ანრი ბარბუსი.

ტფილისი.
ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. განყ. მე-3 სტამბა
1923.

ცეცხლი

(დღიური ერთის მწყობრისა)

I

მოგონება

მაის მწვერვალები „დან-დუ-მიდი“, „ქიუი ვერტ“ და „მონბლანი“ *) ბირდაბირ უცქერიან სასტორიუმის აივანზე გაშლილ სიბნებს ქვეშიდან გამომუურე ავადმყოფთა უსისხლო სხეულებს.

გოსპიტლის სასლის ბირველ სართულ'ზე გამართულია ტერასა წასარტევ ხისგან გაკეთებულ აივანით. ეერანდამოვლებული ტერასა განმარტოებითა დგას სივრცეში და ქვეყნიერებას დასცქერის.

წითელის, მწვანე, უავისფერ ან კიდენ თეთრ მატულის სიბნებიდან ავადმყოფთ მიქცეული სხეულები გამოუყვიათ; თვალები უბრწეინავსთ. გრძელ მერხებზე სიჩუმეა გამეფებული. ვიღაც დახველა. შემდეგ მხოლოდ შორის-შორიდან მთის წიკნების გეერდების გადაფურცვლის ხმა. ერთმანერთს ჩურჩულითა ჰკითხავენ ხალმე რასმე და ჩურჩულითვე უპასუხებენ. ხანდ მართლა მსგავსად ფრთებსა შლის რიკულზე ჩამომჯდარი თამამი ყვავი, სხვა უკვეების გუნდს დაშორებული. ეს ყვავები კიდენ კამსწვერვალე სივრცეში შვ მარგალიტების მძივებით დაჭერენ.

სიჩუმე კანონადაა დადებული. ესეც არ ითოს, უველა ეს ავადმყოფნი, ერთისა და იმავე სენით შეპყრობილნი, ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან ახ საექიმოთ მოსულნი, მდიდრები და დამოუკიდებელნი, ლაპარაკს კადაჭვიენენ კიდეც. იმას და ჰფიქრობენ, რაკორ ვიცოცხლებთ ან როდის მოვკვდებითო.

*) შვეიცარიის მთებია.

მსახური ქალი გამოჩნდა აივანზე. ფეხსაცმელით დადის, თეთრებში გამოწყობილი. თან მოიტანა გაზეთები და ავადმყოფებს ურიგებს.

— მორჩა,—სთქვა ვინც პირველმა გაშალა გაზეთი,—ომი გამოცხადებულია!

მართალია, ომს უველანი მოელოდენ, მაგრამ ამ ამბავმა მაინც უველანი ძალზე გააოცა, რათგან უველანი ჰგრძნობენ, თუ რა უბედურება უნდა მოჰყვეს ამ ომს.

ეს წყეული და ნასწავლი ხალხი, ტანჯვისა და ფიქრისგან გულჩახვეული, ქვეყნიურ საქმიანობასა და თითქმის ცხოვრებას გარეშე მდგარი, იმდენათ დაშორებული დანარჩენ კაცობრიობას, რომ თითქო შორეულ წარსულში-და ცხოვრობდა, ეს ხალხი ახლა სივრცეში იტყორება და სწყვრეტს გამოუცნობელ ქვეყანას ცოცხალ ადამიანთა და გიგანტებისას.

— ბორტებია ავსტრიის მხრივ,— სთქვა ავსტრიელმა.

— საფრანგეთმა უნდა გაიმარჯვოს,— ბანი მისცა ინგლისელმა.

— დარწმუნებული ვარ, გერმანელთი დამარცხდება,— დასძინა გერმანელმა.

* * *

ისევ წაიხურეს სახლები. თავი ბალიშებზე უდევსთ, მთათა შეწყვეტილებისა და ცის სიჭრტეს ჰირდაპირ. მაგრამ მიუხედავათ სივრცის სიმსუბუქისა მათი სიჩუმე სავსეა მოჩვენებითა, და ეს მოჩვენება ახალს ამბავს თან მოჰყვა.

— ომი!

ზოგი მწოლარეთაგანი სიჩუმეს არღვევს და იმეორებს ამ სიტყვას. თანაც ჰფიქრობს: თანამედროვე ცხოვრებაში ეს ომი უდიდესი ამბავია და შეიძლება წინადროებშიაც არ მომხდარა ასეთი რამა.

ამ ამბის გაგონებაზე მოკრიალებული ჰეიზაჟი, ავადმყოფთ თვალები რომ მიეშტერებინათ, არეულსა და ბუნდოვანს სახესხვლებულობას.

უცხი სივრცე ველებისა, რომელთაც ამკობენ: ყვრიმალფრად მოდალალე სოფლები და ხვერდისებური სასოფლები, მთების თვალწარმტაცი ლაქები, ნაძვების შავად მოქარგული სახე და უდაბნოდ

თოვლით თეთრად გადაჰფენილი მთები, — ეს სიგრცე ადამიანთა ომაობის ასპარეზად გადაიქცა.

აუარებელი ხალხი ჭიანჭველასებრ აირია სხვადასხვა გროვად. მინდორ-ველებზე ერთი-მეორეზე იერიში მიაქვსთ; ერთშეები სიღვის ტყლეშებ ერთიმეორეს მისდევს და მერე ერთბაშად შესდგება; სახლები გამოფიშვილები ჰგვრია, როგორც ადამიანები; ქალაქებში ისე, როგორც სოფლად, სახლები თეთრ ნამცეცებად არის გადაქცეული, თითქო ციდან მიწაზე ჩამოცვინულაო; დახოცილებითა და სასჯარულ სანახავ დაჭრილებით დატყვრთული ურმებით მოაგუნილია მინდორ-ველი.

ხედავთ, რომ არ დარჩენილა ერი, ამ მუსერა-ხოცვაში მონაწილეობას არ ღებულობდეს, არ დარჩენილა ერი, რომ გულიდან არა სწყდებოდეს ხალხ-ახალი, ჯანით სავსე ჯარისკაცი. თვლის ადენებით, თუ როგორ ერთვის ცოცხალ-ცოცხალი ნაკადულები სიკვდილის მდინარეს.

ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით—ყოველგან, ყოველმხრით, შორიდან, ახლოდან ხელჩართულნი იბრძვიან, სისხლსა ღვრიან. სითეკენაც არ უნდა მიტრიალდეთ, ერთი ფესის დადგმა არ დარჩენილა, რომ ომი არ იყოს ზედ გაჩაღებული.

ერთი აგათმოფთაკანა, გონების თვალით რომ იიყვალისწინებს ყოველსავე ამ უბედურებას და სამინელებას, იდუყვს ეიჯინება და სთქვის, თუ რამდენი კაცი ღებულობს მონაწილეობას ომში ახლა ან რამდენს ჩაითრევს ეს ომი შემდეგში. ოცდაათ მილიონ ჯარისკაცსაო. მეორეს ადამიანთა ულეტის სურათისაკენ თვალები აუკრთა და დუღდუღებს:

— ორი არმია ერთმანეთს დაეჯახა... მთელი არმია სწყდება, თავებს იხოცავენ.

— რადი უნდა ექნათ,— ამბობს მეორე ჩახლეჩილის ხმით.

— სწორეთ რომ სიფრანგეთის რევოლუცია მეორდება.

— ვაი გვირგვინოსანთა ბრალიცა!—ამბობს მესამე.

მეოთხე დასძენს:

— შეიძლება ეს ომი უკანასკნელიც იყოს.

სიჩუმე ჩამოვარდა. ზოგი, უგეშურათ და უძილოთ გატარებულ ღამისაგან დათუთიდი, ოავს აქნევდა.

— ვის შეუძლია ომის შეწერება! განა შესაძლებელია? შეუწერეთ!... ადვილია თქმა. არა, კატაბრიობის ჟამს უკურნებელია.

ვილამაც დახველა. შემდეგ დიდი მეუდროება, მზის სხივებით შეერთებული, გადაეფინა სუფთა ველ-მინდვრებს, სადაც ბრწყინავდა, თითქოს განგებ კეთილდებითთ, ქოხები, მოხსნის შავად ხეები, ამწვანებული მინდვრები, შორს კიდენ ლაჟვარდი ცა. ყოველმავე ამან შთანთქა მოჩვენება, ჩაქრო ანარეკლი ცეცხლისა, რომელიც შიგდო და განადგურებას უქადის მთელს ქვეყნიერებას. უსაზღვრო იდუმალებამ წარმალა მსოფლიოს შავინელ ბუებუეის გრძნობა სიძულვილისა და ტანჯვისა. მოლაპარაკენი თანდათან სდუმდებიან. მათის ფიქრის საგანია: მათის ფილტვების მდგომარეობა, მათის სხეულის განკურნება.

მგრამ როდესაც სალამო-ჟამი მინდორ-ველს უნდა გადასწოდოდა, სწორეთ იმ დროს მონბლინს გარშემო ჭექა-ქუხილი ასტყდა.

ასეთ საშიშ სალამოს, ოდეს ქარის უკანასკნელ ტალღას თვით ამ უშველებელ ეერანდამდე, თვით მათის სასიზნის კარებამდე შეუძლია მიაღწიოს, კარში გამოსულა ყველას აღგრძალული აქვს.

ეს დაშრილები, შინაგანი შრიალობა გულ-ღვიძლს რომ უხრავს, მხოლოთ სედავენ სამყაროს ამ ღრეობასა და შფოთს: სედავენ, მათზე ელვა როგორ აფრიალებს ორიზონტალურ ღრუბელთა ზღვას; ყოველი გაელვება წევდიადში ახეთქებს ცეცხლისა და ღრუბლის სვეტებსა, ყოველ გაელვებაზე ავადმყოფთა ჩაფერფლილი, ჩავარდნილ ღრეობიანი სახე შეტოკდება და თვალს ადევნებს არწივებს, ცაში კამარას რომ ჰქარავენ და ღელმიწას მაღლიდან დაჰყურებენ ცირკის მსგავსათ ჩამოწოლილ ჯანე-ბურუსს შორის.

— ნელარ ომობენ!—იძახიან ავადმყოფნი.—შესდგეს ჭექა-ქუხილი!

გარნა ამ მაყურებელთ, სიცოცხლის ზღურბლზე მდგომარეთ, რომელნიც მხარს არავის უჭერენ, რომელთაც თავი განთავისუფლე-

ბული აქვსთ სიყრმითვე შეთვისებულ ცნებათა და შემტყარ შეხედულებისაგან, რომელნიც უარეოფენ ძველთაგან გადმოსცემ ტრადიციებს, ჰო, ამ მაყურებელთ ბუნდათ ღა თუ ესმისა მთელი სიხადგე ცხოვრებისა და ისა, თუ რამდენათ შესაძლებელი და მოსახერხებელი ერთგვარი ცხოვრებაა სხვა სახისად შეიცვალოს...

რიგის ბოლოში მჯდომარემ წამოიძახა:

— შეხეთ, ძირს რაღაც მიფრინავს.

— ჰო, თითქო სულიერნი არსებანი რამ არიანო.

— მცენარეთა ჰგვანან...

— ადამიანთ ემსგავსებიან.

თმაჩეჩილი შავი ღრუბლები გაზიდულ-გაშლილად გადასწოლია დედამიწას, მაჯლაჯუნასებ. ჭექა-ქუხილის შავბედითს განათებაზე ღრუბლებს ქვემოდან ავადმყოფებს თვალწინ გადაეშლათ დიდი, მოლურჯო ველი. ხედავენ, უეთოთ ველიდან ზეზე დგებიან ადამიანნი, ტალახისა და წყლისაგან გაეითლებულნი, ებღაუჭებიან დედამიწას ხელაპირს, თვალისინათლე გამოლეულნი და ლამისაგან გასერილნი. შესაზარი სახეები აქვსთ, სახეები ზღვაში ჩაცვინულთა და ზღვის ტალღებთან თავგანწირვით მებრძოლთა. ავადმყოფებს მოეჩვენათ, ესენი ჯარისკაცები არიანო. ველი ნაკადულებადაა ქცეული, დასერილია გრძელ თასტოლ არხებით. თვალუწვდენელია, ხოლო აურაცხელია, ვინც შიგ დასხრჩობათ ჩაცვინულს და ცდილობს თავი დაალწიოს მიწაში ჩაფლობას... მაგრამ ოცდაათი მილიონი მონა, ეროემეორისათვის რომ დაუტაკებიათ ბოროტ და შემტყარ ასრებაის პატრონ მეთაურთა, ტალახში საბრძოლველათ, როგორც არის, თავისს ადამიანურს სახეს მაღლა სწევენ და ამ სახეზე ძლივ-ძლივობით ნება-ეოფის შუქი ეტყობათ. ქვეყნიის მომავალი ამ მონათა ხელშია, და ყველა ხედავს, რომ ძველი კატაბრიობა მოისპობა, აღარ იქნება და მისი ადგილი დათმობა, ადამიანთა შორის ძმურს კავშირს. და ამ კავშირს თავიანთა შორის დაამყარებენ ისინი, ვისი რიცხვი და ტანჯვა-წვალება დღეს ესდენ დაუსრულებელია.

II

მიწაში.

უსაზღვრო, აცრეცილ ცაზე დაუსრულებელი ელვა-ჭუხილია: ყოველ დაჭუხებაზე მოწითანო ელვისაგან ჩნდება ერთსა და იმავე დროს სვეტი ცეცხლისა თითქმის მიწვერულ ღამეში და სვეტი ღრუბლისა ახლად დაბადებულ დღისა.

მაღლა, სულ მაღლა, სულ შორს საშინელნი ფრინველნი ჰფრენენ, მოისმის მათი ძალუმი და რითმიული სულთქმა. მაშინაც კი მოისმის ეს სულთქმა, ოდეს თვით ფრინველთ კაცი ვერა ხედავს. კამარასა ჰკრავენ ჰაერში, რომ იქიდან დედამიწას უყურონ.

დედამიწა ვრცელი, წყლით სავსე, უსასრულო განთიადის ზლაზვნით მომავალ სინათლეზე ნელ-ნელა ჩნდება, უდაბნო. მოსჩანს გუბეები, წყლის ძაბრები. სუსხიანი ნიავი რიჟრაჟისა სჩქმეტს ამ გუბეებს და წყალს ათრთოლებს; ჯარისკაცების ნაფეხურისა და ლამით სურსათის მზიდავ ურმებისაგან ბილიკებია გაკეთებული ამ უნაყოფობის მინდვრებზე. ნაურმალით ეს მინდვრები დასერილია გარდი-გარდმო. თვით ნაურმალი, ნახევრად ჩამობნელებულ განთიადზე, ფოლადის რელსების მსგავსათ ლაპლაპებს; ყველგან ტალახის გროვაა და შიგ მოსჩანს აქა-იქ: დამტვრეული სარები, ერთიმეორზე გადაჯვარედინებული თოფები, დაშლილი, რკინის მავთულების კონები, დაჟანგული, დაგრეხილი, ბუჩქის სახით დაყრილი. ამ გუბეებსა და ლამის გროვას რომ უყურებთ, ასე იტყვით— ნაცრისფერი, საშინლათ ფართო ტილო ტივტივებს ზღვაზე

და ალაგ-ალაგ ჩაძირულა შიგაო. არა სწვიმს, მაგრამ ყველაფერი დასველებულია, ყველაფერს წვეთები დასდის, თითქო წყლიდან ახალ ამოღებული სარეცხიაო, ყველაფერი წყალშია ამოვლებული, და თვით მოყვითანო სინათლე თითქო უნდა ჩაიძიროს ამ წყალშიო.

ძლივს არჩევს კაცი გაგრძელებულ და მიხვეულ-მოხვეულ თხრილებს; სულ აქა გროვდება ყოველივე, რასაც ღამის განმავლობაში გადაჰყრიან. სანგრებია. სანგრების ძირზე მოყრილია წებოსებური თიხა, ყოველ ფეხის ამოღებაზე ტკაცუნი ისმის, ყოველ ბინას გარშემო ყარს, შარდის სუნია. თვით ხვრელებიდან, თუ მარცხათ დაიხარეთ, სუნი გეცემათ, თითქო ვისსამე აყროლებულ პირთან მიიტანეთ თქვენი ცხვირიო.

ამ გვერდების ჭებიდან თითო-თითოდ რაღაც ლანდები ამოდიან, იძვრიან, უზარმაზარნი დასხვადასხვა ზომისანი: დათვებს-ღა თუ მიამსგავსებთ, რომელნიც ტალახსა ზელავენ და რაღაცას ბურტყუნებენ. ეს დათვები ჩვენა ვართ, ჯარისკაცები.

სუყველანი დაჩულულები ვართ, ჩრდილოეთის მცხოვრებ ხალხივით. სათბურები, საბნები, ტილოს ჩანთები გარს გვახვევია, გვამძიმებს, უცნაურ სახეს გვაძლევს. ზოგი იზმორება და ისე ამთქნარებს, თითქო უნდა არწყიოსო. ხედავთ გაწითლებულ და ფერწასულ სახეებს, ზედ გადაკრული აქვსთ ჭუჭყი და ტალახი იმ სისქედ, რომ თვალები ღა უჩანსთ, ისიც კილოებთან ერთმანერთს მიწებებული. ამ ტალახიდან გაუპარსავი წვერ-ულვაში ჯაგარივით ამოშვერილია.

— ჰახ!.. ჰუხ!.. ბუუმ!.. სცლიან თოფებს, ისვრიან ზარბაზნებს. ჩვენს თავს ზემოდან ზუილით გადადის ტყვია, ყუმბარა, ხან სეტყვასებ, ხანაც თითო-თითოთ. საზარელს, ცეცხლის ალში გახვეულ ჭექა-ქუხილს ბოლო არ უჩანს. ხუთმეტ თთვეზე მეტია, ხუთასი დღეა, რაც აქა ვართ და თოფის სროლა და ზარბაზნების რუხ-რუხი დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე არ შეწყვეტილა. ჩამარხულები ვართ საუ-

კუნო ბრძოლის ველის გულში. წინათ, თითქმის ოდნავ მოსაგონარ წარსულში, ჩვენს სახლებში კედლის საათის ტაკიტუკი მაშინ ღა გვესმოდა, როცა ყურს დავუგდებდით. ახლაც თოფის ხმა ამის მსგავსათვე მოდის ჩვენამდე.

მიწიდან ერთი კაცი გამოძვრა. სახე არტახებში ჩაკრულ ბავშვს მიუგავს, ქუთუთოები დასივებია, ლოყები ისე აჰკვერებია, იტყოდით, ვისმე წითელ ქაღალდის ცერკუთხიანი ნაჭრები დაუკრავსო. ჯერ ცალი თვალი გაახილა, მერე ორივე ერთათ; ეს კაცი პარადიზი არის. თავზე კარვის ტილო შემოუხვევია და ისე დაუძინია და მის ნაოჭებისაგან ლოყების კანი დასერვია.

პატარა თეალები თავის გარშემო მოაელო. დამიძახა, მანიშნა და მითხრა:

— ეს ერთი ღამეც გავატარეთ, ჩემო კარგო.

— მართალია, ჩემო ბიჭუნა! მაგრამ შენ ეს მითხარი, ასეთი ღამე კიდევ რამდენი უნდა გავატაროთ, ჰა?

მაღლა აიშვირა ორივე დაჯირჯვებული ხელი. დიდხანს ეხახუნა მიწის კედლებს, როგორც იყო, ამოძვრა სოროს კიბეზე და ჩემს გვერდით დაჯდა. ბნელაში ფეხი წამოჰკრა ერთს მიწაზე დამჯდარს სოლდათს, ხვნეშით, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ტანს რომ იფხანდა. პარადიზი ჰყაპაჭყუპით, ბაჯბაჯით, პანგვინის მსგავსათ, წარღვნისებურ წყლით დაფარულ სივრცეში მიიმალა.

*
* *

ნელ-ნელა ამოძვრნენ სოროდან ჯარისკაცნი. აქა-იქ კუთხეში სქელ ლანდსა ჰხედავთ. შემდეგ ადამიანთა ეს ღრუბელი იძვრის, ნაწილ-ნაწილად გაიყოფა... შეგიძლიათ სათითაოდ გამოიცნოთ.

აჰა, გამოჩნდა ერთი. კაპუშონის მაგივრათ საბანი წამოუსხამს. გეგონებოდათ, ველური ვინმეაო ან კიდევ კარავა ველურისაო, რომელიც ერთ მხარედან მეორეზე გადადის და

გადმოდისო. რომ მიუახლოვდებით, დაინახავთ, რომ ჩხირებით ნაქსოვ შალის სქელ ნაპირიდან გამოიყურება ოთხკუთხი სახე ადამიანისა, ყვითელი, იოდის ფერისა, მოშაო ლაქებიანი, პაპუა, თვალის ქუთუთოები, ჩინელის ქუთუთოებისებ, ცერად ასელია, პატარა და მაგარი ულვაში ასხია, დასველებული, ქონიან ჰურჩლის სახეხის მსგავსი.

— ვოლპატ, კაცო, შენა? როგორ არის საქმე?—ჰკითხა ფირმენმა.

— ისე რაღა, არც კარგათ, არც ცუდათ.—უთხრა ვოლპატმა.

მძიმეთ და ზლაზვნით ლაპარაკობს, თანაც სურდოსაგან ხმა ჩახლეჩია. ახველებს.

— მგონი, ახლა კი ჩავიღრძვე. შენ ის მითხარი, წუხელის გესმოდა, რა ერიში მოიტანეს ჩვენზე? უნდა გეყურებინა, რა გაცხარებით ისროდენ ზარბაზნებს.

იხვინა და კეხიანი ცხვირი სახელოთი მოიხოცა. მერე ხელი ტანისამოსის საყელოში ჩაიყო, ხორცის კანს ძებნა დაუწყო და მოიფხანა.

— სინათლეზე ოცდაათი მოვკალი!—ბუზღუნებს ვოლპატი.—დიდ სოროში, მიწასქვეშ გასავალთან, ჩემო კარგო, გზას ვერ უქცევ, იმდენია. ნამჯაში რო დარბიან, ისე ვხედავ, როგორც შენ გიყურებ ახლა.

— იერიში ვინ მოიტანა? გერმანელებმა, განა?

— გერმანელებმაცა და ჩვენცა. ვიმის მხარეზე იყო, კონტრ-ატაკაც იყო. არ გაგიგია?

— არა,—ჩემ მაგივრათ უპასუხა მსხვილმა ლამუზმა, ხარკაცამ.—მაშინ ვხვრინამდი. წინაღამეს სამუშაოზე ვიყავ.

— მე-კი მესმოდა,—სთქვა პატარა ტანის ბრეტონელმა ბიკემ.—ცუდათ მეძინა, უკეთ ვსთქვათ, სრულებითაც არ მეძინა. მე ჩემი საკუთარი სორო მაქვს. ე მანდე, დასწყეველოს ღმერთმა მისი გაჩენის დღე!

თითით აჩვენა თხრილი, რომელიც მიწაში ოდნავღა შე-

დის. ნეხვის თხელ ფენზე ერთი კაცი ძლივს მოთავსდება.

— თითქო კაკლის ნაჭუჭში ვარ მოქცეულიო,—დასძინა ბიკემ და ჩაიქნია თავისი პატარა ტლანქი თაიე, გაუთლელ ქვის მსგავსი,—თითქმის არა მძინებია. ის იყო, უნდა დამეძინა, მაგრამ ამ დროს მე-129 რაზმი მოეხსნათ, სწორეთ იქ გაიარა და იმან გამომაღვიძა. მაგრამ ხმაურობას კი არ გავუღვიძებივარ, სუნმა, სუნმა გამომაღვიძა. წარმოგიდგენია, ყველა ამ ყოჩაღ ბიჭებმა სწორეთ ჩემს ცხვირ წინ გაატარეს თავიანთი ფეხები. ცხვირი ისეთის სუნით გამეესო, რომ გამოშეღვიძა.

ვიცი, რა სუნიცაა. სანგარში ხშირათ გამოუღვიძებივარ ამ სქელსა და თაბრუდამხვევ სუნს. ხნულივით უკანა რჩება ხოლმე მიმავალ ჯარისკაცებს ეს სუნი.

— ამ ვერანა ტილებს მაინც დახოცავდეს ეს სუნი,— სთქვა ტირეტმა.

— პირიქით, სუნი ტილებს აღეზიანებს კიდეცა,—შენიშნა ლამუზმა,—რაც უფრო ჰყარს ადამიანი, მით უფრო დაეხვევა.

— კაი რამას,—განაგრძო ბიკემ,—რომ თავიანთის აყროლებულის ფეხებით გამომაღვიძეს. როგორც, ეს-ეს არის, ვუამბე ამ მსხვილ ქაღალდის-საშრობელას, თვალები სწორეთ დროზე გავახილე და დავებღაუჭე კარვის ტილოს ნაჭერს, ჩემს სოროს კარს რომა ჰფარავდა. ერთ-ერთ მუდრეგს ხელისათვის უნდა გაეყოლებინა.

— უნდა გითხრა, დიდი ოხერი ხალხი კია ამ მე-129 რაზმში!

სიღრმეში, ჩვენს ფეხებთან, ადამიანის სხეული მოსჩანდა. ამ სხეულს დილა კარგათ ვერ ანათებდა. დაყუყულს ხელში ტანისამოსი ეჭირა და ტანს იფხანდა; ეს კაცი ძია ბლერი იყო.

პატარა თვალებს მტვრით დაფარულ სახეზე იქით-აქეთ აცეცებდა. უკბილო პირს ზემოთ ულვაშები მოყვითანო მსხვილ კონას რასმე ჰგავდა. ხელები საშინლათ გაშავებულები

ჰქონდა: ზემოდან იმდენი ტალახი ეცხო, რომ ბანჯგვლიანი გეგონებოდათ; ხელის გული ნაცრის ფერ ტალახს დაეფარა. მთელ მისს არსებას, დაკრუნჩხვილსა და მიწაში ჩურჩხელასებ ამოვლებულს, ნახმარ ქვაბის სუნი სდიოდა.

თან იფხანდა და თანაც ზორბა ბარკს ელაპარაკებოდა, ბარკი კიდენ, ცოტათი განზე გამდგარი, მისკენ იხრებოდა.

— ამ სამოქალაქო ტანისამოსში ისე ჭუჭყიანი არ უნდა ვიყო,—ამბობდა ბიკე.

— ოღონდაც, პაპა ჩემო! წარმომიდგენია, თუ რა რიგ უნდა გამოგცვალოს ამ ტანისამოსმა!—უთხრა ბარკმა.

— ბედი შენი,—ჩაერია ლაპარაკში ტირეტი,—რომ ასეა, თორემ შენს ცოლს პატარა ზანგების მსგავსი შავი ბიჭები დაებადებოდა!

ბლერს გული მოუვიდა. კოპები შეიკრა ტალახით დაფარულ შუბლზე.

— რას ჩამაცივდი, რომ არ ვიცი! მა როგორ გინდა! მა რიღას ომია! ლობიო! შენა გონია, რომ შენ-კი არ გამოგცვლის ომი? აბა ერთი შენს თავსაც დააკვირდი, შე მაიმუნო, შენა! მართლა რომ გამოთაყვანებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ისეთი რამ წამოროშოს, როგორც შენა.

მერე ხელი გადაისვა მუქ ფენაზე, მისს სახეს რომ ჰფარავდა და იმ ღღეების წვიმებს კი რომ ვერ ჩამოერეცხნა. და დასძინა:

— რა გინდა, ასეთი ვარ და მინდა კიდეცა, ასეთი ვიქო. ჯერ ერთი, კბილები არა მაქვს. მაიორმა, რათა ხანია, მითხრა: „ერთი კბილიც არა გქონია. ეს სამყოფი არ არის. აქედან საცა პირველადვე მოგვიხდება გაჩერება, ესტომალოგიურ ურემთან უნდა მოხვიდეო".

— ტომატოლოგიური ურემი-თქო,—უთხრა ბარკმა.

— სტომატოლოგიური,—გაუსწორა ბერტრანმა.

— თუმცა უფასო იყო, მაგრამ მაინც არ წავედი, იმი-

ტომ არ წავედი, რომ არ მინდოდა, — განაგრძო ბლერმა.

— რატომ, არ იტყვი?

— ისე, ჩემი ქეიფია, მე ვარ და არ ვიტყვი, — უპასუხა ბლერმა.

— ნამდვილი მზარეული იქნებოდი, — უთხრა ბარკმა. — შენს ალაგას უეჭველად მზარეულად ჩავეწერებოდი.

მეც ასე მგონია, — გულუბრყვილოთ დაეთანხმა ბლერი.

ყველას სიცილი აუტყდა. შავს კაცს გული მოუვიდა და წამოდგა.

— თქვენის ლაპარაკისაგან მუცელსა მგვრემს, — ზიზღით უთხრა ბლერმა სხვებს, — წავიდე, მოვისურვილო..

როცა მისი ძალზე ბნელი სილუეტი თვალთაგან მიეფარა ყველას, იქ მყოფებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს ის ჭეშმარიტება, რომ მზარეულებისთანა ბინძური ძე-ხორციელი არ იქნებაო.

— თუ ბინძური ვინმე დაინახე, რომელსაც კანი და ტანისამოსი დალაქავებული აქვს იმ ზომაზე, რომ თუ არ განსაკუთრებულის იარაღით, ისე ახლოს ვერ გაეკარები, შეგიძლია თამამათა სთქვა: უეჭველია, მზარეულიაო! და რაც უფრო ჭუჭყიანია, მით უფრო საუკეთესო მზარეული იქნება.

— ნამდვილია და ჭეშმარიტებაა, — კვერი დაუკრა წარტერომ.

— ბიჭოს, აი ტირლუარიცა! ტირლუარ, ბიჭო, შენა?

დაფიქრებული მოგვიახლოვდა და თანაც აქეთ-იქით აცეცებს თვალებს; მისი პატარა თავი, ყვითელი როგორც თაფლის სამთელი, სქელ და განიერ ფარაჯის საყელოში განუწყვეტლივ მოძრაობს. ნიკაპი წვეტიანათ აქვს გაკრეჭილი, ზედა ყბის კბილები წინ წამოშვერილები, ტალახით დაფარულ პირის ნაოჭი საკონლის რჩოლს მიუგავს. ჩვეულებისამებრ, გულმოსულია, და, როგორც ყოველთვის, ილანძღება:

— წუხელ ჩემი ჩანთა მომპარეს.

— მე-129 რაზმის სოლდათები მოგპარავდენ. სადა გქონდა შენახული?

ხიშტი უჩვენა, ღობეში ჩარჭობილი, სანგრის შესავალთან ახლოს:

— მანდ ეკიდა, აი, იმ კბილის-საჩიჩქნზე.

— ოჩო-პინტრე! — შემოსძახა ყველამ ერთხმათ. — ხელის გაწოდების მეტი არაფერი დასჭირდებოდა მისს წამღებს: ოტროველა ხარ, მა რა ხარ!

— რაც უნდა იყოს, ზარალია, — ბუზღუნებს ტირლუარი.

მერე, ერთბაშათ, ბრაზი მოერია; სახე დაემანჭა, პატარა მუქები ძალზე მოკუმა, როგორც კანაფის კვანძი. იქითაქეთ გაალმასებული იქნევს.

— ახ, ნეტავი ხელში ჩამვარდნოდა ის სალახანა, ვინც ჩანთა ამწაპნა! ცხვირპირს დაუმტვრეველს არ შევარჩენდი, მუცელს გამოვუწელავდი, ვაი არა მაქვს! შიგ ჯერ ისევ მოუპრელი კვერეული ყველი მედო. წავიდე, ვეძებო...

მუშტებს მუცელზე ისვამს, თითქო გიტარაზე დამკვრელიაო, და დილის რიჟრაჟში მიიმალა; თან იყანებოდა და თანაც ლირსებით ეპირა თავი. მისი სილუეტი გრძელ ხალათიან ავადმყოფს მოგაგონებდათ. სანამ სულ არ მიიმალა, მისი ბუზღუნი კიდევ ისმოდა.

— აბა, ყეყეჩი, — სთქვა პეპენმა.

სხვები იცინიან.

— ყეყეჩია და ღვთის გლახაკაა, — ამბობს მარტერო, რომელსაც ჩვეულებადა აქვს თავისი აზრის სიძლიერე უფრო გაძლიეროს ხოლმე ერთსა და იმავე დროს ორის სინონიმის ხმარებით.

* * *

— შეხე, ძია, — წამოიძახა ჩემთან მოსულმა ტულაკმა, — რა ვიპოვე?

კარგი რამ საყურებელია, ტულაკი. ლიმონის ფერი კასკა ხურავს, სალეიბე გაქონილ ტილოსაგან გაკეთებული. შიგ თავის გასაყოფათ შუაში გამოუკერია და ზევიდან მოუბამს თავისი ქამარი და ბრეტელი. მაღალია, მსხვილძვალა.

სიარულის დროს წინ წამოშვერილი აქვს ოდნავიანი სახე თან ელამიცაა. ხელში რალაც უპირავს.

— წუხელ მიწას რომ ვთხრიდი, შიგ ვიპოვე. დავინახ თუ არა, მაშინათვე თვალში მომივიდა ეს იარალი. ალბათ ძველებურის მოდის ცულია.

ოღონდაც რომ ძველებურ მოდის ცულია: წვერ-წა ლესილი ქვაა, მოშაო ფერის რქის ტარზე წამოგებული. ცხადია ისტორიის წინადროის იარალია.

— მარჯვე დასაჭერია ხელში,—სთქვა ტულაკმა და თა ატრიალებდა იარალს.—ჰო, ჩემმა მზემ. არც ისე უჭკუო ყო ფილა მისი ოსტატი. ჩვენ რომ ცულსა ვხმარობთ, იმაზ გაცილებით უკეთესი სახმარებელია. რაღა ბევრი ვილაპარაკ კარგი რამ არის. გასინჯე, თუ არა... ჰა! დამიბრუნე. ჩქარა უნდა შევინახო. გამომადგება, თორემ ნახავ,...

ხელში დაატრიალა მეოთხე ხანის ადამიანის ცული თავათაც მაიმუნ-კაცსა ჰგავს, უცნაურათ ჩაცმული, მიწი გულში ჩამძვრალი.

* * *

ბერტრანის მწყობრისა და ნახევარ-ნაწილის ჯარისკაცებმ თითო-თითოდ მოიყარეს თავი სანგრის ერთს კუთხეში. ამ ალა გას სანგარი უფრო განიერია, ვიდრე თვის პირდაპირ ნაწილში და როდესაც ორმა კაცმა ერთიმეორეს გზა უნდა უქციოს, კე დელს უნდა აეკრას და ზურგით მიწას უნდა გაეხახუნოს ხოლო მუცლით—ამხანაგის მუცელს.

ჩვენი როტა რეზერვშია და მეორე ხაზის პარალელად დგას. ამ დროს სადარაჯოზე არ გვიხდება დგომა, ღამით მხო ლოთ მიწასა ვთხრით პირდაპირის ხაზით, მაგრამ დღისით საკეთებელი არაფერი გვაქვს. ერთი-მეორეზე ჭერეხებივით მიყრილები, თითქო იდაყვებით ერთმანეთს გადაგვაბა ვინმეო ველოდებით ვაივაგლახით დაღამებას.

დღის სინათლემ შემოანათა ჯურღმულებში, რომლები თაც დასერილია დედამიწის ეს მხარე; ჩვენის ხვრელების ზღურ

ბლებამდეც მოალწია სუსტმა სხივებმა. ჩრდილოეთის მგლოვიარე სინათლეა, ცისა ერთი პატარა-ღანაქერი სჩანს, ლამის მსგავსი, ასე იტყოდით, ეს ცაც დატვირთულია ქარხნის სუნითა და კვამლითაო. ამ მკრთალ სინათლეზე ქვესკნელის მცხოვრებთა უცნაური ჩაცმულობა ისე სჩანს, თითქო არც-კი რამ აკვიატო; ამ სინათლეზევე გამოსჩნდა საშინელი და სასოწარმკვეთი სილარიბე, რომელმაც ესენი წარმოშვა. ისმის ნირშეუცვლელი და განუწყვეტელი ტკაცა-ტკუცი თოფებისა, რუხრუხი ზარბაზნებისა. დიდი ხანია მასაქეთ, რაც გრძელდება ეს დიდი დრამა. როშელსაც ჩვენა ვთამაშობთ; არავის აკვირვებენ ისინი, ვინც ამ ორონტრიალში ურევიან, ალარც მათი უცნაური ჩაცმულობა ეუცხოვება ვისმე; ყველა თავისებურათა ცდილობს თავი დაიფაროს წვიმისაგან, რომელიც ზევიდან ასხამს, ტალახისაგან, რომელიც დაბლაა, სიკვდილისაგან, რომელიც ყველამხრიდანაა, როგორც დაუსრულებელი, უსაზღვრო რამ.

საქონლის ტყავები, საბნების კონები, ტილოები, მთაში სატარებელი თბილი ქუდები, ნიკაპსა და ყურებს რომ იფარავს ისეთი, ქუდები შალისა თუ ბეწვისა, ცხვირის საფარველები, ტრიკოს ქუდები, კაპუშონები გაფისულები, რეზინიანები, შავები ან და ყოველ ფერისა, ცისარტყელას სახისა... ყოველივე ეს ჯარისკაცებსა ჰფარავს, მათს სამხედრო ტანისამოსს სახეს ართმევს, სახეს ართმევს მათს ტყავსაც, ამსხვილებს ყველას, ბუმბერაზებადა ხდის. ერთს ზურგზე ოთხკუთხი მუშამბა მიუკრავს, რომელზედაც თეთრათ და წითლათ ჰადრაკია გამოყვანილი, საგზათ თავშესაფარას სასადილოში სადმე ნაჰპოვნი: ეს ჰადრაკი პეპენის ზურგსაა რომ ამშვენებს. და პეპენს შორიდან ამ ტაკი-მასხარას აფიშით უფრო იცნობენ ხოლმე, ვიდრე მისის აპაშურის, ჩაყვითლებულის სახითა. ბარკს გამობურთული გულისპირი გაუკეთებია, დოშაკის საპირედან გამოკრილი. პიკე ვარდისფერი ყოფილა, მაგრამ წვიმასა და მტვერს [illegible]

და აულაპლაპებია. იქ გაიხედავ, ლამუზი აყუდებულა, დანგრეულ სააფიშო კიოსკისებ, რომელსაც ზედ შერჩენია აფიშების ნახევები. მოლესკინის ფარჩა ჯავშანივით ჩაუცვამს დალეულ ლამუზს და კეცტყავა მწერის ზურგს დამსგავსებია; და ყველა ამათში ირჩევა ტულაკი თავისის ყვითელ გულმკერდით, ველურების სარდლის მსგავსი.

მხოლოთ კასკები აძლევს ერთფეროვნებას აქ მომწყვდეულ ხალხის თავებს, და ისიც როგორ! ზოგი, როგორც მაგალითად ბიკე, კასკას ქუდს ზემოთ ჩამოიფხატავს ხოლმე, ზოგი კიდევ, როგორც კადიაკი, სამთო-ხუფს ზემოდან ჩამოიცვამს, ასე რომ ჩაცმულობას სხვადასხვა ფერსა და იერს აძლევს.

ახლა ჩვენი ფეხები იკითხეთ!... ის-ის იყო, ორად მოკუზული ჩვენს ხვრელში ჩავეშვი, დაბალ სარდაფში, სადაც შმორისა და ობის ბუღი ტრიალებს. შეუძლებელია ფეხები არ წამოჰკრა კონსერვების დაჟარიელებულ კოლოფებს, ჰუჭყიან ტანისამოსის ნახევებს. ორ წყებად ხალხი იყო მიყრილი და ეძინა, ხოლო ერთს კუთხეში სამთელთან დაჩოქილი ჯარისკაცი რალასაც ეძებდა თავის ჩანთაში... დაბრუნებისას, სოროს ოთხკუთხ შესავალთან ფეხები დავინახე.. ორიზონტალურათ, ვერტიკალურათ ან ცერათ, წინგამოშვერილები, მოკაკულები, ერთიმეორეში ჩახლართულები, გზაზე გავლას უშლიან სხვებს და გამვლელებიც იწყევლებიან. ეს ფეხები მრავალფეროვანსა და მრავალფორმიანს კოლექციას წარმოადგენს: გეტრები, შავი და ყვითელი საწმართულები, ზოგი მაღალი, ზოგი დაბალი, ტყავისა, გაფისულ ტილოსი, ან კიდევ სხვა წყალგაუვალ ნაჭრებისაგან: ტოლაღები მუქ-ლურჯ ფერისა, ღია ლურჯ ფერისა, შავი რეზედის ფერისა, ხაკი ნაცრისფერი... მხოლოთ ეოლპატს შერჩენია მობილიზაციის დროის დარიგებული ტოლაღები. ანდრე მენილს ეს ხუთმეტი დღეა ფეხებზე აცვია სქელი ჩოხის წინდები მწვანე ზოლებიანი, ხოლო ტირეტი წვივებზე ნაცრისფერ მაუდის ტოლაღებს იხვევს, თეთრ

ზოლებიანს,—ამოიჭრა სამოქალაქო ტანსაცმლის ძიქვიდან, რომელიც, ვინ იცის, სად ეკიდა ომის დაწყებამდე... მაურას ტოლაღები სხვადასხვა ფერისაა, რათგან ალბათ ვერ იშოვა ფარაჯის ორი ნაჭერი, რომლებიც ერთნაირათ ნახმარი და ერთნაირადვე ჰუჰყიანი ყოფილიყო. ისეთი წვივებიცაა, რომლებსაც შემოხვეული აქვს რალაც ჩვრები, გაზეთებიც კი, კანაფით ან, რაც უფრო მარჯვეა, ტელეფონის მავთულით შეკრული. პეპენი ამხანაგებს და გამვლელ-გამომვლელს თავის მიხაკის ფერ გეტრებს ახარბებს,—მიცვალებულს გავხადეო... ბარკს, რომელიც ჩემულობს (ღმერთო შეგცოდე, და ხანდისხან თავის მობეზრებაც კი იცის)—გაჭირვებაში გამოცდილი ვარო, ვინ იცის, რის გამოგონება არ შემიძლიაო, წვივები თეთრად აქვს შეხვეული: მარლის ბინტები უშოვნია სადღაც და იმით იფარავს წვივებსა; ეს ორი თეთრი წერტილი ვის სხეულის ქვედა კიდურებზე, მოქსოვილი ქუდი, კასკას ქვეშიდან გამოშვერილი, წითელი თმა—სწორეთ ჯამბაზს აქსგავსებს. პოტერლუს, ეს ერთი თოვლა, გერმანელ ქვეითთა ჯარისკაცის ყელიანი ჩექმები აცვია, ლამაზი, თითქმის ახალი. ჩექმებს ქუსლები ნალებით აქვს დაქედილი. კარონს მისთვის მიუბარებია, როცა ეს უკანასკნელი მკლავში დაიჭრა და საექიმოთ წაიყვანეს. თვითონ კარონს ერთ ბავარელ მეტყვიისმტყორცნელესათვის გაუხდია, როცა ეს პილონის გზაზე მომკვდარა. ახლაც ყურში მიდგა კარონის ნაამბობი, თუ როგორ მომხდარა ეს ამბავი:

— ჩემო ძმაო, მკვდარი თხრილში ეგდო ზურგით, ოთხად მოკუზული; ღიადარჩენილ თვალებით ცისაკენ იყურებოდა, ფეხები მაღლა აეშვირა. თითქო მეუბნებოდა, გამხადე ჩექმებიო. „რა უშავს, გავხდი-მეთქი“, ვიფიქრე. მაგრამ შენ ისა სთქვი, თუ რამდენი ოფლი მაწუხვინა ამ წაღების გახდაში: ვინ იცის, როგორ არ ვატრიალე, ხან განზე გავსწიე, ხან თვითონ მკვდარი ვანჯღრიე, მთელი ნახევარი საათი ვეწვალე, მაგრამ ვერ გავხადე. თვისის გაშეშებულის ფეხებით მკვდარი

სრულებით არა მშველოდა ჩექმები ადვილათ გამეხადნა. ბოლოს ისე ღონივრათ მოვსწიე, რომ მიცვალებულის ფეხები მუხლებს მოსწყდა, ძიქვა დაეხა და ჩექმები ფეხებიანათ ხელში შემრჩა. მერე იძულებული ვიყავ ჩექმებიდან ამომეთრია ფეხები ნაჭერ-ნაჭერ.

— სტყუი, მიჰქარავ!..

— ციკლისტს ევტერპსა ჰკითხე, თუ ჩემი არა გჯერა. გეუბნები, ისიც მეხმარებოდა-მეთქი: ჩავყავით ხელები ჩექმაში და დავუწყეთ იქიდან ამოღება ძვალსა, წინდების ნახევებსა და ფეხის ნაჭრებსა. მაგრამ შეხედე, რა კარგებია, ამ წვალებად ხომ ღირებულა!

კარონის დაბრუნებამდე კი პოტერლუმ ჩაიცვა და მის მაგიერ სცვეთავს იმ წაღებს, ბავარელ მეტყვიისმტყორცნელეს რომ ვერ მოესწრო დაეცვითნა.

ყოველი ჩვენგანი ამნაირადა ცდილობს, რამდენათ ჰკუა, მიხვედრილობა, გამბედაობა და ძალ-ღონე შესწევს—სძლიოს ცხოვრების უკუღმართობა და გზაზე გადაღობებული გაჭირება. თითქოს ყოველი ჩვენთაგანი როცა გელაპარაკებათ, გულახდილათ გეუბნებათო: „ისა ვქენი, რაც ვიცოდი, რაც შემეძლო, რის გაკეთებაც გავბედე იმ დიდ გაჭირვების დროს, რომელშიაც ცხოვრებამ ჩამაგდოო“.

ჟოზეფ მენილი სთვლემს, ბლერი ამთქნარებს, მარტრო თვალებ დაშტერებული თუთუნსა სწევს. ლამუზი გორილასებ იფხანს, ხოლო ევდოკი უისტიტის მსგავსათ. ვოლპატი ახველებს და ამბობს: „რა საჭიროა, ჩავიღვრძვები“. ანდრე მენილმა სარკე და სავარცხელი ამოიღო და თავის ლამაზ წაბლისფერ წვერს ივარცხნის და ისე ეფერება და ულოლიავებს, თითქო იშვიათი რამ მცენარეაო. ნირშეუცველს სიჩუმეს მკბენარები არღვევს. ხან ერთი და ხან მეორე ჯარისკაცი გაშმაგებული იფხანს ტანს. მკბენარები კი ყველგანაა, მუდამაა და თავს ვერასგზით მოარიდებს ადამიანი.

ბარკი, რომელსაც თვალთაგან იშვიათათ თუ რამე გამოეპარება, იქით-აქეთ იყურება, პირიდან ჩიბუხი გამოიღო, გადააფურთხა, თვალები ჩაუკრა და სთქვა:

— ყველა, ყველა, მაგრამ ერთი-მეორეს სულ რომ არა ვგეგვართ!

— არა, შენ ის მითხარი, რათ უნდა ვგავდეთ ერთმანეთს!?—უპასუხა ლამუზმა.—ეს ხომ სასწაული იქნებოდა.

* * *

ჩვენი ხნოვანება? ვინ იცის, რა და რა ხნისანი არა ვართ! ჩვენი რაზმი სარეზერვო რაზმია, რომელსაც შეავსებენ ხოლმე ზოგი სათადარიგო ჯარისკაცებისაგან, ზოგიც ტერიტორიალებისაგან. ნახევარ რაზმში სულ ახლათ გაწვეულებიც არიან და უკვე ნასწავლებიცა. ფუიადი ორმოცის წლისაა. ბლერი მამად ერგება ბიკეს, რომელიც 1913 წელს არის გაწვეული. კაპორალი მარტროს ხან „პაპას" ეძახის, ხან „ძველ ნასუფრალს", იმისდა მიხედვით, ეხუმრება თუ სერიოზულათ ელაპარაკება. ჟოზეფ მენილი ისევ კაზარმაში იქნებოდა, ომი რომ არ ატეხილიყო. სასაცილო საყურებელია, როცა ჩვენი სერჟანტი ვიქილი მიგვიძღვის. სულ პატარა ბიჭუნაა, ულვაშები ახლად აკოკრებული აქვს,—იმ დღეს პატარა ბავშვებთან ერთათ თოკზე ხტებოდა. ჩვენს დომხალივით არეულ მწყობრში, ამ უოჯახო ოჯახში, ამ უკერო კერაზე, სადაც ჩვენ ერთათ თავი მოგვიყრია, ერთიმეორეს გვერდით სამ მოდგმას დაინახავთ. სამივე მოდგმა იძულებულია, რაღასაც ელოდოს, უნძრეველათ იდგეს, როგორც უსახეო ქანდაკებანი, როგორც ბრძანი.

ჩვენი ეროვნება? რომელი რასის ხალხი გნებავსთ, აქ არ იყოს! ქვეყნის ისეთი მხარე არ არის, რომ იქაური კაცი აქ არ გვყრიოს. მაგალითისათვის შორს არ წავალ. აი თუნდა ორი კაცი დავასეხელოთ: პოტერლუ, კოლონიდან არის, მაღაროს მუშა; ვარდის ფერი სახე აქვს, წარბები ჩალის ფერი,

თვალები ლურჯი, ქსელის ყვავილის ფერი; იმის მსხვილი თავის მოსარგო საწვნე დიდს ხანს ეძებეს მაღაზიებში, და ახლა კასკას მაგიერ ხურავს. ფუიადი სეტიდან არის, იქაური მენავეა. ეშმაკის თვალებს აბრიალებს მუშკეტერის გამხდარ სახეზე, ლოყები ჩავარდნილი აქვს, ფერი ვიოლონისა. ჩემი ორი მეზობელი ერთმანეთისაგან ისე განირჩევიან, როგორც დღე ღამისაგან.

კოკონი წვრილია, სათვალებიანი, სახეზე სისხლის ნატამალი არ დაუტოვებია დიდ ქალაქების მიაზმებსა. აბა რა შედარებაა მასა და ბიკეს შუა! ბრეტონელია, ნაცრისფერ კანიანი, ოთკუთხ უბებიანი; ან ანდრე მენილი, ნორმანდიის სუ-ფრეფექტურაში მეაფთეკედ ნამყოფი, ლამაზ პატარა წვერიანი, მშვენივრად მოლაპარაკე—სულ არა ჰგავს ლამუზს, პუატუელ გლეხს, რომელსაც ლოყები და კისერი თითქო ჩალალაჯიდან აქვს გამოჭრილიო. ჟარგონი ბარკისა, რომლის ფეხებს პარიზი სიგრძე-სიგანეზე უთელია, უპირდაპირდება ნახევრათ ბელგიურ აკცენტს ჩრდილოეთ საფრანგეთიდან მოყვანილ ჯარისკაცებისას, ხმამალალ ლაპარაკს მე-144 რაზმის სოლდათებისას და ოვერნელების პატუას, რომლებიც ჰიან-ჰველებისებრ ერთათ იყრიან ხოლმე თავსა.

ჩვენი ხელობა? ამ დამხალივით არეულ ხალხში ცოტა-ცოტა ყველა ხელობისა გვირევია. რანი ვიყავით იმ ხანებში, როცა ესა თუ ის სოციალური მდგომარეობა გვეპყრა ხელთ, სანამ ჩვენს ბედ-იღბალს ამ სათხუნელეებში შემოვიტანდით, რომელსაც წვიმა და ყუმბარები ანადგურებს? უმეტეს წილათ მხვნელ-მთესველები და მუშები. ლამუზი ფერმაში მოჯამაგირედ იყო, პარადიზი—მეურმე. კადიიაკს, რომლის კიტრა-თავზე საბავშო კასკა ლახლახებს,—თითქო სამრეკლოზე ზემოდან თაღი ჩამოუფხატიათო, როგორც ტირეტი ამბობს ხოლმე, —საკუთარი სახნავ-სათესი მიწა აქვს. ძია ბლერსაც იჯარით ჰქონდა მიწა აღებული. ბარკი ერთ მაღაზიაში მსახურებდა ნაყიდ საქონლის დამტარებლად. მოაჯდებოდა თა-

ვისს სამთვალა ველოსიპედსა და დააჯირითებდა პარიზის ტრამვაებსა და ეტლებს შორის, თან ღდინამდე აგინებდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მოედნებსა და ბულვრებზე ქვეით მოსიარულეთაგან შეშინებულ მეჭათმეს. კაპორალი ბერტრანი, რომელიც ერთავათ ცოტათი განზე დგას ხოლმე, ჩუმი და თავდაჭერილი, ლამაზის ვაჟკაცურის სახისა, წელში გასწორებული, პირდაპირ თვალებში მაცქერალი, ოსტატის თანაშემწედ იყო ერთს სამანუფაქტურო დაწესებულებაში. ტირლუარი კარეტებსა ღებავდა და ბუზღუნიც არ უყვარდაო, როგორც ამბობენ. ტულაკს სამიკიტნო ჰქონდა ტრონის საბაჟოსთან. და ევდორს, გულკეთილ და ფერმკრთალ სახიანს, გზის პირას სასმელების დუქანი ჰქონდა, ახლანდელ ფრონტიდან მახლობლათ. მისი დუქანი დაუზარალა, რა თქმა უნდა, უომბარებმა, რათგან ყველამ იცის, რომ ევდორს ბედი არაფერში აქვს. მენილ ანდრე, რომელსაც კიდევ შერჩენია რიგიანი გარეგნობა და თმა-წვეიი დავარცხნილი აქვს, ერთს დიდს მოედანზე სოდასა და სხვადასხვა უებარ წამლებსა ჰყიდდა; მისი მამა ჟოზეფი გაზეთებსა და დასურათებულ რომანებსა ჰყიდდა ერთს რკინისგზის სადგურზე; კოკონი კი, ამაზე მოშორებით, ლიონში, ერთს რკინეულობის მაღაზიაში, შავ ბლუზიანი, ტყვიისაგან ხელებ გაპრიალებული, გასასყიდ საქონელს ციფრებს უკეთებდა; ხოლო ადოლფ ბეკუვი და პოტერლუ, ირაჟრაჟებდა თუ არა, ხელში საცოდავ ლამპებს დაიჭერდნენ და მიდიოდნენ სამხრეთ საფრანგეთში მდებარე ქვანახშირის მაღაროებში სამუშაოთ.

და რამდენია სხვები, რომელთა ხელობა არც კი მოგაგონდება კაცს და ერთი-მეორეში გერევა. ანგარიშში ჩასაგდები არ არიან ისეთები, რომელნიც სასოფლო შარა-გზებზე დაეხეტებოდნენ და ერთის მაგიერ ათი სხვადასხვა ხელობა ჰქონდათ ერთსა და იმავე დროს. საეჭვო ხასიათის პეპენისას ხომ ნუღარ იტყვით.—ალბათ სრულებით არაფერი ხელობა ჰქონია (იმის შესახებ ის-ღა იციან, რომ ლაზარეთში, მო-

ჩენას შემდეგ, ცოლი შეურთავს... რომ ცოლის ხვედრი ულუფაც აეღო, როგორც ჯ.რში წაყვანილს)...

რაც გარეშემო ხალხი მახვევია, ერთი არ არის თავისუფალ პროფესიისა. მასწავლებლები როტაში უნტერ-ოფიცრებად სანატირებად არიან დანიშნულნი. ერთი ბერი როტაში სერჟანტად არის საეკიმო ნაწილში; ერთი ტენორი იქითაჭეთ გასაგზავნ ციკლისტადა ჰყავს მაიორს; ერთი ადვოკატი პოლკის უფროსის მდივნად ემსახურება; რანტიე — კაპორალად არის, პირდაპირ სამხედრო სამსახურს რომ არ ასრულებს, ისეთს როტაში. ჩვენთან კი სულ სხვაა. ყველანი მებრძოლი ჯარისკაცები არიან. ინტელიგენტი თითქმის არავინ გვირევია, ან არტისტი და მდიდარი, რომელსაც მოეწადინებინოს და რისკი გაეწიოს სანგრებში ჩასაჯდომათ. თუ რომელსამე მათგანს აქ მოუხდა ჩაჯდომა, ისიც დროებით, როგორც ოფიცერს.

დიახ, მართალია, ერთი-მეორესაგან დიდათ განვსხვავდებით.

მაგრამ მაინცა ვგევართ ერთმანეთს.

მიუხედავათ სხვადასხვა ხნოვანობისა, მიუხედავათ ჩამოშალობის, განათლების, მდგომარეობის და ყოველისავე წარსულ ცხოვრების სხვადასხვაობისა, მიუხედავათ იმ უფსკრულისა, რომელიც წინათ ჩვენს შორის იყო ამართული, საზოგადოთ მაინც ერთნი ვართ. იგივე ტლანქი სილუეტი, იგივე ზნე, იგივე გამარტივებული ხასიათი ადამიანისა, რომელმაც ისევ ჰირველყოფილ მდგომარეობაში ამოჰყო თავი.

აქაც იმნაირივე კილოა ლაპარაკისა, რომელშიაც არეულია ერთიმეორეში ქარხნისა და ყაზარმებში სალაპარაკო არგო და პროვინციალური კილოკავი. ამ კილოს მიმატებული აქვს, სანელებელივით, რამდენიმე ახალი სიტყვაც. ეს ლაპარაკი ჩვენ, საწებელივით, ადამიანთა ერთ კომპაკტურ მასად გვაერთებს, იმ ადამიანთა, რომელნიც ეს ორი წელიწადი საფრანგეთის გულს აცარიელებენ და ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებისკენ იყრიან თავს.

და გარდა ამისა, აქ საერთო ბედისწერით ერთმანეთზედა ვართ გადაჯაჭვულნი, იმ ბედისწერით, რომელსაც ვერსად გავექცევით. ჩვენდა უნებურთ ჩათრეული ვყევართ ამ უდიდეს ავანტურას და რა გასაკვირია, მთელი კვირეები და ღამეები ერთათ გატარებას შემდეგ ერთმანეთს დავემსგავსოთ! საერთო ცხოვრების საზარელი იწროება ერთმანეთს გვაახლოვებს, გვაიძულებს ერთიმეორეს შევუფარდოთ ჩვენი სურვილ-მიდრეკილება და წაგვიშალოს ესა თუ ის თავისებურება. ეს ერთგვარი საბედისწერო გადამდები სენია. ამიტომ ერთი სოლდათი მეორესა ჰგავს. ასე რომ საჭირო არ კია ამ მსგავსების დასანახავათ ადამიანმა შორიდან გვიყუროს, ისე შორიდან, რომ ადამიანები მტვრის მარცვლებსა ჰგვანდენ, რომელთაც ქარი ველზე მიათამაშებს ხოლმე.

* * *

ველოდებით. ჯდომით რომ დავიღლებით, ზეზე წამოვდგებით. სახსრები ტკაცა-ტკუცით იჭიმება, ფიცრებივით. ნოტიო რკინასავით ჟანგს უკიდებს ადამიანსაც, მართალია, ნელა, მაგრამ ღრმათ ჟანგავს. და ლოდინს ისევ ვიწყებთ, თუმცა სხვანაირათ კი.

ომის დროს სულ მუდამ ელი რასმე. სალოდინო მანქანებადა ვართ გადაქცეულნი.

ამ წუთას წვენს მოველით. მერე წერილებს დავუწყებთ ლოდნას. მაგრამ ყველაფერს თავთავის დროზე ველოდებით: წვენს რომ მოვრჩებით, წერილებზე დავიწყებთ ფიქრს. შემდეგ, კიდევ სხვა რასმე დავუწყებთ ლოდინს.

შიმშილი და წყურვილი ყველაზე ძლიერი ინსტინკტია, და ეს ინსტინკტი ძალუმათ მოქმედობს ჩემის ამხანაგების სულიერ განწყობილებაზე. როცა წვენის მოტანას დააგვიანებენ, ჯავრობას და ბუზღუნს მოჰყვებიან. საქმელ-სასმელის მოთხოვნილება მათის პირიდან ბუზღუნით მოისმის.

— უკვე რვა საათია! რა ღმერთი გაუწყრათ, აქამდე რატომ არ მოაქვსთ?

— მე კი გუშინ შუადღეს აქეთია კბილი არაფრისათვის დამიკარებია,—ბურტყუნებს ლამუხი. საჭმლის სურვილით თვალები აუწყლიანდა და ლოყები ღვინის ფრად აუკვერდა.

დრტვინვა უფრო და უფრო მატულობს:

— პლუმეს ჩემის ტოლჩით სასმელი უნდა მოეტანა, მაგრამ, ალბათ, ყელში გადაუქახა და მასთან ერთათ სხვებისაც მიაყოლა და ახლა, უეჭველია, სადმე გალეშილი ეგდება.

— ცხადია და უეჭველია,—კვერი დაჰკრა მარტეროზ.

— ახ, ეს შეჩვენებული, ტილიანი მოსამსახურენი!—ღმუის ტირილივარ.—რა საზიზღრები რამეარიან! მცონარეები! მთელი დღე ჩვენს უკან მოჩანჩალებენ და არ შეუძლიანთ დროზე მოგვაწვდონ რამე. აი, დედასა! ერთი უფლება მქონდეს, მე ვიცი, მათს ოხტში როგორ მოვიდოდი! სანგრებში ყინწის კვრით მოვათრევდი და ჩვენს მაგივრათ ერთი რჯულზე ვაბუშავებდი! პირველათ ვუბრძანებდი: ყველა რიგ-რიგათ უნდა იყოს საჭმლის დამრიგებლად და მომხარშველად მეთქი... რა თქმა უნდა, ვინც ინდომებდა ამას... მერე...

— ცარწმუნებული ვარ,—ჰყვირის კოკონი,—ეს ღორი პეპერია, რომ სხვებს აგვიანებს. ჯერ ერთი, განგება შვრება ამას, და ამასთან ამ უბედურს დილაობით საშინლათ უჭირდება თვალების გახელა. ათი საათი თუ არ იძინა, არ შეუძლია, პატარა ბალღივით. თუ ძილი დააკლდა, მთელი დღე ზეზე თვლემს.

— მე იმათ ვუჩვენებდი სეირს,—ბუზღუნებს ლამუხი.— ღვთის წყალობა მაქვს, თავიანთ სადარაჯოებიდან გამომვერკნა, იქ რომ ვიყვე მაგათს უფროსად. კაი მაგარს ჯოხს ვუთავაზებდი თავში და ისე გამოვალვიძებდი ან და კარგ სილებს ვაჭმევდი.

— იმ დღეს,—განაგრძო კოკონმა,—საათი დავინიშნე: შვიდი საათი და 47 წუთი მოანდომა მე-31 პუნკტიდან აქ

მოსვლას. სულ ბეჯრი, ხუთი საათი დასჭირებოდა, არამც და არამც მეტი არა.

კოკონი—ადამიანი-ციფრია. საშინლათ უყვარს ზედმიწევნილობა. ყველაფერი უნდა გამოიძიოს, გამოიწვლილოს, ღღინამდე უნდა ჩაყვეს, სტატისტიკური ციფრები უნდა მიიშველიოს. და ამ შემთხვევაში მისი მოთმინება სწორეთ ჰიანჭველისასა ჰგავს, და ამ ციფრების ძალა-მნიშვნელობას უზიარებს იმას, ვისაც კი მისი ყურისგდება სჯრს. ამ ხელათ კი, როცა ციფრებს კარგ რამ იარაღის მსგავსათ ატრიალებს ხელში, მისი გამხდარი სახე, ძვლებისა, სამკუთხედებისაგან შედგენილი, რომლებზედაც ჩამოკოსებულია სათვალეები, ბრაზისაგან დაჭყანულია.

ტირლუარი იმ ფიცარზე შესდგა, საიდანაც ნიშანში იღებდენ, როცა ეს ადგილი პირველის რიგის სანგარი იყო, და გაშმაგებულის სახით თავი პარაპეტზე გადაჰყო. ციცის სხივის ცერ სინათლეზე მისის სათვალეების შუშები და წვეთი, ცხვირის წვერზე დაკიდული, ალმასივითა ბრწყინავს.

— აბა, პეპერია, რაც არის!... შენ ისა სთქვი, რამდენ გირვანქა საქმელსა გზავნის მუცელში მხოლოთ დღე-ღამის განმავლობაში და მაინც ვერ ამოუყორია.

ძია ბლერი ერთ კუთხეში მიმჯდარა და ჩიბუხსა სწევს. მსხვილი ულვაში, მოთეთრო და ძირს დაშვებული, თითქო ძვლის რისამე სავარცხელიაო, უცანცარებს.

— იცი, რა გითხრა? ჩვენი მზარეულებისთანა გაოხრებული ხალხი ქვეყანაზე არ იქნება. ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ.

— ყველანი მუდრეგები არიან,—დარწმუნებულათ ოხრავს ევდოკი, პირღიათ მიწაზე გაწოლილი. სახე ნამდვილის წამებულისა აქვს და გამოშტერებულის თვალებით პეპენს უყურებს. პეპენი კიდევ იქით-აქეთ ეწყვეტება, გააფთრებული.

საჭმლის მომტანთა წინააღმდეგ დაგვიანებისათვის ბრაზი უფრო და უფრო იზრდება.

ფხუკიანი ტირლუარი სხვებს აქეზებს და თან ილანძღება. სწორეთ საიმისო წუთია. მეზობლების ბრაზს თავისებურ მწვავე ჟესტებით გამოხატავდა:

— ცოტათი მაინც რიგიანს რასმე გვაჭმევდენ, მაშინ ვინ ოხერი იტყოდა რასმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მუცელში ისევ რაგინდარა უნდა ჩავიყაროთ.

— ამ მამისულ-წაწყმედილებმა გუშინ რა ხორცი მოგვცეს... ისეთი მაგარი იყო, როგორც ქვა. ბიფშტექსი არისო! მაგათს მამას აქვს ცხონება! ხორცი კი არა, შემწვარი ლანჩა იყო წაღისა. ამხანაგებს ვუთხარი: „ფრთხილათ იყავით, ბიჭებო! ჩქარა ნუ ღეჭავთ, თორემ ვაი თუ მეწაღეს ლურსმნების ამოღება დაავიწყდა და კბილები დაგემტვრესთ-მეთქი!“

ხუმრობა ტირეტისა, რომელიც, თუ არ ვსცდები, დიბა-სოფლებში მოსიარულე კინემატოგრაფის ნარეჩისორალი ყოფილა, სხვა დროს ყველას გაიცინებდა; მაგრამ ახლა ყველა ძალზე აღრენილია და მისს ენაკვიმატობას საერთო ბუზღუნით უპასუხეს.

— ზოგჯერ, იმისთვის, რომ საჭმელი არ დაიწუნო, არა სთქვა მაგარიაო, მუცელში რბილ რასმე სალაფავს ჩაგიშვებენ: ვსთქვათ, ღრუბელს, სრულიად უგემურს ან კიდევ მდოგვს. როცა შესთქვლეფავ ამასა, ასე გგონია ერთი ჭიქა წყალი დაგლიეო, მეტი არაფერი.

— ყველაფერი, — დასძინა ლამუზმა, — უყუათო რამ არის, ვეღა გრძნობ, მუცელში რამე მაქვსო. გგონია, მუცელი ამოვიყორეო, და ნამდვილათ კი შიგ არაფერი ყრია. ასე რომ ნელ-ნელა ფეხებსა სჭიმავ, უჭმელობისაგან ღონეღალა გამოლეული.

— უნდა ვიჩიქლო, — განაცხადა ბიკემ, მოთმინებისაგან გაბოსულმა, — უნდა უფროსს ვუთხრა: „ბატონო კაპიტანო“...

— მი-კი, — სთქვა ბარკმა, — ფერწასული ვეჩვენები და ვეტყვი: „ბატონო მაიორ...“

— იჩივლებ, თუ არ იჩივლებ, სულერთია, არაფერი გამოვა. ყველას ერთი პირი შეუკრავს—ჩვენი, ჯარისკაცების, სისხლი სწოვონ...

— აკი მეც იმას გეუბნები, შიმშილით უნდა ამოგვხოცონ-მეთქი!

— არაყზედაც ასე არ არის! სანგრებში არაყი უნდა გვეძლეოდეს. ხძრს უმეტესობით გადასწყდა, არ ვიცი, სად ან როდის დავადგინეთ, მაგრამ დადგენილი კია, ვიცი. ეს სამი დღეა, აქა ვართ და არაყი კი არა, შავიქვა მოგვცეს.

— ვაი ჩვენს შავსდღესა!

* * *

— სალაშავი მოაქვსთ!—დაიძახა ჯარისკაცმა, მოსახვევთან რომ დარაჯობდა.

— ძლივს!

თითქო შეულოცა ვინმეო, ჩივილი და საყვედურები შესწყვიტეს. მრისხანება ყველას სახეზე კმაყოფილებად შეიცვალა.

სამმა მსახურმა, ქლოშინით, ოფლში გაწურულებმა, ძირს დასდგეს მათარები, სანავთე ბიდონი, ორი ტილოს ბოთლი და მთელი ასხმულა ტოლჩები, ჯოხზე ჩამოცმულები. სანგრის კედელს აეკვრნენ და ზოგმა ცხვირსახოცით, ზოგმა სახელურით რფლი მოიწმინდეს. კოკონი პეპერთან მივიდა მოლიმარე, და თითქო დაავიწყდაო, რომ ამ ერთ წუთს წინად ასე ლანძღავდა, ხელი გაუწოდა, მეგობრულათ, ერთ იმ ტოლჩებისაკენ, რომელიც გარეშემო ახვევია პეპერს, წყალში დახრჩობისაგან გადასარჩენ ქამრის მსგავსად.

— რა მოიტანეს საცოხნელათ?

— რაც იყო, ყველაფერი აქაა,—თავისდაძრომით უპასუხა მეორე მსახურმა. მწარე გამოცდილებით იცის მოპასუხემ, რომ საჭმლების დასახელება მაშინათვე გულს გაუტეხს ჯარისკაცებს...

და შეუდგა ქაქანითვე ჩივილს,—გრძელი და ძნელი გზა გამოვიარეთ: ყველგან აუარებელი ხალხია! თითქოს არაბების ბაზარიაო, გავლა სჭირს. ზოგჯერ ოთხად უნდა მოიკეცო პაპიროსის ქაღალდივით. ზოგი იძახის—მზარეულობა —უსაქმურების საქმეაო, იმათი, ვინც ბრძოლას თავს არიდებსო!.. მე თუ მკითხავს კაცი, ათასწილ მირჩევნია გუნდთან ერთად სანგრებში ვიჯდე, ვიყარაულო და მიწაცა ვთხარო კიდეცა, ვიდრე ასეთ საზიზღარ ხელობას ვასრულებდე ღღეში ორჯელ ღამით!

პარადიზმა სათილებს თავები ახადა, და ჩაიხედა,—აბა შიკ რა არისო.

— ცერცვი, სამარხო ზეთით გაკეთებული, მოხარშული ხორცი და ყავა. სულ ეგაა.

— დასწყეველოს ღმერთმა! ისპანახიცა? — წამოიყვირა ტალა ტულაკმა.

ამხანაგებს განგებ აღეზიანებს.

— აი, მოდით, ნახეთ. არა, ეს მეტი-მეტია! ახლა ის პანახი უნდა ჩაგვაცქცხლონ!

დამშეულები და მოწყურებულნი ღრეჯით ყველა მხრიდან მოდიან.

— ფუი, თავსლაფი მაგათ დავასხი! ღვინო სადღაა? — იძახიან სოლდათები, უზომოთ აღშფოთებულები.

— ამ სათილში მა რაღაა?—იკითხა მზარეულის თანაშემწემ, გაწითლებულმა და ისევ ოფლიანმა, და ფეხით სათილზე უჩვენა.

— მართლა,—სთქვა პარადიზმა,—შემცთარვარ, ღვინო ყოფილა.

— ეი, შე ვირის თავფეხო!—ბუზღუნებს ერთი საჰმლის ზომტანთაგანი, მხრების შეშმუშვნით და პარადიზს საშინელის ზიზღით შეხედა.—ე საძროხე სათვალეები რაღათ წამოგიკეთებია თვალებზე, თუ მეტათ ვერა ხედავ!

მერე დასძინა.

.— კაცის თავზე მეოთხედი ლიტრი... შეიძლება ცოტა ნაკლებიც იყოს, რათგან ბუაში რომ მოვდიოდი, გზაზე ერთი ავტომობილისტი დამეჯახა და ცოტა დამაღვრევინა...—ეჰ, —ჩქარობს დაუშატოს თავისს ნათქვამს და თან ხმას იმაღლებს, —დატვირთული არა ყოფილვიყავ, ისეთს წიხლს ჩავსცხებდი, დიდხანს არ დავიწუნოდა. მაგრამ გაუწყრა ღმერთი, მთელის სიჩქარით მოუსვა, იმ სალახანამ!

მართალია, ასე რიხიანათ განაცხადა ყველაფერი, მაგრამ მაინც სიფრთხილით მოშორებით გადგა. ყველამ გინება დაუწყო და საყვედური: შვილონიასა, შენ დალევდი და ახლა რაღეებსაც მიჰქარავ, თორემ აბა რა დასაჯერებელია, ღვინო არცხათ დაღვრილიყოო. რა თქმა უნდა, ყველას ეწყინა, რომ ნაკლები პორცია ერგებოდათ ღვინისა.

ამასობაში ეძგერნენ საქმელსა. ზოგი დგომელა სჭამს, ზოგი დაყუნცული, ზოგი დაჩოქილი. ზოგიც ბიდონზე ჩამოჯდა ან კიდევ სანგრიდან მოთრეულ საომარ ჩანთაზე, ზოგი კიდენ პირდაპირ მიწაზე წევს; გამველელ-გამომველელი ხან ერთი წამოჰკრავს ფეხსა და ხან მეორე, იგინება ერთიცა და მეორეცა. ამ თითო-ოროლა ლანძღვასა და მასხარობას გარდა, სოლდათები არას ამბობენ, რათგან საქმლის ყლაპვას უნდებიან, ტუჩები და ტუჩს გარეშემო ნაწილები სახისა გაქონილი აქვსთ, როგორც თოფის კონდახი.

კმაყოფილნი არიან.

ყბებს ცოტათი გააჩერებენ თუ არა, უწმაწურ ლაზღანდარობას დაიწყებენ. ერთმანეთს ეჯაჯგურებიან, ყვირიან და ყველა ცდილობს თავისი სიტყვა ჩაურთოს. ფარფატი იღიმება. ერთ-ერთ ქალაქის გამგეობაში მოხელედ ყოფილა. სუსტია. ჩვენთან მოსვლის პირველ ხანებში ისეთი ფაქიზი და ზრდილობიანი იყო, რომ ვინმე უცხოელად ან ნაავადმყოფარად ჩაგდებდით. პომიდორის მსგავსი პირი დააღო ღიმილისაგან ლამუზმა და სიხარულისაგან ცრემლები წამოუვიდა თვალთაგან; სახე გაუბრწყინდა ღაჟღაჟა პოტერლუს; ძია ბლერის

ნაოჭები_კმაყოფილებისაგან ხან გაიშლება, ხან ისევ შეიკუმშება; ბლერი წამოდგა, თავი წინ გაიშვირა და თავისი მოკლე, დალეწული სხეული, რომელიც თითქო გაგრძელება იყო მის ვეებერთელა, ძირს ჩამოშვებულ ულვაშებისაო, ათასფრად დაკლაკნა; კოკონის პატარა, ნაოჭებიან სახესაც სიხარულის სხივი გადაეფინა.

* * *

— ყავას რაღა ვუყოთ? არ უნდა გავაცხელოთ?—იკითხა ბეკუშმა.

— რაზე უნდა გააცხელო? სულის შებერვით ხომ არ გავაცხელებთ!

ბეკუშს ცხელი ყავა ეყვარს და ამიტომ ამხანაგებს ეუბნება:

— აბა თუ არ გაგიცხელებთ! არც ისე ძნელი რაღაა. მხოლოთ კერა მოვაწყოთ და ზედ ხიშტებისგან ცხავი გავაკეთოთ. შეშა მე ვიცი, საცაა. ახლავე წავალ, დავაპობ და ყავასაც გავაცხელებთ. აი, თუ არა.

და იგიც შეშის მოსატანად წავიდა.

ყავის მოლოდინში, პაპიროსები გაიკეთეს, ჩიბუხები თუთუნით გაიტენეს.

ჯიბიდან ქისებსა და სათუთუნეებს იღებენ. ზოგს ტყავისა ან რეზინის ქისა აქვს, დუქანში ნაყიდი. მაგრამ ასეთი ცოტაა. ბიკეს თუთუნი კანაფით თავმოჭერილ წინდაში უყრია. უმეტესობა თუთუნისათვის მახრჩობელა გაზის საწინააღმდეგო პატარა ტომსიკებსა ხმარობს; ეს ტომსიკები წყალგაუვალ ნაქსოვისაგან არის გაკეთებული და სათუთუნედ ზედგამოჭრილია. მაგრამ არის ისეთიცა, ვისაც თუთუნი პირდაპირ ფარაჯის ჯიბეში უყრია.

თუთუნის მწეველთ წრე აქვსთ გაკეთებული და ისე სწევენ, თან აფურთხებენ, სწორედ სანგრის შესავალთან, სადაც დაბინავებულია რაზმის უმთავრესი ნაწილი. მთელი გუბე დგება ნიკოტინით ყვითლად შეღებილ ნერწყვისაგან სწორეთ იმ ალაგას, საცა ხელები და მუხლები უნდა დააკაროს კაც-

მა, როცა მიწას გაერთხმება სანგარში შესასვლელათ ან იქიდან გამოსასვლელათ.

მაგრამ, თქვენს ლხენას, ამ წვრილმანს აბა ვინ მიაქცევს ყურადღებას?

* * *

ლაპარაკობენ საქმელ-სასმელზე და საერთოთ სანოვაგეზე იმ წერილის გამო, მარტეროს რომ მიეღო ცოლისაგან.

— ცოლი მწერს...—დაიწყო მარტერომ,—იცით, ახლა რა ღირს ჩვენში კარგი მსუქანი ღორი, დასაკლავი?

საეკონომიო კითხვამ ერთბაშათ ცხარე ხასიათი მიიღო პეპენსა და ტულაკს შორის.

ერთიმეორე არ დაუზოგნიათ. დასასრულ ერთმა მეორეს უთხრა:

— ფეხებზე მკიდია, რასაც ამბობ, ან რასაც არ ამბობ. გირჩევნია, ხმა ჩაიწყვიტო.

— როცა მინდა, მაშინ გავჩუმდები, შე ვირისთავო.

— აი, ამ ფუთიან მუშტს ხომ უყურებ... რო დაგაზელ, მაშინაც არ გაჩუმდები?

— მე დამაზელ? თუ ბიჭი ხარ... და...

— აბა თუ არა, ერთი ახლოს მოდი!

ცოფებსა ჰყრიან და კბილებს აკრაჭუნებენ, თანაც ერთიმეორესაკენ მიიწევიან. ტულაკი თავისს პრეისტორიულ ცულს ხელს უჭერს და ელამის თვალებით ცეცხლს აკვესებს. მისი მოპირდაპირე, ფერმკრთალი, მომწვანო თვალებიანი, ხულიგნურის სახისა, ეტყობა, ჯაყვის ამოღებას აპირებს.

ლამუზი თვისის მსხვილის, ბავშვის თავის ოდენა ხელით და წამოჭარხლებულ სახით გასაზავებლათ ჩადგა ამ ორ კაცს შუა. ორნივე თვალებით ერთმანეთს შეჭმას უპირებდენ, ხოლო სიტყვებით ერთმანეთს შუაზე გლეჯდენ.

— კარგით, ერთი, რა დაგემართათ. ერთმანეთი კი არ დააშავოთ, და! ბრალი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა.

სხვებიც ჩაერივნენ და მოწინააღმდეგენი გააშველეს.

ისინი მაინც ამხანაგებს ზემოდან ერთმანეთს თვალებს უბრიალებენ.

პეპენი, თითქო ნაღველა დაისხა ენაზედაო, აგინებდა გაცოფებული.

— შე კინტო, ავაზაკო, ოხერო! ბიჭი არა ყოფილვარ, თუ შეგარჩინო.

ტულაკი, თავის მხრივ, მის გვერდზე მდგარ ჯარისკაცს ეუბნება:

— ეს ბაღლინჯო, ესა! ვერ უყურებთ, მემუქრება კიდეცა? მაგრამ ესეცაა—აქ, ვინ იცის, რა და რა ოხერთან არა გაქვს საქმე! ვითომ იცნობ კაცს, და თან, ეშმაკმა იცის მაგის თავი და ტანი, არ იცი, ვინ არის, რა კაცია. მაგრამ ეს კი ცუდს ვისმე გადავეკიდე. აი, თუ არა, უყურეთ, რა დღე დავაყენო...

ამასობაში ბაასი ისევ განაახლეს ჯარისკაცებმა და მოჩხუბართა ხმაც თანდათან მიწყნარდა.

— აი, დღე ყოველი ასეთი ამბავია! —მეუბნება პარადიზი. —გუშინ კიდევ პლეზანსმა კინალამ ცხვირპირი ჩაამტვრია ფიუმოს, კარგად არც-კი ვიცი, რისთვის, მგონი ოპიუმის აბების გამო იყო. დასწყეველოს ღმერთმა, ერთი რომ მოკრჩება, მეორე წამოჰყოფს თავსა, მერე მესამე ემუქრება ამხანაგს— უნდა მოგსპოვო. რა საჭიროა, პირდაპირ გავმხეცდით.

— სერიოზული ხალხი არ არის, —შენიშნა ლამუზმა,— უფრო ბალღებსა ჰგვანან.

* * *

დრო მიდის. ცოტაოდენმა სინათლემ გაატანა ჯანყ-ბურუსს, დედამიწას რომ გადაჰფარებია. ცაში მაინც ღრუბლები ირევა და წვიმას აპირებს. წყლის ორთქლი იპენტება და ქვეით-ქვეით იწევს. ჟინჟლავს. ვგრძნობთ ქარის ნოტიო სულთქმასა, ნელ-ნელა რომ მოდის და გულს გვიწვრიალებს. ნისლი და წვიმის წვეთები ყველაფერსა ჰფარავს და აბნელებს: ლამუზის თურაშულ ვაშლის მსგავსად მოაღღლადე

ლოყებს და თვით ტულაკის ყვითელ კირასასაც. წყალმა ჩაგვიქრო ის სიხარულიცა, საჭმელმა რომ მოგვმადლა. ადგილის სივრცე თანდათან პატარავდება. დედამიწას, რომელიც იგივე ველია სიკვდილისა, დასცქერის ველი მწუხარებისა—მოქურუშებული ცა.

ისევ აქა ვყრივართ უსაქმურათ. დღეს ძალიან გაგვიჭირდება დღის დასრულებამდე გაძლება, ან ნაშუადღევიდან რაღა ვაკეთოთ? გვაკანკალებს, ვიწროთა ვართ, ერთსა და იმავე ალაგს ვიცვლით, როგორც ფარეხში შერეკილი ცხვარი.

კოკონმა თავისს მეზობელს აუხსნა, თუ როგორ არის გაკეთებული ჩვენი სანგრები. ამ სანგრების პლანი ვნახე და მერე მე თვითონ გამოვიანგარიშეო. საცა ჩვენი პოლკი სდგას, ხუთმეტი ხაზია ფრანგების სანგრებისა, ზოგისათვის თავი დაუნებებიათ და ისეა მიგდებული, ბალახი მოჰრევია და თითქმის მიწასთან გასწორებულა. ზოგი სანგარი კი კარგათ მოვლილია და ხალხითაა სავსე. ეს სანგრები ერთი-მეორესთან შეერთებულია ურიცხვ შემაერთებელ ხვრელებით; ეს ხვრელები კიდენ ისე მიიკლაკნება და ისე უხვევს აქეთ-იქით, როგორც ძველი ქალაქის ქუჩები. სანგრების ქსელი უფრო დახლართულია, ვიდრე ეს ჩვენა, შიგმცხოვრებთა, გვგონია. ლაშქრის ფრონტს 25 კილომეტრის სიგანე ექნება. ამ სიგანეზე სულ უკანასკნელი ათას კილომეტრის სიგრძე სანგარი უნდა ვიანგარიშოთ: თვით სანგრები, შემაერთებელი ხვრელები, შენათხარები და სხ. საფრანგეთის ლაშქარი ათ არმიისაგან შესდგება. მაშასადამე, საფრანგეთის მხრით დაახლოვებით ათი ათასი კილომეტრი სანგრებია და ამდენივე იქნება გერმანელების მხრივაც... ხოლო საფრანგეთის ფრონტი მერვედი ნაწილი თუ იქნება იმ ფრონტისა, მთელს დედამიწაზე ატეხილ ბრძოლას რომ უჭირავს.

ასე ანგარიშობს კოკონი. მერე მეზობელს მიუბრუნდება და დაასკვნის:

— ხომ ხედავ, ყოველსავე ამაში ჩვენ ანგარიშში ჩასაგდები არც კი ვართ...

საწყალი ბარკი, უხისხლო სახის პატრონი, როგორც ყველა მცხოვრები პარიზის განაპირისა, და წითელ თხის წვერიანი, თავს ძირსა ხრის.

— მართალია, როცა კაცი დაუფიქრდება, რომ სოლდათი და თუნდაც რამდენიმე სოლდათი, მთელს გროვაში სრულებით არაფერსა ნიშნავს, მაშინ შენი თავი წარმოგიდგება დაკარგულად, დამხვრჩვალად, ისე როგორც იკარქება რამდენიმე წვეთი სისხლისა ამ ადამიანთა და საგანთა წარღვნაში.

ბარკმა ამოიხვნეშა და გაჩუმდა. სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში ყური მოვკარი დაბალის ხმით მოყოლილ ამბის ნაწყვეტსა.

— ორის ცხენით მოვიდა. ამ დროს იქუხა ზარბაზანმა... და ერთი ცხენი ლა შერჩა.

— გულისამრევია ყოველივე ეს,— წუწუნებს ვოლპატი.

— უნდა გავუძლოთ!—ბურტყუნებს ბარკი.

— ოღონდაც. სხვა გზა რომ არ არის!—დასძენს პარადიზი.

— ვითომ რისთვისაო?—ეკითხება მარტერო ექვიანის კილოთი.

— რისთვისა და ასე უნდა.

— საბუთი არც კია საჭირო,—კვერი დაჰკრა ლამუზმა.

— საბუთი არის,—ამბობს კოკონი.—უკეთ რომა ვსთქვათ, ერთის მაგიერ საბუთი რამდენიმეა.

— ეგ ენა დაიყენე! რალა გვალაპარაკებს... თუ კი საჭიროა, აქ უნდა ვიყოთ და ვიბრძოლოთ კიდეცა.

— თქვენ რაც გინდათ, ისა სთქვით,—ყრუდ წარმოსთქვა ბლერმა, რომელიც ცდილობს ყოველთვის ისარგებლოს ჭ თავისი საყვარელი ფრაზა ლაპარაკში ჩაურთოს,—და მე კი ვიტყვი, რო ტყავი უნდათ გაგვაძრონ.

— დასაწყისში,—ამბობს ტირეტი,—ბევრს რასმე ვფიქრობდი, ვაზროკნებდი, ვანგარიშობდი,—ახლა აღარც კი ვფიქრობ რასმე.

— აღარც მე.

— აღარც მე.

— მე არცკი ცდილვარ მეფიქრნა.

— კაცს რომ ეგონება, არც ისეთი ბრიყვი ხარ, შე რწყილის ნისკარტო, შენა,—უთხრა ანდრე მენილმა თ.ვისის დამცინავის და მწარე ხმით.

ტირეტს, ცოტა არ იყოს, ეამა, რომ აქეს, და თავისი აზრი ასრე განავითარა:

— შეგიძლია, არაფრისაგან არაფერი იცოდე.

— ჩვენ მხოლოთ ერთი რაჰ უნდა ვიცოდეთ, სახელდობ ისა, რომ გერმანელე'ი ჩვენს ქვეყანაში არიან, აქ ფეხი მოიკიდეს; ჩვენ არ უნდა შემოვუშვათ, არამცთუ არ შემოვუშვით, გავრეკოთ კიდეცა აქედან და რაც შეიძლება მალე,—სთქვა კაპორალმა ბერტრანმა.

— უნდა გავრეკოთ, მაშ! უეჭველათ, მაგრამ სხვა რაზედმე ფიქრით თავი არ უნდა დავიღალოთ. ასეა თუ ისე, ძალიან კი გაჭიანურდა ეს ომი.

— აი, ღმერთმა დასწყეველოს მაგათი თავი და ტანი?—იძახის ფუიადი.

— მე-კი,—ამბობს ბარკი,—ახლა აღარა ვჯავრობ. პირველათ ყველას ვუჯავრდებოდი: ვუჯავრდებოდი, ვინც ჯარს უკან იდგნენ, ვუჯავრდებოდი, ვინც სამხედრონი არ იყვნენ, ვუჯავრდებოდი მშვიდობიან მცხოვრებთ, ვუჯავრდებოდი, ვინც სამხედრო სამსახურს თავს აძკრენდა. დიახ, ვჯავრობდი, მაგრამ ეს ომის დასაწყისში იყო, ჯერ ახალგაზდა ვიყავ, გამოუცდელი. ახლა-კი ყველაფერს სულ სხვა თვალით ვუყურებ.

— ერთი გზა-ღაა: ყველაფერს ისე უნდა შეხედო, როგორც ნამდვილათ არის.

— მაშა! ასე თუ არა ჰქენი, ჰკუიდან შეიშლები. ჩვენ ისედაც სანახევროთ შეშლილები ვართ, ფირმენ.

ვოლპატმა თანხმობის ნიშნად თავი ჩააქნია, ეტყობოდა, ყოველივე ჰკუაში დაუჯდა. მერე გადააფურთხა, ტ თვალდაშტერებით დიდხანს უყურა ნაფურთხს.

— ისეა, ისე,—კვერი დაუკრა ბარკმა.

აქ, ჩემო ძმაო, შენი ბედი შენს იქით შორს არ უნდა ეძებო. დღითი-დღე, და, თუ შეგიძლია, საათით-საათამდე უნდა იცხოვრო.

— ოღონდაც, ჩემო კარგო, რასაც გვიბრძანებენ, ის უნდა გავაკეთოთ, სანამ არ გვეტყვიან—ახლა კი სულ წადითო.

— ჰო და, ჰო,—მთქნარებით ამბობს ქოზეფ მენილი.

მზემოკიდებულ, ქარისაგან დათენთილ, მტვერჩამკვდარ სახეებზე ეჩუმრათ თანხმობა ჭხატება ყველას. ცხადია, ასე უყურებენ ომს ყველანი, ვინც ამ წლინახევარს წინათ სამშობლოს სხვა და სხვა კუთხიდან საზღვარზე მოიყარეს თავი ხელი აუღიათ იმის გაგებაზე, რაც მათს გარეშე ხდება, ხელი აუღიათ თავისთავზედაც; თან იმედიცა აქვსთ, რომ სულ არ დაიხოცებიან, იციან, რომ ჯნდა იბრძოლონ, რომ მერე უკეთესათ იცხოვრონ ამ ქვეყნად.

—რასაც გიბრძანებენ, უნდა გაიკეთო, მართალია, მაგრამ შენი ცხოვრებაც უნდა შეიმსუბუქო,—სთქვა ბარკმა, რომელიც ნელა ბოლთასა სცემს და დაჭყლაპუნებს ტალახში.

* *

— ასე უნდა,—კვერს უკრავს ტულაკი,—თუ შენ თვითონ არ დააძვრინე თავი გაჭირვებას, სხვა არავინ მოგეშველება, ეგ კარგათ უნდა დაიჭდიო გულზე.

— ჯერ არავინ გაჩენილა ისეთი, სხვასა შველოდეს და სხვისათვის თავს იცხელებდეს.

— მაშ არა და!

საჩუმე ჩამოვარდა. მერე, თანამედროვე გაჭირვებით გარშემორტყმულნი, ცდილობენ თავის წარსულიდან ტკბილი რამ ამბავი მოიგონონ.

— აქ ცუდ დღეში ვართ, განაგრძო ბარკმა,—სუასონში კი სულ სხვა საქმე იყო. ერთს დროს იქ, აქაურთან შედარებით, ძალიან კარგათ ვცხოვრობდით.

— მართალია!.. დასწყეველოს ღმერთმა ეშმაკი!

დაკარგულ სამოთხის ანარეკლმა გაუბრწყინა ყველას თვალები და, როგორც ეტყობა, სახეებიცა, სიცივისაგან გაწითლებულები.

— კარგი ცხოვრება გვქონდა, მე და ჩემმა ღმერთმა,— ოხვრით ამბობს ტირლუარი; ერთხანს, დაფიქრებული, ფხანას შესწყვეტს და იცქირება შორს, სანგრებს იქით.

— დასწყეველოს ღმერთმა ჩვენი თავი! ეს ქალაქი ხალხისაგან დაცლილად ითვლებოდა და ჩვენს ხელთ იყო! სახლები, ლოგინები...

— განჯინები!

— ღვინოებით სავსე სარდაფები!

ლამუზს თვალები აუცრემლდა, სახე გაუბრწყინდა და გული აუჩუყდა.

— დიდსხანს დარჩით?—ჰკითხა კადიიაკმა, რომელიც ჭერე მოვიდა, ოვერნიდან მისაშველებლათ გამოგზავნილ ჯარისკაცებთან ერთად.

— რამდენსამე თვეს....

ბაასი თითქო შეწყდაო, მაგრამ ახლა გაღვივდა, როცა მოიგონეს უხვების დრო.

პარადიზმა სთქვა, თითქო სიზმარშიო, ისე დადიოდნენ ჯარისკაცები მაღაზიებში, დუქნებში, თუ კერძო სახლებში. დატვირთულები ბრუნდებოდნენ ბინაზე: ზოგს ბაჯიები მოჰყავდა, ზოგს რა ღ ზოგს რა; გულკეთილ ხალხს სესხათ გამოვართვითო, იძახდნენ ჯარისკაცები, მაგრამ ამ მსესხებელთ, ჯერ ერთი, პირველათა ხედავდენ და, ალბათ, არც როდისმე დაი-

ნახავენ. და ყველა იმასა ჰფიქრობს: დედასა, რა გემრიელი იქნებოდა დედალი ან ბაჩიაო.

— ზოგ რაშიმე ფულსაც ვიხდიდით. ფულიცა გვქონდა. იმ ხანებში ჯერ კიდევ მდიდრათ ვიყავით.

— დუქნებში ას ათას ფრანკობითა ვსტოვებდით.

— მილიონობითაც, ვაი არა მაქვს! წარმოდგენა არ შეგიძლია, თუ როგორ ვფანტავდით ფულებსა, თითქო ძალას გვატანდა ვინმეო.

— გინდა დამიჯერე, გინდა ნუ,—უთხრა ბლერმა კადიიაკს,—ხომ იმდენსა ვხარჯავდით, მაგრამ ამავე დროს, როგორც აქ, ისე ყველგან, ყველაზე ნაკლებათ ცეცხლი გვქონდა. ვინ იცის, რამდენი უნდა გვერბინა, სანამ მივაგნებდით სადმე, ვიშოვიდით და წამოვიღებდით. ეჰ, ჩემო კარგო, რომ იცოდე, რამდენი წანწალი გვჭირდებოდა ცეცხლის საშოვნელათ!..

— ერთ ალაგას ვიყავით გაჩერებულები. მზარეულად იყო აყლაყუდა მარტენ ცეზარი. ცეცხლის შოვნის საქმეში ნამდვილი ოსტატი იყო.

— მართალია, მართალი! ყოჩაღი ბიჭი იყო. ყველაფერს მოახერხებდა.

— სამზარეულოში ცეცხლი სულმუდამ ჰქონდა, სულმუდამ. სხვა მზარეულები ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდენ და ჩივოდენ— ვერც შეშა გვიშოვნია სადმე და ვეღარც ნახშირიო; იმას კი ცეცხლი უეჭველათ უნდა ჰქონოდა. როცა ცეცხლი არ ექნებოდა, იტყოდა: დარდი ნუ გაქვსთ, ბიჭი არ ვიქნები, თუ ახლავე არ გავაჩინო ცეცხლიო. და მართლაც, თვალის დახამხებაში ცეცხლი დანთებული ექნებოდა.

— იცი, რა შეეკეთებინა ღუმელში, როცა მე პირველათ შევედი სამზარეულოში და დავინახე? ერთ სახლში ნაპოვნი პიანური.

— უსინდისობაა, რაც უნდა იყოს,—სთქვა ანდრე მენილმა.—მართალია, დიდი არაფერი სასარგებლო რამ ნივთია, მაგრამ მაინც...

— მეორეჯერ ბილიარდის ჯოხებით დაუნთია ცეცხლი. ერთი ძლივას წავართვი, რომ ჩემთვის ჯოხი გამეკეთებინა. დანარჩენი ყველაფერი დასწვა. მერე მიაყოლა ზალის სავარძლები, ვარდისფერ ხის მა'ალისაგან გაკეთებულები. ამეებს ღამე ხერხავდა, თორემ დღისით შეიძლება რომელსამე ოფიცერს დაენახა და დაეშალნა.

— ჰო, მიხვედრილი ბიჭი იყო,—სთქვა პეპენმა.—ჩვენ ცეცხლის დასანთებათ ძველებური ავეჯეულობა გვქონდა. მთელი ოთხი კვირა გვეყო.

— მართლაც, ჩვენ რატომ არაფერი გვაქვს? წვენი მოსახარშია და აღარც შეშა გვაქვავია და აღარც ნახშირი. საშმლის დარიგებას შემდეგ ხელში გვეჭირა ჩვენი ცარიელი ტოლჩები სათილებს წინ ამხანაგებს შორის, რომელთაც შენი დარდი არც კი აქვსთ და შეიძლება გაგლანძღონ კიდეცა. რალა უნდა ჰქნა?

— ხელობაა ასეთი. ჩვენი ბრალი არ არის.

— ოფიცრები არ გიჯავრდებოდენ, როცა სძარცვავდით?

— თვითონ ისინი ივსებდენ მუცლებს და მერე როგორ?! დემეზონ, გახსოვს, რა ჰქნა ლეიტენანტმა ვირვენმა, ერთხელ ცულით ერთ ღვინის სარდაფის კარები რომ ჩაამტვრია? ჯარისკაცს დაენახნა. ლეიტენანტს შეშინებოდა, არ გამაცხადოსო და კარები ჯარისკაცისთვის მიუცია,—წაიღე, ცეცხლისათვის მოიხმარეო.

— ან საწყალი სალადენი, სურსათის მიმწოდებელი ოფიცერი, სარდაფიდან რომ გამოვიდა, ისე ენახათ, იქით აქეთ ხელში ორ-ორი ბოთლი თეთრი ღვინო სჭერია, თითქო ძიძაა და ოთხი ბავშვი უჭირავს ორსავ ხელშიო. რაკი ნახეს ჭ სხვა გზა არა ჰქონდა, სანგარში ჩასულა და ყველასთვის დაერიგებინა ღვინო. მაგრამ კაპორალ ბერტრანს, რომელსაც თავისი პრინციპები აქვს, არ დაულევია. ჰა, ხომ გახსოვს, დოყლაპიავ!

— ის მზარეული სადღაა ახლა, ყოველთვის რომ შოულობდა ცეცხლსა?—იკითხა კადიიაკმა.

— მოჰკვდა. წამოსული ყუმბარა მის ქვაბში ჩავარდნილა. თვითონ იმას არაფერი მოხვედრია, მაგრამ ისე ელდისაგან მოჰკვდა, როცა მაკარონი ქვაბიდან ამოყრილი ჰაერში დაინახა; გული გასკდომია, ექიმმა სთქვა. გული სუსტი ჰქონია; ღონიერი მხოლოთ შეშის საპოვნელათ ყოფილა. ღირსეულათაც გააპატიოსნეს. ერთ ოთახის იატაკის ფიცრებისაგან კუბო შეუკრეს, საპირო ლურსმები იმავე სახლიდან გამოტანილ სურათების ჩარჩოებს ამოაძრეს, ხოლო დააპედეს ეს ლურსმები ბუხრიდან ამოღებულ აგურებითა. დასასაფლავებლათ რომ მიასვენებდენ, ჩემთვის წავილაპარაკე: „ბედნიერი ყოფილა, რომ მოკვდა. თავისი კუბო რომ დაენახა, დარდით მოკვდებოდა,— ჩემ ცეცხლისათვის რატომ არ მომაგონდა იატაკის ფიცრებიო“. ვირის თავი!..

ჯარისკაცს გაუჭირდება რომ კარს მოადგება, სცდილობს თავი დააძვრინოს, თუნდაც იმის ამხანაგს ამით რამე დაუშავდეს. როცა რასმე საჭმელს თავს დააძვრენ, ან საუკეთესო ნაჭერს საჭმლისას ხელში იგდებ, ან კიდევ კარგს ადგილას სადმე მოიკალათებ, ცხადია. ამით სხვებს აკლდებათ,— ფილოსოფოსობს ვოლპატი.

— მე,—ამბობს ლამუზი,—ხშირად ამისხლეტია თავიდან სანგრებში ჩასვლა. უნდა გამოვტყდე, არა-ერთხელ მომიხერხებია ესა. მაგრამ როცა ამხანაგებს თვითონ უჭირსთ, თავის დაძვრენას არა ვცდილობ. მაშინ ყველაფერი მავიწყდება. ამხანაგებთან ერთათ წინ მივდივარ, გასაჭირს სხვებთან ერთათ თვალს ვუსწორებ. მაგრამ სხვა დროს კი ჩემს თავს ძალიან ვუფრთხილდები.

ლამუზის ნათქვამი ცარიელა სიტყვება არ არის. მართლაც, დიდი თავიძვრენიაა: ნამდვილი ოსტატია ამ შემთხვევაში. მაგრამ უნდა ითქვას მისდა საქებრათ, რომ არაერთი დაჭრილი გადაურჩენია სიკვდილს და გამოუტანია ბრძოლის ველიდან, სადაც ტყვია სეტყვასებ მოდიოდა.

არც-კი ტრაბახობს, როცა ამ ამბავს მოგიყვებათ:

— ყველანი მდელოზე ვიყავით გაწოლილნი. საშინელი თოფის სროლა იყო ატეხილი... ყურთასმენა აღარ იყო. როცა დაჭრილები დავინახე, წამოვდექი, თუმცა მიყვიროდენ,—„დაწექიო!“. არ შემეძლო დაჭრილები ისე დამეგდო, არაფერი საკვეხურია ჩემი საქციელი, რათგან მე სხვაფრივ არც-კი შემეძლო მოქცეულიყავ.

ჩვენის როტის სოლდათებს თითქმის ყველას აქვს რამე მაღალი სამხედრო დაჸსახურება და სამხედრო ჯვრები მათს გულმკერდს ამშვენებს.

— მე,—ამბობს ბიკე,—ფრანგები არ დამიხსნია, მაგრამ გერმანელებს კი ვიპერდი ხოლმე.

მაისის იერიშების დროს, ერთხელ შურდულივით სადღაც გაიჭრა ბიკე, და რომ დაბრუნდა, თან ოთხი ტყვე-გერმანელი მოჰყავდა.

— მე-კი გერმანელთ საცა მივასწრებდი, დაუხოცავს არ ვუშვებდი,—ამბობს ტულაკი.

ამ ორ თთვეს წინად წართმეულ სანგარს წინ ცხრა გერმანელისთვის მზე დაუბნელებია.

— მაგრამ განსაკუთრებით მაგათს ოფიცრებს არ ვინდობდი,—დასძინა ტულაკმა.

— ოხ, საზიზღრები!

ეს სიტყვები დავსწრეთ ერთათ აღმოხდათ გულის სიღრმიდან.

— ოხ, ჩემო კარგო,—სთქვა ტირლუარმა,—ყველა იმას გვეუბნება, გერმანელები საზიზღარი, ძაღლთაპირი ხალხიაო. მეკი არა მგონია. მაგათი სოლდათებიც, ჩემის აზრით, ისეთებივე უნდა იყვნენ, როგორც ჩვენა ვართ, ამნაირივე ადამიანები უნდა იყვნენ, როგორც ჩვენ. მე მგონი, გვატყუებენ, როცა გვეჩიჩინებიან, ცუდები არიანო.

— ალბათ ჩვენისთანა ადამიანებივე არიან.—დაემოწმა ევდოკი.

— ასე კია?..—წამოიძახა კოკონმა.

— ყოველსავე შემთხვევაში, ჯარისკაცების შესახებ ნამდვილათ არ ვიცით,—განაგრძო ტირლუარმა,—მაგრამ რაიცა შეეხება გერმანელ ოფიცრებს, აჰა, ჰა, ჰა!... ადამიანები კი არა, მხეცები არიან, მხეცები, ნამდვილი აფთრები; ომის საგანგებო მიკრობები არიან. შენ ახლოდან უნდა ნახო: მაღლები, თითქო სარი ჩაუყლაპიათო, გამხდრები, ლურსმებივით, თავები თითქო ხბოსები აქვსთო.

— ან კიდევ გველების თავები აბიათო.

ტირლუარმა განაგრძო:

— ერთხელ შემაერთებელ სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ერთი მათგანი დავინახე,—ტყვედ ჩაგვვარდნოდა. ნამდვილი მძოვრი იყო რაღა, აყროლებული! პრუსიელი პოლკის უფროსი იყო, თავადის გვირგვინი ჰქონოდა, როგორც მითხრეს, და ოქროს ღერბი. სანგარში რომ მიჰყავდათ, ვილაც შემთხვევით გაეხახუნა. უნდა გეყურებინა, როგორ გაიფხორა! ყველას ქედმაღლურათ უყურებდა! ჩემს გულში ვთქვი: „დამაცა, თუ ბიჭი ვარ, ჭკუას გასწავლი-მეთქი!“ ცოტა დავუცადე, უკან ჩამოვრჩი და რაც ძალი და ღონე მქონდა, შენი მოწონებული კუკუ ამოვსცხე. ბიჭებო, რომ გაგორდა, კინაღამ დაიხრჩო.

— დაიხრჩოვო, სთქვი?

— დიახ, ბოლმისაგან, როცა გაიგო, რაც მოუვიდა. ოფიცრისა და ისიც თავადიშვილის უკანალს ფრანგის უბრალო ჯარისკაცმა ეს როგორა ჰკადრა ფეხითაო! დედაკაციით კივილი მორთო და ისე იკრუნჩხებოდა, იტყოდი, ბნედიანიაო...

— მე ბოროტი არა ვარ,—სთქვა ბლერმა.—შვილების პატრონი ვარ, და ყოველთვის ვიტანჯებოდი, როცა ჩვენის ხელით გაზრდილი ღორი უნდა დამეკლა. მაგრამ ამათ კი არ დავინდობდი, ერთს ცოცხალს არ გავუშვებდი...

— მეცა!

— შენ მაგათი ვერცხლის კასკები და რევოლვერები სთქვი! ამეებისთვის ყველა სიხარულით მოგცემს ას ფრანკს.

მაგათს პრიზმატიულ ბინოკლებს ხომ ფასი არც კი აქვსთ! და ომის დასაწყისში რამდენი შემთხვევა მქონდა, ესენი ხელში ჩამეგდო და არ კი ვისარგებლე. ახია კი ჩემზედა! მაგრამ თუ ბიჭი ვარ, ვერცხლის კასკა რომ არ ვიშოვნო, ასე არ მოვკვდები. ვილჰელმის ოფიცრის ტყავს კი არა, მის ტანისამოსსაც ვიშოვი. ომის გათავებამდე ვიზამ ამას, ვაი არა აქვს ჩემს თავს!

— განა იმედი გაქვს, რომ როდისმე გათავდება?—კითხა ვილამაც.

— ჰაი, ჰაი, რომ გათავდება!

*
*

ა! დროს ჩვენს მარჯვნივ საშინელი აურზაური ატყდა და უცბათ ჩვენს წინ გამოჩნდა ჯგუფი მოყაყანე ხალხისა, ზოგს სამხედრო ტანისამოსი ეცვა, ზოგს კიდენ სამოქალაქო.

— რა ამბავია? რა მოხდა?

ბიკე წავიდა ამბის გასაგებათ; დაბრუნდა, თითით თავის მხარს იქით გვანიშნა და გვითხრა:

— ბიჭებო, წავიდეთ, ვნახოთ! ბატონები მოსულან.

— ბატონები მოსულანო?

— ჰო, ბატონები, მაშ! სამოქალაქონი არიან და თან გენერალურ შტაბის ოფიცრები მოჰყვებიან.

— სამოქალაქონი! აბა ბიჭები არიან და აქაურობას გაუძლონ!

სიტყვა „გაძლება“ საწყევარი სიტყვაა ამათებურათ. ყველას გაეცინა ამის გაგონებაზე, თუმცა არაერთხელ გაუგონიათ. საბუთიანათ იქნება, თუ უსაბუთოთ სოლდათი იმ სიტყვის პირვანდელ მნიშვნელობას თავისებურათა ჰხსნის ხოლმე, რათგან ამ სიტყვაში, მისის აზრით, მწარე დაცინვაა მისის განსაცთელითა და გაპირვებით სავსე ცხოვრებისა.

ჯგუფიდან ორი კაცი მოგვიახლოვდა; ორსავე გვაბანაკები ეცვათ და ხელში წკეპლები ეპირათ; მესამეც მიემატა,

ამას მონადირულათ ეცვა, მაუდის ჭუდი ეხურა და ხელში დურბინდი ეჭირა.

ამათ მისდევენ ოფიცრები ღია-ლურჯ მუნდირებიანი, ყავისფერ და შავ გალაქულ წაღებიანი, და განპარტებას აძლევენ.

კაპიტანმა გაიშვირა მკლავი, რომელსაც აბრეშუმის სამაჯური აქვს დაკერებული, ოქროს სირმა შემოვლებული და ზედაც სირმები ელვის მსგავსად ამოკერილი, და უჩვენა სკამი, ძველ სასროლთან; მისულებს უთხრა: აი ამაზე აბრძანდით და გაიხედეთო. საგზაო ტანისამოსიანი ბატონი ქოლგაზე ებჯინებოდა ისე, სკამზე ავიდა.

ბარკი ამბობს:

— გინახავს როდისმე, პარიზის ჩრდილოეთის სადგურზე, სადგურის უფროსი, საკვირაო ტანისამოსით გამოწყობილი, რომელსამე სანადიროთ მიმავალ მდიდარ მონადირეს, ნადირობის გახსნის დღეს, პირველ კლასის ვაგონის კუპეს რომ უჩვენებდა და ეუბნებოდა. „შებრძანდით, ბატონო“? ხომ იცი, მაღალ საზოგადოების ტიპები როცა ახალ ტანისამოსით მოირთვებიან, გალაქულ წაღებს ჩაიცვამენ და სხვა და სხვა რკინეულობას აისხამენ, ასე გეგონება, პატარა მხეცებზე სანადიროთ ემზადებიანო. სახე აქვსთ ისეთი!

სამი-თუ ოთხი სოლდათი, ვინც ჩაუცმელი იყო, მიწაში ჩაძვრნენ. სხვები არ ინძრევიან, თითქო დამბლა დაეცათო, ჩიბუხებიც კი ჩაუქრიათ. ისმის მხოლოთ ლაპარაკი ოფიცრებსა და სტუმრებს შორის.

— სანგრების ტურისტები არიან,—წაილაპარაკა დაბალის ხმით ბარკმა.

მერე ხმამაღლა დაიძახა: „აქეთ მობრძანდით, ქალბატონებო და ბატონებო!“

— გაჩუმდი, შე ოხერო!—წასჩურჩულა ფარფადემ. შეეშინდა, ვაი თუ თავისის ვირულის ყროყინით ყურადღება მიიპყროს გავლენიან პირებისაო.

ჯგუფიდან ზოგმა ჩვენკენ მოიხედა. ერთი ჩვენკენ წამოვიდა, მაუდის ქუდიანი და ჰაერში აფრიალებულ გალსტუხიანი. თეთრი პატარა წვერი აქვს და არტისტსა ჰგავს. პირველს მეორე გამოჰყვა. ამას შავი გვაბანაკი ეცვა, თავთ შავი ნესვა*) ეხურა, შავწვერა, თეთრგალსტუხიანი და ლორნეტიანი.

— აი, აი!—წამოიძახა პირველმა,—აი პუალუები**)!... ნამდვილი პუალეები ესენი არიან.

მოგვიახლოვდა, ცოტა არ იყოს, მორიდებით, თითქო საკლიმატიზაციო ბაღში არისო, და ხელი გაუწოდა მასთან ყველაზე ახლო მდგარ სოლდათს, უხერხულათ, სწორეთ ისე, როგორც ბაღში სპილოს პურს აწვდიან ხოლმე.

— ხო, ხო, ხო!. უკვასაც რომ სვამენ!—შენიშნა სტუმარმა.

— ამას ჩვენში წვენს ეძახიან,—გაუსწორა სოლდათმა-ჯაფარამ.

— ხომ ვემრიელია, მეგობრებო?

სოლდათსაც შერცხვა ამ უცნაურ ხალხისა, რაღასაც ბურტყუნებს, იცინის და წითლდება. სტუმარი ისევ ხითხითებს.

მერე ოდნავ თავს აქნევს და უკან-უკან იხევს.

— ბარაქალა, ბარაქალა, მეგობრებო! აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას!

ჯგუფი, შემდგარი სამოქალაქო ტანისამოსის ნეიტრალურ ფერებისაგან, რომელთა შორის გამოსჭვიოდა სამხედროთა უფრო თვალისმომჭრელი წითელი ფერები, როგორც გერანიუმისა და გორტენზიის ყვავილები მიწის მუქ ფონზე, მოტრიალდა და გაემართა იქითკენ, საიდანაც მოვიდა. მოგვესმა, ერთი ოფიცერი რო ეუბნებოდა წამსვლელთ: „კიდევ ბევრი რამა გვაქვს სანახავი, ბატონო ჟურნალისტებო!“

*) ნესვის ფორმის ქუდი.

**) პუალუ ბანჯგვლიანსა ნიშნავს. ამ სახელს ხანში-შესულ და წვერმოშვებულ ჯარისკაცებს ეძახდენ ფრანგები ამ უკანასკნელ ომის დროს.

ბრწყინვალე კრებული რო მოგვშორდა, ჩვენ ერთმანეთს ყურება დავუწყეთ. ვინც სოროში ჩაძვრა, ზევით ნელ-ნელა ამოდის. სოლდათები ცოტ-ცოტათი გონს მოვიდენ და მბრეზის აწევა დაიწყეს.

— ჟურნალისტები იყვნენ,—სთქვა ტირეტმა.

— რაო, ჟურნალისტებიო?—ეკითხებიან სხვები.

— მაშა! ეს ის ჩიტუნებია, გაზეთებს რომ სჩეკავენ ხოლმე. თითქო არ გესმისო, ოჩოპინტრე, გაზეთები თავისთავად ხომ არა ცხვება, კაცები უნდა თუ არა, რომ დასწერონ?!

— მაშ ესენია, თავებს რომ გვიტენავენ ათას სულელურ რამეთი?—იძახის მარტერო.

ბარკი წვრილის და დამცინავის ხმითა ჰკითხულობს, თითქო გაზეთი ხელში უპირავსო:

— „კრონ-პრინცი გაგიჟდა მას შემდეგ, რაც ომის დასაწყისშივე მოჰკლეს, ჯერ-ჯერობით კი რა ავადმყოფობა გინდა, იმას არა სჭირდეს .. ვილჰელმი ამაღამ უნდა მოკვდეს, ხვალ ხელახლა უნდა მოკვდეს. გერმანელებს ტყვია-წამალი შემოელიათ, ხესა სჭამენ, სხვა საჭმელი რომ არა აქვსთ; საქმის მცოდნე ხალხი გვარწმუნებს, რომ გერმანელებმა, სულ ბევრი, ამ კვირის გასვლამდე გაუძლონ ომს. როცა გვინდა, მაშინ დავამარცხებთ, თოფებს მბრებიდან არც-კი ჩამოვიხსნით ისე. თუ რამდენსამე დღეს კიდევ ვიცდით, ვიცდით იმიტომ: რომ არა გვსურს სანგრებში ცხოვრებას თავი დავანებოთ, შიგ მშვენივრათა ვართ. რა გინდა სულო და გულო, შიგ გული არა გვქონდეს: გამოყვანილი წყალი, გაზი, დუშები ყოველ სართულზე. მარტო ის გვაწუხებს, რომ ზამთრობით ძალიან ცხელა... რაიცა შეეხება ავსტრიელებს, მაგათი წირვა დიდი ხანია გამოსულია... მხოლოთ ხალხს ატყუებენ, ვითომ იბრძვიან... აი ხუთმეტი თთვეა ასე გრძელდება და რედაქტორი თავისს თანაშრომელთ ეუბნება: „ჩემო ძმა-ბიჭებო, ყოველივე ეს ხუთ წუთში დამიწერეთ და თან ისე, რომ მოუნდეს გაზეთის ოთხი გვერდი, რომელიც რითიმე უნდა გივთხუბნოთ“.

— ოღონდაც!—იძახის ფუიადი.

— დასცინი, კაპორალო? განა ყოველივე ეს მართალი არ არის?

— ცოტა რამ მართალიცაა, მაგრამ ცოტას თქვენც აჭარბებთ ხოლმე, ბიჭებო! და პირველი თქვენ დაიწყებდით წუწუნს, გაზეთები რომ არ მიეცათ თქვენთვის... დიახ, როცა გაზეთების გამყიდველი გამოიელის, ყველანი რათ იძახით ხოლმე: „მე მომეცი, მე მომეციო“!

— შენ რა გაწუხებს!—იძახის ძია ბლერი.—გაზეთების მასხარად აგდებას ის არ გირჩევნია, ჩემებ მოიქცე: ნუ ფიქრობ, ვითომ არც კია სადმე გაზეთი!

— მართალია, მართალი. აბა მეორე გვერდი გადააბრუნე, ვირის თავფეხო!

საერთო ბაასის მაგიერ, კერძო ბაასი გააბეს, სხვადასხვა საგანზე გადავიდნენ. ოთხმა კაცმა რამისის თამაშობა გააჩაღა და მანამდე ითამაშებენ, სანამ ქალალდის გარჩევა შეეძლებათ. ვოლპატი ცდილობს დაიჭიროს როგორმე პაპიროსის ქალალდი, რომელიც ხელიდან გაუსხლტა და რომელსაც ჭარი ათამაშებს ფარვანასებ.

კოკონმა და ტირეტმა ყაზარმის ცხოვრება მოიგონეს. სამეცდრო სამსახურმა ბევრი დაუვიწყარი მოგონება დაუტოვა ორსავე; და უშრეტელი წყაროა მოგონებათა ეს ცხოვრება. ჩვეულებად აქვსთ ხოლმე ჯარისკაცებს, ათ, თუთხმეტ და ოც წელს შემდეგაც ლაპარაკის ტემა ამ წარსულ ცხოვრებიდან ისესხონ... ისე ძლიერია ეს ცხოვრება, რომ არა ბეზრდებათ მოიგონონ მას შემდეგაც კი, როცა წელიწად-ნახევრის განმავლობაში იწვნიეს ომი ყოველგვარის სახით.

საკმარისია ლაპარაკის ერთ ნაწილს მოვკრა ყური, დანარჩენის მოსმენა არა მჭირია,—ისე მივხვდები, ვიცი, რაც უნდა სთქვან. საერთოთ კი იმეორებენ ხოლმე ერთსა და იმავე ანეკდოტებს, რომელსაც ნასოლდათარები თავის წარსულ სამსახურიდან მოიგონებენ ხოლმე.

—... მაშ, შენა გგონია დავიბენი, როცა ნენოიმ ეს მითხრა? არ მოგიკვდეს ჩემი თავი, ძიაჯან. ბიჭებს ყველას ეშინოდათ მაგისი და ხმას ვერ იღებდნენ. მაგრამ მე პირდაპირ ვუთხარი, ხმამაღლა: „ადიუტანტო, შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ“... ამას რაღაცა ფრაზა მისდევდა, მაგრამ მე ვერ გავიგონე.... მერე კიდევ მოვკარი ყური შემდეგს ფრაზას:—ჰო, და, პირდაპირ წამოვაყრანტალე და იმან კი არაფერი სთქვა: „კარვი, კარგიო“, მითხრა, გატრიალდა და წავიდა. და ამას შემდეგ ჩემთან სულ მუდამ თაფლზე უტბილესი იყო.

— ასევე მომივიდა დოდორთან, როცა შეებულება მქონდა. აი ის სალახანა ისა! ახლა პანთეონში დარაჯად არის. ყოფა კი ვუტრე, აი!

და ყოველი მათგანი ცდილობს ამოალაგოს ხოლმე თავისი პირადი ბაგაჟი ისტორიულ სიტყვებისა.

და ყოველი მათგანი სხვებსა ჰგავს: ერთიც არ არის ისეთი, რომ არ ამბობდეს: „მე სხვებს არა ვგევარო“.

* * *

— ვახმისტრი!

მაღალი და ჩამკვრივებულია, მსხვილ კანჭებიანი, კარგათ და მოკოხტავედ ჩაცმული, თითქო ჟანდარმიაო.

ცუდ გუნებაზეა. ახალი ბრძანებაა მოსული და ისიც იძულებულია ყოველდღე იაროს პოლკის შტაბში წერილების წასაღებათ. ბარემ არ მოსწონს ეს განკარგულება, თითქო განსაკუთრებით მის საწინააღმდეგოთ იყოს მიმართულიო.

თანაც ბუზღუნებს და თანაც გზა-გზა, ჩვეულებისამებრ, ხან ერთს გამოელაპარაკება, ხან მეორეს, მერე კაპორალებს გამოუძახებს წერილების დასარიგებლათ. მართალია, ამრეზილია, მაგრამ მაინც რაც რამ ცნობები აქვს, ჩვენც გაგვიზიარებს ხოლმე. ამავე დროს წერილების კონას კანაფს შემოხსნის და რაც იცის, ყველაფერს გვეუბნება.

ყოველთ უწინარეს გვეუბნება, რომ პოლკის მიმართ

ბრძანებაში სწერია, ფარაჯებს ზემოდან კაპიუშონები არავინ უნდა ატაროთო.

— გესმის?—ეკითხება ტირეტი ტირლუარს.—შენი მშვენიერი კაპიუშონი ამას იქით უნდა გადააგდო.

— მამა უცხონდა, გადამიგდია, ეგ არის! ეს ბრძანება მე არ შემეხება,—უპასუხებს ტირლუარი, რომელსაც უნდა კაპიუშონი ატაროს არა მარტო სითბოსათვის, არამედ იმიტომაც, რომ მისი თავმოყვარეობა არ შეილახოს.

— არმიის უფროსის ბრძანებით.

— უფროსმა ბარემ ისიცა ბრძანოს, წვიმა აღარ მოვიდეს-თქო. მე ასეთს ბრძანებას ყურს არ ვუგდებ.

ბრძანებათა უმეტესობას, ამაზე ნაკლებ არაჩვეულებრივსაც, სოლდათები ასე უპირებიან ხოლმე... მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ასრულებენ.

— ბრძანებაშივეა ნათქვამი, —ამბობს კაცი-წერილი,— წვერი უნდა გაიპარსოთო და თავზე თმა გაიკრიჭოთ მაშინითაო.

— ჩუმათ იყავ, გირჩევნია, ჩემო ძამიავ,—იძახის ბარკი, რათგან ეს ბრძანება პირდაპირ მისს კულულებს უმზადებს საფრთხეს,—აგრე რას მიყურებ? გირჩევნია ხმა ჩაიწყვიტო!

— შვილოსან, მე რაღას მეუბნები, რომ არ ვიცი! შენი საქმეა, გინდა აასრულე, გინდა ნუ. მე თუ მკითხავ, ფეხებზე მკიდია.

ნამდვილ, დაწერილ ამბებთან ერთათ სხვა ამბებიცაა, უფრო დიდი, მაგრამ უფროვე საეჭვო და ფანტასტიური: დივიზია მოხსნილი იქნება და გაუშვებენ ან დასასვენებლათ—ნამდვილი დასვენება იქნება, მთელის ექვსის კვირის განმავლობაში—ან მაროკოში და შეიძლება ეგვიპტეშიაცაო.

— ოხ... ახ!.. ახ!..

სოლდათები ყურს უგდებენ. თავს იტყუილებენ, ასეთი ცვლილება უეჭველათ იქნებაო.

ზოგიერთს გული ვერ უთმენს და ვაგმისტრს ეკითხება:

— შენ ვინ გითხრა?

იმანაც დაუსახელა წყარო, საიდანაც გაიგო ეს ამბავი:

— ვინა და მოლაშქრეთა რაზმის კომანდირის ადიუტანტმა.

— სად?

— კორპუსის მთავარ შტაბში შემხვდა და იქ მითხრა. მარტო იმან კი არა, სხვამაც მითხრა, მხოლოთ დამავიწყდა, რა გვარისაა: რაღაც გალლის მსგავსი გვარი აქვს და არცა აქვს ასეთი გვარი. მის გვარში ვიღაცა და რაღაცა არის, მე რომ არ ვიცი ისეთი. მაგრამ ამბავი კი ნამდვილიაო, მითხრა.

— მერე?

ყველანი გარს ეხვევიან და ხარბათ უსმენენ ჰორებს.

— მაშ, როგორც შენ ამბობ, ეგვიპტეში გაგვისტუმრებენ?.. არ ვიცი, რა ქვეყანაა. ის კი ვიცი, რომ ამ ქვეყანაში ფარაონები ჰყავდათო იმ დროს, როცა მე პატარა ვიყავ და სკოლაში დავდიოდი. მაგრამ მას შემდეგ!..

— ეგვიპტეში...

ეს აზრი შეუმჩნევლათ ლურსმანივით ერჭობა ტვინში.

— ვერა,—სთქვა ბლერმა,—ეგვიპტეში ვერ წავალ, ამიტომ რომ ზღვა მწყენს... თუმცა ისიც კია, ზღვის წყენა მალე გაივლის... მაგრამ ჩემი ცოლი რაღას იტყვის?

— მეტი რა გზაა? ასე იქნება, თუ ისე უნდა შევურიგდეთ ჩვენს მდგომარეობას. ვნახავთ ზანგებსა, ვნახავთ ქუჩებში უშველებელ ფრინველებს ისე, როგორც ჩვენში ბეღურებსა ვხედავთ ხოლმე.

— აკი ალზასში უნდა წავეყვანეთ?

— მართალია,— უპასუხებს ვაგმისტრი,—ხაზინაში რომ ვიყავი, ზოგი ასე ლაპარაკობდა.

— იქ წასვლაზე-კი უარს არ ვიტყოდი...

მაგრამ გონიერებამ და გამოცდილებამ ოცნებასა სძლია და თავისი გაიტანა. ვინ იცის, რამდენჯერ უთქვამსთ — შორს

სადმე უნდა წავიდეთო, ვინ იცის, რამდენჯერ დაუჯერებიათ ეს ხმა, მაგრამ იმედი სულმუდამ გასცრუებიათ! ყოველ ასეთ ლაპარაკს შემდეგ, ყველანი თითქო ძილისაგან გამოერკვევიანო.

— ყოველივე, რასაც ამბობენ, ზღაპარი და ჩმახია. ასე ბევრჯელ მოვუტყუებივართ. მოსმენით — მოუსმინე, ვინც ასეთებს გეუბნება, მაგრამ დაჯერებით-კი კარებამდე არ უნდა დაუჯერო.

ყველამ თავთავის კუთხეს მიაშურა. ზოგიერთს ხელში მსუბუქი, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ტვირთი უჭირავს— წერილები.

— ეჰ! იძახის ტირლუარი,—უნდა წერილი დავწერო, არ შემიძლია მთელს კვირას ისე გავსძლო, რომ წერილი არ დავწერო. რას იზამ!

— მეცა,—ამბობს ევდოკი,—ჩემს ცოლს უნდა მივსწერო.

— ხომ კარგათ არის შენი მარიეტა?

— კარგათაა. ყოჩაღი ქალი მყავს ჩემი მარიეტა.

ზოგი უკვე მოეწყო წერილის საწერად. ბარკი დგომელა აპირებს წერილის წერას. უბის წიგნაკზე ქაღალდი დაუფარებია, თვით წიგნაკი-კი კედლის გამოწეულ ადგილზე მიუდევია და, ეტყობა, იგონებს რაღასაც, თუ რა უნდა დაწეროს. სწერს და სწერს, მოხრილი, დაფიქრებული, ერთის აზრით შეპყრობილი, თითქო ცხენოსანი ცხენს მიაჭენებსო და ამ ჭენების მეტი არაფერი ახსოვსო.

ლამუზი ფანტაზიას მოკლებულია. დაჯდა, თავის მსუქან მუხლებზე ქაღალდი დაიდო, ნერწყვით დაასველა ქიმიური ფანქარი და უნდა სწეროს, მაგრამ თავში არაფერი მოსდის. ისევ დაუბრუნდა უკანასკნელათ მიღებულ წერილების კითხვას. არ იცის, რაც უკვე მიუწერია, იმაზე მეტი რა უნდა მისწეროს. მაგრამ მაინც თავს ძალას ატანს, იქნება რამე გამოვიგონოთო.

სახეზე რაღაც ნაზი გრძნობა ეხატება პატარა ევდოკს, რომელიც მიწის სახატეს მსგავს ალაგას მოკუნტულა. ხელში ფანქარი უჭირავს, ქაღალდს ჩასცქერია და ფიქრობს; დაფიქრებული, ოდესაც უყურებს, აკვირდება, რაღასაც ხედავს და ეტყობა, ფიქრით გადაფრინდა სადღაც შორს, სადაც თავს დასცქერია სულ სხვა ცა. მისი თვალები იქითკენ მიიწევს... ეტყობა, ფიქრით უკვე თავის სახლშია. .

წერილის წერის წუთი ის წუთია, როცა ყოველი ჩვენგანი ხელახლა იმადვე ვიქცევით, რადაც თავისუფლების დროს ვიყავით. ზოგიერთი წარსულის ცხოვრებას იგონებს და ჯერ საშვლითგან იწყებს მოგონებას.

ტლანქ და გაშავებულ სახეს ქვეშ, ზოგის გული გასაგონათ ჩურჩულებს ამა თუ იმ მოგონებას და წარმოიდგენს თავისს წარსულს: ზაფხულის დილაა, ქორფა მცენარეულობა ბალისა მსუბუქ ჩრდილს აფარებს სოფლურ სახლის თეთრ კედლებს, ან კიდევ ყანაში ქარისაგან პურს ღელვის ტალღები გადაურბენს ნელა და ძლიერათ, პოლო ოთხკუთხ ადგილებზე დათესილს ქერს ცოცხალისა და ქალურის ჟრჟოლით აჟრჟოლებს... ან კიდევ, ზამთრის საღამოა, მაგიდას შემოსხდომიან ქალები, მშვიდი, მოსიყვარულე ქალები. მაგიდაზე კიდენ მოალერსე ლამპა სდგას ლამაზ აბაჟურიანი და ნაზ სინათლესა ჰფენს იქაურობას.

ამასობაში ძია ბლერმა ხელში აიღო დაწყებული ბეჭედი. ჯერ კიდევ უსახო რგოლი ალუმინიისა მრგვალ ჯოხის წვერზე წამოაგო და ქლიბით ხეხვა დაუწყო. გულიანათ აკეთებს ამ სამუშაოს, თანაც მთელის თვისის ძალ-ღონითა ჰფიქრობს და შუბლზე ოხრი ნაოჭი წამოასხდა, ხანდისხან შედგება, წელში გასწორდება და ატრიალებს ამ პატარა ნივთს, ნაზათ, თითქო ეს ნივთიც შესცქერის თავისს მკეთებელსაო.

— იცი,—ერთხელ მითხრა ბლერმა მეორე ბეჭდის შესახებ,—საქმე ის კი არ არის, კარგათ გავაკეთებ, თუ ცუდათ. თავი და თავი ისაა, რომ ეს ბეჭედი ჩემის ცოლისათვის მე

თვითონ გავაკეთე, ჩემის ხელით, გესმის? როდესაც სიზარმაცე და ნაღველი მომიველიდა და ამ სურათს დავუბრუნდი (ჯიბიდან ჩამრჩვალებულ და ღაჟღაჟა ლოყებიან ქალის სურათს ამოიღებდა და მიჩვენებდა), გახალისიანებული შევუდგებოდი ამ ბეჭდის კეთებას. მაშინ მუშაობაც მიადვილდებოდა. ასე მეგონა, მე და ჩემი ცოლი ერთათ ვაკეთებთ ამ ბეჭედსა-მეთქი, ხომ გესმის? ამ ბეჭედს ჩემს ამხანაგად ვთვლიდი და როცა ჩემს დედაკაცს ვუგზავნიდი, ეუთხარი—შვილობით-მეთქი.

ახლა ბლერი მეორე ბეჭედს აკეთებს, სპილენძგარეულს. დიდის გულმოდგინებით მუშაობს—ამ სამუშაოს ჯნდა მთელი თავისი სული და გული შიგ ჩააქსოვოს, და ცდილობს თავისებური კალიგრაფობა გამოიჩინოს.

ამ სოროების მცხოვრებნი პოწიწებით დასტრიალებენ ამ მსუბუქ, უბრალო საქაღალდეებს, პატარეებს. იმდენათ პატარეებს, რომ მათი ტლანქი და დაჯირჯვებული ხელი ძლივას იჭერს და ხელიდან ვარდებათ ხოლმე. ამ მუშაობის დროს ამ ხალხს უფრო მხეცური, უფრო პირველყოფილი სახე აქვს და ამასთან. უფრო ადამიანური სახეცაა, ვიდრე ყველა სხვა გარემოების დროს აქვს.

გაგონდება კაცს პირველი გამომგონი, მამათმთავარი ხელოვანთა, რომელიცა ცდილობდა თავის გაკეთებულ ნივთისათვის მიეცა იმისი ფორმა, რაც ენახა და შიგ ჩაექსოვა ისა, რასაცა გრძნობდა.

*
* *

— ახლავე აქ უნდა გამოიარონ,—იძახის ბიკე, რომელიც მორიგედ არის სანგრების იმ სექტორისა, სადაც ჩვენა ვართ.—მთელი ხროვაა.

სწორეთ ამ დროს ადიუტანტიც გამოჩნდა. წელზე ქამარი ჰქონდა მოჭერილი, ნიკაპზედაც ამოდებული ჰქონდა თასმა ქუდის დასაჭერათ. ხმლის ქარქაშს იქნევს, თანაცა ჰყვირის:

— დაილუპენით აქედან! დაილუპენით-მეთქი, არ გეს-მისთ! აქ უსაქმურათ დაყრილხართ... აბა, ჩქარა, მოეცალე-ნით! გასავალზე ნუ ჰყრიხართ!..

ყველამ ზლაზვნით გზა უტია; ზოგიც ნელ-ნელა უფრო ღრმად შევიდა ხვრელში.

მოლაშქრეთა როტაა, რომ მოდის. იმათ უნდა სთხარონ სანგრების მეორე ხაზში და ზურგს უკანიდან შემაერთებელ ხვრელებში რაც რამ სათხრელი და სამუშაოა. ყველას ბარი და წერაქვი უპირავს ხელში, ცუდათ ჩაცმულები არიან, მიხვრა-მოხვრაც არ უვარგათ.

ყველას მუშტრის თვალით ვათვალიერებთ. პატარა, დაჯანდაკებული მოხუკები არიან. ლოყებზე თითქო ნაცარი გადაუყრიათო, ზოგიც მსხვილები არიან, აცვიათ, შიგ ვერც კი ეტევიან, ისეთი ძველი, ლაქებიანი ფარაჯები, რომელთაც ღილები არ აკერიათ და იშვიათია ადგილი, რომ დახეული არ იყოს.

ტირეტი და ბარკი, ჩვენი ხუმარები, სანგრის კედელს მისწოლიან და ამათ ჩუმათ უყურებენ. მერე სიცილს იწყებენ.

— ქუჩის დამშეულთა რაზმია,—იძახის ტირეტი.

— ერთს სამს წუთს მაინც ვიცინებთ,—ამბობს ბარკი.

ამ მოხუცთაგანი ზოგი მეტად სასაცილოა. რიგის ბოლოში მდგარს ბრები დაჭანებულები აქვს, ბოთლის მსგავსად; გულმკერდი საშინლათ ჩავარდნია, თვალები წვრილები აქვს, და მაინც ღიპიანია.

ბარკი თავს ვერ იჭერს.

— ეი, ყური მიგდე, ღიპიანო.

— რა საუცხოვო გვაბანაკია,—იძახის ტირეტი ერთზე, რომელსაც ნაკერებით აჭრელებული ფარაჯა აცვია.

უძახის ვეტერანს.

— ეი, შენ ნიმუშებიანო... არ გესმის, ერთი მოიხედე, ეი!

აჭრელებულ ფარაჯიანი მოტრიალდა და შეხედა, პირდაღებულმა.

— ძია-ჯან, ერთი მითხარ, გეთაყვა, რომელ ლონდონელ თერძს შეაკერვინე შენი გვაბანაკი?

დამჭკნარ, ნაოჭებით დალარულ სახეზე ღიმი შეუთამაშდა მოხუცს. ბარკის შეკითხვაზე ერთხანს შეჩერდა, მაგრამ ამ დროს უკან მომავალ ხალხის ტალღა მოაწვა და წინ წაითრია.

ამას რამდენიმე ნაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურა მოჰყვა, შემდეგ მათის ხუმრობის ღირსი კაციც გამოჩნდა. მის გაწითლებულ და დაჯირჯვებულ კისერზე ცხვრის ჰუჰყიან მატყლის მსგავსი ბალანია ამოსული. მუხლებ მოკაკული, ტანი წინწახრილი, წელში მოკუზული მოლაშქრე ზეზე კარგათ ვერ იმართება.

— შეხედე,—ჰყვირის ტირეტი და თითით უჩვენებს,— ნამდვილს ორღანს არა ჰგავს ე ოჯახქორი?.! სადმე ბაზრობაზე რომ იყოს, მის ყურებისათვის ფულსაც გაღებდი, აქ კი შეგიძლია მუქთათ უყურო!

გამასხარავებული მოლაშქრე იგინება; იქით-აქეთ კი იცინიან.

ეს საკმარისია, რომ წააქეზოს ორი ხუმარა, ესენიც ცდილობენ გააცინონ თავისი ამხანაგები. ამხანაგებს-კი ცოტა ჰყოფნის გასაცინებლათ, ცდილობენ მასხარად აიგდონ თანიანთი თანამებრძოლნი, რომელნიც დღე და ღამე მუშაობენ ამ დიდ ომის სანაპიროებზე, ამზადებენ ახალს მოედანს ბრძოლისას და თუ საჭმე ძველია შესაკეთებელი, იქაც არ იშურებენ თავისს ძალღონეს.

არამცთუ ესენი, სხვა მაყურებლებიც კი იცინიან. ყველაზე საცოდავნი და უბედურნი თავიანთზე უარესად უბედურებსა და საწყლებს დასცინიან!

— აბა ერთი ამას უყურეთ. ან იმას რას უგავს ცხვირპირი!

— არა, შენ ამ დაბალტრაკას ფართრეთს შეხედე და! ეი, შენ, ოტროველა!

— შენ ესა სთქვი, და! ეი, ვირის თავფეხო! იცი, შენი ფასი ერთი ფინჯანი ყავაა!..

ის, ვიზედაც იცინიან, პატარა ნაბიჯებს ადგამს, წერაქვი ისე მიაქვს, თითქო ხელში თაფლის სამთელი ჯუჭირავსო; პირი მოკუმული აქვს და მთელი სხეული ქარებისაგან მოკრუნჩხვია.

— ეი, პაპაჩემო, გროშები არ გინდა?—ეკითხება ბარკი და მხრებზე ხელს არტყავს, როცა იმან გვერდით გაუარა.

განაწყენებული მოლაშქრე ჯავრობს: „ეი, შე ოხერო და მუდრეგო!"

ბარკი ამაზე წვრილის ხმით უძახის:

— შენ ეი, ცოტა ზრდილობა არ გეკადრება, შე ლოკოკინავ, შენა!

მოხუცი ერთბაშათ მოტრიალდა და რაღაცა გაჯავრებით წაიბურტყუნა.

— ერთი ამას უყურეთ, და! — ყვირის ბარკი სიცილით,— გული რომ მოსდის ამ საიქიოდან მოსულსა! რა დიდ გულზედ არის! ჩხუბსაც კი აგვიტეხავდა, ერთი სამოცის წლით მაინც ნაკლებისა რომ იყვეს!

— და გადაკრულშია კ რომ არ იყვეს,—დასძინა პეპენმა, რომელიც თვალებით ახალ მსხვერპლს ეძებს გაჭვლეტთა შორის.

გამოჩნდა გულჩავარდნილი მოლაშქრე, ყველაზე ბოლოს რო მოჩანჩალებდა და მისი დაღრანჯული ზურგიც თვალითგან მიეფარა ყველასა.

გაიარეს ამ გაცვეთილ ვეტერანებმაც, სანგრებში მიწის თხრით გაპუპყიანებულებმა, გაიარეს ამ დამცინავ და ნახევრად მტრულათ განწყობილ სახეებს შორის. ეს სახეები-კი იმ ტროგლოტიდებისა იყო, ნახევრათ რო გამოეყოთ თაღი თავიანთის ტალახიან ხვრელებიდან.

ამასობაში დღეც მიიწურა; საღამო ცას ნაცრისფრათ გადაეკრა და გარშემო საგნები სიბნელით მოიცვა. იგივე საღამო

ჰფარავს აქ მყოფთა ბრმა ბედს, ჰფარავს აქ დამარხულ ხალხის ბნელსა და უვიცო გონებას.

ბინდ-ბუნდში გაისმა ფეხის ხმა; შეუდგათ ჩოჩქოლი; მერე გზა გაიკვალა სხვა ახალმა რაზმმაც.

— აფრიკელებია!

ყავისფერი, ყვითელი ან კიდევ წაბლისფერი სახე აქვსთ, ზოგი თხელ-წვერაა, ზოგს კიდენ სქელი და გრუზა წვერი აქვს, მწვანე-მოყვითანო ფარაჯები აცვიათ, პუშყიან კასკებს ნახევარმთვარე უმშვენებსთ, ჩვენის ნიშნის გრენატის მაგიერ. მათს გაბრტყელებულ, ან კუთხოვან და წოწოლა სახეებზე, როშელნიც ახლათ მოჰრილ სპილენძის ფულივითა ლაპლაპებენ, თითქო სპილოს ძვლისა ან ონიქსისგან გაკეთებული თვალები უსხედსთო. ქამითი-ქამამდე მწკრივში გამოჩნდება მალალი, ნახშირივით შავსახიანი სენეგალელი მსროლელი. რაზმს უკან წითელი დროშა მიაქვსთ და ზედაც მწვანე ხელია გამოხატული.

ამათ კი მხოლოთ უცქერიან ჩვენები და ჩუმათ არიან. ვერასფერს ეკითხებიან, ვერასფერს უბედავენ, თითქო, ცოტა არ იყოს, ეშინიათ კიდეცაო.

აფრიკელები თითქო მხიარულები და უფრო ცოცხლები არიანო. რა თქმა უნდა, პირველ რიგის სანგრებში მიდიან. ეს მათი ჩვეულებრივი ადგილია და როცა ისინი გამოიელიან, ეს იმის ნიშანია, რომ იერიში სულ მალე დაიწყება. აფრიკელები იერიშისათვის არიან გაჩენილნი.

— ამათა და სამოცდახუთმეტ მილიმეტრიან ზარბაზანს სწორედ რომ სამთელი უნდა დაუნთოს კაცმა! მაროკოს დივიზია გაჰირვების დროს სულმუდამ წინ გაუგზავნიათ!

— ჩვენა და ისინი როგორღაც ერთათ ვერ მოვალთ. ძალიან ჩქარა დადიან და შეუძლებელია მათი გაჩერება...

ამ თუთიის ფერისა, შავ და ყავისფერ ქაჯთა შორის ზოგი დაფიქრებულია; შიშის მომგვრელი სახე აქვსთ და მათი სიჩუმე და დუმილი დაგებულ ხაფანგსა ჰგავს. ზოგნიც იცინიან;

მათს სიცილს ისეთივე რაკრაკა ხმა აქვს, როგორც მათის ეკზოტიურის მუსიკის უცნაურს ხმას, და ამ სიცილის დროს თეთრ კბილებს გამოაჩენენ ხოლმე.

ამხანაგები ერთმანეთს უამბობენ ამ მეომრების სიყოჩაღეს: ატაკის დროს მძაფრათ ეკვეთებიან მტერს, საშინლათ უყვარსთ ხიშტებით შებმა მტერთან, დანდობა და შებრალება არ იციან. იმეორებენ იმ ამბებს, რომელიც თვითონ აფრიკელ მეომრებს დიდის სიამოვნებით უამბნიათ ხოლმე. ყოველი ამბავი თითქმის ერთისა და იმავე სიტყვებითაა ხოლმე ნათქვამი და ერთსა და იმავე ჟესტებითა: „გერმანელი ხელს მაღლა სწევს .. ქამრად, ქამრად!.. ქამრად ვერ მოგართვეს". და ხელებით ანიშნებს, როგორ ჩაუცია მუცელში ზევიდან ხიშტი და ფეხის დახმარებით მერე ქვევიდან როგორ გამოუთრევია.

ერთ სენეგალელ მსროლელს, გაელის დროს, ესმის თუ რაზე ელაპარაკობთ. გვიყურებს, თავის განიერ დოლბანდს ქვეშიდან განიერათ იცინის, თავით გვანიშნებს-„არაო": „არა, არა, ქამრად არა, არა ქამრად. ბაშ ქესლარ!".

— ეს ენი მართლა რომ სხვა მოდგმისანი არიან, ვიდრე ჩვენა, ტყავიც რომ ბაბის კარვის ტილოს მიუგავსთ,— ამბობს ბიკე, რომელიც, მაინცა და მაინც რო სთქვას კაცმა, მშიშარა არ არის .—დასვენების დროს მოიწყენენ ხოლმე; და იმ წუთს-ღა ელოდებიან, როცა ოფიცერი საათს ჯიბეში ჩაიდებს და უბრძანებს: „აბა, გასწით!"

— მართალი უნდა სთქვას კაცმა, ნამდვილი სოლდათები თუ გინდათ, სწორეთ ესენი არიან.

— ჩვენ კი სოლდათები არა ვართ,ჩვენ უბრალო კაცები ვართ,—სთქვა მსხვილმა ლამუზმა.

უკვე ძალზე ჩამობნელდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ მართალმა და ცკაფიო სიტყვამ თითქო გაუნათა გონება იმათ, ვინც აქ რაღასაც უცდიან ამ დილიდან, უცდიან მთელის თთვეობით.

ესენი ადამიანები არიან, უბრალო ადამიანები, ერთბაშათ ცხოვრებას მოწყვეტილები. როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, ესენიც უვიცები არიან, უფოლადონი, უგერგილონი, შორსმხედველობა აკლიათ, საღი გონება დიდი აქვსთ, მაგრამ ეს გონებაც ხანდისხან წაიბორძიკებს; სხვას ნებას აძლევენ თავიანთი თავი ისე ატარებინონ, როგორც უნდათ და რასაც ეტყვიან, ყველაფერი აასრულებინონ, პირსა შინა გამაგრება იციან, შეუძლიათ წვალებას დიდხანს გაუძლონ.

ესეთი უბრალო, მარტივი ადამიანები არიან, რომელნიც უფრო გაასადავეს და რომელთაც, გარემოების წყალობით, მხოლოთ სულ პირველყოფილი ინსტიქტები განუვითარდათ: ინსტიქტი თავისთავის დაცვისა, ეგოიზმი, მტკიცე იმედი, რომ ცოცხალი გადარჩება ყოველგან და ყოველთვის, უხარიათ, როცა სჭამენ, სვამენ, ან სძინავსთ.

ხანდისხან ადამიანების ყვირილი, ღრმა გაჭრელება აღმოხდება მათის დიად ადამიანურის გულის ჩამობნელებულ მდუმარებისაგან.

როცა სულ დაბნელდება, შორიდან მოისმის ჯერ დუდუნის მსგავსათ, მერე თანდათან ახლოვდება და მკაფიოდ ისმის ბრძანება:

— მეორე ნახევარ-სეკცია! შეჯგუფდით!

დავეწყობით. ყვლას გამოგვძახებენ.

— გასწით!—გვიბრძანებს კაპორალი.

ყველანი ამოძახავდნენ. ხელახწყობის საწყობთან ხალხი შეჯგუფდა, ერთიმეორეს აწვება. თითოეულს აძლევენ ნიჩაბსა ანუ წერაქვსა. უფროსი ურიგებს ყველას:

— თქვენ ნიჩბები. ჰაიდა! აჰა, თქვენც ნიჩბები, თქვენ კი წერაქვები! აბა, ჩქარა, გაინძერით და გამოდით!

სანგრის პერპენდიკულარულის შემაერთებელ გასავალით პირდაპირ მივდივართ წინ, ჩვენს მოძრაობიერიდან-კი ცოცხალ და საშინელ საზღვრისაკენ.

ნაცრისფერ ცას ქვეშ უშველებელ წრეს ავლებს და რითმიულათ ქშინავს ჰაეროპლანი; სიბნელეში აღარა სჩანს. წინიდან, მარჯვნივ, მარცხნივ, ყოველმხრივ ჰექაქუხილი მუქ ლურჯ ცას გაკვრით ცეცხლის ალებით ავსებს.

III.

გამოცვლა.

მონაცისფრო განთიადი ჯერ კიდევ შავსა და უსახო პეიზაჟს ძლივას ანათებს. გზა მარჯვნივ დაქანებულათ ეშვება წყვდიადიდან. ამ გზასა და ალეს ტყის მოღუშულ ღრუბელს შორის მინდორი იშლება. თუმცა არა ხედავს, მაგრამ ხმაურობაზე ატყობს კაცი, რომ ბრძოლაში გასასტუმრებლათ ურმებს ამზადებენ. მეექვსე ბატალიონის ჯარისკაცები აქ ნაშუადამევს მოვედით. თოფები ჯვარედინათ დავდგით და ბინბუნდში გახვეულნი ბნელ ჯგუფებად ან თითო-თითოდ ვიკრიბებით, ტალახში ჩურჩხელასებრ ამოკლებულები. თავქვე გზისკენ ვიყურებით და ვუცდით. ვუცდით პოლკის დანარჩენ ჯარისკაცებს: მე-5 ბატალიონს, რომელიც მოწინავე სანგრებში იყო და სანგრებიდან ჩვენს შემდეგ დასტოვა.

გუგუნი ისმის...

— აჰა, ისინიც!

დასავლეთისაკენ გამოჩნდა და გამოემართა ჩამობნელებულ გზით ბნელი გრძელი მასა, ღამის მსგავსი.

ძლივს! დასრულდა ეს დასწყევლილი გამოცვლა. გუშინ საღამოს ექვს საათზე დაიწყო ეს გამოცვლა და მთელი ღამე გრძელდებოდა; ახლა უკანასკნელმა ჯარისკაცმა თავი გამოჰყო უკანასკნელ შემაერთებელ გასავლიდან.

ამხელად სანგრებში ყოფნა რაღაც საშინელება-რამ იყო. მე-18 როტა წინ იყო. თითქმის გაენადგურებინა მტერს: თვრამეტი მოეკლათ და ორმოცდაათიოდე დაეჭრათ, ოთხ დღეში ყოველ სამ კაცზე თითო-ღა გადარჩენილა; შეტევა

არა ყოფილა, ისე მხოლოთ ზარბაზნების სრიალას დაეტრიალებინა ეს ცეცხლი.

ჩვენ ეს ამბავი ვიცით და დასახიჩრებულ ბატალიონის მოახლოვებაზე, ერთი-მეორეს რომ ვხვდებით ტალახში ამოსვრილები, ერთი-მეორისაგან მივიწევით და ვკითხულობთ:

— მეთვრამეტეა?..

ამას რომ ვამბობთ, თითოეული ჩვენთაგანი ჩვენს თავს ვეკითხებით: „თუ ასე გაგრძელდა, ნეტავ რა დღე უნდა დაგვადგეს ყველას? მე თვითონ რა უნდა ძოვიდეს?“.

მეჩვიდმეტე, მეცხრამეტე და მეოცე როტა თანდათან მოდის და ოფიცებს ჯვარედინათ აწყობენ.

— აი მეთვრამეტეცა.

ყველაზე ბოლოს ეს როტა მოვიდა: პირველი სანგარი ეჭირა და უკანასკნელად კი მოხსნეს.

დღეს ოდნავ განათდა და მკრთალი სინათლე მოეფინა გარემოს. ყველამ დავინახეთ გზიდან ჩამომავალი როტის კომანდირი, მარტოდ-მარტო, სოლდათებს მიუძღოდა. გაჭირვებით მოაბიჯებს ფეხებს, სიარულის დროს ჯოხს ებჯინება. სიარული იმიტომ უჭირს, რომ წინათ მარნაზე დასჭრეს, ეხლა რეუმატიზმი გაუჩნდა. ჭრილობას გარდა სხვა ტკივილიც აწუხებს. კაპუშონი აწეული აქვს, თავი ჩაქინდრული; თითქო მიცვალებულს მიჰყვებაო. ეტყობა, ნაღველი რამ უნდა აწვეს გულზე, და მართლაც ასეა.

აჰა მისი როტაცა.

უწესრიგოთ მოდის. ყველას მაშინათვე გულზე თითქო გველმა გვიკბინაო. ეს როტა აშკარათ ნაკლებია სხვა სამ როტაზე.

გზა გამოვიარე და დაბრუნებულ მეთვრამეტე როტის ჯარისკაცთა შესახვედრათ გავემართე. ამ გადარჩენილთა ფარაჯები სულერთიანად გაყვითლებულია მიწისაგან; თითქო ყველას ხაკის ტანისამოსი აცვიათო. მაუდი სულმთლად გაშეშებულია წით'ელ მიწისაგან, ზედ რომ მიხმობია; ფარაჯე-

ბის ტოტები ფიცრებსა ჰგავს და ყვითელ ტყავს ეხახუნება, მუხლებზე რომ აქვსთ გადაკრული. პირის სახე ჩაყვითლებიათ, გამურული, თვალები ფართეთ დაუღიათ და სიცხიანივით უელვარებსთ. მტვრისა და ტალახისაგან სახე თითქო დანაოჭებიათო.

ამ საშინელ ჯურღმულიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა შორის საშინელი, ყურთასმენის წაძღები ჩოჩქოლია. ყველანი ერთათ ლაპარაკობენ, ძალზე ხმამაღლა, ხელებს აქნევენ, იცინიან, მღერიან.

ამათ რომ უყურებდით, გეგონებოდათ, თითქო რაღაც დღესასწაულია და ხალხი შარაგზაზე შეგროვილაო.

აი მეორე ნაწილიცა. მაღალი სუ-ლეიტენანტი მოუძღვის. მაზარა გაშეშებულ ტანზე შემოურტყამს დაკეცილ ქოლგა ებ. ვცდილობ გზა გავიკვლიო ისე, რომ მიმავალთა ფეხს ავყვე, სანამ მარშალის რაზმამდე მივაღწევდე. ეს რაზმი ყველაზე მეტად არის დაზარებული: თერთმეტ ამხანაგისაგან, რომელნიც ეს წელიწადნახევარია ერთმანეთს არ დაშორებიან, სამი კაცი ღა გადარჩენილა კაპორალ მარშალითურთ.

მარშალმა დამინახა. გახარებული სახე აქვს, გულიანათ იცინის; თოფის ღვედს ხელი უშვა და გამომიწოდა ორივე ხელი. ცალ ხელზე სანგრის ჯოხი ჰკიდია.

— ჩემო ძამია, ხომ გარგათა ხარ? რასა შვრები?

თავი მოვიღე და თითქმის დაბალის ხმით ვუთხარი:

— შე საცოდავო, ცუდათ წაგივიდათ საქმე?...

უცბად კოპები შეიკრა, სერიოზულათ დაიწყო ყურება.

— ჰო, ჩემო კეთილო, რას იზამ, ამ ხელათ საშინელება რამ იყო... ბარბიე მოგვიკლეს.

— ჰო, ვეც მითხრეს... ბარბიე!

— შაბათს მოხდა ეს ამბავი. ღამის 11 საათზე. ყუმბარამ ზურგი სულერთიანათ ააგლიჯა,—მითხრა მარშალმა,—თითქო სამართებლით ააჩრესო. ბესს ყუმბარის ნატეხი მოხვდა და მუცელი და სტომაქი სულ გარეთ გამოაყრევი-

ნა. ბარტელემისა და ბობეჭსს თავსა და კისერში მოხვდათ. მთელი ღამე სანგარში ხან ერთს კუთხეს მივაწყდებოდით, ხან მეორეს, რომ როგორმე თავიდან აგვეცდინა სეტყვასებ წამოსული ყუმბარები. პატარა გოდფრუას ხომ იცნობდი? ნახევარი ტანი ააგლიჯა; იქვე სისხლისაგან დაიცალა თვალის დახამხამებაში, თითქო წაქცეულ სათილიდან წყალი გადააქციესო, ისე სდიოდა სისხლი; საკვირველი ის იყო, ასეთ პატარა ტანის კაცს ამდენი სისხლი საიდანა ჰქონდა; სანგარში სულ უკანასკნელი ორმოცდაათის მეტრის სიგრძე ნაკადული გაჩნდა მისის სისხლისა. გუნარდს ყუმბარის ნამტვრევმა ფეხები სულ ნაკუწ-ნაკუწად უქცია. რომ აიყვანეს, ჯერ კიდევ სუნთქავდა. ეს ამბავი სადარაჯო პოსტზე მოხდა. მეც მათთან ერთათ ვიდექ სადარაჯოზე. მაგრამ სწორეთ იმას წინათ, სანამ ეს ყუმბარა დაგვეცემოდა, მე სანგარში ჩაველ, მინდოდა გამეგო, რომელი საათი იყო. რომ მოვტრიალდი, იქ დატოვებული თოფი ორად მოგრეხილი დამხვდა, თითქო ხელით უქნია ვისმეო, ხოლო ლულა პირსაცობის ამოსაღებს დამსგავსებოდა. კონდახი ნახერხად ქცეულიყო. ასეთი სუნი იდგა ცხელის სისხლისა, რომ გული ამერია.

— მონდენსაც ეს დღე დაადგა, არა?..

— ის კი მეორე დღეს, ე. ი. გუშინ მოკვდა. სოროში „ქვაბი“ შემოვარდა. სოროც დაანგრია და შიგ მწოლარე მონდენს გული ჩაულეწა. შენთვის არაფერი უთქვამსთ, თუ რა მოუვიდა ფრანკოს, მონდენს გვერდით რომ იყო? ჩამოქცეულმა მიწამ დაიტანა და ხერხემლის ძვალი დაუშსხვრია; რომ გამოათრიეს და მიწაზე დასვეს, თავი გვერდზე დახარა და სთქვა: „ვკვდებიო“ და მოკვდა კიდეცა. მათთან ერთადვე იყო ვიტილი; ტანი არ დაშავებია, მაგრამ თავი სულ მთლად გაბრტყელებოდა, კვერიეით, ფართედ, აი ამ სიფართედ. მიწაზე გაშხლართულიყო, მთლად გაშავებული, უსახო, იტყოდი, მისი ლანდიაო, ისეთი ლანდი, მიწაზე რომ გამოჩნდება ხოლმე ღამით, როცა ჩირაღდნით ინათებს გზასა.

— ვიცილი ის არ არის, 1913 წელს რომ გაიყვანეს სოლდათად, ახალგაზდა? ან რა კარგი ბიჭები იყვნენ მონდენი და ფრანკო, თუმცა მხრებზე დაკერებულებიცა ჰქონდათ ნიშნები უფროსობისა!.. კარგი ამხანაგები მოგვაკლდა, ძმაო მარშალ!

— კარგები და ეგრე! —სთქვა მარშალმა.

მაგრამ ამ დროს გარს შემოეხვია მთელი გროვა ამხანაგებისა და დაუწყეს წვალება და მოუთმენლათ ამბების გამოკითხვა. ისიც მაგათს დაცინვაზე პასუხს აძლევს; ყველანი ერთიმეორეს ეჯავგურებიან, იცინიან.

მე-კი ხან ერთის სახეს შევხედავ და ხან მეორისას; ყველას სახე უცინის და თუმცა საშინლათ დაღლილნი და ტალახში ამოგანგლულნი არიან, მაინც მხიარულ გუნებაზე არიან და თავი გამარჯვებულებად მიაჩნიათ.

როცა პირველ წყების სანგრებში იყვნენ, ღვინის სმა რომ შესძლებოდათ, ვიტყოდი—ყველანი მთვრალები არიან-მეთქი.

ვაცქერდები ერთ გადარჩენილთაგანს, რომელიც ფეხებს აბარტყუნებს და დამღერის, როგორც გუსარების სიმღერაშია: „მედოლე,—ეს ვანდერბორნია“.

— რა მხიარულ გუნებაზედა ხარ, ვანდერბორნ!

ვანდერბორნი, ჩვეულებრივ მშვიდობიანია და თავდაჰყრილი. მიყვირის:

— როგორცა ხედავ, ჩემი ჯერი ჯერ არ დამდგარა! ჯერხანად გადავრჩი.

და გიჟს დამსგავსებული მხრებზე ხელს მარტყამს.

მესმის მისი გულისნადები...

თუ ეს ხალხი, მიუხედავათ ყველაფრისა, ჯოჯოხეთიდან გამოსვლას შემდეგ თავის თავს ბედნიერადა სთვლის, იმიტომა სთვლის, რომ იქიდან გამოვიდა. დაბრუნდნენ ცოცხლები, სიკვდილს გადაურჩნენ. ერთხელ კიდევ დაინდო კარზე მომდგარმა სიკვდილმა. დაწესებულია, რომ ყოველმა როტამ ყოველ ექვს კვირაში ერთხელ პირველ წყების

სანგრებში უნდა გაატაროს! ექვსი კვირა! ომში ჯარისკაცები, დიდი რამ საქმე იქნება, თუ პატარა, ყოველსავე ერთგვარის ბავშვურის ფილოსოფიის თვალით უყურებენ: თავის დღეში არ იყურებიან შორს, აღარც იმას უყურებენ, თუ რა ხდება მათს გარშემო, ან მათს თვალს წინ. მხოლოთ ხვალინდელ დღისათვის ზრუნავენ. დღეს ყოველი მათგანი არხეინათ არის—ცოტას კიდევ ვიცხოვრებ ამ ქვეყნადო.

აი, კიდეც ამიტომაა, რომ მიუხედავად დაღლილობისა, რომელიც მათ წელში წყვეტს, მიუხედავათ იმ ხოცვა-ჟლეტისა, რომლის სისხლიანი წინწკლები ისევა სცხიათ, მიუხედავათ ყოველ მათგანის გარშემო მათის ძმების გაჟუჟვისა, მიუხედავათ ყოველისავე, თავის და უნებურათ, დღესასწაულობენ გადარჩენას, უზომოთ ბედნიერებადა სთვლიან თავიანთს თავს, რომ ფეხზე დგანან და ცოცხალნი არიან.

IV.

ვოლპატი და ფუიადი.

ჩვენს ბანაკში რო მოვიდნენ, ძახილი მომესმა:

— ვოლპატი სადღაა?

— ფუიადი რაღა იქმნა?

ორივე მე-ნ ბატალიონმა პირველ წყების სანგრებში წაიყვანა. ბანაკში იგინიც უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ არა სჩანან. ასე რომ ჩვენის მწყობრიდან ორი კაცი დაგვეკარგა!

— დასწყევლოს ღმერთმა! მოდი შენა და სესხად მიეცი სოლდათები! — ბუზღუნებს სერჟანტი.

კაპიტანმა, რო გაიგო ეს ამბავი, შეჯავრთხა ყველას და დაიძახა:

— ეს კაცები მე მჭირია. დაუყონებლივ მიპოვნეთ, საცა იყოს და არ იყოს. ჰაიდა!

კაპორალმა ბერტრანმა მე და ფარფადე გამოგვიძახა. უძრავნი და მოდუნებულნი სარაიაში ვიყავით გაშხლართულები.

— წადით, ვოლპატი და ფუიადი მოსძებნეთ.

საჩქაროზე ფეხზე წამოვდექით და, ცოტა არ იყოს, შეშინებულები წავედით. ორივე ჩვენი ამხანაგი, მე-ნ როტის მიერ წაყვანილი, ამ ჯოჯოხეთურ ნაკადულმა გაითრია. ვინ იცის, საცოდავები სად არიან ან რა დაემართათ!

...აღმართს შევუდექით. იგივე გზა უნდა გამოვიაროთ, რაც განთიადიდან და ღამიდან გავიარეთ. უბარგოთა ვართ, თოფები ღა მოგვაქვს თან, მაგრამ მაინც მოწყვეტილად, ძილმორეულად, დადამბღავებულადა ვგრძნობთ თავს ნაღვლიან ველზე, რომელსაც თავს დასცქერია მოქურუშებული ცა.

ფარფადეს მალე ქშენა შეუდგა. ჯერ ცოტათი ხმას იღებდა, მაგრამ მერე დაღლილობა მოერია და ძალაუნებურათ გაჩუმდა. გულადია, მაგრამ სუსტია; თავის წინანდელ ცხოვრების დროს, ქალაქის გამგეობაში მწერლად რომ იყო, ფეხები არც კი სჭირდებოდა, რადგან სიყრმითვე მთელი დღეები კანცელარიაში იჯდა და ქაღალდზე კალამს აწრიპინებდა ღუმელსა და საქმეთა ძველ ნაცრისფერ ყდებს შუა.

ტყიდან გამოვედით. ტალახში ფეხი გვიცურდება. გავემართეთ სანგრების შემაერთებელ გასავალ-გამოსავლებისაკენ. სწორეთ ამ დროს ჩვენს წინ ორი ლანდი გამოჩნდა. ორი სოლდათი ჩვენსკენ მოდის. ვხედავთ მათს დახვეულს ფარაჯებსა და თოფის ლულებს.

— ისინია!

ერთ ლანდთაგანს დიდი, თეთრად შეხვეული თავი აქვს.

გავიქეცით მათკენ. წაღების ლანჩებს ტალახი ეკვრება და ტკაცუნი გააქვს, ხოლო პატრონები საპატრონეებში შენჯღრევისაგან წკარუნებს.

ორნივე გაჩერდნენ და ლოდინი დაგვიწყეს. როცა მივუახლოვდით:

— ძლივს არ მოხველით! —იძახის ვოლპატი.

— დაჭრილი ხარ, შე საცოდავო?

— რაო? —გვეკითხება ვოლპატი.

თავი სქლათ აქვს შეხვეული და არაფერი ესმის. ზედ ყურთან უნდა უყვირო, რომ რამე გააგონო. მივუახლოვდით და დავუყვირეთ. მაშინ ღა გაგვცა ხმა:

— არაფერია! იმ ხვრელიდან ვბრუნდებით, საცა მე-5 ბატალიონმა ხუთშაბათს ჩაგვსვა.

— როგორ, მას აქეთ მანდა ზიხართ? —ყმუის ფარფადე, რომლის წვრილმა, ქალურმა ხმამ, როგორც იქნა, შეატანა შემოსახვევს, ვოლპატის ყურებს რომ ჰფარავს...

— რა თქმა უნდა, იქ ვისხედით, —ამბობს ფუიადი, — მაგათი პატრონიცა!... მა რა გეგონა! იქნება ფიქრობ, რომ

ფრთებით გამოვფრინდებოდით ან და ფორთხვით წამოვიდოდით, სანამ არ გვეტყოდნენ—წადითო.

ამასობაში ორნივე ძირს დაეშვნენ. ვოლპატს თავი ტილოთი ჰქონდა შეხვეული, ტილო კიდენ ზემოთ მსხვილათ იყო გამონასკული. სახე ყვითლათ და შავათ იყო შეღებილი. საერთოთ თავი ჯუჯუიან სარეცხის ბოხჩასა ჰგავდა.

— სულ დაავიწყდით, თქვე საცოდავებო!

— ჰო,—წამოიძახა ფუიადმა,—დავავიწყდით მაშ! ოთხი დღე-ღამე ვისხედით ერთ ხვრელში, სადაც ტყვიის სეტყვას აყრიდნენ და სადაც, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მძღნერის სუნიც იდგა.

— ჰო და,—სიტყვა ჩურთო ვოლპატმა,—ეს ხვრელი ჩვეულებრივი სადარაჯო პოსტი როდი იყო, საიდანაც თავთავის დროს გამოგვცვლიან ხოლმე წესიერის სამსახურის დროს. ეს ხვრელი საყუმბარო ძაბრი იყო, რომელიც როგორც ყველი და ყველი გაჭრილი, ისე ჰგავდა სხვა ძაბრებს. ხუთშაბათს ასე გვითხრეს: „ჩასხედით აქა და გაუწყნარებლივ ისროლეთ.“ მართალია, მეორე დღეს მე-5 ბატალიონის ერთმა შემაერთებელ სამსახურის კაცმა თავისი ცხვირი შემოჰყო და გვითხრა—აქ რას აკეთებთო?—ვისვრითო, ვუპასუხეთ ჩვენ, —გვიბრძანეს, ისროლეთო. და რაკი გვიბრძანეს, ალბათ, ასეც უნდა. ვუცდით. თუ გვითხრეს, ახლა სხვა საქმე გააკეთეთო, მაშინ იმას გავაკეთებთ-მეთქი. კაცი მოგვშორდა; მაინცა და მაინც დამშვიდებული სახე არა ჰქონდა. ეტყობოდა, ყუმბარების წვიმებას ქვეშ დარჩენისა ეშინოდა. „22-იანს ისვრიანო,“ სთქვა.

— ორსავე,—სთქვა ფუიადმა,—ერთი პური და ერთი სათილი ღვინო გვქონდა, აქ დაბინავების დროს მე-18 როტის მიერ დატოვებული, და მთელი ყუთი პატრონებისა. სიფრთხილისათვის რამდენიმე პატრონა და ერთი ნატეხი პური მოვიზოგეთ, მაგრამ ღვინო კი სულ გამოვსცალეთ.

— ცუდათაც გიქნიათ,—სთქვა ფუიადმა,—რადგან ძალიან

გვწყურია. ბიჭებო, ყელის გასასველებელი ხომ არაფერი გექნებათ?

— ერთი ტოლჩა ღვინო კიდევ დამრჩა,—უპასუხა ფარფადემ.

— მიაწოდე,—უთხრა ფუიადმა და ვოლპატზე ანიშნა.— თორემ, ხომ ხედავ, რაოდენი სისხლი სდენია. მე-კი მხოლოთ წყალი მწყურის.

ვოლპატი კანკალებდა და მხრებზე შემოხვეულ აუარებელ მჩქერებ შორის მისი პატარა თვალები ხურვებისაგან ბრწყინავდა.

— იფ, რა კარგია!—სთქვა ვოლპატმა, როცა მათარას დაეწაფა.

— იცით,—დაუმატა მან, როცა ფარფადეს მათარა'ში ნარჩენი ღვინო მიწაზე დააქცია, როგორც ამას სოლდათური წესი მოითხოვდა,—ორი ბოში *) დავიჭირეთ: ეს მუდრეგები მინდორზე მიბობღავდნენ, ისე თურმე ბნელაში ჩვენს ხვრელებში ჩავარდნილან, როგორც თხუნელები ხაფანგში. ღვთის წყალობა გაქვს, ჩვენ ისინი გავბაწრეთ. აგრე კი იყო. ოცდათექვსმეტ საათის განმავლობაში ვისროდით და ტყვია-წამალიც შემოგველია. მაშინ თოფებში პატრონები ჩავაწყვევით და ველოდებოდით. შეკრული ტყვეები გვერდითა გვყავდა. ოხერს, შემაერთებელ სამსახურის კაცს, სრულებით დავიწუნია თავისიანებისათვის ეთქვა, რომ ჩვენ აქ ვიყავით. მეექვსე როტასაც არ მოჰგონებოდა, ჩვენი თავი უკან მოეთხოვნა; დავიწუნოდა მე-18 როტასაც, და რათგან ჩვენ ისეთს პოსტზე ვიდექით, საცა წესიერათ არა სცვლიან დარაჯებად დაუყენებულებს, საქმე იმით უნდა გათავებულიყო, რომ ჩვენ იქ მანამდე უნდა ყრილვიყავით, სანამ მთელი პოლკი არ დაბრუნდებოდა. დაბოლოს 204 პოლკის სანიტარებმა გვიხსნეს: დაჭრილთა

*) ომის დროს გერმანელებს ფრანგები მეტსახელად ბოშს უწოდებდენ.

საძებნელათ მოსულიყვნენ და ჩვენს შესახებ შეატყობინეს ხალხს. ჟაშინ ბრძანება მოგვივიდა, დაუყონებლივ წადითო. მოვემზადენით და თან ამ „დაუყონებლივ“-ზე გვეცინებოდა. ტყვეებს ფეხებზე თოკი შევხსენით, წამოვიყვანეთ და ჩავაბარეთ 204 პოლკის ბანაკში. და აჰა, ახლა-კი აქა ვართ.

„გზაში ერთი სერჟანტიც გადავარჩინეთ. ერთ სოროში ჩარჩენილიყო და შიშით იყო, თუ ჭრილობისაგან, ამოსველას კი ვერა ჰბედავდა. დავუყვირეთ და იმანაც ცოტათი გული მოიცა და მადლობა გადაგვიხადა: სასერდოტი ერქვა.

— ჭრილობა როკორლა გაქვს, ძიაჯან?

— ყურებში ვარ დაჭრილი. ერთი „გოლოვა“—საშინელება რამ, ჩემო კარგო—გასკდა. თავი გადაურჩა ნამსხვრევებს, მაგრამ ყურები კი დამიზიანდა.

— ნეტავი გაჩვენა,—უთხრა ფუიადმა,—რას უგავს ეს ჩამოკონწიალებული ყურები! ორი კონა შესახვევ მარლისა ჩვენა გვქონდა, ერთიც სანიტარებმა მოგვცეს. იმანაც სამივე კონა თავზე შემოიხვია!

— აბა, მოიტათ თქვენი დახვეული ფარაჯები და გავსწიოთ.

ფარფადემა და მე ვოლპატის ტვირთი შუაზე გავიყავით. ფუიადი კი, წყურვილისაგან დაღონებული, ყელგამომშრალი, ბუზღუნებს და თოფსა და თავისს ბარგს არ გვანებებს.

ნელ ნელა მივდივართ. გვიხარია, რომ მხარდამხარ არ მივდივართ; ეს ისე იშვიათათ მოხდება, რომ გვაკვირვებს და კარგათაცა ვგრძნობთ ჩვენს თავს. თავისუფლების სიომ რომ დაგვბერა, ოთხივე გავმხიარულდით. მინდორზე ისე მივდივართ, ასე გვგონია, ვსეირნობთო.

— სასეირნოთ წამოსულ ხალხს რითი არა ვგევართ!— თქვა ამაყათ ვოლპატმა, როცა გორაკის მოსახვევთან მივედით. ვოლპატი ტკბილმა ოცნებამ შეიპყრო.

— იცი, ჩემო კარგო, რა გითხრა: ბოლოს და ბოლოს ჩემი ჭრილობა „იღბლიან,“ ხელსაყრელ ჭრილობად უნდა ჩაი-

თვალოს. მოსარჩენად წამიყვანენ, ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა...

თვალები უხამხამებს და უელავს იმ ვეებერთელა თეთრ ბურთში, რომელიც მის მხრებზე კანტურობს და მოწითანო ფერი გადაჰკრავს იმ ადგილებზე, საცა ყურებია.

შორს, საცა სოფელია, საათმა ათი დაჰკრა.

— საათი ფეხებზე მკიდია!—ამბობს ვოლპატი,—ახლა დრო ჩემთვის არ არსებობს.

ლაპარაკის საღერღელი აეშალა. ლაპარაკსაც უკვე შენელებულ ფეხის ხმას აყოლებს. სიცხემ უმატა.

— უეჭველია, მაზარაზე წითელ ნიშანს დამაკერებენ და ზურგის ჯარში ჩამნიშნავენ. ზრდილობიან ვისმე გამომაყოლებენ და ისიც ასე მეტყვის: „აქეთ წამობრძანდი, მოუხვიე იქითკენ... აგრე!... ჩემო კარგო“. მერე გამნაწილებელი პუნკტი იქნება, შემდეგ სასანიტარო მატარებელი, წითელ ჯვრის ქალები, მთელ გზაში მომივლიან, როგორც იგინი შაპელე ჟულში შერებოდნენ, ბოლოს გოსპიტალში ამოვყოფ თავსა. იქ ლოგინი იქნება, თეთრ ზეწარგადაფარებული, გახურებული ღუმელი, მხრინავ ხალხს შორის, ჩვენთვის საგანგებოთ მიჩენილი მომვლელები, ფლოსტები და სალამური მაგიდა: ერთის სიტყვით, მთელი ავეჯი! დიდ გოსპიტალებში ყოფნა კიდევ იმითია კარგი, რომ ჭამა სმა აქვსთ საუცხოო! კარგი საჭმელები მექნება საძღომათ; აბანო, ვიბანავებ. ერთის სიტყვით, რასაც მოვცემენ, უარს არაფერზე ვიტყვი. ახლა ტკბილეულობა! ამისათვის თავპირის მტვრევა კი არ დამჭირდება და ლანძღვა-გინება სხვებთან. საბანზე ორსავე ხელს დავაწყობ, ამ ხელებს არაფერს გავაკეთებინებ, ისე მექნება, როგორც სათამაშო ან ფუფუნების ნივთი რამ, მაშ! საბანს ქვეშ ფეხები მექნება ჩაწყობილი თბილათ, ძალიან თბილათ, თავიდან ბოლომდე, და იქით-აქეთ ვისვრი, როგორც იის ყვავილებს.

ვოლპატი გაჩუმდა, რაღასაც ეძებს, მერე ჯიბიდან თავის

განუშორებელ სუასონურ მაკრატელთან ერთათ რაღაც ამოიღო და მაჩვენა:

— შეხედე, ჯერ ხომ არ მიჩვენებია შენთვის?

ფოტოგრაფიული სურათი იყო მისი ცოლისა და ორის შვილისა. რამდენჯერმე უჩვენებია ჩემთვის ეს სურათი. დაკხედე, კარგია-მეთქი.

— რომ მოვრჩები, სრულებით მზა ფოთებლათ გამიშვებენ, —განაგრძობს ვოლპატი, —და სანამ ყურები მიმეზრდებოდეს, ცოლ-შვილი მე მიცქერიდეს იქნება და მე კიდენ—იმათ. და სანამ კიდევ ჩემი ყურები ზრდას დაიწყებს, როგორც სალათა, ომის საქმე წინ წაიწევს... მანამ, ღმერთი მოწყალეა, რუსებიც მოგვეშველებიან... ვინ იცის, რა იქნება...

გულში, ვინ იცის, რა და რა იმედები არ ესახებოდა, ხმამაღლა ფიქრობდა, ჩვენს შორის თვისის მომავალ ბედნიერებით ნეტარობდა, განმარტოვებული.

— ავაზაკო! —დაუყვირა ფუიადმა. —სწორეთ რომ ძაღლის იღბალი გქონია, შე ღმერთ გამწყრალო.

ან და როგორ არ შეშურდებოდათ მისი ბედი? მიკიოდა ერთისა, ან ორ-სამ თთვით, მერე ისიც ამ სისხლის წვიმების დროს, და იმის მაგიერ, რომ ბრძოლის ველზე დარჩენილიყო, ათას განსაცდელისათვის გული შეეშვირნა და ძაღლუმადურათ გაეტარებინა დრო, მიდის, რანტიედ უნდა იქცეს!

— პირველათ,—ამბობს ფარფადე,—მეცინებოდა, როცა ვინმე ინატრებდა „იღბლიან ჭრილობას". მაგრამ მაინც, ვინც რა უნდა სთქვას, ახლა მესმის, რომ ეს-ღა უნდა ინატროს ყოველმა საცოდავმა სოლდათმა, თუ კი იგი გიჟი ან სულელი არ არის.

* * *

სოფელს ვუახლოვდებოდით. ტყეს შემოვუარეთ.

ტყის განაპირას უცბათ ქალი ვინმე გამოჩნდა. სხივთა თამაშში ნათლად მოსჩანდა. ტყის განაპირას მდგარი ხეები მოიისფრო ჩრდილებს ისროდა და ქალიც სწორეთ აქ იდგა.

სინათლით გაშუქებული, წერწეტა, ქერათმიანი; ფერმკრთალ სახეზე ღამის ჩრდილი მისს დიდრონს თვალებს მკაფიოთ აჩენდა. ეს საოცხოვო ქმნილება ჩვენ გვიყურებდა ფეხებაკანკალებული და მერე თვალის დახამხამებაზე ტყეში შეჰყო თავი, ავარდნილ ალს დამსგავსებულმა.

ქალის გამოჩენამ და მერე უცბათვე დამალვამ ვოლპატი ააღელვა და ლაპარაკის ძაფი გაუწყდა.

— ნამდვილი თხა იყო და არა ქალი!

— არა,—უთხრა ფუიადმა, რომელმაც მისი ნათქვამი კარგათ ვერ გაიგონა.

— ევდოქსია ჰქვიან. ვიცნობ, წინათაც მინახავს. ლტოლვილია. არ ვიცი, სადაურია, ის-კი ვიცი, რომ გამბლენში დგას, ერთს ოჯახში.

— გამხდარია, მაგრამ ლამაზია,—სთქვა ვოლპატმა.—შაქარლამაა, სწორეთ... საკნატუნებელი... ვარიკაა... შენ თვალები სთქვი... ერთ ქალად მარტო თვალები ღირს მისი!

— უცნაური რამ არის!—მიძახის ფუიადი.—ერთ ალაგას ვერა ჩერდება. ხან აქაა, ხან იქა, მისი ქერა თმა კიდენ ჰაერში იშლება. მერე სადღაც გაჰქრება. მერე, იცი, არაფრისა ეშინიან. ხანდისხან თითქმის მოწინავე პოზიციებამდეც კი მიდის. ერთხელ კიდენ ენახათ, ველად დაეხეტებოდა, სანგრებს წინ... უცნაურია.

— შეხე, გამოჩნდა! თვალებს არ გვაშორებს. ნუთუ მოვეწონეთ?...

ლამაზ ქალის სილუეტი, ნათელ ხაზებით მოხაზული, უკვე ტყის ნაპირის მეორე ბოლოს ამშვენებდა.

— მე, ჩემო ძმაო, უნდა გითხრათ, რომ ქალები ფეხებზედა მკიდია,— განაცხადა ვოლპატმა. თავში სულ ევაკუაცია უტრიალებდა.

— მაგრამ ჩვენს რაზმში ერთი ვინმე გვირევია, ამ ქალისათვის დნება. როგორ არის ნათქვამი: ძაღლი ახსენეთ და...

— ჯოხი მოიმარჯვეთ...

— ჯერ არა, მაგრამ თითქმის... აი თუ არა!

ამ დროს ჯაგნარიდან, ჩვენს მარჯვნივ, ლამუზის დინგი გამოჩნდა, თითქო მოწითანო ტახიაო.

ქალს კვალდაკვალ მისდევდა... რო დაინახა, გაჩერდა, გაშეშებულივით; მერე გული გაიმაგრა და მისკენ რომ მიიწია, ამ დროს ჩვენ წაგვაწყდა.

ვოლპატი და ფუიადი რომ დაინახა, მსხვილმა ლამუზმა სიხარულისაგან შეყროყინა. ახლა იმასღა ფიქრობდა, რომ ჩვენთვის ჩამოერთმია ჩანთები, თოფები, ტომსიკები.

— მოიტათ აქეთ ყველაფერი, მე დასვენებული ვარ.

— აბა, ჩქარა, ჰა!

ჩვენი ბარგი სულ თვითონ უნდოდა წამოეღო. ფარფატმა და მი სიამოვნებით მოვიშორეთ თავიდან ვოლპატის ბარგი-ბარხანა, ხოლო ფუიადი, სრულებით არაქათგამოლეული, დასთანხმდა მიეცა თავისი ჩანთა და თოჯი.

ლამუზი მოძრავ საწყობს დაემსგავსა. უშველებელ ტვირთს ქვეშ სრულებით არა სჩანდა, წელში მოკაკული ძლივას მიაბიჯებდა ფეხებს.

მაგრამ ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენს ამხანაგს ერთი აზრი რამ მოსვენებას არ აძლევდა და თვალებს იქით-აქეთ აცეცებდა. ეძებდა ქალს, მისი სული და გული რომ წარეტაცებინა.

რამდენჯერაც შეჩერდებოდა, რომ ტვირთი ულუთესათ გაესწორებინა, შეესვენა და ქონიანი ოფლი მოეწმინდა, იმდენჯერ ქურდულათ აიცალიერებდა ცისკიდურსა და ტყის ნაპირის კუთხეებს.

მე კი დავინახე ქალი... და დავრწმუნდი, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი თვალში მოსდიოდა.

თავი გამოჰკრა ხეების მწვანე ჩრდილიდან, ჩვენს მარცხნივ. ხელი ტოტზე ეპირა, წინ წახრილს ყურჩივით შავი თვალები უბრწყინავდა. ფერმკრთალი სახე ცალმხარეზე ცხოვლათ ჰქონდა განათებული, თითქო ზედ ნახევარმთვარე აქეს გადაკრულიო. იღიმებოდა.

თვალი გავადევნე—საით იყო მიმართული მისი თვალები, და ჩვენს უკან ცოტა მოშორებით დავინახე, რომ ფარფადეც ულიმოდა.

მერე ისევ დაიმალა ხეების ჩრდილში და თან გაიყოლია ეს ორმაგი ღიმილი—თავისი და ფარფადესი.

აი მაშინ კი აშკარა გახდა ჩემთვის საიდუმლოება ამ წერწეტა და რაზ ბოშას ქალისა და ფარფადესი, რომელიც ყველა ჩვენთაგანში ირჩეოდა თავისის კოხტა გარეგნობით. მოქნილი და მთრთოლარე იყო, როგორც ლილია. ცხადია, რომ...

ლამუზი დატვირთული იყო ჩემისა და ფარფადეს ბარგითა და არაფერი დაუნახავს; სულ იმის ცდაში იყო, მარჯვეთ როგორ დაებიჯებინა თავისი ძალზე დამძიმებული ფეხები და სწორწონაობა არ დაჰკარგვოდა.

საკვდავი საყურებელია. კრუსუნებს; რაღაც დიდი დარდი ახრჩობს. გულმკერდი ისეთნაირად ასდის და ჩასდის, რომ ასე მგონია, მესმის, თუ რა მძიმედ უცემს გული-ვეთქი. ვუყურებ ვოლპატს, ბინტებით თავშეხვეულს, ვუყურებ ამ მოსულ, ღონიერ და სისხლით სავსე კაცს, რომელიც გულში ატარებს გადაუწყვეტელს გულისთქმას და ამ გულისთქმის სიმწვავე სავსებით მარტო იმან იცის; ვუყურებ და ჩემს თავს ვეუბნები: უფრო მძიმედ დაჭრილი მარტო ის კი არ არის, ვისაც ჭრილობას უხვევენ-მეთქი.

ბოლოს, სოფელში დავეშვით.

— ერთი წყალი უნდა დაელიოთ,—სთქვა ფუიადმა.

— მოსარჩენათ წამიყვანენ,—კიდევ იძახის ვოლპატი.

ლამუზი კენესის და ღმუის.

ჩვენს დანახვაზე ამხანაგები ყვირიან და მორბიან ერთ პატარა მოედანზე, სადაც ეკლესია დგას ორკოშკიანი. ზარბაზნის ყუმბარით იმდენათ დაუზიანებიათ, რომ ძნელი გამოსაკნობია, ან ფასადი სად ჰქონია და ან უკანა კედელი.

ᲕᲘ

ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ

ჩამობნელებულ ტყეზე ამავალს უფერულს გზას წინ ელობება და უცნაურადა ჰფარავს ლანდები. გეგონება, თითქო შეულოცა ვინმეო, ტყე ნაპირიდან გამოსულა და ღამის წყვდიადში მიჰგორავსო. ჩვენი პოლკია რომ მოდის ახალ თავშესაფარის საძებნელათ.

ლანდები, თავით-ფეხამდე დატვირთულები, თვალხუჭელა ერთმანერთს ეჯაჯგურება: ყოველს ტალღას უკანიდან მეორე აწვება, პირველი წინ მიმავალს ეხეთქება. გვერდებზე განცალკევებით მიდიან უფრო ტანწერწეტა ლანდები ოფიცრებისა. ყრუ ბუზღუნი, ნაირ-ნაირი ძახილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი, ბრძანება, ხველება, სიმღერა ამ სქელ გროვას თავზეჰოდან გაჰდადის. ორსავე მხარეზე კიდენ ღრანტეების ნაპირები უფრო ერთათა სჩუჩკავს მიმავალთ. ამ ხმაურობას ბანს აძლევს ფეხების ტყაპუნი, ხიშტების ქარქაშებისა, ტოლჩებისა და ლითონის მათარების წკარუნი, რუხრუხი და გუგუნი სამოც ურმისა, ორს ბატალიონს რო მოსდევს. და იმდენი ხალხია შეფენილი ამ გზის აღმართზე, რომ თუმცა გარშემო უსაზღვრო სივრცეა, მაინც ისეთი სუნი დგას, თითქო ლომის გალიაში ვართო.

მწკრივში ვერაფერსა ხედავს კაცი: ხანდისხან, როცა მოსახვევებში მეზობლებს მიაწევები, შეგიძლია გაარჩიო თეთრი თუნუქი ტოლჩებისა, მოლურჯო ფოლადი კასკისა და შავი ფოლადი თოფისა. ხან კიდენ, დაკვესებულ ნაპერწკლის წუთიერ თვალისმომჭრელ სინათლეზე ან ასანთის გა-

კვრაზე, ხედავ სიბნელიდან გამომავალ ხელებსა და სახეებსა, მოხაზულობას ზურგისა და კასკებისას, რომლებსაც ტალღებისებრ თითქო იერიში მიაქვსთ უკუნ სიბნელეზეო. მერე ყოველივე ჰქრება, და იმ დროს, როცა ფეხებს მიაბიჯებენ, ყოველისავე მოსიარულის თვალები დაუსრულებლივ აშტერდება იმ ადგილას, საცა წინამიმავალის კისერი ეგულება.

რამდენჯერმე გაჩერებას შემდეგ, ჩანთებზე ჩამოვსხდებით გადაჯვარედინებულ თოფებს გვერდით. სტვენით გვანიშნებენ ხოლმე, როცა თოფები უნდა დავაწყოთ. ყველანი სულწასულათ ვისწრაფვით, მაგრამ საშინლათ ნელა კი ვაწყობთ, რათგან ყურჩივით შავი სიბნელეა ჩამოწოლილი გარშემო და თვალებთან თითის მიტანაც კი გვიჭირდება. რიჟრაჟებს, სინათლე თანდათან იფანტება. ლანდთა კედლები ირღვევა, უწესრიგოთ. ერთხელ კიდევა ვხედავთ, თუ როგორ იწყება ეს დიდებული სურათი, თუ როგორ ცეცხლება ცის კარი ამ უკუნისამდე მოღოღიალე ხალხის თავზე, როგორიცა ვართ ჩვენ.

როგორც იქნა, ბოლო მოეღო ღამით სიარულსაც. ლანდი უფრო და უფრო გათხელდა, თანდათან შეეპარა მკრთალი სინათლე. ფეხები თითქო ხისებიაო, ზურგი დაბუჟულია, მხრები თითქო დაეჟეჟილიაო. სახეებზე ისევ ნაცრისფერი სიშავე გადაგვკრავს: თითქო ღამეს უბნელდება ეს ფერი მოგვაშოროსო; თითქო თავისდღეში ვერ დავაღწევთ თავს ღამის სიბნელესაო.

ამ ხანად ახალ ბანაკის საძებრათ და იქ დასასვენებლათ მიერეკებიან ადამიანთა ამ დიდს ჯოგს. რა ჰქვიან, ნეტავი, იმ ადგილს, საცა რვა დღის განმავლობაში უნდა ვიცხოვროთ? ამბობენ (თუმცა დარწმუნებული არავინაა), გოშენ-ლაბე ჰქვიანო. ამ ადგილის ქებით აღარ არიან.

— რა გინდა, სულო და გულო, იქ არ იყოსო!

რიჟრაჟია. უკვე გარჩევა შეიძლება ამხანაგთა სახისა და ნაკვთებისა, მოხრილ წელებისა და მათის დასამთქნარებლათ

დაღებულ პირებისა. გაისმის მათი ლაპარაკი და ცდილობენ ერთიმეორეს გადააჭარბონ ლაპარაკში.

— იმისთანა ბანაკი ჩვენ თავისდღეში არ გვღირსებია. იქავეა საბრიგადო სამმართველო, სამხედრო საბჭო. მედუქნეებთან ყველაფრის შოვნა შეიძლება.

— რაკი ბრიგადა მდგარა, ცხადია, ყველაფერი იქნება.

— როგორა გგონია, სასადილოსთვის ცალკე ბინა გვექნება?

— გეუბნები, რაც გინდა, ყველაფერია-მეთქი. ჰო, ჩემმა მზემ!

რომელღამაც თვალბედით ყორანივით დასჩხაველა:

— არ ვიცი, როგორი იქნება ეს ბანაკი, საცა თავისდღეში არა ყოფილვართ,—სთქვა მან.—მხოლოთ ის-კი დანამდვილებით ვიცი, რომ ისიც სხვა ბანაკებს ემგვანება.

მაგრამ იმის ნათქვამს არავინ უჯერებს. და მას შემდეგ, რაც შფოთიან ღამეს თავი დააღწიეს და აღმოსავლეთისაკენ გაემართნენ, სიცივეში, ყველასა ჰგონია, ერთგვარ აღთქმის ქვეყანას ვუახლოვდებით და ეს აღთქმის ქვეყანაც კიდენ ის სოფელია, სინათლე რომ უნდა მოგვფინოსო.

გათენებისას ერთ ფერდობს ქვეშ შეფენილ სოფელს მივატანეთ. სახლები ნაცრისფერ ბურუსში იყო გახვეული. ჯერ ისევ ეძინათ.

— აჰანდე, მივედით!

უჰ! მთელი ოცდარვა კილომეტრი გზა გავიარეთ ერთ ღამეში...

მაგრამ რა ამბავია?.. არ გვაჩერებენ? გავუარეთ სახლებს, რომლებიც ისევ უსახო ბურუსში და იდუმალობის ზეწარში გაეხვია.

— ეტყობა, კიდევ დიდხანს უნდა გვატარონ. ამბობენ, იქ არის ჩვენი სოფელი, იქ, სადღაც შორსაო.

მეჭანიკურათ ცივდივართ, ფეხები არც-კი გვემორჩილება; სახსრებს ტკაცა-ტკუცი გაუდის და გვაკვნესებს.

გათენება როგორღაც იგვიანებს. ბურუსის სუდარა დედამიწას გადაეფარა. ისე ცივა, რომ გაჩერების დროს ჯარისკაცები, დაღლილობისაგან მოწყვეტილები, დაჯდომას ვერა ჰბედავენ და მოჩვენებათა მსგავსად იქით-აქეთ დადიან ამ ბუნდოვან ნესტიან ჰერში. ზამთრის სუსხიანი ქარი კანს უტყლაშუნებს, ხვეტავს და ჰერში მიმოჰფანტავს ნათქვამს, კვნესა-ოხვრას.

როგორც იქნა, მზემ თვალი გამოჰკო ბურუსიდან, ჩვენ რომ შემოგვხვევია და ძვალრბილში გვატანს ხოლმე. თითქო ვინმე გზა გაიკაფა მიწაზე ჩამოწოლილ ღრუბლებ შორისო.

ჯარისკაცები იზმორებიან, თითქო იღვიძებენო და ნელნელა დაუწყეს ყურება მზის პირველ სხივებს, ოქროთი დაფერილებს.

მერე ერთბაშათ მზეს სიცხოველე მოემატა და ძალზე ჩამოცხა.

მწკრივებში ჯარისკაცები ხვნეშიან, ოფლი სდისთ და უფრო ძლიერათ ბუზღუნებენ, ვიდრე ამას წინეთ, როცა ბურუსი თითქო დასველებულ ღრუბელს სახესა და ხელებზე უსვამდათ და კბილს კბილზე აცემინებდათ.

ის ადგილი, საცა ჩვენ მივდივართ ამ პაპანაქება სიცხეში, კარნარიანია.

— დასწყეველოს ღმერთმა მაგათი თავი და ტანი! თითქო კირის ქვით მოუფენიათ გზაო.

გზა თვალებს გვიბნელებს, გამშრალ კირისა და მტვრის სქელი ღრუბელი, ჩვენის ფეხებისაგან აყენებული, ზევიდან გვაწვება.

პირისახე გვიწითლდება, და თითქო სანდალოზი წაუსვიათო, გვიბრწყინავს; ზოგის წამოჭარხლებული სახე ვაზელინ-წასმულივითაა; შუბლსა და ლოყებზე რაღაც მონაცრისფრო მტვერი გვედება. ფეხებმა თავისი, ფეხებს მიმსგავსებული, ფორ-

მაც დაჰკარგეს და უფრო კალატოზის კირის ასაზელ გეჯაში ამოვლებულებსა ჰგვანან, ჩანთებსა ლ თოფებს თეთრი ფხვნილი აქვსთ გადაყრილი. და მთელი ეს მიმავალი ჯარი გზის პირების მარჯვნივ და მარცხნივ ბალახზე რძისფერ კვალს ავლებს.

თითქო ეს სატანჯველი არ გვეყოფოდაო, გაისმა ბრძანება:

— მარჯვნივ! გზა უტივთ ურმებს!

მარჯვნივ გავიწიეთ, საჩქაროზე. ცოტა არ იყოს, ჯაჯგურით.

მთელი წყება საბარგო ავტომობილებისა, ოთხკუთხ უშველებელ ბოლიდების გრძელ ჯაჭვის მსგავსათ, ბაწარალებით ერთიმეორეს მისდევდა გზაზე და ჯოჯოხეთურს; ყურთასმენის წამღებ ხმაურობას აყენებდა. დასწყევლოს ღმერთმა! მერე რა კორიანტელი დააყენა, და! სქელ ხალიჩის მსგავსათ მაღლა ადის თეთრი მტვერი, ეფინება მიწას, თითქო ბამბით გადაუპენტიათო, და ჩვენ შიგ ვიგანგლებით.

ახლა ჩვენს სამოსს ლია-ნაცრისფერი გადაეკრა, ხოლო პირისახე ფერკმრთალ ნიღაბებით დაგვეფარა, უფრო სქლათკი წარბებსა, ულვაშებსა, წვერსა და ნაოჭებს შორის ჩაგვაკვდა. ჩვენ ერთსა და იმავე დროს ვითომ ჩვენა ვართ და თან სასაცილო მოხუცებს ვემსგავსებით.

— რო დავბერდებით, სწორეთ ასეთები ვიქნებით, უშნოები,—ამბობს ტირეტი.

შენი ფურთხიც-კი თეთრია,—შენიშნა ბარკმა.

შესვენების დროს, კაცმა რომ შემოგვხედოს, გიპსის სტატუები ვეგონებით, და ამ სტატუებიდან ადამიანის ნასახი-და მოსჩანს, ჰუქყიანი, გაბინძურებული.

ისევ გზას დავადეგით. ხმას არავინ იღებს. ვლასლასებთ. ყოველ ფეხის გადადგმაზე თავი გვესიკვდილება. სახე ელმიქება ყველას. დაუსრულებელმა წვალებამ სახე მოგვიღრუბლა, შავათ; ხელ-ფეხში ისე მოვსწყდით, რომ ჩვენი თავი შეგვძაგდა.

როგორც იქნა, გამოჩნდა ოაზისი, როშლისაკენ ასეთის მოუთმენლობით მივისწრაფვით: ერთს გორას იქით უფრო მაღალი გორაკია და ზედ წამოდგმულია კრამიტის სახურავებიანი სახლები, ახალ სალათის მსგავსად მოხასხასე მცენარეთა შორის.

იქაა სოფელი; თვალებით ვეპოტინებით, მაგრამ ჯერ კიდევ ახლოს არ არის. რაც უფრო წინ მივიწევთ, ისე მოგვეჩვენება, სოფელი თითქო უფრო გვშორდებაო.

ბოლოს და ბოლოს, შუადღის ხანს, მივატანეთ ჩვენს ბანაკს. არავის კი გვჯეროდა, თუ როდისმე გვეღირსებოდა იქ მისვლა.

თანაბარის ნაბიჯით, მხრებზე თოფებ-გადადებულები, შევიჯგუფენით სოფელ გოშენ-ლაბეს ქუჩაზე. პადეკალეს სოფლების უმეტესობას თითო ქუჩას მეტი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროთ ქუჩის სიგრძე რამდენსამე კილომეტრს აღემატება. სოფლის საშმართველოსთან ეს ერთი ქუჩა ორ ტოტად იყოფა, ფიწლის მსგავსად.

ველოსიპედისტები, ოფიცრები, მათი მსახური სოლდათები მოსწყდნენ ამ მოძრავ ჯაჭვს ხალხისას. შემდეგ, მიახლოვებისთანავე, ნაწილ-ნაწილ ვჩერდებით; სოლდათები საბძლებს ეძგერნენ, რათგან თვით სახლები, ჯერ კიდევ თავისუფლად დარჩენილები, ოფიცრებისა და კანცელარიებისათვის არის დანიშნული... ჩვენი მწყობრი ჯერ სოფლის ბოლოში გაიყვანეს, მაგრამ მერე გამოირკვა, რომ შეცთომით წაეყვანეთ, და ისევ სოფლის თავში დაგვაბრუნეს, იქ, საიდანაც შემოვედით.

ეს წაღმა-უკუღმა ტარება ბევრს დროს გვაკარგვინებს და ჩვენი მწყობრი, რომელსაც ასე დააწოწიალებენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ძალზე დაჰლალა ამ უნაყოფო სიარულმა, და დრტვინვას იწყებს. დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ხალხს რაც შეიძლება

ადრე გაათავისუფლებ და დააბინავებ, თუ გინდა, რომ დიდის ხნით გაზრახული და ნალოლიავები პლანი აასრულო: სოფლელთან სადმე ბინა უშოვო, სადაც სუფრაც იქნება, რომ ჰამის დროს მწყობრი გარს შემოუსხდეს. ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ამ საგანზე, იმაზედაც, თუ რამდენათ სასიამოვნო იქნებოდა ასეთი ბინა. ბოლოს, მოვილაპარაკეთ, ფულიც გავიღეთ და გადავსწყვიტეთ ასეთ ზედმეტ ხარჯის გაღებას არ დავრიდებოდით.

მაგრამ ვიშოვით კია ასეთს ბინას? საქმე ისაა, რომ უმეტესობა ბინებისა უკვე დაჭერილია. მარტო ჩვენ-კი არ ვვოცნებობთ ამ კომფორტისათვის, სხვებიც არიან... და ერთი ვაი-უშველებელი უნდა გაიმართოს ასეთ ბინის ძებნაში... ჩვენს როტას შემდეგ სამი სხვა როტაც უნდა მოვიდეს, ჩვენს მოსვლამდე ოთხი კიდეც მოსულა, და გარდა ამისა სამზარეულოებია გამართული ოფიცრებისათვის, სანიტარებისათვის, მწერლებისათვის, შოფერებისათვის, მოსამსახურე! სოლდათებისა, უნტეროფიცრებისა და სხვათათვის. ყველა ეს ხალხი უბრალო სოლდათზე უფრო ძლიერია, თავისუფლებაც მეტი აქვს და ფულიცა, ასე რომ წინდაწინვე შეუძლია მოაწყოს თავისი საქმე. და ახლა, როცა ჩვენის მწყობრის სოლდათები, ოთხ-ოთხად დაწყობილი, ჩვენთვის მიჩენილ ბოსლისაკენ მიდიან, ვხედავთ, რომ სხვები უკვე დაჭერილ ბინებს ზღურბლზე გადმომდგარან და მეოჯახეობენ.

ტირეტი ძროხასა და ცხვარს აჯავრებს:

— აჰანდე ბოსელიცა!

საკმაოდ ვრცელი საბძელია. ქვეშ დაყრილია ბზე და ფეხებით ბტვერს ვაყენებთ, იქაურობა ჰყარს, თითქოს ფეხისალაგიაო. მაგრამ რაც უნდა იყოს, გადახურული და კედლებიანი ბინაა. ჩვენ-ჩვენი ადგილი დავიჭირეთ და ტანთ გავიხადეთ.

ვინც სამოთხეში შესვლაზე ოცნებობდნენ, ერთხელ კიდევ მეტად ყურები ჩამოჰყარეს.

— შვილოსან, აქაც ისეთივეა ხრობაა, როგორც სხვაგან.
— მართალია!..
— აი, ჩვენის გაჩენის ღღეც კი დაიქცეს!
— ჰოოდე!...

მაგრამ ლაპარაკის დრო არ არის. უნდა დავფაცურდეთ და სხვებს დავასწროთ: ამისთვის მთელის ძალღონის და სისწრაფის გამოჩენაა საჭირო. ჩვენცა ვჩქარობთ. მართალია, არც წელი მოგვდევს და აღარც მუხლები, მაგრამ ვიჯაჭვებით, რადგან თუ ხელი გავანძრიეთ, ამ ერთის კვირის განმავლობაში იქნებ აღამიანურათ ვიცხოვროთ.

ჩვენი მწყობრი ორ პატრულად დაიყო და ჩქარის ნაბიჯით გაიჭრა ერთი—ქუჩის მარჯვენა მპარეზე, და მეორე—მარცხენა მხარეზე. ქუჩაზე უკვე დაძრწოდნენ გამალებული დაბინის მაძებარი სოლდათები. ყველანი ერთმანეთს აკვირდებიან, ერთმანეთსაა შინჯავენ... და მიეშურებიან. ზოგჯერ ერთიმეორეს დაეტაკებიან, დაეჯაჯგურებიან და შეუკურთხებენ კიდეცა.

— იქიდან დავიწყოთ ახლავე; თორემ ცარიელები დავრჩებით!..

ამათ რო ვუყურებ, ასე მგონია, სოლდათები ქუჩებში ერთმანეთს დაერივნენ და თავგანწირვით იბრძვიან იმ სოფელში, რომელიც, ეს-ეს არის, დავიკავეთ-მეთქი.

— ჩვენთვის, ჩემო ძმაო,—სთქვა მარტროვ,—რა საჭიროა, ომი განუწყვეტელი ბრძოლა და ჭიდილია, დაუსრულებელი, გაუთავებელი!

* *

მივადეგით ერთგან, ვაკაკუნებთ კარებს, მოკრძალებითა ვთხოვთ შეგვიშონ, ჩვენი თავი გვინდა მივაჩეჩოთ, როგორც უვარგისი, დაწუნებული რამ საქონელი. ერთ-ერთი ჩვენთაგანი ეუბნება:

— სოლდათებისათვის პატარა რამ კუთხე არ გექნებათ, ქალბატონო? ფულს მოგართმევთ.

— არა,—გვიპასუხებს ჯიასახლისი. ალმოჩნდება, რომ მის ბინაზე ან უნტეროფიცრები დამდგარან, ან კიდევ მუზიკანტები, სეკრეტრები, ფოსტალიონები, ანა ლ სანიტარები ლ სხვ.

ბედი არსად გვწყალობს. ზედიზედ ცხვირწინ მიგვიხურავენ ხოლმე გამოლებულს კარებს და ქუჩის მეორე მხარის კარების ზღურბლიდან კიდენ ამხანაგები გამოგვცქერიან უნუგეშო თვალებით.

— ღმერთო ჩემო! აბა ნახავ, თუ რამე ვიპოვოთ ამ დასაქცევში,—ბუზღუნებს ბარკი.—ვინ იკის, რა ოხერტიალები არ მოთრეულან ჩვენზე უწინ! ე მუდრეგები, ესა!

ყოველ მხრიდან ხალხი გროვდება. სამივე ქუჩა გაივსო, შემაერთებელ ჭურჭლების კანონის თანახმათ. გზა-გზა აქაურ მკვიდრთა ეხვეწებით: ზოგი მოხუცია, ზოგი კოჭლი და მაიმახია, ზოგიც უდღეურსა ჰგავს; სულ ახალგაზრდა ყმაწვილებიც არიან,—შინ ალბათ იმიტომ დარჩენილან, რომ რამე ჩუმი სატკივარი ჰქონიათ, ან კიდევ კაეშირი რამ პოლიტიკური... ბევრია დედაბერი, უფრო ბევრია ახალგაზრდა ქალი, ჩასუქებულები, ლოყებ-გაპობუშტულები, თითქო ბამბით აქვსთ პირი გამოტენილიო, თეთრ ტანს გასუქებულ ბატებივით დაარხევენ.

ერთ ალაგას, ქუჩაბანდში, ერთს ქალს მოვკარ თვალი... ჩემს წინ უცბათ გასრიალდა...

— ევდოქსია იყო! ევდოქსია, სწორეთ ის ქალი-ნუკრი, რომელსაც, როგორც მონადირე, ისე მისდევდა ლამუზი, იქ, მინდორში, და იმ დილას, როცა დაკრილი ვოლპატი და ფუიადი მიიყვანეს. ტყის პირას მოკუზული იდგა და ფრთხიალებდა და იგი ერთმანერთს უღიმოდნენ.

სწორეთ ევდოქსიაა, მზის სხივივით რომ გააშუქა ამ ქუჩაბანდში. მერე კედელს მიეფარა, და ყველაფერი ჩრდილმა დაჰფარა... მაშ უკვე გაჩნდა?! ეტყობა, ჩვენის გაწვალებუ-

ლის მგზავრობის დროს ისიც უკან მოგვდევდა! სჩანს, გული ძლიერათ მოუწევს ჩვენსკენ!

მართლა რომ მოუწევს გული: მართალია, მისი სახე, ოქროსფრად ჩამოშლილ თმებით გაბრწყინვებული, უცბათ დავინახე, მაგრამ მაინც შევამჩნიე სევდიანობა, დარდი რამ, ფიქრი.

ლამუზი კვალდაკვალ მომდევდა, მაგრამ არაფერი დაუნახავს. მეც არაფერი ვუთხარი. იგი ისედაც მალე იგრძნობს სიახლოვეს ამ ლამაზ, ცქრიალა ნადირისას, რომლისაკენ მიისწრაფვის მისი სული და გული და რომელიც გაურბის, როგორც ცთომილი ცეცხლი. ეგეც არ იყოს, ჩვენ ამჟამათ ისედაც ბევრი თავშესაცავი საქმე გვაქვს. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიპოვოთ სადმე მყუდრო სახიზნი. თავვანწირულის ადამიანის ენერგიით შევუდექით ისევ ბინის ძებნას. ბარკი ძალიან იმედს გვაძლევს. ძალზე მონდომებულია. სულ თრთის და მტვრით დაფარული თმა უცანცარებს. ცხვირი მაღლა აუწევია, თითქო სუნით ეძებსო, ისე მიგვიძღვის. მოდი, ამ ყვითლად შეღებილ კარებს მივადგეთ და ერთი უკანასკნელათ ბედი ვსცადოთო. აბა წინ, გასწით!

ყვითელ კართან მოკუზული კაცი იდგა: ბლერს ქვაზე ფეხი დაედგა და წაღებს ტალახს აცლიდა და მტვერს იბერტყავდა.. ქანდაკებას აკეთებსო, იტყოდით, რო შეგეხედნათ.

— შენი ფეხები ასეთი თეთრი თავისდღეში არა ყოფილა,—ოხუნჯობს ბარკი.

— ხუმრობა იქით იყოს,—ეუბნება ბლერი,—ხომ არ იცი, სად არის ის ფურგონი, თუ რაღაც ჯანდაბაა?

მერე აუხსნა:

— კბილის ექიმის ფურგონი მინდა ვიპოვნო, ახალი ყბები უნდა გამიკეთოს და დამპალი კბილები მომაშოროს. ასე მითხრეს, სადღაც აქ არის ყბის საკეთებელი ფურგონიო.

დანა დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და კედელს აჰყვა იმ იმედით, რომ ყბას გამიმთელებენო.

ისევ დავიწყეთ ხვეწნა-ლრეჯა.

— გამარჯობათ, ქალბატონო, ერთი პატარა კუთხე რამ ხომ არ გექნებათ, რომ სადილის ჭამა მოვახერხოთ? რაც ეღირება, ფულს მოგართმევთ, უეჭველათ მოგართმევთ... მუქთათ არ გვინდა.

— არა...

სარკმლიდან, თითქო აკვარიუმიდან იცქირებაო, ერთი კაცი გვიყურებს. ბრტყელი სახე ნაოჭებით აქვს დასერილი და მოკვაგონებს ძველ ქაღალდის დაწერილ ფურცელს.

— საძაღლე ქოხში მაინც შეგვიშვით... ძია?

— შიგ სარეცხი გვიდგას.

ბარკმა ამ შემთხვევას ხელი ჩასჭიდა:

— იქნება გამოგვადგეს. არ შეიძლება გვიჩვენოთ?

— სარეცხია-მეთქი,— ბუზღუნებს დედაკაცი და თან ოთახსა ჰგვის.

— დედიკო,— ღიმილით ეუბნება ბარკი და თან ალერსიანად უყურებს,— ჩვენ ისეთი უზდელი ხალხი არ გეგონოთ, რო თვრებიან და აყალ-მაყალს ასტეხენ ხოლმე. გვაჩვენე, ეგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, ჰა...

დედაკაცმა ცოცხი ხელიდან გააგდო. გამხდარია, ბრტყელ პირისახიანი. წამოსასხამი ისე ჰკიდია მხრებზე, თითქო ტანისამოსის საკიდელაზე არის ჩამოკონწიალებულიო. გამომეტყველების ნიშანწყალი არ ეტყობა უსიცოცხლო, კარტონს დამსგავსებულ სახეზე. ერთსხანს გვიყურებს, ყოყმანობს, მერე უგულოთ გაგვიძღვა და გვიჩვენა ერთი ძალზე ბნელი ბინა, მიწით გაგოზილი, ჭუჭყიან სარეცხით სავსე.

— ჩინებულია!— გულწრფელათ წამოიძახა ლამუზმა.

— რა ლამაზია ეს პატარა გოგონა!— ამბობს ბარკი და ხელს უტატუნებს მრგვალ, შეღებილ რეზინის ბურთის მსგავს ლოყაზე პატარა გოგონას, ამანაც თავისი გასვრილი ცხვირი მაღლა ასწია და ჩვენ გვათვალიერებს.— თქვენია, ქალბატონო?

— ესა?—ეკითხება მარტრო და პატარა ბავშვს უჩვენებს, რომელსაც ლოყები ბუშტივით გამოჰბერვია, მურაბის ნაჭამი, მტვერთან შერეული, ზედ შეხმობია და უბრწყინავს.

და მარტროს გაუბედავათ უნდა მიუალერსოს ამ გათითხნილ ბავშვს.

დედაკაცმა პასუხიც-კი არ აღირსა.

ვდგევართ და ვეღრიჯებით, როგორც ჯერ კიდევ გაუკითხავი მათხოვრები.

— ერთი დათანხმდებოდეს ეს ბებერი ქოფაკი, ესა!— წამჩურჩულა ლამუზმა; ძალიან მოწადინებული იყო ოთახი რამ გვეშოვნა და თან შიში ჰქონდა, ვაი თუ უარი გვითხრასო.—იცი, აქ მშვენივრებაა, სხვაგან კი ყველაფერი დაპერილია!

— მაგიდა არა დგას,—გვითხრა ბოლოს დედაკაცმა.

— მაგიდისას ნუ სწუხართ!—წამოიძახა ბარკმა.—აი, ძველი კარიც გდებულა კუთხეში. მაგიდად ეს გამოგვადგება.

— ჩემი ბარგი იქით-აქეთ კი არ გადამიყაროთ!—გვიპასუხა კარტონის სახიანმა დედაკაცმა ტ ეჭვის თვალით დაგვიწყო ყურება. თანაც თითქო გულში ნანობს, რატომ მაშინვე არ გავლალე ესენი აქედანაო.

— ფიქრი ნუ გაქვსთ-მეთქი, დედიკო. ნახავთ, თუ არა. აბა, ლამუზ, გაინძერი და ერთი მიშველე.

ხელათ ძველს კარს ორს კასრზე ჩამოუდვეს თავები ბებერ ტარტაროზის თვალწინ.

— ცოტათი რომ გამოვგავოთ, მშვენივრობა იქნება,— ვუთხარი მე.

— ცოცხის ჯრთი მოსმა... ტ სუფრას დაეღრება, ჩემო დედილო. ჰო, შენმა სიცოცხლემ.

ბებერმა არ იცის, რა გვითხრას; ამრეზილათ კი გვიყურებს.

— ორი ტაბურეტი-ღა მაქვს. თქვენ კი რამდენი ხართ?

— თორმეტიოდე კაცი... დაახლოვებით.

— თორმეტიო?.. ღვთისმშობელო დედაო!

— მერე რა იყო? ჩინებულათ მოვეწყობით ფიცარი ხომ არის და საჯდომის გაკეთება რა ბედენაა! ხომ, ლამუზ?...

— მაშა!—ამბობს ლამუზი.

— ეს ფიცარი მე მინდა,—გვეუბნება დედაბერი.—აქ თქვენზე წინათ რომ იყვნენ სოლდათები, წართმევა მომინდომეს.

— რას ამბობ, დედი, ჩვენ ხომ ქურდები არა ვართ. ღმერთმა დაგვიფაროს შენსას ოასჰე ხელი ვახლოთ. წართმევა რა საკადრისია,—ამშვიდებს ლამუზი და თან ცდილობს გული არ მოაყვანინოს ამ არსებას, რომლის ხელშიაც ჩვენი ბედი იყო.

— არა, მე ამას არ გეუბნებით, მაგრამ ხომ იცით, სოლდათები რა ხალხიცაა,—ყველაფერს აოხრებენ. ვაი, როგორ დაგვაქცია და დაგვანელა ამ ომმა, როგორ დავიღუპენით!...

— მაშ ასე. რა იქნება ქირა სასადილოსი და აგრეთვე ღუმელზე თუ რისამე გაცხელება მოგვინდა, იმისიც?

— დღეში ერთი ფრანკი,—უგემურათ გვიპასუხა დიასახლისმა, თითქო ეს ფული მისი გადასახდელი ყოფილიყოვო.

— ცოტა ძვირია, დედიჯან,—ეუბნება ლამუზი.

— წინათ რომ აქ იყვნენ, ისინი ამდენს მაძლევდნენ და თან ისეთი გულკეთილებიც იყვენ, რომ მათგან საჭველიცა გვქონდა. მე ვიცი, რომ სოლდათებს ამ ფულის მიცემა არ გაუჭირდებათ, თუ ძვირათ მიგანჩნიათ, საცა უფრო იაფად ნახოთ, იქ მიბრძანდით, მე კი სხვებს ვიშოვნი ამ ოთახის, ამ მაგიდის და ღუმელის მქირავებლებს, და ამასთან ალარც თორმეტნი იქნებიან, თქვენსებ. აქეთ მეხვეწებიან, —შენი ჭირიმე, მოგვაქირავეო. რომ მინდოდეს, მეტსაც მომცემდნენ. არა, თქვენ ისა სთქვით, თორმეტი კაცი!...

— ისე ვთქვი, რაღა, ძვირია-მეთქი; მაინც რა გაეწყობა,—საჩქაროთ უპასუხა ლამუზმა,—თქვენ რაღას იტყვით, პიჭებო?

ლამუზი ისე, ფორმისთვის, დაგვეკითხა. რა თქმა უნდა, ყველანი დავეთანხმენით.

— ახლა თითო ჭიქა ღვინოც დავლიოთ,—სთქვა ლამუზამ.— გასაყიდი ღვინო ხომ გექნებათ?

— არა მაქვს,—უპასუხა დედაკაცმა.

და თან გაკაპასებულმა დასძინა:

— ხომ იცით, ვისაც ღვინო აქვს, ლიტრი ხუთმეტ სუდ უნდა გაჰყიდოს,—ასეთია სამხედრო უფროსების ბრძანება. ხუთმეტი სუ!..აბა რა სათქმელია, დედავ და თვალო! ამისთანა უბედურება თუ რამე იქნება! წყალია, რომ ხუთმეტ სუდ გაიყიდოს ღვინო? არა, ღვინოს არა ვყიდი. ჩვენთვის კი მაქვს, ღვთის წინაშე. ვერც იმას ვიტყვი, რომ ჩანდისხან ნაცნობებს არ ვაძლევდე ღვინოს, პატივსაცემლათ, ისეთებს, რომელნიც შეგნებულნი არიან, მაგრამ ხუთმეტ სუდ? ვუი, დამიდგეს თვალები! ხუთმეტ სუდ როგორ მივსცემ, როგორ იქნება!..

ლამუზი ისეთებს ეკუთვნის, ვინც შეგნებულნი არიან. ჩამოიხსნა ბიდონი, რომელიც ჩვეულებრივ გვერდზე აქვს ხოლმე ჩამოკიდებული.

— ერთი ლიტრი გადმომისხი. რამდენი ეღირება?

— ოცდაორი სუ, მე თვითონ მიზის ამ ფასად. მაგრამ ამას თქვენის პატივისცემისათვის ვშვრები, რათგან სამხედრონი ხართ.

ბარკი თითქმის გამოვიდა მოთმინებიდან, თავი მიიბრუნა და რაღაც დაიბუზღუნა. დედაკაცმა ანჩხლიანის თვალებით გადახედა ბარკს და ლამუზს თავისი ბიდონი ცარიელივე უნდა დაუბრუნოს.

მაგრამ ლამუზს ღვინის მოლოდინში უკვე ნერწყვი მოსულიდა პირში, ლოყები აუკვერდა, თითქო დალია კიდეცა და სასმელი აუვარდა თავშიო; საჩქაროზე ჩაერია საქმეში:

— ნუ გეშინიანთ, დედი, ეს ჩვენს შორის დარჩება, არ გაგცემთ.

დედაკაცი ისევა ლანძღავს ღვინოზე დაწესებულ ახალს

ტარიფს. ლამუზს ღვინის დალევის ჟ-ნი იმდენათ მოჰრია, რომ სინიდისზედაც კი ხელი აიღო და დედაკაცს ეუბნება:

— რა ყურს უგდიბ, დედი, სამხედრონი არიან, და ხომ იცი, სამხედრონი შეუგნებელი ხალხია.

სარდაფში ჩაგვიყვანა; შიგ სამი უშველებელი კასრი სდგას.

ეს სულ პირადათ თქვენთვისა გაქვსთ მომარაგებული?

— დედაბერმა, შვილოსა, თავისი საქმე იცის.

როკაპი გულმოსულათ მოტრიალდა.

— ქა, ის ხომ არ გინდათ, წყეულ ომს თან გადავყვეთ! განა ისედაც ცოტა ფული გვეკარგება ზოგი რისთვისა, ლ ზოგიც რისთვის.

— მაგალითად რისთვის? — ჩააცივდა ბარკი.

— როგორ გეტყობათ, რომ თქვენს ფულს შიში არაფრისა მოელის!..

— არა, ფულისა რა მოგახსენოთ და ჩვენს სიცოცხლეს კი მოელის...

შეგვეშინდა, ვაი თუ ამ ლაპარაკში უღვინოდ დაგვტოვოსო და საქმეში ჩავერიენით. ამასობაში სარდაფის კარი შეინძრა და მის უკანიდან კაცის ხმა გამოვიდა:

— პალმირა, ჰა!

დედაკაცი კოჭლობით წავიდა და ყოველისავე შემთხვევისათვის კარი ღია დააგდო.

— დავიღუპენით! — გვეუბნება ლამუზი.

— რა თავლაფდასხმული ხალხია! — იძახის აღელვებული ბარკი, რომელსაც საშინლათ აბრაზებს ასეთი დახვედრა.

— ეს ღორობაა, უსინიდისობაა, — იძახის მარტრო.

— თითქო პირველადა ხედავდე ასეთებს!

— ლამუზ, შე რალა ღმერთი გაგიწყრა! — აყვედრის ბარკი. — როგორ არა გრცხვენია, სამხედროებზე რომ ასე ამბობ! შე კაი კაცო, ნამუსი რა უყავი?

— ნეტავი შენა! მა რა მეთქვა? ასე რო არ მეთქვა,

მაშინ ხომ უნდა გამოვეხოვებოდით მაგიდასაც და სხვა ყოველ სიკეთესა. ორმოცი სურომ მოეთხოვნა ღვინოში, მაინც ხომ მივცემდით. ხომ მართალს ვამბობ? მაშასადამე, უნდა ბედნიერებად ჩავთვალოთ ჩვენი თავი, რომ საქმე ასე მაინც მოეწყო. მართალია, ცოტა მეტი მომივიდა, მაგრამ სხვა გზა არა მქონდა, მეშინოდა, ჩვენი საქმე არ გაფუჭებულიყო.

— ასეა, ჩემო ძმაო, ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივე ამბავია. მაგრამ მაინც...

— ვინც შინ დარჩენილია, თავისს საქმეს აკეთებს. ბევრია, მდიდრდება კიდეცა.

— სხვანაირათ როგორ იქნება! ყველა ხომ ვერ წავა ომში...

— ამ აღმოსავლეთ პროვინციებში ხალხი რომ ყოფილა, ამისთანა ღმერთმა შეინახოს!

— ჩრდილოეთ პროვინციების მცხოვრებნი ნეტავი რიღათი არიან უკეთესნი?..

— ფიანდაზად არავინ გვეგებოდა ფეხ-ქვეშ!..

— ხელებს კი გვიშვერდნენ, მათხოვრებივით... რაც მართალია, მართალია.

— მაინც, გეუბნები,—იმეორებს მარტრო,—სირცხვილი და თავლაფდასხმაა.

— ჩუმათ! აი ძროხა მოეთრევა.

ბანაკში დავბრუნდით და ამხანაგებს ვახარეთ ჩვენის გამარჯვების ამბავი. მერე სასყიდლებისათვის გაესწიეთ. როცა ჩვენს ახალს სასადილოში დავბრუნდით, ყველა ფაცა-ფუცში იყო და საუზმეს ამზადებდა. ბარკი წავიდა, საცა სურსათს არიგებდნენ. სურსათის დამრიგებელი პრინციპალურათ წინააღმდეგი იყო სოლდათებისათვის გაუკეთებელ საშლის მიცემისა, მაგრამ რათგან ბარკი იმასთან კარგათ იყო, ჩვენის მწყობრის ხუთმეტ კაცს მოგვცეს ჩვენი ხვედრი კარტოფილი და ხორცი.

გზაში ბარკს ღორის ქონი ეყიდნა თოთხმეტ სუდ კარ-

თოფილის მოსახრაკავათ. მუხუდოს კონსერვიც ეყიდნა ერთი კოლოფი. ხბოს კონსერვის კოლოფი, მენილ ანდრეს რომ ეკუთვნოდა, საუზმეს წინ უნდა გაგვეხსნა.

ყველაფერი კოხტად გვექნება, სუფთათ, უზიზილ-პიპილოთ!—წამოიძახა გახარებულმა ლამუზმა.

* * *

სამზარეულო დავათვალიერეთ. ბარკი, სიხარულისაგან ცათაფრენაშემდგარი, თავს დასტრიალებდა თუჯის ღუმელს, რომელსაც, გახურებულს და ოხშივარამაყალს, სამზარეულოს ერთ მხარე ეჭირა.

— ჩუმათ ერთი ქვაბიც შემოვდგი წვნისათვის,—წამჩურჩულა ბარკმა.

ქვაბს სარქველი აჰხადა და მიჩვენა.

— ცეცხლი სამყოფი არა აქვს. ნახევარი საათი მეტია, რაც ხორცი ჩავყარე და წყალი ისევ წმინდაა.

ცოტა ხანს უკან მისი ლაპარაკი მოგვესმა დიასახლისთან. დედაკაცი ბუზღუნებდა: ზედმეტი. ქვაბი რათ დასდგრთ, ხომ იცით, ჩემს ღუმელზე მეტი ადგილი არ არის; აკი მითხარით, ერთს ქვაბზე მეტს არ დავდგამთო, და მეც დაგიჯერეთ; მე რო მცოდნოდა, რომ ასე იქნებოდა, ამ ოთახს არც-კი მოგაქირავებდითო. ბარკმა ხუმრობაში ჩაუტარა ყველაფერი და როგორც იყო დაამშვიდა ეს ჯოჯოხეთის მაშხალა დედაკაცი.

ამხანაგები თითო-თითოდ მოგროვდნენ. თვალებით ანიშნებდნენ ერთმანეთს, რა კარგიაო, ხელებს იფშვენტდნენ, გემრიელი სადილი გვექნებაო. თითქო ქორწილში სტუმრად არიანო.

გარეთ მდგარ სინათლეს შემდეგ ამ ბნელ სასადილოში შემოსულნი პირველათ ვერაფერსა ხედავენ და ერთხანს დაბნეულნი დგანან, ბუსებ.

— ღვთის წინაშე, მაინც და მაინც დიდი სინათლე არ არის ჩვენს სასადილოში,—ამბობს მენილ ჟაზეფი.

— კარგი ერთი, შენს ლხენას! მეტი რა სინათლე გინდა, რომ არ ვიცი!

ყველანი ერთხმად იძახინ:

— აქ პირდაპირ საუცხოოა!

ამ სარდაფის სიბნელეში ყველანი თავებს აქნევენ თანხმობის ნიშნად.

ამასობაში ერთი ინციდენტიც მოხდა: მარცხათ ფარფადე კედელს გაეხახუნა, სოველსა და ჭუჭყიანს, კედლის ჭუჭყი მხრებზე შავ განიერ ლაქად დააჩნდა და მერე ისე, რომ ამ სიბნელეშიაც კი სჩანს. პეწენიკი ფარფადე ბუზღუნებს და ცდილობს მეორეთ არ დაემართოს ასეთი მარცხი, ისე მაგიდას დაეჯაჯგურა და ხელიდან კოვზი გაჰვარღა. დაიკუზა და ხელების ფათურით ეძებს ოღრო-ჩოღრო მიწაზე, რომელსაც მთელ წლების განმავლობაში სქელ ფენად დასდებია მტვერი და ობობას ქსელი. როცა კოვზი იპოვა და დახედა, ნახშირში იყო ამოგანგლული და ობობას ქსელი ძაფებივით დაჰკიდებოდა. ცხადია, რომ მთელი უბედურებაა აქ ვისმე რამე ხელიდან გაუვარდეს და ძირს დაეცეს. დიდი სიფრთხილეა საჭირო აქ მდგომთათვის.

ლამუზმა ორ თეფშ შუა მაგიდაზე ხელი დასდო, გაქონილი, ლორის მსგავსი.

— აბა, ბიჭებო, სუფრას მოვუსხდეთ.

შეუდექით ჭამას. საჭმელი ბლომადა გვაქვს და სულ რჩეულია. ლაპარაკის ხმას ყერთდება ხმაურობა დაცარიელებულ ბოთლებისა და ყბების მოძრაობისა. ყველანი სტკბებიან, რომ სადილსა სჭამენ და იმითაც, რომ სადილს სუფრას შემომსხდარნი სჭამენ. ჭუპრუტანიდან მზის სხივი შემოდის და მტვრიან ზოლში გაჰხვია ერთი ნაწილი იქაურობისა და მაგიდისა, გააშუქა ერთის კაცის თეფში, ქუდის თვალსაფარი და თვალები. ქურდულათ ვუყურებ ამ ღარიბულ ნადიმს, სადაც გულიანათ ქეიფობენ.

ბიკემ ამხანაგებს უამბო თავისი თავგადასავალი მოსარეცხის ძებნაში; „როგორც იყო, დავთანხმდა, გაგირეცხავო, მაგრამ ძალიან ბევრსა მთხოვს ის არგასახარელიო". ტულაკი კიდენ მოუყვა, თუ რა კუდია გაკეთებული მედუქნესთან: შიგ არავის უშვებენ და გარეთა დგანან ცხვრებივითო.

— გარეთ ხომ დგეხარ და დგეხარ, მაგრამ თუ ჩუმათ არა ხარ და ბუზღუნი დაიწყე, იქაც არ გაყენებენ და გეუბნებიან, აქაურობას გაეცალეო.

აი კიდევ ახალი ამბებიცა. ბრძანება გამოსულა, თუ მცხოვრებთ მათს ნებადაურთველად რამე გამოართვით, სასტიკათ დაისჯებითო. დასჯილთა მთელი სია უკვე ჩამოწერილი. ვოლპატი წაიყვანეს საექიმოთ. 1893 წლის ჯარისკაცები ზურგში არიან წაყვანილები; პეპერიც მათს შორისაა.

ბარკვა შემწვარი კართოფილი შემოგვიტანა და თან გვითხრა,—ჩვენს დიასახლისთან სუფრაზე სოლდათებიც არიანო: ტყვიისმტყორცნელთა სანიტარებიო.

— იმათ ეგონათ, დიასახლისთან უკეთ მოვეწყობითო, მაგრამ ის-კი არ იციან, რომ ჩვენ იმათზე უკეთ მოვეწყეთ,— სთქვა ფუიადმა დარწმუნებულის კაცის სახით და თან სიამოვნებით მიჰოავლო თვალი ჩვენს ვიწრო და ბინძურ ბინას, რომელიც სულ ერთი ბეწოთი თუღა სჯობდა სანგრებს და რომელშიაც ისევ ჭერეხებივით ვიყავით ერთიმეორეზე დაყრილნი (მაგრამ ბიჭი იყო და ვისმე გაებედნა, ეს ორი ადგილი ერთიმეორისათვის შეეღარებინა!).

— იცი, მე 9 როტის ბიჭები-კი მშვენივრათ მოწყობილან, მე და ჩემმა ღმერთმა,—სთქვა პეპენმა.—რომელღაც ბებერ დედაკაცს მუქთათ შეუშვია იმიტომ, რომ მისი ქმარი, ამ ორმოცდათ წელს წინად გადაცვლილი, თავის დროზე ვოლტიჟორად *) ყოფილა. მგონი ერთი შინაური ყურდღელიც მიუცია, და ახლა გამალებულნი სჭამენ.

*) 1870 წელს წინათ საფრანგეთში რჩეული ლაშქარი იყო ერთგვარი, სადაც პატარა ტანის სოლდათები მსახურებდნენ და ვოლტიჟორები (მესროლნი) ერქვათ.

— კარგი ხალხი ქვეყანაზე არ გამოილევა. მაგრამ მე-9 როტის ბიჭებს მაინც ბედ. ჰქონიათ, რომ მთელს სოფელში მარტო ისინი წააწყდნენ კეთილ ხალხს!

პალმირამ თავის ხელით მოხარშული ყავა მოგვიტანა. ცოტა დაგვიშინაურდა, ყურს გვიგდებს და ქედმაღლურის კილოთი რაღაებსაც გვეკითხება კიდეცა:

— ადიუტანტს „მცერიანს“ რათ ეძახით?

ბარკი იგავებით მოლაპარაკე ადამიანის კილოთი უპასუხებს:

— სულ ასეთი იყო.

ქალი რო წავიდა, მის ყავის სიავ-კარგის დაფასებას შევუდექით:

— ყავა კი არა, მღვრიე წყალია რაღაცა! შაქარი ხომ სამთლით უნდა ეძებო ჰიქას ძირში.

— მერე ამაში ათ სუს გვართმევს, ე სულძაღლი ეგა!

— წყალია ნამდვილი

კარი შემოიღო და სინათლის ზოლი შემოვიდა; გამოჩნდა ერთ პატარა ბიჭის სახე. ხელებით ეუბნებიან — მოდიო ისე, როგორც კატას უძახიან ხოლმე, და შოკოლატის ნატეხს აძლევენ.

— შარლო მქვიან, — ტიტინებს ბავშვი. — ჩვენი სახლი აქვეა. სოლდათები ჩვენცა გვყავს. ჩვენთან სულმუდამ არიან. რაც უნდათ, ყველაფერს ყიდულობენ ჩვენგან. ხანდისხან დათვრებიან კიდეცა.

— მოდი ჩემთან, ჩემო ბიჭუნა, — ეუბნება კოკონი და ბავშვი მუხლებ შორის ჩაიყენა. — ყური დამიგდე. მამა შენი ხომ ამბობს: „ნეტავ ომი გაგრძელდესო.“ ხომ ასე ამბობს, ჰა?

— მაშ! — უპასუხა ბავშმა თავის კანტურით. — ბევრ ფულსა ვშოულობთ. მამამა სთქვა, მაისის გასულისათვის ორმოცდათი ათასი ფრანკი გვექნებაო.

— ორმოცდათი ათასი ფრანკი? — მართლა?

— მართლა, მართლა! — ტიტინებს ბავშვი. — დედას ეუბნებოდა. მამა სულ იმასა ნატრობს, ომი არ გათავდებოდესო.

დედამ კი არ იცის, რომელი სჯობია; ამიტომ რომ ჩემი ძმა ადოლფი ომშია. მაგრამ მალე ზურგში წაიყვანენ და მაშინ დეე გაგრძელდეს ომი.

ამ დროს ჩვენის მასპინძლების სადგომიდან ყვირილი მოისმა და საიდუმლო ლაპარაკი შეგვაწყვეტინა. ბიკე აჰბის გასაგებათ წაიღა.

— არაფერია,—სთქვა დაბრუნებულმა,—ქმარი უჯავრდება თავისს დედაკაცს: არაფრის გაკეთების შნო მოუცია შენთვის ღმერთსაო, კვანჩხში მდოგვი რო ჩაგიყრია, თვალები სადა გქონდა, შე გადაყრუებულოვო.

სუფრიდან წამოვიშალენით და გამოვედით მიწის ქვეშეთიდან, საცა ბული ტრიალებდა ჩიბუხებისა, ღვინისა და ყავისა. ზღურბლს გადავაბიჯეთ თუ არა, სამზარეულოდან სახეში შემოგვბერა მძიმე ბულმა, მოხრაკულ კარტოფილის სუნით შეზავებულმა. როცა კი კარს გავაღებთ, სულ ასეთი ბული გამოდის იქიდან.

გავიარეთ შავ ღრუბლად დაფენილ ბუზებ შორის, რომელთაც შავ ფენებად დაფარული აქვსთ კედლები და ადამიანის გაცლაზე ბზუილით წამოიშლებიან ხოლმე.

— ეგ არის, წლეულსაც შარშანდელივით უნდა იქნეს... გარედან ბუზები, შიგნიდან — ტილები!..

— და შივნით, უფრო ღრმათ, კიდევ ათასგვარი მიკრობები.

ამ პატარა, ჭუჭყიან, ყოველგვარ ხარახურათი და მტვრით სავსე სახლის ერთს კუთხეში, ავეჯსა და ჯამ-ჭურჭელს გვერდით რაღაცა ინძრევა: მოხუცებული კაცია, წაგრძელებულ, ბანჯგვლით დაფარულ, დაჯირჯვებულ და გაწითლებულ კისრიანი, გეგონებათ რამე სენისაგან ბუმბულგაცვენილ ქათმის კისერიაო. სახეც ქათმისა აქვს: ნიკაპი არ უჩანს, ცხვირი წაგრძელებული; ჰაღარა წვერი, ჯაგრის მსგავსი, ნაფოტივით მიჰკვრია ჩავარდნილ ლოყებს; დიდი მრგვალი ქუ-

თუთოები სარქველივით ასდის და ჩამოსდის ამორეცხილ, შუშის მსგავს თვალებზე.

ბარკს უკვე ნანახი ჰყოლია:

— შეხე ამ მოხუცსა: ზინეთს დაეძებს. ამ სახლში სადღაც არის დამალულიო. წამდაუწუმ დაოთხდება და ყველგან კუთხეებში დაეძებს.

მართლაც, ხელში ჯოხი რამ უჭირავს და იმის შემწეობით გულდასმით უკაკუნებს კედლებსა და იატაკსა. სახლში ვინც გაივლიდა და გამოივლიდა, ან კიდევ შემოვიდოდა, უეჭველათ მას უნდა მოსდებოდა, პალმირას ცოცხიც მასა ხვდებოდა. პალმირა არ უშლიდა ძებნას, ალბათ ჰფიქრობდა, რომ საეჭვო საპოვნელ ზინეთის ძებნას სჯობდა გაჭირებულ ხალხის მდგომარეობით ესარგებლნა და ეყვლიფა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა.

ორი დედაკაცი სარკმლის ახლო იდგა და დაბალის ხმით ერთმანეთს ელაპარაკებოდა კედელზე დაკიდებულ და ბუზებით დაფარულ რუსეთის ერთ ძველ რუკასთან.

— მართალია, ქა, მაგრამ პიკონის სასმელს უნდა გაუფრთხილდე, — ტუტუნებდა ერთი.—თუ ცოტა ეშმაკურათ არ დაასხი, ბოთლში თორმეტი ჭიქა არ გამოგივა და ხეირი არ იქნება. იზარალებ-მეთქი, არ გეუბნები, მაგრამ ვერც ბევრს არას მოიგებ. რომ ამ საქმეს ეშველოს, საჭიროა გამყიდველებმა ყველამ მოვილაპარაკოთ და ერთი პირი შევკრათ, მაგრამ უბედურებაც ისაა, ყველას ვერ დაიყოლიებ მაშინაც კი, როცა ამას საერთო ინტერესი მოითხოვს!

გარეთ საშინლათა ცხელა, ამას ემატება აუარებელი ბუზი. ეს მწერი ამ რამდენსამე დღეს წინათ იმდენი არ იყო, მაგრამ ახლა საშინლათ გამრავლდა და ყველგან გაახშირა ბზუილი. ჩემთან ერთათ ლამუზიც გამოვიდა. სადმე სახეტებლათ წამოველიით. დღეს თავისუფლები ვართ, სრული დასვენება გვაქვს მონიჭებული, რათგან მთელი ღამე გზაში ვიყავით. შეგვეძლო დაგვეძინა, მაგრამ ვამჯობინეთ ამ დასვენე

ბით გვესარგებლნა, რომ თავისუფლათ გვესეირნა: ხვალ ისევ ვარჯიშობა და სხვადასხვა სამუშაო დაგვეწყება..

თორეს სხვებიც არიან, ჩვენს ბედს რომ შემონატრიან, ისეთები,—იგინი უკვე შეუყენეს სამუშაოს.

ლამუზმა კორვისარს უთხრა, წამოდი, ერთათ გავისეირნოთო, მაგრამ კორვისარმა ჩამოგრძელებულ სახეზე ბოთლის პირსაცობის მსგავსად ორიზონტალურათ დაკოსებულ ცხვირს ჩიჩქნა დაუწყო და უთხრა:

— არ შემიძლია! საწმენდი მაქვს.

თანაც აჩვენა ნიჩაბი და ცოცხი, რომელთა შემწეობით ქედლების გაყოლებაზე უკვე მობინძურებული ადგილები უნდა გაეწმინდა.

მძიმეთ ვადგამთ ნაბიჯებს. ნაშუადღევის პაპანაქება სიცხე ჩამოსწოლია მთვლემარე მინდორ-ველს და გვიმძიმებს კარგ საპმლით ამოვსებულ კუჭს. იშვიათათ თუ ვეუბნებით ერთმანერთს რასმე.

შორიდან ყვირილი მოისმის: ბარკს მთელი ხროვა დახვევია დიასახლისებისა. ამ ჩხუბს უყურებს ერთი პატარა უფერო გოგო, რომელსაც თმები კისერზე ერთად შეეკრა პატარა ნაწნავებად, და ლოყები მუწუკებით დაჰფარვია. მასვე უყურებენ თავიანთ კარ წინ ჩრდილში დამსხდარი ქალები, ხელსაქმის კეთებაში გართულნი.

გაიარა ჭექვსმა სოლდათმა. ტანისამოსის დამრიგებელი კაპორალი მიუძღვისთ და მიაქვსთ მთელი გროვა ახალ ფარაჯებისა და წაღებისა.

ლამუზმა თავისს დახეულ და ათასგან დაკერებულ წაღებს დაიხედა:

— რა საჭიროა, ერთი წყვილი წაღები მეც უნდა მარგუნონ, თორემ საცაა თითები გარეთ გამოჰყოფს თავს!.. ღმერთი არ არის, ფეხშიშველა ხომ არ უნდა ვიაროთ!.. ჰა?

ჰაერში აეროპლანი ჭრიალებს. ვუყურებთ მისს მოძრაობას თავაღებულნი, კისერწაგძელებულნი, მზის სხივებისაგან თვა-

ლებაცრემლიანებულნი. როცა ასევ ძირს დაეუშვით თავები, ლამუზი მეუბნება:

— იცო, რა გითხრა: ამ მანქანებისა არა მწამს რა, მაგათგან ხეირი თავისდღეში არ იქნება.

— აბა რას ამბობ! იმდენად გააუმჯობესეს, იმდენი ახალ ახალი გამოიგონეს... მერე ისიც სულ მოკლე ხანში..

— მაგრამ ამას იქით ვერ წავლენ! უკეთესს თავისდღეში ვერ მოიგონებენ, თავისდღეში!..

ამ ხელად არ ავუხირდი ამ უვიცს კაცს. დღე ჩემმა ამხანაგმა ჯიუტურათ იფიქროს, რომ ინდუსტრიისა და მეცნიერების გასაოცარი ცდა, მისის აზრით, უნაყოფოა-მეთქი.

მერე თავი ჩემკენ დახარა და შეეცადა ჩემთვის თავისი გულის სიღრმეში დამალული აზრი გაეზიარებინა და განაგრძო.

— იცი? ევდოქსია აქ არის.

— მართლა?

— ჰო, ჩემმა მზემ. შენ ხომ შენს დღეში ვერასფერს შეამჩნევ, მე-კი დავინახე (ლამუზმა თავმდაბლათ გამიღიმა). რაკი აქ მოვიდა, ცხადია, ვინმე უყვარს, ასე არ უნდა იყოს? ალბათ ჩვენს შორის არის მისი გულის სატრფო და იმიტომაც გამოგვყვა. ხომ ასეა?

მერე განაგრძო:

— მოდი, რაც იქნება, იქნება, გეტყვი: მე მომდევს.

— დარწმუნებული ხარ, ჩემო ლამუზ!

— ჰო,— ყრუდ მიპასუხა ხარ-კაცამ.—ჯერ ეს ერთი, მომწონს ეგ ქალი. მეორედ ისა, რომ ორჯელ გადამეღობა გზაზე, სწორედ გზაზე, ხომ გესმის? აკი თავი აგარიდა და გაგექცაო, მეტყვი; მართალია, გამექცა, მაგრამ შერცხვა და იმიტომ, ჰო ჩემმა მზემ.

შუა ქუჩაში დადგა და პირდაპირ დამაცქერდა. მსხვილ სახეზე ლოყებსა და ცხვირს ქონი ჰქონდა მორეული და ულაპლაპებდა. სერიოზულათ გამოიყურებოდა. თავისი და-

ჯირჯვებული მუშტი დაგრეხილ, მტკ-ყვითელ ულვაშებზე გადაისვა ნაზად. მერე განაგრძო თავისი გულის გადაშლა.

— მართალია, მიყვარს, მაგრამ ჯვარსაც-კი დავიწერდი, იცი? ევდოკსია დუმაილ ჰქვიან. წინათ არა ვფიქრობდი შემერთო. მაგრამ როცა მისი გვარი გავიგე, ასე მეგონა, სულ სხვა ქალი გახდა-მეთქი და ახლა მზათა ვარ შევირთო კიდეცა. დასწყეველოს ღმერთმა, რა ლამაზია. გასაქროლი! სილამაზე კიდევ არაფერი... ოჰ!..

ჩემს მსხვილ ამხანაგს მთელი მგრძნობიარობა მოაწვა, ჰღელავს და ცდილობს თავისი გრძნობა სიტყვებით გამოხატოს.

— ჩემო კარგო, ხანდისხან ისეთნაირად მომიელის ჟინი, რომ ჩანგლებით უნდა დამიჭიროს კაცმა,—ტკეპნით წარწარმოსთქვა ამხანაგმა თვისის მორუხრუხე კილოთი და სისხლი მოაწვა ლოყებსა და სქელ კისერზე.—ღმერთო! რა ლამაზია, რა ლამაზი, რომ იცოდე... მე-კი... სხვებს ასე ცოტათი ჰგავს... დარწმუნებული ვარ, შენც შენიშნავდი ამას. შენ ხომ ყველაფერს შენიშნავ ხოლმე... გლეხის ქალია, მართალია, მაგრამ რალაცაა მასში ისეთი, რაც კოხტა, მშვენივრათ ჩაცმულ-დახურულ პარიზელ ქალსაც კი გაახუნებს, ხომ კი? ჩემი ევდოქსია... მე-კი...

მოწითანო კოპები შეეკრა. ძალიან უნდოდა გამოეხატნა მთელი სიმშვენიერე ამ ქალისა, მთელი მომხიბვლელობა თავისის გულისნადებისა. მაგრამ ცოდნა აკლდა სიტყვებით გამოეხატნა, რაც გულში ჰქონდა, და გაჩუმდა; მარტო რჩებოდა და ვერ ახერხებდა თავისი გრძნობა გამოეთქვა, მუდამ სარტო, თავის და უნებურათ. /

...ერთი-მეორის გვერდით მივდიოდით სახლების გაყოლებაზე. კარებ წინ ღვინის კასრებით დატვირთული ურმები იდგა. ქუჩაში გამომავალ ფანჯრებში ფერად-ფერადი კოლოფები მოსჩანდა სხვადასხვა კონსერვებისა, აბედის გრეხილების კონები, ერთის სიტყვით ყველაფერი, რის ყიდვაც სოლდათსა სჭირია ხოლმე. თითქმის ყოველი გლეხი ეაჭრობდა ყოველ-

გვარ საქონლითა. ადგილობრივი ვაჭრობა ნელ-ნელა ვითარდებოდა; ნაგრამ ახლა უცბათ ფრთა გაშალა; ყველა ვაჭრობას მიეტანა, მოგების სურვილით აღტყინებული, ყველას გამდიდრება სწადდა.

ზარების რეკვა გაისმა. პროცესია გამოჩნდა. სამხედროს ვისმე ასაფლავებდნენ. ურემზე კუბო ესვენა, დროშაში გახვეული. კუბოს მოჰყვებოდა სოლდათების რაზმი, ადიუტანტი, ერთი მღვდელი და ერთიც მოქალაქე.

— რა საცოდავათ ასაფლავებენ, უკაცოდ! — წამოიძახა ლამუზმა. — აქ ახლოს ლაზარეთია. ნელ-ნელა კი ცარიელდება... რას იზამ... ბედნიერია, ვინცა კვდება. მაგრამ მხოლოთ ხანდახან, სუყოველთვის არა... ჰო, ჩემჰა მზემ!...

უკანასკნელ სახლსაც გავუარეთ. ქუჩის ბოლოში, მინდვრათ, პოლკისა და საბრძოლი ურმები გაჩერებულა: სამხედრო სამზარეულოები, ყოველგვარ მასალით დატვირთული ურმები, წითელ ჯვრის ურმები, საბარგო ავტომობილები, ფოსტალიონის ურემი, ბზე-თივის ურმები.

შოფერებისა, გამცილებლებისა და კონვოების კარვები ურმებს გარშემო დაუციათ. თავისუფალ ადგილებზე, კარვებსა და ურმებს შუა, დაბმული ცხენები თავიანთის შუშის თვალებით ცის ნაჭერს შესცქერიან. ოთხი ჯარისკაცი მაგიდასა სდგამს. გაშლილ ჰაერზე გამართულ სამჭედლოს კვამლი ასდის. ეს აჩრელებული ბანაკი დატკეპნილ ველზეა გაშლილი. მისი მრავალრიცხოვანი კვლები სიცხისაგან ამომშრალა, ხოლო გვერდები ათასგვარ სიბინძურითა და საჭმლის გადაყრილ ნარჩენებითაა დაფარული.

ბანაკის ნაპირას სხვებში თვისის სისპეტაკით და სისუფთავით ირჩევა ერთი თეთრად შეღებილი დიდი ფურგონი. გეგონებოდათ, სადმე ბაზრობაში ვარო — ეს კიდევ მოძრავი ოთახია, სხვა და სხვა გასართობის საჩვენებელი და შიგ შესასვლელათ უფრო მეტს ახდევინებენ, ვიდრე სხვაგანაო.

ეს ფურგონი სწორეთ ის კბილის საექიმო ფურგონია, ბლერი რომ ეძებდა.

ბლერიც სწორეთ აქა დგას და ფურგონს ათვალიერებს. ეტყობა, უკვე დიდიხანია გარშემო უტრიალებს და შინჯავს. დივიზიონის სანიტარი სამბრძეზი სოფლიდან ახლა დაბრუნებულა და შეღებილ ფიცრის მსუბუქ კიბით ფურგონის კარისაკენ მიდის. ამოღლიავებული აქვს ერთი კოლოფი მეტად მსხვილ ბისკვიტებისა, ერთი ფუნთუშა და ერთი ბოთლიც შამპანურ ღვინისა.

ბლერი ეკითხება:

— ერთი მითხარ, ბატონო დუნდულავ, კბილის ექიმის ფურგონი ხომ ესაა?

— ზედვე არ აწერია?—უპასუხა სამბრძეზმა, დაბალმა, ჩამრგვალებულმა კაცმა, სუფთათ ჩაცმულმა, წვერულვაშ გაპარსულმა, თეთრ და თითქო გახამებულ ნიკაპიანმა.—თუ ნაწერსაც ვერა ხედავ, დანტისტს კი არა, ბეითალს უნდა მიმართო, რომ თვალები ამოგიფშვნიტოს.

ბლერი უფრო ახლო მივიდა ფურგონთან და თვალიერება დაუწყო.

— ალბათ მემასხარაეებიან!—ამბობს თავისთვის.

მერე კიდევ მიუახლოვდა, ისევ მოშორდა, ყოყმანი დაიწყო და ვერ გაებედნა თავისი ყბა ფურგონში შეეთრია. ბოლოს, როგორც იყო, გადასწყვიტა, ცალი ფეხი კიბეზე შესდგა და კარებში შეეიდა.

* * *

სეირნობას განვაგრძობთ... დავადექით ერთ ბილიკს; ბილიკს იქეთ-აქეთ მაღალი ბუჩქები მტევრმოყრილია. ხმაურობა მისწყდა. ქათქათა სინათლე ეფინება არე-მარეს, აშრობს და ხრუკავს გზის ფერდობს, მიმოაბნევს თვალისმომჭრელ და მწვავ სისპეტაკეს და ჰკრთის სრულებით მოწმენდილ და ცივაგ ცაზე.

პირველ მოსახვევზედვე მსუბუქი ჯრაჭუნი მოგვესმა ნაბიჯებისა, წამიცა—და ჩვენს წინ გამოჩნდა ევდოქსია!

ლამუზმა ყრუდ შესძახა. შეიძლება ერთხელ კიდევ გაივლო გულში—ქალი მე დამეძებსო, იქნება ღმერთმა მომხედაო... პირდაპირ ქალისაკენ გაემართა, მთელს თავისს მძიმე სხეულს აზანზარებდა.

ქალი უყურებს, და გაჩერდა კუნელებს შორის. მისი სახე რაღაც უცნაურათაა გამხდარი და აცრეცილი, ეტყობა, რილასიც ეშინიან; მშვენიერ თვალებზე ქუთუთოებს განუწყვეტლივ ახამხამებს. თავშიშველია; ჩითის ზედაწელი კისერთან ამოღებულია და ვარდისფერი ხორცი უჩანს. ახლოდან მართლა რომ მომხიბვლელია ქალი მზეზე, სხივების გვირგვინმოსილი. ბაღრ მთვარის სხივების ფერი ხორცის კანი ადამიანის თვალს თავისაკენ იზიდავს და ატყვევებს. თვალები ალმასივით უბრწყინავს; თეთრი, პიჯრით მიწყობილი კბილები ნაპერწკლებსა ჰყრის ნახევრად გაპობილ და გულივით წითელ ბაგეთაგან.

— ყური დამიგდეთ... უნდა გითხრა...—ქშენით ეუბნება ლამუზი.—ისე მომწონხართ...

და ხელი გაიშვირა უნძრევლათ მდგარ ძვირფას არსებისაკენ...

ქალი შეჰკრთა და უპასუხა:

— თავი დამანებეთ, მეზიზღებით!

ლამუზმა ქალს პატარა ხელზე მოჰკიდა ხელი. ქალი ცდილობს ხელი გაითავისუფლოს. ძალზე ქერა თმა ჩამოეშალა და ცეცხლის ალივით ირხევა. კაცმა თავისკენ მოიზიდა, დაიხარა მისკენ და ტუჩები წინ გაიშვირა. უნდა აკოცოს, სწყურის ქალი მთელის თვისის ძალღონით, მთელის თვისის სიცოცხლით... ოღონდ ერთი-კი ვაკოცო და მერე თუნდა მოვკვდეო...

მაგრამ ქალი იბრძვის, თავი უნდა დააღწიოს, ყელში წაჭერილივით დაიკივლა; კისერი ებერება და ჰფეთქავს, ლამაზი სახე სიბრაზისაგან დაემანჭა.

მივედი და ჩემს ამხანაგს მხარზე ხელი დავადე, მაგრამ ჩემი ჩარევა უკვე მეტი იყო: თვითონ დაიწია უკან და რაღასაც ბურტყუნებს, ძლეული.

— ხომ არ გაგიჭდით, ნეტავი! —უყვირის ევდოკსია.

— არა!...—ჰგმინავს საცოდავი, იმედგაცრუებული, მიწასთან გასწორებული, გონებადაკარგული.

— მეორეჯელ არ მოგივიდესთ,—ეუბნება ევდოქსია. და მთლად ათახთახებული გვშორდება. ლამუზი აღარცკი უყურებს მიმავალს ქალს: ხელები ჩამოეკიდა, პირი ღია დარჩა. გარინდდა იმ ალაგას, სადაც ქალი იდგა. მოეშვა ხორცითა, რომელიც ქალმა გაუღვიძა, დაავიწყდა შეხვეწნოდა.

წამოვიყვანე. მომდევს უსიტყოთ, ქმენით, თითქო დიდსხანს მირბოდა სადმეო.

თავისი მსხვილი თავი ჩაჰკიდა. საუკუნო გაზაფხულის ულმობელ შუქზე ლამუზი იმ საცოდავ ციკლოპსა ჰგავდა, ძველათ სიცილიის ნაპირებზე რომ დაეხეტებოდა და პატარა ბავშვის სხიეოსანმა ძალამ რომ გაამასხარავა და დაიმორჩილა, როგორც ბაყბაყმდევური სათამაშო, საუკუნეთა დასაწყისში.

გამოიარა მოსიარულე ვაჭარმა ღვინისამ. ურემზე ერთი კასრი ღვინო ედო და მიაგორებდა. რამდენიმე ლიტრი ღვინო მეურმე სოლდათებს მიჰყიდა და ჭუჩის მოსახვევს მოეფარა. მასთან ერთათ თვალთაგან მიგვეფარა მისი ჩაყვითლებული, სულგუნივით გაბრტყელებული სახე; მისი თხელი და მსუბუქი თმა მტვრით დაფარულ კოშტებად ჰაერში ფრიალებდა. იმ ზომამდე გამხდარი იყო, რომ გეგონებოდათ, თავის განიერ შარვალში ფეხები ტანზე კანაფებით აქვს მიმაგრებულიო.

სოლდათებ შორის ლაპარაკი ჩამოვარდა ამ ვაჭრის შესახებ.

— რა საზიზღარი ფართრეთი აქვს,—ამბობს ბიგორნო. —მერე იცი, რა გითხრა? მე უფროსებისა რომ ვიყო, ასეთ ვაჭრებს, განსაკუთრებით ისეთებს, ვისი ვინაობისა არაფერი ვიცით, ფრონტზე ერთს არ გავაჭაჭანებდი.

— მიჰქარავ, შე ფრთიანო ტილო, შენა,—ჯიუტობს ბიგორნო.—ოხერო, აქამდე რითი ვერ გაიგე, რომ მეტათ გაუფთხილებლათ იქცევიან. თუ მე ვამბობ, ალბათ ვიცი, რასაც ვამბობ.

— გაიგე, პეპერი ზურგში უნდა მოაქციონ,—განაცხადა კანარმა.

— ღმერთმა შეინახოს აქაური ქალები,—ბუზღუნებს ლამოიეტი,—სწორეთ ჯოჯოხეთის მაშხალები არიან, ჯოჯოები, მაიმახები...

სხვა სოლდათები თვალებს ჰაერში აცეცებდნენ და უყურებდნენ მტრის ორს აეროპლანს, რთულ წრეებს რომ ავლებდნენ ჰაერში. ეს მეხანიკური და მაგარი ფრინველები, მზის სხივების თამაშის გავლენით, ხან შავებად მოსჩანდნენ, როგორც ყორნები, ხანაც თეთრებად, როგორც ტიფები. მათგან გამოშვებული და მერე გამსკდარი შრაპნელები ცის ლურჯ სივრცეს წინწკლავენ, თითქო მშვენიერ დარში თოვლის ნაფერთლები ცვივაო.

***

ვბრუნდებით. ორი მოსეირნე შემოგხვდა: ერთი კარასუა, მეორე შეისიერი.

ამათ გვითხრეს, დალბიეზის კანონის თანახმათ, მზარეული პეპერი ზურგში მიჰყავსთო, და ერთ-ერთ ტერიტორიალურ პოლკში ჩარიცხავენო.

— რა ბედი ეწია ბლერს!—იძახის კარასუ, რომლის სახეს უცნაური და გრძელი ცხვირი სრულებით არ უხდება.

სოფელში სოლდათები ჯგუფ-ჯგუფად დაკხეტებიან ან კიდევ წყვილ-წყვილად და ბაასობენ. შეგხვდებათ თითო-თითოდ მომავალნიც, რომელნიც სხვებს უერთდებიან, მერე შორდებიან, მერე ისევ ახლებთან მიდიან, ხან ერთს ეტყვიან რასმე, ხან მეორეს. მაგნიტის მსგავსად იზიდავენ ერთი-მეორეს.

ერთ ალაგას შეჯგუფდენ, ხელს იკვრევინებიან: შუაში

თეთრ ქალალდ-ს გროვა ფრიალებს. გაზეთების გამყიდველი ერთ სუიან გაზეთს ორ სუდა ჰყიდის. ფუიადი გზის შუა ალაგას გაჩერებულა, გამხდარი, როგორც კურდღლის ფეხი. ქრთ სახლის კუთხეში პარადიზი დგას და მისი სახე მზეზე ლორივით ლაპლაპებს.

ამასობაში ბიკეც დაგვიწია. პოლიციელის პიჯაკი აცვია და თავზედაც პოლიციელისავე ქუდი ჰხურავს. ტუჩებს ილოკავს.

— ამხანაგები შემხვდენ. თითო ჰიქა გადავკარით. რას იზამ; ხვალ ფხეკას და წმენდას უნდა შევუდგე; ჯერ კი ჩემი სარეცხი უნდა გავირეცხო. მარტო ჩემის ფარაჯის გარეცხვას რამდენი შრომა დასჭირდება! ფარაჯა კი არა, ჯავშანს დაემსგავსა ტიალი, ესა!..

მონტროილმა, კანცელარიის მოხელემ, საიდგანღაც თავი გამოჰყო და ბიკეს ძახილი დაუწყო:

— ეი, ტრაწიანო! წერილია შენი. სადღრობაში დაიკარქები ხოლმე, აგერ ერთი საათი მეტია დაგეძებს, შე ვირის თავფეხო. შენ ხომ ერთ ალაგას კაცი ვერა განახავს, შვილოსა!

— ყველგან ხომ არ შემიძლია ვიყო, აქაცა, იქაცა, შე ინდოურო! აბა მოიტა, ვნახო.

დახედა წერილს, ხელით სიმძიმე გაუშინჯა და როცა ჩალათა შემოახია, წამოიძახა:

— ჩემი მოხუც დედისაა.

სიარულს მოეუკელით. წერილს ჩათვლით კითხულობდა, მოწონების ნიშნად თავს აქნევდა და ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქო ლოცვად დამდგარი ადამიანიაო.

სოფლის შუაგულს რაც უფრო ვუახლოვდებით, ხალხი იზრდებოდა. სალამი მივეცით კომანდირს და შავანაფორიან მღვდელს, უფროსს რომ მისდევს გვერდით, მოსეირნე ქალივით. გამოგვეხმაურა პიჟონი, გენონი, ახალგაზდა ესკუტნერი, მონადირე კლოდორი. ლამუზი თითქო დაბრმავდა და დაყრუვდა კიდეცაო, მაშინალურათ მოაბიჯებს ფეხებს.

ბიზუარნი, შანრიონი, როკეტი ქაქანით მორბიან და ახალ ამბავს გვეუბნებიან:

— იცით, ბიჭებო, პეპერი ზურგში ჯანდა მოაქციონ!

— საკვირველი ხალხია,—ამბობს ბიკე და ცხვირი წერილს მოაშორა.—ჩემმა მოხუცმა დედამ ჩემის დარდით თურმე არ იცის, რა ჰქნას.

მაჩვენა ერთი ადგილი დედას ეპისტოლესი: „როცა ჩემი წერილი მოგივა,—ჩათვლით კითხულობს ბიკე,—უეჭველია, მუხლებამდე ტალახში იქნები და გეცივება, შვილო. არაფერი გექნება, ყველაფერს მოკლებული იქნები, ჩემო საცოდავო ევგენი“...

იცინის.

— ათი დღეა, რაც წერილი დაუწერია. ის კი არ იცის, აქ რა კარგათა ვართ! სრულებითაც არა მცივა, რათგან ამ დილიდან მოკიდებული მშვენიერი დარია. საკოდავი რით ვიქნები, როცა ოთახი გვაქვს, საცა საჭმლის ჭამა შემიძლია. მართალია, გვიჭირდა კია ერთ დროს, მაგრამ ახლა კარგათა ვართ, ღვთით.

შემოვედით ქოხში, საცა ბინა გვაქვს, თან ბიკეს უკანასკნელ ფრაზას კარგათ ვუფიქრდები. ამ ფრაზის გულისამჩუყებელი სიტყვები, მარტივათ ნათქვამი, გულს მიჩვილებს. ამ ფრაზამვე გადამიშალა გული ადამიანისა, განა ერთისა და ორისა,—მრავალისა. აქაო ჯ მხემ თვალი გვიჩვენაო, აქაო და მისმა სხივმა ჩვენამდე ჩამოანათაო ჯ კომფორტის მსგავსი რამ გეელირსაო, დაგვავიწყდა წარსული ტანჯვა-წვალება და გაცოდვილებული ცხოვრება; საშინელი მომავალიც თითქო აღარ იქნებაო... „ახლა კარგათა ვართ, ღვთით“. ყველაფერი მორჩა.

ბიკე შაგიდას მოუჯდა, ბატონივით, საპასუხო წერილის საწერათ. გულდასმით გამოიღო ქაღალდი, გაშინჯა მელანი და კალამი, მერე ტუჩებზე ღიმმორეულმა საფოსტო ქაღალდის ფურცელზე მსხვილის ასოების გამოყვანა დაიწყო.

— გაგეცინება, რომ იცოდე, რასა ვსწერ დედაჩემს.

გადაიკითხა წერილი, უალერსებს თავისს თავს იღიმება

VI.

ჩვეულებანი

საფრინველე ეზოში ვართ მოკალათებულნი.

მსხვილი დედალი, ნაღბის ყველივით თეთრი, საბუდარში კვერცხებზედა ზის, ძაღლის ქოხს ახლოს; ქოხის მდგმური შიგ ჩაკეტილა და ღმუის. ჰავი დედალი-კი სულ იქეთ-აქით ეწყვეტება. თავისს ელასტიურ კისერს ხან წამოიზიდავს, ხანაც ისევ შეიზიდავს და დიდის ამბით დადის; ეხედავთ მისს ოქროსფრად მბრწყინავ სახეს გვერდიდან, და როცა რუკრუკებს, თითქო ყელში ლითონის რესორი უდევს და ის ირხევაო. ფრთებზე შავი ფერი გადაჰკრავს ბრწყენით და ეს ფერი ბოშას ქალის შავს თმას მოგვაგონებს; უკან მისდევს წიავწიავით მთელი გროვა პატარა წიწილებისა.

ეს პატარა ყვითელი ბურთები, რომელთაც ინსტიკტი ეფარება და იცავს, დედას ფეხებ ქვეშ უვარდებიან და ჰკენკავენ. მხოლოთ ორი წიწილი განზე დგას უნძრევლათ, დაფიქრებული, დიდის რუკრუკს თითქო არც-კი უგდებენ ყურსაო.

— ცუდი ნიშანია,—ამბობს პარადიზი.—თუ წიწილი დაფიქრებულია, ეტყობა, ავათაა.—და პარადიზი ხან შემოიწყობს ფეხს ფეხზე, ხანაც გაშლის.

გვერდით, მერხზე, ვოლპატი გრძლათ გაიშხლართა, გაგრძელებულათ დაამთქნარა და უდარდელათ იცქირება; ჩვენში ყველაზე მეტად იმას უყვარს ცქერა ქათმებისა, რომლებიც თავიანთის მოკლე სიცოცხლის განმავლობაში ასე ისწრაფვიან ბევრი სჭამონ.

ახლა სხვებიც გავერთეთ ქათმების ყურებაში. ვუყურებთ ბებერ მამალს, გაბტყვნილს, ბარკლები სულ გასტიტვლებია და გაშავებია, დანახშირებულ კოტლეტის მსგავსად. მიუახლოვდა თეთრ კრუხს, მაგრამ კრუხი ხან თავს მიიბრუნებს, თითქო ეუბნება—თავიდან მომწყდიო, თან ნისკარტს იქნევს, ხანაც ლურჯ, მინანქრიან თვალებით შემოუბღვერს.

— რა კარგია აქ!—იძახის ბარკი.

— შენ იხვის ჭუკებს შეხე და!—უპასუხებს ვოლპატი. —რა კარგებია!

იხვის ჯერ ისევ სულ პატარა ჭუკების მთელმა გუნდმა ჩაიარა, თითქო კვერცხებისათვის ფეხები გაუკეთებიათო, და თავებით წინ მიათრევენ სუსტ და კოჭლობით მოსიარულე სხეულს, მარდათ, კისრის ძარღვების შემწეობით. კუთხეში დაბმული დიდი ძაღლი თავის კეთილშობილურ, ყურჩივით შავს თვალებს ადევნებს, ცერათ წამოსული სხივი მზისა ლამაზ, მოწითანო ფრად გადაჰკრავს თვალებზე.

ეზოს იქით, დაბალ ღობიდანა სჩანს ბაღი, და შიგ ამოსული მწვანე ბალახი, ხშირი და წყლიანი, მსუქან მიწასა ჰფარავს. მისჩანს აგრეთვე მთელი კედელი ყვავილებით დახუნძლულ მკენარეთა: ზოგი თეთრია, როგორც გიპსის სტატუეტები, სხვები ჭრელებია გალსტუკის მსგავსად. კიდევ მოშორებით გაშლილია მინდორი, ალვის ხეების შავ-მომწვანო და შავ-მოყვისფერო ჩრდილები ზედ ეფინება; იმას იქით ოთხკუთხად დათესილია სვია, და სვიას გვერდით—კომბოსტოს კვლები. ჰაერსა და მიწაზე უხვად გაბნეულია მზე და ამ მზის სამეფოში ისმის ხმა ფუტკრებისა. ფუტკრები მუსიკალურათ მუშაობენ გარშემო გამეფებულ პოეზიასთან ხმაშეწყობით; ისმის ხმა ჭრიჭინისაც, რომელიც, მიუხედავათ არაკისა, მოუკრძალავათ ჭრიჭინებს და მარტოდ-მარტო ავსებს სივრცეს თავისის ხმითა.

ალვისხის კენწეროდან ტრიალით ჩამოფრინდა კაჭკაჭი,

ნახევრად თეთრი, ნახევრად შავი; შორიდან გაზეთის ნახევრა ჰგავს, ნახევრად დამწვარსა.

სოლდათები განცხრომით იზმორებიან ქვის ჩამოსაჯდომზე; თვალები ნახევრად დახუჭულები აქვსთ და ეფიცხებიან მზეს, მზე კიდენ ამ ფართე ეზოს ჰაერს ისე ახურებს, რომ აბანოს ამსგავსებს.

— აგერ ორი კვირაა, აქა ვართ! ჩვენ გვეგონა; დღეს არა, ხვალ მოგვიხდება აქედან წასვლაო.

— თავის დღეში ვერ გაიგებს კაცი, სად როდის წაიყვანენ!—სთქვა პარადიზმა, თან თავი ჩააქნია და ენის წვერი დააწკაპუნა.

ეზოდან გზაზე გამომავალ კარიდან ვხედავთ, რომ ერთი ჯგუფი სოლდათებისა დასეირნობს, ცხვირაწევით, მზეს დახარბებული, მერე გამოჩნდა ტელულურიც, მარტოდ-მარტო; ათახთარებს პატიოსან ღ-ჰს, ბაჯბაჯებს ნახევარ რკალების მსგავს გამხდარ ფეხებით, იფურთხება გარშემო, ხშირათ და ბევრს, ისე ბევრს, რომ მთელს გუბეს აყენებს ნერწყვისას.

— ისიც გვეგონა, როგორც სხვა ბანაკებში, ისე აქაც ცუდათ ვიქნებითო, მაგრამ ახლა მშვენივრადა ვართ, ნამდვილი მოსვენებაც ამასა ჰქვიან, დარიც კარგი დგას, და ღვთით სიამოვნებაც არ გვაკლია.

— არც გვამეცადინებენ და აღარც სამუშაოზე გვგზავნიან.

— დროცა გვაქვს აქ მოვიდეთ და გავგორდეთ ხოლმე.

სკამის ბოლოში მოკრუნჩხული იჯდა მოხუცი, ჩვენის დიასახლისის მამამთილი, სწორედ ის მოხუცი, ჩვენის მოსვლის დღეს ზინეთს რო დაეძებდა. მოგვიახლოვდა და თითი მაღლა აიშვირა.

— ახალგაზდა რომ ვიყავ, ქალები ძალიანა მწყალობდენ, —გვითხრა მოხუცმა და თავი დააქნია.—გაგიხარიან, მე იმათა ებურჯგნიდი!..

— ხედავ!—წამოვიძახეთ ყველამ დაბნეულათ; მოხუცის

ლაყბობას თავი ვანებეთ, რათგან ჩვენი ყურადღება მიიპყრო დატვირთულ ურმის რუხრუხმა.

— ახლა-კი მარტო ფულზედა ვფიქრობ.

— ჰო, მართლა, ისევ ეძებთ ზინეთს, განა, პაპა?

— მაშა! —გვიპასუხა მოხუცმა გლეხმა.

იგრძნო, რომ დავცინოდით და ეჭვის თვალით ვუყურებდით მისს ნათქვამს.

სალოკი თითი თავის ქალაზე დაირტყა და მერე სახლისაკენ გაიშვირა.

— შეხედეთ ამ ცხოველს,—გვითხრა მოხუცმა და თითით გვანიშნა კედელზე მცოცავი ობობა.—აბა თუ იცით, რას ამბობს ეს ცხოველი? ამბობს: „ობობა ვარ და ღვთის მშობლისათვის ძაფს ვართავ".

ამ ნათქვამს მოხუცებულმა დასძინა:

— სხვას თავის დღეში არ უძრახო ნამოქმედარი, ამიტომ რომ არ უწყი, ხვალ რა მოხდება.

— მართალსა ბრძანებ,—ზრდილობიანათ უპასუხა პარადიზმა.

— რა სასაცილო რამ არის,—სთქვა მენილ ანდრემ კბილების ღრჭენით და თან სარკე ამოიღო ჯიბიდან, რომ შიგ ჩაეხედნა და თავის სიმშვენიერით დამტკბარიყო მზის სინათლეზე.

— თავში წყრები ჰყავს საცოდავსა,—გულკეთილათ ბუტრტყუნებს ბარკი.

— ახლა-კი წავალ,—ამბობს მოხუცი. ერთ ალაგას ვერა დგება.

ადგა და ისევ შეუდგა ზინეთის ძებნას. შევიდა სახლში; კარი მიუხურავი დასტოვა. და იქიდან ოთახში დავინახეთ უშველებელ ბუხართან პატარა გოგო; დედოფალას ისე სერიოზულათ ეთამაშებოდა, რომ ვოლპატი დაფიქრდა და გვეუბნება.

— ეტყობა, საქმეს აკეთებს.

ბავშვების თამაშობა სერიოზული საქმეა. მარტო დიდები თამაშობენ ხოლმე.

ჯერ ცხოველებს ვუყურებდით, მერე მოსეირნე ამხანაგებს, ახლა ვუყურებთ მიმავალ დროს, ვუყურებთ ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემოა.

ვაკვირდებით საგანთა ცხოვრებას, ბუნებას, ჰაერს, ცას, წელიწადის დროს. შევეჩვიენით ამ ადგილს, სადაც ამდენ დაუსრულებელ წოწიალს შემდეგ ჩვენმა ბედმა გაგვრიყა და სადაც უფრო მეტს ხანს და უფრო მოსვენებით დავრჩით, ვიდრე სხვაგან. რაკი ასე შევეთვისენით ამ ადგილს, სრულებით ბუნებრივია, რომ ყოველი მისი ცვლილება, ნაირ-ნაირობა თვალს გვიხარებდეს, გულში გვწვდებოდეს. უკვე ენკენისთვე დადგა, ღვინობისთვის წინამორბედი. ყველა თვეებში ყველაზე გულისამჩუყებელი და დამღონებელი ეს თვეა. კარგს დღეებს ხანდისხან ისეთი დღეებიც გამოერევა, რომელიც ფრთხილათ გვაუწყებს შემოდგომის მოახლოვებას. უკვე გვესმის მნიშვნელობა ხეებიდან ჩამოცვენილ ფოთლებისა; ისე ეყრებიან ქვაფენილებს, თითქო გუნდაა ბეღურებისაო.

შევეჩვიენით ერთმანეთს ჩვენა და ეს ადგილები, ისე გვგონია, რომ უერთმანეთოდ ყოფნა არ შეგვიძლიაო. ვინ იცის, რამდენჯერ და რამდენ ადგილიდან აგვყარეს და მოგვაშლევინეს ბინა; ახლა აქ მოვიკიდეთ ფეხი და არა გვგონია სხვაგან სამე მოგვიხდეს წასვლა; მაშინაც კი არა ვფიქრობთ ამას, როცა წასვლაზე ველაპარაკობთ ერთმანერთან.

— მეთერთმეტე დივიზია აკი თვენახევარია ისვენებს და არსად მიჰყავსთ,—სთქვა ვოლპატმა.

— მე მგონია, ჩვენც ამაზე ნაკლებ ხანს არ დავრჩებით აქ.

— ომიც, შეიძლება, აქ გავათაოთ...

ბარკს გული აუჩვილდა და, ლამის არის, დაიჯეროს:

— რაც უნდა, სთქვან, ერთხელაც იქნება, გათავდება.

— ალბათ!..—იმეორებენ სხვები.

— რა თქმა უნდა, ვინ იცის,—დაუმატა პარადიზმა.

მოკრძალებით ამბობს ამას, თავისი ნათქვამი თვითონაც ნაკლებათა სჯერა. ყოველსავე შემთხვევაში, მის ნათქვამის საწინააღმდეგო პასუხის მიცემა შეუძლებელია. იმეორებენ ამ სიტყვებს ტკბილათ, ჩუმათ, ნანინას ეუბნებიან, არწევენ თავიანთს თავს, თითქო ძველი სიმღერა რამ არისო.

* * *

ეს-ეს არის, ფარფადეც შემოგვიერთდა. ჩვენს შორი-ახლო განზე ერთს გადმოპირქვავებულ გეჯაზე ჩამოჯდა და ხელები ნიკაპს შეუბჯინა.

ფარფადე-კი, მართალი რო ვსთქვათ, ჩვენზე უფრო ბედნიერია. ეს ყველამ ვიცით; თვითონაც კარგათ იცის. თავი მაღლა აიღო და დაფიქრებული თვალები ჯერ ზინეთის საძებრათ მიმავალ მოხუცის ზურგს გააყოლა და მერე იგივე თვალები მოგვავლო ყველას, ვინც ვოცნებობდით, რომ ომი აქავე გათავდებოდა ჭ აქედან არსად მოგვიხდებოდა წასვლა. ჩვენს ნაზ და სანტიმენტალურ ამხანაგის სახეზე ერთგვარი ეგოისტური ბედნიერება ბრწყინავს, თითქო სულ სხვა კაცია და თითქო მისი ტოლი ჩვენში არავინ იყოსო, ან თითქო ციდან ვინმე ჩამოუგდო წარჩინება, და ჩვენში ირჩევაო.

ევდოქსია აქაც გამოჰყვა. ამის საბუთი ხელთ ჩაგვივარდა და ერთხელ თვითონაც გველაპარაკა ამის შესახებ.

ქალი აქედან ახლოსა დგას, ორნივე ერთმეორეს ხვდებიან... ამ დღეებშიაც ეკლესიის გალავანს იქითა ვხედავდი ქალს. ეტყობოდა, პაემანზე მიდიოდა, მიეჩქარებოდა და თან იღიმებოდა... ოქროს ფერი თმა მანტიას ქვეშ უბრწყინავდა. მართალია, ერთმანერთისათვის ჯერ მხოლოთ პირობა მიუციათ მაგრამ ევდოქსია მაინც ფარფადეს ეკუთვნოდა და მისი გულისა და სულის პატრონი მხოლოდ და მხოლოდ ეს კაცი იყო.

მოკლე ხანში ფარფადეალბათ მოგვშორდება: ზურგში უნდა მოაქციონ, ბრიგადის შტაბში, სადაც მანქანაზე ბეჭდვის მცირეღნე მწერალი სჭირიათ. ეს უკვე ოფიციალურათ არის გამოცხადებული. გადარჩა ფარფადე: ბუნდი მომავალი, რომლის გათვალისწინებასაც კი ვერა ჰბედავენ სხვები, მისთვის ნათელი და გამორკვეულია.

იქ სადღაც ერთ ბნელ ოთახის ღია ფანჯარას უყურებს; თავბრუ ეხვევა ამ ოთახის ჩრდილოსაგან: გულს იმედი ესახება და ელის, ბედნიერია, რათგან მახლობელი ბედნიერება, რომელიც ჯერ კიდევ არ არის, ერთად-ერთი ნამდვილი ბედნიერებაა ქვეყანაზე.

და ჩვენც ძალაუნებურათ შური გვებადება მისდამი.

— ვინ იცის, რა იქნება!—ისევ ჩურჩულებს პარადიზი. ეს სიტყვები ისევე ეჭვით იყო ნათქვამი, როგორათაც კვლავ უთქვამს ჩვენთვის, შავდღეში მყოფ ამხანაგებისათვის.

VII.

მატარებელში ჩაბარგება.

მეორე დღეს ბარკი მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— უნდა აგიხსნა, რა ამბავია. ზოგი კაცია, რომ..

ყურთასმენის წამლებმა სტვენამ ერთბაშათ სიტყვა გააწყვეტინა.

რკინის გზის სადგურის ბაქანაზე ვიდექით. ღამით უცბათ წამოგვშალეს, ძილისა და სოფლისათვის თავი დაგვანებებინეს და ფეხით აქ მოვედით. დასვენება გაგვითავდა; სეკტორი გამოგვიცვალეს; ახლა სხვაგან გადაგვტყორცნეს. გოშენიდან ღამითვე წამოვედით ისე, რომ არაფერი გვინახავს, არცავისთვის თვალი მოგვიკრავს, რომ თვალებით მაინც გამოვემშვიდობებოდით, უკანასკნელათ მაინც ჩაგვრჩენოდა მათი სახე ხსოვნაში.

... ერთი ლოკომოტივი მანევრებს აკეთებდა, ჩვენს ცხვირ წინ, და მთელის თვისის ფილტვებით ხვნეშოდა. ბარკმა თავისებურათ შეუკურთხა, მაგრამ მისი ხმა ამ ბუმბერაზ მეზობლის რუხრუხმა შთანთქა; სხვებს სახე დაეკუანათ ამ ყურთასმენის წამლებ ხმისაგან. ყველას კასკები გვეხურა და იარაღ-ასხმულები ვიყავით, რათგან სადგურის დარაჯებად დაგვაყენეს.

— გაჩუმდი, და! — დაუყვირა ლოკომოტივის სასტვინავს ბრაზმორეულმა ბარკმა.

მაგრამ საშინელი მანქანა არა სცხრებოდა და სიტყვებს ყელშივე უტენიდა მოლაპარაკეთ. როცა ლოკომოტივი გა-

ჩუმდა და მისი უპუ ჩვენს ყურებში განაგრძობდა წივილს, დაწყებულს ლაპარაკს თავი ვერ გაჰოება და ბარკმა მოკლეთ დაასკვნა:

— დიახ...

გარშემო მიმოვიხედეთ.

ეტყობოდა, რომ რაღაც ქალაქის მსგავს ადგილას მოსულვართ.

ვაგონების დაუსრულებელი კუდი, ორმოც-სამოც ვაგონისაგან შედგენილი მატარებლები მოგვაგონებდა ბნელ, დაბალ და ერთი-მეორის მსგავს ფასადიან სახლების წყებას, რომლებიც პაწია ქუჩებით არიან ხოლმე ერთიმეორისაგან მოშორებულნი. მთავარ ლიანდაგზე ჩვენს წინ იდგა თვალუწვდენელის სიგრძის მატარებლები, უკვე შედგენილები და წასასვლელათ დამზადებულები. სხვა მატარებლებს კიდევ ზოგისას ნაწყვეტებს, ზოგისას მთელ ნაწილს, დიდ ჰორიზონტალურ კოლონებად ამოძრავებდენ და ერთ ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ. ყოველ მხრიდან მოისმოდა რუხრუხი, გულისგამაწვრილებელი სტვენა, სასიგნალო ზარის რეკვა, ჯაჭვების ჟღარუნი. შენობის ქვედა-სართულში, რომელიც ქალაქის გამგეობის შენობასაც იყო ამართული სადგურის შუაგულში, სატელეგრაფო ზარი დიდსხანს და გულისგამაწვრილებლათ წკარუნებდა. გარშემო, ნახშირით მოყრილ მიწაზე გამართული იყო: საქონლის საწყობები, ტვირთებით თავამდე ამოვსებულები, მეისრეთა ქოხები, ზღარბის ზურგივით ამოშვერილი ისრები, წყლის ამომსუტავები, მავთულებით დაბლანდული სვეტები; ხან ერთგან, და ხან მეორეთგან წამომდგარია სემაფორები. და ამ თავისებურს ქალაქს, ბრტყლად გაშლილს და ჩამობნელებულს, თავს დასცქერია ორი ორთქლით სამუშაებელი ტვირთის ასაწევი მანქანა, სამრეკლოების მსგავსად.

ცოტა მოშორებით, ამ სადგურისა და შენობათა გარშემო, ცარიელ მინდორზე გაბნეულია სამხედრო ურმები და

საბარგო ავტომობილები, ჩამწკრივებულია ცხენები ლ ფურგონები ისე, რომ ბოლომდე თვალიც კი ვერ უწვდებოდა.

— აბა სამუშაო შენ ახლა სთქვი!

— ხუმრობა ხომ არ არის, მთელი კორპუსი უნდა ჩასხან მატარებლებში!

— შეხე, კიდეც მოდიან!

შავი ღრუბელი, მოჯანჯღარე და მორუხრუხე ურმებსა და ცხენების ნალების ტყაპა-ტყუპს რომ შიგა ჰხვევდა, უფრო და უფრო ახლოვდებოდა სადგურისაკენ მიმავალ ქუჩაზე.

— ზარბაზნები კიდეც დაუდეს ვაგონებზე.

მართლაც, ღია ვაგონებზე, ორ დიდ პირამიდალურათ ახოხოლავებულ ყუთების გროვას შორის მოსჩანდა პროფილი თვლებისა და გამწკრივებულ ზარბაზნების ტუჩები. ყუთები, ზარბაზნები და თვლები ჭრელათ შეღებილი იყო ყვითელ, მიხაკის და მწვანე ფერებითა.

— როგორ გაუთხუპნიათ! ცხენებიც კი შეუღებნიათ ამ ოჯახქორებს! ემანდე, მსხვილფეხა ცხენს შეხედე, თითქო ძიქვა ჩაუცვამსთო! თეთრი იყო წინათ და ახლა შეუღებნიათ, რომ თეთრი ფერი გამოეცვალნათ.

ის ცხენი, რომელზედაც ლაპარაკი ჰქონდათ, განზე იდგა და სხვა ცხენებს თითქო ერიდებათ მისიო. შეეღებნათ მონაცისფრო-მოყვითანო საღებავით, თვალის მოსატყუებლათ.

— საწყალი ცხენი! — ჩაილაპარაკა ტულაკმა.

— შეხე ამ ოხრებს, რა უქნიათ! — იძახის პარადიზი, — თითქო სასიკვდილოთ გასტუმრება არ ეყოფათო, მძღნერითაც კი შეუღებნიათ.

— მათთვის ასე სჯობია, რას იზამ!

— ალბათ, რასაც აკეთებენ, ჩვენთვისაცა სჯობია, განა?

საღამო ხანისათვის სოლდათებმაც დაიწყეს მოდენა. ყველა მხრიდან მოაწყდენ სადგურს. რაზმების გვერდებზე ოფიცრები მოსდევდენ. ესენი ავიწროებდნენ სოლდათების ტალღას და ბარიერების გასწვრივ ამწკრივებდენ, ან ოთხკუთხ

ადგილებზე, ცოტცოტათი ყველგან. სოლდათები თოფებს გადააჯვარედინებდენ, ჩანთებს ძირსა ჰყრიდენ. უფლება არა ჰქონდათ სადმე წასულიყვნენ და ელოდებოდენ, ერთმანეთს მიჰუჭკულები, ჩამობნელებულ სადგურზე.

რაც უფრო ღამდებოდა, ახალ-ახალი წყება ემატებოდა. ჯარისკაცებთან ერთათ ავტომობილებიც მოდიოდა. განუწყვეტელი რუხრუხი ატყდა: მოგორავდა ლიმუზენები, ხანაც მთელი ზღვა დგებოდა პატარა, საშუალო და დიდ ავტომობილებისა. ყოველივე ეს მწკრივდებოდა, სწორდებოდა და ეკვეხებოდა დანიშნულ ადგილებზე. ლაპარაკის დუდუნი და ნაირ-ნაირი ხმაურობა გამოდიოდა ამ ადამიანთა და ურემთა ოკეანედან. ესენი ავსებდენ სადგურის ნაპირებს, და თანაც უკანიდან კიდევ ახლები ემატებოდათ.

— ჯერ სად არის! — წაილაპარაკა კოკონმა, კაცმა-სტატისტიკამ. — მარტო კორპუსის შტაბში ოცდაათი საოფიცრო ავტომობილია. ახლა შენ ის იკითხე, რამდენი მატარებელი დასჭირდება ორმოცდაათ ვაგონიან შედგენილობას, რომ ჩაიტიოს მთელი კორპუსი — ხალხი და ტყვია-წამალი — თუნდა ნუ იანგარიშებ იმ საბარგო ავტომობილებს, რომლებიც ახალ სექტორზე თვითონ წავლენ, თავის ფეხით? ნულარ ანგარიშობ, ჩემო ძმაო, სულერთია, ვერ გამოიცნობ. ოთხმოცდაათი მატარებელი იქნება საჭირო.

— დასწყევლოს ღმერთმა! სულ ხომ ოცდაცამეტი კორპუსია?

— რას ამბობ, მთელი ოცდაცხრამეტია, შე ტილიანო!

მოძრაობა გაცხოველდა. სადგურზე ტევა აღარ არის. მთელ მიდამოზე, საცა კი თვალი მიუწვდება ადამიანს და რამე სახის ან სახის მსგავს რისმე გარჩევა შეუძლია, წარმოუდგენელი ორონტრიალი და მოძრაობაა, თითქო თავზარი დაეცა ყველასაო. მთელი იერარქია ოფიცრებისა ფუსფუსებს, განკარგულებას იძლევა, ერთ ადგილიდან მეორეში მიჰფრინავს მეტეორების მსგავსათ, ხელებს იქნევს, რომლებზედაც დაკე-

რებული სირმა ბჟუვიალებს. ერთ განკარგულებას მეორე საწინააღმდეგო განკარგულება მოჰყვება; განკარგულებანი კიდევ შესასრულებლათ მიაქვსთ სოლდათებს და ველოსიპედისტებს; ზოგი ნელა მიდის, სხვებიც ისე მისრიალებენ, როგორც თევზი წყალში.

დაღამდა კიდეცა. თოფების ჯვარადინებს გარშემო შეჯგუფულ სოლდათების დარაჯები ჰატარა ლაქების მსგავსადა სჩანდენ, მაგრამ მალე ეს ლაქებიც გაბუნდოვანდა და მიწის ფერი გადაეკრა, შემდეგ მათი გარჩევა მაშინღა თუ შეიძლებოდა და ისიც ძლივას, როცა პაპიროსის ან ჩიბუხის ცეცხლი იფეთქებდა. ზოგიერთ ადგილას იმდენს მწეველს მოუყრია თავი, გეგონებოდათ ქუჩაზე სადმე გაუჩირაღდნებიათო.

ამ ბუნდოვან და ნახშირიან სივრცეზე არეული სხვადასხვა ხმაურობა მოგვაგონებს ზღვის ტალღების ხათქა-ხუთქს, როცა ისინი ნაპირს ეხეთქებიან. ამ უსაზღვრო ალიაქოთში შაინც გაისმის ბრძანების გაცემის ხმა, ვაგონებზე ყუთების დალაგების რახა-რუხი, ყრუ კაკუნი ორთქლის ჩაქუჩისა და ორთქმავალის ქვაბების ჩუჩხუხი.

ამ უშველებელ სიბნელეში, რომელიც ამდენ ხალხსა და საგნებს ეფარება, ნელნელა სანთლები გაჩნდა.

ეს სინათლე ოფიცრებისა და რაზმთა უფროსების ფანრებისაა, ან კიდევ ველოსიპედისტებისა და შიკრიკების ჰატარა ფანრებისაა.

ერთმა აცეტილენის ფანარმა იფეთქა თვალისმომჭრელ სინათლით, და, თითქო დღეაო, ისე გაანათა იქაურობა. სხვა ფანრებმა ბანი მისცეს და შუქი მოჰფინეს არემარეს.

სადგურს ფანტასტიური ფერი დაედო. წყვდიადიდან უცნაური სახლები გამოჩნდა და დაჰფარა ცა. ალიმართა მთელი მთები, გაფანტულები ქალაქის ნანგრევების მსგავსათ, გაიპმა მთელი უსაზღვრო კუდი საგნებისა, რომელიც ღამის სივრცეში ინთქება.

ჩვენს მარცხნივ მოზღვავდა ცხენოსნებისა და ქვეითი ჯარის რაზმები. თანდათან ერცელდება გუგუნი ხმებისა. მკრთომარე ფანრის შუქზე გამოჩნდა რაზმები სოლდათებისა და ისევ დაიმალა, მხოლოთ ისმის გაგრძელებული გუგუნი მათის ლაპარაკისა.

ჟინჟღილების მკრთომარე სინათლეზე მოსჩანს ნაცრისფერი ტანი და შავი თავები ცხენებისა, რომელთაც დახრილ ბაქანების საშუალებით ვაგონებში სხამენ. უყვირიან, უწრუწუნებენ, უჯავრდებიან, ცხენები კიდენ უძალიანდებიან, გადასვლა არ უნდათ, ფეხებს აბაკუნებენ.

გვერდით, ლია ვაგონებზე გადააქვსთ ავტომობილები და კარეტები, ჰაერში დაკიდულია დაპრესულ თივის გორები.

— სამი საათია, რაც ამ სატიალო ადგილზე ვდგევართ, —ოხრავს პარადიზი.

— ესენი ვინღა არიან?

გამოჩნდა მთელი ზოლი ცეცხლებისა, რომელთაც თითქო ციცინათელები დახვევიათო. უცნაური ინსტრუმენტები ხან გაანათებს, ხან დაიმალება.

— პროჟექტორების განყოფილებაა,—ამბობს კოკონი.

— ოცნებას გაუტაცნიხარ, ამხანაგო. ნეტავი რას ოცნებობ?

— ყველა კორპუსში ახლა ოთხი დივიზიაა,—უპასუხებს კოკონი.—იცვლება ხოლმე: ზოგჯერ სამია, ზოგჯერ ხუთიც იქნება. ახლა კი ოთხია. ყოველ ჩვენს დივიზიაში,—განაგრძობს კაცი-ციფრი, ჩვენის ჯგუფის საომაყო ჯარისკაცი,—სამი პოლკი ქვეითა ჯარია, ორი ბატალიონი მესროლნი არიან, ერთი ტერიტორიალური პოლკია გარდა სპეციალურ პოლკებისა: საარტილერიო, სასაპიორო, სარკინისგზო და სხვ., თუ არ ჩავთვლით აგრეთვე დივიზიის შტაბსა და საბრიგადო მოსამსახურეებს. სახაზო პოლკს, რომელშიაც სამი ბატალიონია, უპირავს ოთხი მატარებელი: ერთი—ტყვიის მტყორცნელთა და არამეომარ როტისათვის და თითო-თითო—ყოველ

ბატალიონისათვის. ყველას აქ ვერ ჩასხამენ მატარებლებში, ხაზის გასწვრივ ჩაჰბარკავენ, იმის და მიხედვით, თუ სად იქნებიან დაბანაკებულნი და ან როდის იქნებიან მოხსნილნი.

— დავიღალე, — იძახის ტულაკი, — საჭმელი საძღომად არ გვაძლე ა. თუ კიდევ ვდგევართ ფეხებზე, იმიტომ რომ წესია ასეთი, უნდა ვიდგეთ, თორემ ღანღალაგამოლეულები ვართ.

— ცნობები შევკრიფე, — დაიწყო ისევ კოკონმა, — ჯარისკაცები, ნამდვილი ჯარისკაცები მხოლოთ ნაშუადღევს ჩაბარგდებიან. ჯერ ისევ აქა-იქ სოფლებში არიან ჩარიგებულნი, ათის კილომეტრის სივრცეზე. ჯერ კორპუსის ყოველგვარ სამსახურის ნაწილები წაელენ, იმათ მიჰყვებიან დივიზიონის გარეშე შემადგენლობანი. ამათ არც საფრენი ბურთები ურევია, არც მფრინავები; ეს ისეთი მსხვილი ავეჯია, რომ თვითონ, თავისის ძალღონით გადადის ერთ ადგილიდან მეორეზე, თან მიჰყავს თავისი ხალხი, კანცელარია, სანიტარები. დივიზიონის გარეშე ნაწილებს ეკუთვნის მზვერავთა პოლკიცა.

— მზვერავთა რაზმი არ არის, — თავქარუულათ ეუბნება ბარკი. — უბრალო ბატალიონებია, მორჩა და გათავდა.

სიბნელეში სჩანს, როგორ აიწია თავისი შავი მხრები კოკონმა და ზიზღით შეხედა სათვალებიდან.

— შენ რა იცი, შენ ბატის-ტვინა? დაიხსომე, რომ არის ქვეითი და ცხენოსანი მზვერავები. მაშასადამე, ორი ბატალიონი ყოფილა.

— მართლა! — ბოდიშს მოსახდელათ დაიძახა ბარკმა, — სულ დამავიწყდა, რომ ცხენოსანი მზვერავებიც იყვნენ.

— ჰო, და მეორეჯელ ნუ ამბობ იმას, რაც არ იცი. — უთხრა კოკონმა. — გარდა ამისა, კორპუსის დივიზიის გარეშე ნაწილებს ეკუთვნის არტილერიაც, ე. ი. ცენტრალური არტილერია, რომელიც სადივიზიო არტილერიას ავსებს. ამ არტილერიაში შედის მძიმე არტილერია, სასანგრო არტილერია, საარტილერიო პარკები, თვითმოძრავი ზარბაზნები, ჰაე-

როპლანების საწინააღმდეგო ბატარეები და კიდევ სხვა სოლდათებიც. არის კიდევ საპიონრები, საკორპუსო პოლიცია, ქვეითი და ცხენოსანი ჟანდარმები, სასანიტარო სამსახური, სარკინისგზო ბატალიონი, ტერიტორიალური პოლკი საყარაულოთ და სამუშაოებისათვის, საინტენდანტო სამსახური.

„არის აგრეთვე საქონლის ჯოგი, სარემონტო დეპო და სხ. შემდეგ საავტომობილო სამსახური. ყველა რომ ჩამოგითვალო, მთელს საათს ვერ გავათავებ. არის კიდევ ფულის მიმცემი, ხაზინის გამგე, სამხედრო საბჭო, სატელეგრაფო პარკები, ელექტროტეხნიკოსები. და ყოველსავე ამას თავისი უფროსები ჰყავს, აქვს განყოფილებანი, ქვეგანყოფილებანი; კანცელარიები ყველგან საესეა მწერლებით, ოფიცრების მსახურებით, შიკრიკებით,—ერთის სიტყვით, მთელი დავიდარაბაა. ახლა შეგიძლია წარმოიდგინო, რა და რა ახვევია გარშემო კორპუსის კომანდირს.

ამ დროს შემოგვეხვია ერთი ჯგუფი სოლდათებისა, თოფ-იარაღს გარდა ყუთებისა და ქალალდში გახვეულ კონებს რომ მოათრევდნენ ვაივაგლახით. ძირს დასდეს ყველაფერი და „უჰ“ დაიძახეს.

— ესენი კორპუსის შტაბის სეკრეტრები არიან. მთავარ ბინის შემდგენელობაში შედიან და, ასე ვსთქვათ, კორპუსის კომანდირის ამალას შეადგენენ. როცა ახალ ადგილას გადადიან, თან გადააქვსთ თავისი არქივი, სიები და ყოველივე დარდლბალა, რაც წერისათვისა სჭირიათ. აი, შეხედე, საწერი მანქანაა, ამ მოხუცსა და პატარა ბღარტს თოფში გაყრილი რომ მიაქვსთ. ისინი სამს კანცელარიაში არიან განაწილებულნი. არის აგრეთვე საფოსტო განყოფილება, მერე კანცელარია, მერე სატოპოგრაფო სექცია, რომელიც დივიზიებს რუკებს ურიგებს და პლანებს აკეთებს აეროპლანების ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ტყვეების ნათქვამის თანახმათ. ყველა კანცელარიების ოფიცრები, რომლებიც ერთის უფროსისა და ერთის მის თანაშემწის—ორივე პოლკის უფროსია—ხელქვეით

არიან, შეადგენენ კორპუსის მთავარ შტაბს. მაგრამ საკუთრივ მთავარი ბინა შეიცავს აგრეთვე ოფიცრების მსახურთ, მზარეულთ, კაპტენარმუსებს, მუშებს, ელექტროტექნიკოსებს, ჟანდარმებს ჲ კონვოის. მთავარს ბინას ცალკე კომანდირი ჰყავს.

ამ დროს ყველას რაღაც საშინლათ მოგვაწვა და უკან დაგვახევინა.

— ხაბარდა!—ჰყვირინ მობოდიშების მაგივრათ სოლდათები, რომელსაც სხვებიც ეხმარებიან და ვაგონთან პატარა ხელურემას მოაგორებენ.

სამძიმო საქმეა. ამ ალაგას კოტა მოშელმართოა და თუ, ერთ წამს არის, არ მოაწვნენ უკანიდან და თვლებს არ დაებღაუჭნენ, ურემი უკან იხევა. კოპებშეკრული სოლდათები კბილების ღრჭენით და ბუზღუნით აწვებიან ურემს, თითქო რაღაც საშინელი არსება რამ არისო.

ბარკი ხელების ფხანით ეკითხება ერთ მომუშავეთაგანს:

— როგორა გგონია, მიათრევ კია ვაგონამდე, შე ბაბაყულო?

— დაგწყევლოს ღმერთმა!—იძახის მზიდავი და თან ურემს ხელს არ უშვებს.—გზიდან მომეცალეთ, თორემ ურემს გადამიბრუნებთ!

ამის თქმა იყო და ერთი როგორღაც შეინძრა და დაეჯახა ხელახლა ბარკს და პირდაპირ შეუტია:

— რა ფეხებში მედები, შე ვირისთავო!

— ეი, ხატის ღვინო ხომ არ დაგილევია?—უპასუხა ბარკმა.—კიდევ მე მეუბნები,—ფეხებში მედებიო, შე ტილიანო შენა!

— გზა უტიეთ!—იძახის კიდევ სოლდათი, რომელიც სხვებს მიუძღვის და მიაქვსთ სხვა და სხვა ტვირთი, მაგრამ ერთგვარათვე მძიმე და წელშიგამწყვეტი...

რა საჭიროა, ალარსად გვაყენებენ. ყველამხრითგან გვაწვებიან, ყველამხრიდან უკანა გვწევენ.

— გარდა ამისა, როგორც გითხარით,—განაგრძო კოკონმა მეცნიერ კაცის დამშვიდებულის კილოთი,—არის კიდევ დივიზიებია, და თითოეული მათგანი თითქმის ისეთივე შედგენილი, როგორც არმიის კორპუსი...

— ვიცით, ვიცით. გეყოფა!

ერთი უყურე, როგორ გაგიჭდა ე ცხენი თავისს მოძრავ თავლაში!—შენიშნა პარადიზმა.—ალბათ სხვა ცხენის სიდედრია.

— დამენიზღავე, ეს მაიორის ცხენი იყოს, სწორეთ ის, რომელზედაც ბეითალმა სთქვა, ხბოა და საცაა ძროხად იქცევაო.

— რა საჭიროა, მშვენიერათა აქვსთ მოწყობილი ყველაფერი,—აღტაცებითა სთქვა ლამუზმა და გზა უტია არტილერისტებს, რომელთაც ყუთები მიჰქონდათ.

— მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა,—დაეთანხმა მარტრო.—დიდი თავი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ მთელ ამ ხროვას გაუძღვეს და ვაგონებში ჩაჰბარგოს... ეი, ფრთხილად იყავ მანდა! სადა სდებ მაგ სატიალო ყუთებსა, შე მუდრეგო!

— ხუმრობა საქმე კი არა ყოფილა ე ჩაბარგება, ჰო მე და ჩემმა ღმერთმა. როცა ცოლშვილი მარკუსიში გადავიყვანე, მეც დამჭირდა დავიდარაბა, მაგრამ რასაც აქა ვხედავ, იმდენი გაჭირება არა ყოფილა.

ყველანი დაჩუმდენ და კოკონმა ისევ განაგრძო:

— იმისთვის, რომ გაეცლო მთელს ფრანგის ჯარს (აქ აღარ უნდა ჩავსთვალოთ ზურგი, სადაც ორჯელ მეტი ხალხი,ა ვიდრე ფრონტზე, აღარ უნდა ჩავთვალოთ სასანიტარო სამსახურიც, რომელიც 9 მილიონად დაჯდა და რომელსაც ყოველდღიურათ 7.000 ავადმყოფი გადაჰყავს), საჭირო იქნებოდა იმდენი სამოცვაგონიანი მატარებელი; თითოეულ მათგანს ყოველ ჩარექ საათში რომ გაევლო, ყველა ამ მატა-

რებლების ნახვისათვის დაგჭირდებოდა განუწყვეტლივ მდგარიყავ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე.

— აი, ღმერთმა ნუ იცის შენი თავი და ტანი!

მაკრამ მათის წარმოდგენისათვის ეს მეტის-მეტია. ციფრების სიმრავლე გულს ურევს და ინტერესს უკარქავს. ამთქნარებენ და აცრემლებულ თვალებით უცქერიან ფაცა-ფუცს, ჰახა-ჰუხს, რუხრუხს, ცხენთა ჰიხვინს, კვამლს, სინათლის გაელვებას და შორს ცისკიდურზე გამოჩენილ ფოლადის საშინელებას—ჯავშნიან მატარებელს.

VIII.

შვებულება.

ევდოკი, სანამ მინდორ-ვინდორ მიმავალ გზას დაადგებოდა სანგრებისაკენ წასასვლელათ, ქუჩის პირას ჰასთან ჩამოჯდა, ერთმანერთს გადაჭდობილ ხელებით ცალი მუხლი დაიჭირა, ხოლო მაღლა ასწია თავისი ჩაყვითლებული უულვაშო სახე—უულვაშების მაგივრათ ტუჩის იქით-აქეთ მხარეზე ბალნის თითო პატარა კონა ჰქონდა—და დაისტვინა, მერე ისე ძალზე დაამჭნარა, რომ თვალებზე ცრემლები წამოასხდა.

წყლის მზიდავი, ტყის ნაპირას რომ დამდგარა,—აქ იდგა მთელი რიგი ურმებისა და ცხენებისა, ბოშების ბანაკის მსგავსათ,—გზასთან ჩიდან წყლის ამოსაღებათ მიდიოდა და თან მოჰქონდა ორი ტილოს სათილი. სათილები ხელში ეჭირა და ყოველ ფეხის გადადგმაზე ქანაობდა. გაჩერდა ამ უიარაღო ქვეითა ჯარისკაცთან, რომელსაც ზურგზე მოკიდებული ჰქონდა პირთამდე სავსე ტომარა და თქვა:

— შვებულებაში იყავ?

— ჰო,—უპასუხა ევდოკიმ,—ვბრუნდები კიდეც.

— კარგი გიქნია,—უთხრა წყლის მზიდავმა მოშორების ჟამს,—ექვსის დღით თავისუფლებაც კარგი რამაა.

ამ დროს ზევიდან დაეშვა ოთხი ჯარისკაცი მძიმე ნაბიჯებითა, აჯჩაქარებლივ. მათი წაღები ტალახში იყო ამოვლებული და ასეთი უზარმაზარი სახე მიეღო, თითქო წაღების კარიკატურაო. ევდოკი რომ დაინახეს, ოთხივე. როგორც ერთი კაცი, ისე გაჩერდა.

— აი ევდორიკა! ევდორ, გამარჯვება! კაცო, დაბრუნდი კიდეცა?—წამოიძახეს სოლდათებმა. მივარდნენ ევდორს და ხელები გაუშვირეს, ისეთი დაჯირჯვებული ხელები, თითქო აგურის ფერი მატყლის ხელთათმნები უკეთიათო.

— გამარჯვებათ, ბიჭებო! —უთხრა ევდორმა.

— აბა, ჰა, სთქვი, როგორა ხარ? აბა მოჰყევი, რა ნახე, რა არა?

— ჰო, —უპასუხა ევდორმა, —არა უშავდა რა...

— ღვინის მოსატანათ წავედით; ცოტა გადავკარით კიდეცა. შინ არ წამოხვალ? ერთათ წავიდეთ.

გზიდან გადმოუხვიეს და ხელი-ხელ გაყრილები მინდორ-მინდორ წამოვიდნენ. საშინელი ტალახი იყო და ყოველ ფეხის ამოღებაზე, ტკაცუნი გაუდიოდა, თითქო ცომსა ჰზელავდენო.

— მაშ შენის ცოლის, შენის მარიეტას, ნახვას ელირსე? ნეტავი შენა, შე საცოდავო, სულ ცოლი გებოდებოდა. პირს ისე ვერ დაალებდი, რომ იმის ქება არ გეთქვა, ასეთია, ისეთიაო...

ევდორის ფერმკრთალი სახე შეიკმუხნა, თითქო ვინმე უჩქმიტაო.

— ნახვით კი ვნახე ჩემი ცოლი, მაგრამ რა გამოვიდა... ერთხელ მეტათ არ მინახავს. ვერ მოვახერხე... ბედი არა მქონდა.

— რას ამბობ?

— ჰო, ძმობამ. როგორც იცით, ჩვენ ვილერ-ლაბეში ვცხოვრობთ. ამ პატარა სოფელში ოთხად-ოთხი სახლია გზის იქით-აქეთ მხარეზე. ერთი ამ სახლთაგანი ჩვენი სამიკიტნოა და შიგ ჩემი ცოლი ვაჭრობს. ერთხანს აქ ზარბაზნების ყუმბარები სკდებოდა და ვაჭრობაც შეჩერებული იყო. მხოლოთ ახლა განახლდა, მას შემდეგ, რაც ეს სოფელი ცეცხლს გარეშე დარჩა.

„ჩემის შვებულების მოლოდინში ჩემს ცოლს ნებართვა გამოუტანია მონ-სენტ-ელუაში წასვლისა. ჩემი მოხუცებული დედ-მამა აქა სცხოვრობს და მეც ამ ადგილისათვის ვითხოვე შვებულება. გაიგე, როგორ მოვაგვარეთ საქმე?

„ჩემი ცოლი გამჭრიახი დედაკაცია და ამიტომ ნებართვა ადრევე უთხოვნია, სანამ მე შვებულებას მივიღებდი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემი შვებულება იმაზე ადრე გამომივიდა, სანამ ცოლი გასვლის ნება-რთვას მიიღებდა. მე მაინც წაველი: ხომ იცი, გუნდში როცა შვებულებას გაძლევენ, უეჭველად მაშინათვე უნდა ისარგებლო. დავრჩი დედმამასთან და ველოდებოდი ცოლს. ძალიან მიყვარს ოლივე, მაგრამ მაინც ცხვირპირჩამოშვებული ვიყავ. მშობლებს უხაროდათ ჩემი ნახვა, მაგრამ მე რომ მოწყენილსა მხედავდენ, სწყინდათ. მაგრამ რას იზამდი? მეექვსე დღის მიწურულში—ჩემის შვებულების ვადის გათავებისას, უკან დაბრუნების წინადღით!—ველოსიპედით ერთი ახალგაზდა კაცი მომადგა—ფლორანსის შვილი—და მარიეტას წერილი მომიტანა. მწერდა, სოფლიდან წამოსვლის ნებართვა ჯერაც არ მოუციათო...

— უბედო ბედიც აბა ამასა ჰქვიან!—წამოიძახეს ამხანაგებმა.

—...მაგრამ,—განაგრძო ევდორმა,— ისღა დამრჩენოდა, მონ-სენტ-ელუას მამასახლისისათვის მეთხოვნა, რომ მას თავის მხრივ შუამდგომლობა აღეძრა სამხედრო უფროსებთან, ჩემთვის ნება მიეცათ და ვილიეში კისრის-ტეხით წასულვიყავ ცოლის სანახავათ...

— შე კაი კაცო, ეს პირველ ღღესვე უნდა გექნა და არა მეექვსე ღღეს!

— რა თქმა უნდა; მაგრამ მეშინოდა გზაში ერთმანერთს ავსცდენოდით, ამიტომ რომ წამდაწუმ მოველოდი მის მოსვლას. მეც ისე მოვიქეცი, როგორც თვითონ მომწერა.

— ბოლოს და ბოლოს ხომ მაინცა ნახე?

— რა გამოვიდა... მხოლოთ ღღეს, ანუ, უკეთ, ერთ ღამეს,—უპასუხა ევდორმა.

— სამყოფია!—ხუმბრობით წამოიძახა ლამუზმა.

— ოღონდაც!—დაუმატა პარადიზმა.—შენის სიყოჩაღის ამბავი რომ ვიცით, ერთს ღამესაც იმდენს მოასწრებდი, რომ კარვახანსაც გაგყევება!

— კიდეც ამიტომა აქვს ასეთი დათენთილი სახე! გული იჯერე, რალა, შე მაწანწალავ! ახ შე ვირისთავო, შენა!

ამხანაგების ამ უწმაწურ ხუმრობაზე თავისი ფერმკრთალი და სერიოზი სახე ჩაიქნია.

— გეყოფათ, ბიჭებო, მასხარობა.

— გვიამბე ჩქარა, როგორც იყო.

— რა საამბობი ეს არის,—უთხრა ევდორმა.

— მაშ მშობლებთან მოგეწყინა?

— მოვეწყინებოდა, მაშ არა!.. თავს მევლებოდენ: ეს საუცხოო შაშხიო, ეს ქლიავის არაყიო, ეს ტანისამოსის დაკერებაო, ეს ათასნაირი ტკბილეულობაო, იქნება უმარიეტობა არ დაიჩინოს ჩვენმა შვილმაო (შევნიშნე, რომ ჩემის ხათრით თავს იკავებდენ და ერთმანერთს არა ლანძღავდენ).

„მაგრამ ყოველივე ამაო იყო... მარიეტას მაგივრობა ვერაფერმა გამიწია. თვალები სულ კარებისაკენ მეჭირა, აცა, როდის შეინძრევა და ჩემ მარიეტად გადაიქცევა-მეთქი. რო გამიჭირდა, წავედი მამასახლისთან და გუშინ გზას დავადექი, საათის ორზე,—სწორეთ ორზე იყო, ამიტომ რომ წინადღიდან სულ საათებსა ვთვლიდი - სწორეთ ერთი ღამე შრჩებოდა შვებულების ვადის გასვლამდე!

„ბინდისას, ვაგონის კარებიდან—მატარებელი კიდევ დადის იქ ლიანდაგის ერთ პატარა ნაგლეჯზე—იქაურობას როგორ ვუყურებდი, კიდეც მეცნობებოდა და კიდეც არა. წინანდელს ცოტათი ჰგავდა იქაურობა. გგონია, ნაცნობი ადგილია და ეს-ეს არის უნდა დაგელაპარაკოსო, მაგრამ უცბათ სახე ეცვლება და სდუმდება. ბოლოს მატარებელი გაჩერდა და ხალხი ჩამოხტა. დახე უბედობას: უკანასკნელ სადგურამდე ფეხით უნდა მევლო!..

„ძმებო, ჩემს სიცოცხლეში არ შემსწრებია ასეთი შერცხვენილი ავდარი: მთელი ექვსი დღე გადაუღებლივ სწვიმდა; ცა მთელი ექვსი დღე რეცხავდა და წყალში ავლებდა ყველაფერს; მიწა ძალზე დალბა, იქით-აქეთ იწეოდა და ხვრელებში სძერებოდა.

— აქაც ასე იყო. ამ დილამდე არ გადაუღია.

— ალბათ ჩემი ბედი ყოფილა! გარშემო მთელი მდინარეები გაჩნდა; გორაკებიდან თქრიალით მოსდიოდა წყალი; ქარი პირდაპირ სახეში მასხამდა წვიმას, კისერში ჩამდიოდა, ხელ-ფეხს მიყინავდა.

„რაღა გავაგრძელო, დიდის წვალებით სადგურამდე მივატანე ფეხით. ვისმე რო ეთქვა, აბა ერთი უკან დაბრუნდიო, რა საჭიროა, თავს შევაკლავდი!

„ჩემთან ერთათ ოთხი სხვაც მოვიდა, ჩემსებ შვებულებაში მყოფი; ესენი, მართალია, ვილიეში არ მოდიოდენ, მაგრამ გზად უნდა გამოეველოთ. ამ გვარათ, მთელი ჯგუფი შეიქმნა. ხუთი ამხანაგი შევიყარენით, მაგრამ ცნობით ერთმანერთს არ ვიცნობდით. გზის გაგნება გვიჭირდებოდა, ამიტომ რომ ზარბაზნების ყუმბარებს აქაურობა სულ გადაუხნავს, ამას ზედ ერთვოდა სიბნელე, წვიმა.

„როგორც გითხარით, ჩვენს სოფელში სულ ოთხადოთხი სახლია-მეთქი. სახლები ერთი-მეორეს დაშორებულია. ფერდობის ძირამდე მივედით. კარგათ არ ვიცოდი, სად ვიყავი. ჩემი ამხანაგები იქვე მახლობელ სოფლებიდან იყვნენ, და იმათაც უნდა სცნობოდათ ეს ადგილი, მაგრამ არც იმათ იცოდნენ, სად ვიყავით. ამასთან, წვიმა კოკიპირულათ ასხამდა.

არ შეიძლებოდა ნელა გეევლო. ჩვენც გავიქეცით. გავიარეთ პირველ სახლთან,—ალეს ფერმა იყო. დამსხვრეულ ნაჭრებს კედლებისას, თითქო დამსხვრეული სვეტებისაო, წყალი შემოსდგომოდა გარშემო და იქიდან გამოი-

ყურებოდა: ეტყობოდა, წყალს წაულეკავს. მეორე ფერმა, ცოტა მოშორებით რომ იდგა, სრულებით დაუფარავს წყალს.

„ჩვენი სახლი მესამეა. გზის ნაპირასა დგას, ფერდობის თავზე. ავბობღდით. წვიმა პირისახეში გვიტყლაშუნებს და ამ ბნელაში უფრო ვვაბრმავებს და იქი-აქეთა გვფანტავს, როგორც ტყვიისმტყორცნელი.

„დავინახე ჩემი სახლი. მივექანები, ღითქო იერიშით მივდივარ მის ასაღებათაო. აჰა, მარიეტაც! კართანა სდგას, ხელები მაღლა აღუპყრია, თითქო ხელაპყრობილი ღვთისმშობლის ხატიაო. საჩქაროზე გავექანე მისკენ და თან ამხანაგებს ვუძახი, გამომყევით-მეთქი. ყველანი სახლში შევვარდით. მარიეტა იცინის და თან, მე რო დამინახა, თვალებზე ცრემლები მოადგა; ელოდებოდა, აცა მარტო როდის დავრჩებით, რომ გული ვიჯეროო ტირილითა და სიცილითაო. ამხანაგებს ვეუბნები, ჩამოსხედითო და მოისვენეთ-მეთქი. ზოგი სკამებზე ჩამოჯდა, ზოგიც მაგიდაზე.

„—სად მიდიან ეს ბატონები,—მეკითხება მარიეტა.—ვოველში.—უპასუხეს.—ღვთისმშობელო დედაო, - წამოიძახა ჩემმა ცოლმა.—იქ მისვლას ვერას გზით შესძლებთ. ჯერერთი, კარგა მანძილია მანამდე, გზები წვიმისაგან სულ გაფუჭებულია, ყველგან ტბებია დამდგარი, თანაც ბნელა. ტყუილათ ნუ ჰფიქრობთ წასვლას.—კარგი, მაშ ხვალ წავალთ, ოღონდ ამაღამ ბინა ვიშოვოთ სადმე და ღამე გავათიოთ.—„თავჩამოხრჩობილის“ ფერმამდე მე გამოგაცილებთ-მეთქი, ვუთხარი. იქ ყველანი მოთავსდებით, ამაღამ გამოიძინებთ და ხვალ კიდენ გათენებისას გზას შეუდგებით-მეთქი.—მოდი, წავიდეთო, სთქვეს და ჩვენც წავედით.

„ეს ფერმა უკანასკნელი სახლია ვილიერში და მაღლობზეა წამოშდგარი. ვფიქრობდი, წყალსა და ტალახში სხვა სახლებივით არ იქნება ჩაფლული-მეთქი.

„გამოკედით. ოთხანაღებ მოვრბივართ. ისე გავიწუწენით, რომ წინდებიც კი დამისველდა წაღების ძირიდან შესულ

წყლითა. სანამ ფერმამდე მივიდოდით, ერთი დიდი ლანდი შემოგხვდა წინ. დიდი მანტია ჰქონდა მოსხმული და ხელშიაც ჟინჟღილი ეჭირა. ჟინჟღილის სინათლეზე დავინახეთ, რომ მაჯაზე სირმა ჰქონდა შემოვლებული და გულმოსულათაც გამოიყურებოდა.

„— აქ რას დაეთრევით? — დაიყვირა ლანდმა და თან ხელი მხართეძოზე დაიდო., ყურადღებას არ აქცევდა წვიმას, სეტყვასებ რომ ურაკუნებდა მისს კიპიუშონს.

„— შვებულებაში არიან და ვოველში მიდიან. — ვუთხარი მე. — ამაღამ წასვლა არ შეუძლიათ და აქ, „თაეჩამოხრჩობილის“ ფერმაში, უნდა გაათიონ ღამე.

„— რაო? ღამე გაათიონო? ხომ არ გაგიჟდით? ამ ფერმაში საპოლიციო პოსტია. მე კიდენ დარაჯების უნტეროფიცერი ვარ. ტყვე გერმანელები გვყავს და იმათ ვდარაჯობთ. ჩქარა დაიკარქენით აქედან. ღამე მშვიდობისა“.

„მოვტრიალდით და თავქვე დავეშვით. ფეხები გვიცურდება, ხან რას წამოვედებით, ხან რას, თითქო მთვრალები ვიყოთო. ვქშინავთ, ტალახში ვისვრებით. ერთი ამხანაგთაგანი მიყვირის ამ წვიმასა და ქარში: „შენს სახლამდე მაინც მიგაცილებთ; ეხედავთ ჩვენს დღეს, ბინა ვერ ვიშოვით, მაგრამ დრო კი გვაქვს“.

„— რას ამბობთ, სადღა უნდა დაიძინოთ-მეთქი. — სამე შევაფარებთ თავს, რომ რამდენიმე საათი გავატაროთ როგორმე. — მა გარეთ ხომ არ დარჩებით?... მანამდე კი ცოტა ხანს ჩემთან შემოდით. — ბატონი ხართ, ცოტა ხნით შემოვალთ“. და აი მარიეტა ისევე გვხედავს ხუთსავე, ბაწარაღებით მომავალთ, თავით-ფეხამდე გაწუწულებს.

„ყველანი ერთათ შევიჭუჭკენით ჩვენს პატარა ოთახში. მთელს სახლს ამ ერთ თვალს მეტი არა აქვს. აბა, სასახლე არ შექნებოდა, თქვენც კარგათ იცით.

„— ქალბატონო, აქ სარდაფი ხომ არსადაა? — ეკითხება ჩემს ცოლს ერთი ჩემი ამხანაგთაგანი.

— სარდაფი კი არის, მაგრამ წყლითაა სავსე. სულ ორი საფეხური აქვს, და უკანასკნელი უკვე დაფარულია წყლითა.

„— აი დასწყეველოს ღმერთმა ჩვენი ბედიცა! თქვენს სახლს ცხვენიც არ ექნება...

„ცოტა ხანს უკან ეს ამხანაგი წამოდგა და მეუბნება:

„— ღამე ნებისა, ამხანაგო.

„სხვებიც წამოდგნენ.

„— რა ამბავია, ამისთანა დარში სად უნდა წახვიდეთ, ამხანაგებო?

„—რას ამბობთ, ცოლთან თავისუფლათ დარჩენის ნებაც არ უნდა მოგცეთ?..

„— წასვლა როგორ იქნება, ცოდონი იქნებით...

„— არა, უნდა წავიდეთ. უკვე ცხრა საათია და შენ კი განთიადისას უნდა წამოდგე და გზას შეუდგე. აბა, ღამე ნებისა. ამხანაგებო, წავიდეთ. ნულარ ვიგვიანებთ.

„— წავიდეთ,—უთხრეს დანარჩენებმა,—ღამე ნებისა, ბატონებო!

„მივიდნენ კარებთან, გააღეს. მე და მარიეტამ ერთმანერთს გადავხედეთ. არ ვიცით, რა ვქნათ. მერე ისევ გადავხედეთ ერთმანერთს და ამხანაგებს გამოვეკიდეთ. მე ერთს დავაყარე ხელი დასაყრელებულ კალთაში, მარიეტამ—მეორეს.

„— თავებს დავიხოცავთ და თქვენ კი არაფრის გულისათვის გაგიშვებთ!

„— მაგრამ...

„— „მაგრამ“ არ ვიცი,—ვუპასუხე მე. და იმავე დროს მარიეტამ კარები მოიხურა.

— მერე?—ეკითხება ლამუზი.

— მერე და არაფერი.—უპასუხა ედდორმა.—მთელი ღამე გავათენეთ, ჰკუიანათ კუთხეში მივსხედით და ვამთქნარებდით. თითქო მიცვალებულს ღამეს ვუთევდითო. ერთხანს ვლაპარაკობდით იქითურ-აქეთურზე. ხანდისხან ერთი ამხანაგთაგანი იკითხავდა: „კიდევ წეიმსო?“ და გარედ გავიდოდა სანახავათ.

რო შემობრუნდებოდა, იტყოდა: „წვიმსო“. ისედაც გვესმოდა, რომ წვიმდა. ერთი მსხვილი ამხანაგი, რომელსაც ბოლგარელის მსგავსი ულვაშები ჰქონდა, ძილს ებრძოდა, ველურივით. გაიელიდა ხანი და ერთს ან ორს ჩაეძინებოდა; მაგრამ ერთ-ერთი მაინც ფხიზლობდა, ამთქნარებდა და ცალს თვალს ახელდა ზრდილობისათვის, მერე გაიზმორებოდა და ნახევრათ წამოიწევდა, რომ მერე უკეთესათ დამჯდარიყო.

„მე და მარიეტას თვალები არ მოგვიხუჭნია. ერთმანერთს გადავხედავდით, მერე სხვებსაც გადავხედავდით, ისინი კიდენ ჩვენ გადმოგვხედავდენ, და ასე მიდიოდა დრო.

„დილის სინათლემ სარკმელში ოდნავ შემოანათა. ავდექი და გარეთ გავედი. შემქტყო, დარი რას აპირებდა. წვიმა მაინც არ აპირებდა გადაღებას. ოთახში ვხედავდი, რომ ჩემის ამხანაგების ტანი შავად ინძრეოდა და ძალზე ქშინავდნენ. მარიეტას თვალები გაწითლებულები ჰქონდა მთელი ღამე ჩემის ყურებით. მასა და ჩემს შუა ერთი ამხანაგი იწვა და ჩიბუხსა სტენავდა.

„ფანჯარას დააკაკუნეს. გავაღე, გამოჩნდა ერთი კასკიანი კაცი, წვიმა წურწურით ჩამოსდიოდა და თითქო გარეთ მოზუზუნე საშინელმა ქარმა მოიყვანა აქ ყინწის კვრითაო. დაიძახა:

„—ეი, მიკიტანო, ერთ ყავას ვერ დამალევინებ?

„—ახლავე, ბატონო, ახლავე მოგართმევთ!“—უძახის მარიეტა.

„წამოდგა ჩემი ცოლი, ცოტა არ იყოს, სხეულ-დაბუჟული. ხმის ამოუღებლათ სარკის ნატეხში ჩაიხედა, ცოტათი თმები გაისწორა და ალერსიანათა სთქვა:

„—ყველასათვის მოვამზადებ ყავას.“

„როცა ყავის სმას მოვრჩით, უკვე ჩვენი წასვლის დროც იყო. ამასობაში სხვა მგზავრებმაც დაიწყეს დენა.

„— აბა, დედილო!—იძახდენ მუშტრები და თან ხან ერთი შემოჰყოფდა თავს მოღუბულ ფანჯარაში, ხან მეორე, ხან მესამე,—ყავა დავვალევინეთ, გეთაყვა.

ამხანაგები მარიეტასთან მივიდნენ გამოსათხოვებლათ. თითოეული მათგანი გრძნობდა, რომ იმ ღამეს მათი ჩვენთან ყოფნა სრულებით ზედმეტი იყო; მაგრამ ვხედავდი, რომ ვერა ჰპედავდენ ამის თქმას, არც ის იცოდენ, სრულებით უნდა გაჩუმებულიყვნენ, თუ არა.

„ისევ მსხვილმა კაცმა დაიწყო, მაკედონელს რო ჰგავდა:

„— დიდი უსინიდისობა კი იყო ჩვენის მხრივ, რომ ამაღამ ხელი შეგიშალეთ, ჩვენო კეთილო დიასახლისო!“

„ეს იმიტომა სთქვა, რომ დაემტკიცებინა თავისი გაზდილობა.

„მარიეტამ მადლობა გადაუხადა და ხელი გაუწოდა.

„— რასა ბრძანებთ, ბატონო... ღმერთმა ტკბილათ გაგატარებინოსთ თქვენი შვებულება!“

„მე-კი გულში ჩავიკარ და სულ დიდხანს, დიდხანსა ვკოცნიდი... კმაყოფილი არ ვიყავი—ჰაი, ჰაი რომ არ ვიყავი!—მაგრამ ის კი მაინც მიხაროდა, რომ მარიეტამ ძალლებსავით გარეთ არ გაუძახა ჩემს ამხანაგებს. თანაც ვგრძნობდი, რომ მარიეტასაც უხაროდა, რომ ადამიანურათ მოვეჭეც საცოდავ ამხანაგებს.

„— დამაცათ, ეს არა კმარა,—სთქვა ერთმა ამხანაგმა, ფარაჯის კალთა გადიწია და ხელი ჯიბეში ჩაიყო.—ეს არა კმარა; ერთი მიბრძანეთ, რამდენი უნდა მოგართვათ ყავისა?

„— არაფერი, რათგან ჩვენთან გაათიეთ ღამე; ჩვენი სტუმრები ბრძანდებოდით.

„— ოჰ, როგორ იქნება, ქალბატონო!...“

„ გაიმართა უარის თქმა და ბოდიშები! ჩემო კარგო, რაც გინდა, ისა სთქვი, მართალია, ღარიბები ვართ, მაინც გული ამიჩუყდა, ჩემის ცოლის თავაზიანობას რომ ვუყურებდი.

„— აბა, ბიჭებო, ვიმღეროთ რამე, ჰა, რას იტყვით?“

„თითო-თითოდ გავიდნენ. უკანასკნელი მე დავრჩი.

„ ამ დროს მეორე გამვლელმა რახუნი აუტეხა ფანჯარას და ყავაო, იძახდა.

„მარიეტა კარზე გამოდგა და დაუძახა:

„— ამ წუთს!“

„ მერე წინათვე გამზადებული კონა ხელში მომცა.

„— ლორი გიყიდე, გენაცვა. ვახშმისთვის მოვიტანე, ორივე ერთაა ვეპამთ-მეთქი, ერთი ბოთლი ღვინოც ვიყიდე, კარგისა. ღმერთო ჩემო, როცა დავინახე, რომ ხუთნი შემოხვედით, ვსთქვი, ყველას თითო ლუკმა არ გვერგებამეთქი. ახლა ჰაჰის დროც არ არის. აი შაშხი, პური, ღვინო. გაჭმართვი და მარტო შენა სჭამე გემრიელათ, ჰო, შენი პირიმე! იმათ, როგორც შეგვეძლო, ისე ვეცით პატივი!“

„საცოდავი მარიეტა!... ხუთმეტი თთვე იქნებოდა, არ მენახა. და ახლა ვინ იცის, კიდევ როდისა ვნახავ! ან ვნახავ კია როდისმე?

„რა კარგი ჰქნა, რომ ეს საჭმელი გამოჰტანა. ყველაფერი ჩანთაში ჩამოლაგა...

მერე თავი მოუხსნა ტილოს ჩანთას და გვითხრა:

— აი, მიირთვით: შაშხია, ერთი ბოთლი ღვინოა და პური... იცით, რა გითხრათ, ბიჭებო? მოდით, დავსხდეთ და ყველანი ერთათ შევექცეთ...

IX.

დიდი რწმენა.

ვოლპატს ორის თთვის შეებულება მისცეს ჭრილობის მორჩენას შემდეგ მოსაღონიერებლათ. როცა დაბრუნდა, უველანი გარს შემოეხვიენით. მაგრამ ერთიანათ ჩუმად იყო და სულ სადმე კუთხეს ეკვროდა, განმარტოებით ყოფნას რჩეობდა.

— ვოლპატ, ჰა, რას გაჩუმებულხარ. რატო არას ამბობ, შე კაცო? კიდევ გვითხარ რამე.

— გვიამბე, გოსპიტალში როგორ გივლიდენ, ან იქიდან გამოწერას შემდეგ, სანამ სულ მორჩებოდი, როგორ იყავ, შე ვირის თავფეხო, თქვი რალა, მას შემდეგ, რაც აქედან თავ-პირ შეხვეული წახვედი? გვითხრეს, სხვა და სხვა კანცელარიებში ყოფილიხარ. იქ ხომ ბევრს რასმე მოჰკრავდი ყურს! დასწყევლა ღმერთმა შენი თავი და ტანი, ერთი გვიამბე ჩვენცა.

— გული არ მიმდის ჩემის გაოხრებულის ცხოვრებისა რამე გითხრაო,—სთქვა ბოლოს ვოლპატმა.

— რაო? რა სთქვი?

— ჩემი თავიცა და უველაფერიცა. უველანი შემზიზღდნენ, გაიგეთ თუ არა? უველანი...

— მერე რა გიქნეს ისეთი, არ იტყვი?

— პირუტყვები არიან!

ჩვენს წინ იდგა ვოლპატი ყურებმიზრდილი, თვისის ჩვეულებრივის სახითა, მუდალურ, წინგამოშვერილ ლოყის ძვლებითა, და ჯიუტურათ სდუმდა, როცა რასმე ვკითხავდით.

ვგრძნობდით, რომ გულის სიღრმეში ყველაფერი ღელავდა, მაგრამ თავს იკავებდა, არ უნდოდა, რაც გულში ედო, ეთქვა.

ბოლოს, როგორც იყო, წამოცდა რამდენიმე სიტყვა, მობრუნდა ზურგში დარჩენილ ხალხისაკენ, მუშტი მოუღერა და წამოიძახა კბილების ღრჭენით:

— ბევრია იქ ხალხი.. სულ ბევრია.

ასე გეგონებოდათ, თავის გულში თავიდან იშორებდა მოჩვენებათა მთელს გროვას და ემუქრებოდა, ცოცხალი არ გადაჰირჩებითო.

ცოტახანს უკან ისევა ვკითხეთ. კარგათ ვიცოდით მისი ამბავი, რომ დიდხანს ვერ შესძლებდა თავის შეკავებას, უეჭველათ უნდა დაეფქვა ყველაფერი, რაც გულლვიძლს უმღერევდა; მის გულში დაგუბებულს რისხვას, პირველი შემთხვევა ექნებოდა თუ არა, გარეთ უნდა გამოეხეთქნა.

ამ დროს ჩვენის სანგრის ერთ შემაერთებელ სიღრმეში მიმავალ ხერელთან ვიყავით. მთელი ღღე მიწასა ვსთხრიდით და ახლა საჭმლის საჭმელათ ჩამოვსხედით. თავი ერთად მოვიყარეთ. კოკიპირული წვიმა ზედ დაგვდიოდა და თავით-ფეხამდე დაგვასველა. ბაწარაღებით ვიდექით და ისე დგომელა, ცის ქვეშა, თავშეუფარებლათა ვსჭამდით საჭმელს. ნემსის ყუნწში ვძვრებოდით, რომ ხორცსა და პურს არ მოხვედროდა წვიმა, რომელიც ყველამხრითგან გვესხმოდა. ხელებსა და თავ-პირს, რამდენადაც შეგვეძლო, კაპუშონს ქვეშ ვიმალავდით და ისე ვიდებდით ლუკმას პირში. წყალი სეტყვასებ გვიშენდა, ხტოდა და წურწურით ჩამოგვდიოდა ტანისამოსზე და ხან სიმძაფრით და აშკარათ და ხანაც მორიდებით გვასველებდა და გვისველებდა საჭმელს. ფეხები უფრო და უფრო გვეფლობოდა თხრილის ტიხნარში, სადაც მთელი ნაკადული იყო გაჩენილი.

ზოგს ეცინებოდა, ულვაშებზე წვეთ-წვეთად რომ ჩამოსდიოდა წყალი, ზოგი იჭყანებოდა ღრუბელივით დამბალ პურის და დასველებულ ხორცის გადაყლაპვაზე, ბუზღუნებდა,

წყალი რომ უშხაპუნებდა ყოველ მხრიდან და ატანდა ხორცში, საცა კი დახეული იყო ტალახიანი სქელი მაზარა.

ბარკი თავისს ჯამს გულზე იკრავდა და თანაც ვოლპატს უყვიროდა:

— მაშ შენ იძახი, პირუტყვებს გარდა არავინ მინახიაო? კარგი და არ იტყვი, საიდან მოხვედი?

— ერთი დალაგებით გვიამბე, საქმე ნუ გააჭირე, — შეჰყვირა ბლერმა და ამ დროს მთელი ნიაღვარი დაესხათ თავზე და ერთმანეთის ნათქვამი ძლივსღა ესმოდათ.—რა პირუტყვები ნახე, გვიამბე?

— რა და, პირუტყვები...— დაიწყო ვოლპატმა...—აბა როგორ გითხრათ... რანაირი გინდათ, რომ იქ არ იყოს!... საზიზღრობაა... მაგათი მამისულიცა!..

შეეცადა გამოეხატა თავისი გრძნობა. მაგრამ სულ ერთსა და იმასვე იმეორებდა: „საზიზღრობაა;" გულ-ღვიძლი ამღვრეული ჰქონდა, ხვნეშოდა და დამბალ პურსა ჰყლაპავდა, და პურთან ერთათ ჰყლაპავდა მწარე მოგონებათა ერთიმეორეზე ასხმულ გროვასა.

— ალბათ იმათზე გინდა გვითხრა რამ, ვინც სამხედრო სამსახურს ემალებიან.

— იმათზე, მაშ!

ეს დაძახება, ეს კვნესა პირიდან ერთბაშათ ამოხდა, თითქო სარქველი მოეხადაო. თან ხორცის ნარჩენი ბექობისაკენ გადასტყორცნა.

— მაგათის გულისათვის გულს ნუ მოიყვან,—ურჩია ბარკმა ხუმრობით და, ცოტა არ იყოს, გეხლიანათ.—სულერთია, არაფერი გამოვა.

მოიბუზა ვოლპატი, რომ უკეთესათ შესძლებოდა დამალვა გაფისულ კაპიუშონს ქვეშ, რომელსაც წვიმა ჩამორეცხდა; ტოლჩა წვიმას შეუშვირა გასარეცხათ და დაიღრიალა:

— გიჟი კი არა ვარ და ვიცი, რომ ზურგს უკანაც გვჭირია ხალხი... მაგრამ უბედურება ისაა, რომ ძალიან ბევრ-

ნი არიან... მერე სულ ერთნი და იგივენი არიან, კარგები მაინც იყვნენ, სულ ნაყარ-ნუყარნი არიან. ესაა, რომ მაბრაზებს, მეტი არაფერი!

ეს განმარტება რომ მოგვცა, თითქო გულზე ეფონაო და ცოტაოდნათ ჩვენც გავიგეთ მისის წყრომის მიზეზი. ნაწუვეტ-ნაწუვეტათ მოგვიყვა თავისს თავგადასავალს.

— პირველ პუნკტშივე, საცა ნელის მატარებლით გამგზავნეს, ვნახე, მაგრამ რა ვნახე!.. თავლაფდასხმულები, ქვეშაჯმიები... სწორე გითხრათ, გული ამირიეს! ყოველგვარი სამსახური, ქვე-სამსახური, ცენტრალური ადგილები, კანცელარიები, წრეები, კომიტეტები... რა გინდა, აქ რომ არ ყოფილიყო. ხედავ ერთს, გგონია, სხვა სამსახურშიაო, ის კი არა, მარტო საბელია გამოცვლილი. კინაღამ თავტანი დავკარქე! დიდი მოხერხებული და გამოქნილი ვინმე უნდა ყოფილიყო, ვინც ამდენი ნაირნაირი სამსახური და საქმე გამოიგონა!

„თქვენ კიდევ მტყვით, გული რათ მოგდისო!

„ახ, ჩემო ძმაო,—ღმუოდა ჩვენი ამხანაგი,—ყველანი, ვინც ვითომ საქმიანობენ, ქალალდებსა სთხუპნიან, ყველა ეს ფრანტები, ფრენჩი დ ოფიცრის ტანისამოსი დ ფეხებზე წაღები რომ აცვიათ, და კოხტაობენ... კარგსა სჭამენ, კარგსა სვამენ, ვისაც რაც უნდა, იმას აკეთებს, სჭამს სახაზინო ქონებას, გამოწკეპილი დადის, განუწყვეტლივ თუთუნსა სწევს, დღე'ში ორჯერ ტანს იბანს, წირვაზე დადის, ღამით ბუმბულის დოშაკზე სძინავს, გაზეთებსა კითხულობს. და მერე ამის თანა არამზადა წამოვა დ კიდევ იტყვის: „ომში ვიყავიო!".

ერთი ამბავი განსაკუთრებით აგონდება ვოლპატს, მახსოვრებაში ღრმად ჩასჭდევია.

— ჩვენ აქ ჯამები და კოვზები არ გვაქვავია,—იძახის ვოლპატი,—რომ დგომელა მაინცა ვხეთქოთ. იმათ კი არაფერი უნდა დაიკლონ. წაბრძანდებიან საუკეთესო რესტო-

რანში, მოუსხდებიან საკუთრივ მათთვის დადგმულ მაგიდას, თავიანთი საკუთარი ჭურჭელი აქვთ, საკუთარი ჭილები კონსერვებისა და სხვა ყოველგვარი საჭმელი; დასასრულ, ყველაფერი, რის შოვნაც მდიდარს კაცს შეუძლია და რაც მშვიდობიანობის დროს საშოვარია.

ვოლპატის მეზობელმა, რომელსაც ზევიდან ნიაღვარი ესხმოდა, თავი ჩაიქნია და უთხრა:

— ღმერთმა მისცეთ!

— გიჟი კი არა ვარ...—ისევ დაიწყო ვოლპატმა.

— შეიძლება გიჟი კი არ იყო; მაგრამ მიჰქარავ კი.

ვოლპატს ეწყინა ამხანაგის ნათქვამი; შეხტა, გაბრაზებულმა თავი მაღლა ასწია, და ამ დროს წვიმა, რომელსაც ვოლპატს უდარაჯებდა, აცა როდის აიხედავს მაღლაო, მთელ შხეფად შეესხა სახეზე.

— რაო, მიქარავო? შენმა თავის გახეთქამ!

— სწორედ, ბატონო,—შეეკამათა მეზობელი.—იმას მოგახსენებ, რომ იმათ კი ჰლანძღავ და ერთი მაგათს ალაგას დაგსვას კაცმა, აბა თუ უარს იტყოდი?..

— გიჟი კი არა ვარ, უარი ვსთქვა. მაგრამ ამით რაღა უნდა სთქვა, შე ტრაკის-პირავ! ჯერ ერთი, შვილოსან, თუ სადმე შიში იყო და განსაცთელი, სულ ჩვენ გადაგვხდა თავზე. და აქამდე თუ ისინი იყვნენ განცხრომით, ახლა ჩვენი ჯერი იქნებოდა, ჩვენც არ გვაწყენდა კეთილი ცხოვრება. და მერე რასა ვხედავთ, არ იკითხავთ? რასა და იმას, ჩემო კარგო, რომ ზურგში სულ ერთი და იგივე ხალხია მოკალათებული. მერე, არ იტყვი, როგორები? სულ ახალგაზდები, ხარებივით გასუქებულები, მოჭიდავეებისებ კუნთებიანები. საზოგადოთ, ასეთები ბევრია, სულ ბევრია, სულ ბევრი. ხომ გესმის, სულმუდამ იმას გეუბნები, „ბევრია“-მეთქი. იმიტომ გეუბნები, რომ ასეა, მართალს ვამბობ.

— ბევრიო! შე ოტროველა, შენ რა გესმის! აბა იცი კია, რისთვის არის ყველა ეს დაწესებულება?

— არ ვიცი, რისთვისაა,—უპასუხა ვოლპატმა,—მაგრამ მე იმას ვამბობ, რომ...

— ხუმრობა საქმე ხომ არა გგონია მთელის ჯარის საქმის გაძღოლა? განა ყველას შეუძლია?

— ფეხებზე მკიდია, მაგრამ..

— იმათს ალაგას ხომ გნებავს იყვე? მართალი სთქვი: ხომ გინდა?—დაცინვითა ჰკითხა უჩინარმა მეზობელმა; წვიმით დასველებულ კაპიუშონს ამოფარებულ სახეზე ალბათ ან სრული გულგრილობა ეხატებოდა, ან კიდევ ულმობელი სურვილი—ვოლპატი გაებრაზებინა.

— მათს ალაგას რომ დამსვა, რას გავაკეთებ, რაც არ ვიცი,—სთქვა დამშვიდებით ვოლპატმა.

— საქმეც ის გახლავსთ, რომ სხვებმა იციან და შენ შავიქვა იცი,—ჩაერია ლაპარაკში გულის გამწვრილებელი ხმა ბარკისა,—მაგალითად, ერთს ვიცნობდი...

— განა მე კი არ ვიცნობდი თითო-ოროლას!—ჰქქა-ქუხილში სასოწარკვეთით დაიძმუვლა ვოლპატმა.—აი, ფრონტს ახლოს, რაცა საევაკუაციო გოსპიტალი და საინტენდანტო განყოფილებაა, სწორეთ იქ შემხვდა ასეთი ქლესა კაცი.

ქარი, თავი რომ მიჰქონდა, ზმუილით დაგვეკითხა:

— რაო, რაო? რას ამბობთ?

ამ დროს, ავათ იყო თუ კარგათ, წვიმამ და ავდარმა გადიღო და ვოლპატს შეაძლებინა განეგრძო ლაპარაკი. იმანაცა სთქვა:

— ეს კაცი ყოველგვარ რჩევას მაძლევდა და დავჰყავდი ყველა ამ თავტანდასაკარქ ადგილებში, საცა, როგორც ბაზარში სადმე, დაკარქვაც სულ ადვილათ შეიძლებოდა; თვითონაც ამ ადგილებში თითით-საჩვენებელი და უცნაური არსება რამ იყო. დამატარა კულუარები, სხვადასხვა დარბაზები, დამატებითი ბარაკები. გამიღებდა ხოლმე წარწერიან კარებს, მიჩვენებდა, შიგ რაც იყო, და მეტყოდა: აბა ამას დაკვირდი, აბა ახლა ეს

ნახეო! მეც მასიან ერთათ ყველგან ვიყავი, ყველაფერი დავათვალიერე. მაგრამ თვითონ სანგრებში არ წამოსულა, ჩემსებ, სანგრებისთვის არც კი უსუნებია. როცა პირველათ დავინახე ეს ვაჟბატონი, ეზოში დასეირნობდა ჩუმათ: ჩემი სამსახური ეს არისო, მითხრა. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს... მეორე დღეს ოფიცრის მოსამსახურედ ჩამდგარიყო, რომ ფრონტზე წასვლა თავიდან აეცილინა. რაც ომი გამოცხადდა, პირველათ ახლა დადგა მისი ჯერი ფრონტზე წასვლისა.

„კარების ზღურბლთან, სადაც მთელი ღამე ხვრინავდა ბუმბულის საბანს ქვეშ, თავისს მაიმუნ-ოფიცერს წაღებს უწმენდავდა. ხან გასაპრიალებელს უსვამდა, ხან ავარაყებდა, ერთის სიტყვით, წასასმელი არ ენანებოდა! ერთხელ დავდექი, ერთი ვნახო, რას აკეთებს-მეთქი. იმანაც თავისი თავგადასავალი მიამბო. ისე არ მახსოვს, რაც აბდა-უბდათი იმან თავი გამომიჩენდა, როგორც არ მახსოვს საფრაგენთის ისტორია და წელთაღრიცხვა, პატარაობისას სკოლებში რო გვასწავლიდენ. ფრონტზე ერთხელაც არ გაუგზავნიათ, თუმცა 1903 წლის ნასოლდათარია და ვირივით ღონიერია. საშიშროება, დაღლილა, ომის ყოველივე განსაცთელი მაგისთვის არ არსებობდა, ეს სხვების საქმე იყო. ცეცხლის ხაზზე ფეხი რომ დამედგა, ომი ჩამითრევდა და ამიტომ ვცდილობდი ადგილიდან არ დაძრულვიყავიო. ფრონტიდან ყოველ ღონესა ღონობდენ წაეყვანათ როგორმე, მაგრამ კაპიტნები გინდა, თუ პოლკის უფროსები, თუ მაიორები, ყველას ხელიდან უსხლტებოდა; ყველას ბრაზი მოსდიოდა: რა შეიქნა ისეთი, რომ ერთი ხელში ვერ ჩავიგდეთო. ყოველივე ეს თითონ მიამბო. მერე არ იკითხავთ, როგორ ახერხებდა? როგორც კი გაიგებდა, უნდა წამიყვანონო, თავს სასიკვდილოთ დასდებდა. ხან თავს მოიგიჟიანებდა, ხან რას მოიგონებდა და ხან რასა. ხან პუპუიან სარეცხის ბოხჩას დაემგსავსებოდა. „ტანში მოწყვეტილი ვარო,“ — ზმუკუნით ეუბნებოდა ყველას. ვერაფერი მოუხერხეს, ბოლოს, გაჰბეზრდნენ და სრულებით თავი დაანებეს. დიახ, მიზეზებს

გარემოების მიხედვით მოიგონებდა ხოლმე. გესმის? ხან ვითომ ფეხი სტკივოდა, თუმცა ფეხი თავის სიცოცხლეში არ ასტკივნია. მეორეჯერ სხვა რამ ასტკივდებოდა. მესამეჯერ ნაცნობობით გადიოდა ფონს. აბა რას მოუხვრხვნ ისეთს კაცს, რომელმაც ზეპირათ იცის მატარებლების მისვლა-მოსვლის საათები? სად გინდა, რომ არ შემძვრალიყო; ყველას შეეტმასნებოდა და ცდილობდა ყველას გული მოეგო და ისე მოეწყო საქმე, რომ ამხანაგებისათვის საჭირო კაცი ყოფილიყო. დილის სამ საათზე დგებოდა, რომ ყავა მოედულებინა; სხვები საშველსა სპამდენ და ის კი წყლის მოსატანათ მიდიოდა. ერთის სიტყვით, საცა კი შეაძვრენდა თავს, ყველგან თავისიანი ხდებოდა, ეს სალახანა, ეს ძაღლის კერძი ესა! კაცია, ას ფრანკს პატიოსანის გზით იშოვის, ჭ კაცი კიდენ, იმავე შრომას ორმოცდაათ ფრანკიან ყალბ ქაღალდის ფულის გაკეთებას შეალევს. აი სწორეთ ასეთ კაცად მეჩვენებოდა ეს კაცი. რა საჭიროა, წყალში რო ჩავარდეს, ამოძვრება! ფრონტზე რომ მოხვდეს, საერთო ტალღა აი ჯაცებს და ჩაითრევს. მაგრამ არც ისეთი ბრიყვია. ეცინის იმათ, ვინც, სანამ ცოცხალნი არიან, კეთილსინდისიერათ შრომობენ, და უფრო დასცინებს, როცა ამათ მიწა დაეყრებათ ზევიდან. ჩვენ რო ბრძოლას გავათავებთ, ისიც სახლში დაბრუნდება და თავისს ნაცნობ-მეგობრებს ეტყვის. „აი, ღმერთმა მიბრალა და ცოცხალი და უვნებელი დავბრუნდიო!“ მისს ამხანაგებს გაეხარდებათ, ამიტომ რომ იგი ყველას სიამ-ტკბილობით ეპყრობოდა, ალერსიანი სიტყვა-პასუხი და ქცევა ჰქონდა, თან დიდი მამაძაღლიც იყო. ადამიანის სისულელე მეტი გინდა, კაცი იმ ზომამდე ოხერი იყოს და მაინც ყველას მოსწონდეს!

„კი არ იფიქროთ, ასეთის ჯურის ხალხი ცოტა იყოს! ყოველი დაწესებულება პირთამდე სავსეა ასეთებითა. ებღაუჭებიან, წურბელასებ ეკვრიან იმ ადგილს, სადაც არიან, და ვერას გზით მოაშორებთ იქაურობს, ვერას გზით წაიყვანთ ფრონტზე.

— ჩვენთვის ეს ახალი ამბავი როდია!—შენიშნა ბარკმა.—მშვენივრათ ვიცით ყველაფერი, ვინ როგორ იმალება!

— კანცელარიებით სავსეა ქვეყანა.—გაიბა ჭიანური ვოლპატმა.—მთელი სახლები, მთელი ქუჩები, მთელი უბნები სულ კანცელარიებს უჭირავს. სულ მცირედი ნაწილი დავინახე ზურგისა, ერთი პატარა კუთხე და, ღმერთო ჩემო, რა ამბავია შიგა! არა, ვისმე რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი, არა, ღმერთმანი, რომ ომის დროს, ამ სისხლის წვიმების დროს, ამდენი ხალხი არხეინათ, უდარდელათ სკამებზე იჯდომილებოდა...

ვიღამაც ხელი გამოჰკო და წაილაპარაკა:

— მგონი აღარ წვიმს...

— თუ არა წვიმს, საცაა, გაგვრეკავენ,—აი, ნახავ, თუ არა!

ამის თქმა იყო და დაგვიძახეს კიდეცა: „მარშ!“

წვიმამაც გადაიღო. დავიწყეთ ფორთხვა სანგრებში ჩამდგარ გუბეებში, სადაც ერთ წუთს წინათ წვიმა კოკიპირუ-ლათ ასხამდა.

ჩვენის ფეხების ტყაპა-ტყუპთან ერთად გაისმოდა ვოლპატის ბუზღუნიცა.

მე უკან მივსდევდი, ვუყურებდი მისს დასველებულს ზურგს და ყურს ვუგდებდი.

ახლა ჟანდარმებს ჩაასხა კბილები ვოლპატმა.

— რაც უფრო ჰშორდები ფრონტს, მით უფრო ბევრია ეს არგასახარებლები.

— იმათი ფრონტი სხვაა და ჩვენი სულ სხვაა,—შენიშნა ერთმა.

ტულაკი დიდი ხანია კბილებს ილესავდა ჟანდარმების წინააღმდეგ.

— ერთი უნდა გენახა, როგორ იქცევიან ეს ვაჟბატონები ბანაკებში! ყოველთ უწინარეს იმასა ცდილობენ კარგათ დაბინავდენ და კარგი საშველი იშოვნონ. მე კი, როცა მუცელს კარგათ ამოიყორავენ, გაფაციცებით მეძებარ ძაღლები-

ვით ეძებენ დუქნებს, საცა ჩუმათ მაგარი სასმელები იყიდებაა. როცა სოლდათები სახლებიდან გამოდიან, უთვალთვალებენ, ცოტა შექეიფიანებული ხომ არავინ გამოვიდაო.

— ზოგი კარგიც ურევია; ერთი იყო ჩემის სოფლიდან, კოტ-დორიდან, საიდანაც ვარ.

— გაჩუმდი ერთი,—სიტყვა გააწყვეტინა ტულაკმა.— ყველანი ერთი-მეორეზე უკეთესები არიან. შავი ძაღლი, წითელი ძაღლი—ორივე ძაღლი.

— დიახ... რა უჭირთ!—სთქვა ვოლპატმა,—მაგრამ იქნება გგონია, კმაყოფილნი იყვნენ? სრულებითაც არა. ილანძღებიან.

ნათქვამი გაისწორა:

— ერთი გავიცანი ასეთი. თავი გაბეზრებული ჰქონდა ამ ინსტრუქციებითა: „რათ გინდა, რომ ისწავლო,—ამბობდა ეს კაცი,—სულ ერთია, დღეს ერთს მოგაჩეჩებენ, ხვალ მეორეს გამოატყვრენენ. ნეტავი ჩქარა კი გათავდებოდეს ე გასატიალებელი ომი!“—ჩიოდა ჩემი ნაცნობი ჟანდარმი.

— რასაც უბრძანებენ, იგინიც იმას ასრულებენ,—მოკრძალებით ჩაჯრთო სიტყვა ევდოკიმა.

— რა თქმა უნდა, მათი რა ბრალია. რაც უნდა სთქვა, ესენი თვისის სამსახურით სოლდათები არიან, ჯამაგირს იღებენ, მენდლებს; ჩვენ კი სამოქალაქონი ვართ, და ბრძოლით ჩვენ ვიბრძვით და იგინი-კი არაფერს აკეთებენ.

— მაგონდება ერთი ტყის დარაჯიც, რომელიც ზურგშივე შემხვდა,—სთქვა ვოლპატმა,—ჩიოდა, მამუშავებენ და ძალიანაც მამუშავებენო. „პირდაპირ საზიზღრობაა,—შემომჩიოდა დარაჯი,—ვინ იცის, რას არ გვაკეთებინებენ!.. ძველი უნტერ-ოფიცრები ვართ, ნასოლდათრები, სულ უკანასკნელი ოთხ-ოთხი წელიწადი გვიმსახურნია. მართალია, კარგს ჯამაგირს გვაძლევენ, მაგრამ რა გამოვიდა, პირდაპირ ძაღლური ცხოვრება გვაქვს! სახელმწიფო მოხელეები ხართო, გვეუბნებიან, და შტაბში ფეხისალაგებს გვაწმენდინებენ, ნაგავი

უნდა გადავყაროთ ხოლმე, გვამცირებენ. მოქალაქენი ხედავენ, რა საქმესაც გვაკეთებინებენ და ვეზიზღებით, კაცად არ გვაგდებენ. და თუ ხმა ამოიღე, მაშინვე დაგეჯუქრებიან: სანგრებში გაგგზავნით უბრალო ქვეითა ჯარისკაცებადო. ხომ დაიკარგა პრესტიჟი! როცა ჩვენ-ჩვენს თემებში დავბრუნდებით ტყის დარაჯებად, ნაომევს, — თუ კი დავბრუნდით ომიდან — ხალხ ნიშნის მოგებით წამოგვძახებს: „თქვენ ის არა ბრძანდებით, ამა და ამ ქალაქში ქუჩებს რო გაგვეინებდენ ო?“ რომ ისევ დავიბრუნოთ წინანდელი პატივი და რიდი, იძულებულნი ვიქნებით ოქმი ოქმზე შევუყენოთ ხოლმე ყველას, თვით მდიდრებს, ძალა-უფლების მექონეთაო.

— მე-კი, — სთქვა ლაშუბმა, — ერთ ჟანდარმს ვიცნობდი, რომელიც სამართლიანათ მსჯელობდა თავის თავზე: „ჟანდარმი საერთოთ თავდაპერილია, თავმდაბალია, მაგრამ მათს შორისაც არიან ოხრები. ჟანდარმის ეშინიანთ ხოლმე, ეს მართალია. და უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენს შორის ისეთებიც გვირევია, რომელნიც, აქაო და ხალხს ჩვენი ეშინიაო, სულ თავს გადიან. მაგრამ ასეთები ჟანდარმერიის ნაძირალებად უნდა ჩავთვალოთ. ქრთამებს იღებენ, დაპიტიჟებაზე უარს არ ამბობენ. მე რომ უფროსი ან ბრიგადირი ვიყვე მათი, ყველას კისერს მოვუგრეხდი, ამიტომ რომ ხალხს, თითო-ოროლა საზიზღარ ჟანდარმის წყალობით, ჩვენი ხელობა არ მოსწონს.

— ჩემს სიცოცხლეში, — ჩაერია პარადიზი, — ყველაზე უბედური დღე ის დღე იყო, როცა ერთხელ ჟანდარმს სამხედრო სალამი მივეცი, — თეთრები რომ ჰქონდა დაკერებული, ოფიცერი მეგონა, მაგრამ ჩემდა საბედნიეროთ, მგონი არ დაუნახივარ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დაბალის ხმით წაიდუდუნეს სოლდათებმა. — ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ რას იზამ?

* * *

გვიანრელე, იმ დროს, როცა ერთ კედელს გასწვრივ ვისხედით, ზურგით კედელს ვიყაჯით მიყრდომილნი ღ ფეხები მიწაში გვქონდა ჩაფლული, ვოლპატმა ისევ დაიწყო თვისთა შთაბეჭდილებათა ამოლაგება.

— ერთ კანცელარიაში შევედი, მგონი, საბუჰგალტერო ნაწილი უნდა ყოფილიყო. პირთამდე საესე იყო მაგიდებითა. ხალხი ისე ირეოდა, ბაზრობა რამ გეგონებოდათ. ლაპარაკისაგან ყურთასმენა იყო წაღებული. ორსავ მხარეზე კედლებს გასწვრივ და შუაში გამოჭიმულნი იყვნენ კოხტათ ჩაცმული მოხელეები, წინ ქაღალდები ელაგათ, თითქო ძველ ქაღალდების ვაჭარნი არიანო. ვითხოვე, ჩემს პოლკში დამაბრუნეთ-მეთქი, და ასე მიპასუხეს: „შენი მძღნერი შენ თვითონ გაჰქექე და რაც გასაკეთებელია, გააკეთეო“. ერთსერთს სერჟანტს წავაწყდი, ახალგაზდა პეწენიკი ვინმე იყო, ოქროს სათვალებიანი და სირმებ-დაკერებული. ახალგაზდა იყო, მაგრამ რათგან თავის ნებით ჩაწერილა ჯარში, უფლება ჰქონდა ფრონტზე არ წასულიყო. მივმართე: „სერჟანტო“... მაგრამ ყური არ მათხოვა. ერთს გადამწერელს ეუვიროდა: „რა ვიცი, ღმერთმანი, რა გითხრასთ კაცმა!.. ასჯერ მეტად მითქვამს, ესკადრონის უფროსებს ქაღალდები ხელმოუწერლათ უნდა გაუგზავნოთ-მეთქი და თქვენ მაინც ღ თქვენსას არ იშლით! მგონი, სულ ადვილი საქმე უნდა იყოს!“.

„სამის ნაბიჯით უკან დავიხიე, რომ დამეცადნა, სანამ გადაწერლის გაჯორავას მორჩებოდა. ხუთს წუთს შემდეგ ისევ მივუახლოვდი. მეუბნება: „ჩემო კარგო, ვერა ხედავ, რამდენი საქმე მაქვს, თქვენთვის არა მცალიან. ათასი სხვა თავში-საცემი საქმე მაქვს“. მართლაც, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, საწერს მანქანას უჩხაკუნებდა, გული გადააყოლა და მთავრულ ასოს მაგიერ ციფრი ჩაატყეპა. მოუვიდა გული და ამერიკელებს დაუწყო გინება,—მანქანა იმათებურია და სულ იმათი ბრალიაო.

„შემდეგ მეორე გადამწერს მისდგა,—რუკების გასანაწილებელ სიაში რაღაც გამორჩენოდათ.

„იმის გვერდით მეორე კაცი გეკტოგრაფზე გაცხარებით ცირკულიარებსა ჰბეჭდავდა. ოფლი წურწურით გადმოდიოდა, ხვნეშოდა და ბოლოს და ბოლოს მის მიერ დაბეჭდილ ფურცლებზე არაფრის გარჩევა შეიძლებოდა. სხვები ლაყბობდენ, თავისს სახელს არასფერს უწოდებდენ: „ერთი მითხარით, გეთაყვა, X-ის ბანაკში რომელი და რომელი ელემენტია დაბანაკებულიო“? ეგ ელემენტები რაღა ოხრობაა, რომ ვერ გამიგია,—ბრაზი მოსდიოდა ვოლპატს.

„დიდ მაგიდის ბოლოში, სადაც ფრანტები ისხდენ, რომელთა შესახებ მე გელაპარაკებით, და წინ მთელი მთა ეწყოთ ქაღალდებისა, რომელიღაც სერჟანტი განკარგულებას იძლეოდა და თვითონ კი არასფერს აკეთებდა; მისი საქმე იყო შეებულებათა წერა, მაგრამ რათგან ამ დროს მტერს შევუტიეთ, შეებულებათა გაცემა შესწყვიტეს. „რა კარგია“, იძახდა ფრანტი!

„და ყოველივე ეს ერთს მაგიდასთან ხდებოდა, ერთ ოთახში, ერთს სამსახურში. მაგრამ ამას გარდა სხვა ბევრი კანცელარიებიც მინახავს და ყველგან ერთი და იგივე იყო. გავგიჟდები, რაღა-მეთქი, ვამბობდი.

— წარჩინების ნიშნები ხომ ჰქონდათ დაკერებული?

— არა, ყველას არა ჰქონდა.. მაგრამ მეორე ხაზის სამსახურში ვინც იყო, ყველას ეკერა თითო რამ: მთელი კოლექცია იყო დაკერებულებისა, საკლიმატიზაციო ბაღი იყო რაღა.

— ეგ რა არის! შენ მე რომ ვნახე, ის იკითხე,—ჩაერია ლაპარაკში ტულაკი.—ავტომობილისტი იყო, ტანისამოსი აბრეშუმისას უგავდა. დაკერებულები სულ ახლები ჰქონდა, ახლა ღვედები სთქვი, თითქო ინგლისელი ოფიცერიაო, თუმცა სულ უბრალო სოლდათი კი იყო. ლოყისათვის თითები შეეყებინა და ისე იჯდა სულ ბროლის შუშებით მორთულ ავტომობილზე და თავიც დიდკაცურათ ეჭირა.

— სწორედ იმ სოლდათებსა ჰგვანდა, რომელთაც საქალებო დასურათებულ ჟურნალებში ჰბეჭდვენ, ბულვარებზე რომ ჰყიდიან.

ყველა ჩვენთაგანს აქვს ესა თუ ის მოსაგონებელი, თავისი სათქმელი იმათს შესახებ, ვინც ახერხებს ზურგში დარჩეს და ფრონტზე არ წავიდეს როგორმე. ყველას უნდა რამე სთქვას და ერთიმეორეს სიტყვას აწყვეტინებენ.

ჩოჩქოლია ატეხილი ამ მოქურუშებულ კედლის ძირას, საცა ტომრებივითა ყრიანართ. გარშემო ბუნებას ცხვირპირი ჩამოსტირის, მუხლებამდე ტალახია და ზევიდანაც წვიმა დაგვდის.

— დასასრულ, უნდა გითხრათ,—დაიყვირა ვოლპატმა და ჩააჩუმა სხვები.—ყველანი ვნახე, ვნახე, სიტყვით როგორ მუშაობენ ეს ზურგს უკან მოქცეული მყვირალები! ორის დღის განმავლობაში მზარეულის თანაშემწედ ვიყავი სამზარეულოში, სანამ პოლკში დამაბრუნებდენ,—სანამ დაბრუნების ბრძანება არ გამოვი, უსაქმოთ ხომ არ დაგტოვებთო. ამ ბრძანების გამოსვლა კი არ ეჩქარებოდათ. ერთგან მისწერეს, უკან შეკითხა გამოგზავნეს: რათა, როგორაო, რისთვისაო. მერე უპასუხეს, მერე ისევ დააბრუნეს პასუხი. ასე აწოწიალეს ქაღალდი იქით-აქეთ, ერთ კანცელარიიდან მეორეში, მეორედან მესამეში და ასე დაუსრულებლივ.

„დავრჩი და დავრჩი სამზარეულოში. ერთხელ მე მოვიტანე სუფრაზე საჭმელი, რათგან უფროსი მზარეული ის-ის იყო დაბრუნდა უკვე მეოთხეჯერ აღებულ შვებულებიდან და ბრძანა, დაღლილი ვარო! ვუყურებდი ამ ვაჟბატონებს, მესმოდა მათი ნალაპარაკევი, როცა კი შევიდოდი სასადილოში, პოლიციაში რომ იყო მოთავსებული. აქ მხოლოთ მეშველი მოხელენი ისხდენ, მაგრამ მომქმედ ჯარის ხალხიც იყო, და მომეტებულათ მოხუცნი იყვნენ, მაგრამ აქა-იქ ახალგაზრდებიც ერიენენ.

„და მესმოდა, ერთი კაცი რასაც ლაპარაკობდა: „დარაბები მივხუროთ, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო". თქვენ წარმოიდგინეთ, ცეცხლის ხაზი იქიდან ორასის კილომეტრის მანძილზე იყო, მაგრამ იმ ქოფაკის აზრით შეეძლო მტერს აეროპლანებიდან დაეშინა ყუმბარებიო...

— ბიძაშვილი მყავს ერთი და აი რასა მწერს,—სთქვა ტირლუარმა და ჯიბიდან წერილი ამოიღო: „ძვირფასო ადოლფ. საბოლოოთ მოვეწყვე პარიზში მესამოცე სათადარიგო პოლკში. შენ მანდა ხარ, ძმაო, და ჩვენ აქ მუდამდამ იმის შიშში ვართ, აცა როდის წამოგვიქროლებს გერმანელთა აეროპლანები ან ცეპელინებიო"...

ყველას ხარხარი აუტყდა.

ამ ფრაზამ საერთო მხიარულება გამოიწვია, და თითქო ჩასამტკბარლნებელი რამ საჭმელი იყოვო.

— მას შემდეგ,—განაგრძო ვოლპატმა,—რა არ გავიგონე ამ ქვეშაჯმიჯბისაგან!... სადილს ვერ დავემდურებოდი: რადგან პარასკევი იყო, თევზი გვქონდა, მაგრამ მშვენიერათ კი მოეხრაკნათ.

„ყველანი თავიანთს შესახებ ლაპარაკობდენ. ყველა ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ იყო აქ და არა სხვაგან, და, რა თქმა უნდა, სტყუოდა და თან სვავივით იყრიდა მუცელში საჭმელს. „ავათა ვარ, დავსუსტდი, შემომხედეთ, რას დავემსგავსეო". და რომ სხვებთან თავი გაემართლებინა, ათასგვარ ავადმყოფობას იგონებდა: „მინდოდა ომში წასულიყავ, მაგრამ ტრიკი ჩამომივიდა ჯერ ერთი, მერე ორი, შემდეგ სამი". ახ, თქვე ნაცარქექიებო, თქვენა. თქვენი რჯულიც კი გაწყდეს, ჰოოდე! „ცირკულიარები, სადაც ნათქვამია, ფრონტზე ქუდზე კაცი უნდა გავიდესო,—განმარტა ერთმა კევილეჩიამ,—ვოდევილია უბრალო: უკანასკნელ მოქმედებაში ისე ეწყობა ყველაფერი, როგორც მაყურებელს უნდა. ეს უკანასკნელი მოქმედება ვოდევილისა უდრის ცირკულიარის პარაგრაფს: „თუ, რა თქმა უნდა, ამით სამსახურის საქმე არ დაბრკოლდებაო"..

ამას შემდეგ მეორემ წამოყო თავი: „სამი მეგობარი მყავდა, მაგათი იმედი მქონდა, დამეხმარებიან-მეთქი, მაგრამ ჯერ არც კი შევსდგომოდი საქმეს, სამივე მომიკლეს. ბედი არა მაქვს, სწორედ!".. მესამე თავისს მეზობელს ეუბნებოდა: „მე კი სულითა და გულით მინდოდა ომში წასვლა, მაგრამ უფროსმა ექიმმა ძალის-ძალათი დამტოვა სათადარიგო ლაზარეთშიო. რას იზამ,—ამბობდა იგივე,—ბედს დავემორჩილე. ბოლოს და ბოლოს ჩემის ცოდნით უფრო გამოვადგები სამშობლოს, ვიდრე თოფითა". მის გვერდით მჯდომი თავს უქნევდა და ყველაფერში ეთანხმებოდა.—მეცაო,—ამბობდა მეზობელი,—ბარემ არ მინდოდა ბორდოში წასვლა, როცა გერმანელები პარიზს მოადგნენ, და ბორდო სატახტო ქალაქად გადაიქცაო; მაგრამ მერე ისევ ფრონტს დავუახლოვდი, პარიზში ჩამოვედიო"... ამას თან რაღაც ამის მსგავსი დასძინა: „საფრანგეთს ჩემის ნიჭით გამოვადგები და ეს ნიჭი უეჭველათ უნდა შევუნახო სამშობლოსაო"...

„ილაპარაკეს იმათზედაც, ვინც იქ არ იყვნენ: ბატალიონის კომანდირზე, რომელსაც ხასიათი სულ გაჰფუჭებოდა და რაც უფრო უძლურდებოდა, მით უფრო სისასტიკეს იჩენდა თურმე. მერე ახსენეს გენერალიცა, რომელმაც მოულოდნელათ იცოდა რევიზიის გაკეთება, რომ მცონარეები დაეჭირა; მაგრამ ეს ერთი კვირა მეტია, ლოგინად ჩავარდნილა და ვერა დგებაო. „უეჭველია, მოკვდება, მორჩენის იმედი არ არის." ამბობდენ სხვები და თან თუთუნსა სწევდენ, იმ თუთუნს, მაღალი წრის ტვინთხელა ხალხი სანგრებში სოლდათებისათვის დასარიგებლათ რომ გზავნიდა. „—იცი,—ამბობდენ იგინივე,—პატარა, ცქრიალა ფრაზიმ, ქერუბიმის მსგავსმა ფრაზიმ, იმანაც კი მოახერხა ზურგში დარჩენა. სასაკლაოზე სალახი სჭიროდათ და პროტექციით იმანაც იქ ჩააწერინა თავი, თუმცა იურისტის დიპლომი აქვს და ნოტარიუსთან იყო გადამწერლად. რაც შეეხება ახალგაზდა ფლან-

დრენს, იმდენი მოახერხა, რომ თავი პოლიციელთა ჩაფრად ჩააწერინა“... რამდენი ერთი ჩამოგითვალო!..

— ეგ ვირები, ეგა!—ბუზღუნებს მარტრო.

— ყველა ამათ ერთი ვიღაც ბურენის ბედი შურდათ, არ ვიცი კი რადა; „წინად პარიზის გაშლილ ცხოვრებას მთლად ჰყავდა ჩაორეული: საუზმესა და სადილებს ხან რესტორანებში მიირთმევდა, ხანაც ოჯახებში. ყოველ დღე თვრამეტ ვიზიტს აკეთებდა, პეპლასებ დახტოდა სალონებში საღამოს ხუთ საათიდან გათენებამდე. კოლილიონების დირიჟორობა მისი საქმე იყო, სადმე თუ დღესასწაული რამ იქნებოდა მოსაწყობი, უეჭველათ იმას უნდა ეთავნა; თეატრებში გინდოდათ, იმას ნახავდით, ავტომობილებით გასეირნებაში ბონაწილეობა ხომ უნდა მიეღო და მიეღო და შამპანურის ღვინის სმისას ხომ ნულარ იტყვით! მაგრამ აჰა, ომიც გამოცხადდა. საწყალი ბიჭი ერთბაშათ დასუსტდა, არ შეეძლო ცოტა გვიან სადარაჯოდ გაჩერებულიყო სანგრებში და მავთულის ღობეები გადაეკრა ხოლმე. სითბოსა და დამშვიდებულ ცხოვრებას მიჩვეულს, ოლონდაც რომ გაუჭირდებოდა. მერე, პარიზში ნაცხოვრებს სოფელში წასვლა როგორ შეეძლო, როგორ შეეძლო თავი სასანგრო ცხოვრებაში ჩაეშარხნა! როგორ შეიძლებოდა!“ „ჩემსებ კაციოცდაჩვიდმეტის წლისა რო გახდებაა,—უპასუხა მეორე ტიპმა,—უნდა თავს გაუფრთხილდეს!“ და ეს ვაჟბატონი ამას რო ბრძანებდა, მომაგონდა მეტყეველი დიუმონი; ორმოცდა ორის წლისა იყო, 132-ის სიმაღლეზე მთელი დასტა ტყვიისა მოხვდა, ჩემს გვერდით, ისე ახლო, რომ როცა თავი გაუჩეჩქვა ტყვიამ, და მისი ტანი თახთახებდა, ჩემმა ტანმაც დაიწყო ცახცახი, თითქო მე მომხვდა ეს ტყვიებიო.

— შენ როგორ-ღა გეპყრობოდენ ეს ნაცარქექიები?

— ზიზღით მეკიდებოდენ, მხოლოთ თავიანთს ზიზღს მაშინ აჩენდენ, როცა არ შეეძლოთ არ გამოეჩინათ ეს ზიზღი. საზოგადოთ, განზე მიყურებდენ და როცა ჩამოვლიდენ, გან-

საკუთრებით ფრთხილობდენ, არ გაეხახუნებოდენ, ამიტომ რომ სანგრებიდან ახალ დაბრუნებულზე ჯერ ისევ ჰუჯაიანი ვიყავ. გულღვიძლს მიმღვრევდა ამ მუქთახორა და უსაქმო ხალხს შორის ყოფნა, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი: „არაფერია, ფირმენ, მოითმინე, ამათთან დიდხანს არ იქნებიმეთქი“. ერთხელ, ცოტას გაწყდა, ყველაფერი არ დავფქვი, რაც გულში მედო. ერთმა ოხერ-ტიალმა ასე სთქვა: „მერე, როცა ომიდან დაებრუნდებით, თუ დაბრუნება გვიწერიაო“! არა, რა ნება ჰქონდა, ეს ეთქვა ამ მუდრეგსა! შე ოხერო, ასეთი რამ რო სთქვა, იმის უფლება უნდა გქონდეს თუ არა, იმნაირადვე, როცა ჯილდოს რასმე ღებულობს კაცი! დეე უსაქმურათ ეყარნენ აქ, ჯანდაბას მათი თავი და ტანი! მაგრამ როცა აქ ჰამის მეტს არასფერს ჭეთებენ, უფლება არა აქვსთ ითამაშონ ისეთის კაცის როლი, რომელიც ყოველ წამ სიკვდილს მოელის... ვერ მოგართვეს! შენ ყური უნდა დაუგდო, როცა ბრძოლის ამბავს მოუყვებიან ერთმანეთს! საქმე ის არის, რომ აქაური ამბავი იმათ ჩვენზე უკეთესათ იციან, ყველაფერს თვალყურს ადევნებენ. ახლა, ჩემო ძმაო, როცა დავბრუნდებით, თუ კი დავბრუნდებით ცოცხლები, ჩვენს ნათქვამს სიმართლეს ამ ყბედ და ენაგრძელ მოლაყბეთა ხროვაში იოტის ოდენა ფასი არ ექნება.

„ახ, ჩემო კარგებო, ერთი უნდა შეგეხედნათ ყველა ამათ ფართრეთებისათვის საღამოობით, როცა თვალისმომჭრელი სინათლე იდგა ოთახებში! ასე იტყოდით, ბალეტს, საოცნებო რასმე ვუყურებთო. ისე სტკბებოდენ ცხოვრებითა, როგორც მშვიდობიანობის დროს. მერე რამდენნი არიან, ღმერთო ჩემო! ასი-ათასობით არიან!—დაასრულა, როგორც იყო, ვოლპატმა, გამოშტერებულმა.

მაგრამ სოლდათებს, რომლებიც სხვების სიცოცხლეს თავიანთს ძალ-ღონესა და სიცოცხლესა სწირავდენ, ეცინებოდათ, ვოლპატს ასე გულმოსულს რომ ხედავდენ, კუთხეში

მიჰუჭკულს და ომს გამოქცეულების სახე ასე თვალწინ რომ ედგა. და უფრო აღიზიანებდენ.

— კიდევ კარგი, რომ ვოლპატი არას გვეუბნება იმ ქარხნის მუშების შესახებ, რომელნიც ახლა, ომის დროსა, სწავლობენ მუშაობას, არც იმათს შესახებ გვეუბნება, ვინც შინ დარჩნენ „ეროვნულ თავდაცვის" მიზეზით და ბუზებს-ღა თვლიან. — ჩაილაპარაკა ტირეტმა. — აბა მაშინ გააბამდა ჰიანურს!..

— შენ ამბობ, ისეთები, ვინც ომს ემალებიან, ასი-ათასობით არისო, — დაცინვით უთხრა ბარკმა. — და ის კი იცი, რომ 1914 წ. მილერანმა, სამხედრო მინისტრმა, დეპუტატებს რა უთხრა? რა და ისა, რომ ყველა ომშია წასული, ომს არავინ ემალებაო.

— მილერანი? — დაიბურტყუნა ვოლპატმა, — ჩემო კარგო, მილერანი არ ვიცი, ვინ არის, მაგრამ თუ კი მაგან ესა სთქვა, დიდი ოხერი ვინმე ყოფილა, ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა.

* * *

— ზურგში რაც უნდათ, ისა ჰქნან; მაგრამ უბედურება ის არის, რომ აქ, ჩვენთან, ერთსა და იმავე სახაზო პოლკში დიდი უთანასწორობაა. რამდენი გვირევია ასეთი, თავის დაძვრენას რომ ცდილობს!...

— მართალია. — დაეთანხმა ბერტრანი, — ყველა იმასა ცდილობს სხვის ხარჯით ფონს გავიდეს.

— ეგეც მართალია: ვინც უნდა იყოს, სულ მუდამ ისე გამოვა, რომ ან შენზე უარესი საზიზღარი იქნება ან კიდევ შენზე უკეთესი.

— ვინც ჩვენთან სანგრებს თავს არიდებენ, ან ისინი, ვინც, რო მოჰკლა, მანც არ წავლენ პირველ ხაზზე ან და იშვიათად მიდიან, ყველა ესენი, თუ შენც დამეთანხმები, თავიძვრენიები არიან და უნდა ნახო, რამდენი გამოჩნდება ასეთი! და მხოლოდ უბედურება და სამწუხარო ის არის, რომ

წარჩინებას ნამდვილ მეომრებს გარდა სხვებსაც აძლევდენ და არ იცი, ვინ ღირსია და ვინ უღირსი.

— ასეთები ორასორმოცდაათი კაცი გამოვა ყოველ ორბატალიონიან პოლკზე,—სთქვა კოკონმა.

— არიან ოფიცერთა მსახურნი და ერთ დროს ადიუტანტებს რალაც თანაშემწეებიც კი გაუჩინეს.

— ახლა მზარეულები და მათი თანაშემწეები სთქვი.

— მერე უფროსი სერჟანტები და უფრო ხშირათ კვარტირმეისტერები.

— მერე კიდევ კაპორალები და მუშაობის ამსრულებელი კომანდები.

— ჩააგდე აგრეთვე კანცელარიის ვირთხები და დროშის... ყარაულები...

— ფოსტალიონები.

— საქონელის გამრეკავები, მუშები, შოფერები, საპიორებიც კი.

— ველოსიპედისტები.

— კიდევ არის.

— თითქმის მთელი სასანიტარო პერსონალი.

— მხოლოდ რა თქმა უნდა, სანიტარი-მესაკაცენი ჩასათვალნი არ არიან; ამათ არამც თუ ძალური სამუშაო აქვსთ, გუნდთან დგანან და იერიშის დროს თავიანთის საკაცეებით შეუტევენ მტერს; უნდა ჩავთვალოთ ჩვეულებრივი სანიტრები...

— განსაკუთრებით მღვდლები თითქმის ყველანი ზურგში არიან. ამიტომ რომ, ჩანთა მოკიდებული მღვდელი ნამდვილ ბრძოლის დროს მე ჯერ არ მინახავს, ჭ შენი კი არ ვიცი.

— არც მე მინახავს. გაზეთებში გამოჰიმულები კი მინახავს მღვდლები, მაგრამ აქ კი არა.

— ამბობენ კია, რომ მღვდლებსაც მიუღიათ ბრძოლაში მონაწილეობაო.

— შენც ამბობ, რალა! თუ ვინმე იბრძვის ამ ომის დროს, ისევ საწყალი ქვეითა ჯარი.

— ჩვენს გარდა სხვებიც არიან, ძმაო, სახიფათო მდგომარეობაში.

— არა, მარტოდ-მარტო ჩვენა ვართ, რომ ვიბრძვით ბ სიკვდილს კრიჭაში ვუდგევართ, — პრისხანედ წარმოსთქვა ტულაკმა.

* * *

მერე დასძინა.

— შენ მეტყვი, — ვიცი რასაც მეტყვი, — რომ ავტომობილისტები ბ მძიმე არტილერიის სოლდათები ძალიან დაზარალდენ ვერდენთანაო. მართალია, და მაინც იმათი მდგომარეობა, ჩვენთან შედარებით, უკეთესია. ჩვენ ისეთი ხიფათი მოგველის ხოლმე, რომ იმათ მხოლოდ ერთხელ გამოსცადეს ასეთი ხიფათი. (გარდა ამისა ჩვენ იმათზე მეტი გვაქვს ტყვიაცა და ხელით სასროლი ყუმბარებიცა). მძიმე არტილერიის ხალხი ისე არხეინათ ცხოვრობდა, რომ თავიანთ საფარს ახლო ბაჰიები ჰყავდა მოშენებული. მთელ თვრამეტის თთვის განმავლობაში ჩხირი არ გადააბრუნებია და ერბო-კვერცხს შეექცეოდა. ჩვენ კი სულ მუდამ შიშში ვართ, და ვინც მხოლოდ ერთხელ-ორჯელ გამოსცდის ამ შიშს, ანგარიშში მოსატანი არ არის. ასე რომ ვილაპარაკოთ, შეიძლება ყველამა სთქვას — თქვენთან ერთნაირ მდგომარეობაში ვართო, უბრალო გადიასაც შეუძლია აგისი თქმა: იმასაც ხომ ეშინიან, შეიძლება გერმანულ აეროპლანის ან ცეპელინის ყუმბარა დამეცესო, როგორც ამბობდა ის ვირისთავი, რომლის შესახებ ეს-ეს არის, ამხანაგი გიამბობდათ.

— დარდანელზე პირველათ გალაშქრების დროს ყუმბარის ნატეხს ერთი ფარმაცევტიც კი დაუჭრია. არა გჯერა? მართალი კია, ტანისამოსზე მწვანე მაუდ-შემოვლებული ოფიცეოი, დაჭრილა!

— ეს მარცხად მოხდებოდა. აი ჩემი ამხანაგი მანგუსტიც, რომელიც ურმებს დაჰყვებოდა ხოლმე, ამასაც სწორედ ასე-

თი რამ მოუვიდა: მარჯალია, დაიჭრა, მაგრამ ყუმბარის ნატეხით კი არა, საბარგო ავტომობილმა გადაუარა.

— რა თქმა უნდა... ვინ ამბობს. შეიძლება ყუმბარა რომელსამე ბულვარზედაც გასკდეს, ბორდოსა ან პარიზში.

— ჰო, და ადვილი სათქმელია: „ყველანი ხიფათში ვიგდებთ თავსაო.“ მომითმინეთ, ბატონებო! ომის დაწყებისას ზოგი მართლა მოჰკვდა მარცხათ, ჩვენს შორის კი ზოგი თუ გადარჩა ბედნიერ შემთხვევისა გამო. ეს სულერთი არ გახლავთ, იმიტომ რომ როცა კაცი ჰკვდება, მორჩა, სამუდამოთ არის მკვდარი, აღარ გაცოცხლდება.

— დახე,—წაილაპარაკა ტირეტმა,—მაგრამ თავი კი მომაბეზრეთ თქვენის ისტორიებითა ამ თავიძვრენიებს შესახებ. რაკი მაგათს წინააღმდეგ ეერავინ რას გახდება, არც ღირს ვილაპარაკოთ. ეს ამბავი ერთს სოფლის დარაჯს მომაგონებს, შერეში მცხოვრებს, სადაც ჩვენ წარსულ თთვეს ვიდექით. დადიოდა ქუჩებში და ყველგან მოქალაქეთ მეძებარივით დაეძებდა, ვინც სამსახურისთვის ივარგებდა. ერთბაშათ ერთ მსხვილ და ულვაშიან დედაკაცთან გაჩერდა; ულვაშებს გარდა არაფერი დაუნახავს ლ ყვირილი დაუწყო: რატომ ფრონტზე არა ხარო?!..

— მე, ძმაო,—სთქვა პეპენმა,—ამ თავიძვრენიებს თავშიამც ქვა უხლიათ, მაგათს ამბავს არა ვკითხულობ, ამიტომ რომ ტყუილათ რისთვის გავიცხელო თავი; მაგრამ ის-კი ვერ მიპატივებია მათთვის, როცა სხვადასხვა ოინბაზობას ეწევიან. მეც ვოლპატის აზრისა ვარ. დეე ნურაფერს გააკეთებენ,—კაცნი ვართ ყველანი, თითო ნაკლი ყველასა გვაქვს,—მაგრამ იმის თქმას მაინც ნუღარ ჰბედავენ: „ომში ვიყავიო“... აი თუნდ ომში თავისნებით ჩაწერილები ავიღოთ...

— თავისნებით წასულებიც სხვადასხვა ნაირნი არიან. ვინც ქვეითთა ჯარში ჩაეწერნენ და პირობა არაფერი დაუდვიათ, პატივცემის ღირსნი არიან იმავე პატივცემის ღირსნი არიან ომში დახოცილებიცა. მაგრამ თავისნებით ჩაწერი-

ლები, ვინც სხვადასხვა სამსახურში და სპეციალურ პოლკებში, თვით მძიმე არტილერიაშიც-კი მოჰყვნენ, ასეთების საქციელი პირდაპირ გულღვიძლს მიღრღნის. ვიცნობ, რა შვილებიცა ბრძანდებიან. ნაომევს თავიანთს წრეებში მანჭვა-გრეხას მოჰყვებიან: მე ჩემის ნებით ჩავეწერე ჯარშიო.—ახ რა კარგათ გინებებიათ,—ეტყვიან ნაცნობები,—რომ თქვენის ნებაყოფლობით გაგიწირავსთ თავი.“—რა თქმა უნდა, ქალბატონო მარკიზა, ბუნება მაქვს ასეთი, სხვაფრივ ვერც მოვიქცეოდი!“ აი ღმერთმა კი შეგაჩვენოსთ, თქვე დოყლაპიებო, თქვენა! ვიცით, რა კაცებიცა ბრძანდებით!..

— ერთს ვიცნობ, საავიაციო პარკში ჩაეწერა. მშვენიერი სამხედრო ტანისამოსი ეცვა. ჩემთვის რომ ეკითხნა, უკეთესს კი იზამდა, ოპერეტში შესულიყო და იქ რამე ალაგი ეშოვნა.

— შესაძლებელია, მაგრამ მაინც ეს ერთი და იგივე ისტორიაა. იმას ნება არ ექნებოდა, სალონებში დაეტრაბახნა: „ერთი ბიჭსაც შემომხედეთ, რა გმირი რამ ვარო!“

— თეატრში რომ შესულიყო, ეს არამც თუ უკეთესი, საზოგადოთაც კარგი იქნებოდა. თეატრში ხალხს გააცინებდა მაინც, და ახლა კი მხოლოთ აბრაზებს.

— ყველა ეს ვაჟბატონები თიხის ლამაზ ქოთნებსა ჰგვანან, ახლად შელებილებს და აჭრელებულებს; მაგრამ იქ, სადაც თოფის სროლაა გახურებული, ესენი წამსვლელნი არ არიან, ძმაო, არა.

— ყველანი ასეთები რომ იყვნენ, გერმანელები უკვე ბაიონში იქნებოდენ.

— რაკი ომია, თავი არ უნდა გეზოგებოდეს, ხომ, ჩემო კაპორალო?

— მართალია,—უპასუხა ბერტრანმა.—ისეთი წუთებია ხოლმე, როცა მოვალეობა ჭ ხიფათი ერთი ჭ იგივეა. როცა სამშობლო, როცა სიმართლე და თავისუფლება განსაცთელშია, შეუძლებელია ესენი დაიცვა სადმე საფარს ამოფარებით.

ომის დროს არავის უნდა შეეშინდეს სიკვდილისა, ყველამ უნდა გასწიროს თავისი სიცოცხლე, ყველამ, განურჩევლათ ყველამ. უფლება არავისა აქვს ამ მოვალეობას თავი აარიდოს. ომში თამამათ უნდა წახვიდე, ბოლომდე უნდა მიჰყვე! რას მიქვია ხალხის მოტყუილება და იმის თქმა, ვიბრძვიო და სადღაც კი იმალებოდე და კევსა ჰლეჭავდე, რაღაც კოხტა ფორმით გამოწყობილი! ზურგის სამსახური, რაც აუცილებლათ საჭიროა, ავტომატურათ უნდა იქმნეს შესრულებული იმათს მიერ, ვინც მართლა დავრდომილები და მართლა მოხუცები არიან.

— იცი, რა გითხრა. ბევრი, ძალიან ბევრი გვყავს მდიდარი და გავლენიანი ხალხი, რომელიც ჰყვიროდა: „საფრანგეთს ვიხსნითო. და იქიდან დავიწყოთ, რომ ჩვენი თავი ვიხსნათო.“ ომი რომ გამოცხადდა, აუარებელი ხალხი გამოჩნდა ისეთი, რომ ცდილობდა თავი დაეძვრინა როგორმე და ომში არ წაეყვანათ. ვინც უფრო ძლიერი და მარჯვე იყო, მოახერხა კიდეცა თავის დაძვრენა. ჩემს სოფელში ვიყავ და თვალყურს ვადევნებდი ასეთ ვაჟბატონებს: სწორეთ ესენი ჰყვიროდენ ყველაზე მეტს—სამშობლო, სამშობლოს სიყვარულიო!... ყოველსავე შემთხვევაში, ჩვენმა ამხანაგებმა მართალი სთქვეს: რა-კი ღმერთი გაგიწყრა და გინდა თავი დაძვრინო, ჯანაბას შენი თავი, დაძვრინე, მაგრამ, შე ოხერო, ბუკსა და ნაღარას მაინც ნუ ჰკრავ და ნუ იძახი—ომში ვიყავი და ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდაო! მეტი საზიზღრობა ღა იქნება?! ხოლო ისინი, ვინც მართლა ბეწვზე ჰკიდებდენ თავიანთს სიცოცხლესა, იმნაირათვე ღირსნი არიან პატივისცემისა, როგორც ომში მოკლულები.

— რას იზამ! ეს მუდამ ასე ყოფილა და იქნება კიდეც, ჩემო კარგო.

— ვერასფერს გავხდებით. ვიყვიროთ, ვიჩიველოთ? ვისთან ვიჩიველოთ? მართლა, საჩივარზე მომაგონდა...მარგულენს ხომ იცნობდი?

— მარგულენს? ეს საუცხოვო ბიჭი არ იყო, მკვდარი რო ეგონათ და ბრძოლის ველზე რომ დააგდეს?

და აი სწორეთ მარგულენს უნდოდა ეჩივლნა. ყოველ ცისმარე დღე სულ იმას იძახდა, ყველაფერი უნდა დავსწერო და მოვახსენო კაპიტანს, ბატალიონის კომანდირს და მოვითხოვო, ისეთი წესი დაადგინონ, რომ სანგრებში ყველა რიგრიგათ წავიდესო. „უეპველათ მოვითხოვ ამასაო“, იძახდა რიხიანათ მარგულენი,—ისე უეპველათ, როგორც, ახლა ჩემს წინ ღვინო სდგას“. ხანმა რომ გაიარა, კილო შესცვალა: „თუ რაც მინდოდა, ვერა ვქენი, იმიტომ რომ ჩემს წინ თავის დღეში არ მდგარა ღვინო“... და როცა წინ ღვინო დაუდგეს, სთქვა: „ნუ თუ ეს ღვინოა? აი, ნახავ, თუ არ წავედი და არ ვიჩივლეო“. ამით გათავდა. არც უჩივლია და არც არაფერი. შენ იმას მეტყვი, მოჰკლესო. მართალია, მერე-კი მოჰკლეს საწყალი ბიჭი; მაგრამ სანამ მოჰკლავდენ, დრო საკმაო ჰქონდა და ათასჯერ შეეძლო ექნა, რაც უნდოდა, ცოტა გაბედულება რომ გამოეჩინა.

— ყოველივე ეს გულს მიმღვრევს,—დაიღრიალა ბლერამა, სახე მოქუფრუშებულმა და თვალებში რისხვის ნაპერწკალმა გაუელვა.

— ჩვენ, ძმაო, არაფერი გვინახავს,—ვერც რასა ვხედავთ.—მაგრამ რომ დავინახავდეთ!...

— ჩემო კარგო,—წამოიძახა ვოლპატმა,—ყური დამიგდე, რა გითხრა: ზურგში რაც დაწესებულებაა, სულ უნდა გადმოატრიალო, სულ, ყველგან, სენასა, გარონსა, რონსა, და ლუარში, რომ ცოცხით კარგათ გასწმინდო იქაურობა. ჭ სანამ მე და შენ იქაურობას გავსწმენდავდეთ, შიგ არხეინათ მოკალათებულნი არიან, რაც ქვეყანაზე უსაქმური და მცონარაა, და ყოველლამე თავისუფლათა ხვრინავენ, ყოველ ღამე, ყოველ ღამე.

სოლდათი ლაპარაკს მორჩა. შორს უყურებდა ღამეს, რომელსაც მისი ამხანაგები ატარებდენ, მობუზულნი, ყურებ-

დაცქვეტილნი და დაღერემილნი; სხედან საყარაულო ხვრელში და ყოველთვის, როცა ზარბაზნის ყუმბარა ცაში იელვებს, ხედავენ ადამიანის დაჩეჩქვილ ყბებსა.

კოკონმა მწარეთ წამოიძახა:

— ყველა ამ ამბის შემდეგ, სწორე გითხრა, სიკვდილი არ მენატრება.

— ერთი შენც ლაპარაკობ, რალა!—დაშვიდებულის კილოთი გამოეხმაურა ვილაცა.—რატომ... ნურც მაგრე გააზვიადებ, შე მხდალო, შენა.

X.

დ ა ს ჯ ა.

მინდვრებიდან საღამოს ბინდი მოდიოდა. ტკბილი, სიტყვებივით ტკბილი ნიავი თან მისდევდა.

სასოფლო გზის გაყოლებით ჩარიგებულ სახლების ფანჯრებიდან ლამპებისა და სანთლების სინათლე გამოდიოდა.

სოფლის განაპირას სოლდათები დაეხეტებოდენ, უთოფიარაღოთ, ცხვირაწეულნი. მშვიდობიანათ ვასრულებდით დღესა და დასვენებითა ვსტკბებოდით; მაროლაც დასვენება მაშინაა ტკბილი და საამო, ოდეს ძაღზე ხარ დაღლილი. საუცხოო დარი იდგა. დასვენებას ვიწყებდით და გვიხაროდა, რა ტკბილი იქნება ეს მოსვენებაო. სახეებზე დაფიქრება და სერიოზობა გვეხატებოდა საღამოს ბინდისას.

სერჟანტი სუიარი მოვიდა. მკლავზე ხელი მომკიდა და განზე გამიყვანა.

— მოდი, რაღაც უნდა გაჩვენო, — მითხრა.

სოფელს გარშემო მთელი რიგი დიდის ხეებისა ჰქონდა შემორიგებული და მსუბუქი სუნთქვა ქარისა დრო-და დრო ნელ-ნელა არხევდა მათს ხშირს სამოსელს.

სუიარი წინ მიდიოდა. ჩაღრმავებულ გზით მივყავდი. გზა ერთბაშათ განზე უხვევდა. ორივ მხარეზე ჩაყოლებული ბუჩქები კენწეროებით ერთიმეორეს ეხკვევოდა. ერთსხანს ასე მივდიოდით, ნაზ, ხასხასა მწვანე მკენარეულობით დაფარულები. სინათლის უკანასკნელი შუქი ცერათ ეცემოდა გზაზე და ხის ფოთლებს ოქროს ფულის მსგავს ღია-ყვითელ მრგვალ წერტილებით ჰფარავდა.

— რა მშვენივრებაა აქ! — წამოვიძახე.

სუიარი ხმას არ იღებდა და ერთავათ განზე იცქირებოდა. გაჩერდა.

— აი, იქ უნდა იყოს.

პატარა ბილიკით ერთ მინდორზე ამოყვანა. გარშემო ხეები იდგა და ახლადმოთიბულ ბალახს საუცხოო სურნელება ასდიოდა.

— ეს რა არის, — ვკითხე ამხანაგს, — მიწა ვის დაუტკეპნია! რა ამბავი ყოფილა, ჯომ არ იცით?

— გამომყევი და გეტყვი, — მითხრა სუიარმა.

ცოტა მოშორებით გამატარა. სოლდათების ერთი ჯგუფი იდგა და რაღასაც ჩუმათ ლაპარაკობდენ. ჩემმა თანამგზავრმა ხელი გაიშვირა და მითხრა:

— აი აქ არის.

დაბალი ბოძი, ერთი მეტრის სიმაღლეც არ იქნებოდა, მიწაში იყო ჩარჭობილი ღობემდე რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე. ამ ადგილას ღობე ნორჩ ხეებისა იყო.

— ამ დილას აი იქ დახვრიტეს ერთი მე-204 პოლკის სოლდათი.

„ბოძი ღამით ამართეს. საწყალი კაცი განთიადისას მოიყვანეს და მისისავე რაზმის სოლდათებს დაახვრეტინეს. სანგრებში წასვლის ჯერი რო დაუდგა, თურმე მოინდომა თავი დაეძვრინა როგორმე: გაგზავნის დროს სხვებს უკან ჩამორჩენია, და მერე ჩუმათ დაბრუნებულა ბანაკში. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ჩაუდენია. მე მგონი, სხვების შესაშინებლათ თუ დახვრიტეს.

სხვა სოლდათებს მივუახლოვდით და მათს ლაპარაკს ყური დავუგდეთ:

— არა, სრულებითაც არა, — ამბობდა ერთი, — ცუდი ბიჭი არ იყო, შენ რომ გინახავს, ასეთ სალახანებს სრულებით არა ჰგავდა. ერთათ წამოვედით. ჩვენისთანავე კაცი იყო, არც მეტი, არც ნაკლები; ცოტათი მოიზარმაცებდა, ეს იყო

და ეს. ომს დაწყებიდანვე ერთავათ პირველ ხაზზე იყო, და მთვრალი ერთხელაც არ მინახავს.

— ყველაფერი უნდა სთქვას კაცმა: წარსული ცუდი ჰქონდა. როგორც იცი, ორნი გაქცეულან. მისი ამხანაგები ორის წლით ჩასვეს ციხეში. ხოლო კაჟარს *), რათგან სამსახურამდე რაღაც საქმისათვის პასუხისგებაში ყოფილა მიცემული, შეღავათიანათ არ მოეკიდა სასამართლო. ჯერ სამხედრო სამსახურში რომ არა ყოფილა, ისე რაღაც ცუდი საქმე ჩაუდენია სიმთვრალეში და ამისათვის ციხეშიაც ყოფილა.

— თუ დააკვირდებით, მიწაზე ცოტა სისხლიცა სჩანს,— სთქვა ერთმა სოლდათმა და ძირს დაიხარა.

— მთელი ცერემონია შეასრულეს თავიდან ბოლომდე, —სთქვა მეორემ,—პოლკის უფროსი ცხენზე იჯდა, ლირსება აჰყარეს... მერე მიაკრეს ამ პატარა და დაბალ ბოძზე, საქონლის დასაბმელს რომ ჰგავს, ალბათ ან უნდა დაეჩოქნა ან სულ მიწაზე ჩამჯდარიყო ასეთ ბოძის გადამკიდე.

— ღმერთმანი, არ მესმის,—სთქვა მესამემ ცოტა სიჩუმეს შემდეგ,—ასეთი სიმკაცრე რა საჭირო იყო! ნუ თუ მარტო სხვების შესაშინებლათ, როგორცა სთქვა სერჟანტმა, დახვრიტეს ეს საცოდავი!

ბოძზე სოლდათებმა ათასი რამ წააწერეს და თან დაატანეს თავიანთი პროტესტიცა. ხის ჯბრალო ჯვარი მიაკრეს და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთეს: „კაჟარს, ომში 1914 წელს წაყვანილს, მაღლიერი საფრანგეთი“.

ჩვენს ბანაკში რო დავბრუნდით, ვოლპატი დამხვდა. გარს ამხანაგები შემოხვეოდენ. ახალ ანეგდოტებს უამბობდა იმ დროისას, როცა ბედნიერებთან მოგზაურობდა.

---

*) ამ სოლდათის გვარი და სოფლის სახელი ორივე გამოცვლილია.

XI.

ძ ა ღ ლ ი.

საშინელი დარი იდგა. წვიმისა და ქარისაგან გამვლელ-გამომვლელი ფეხზე ვერა დგებოდა, გზები დაფარული იყო წყლითა.

მუშაობას მოერჩი და ჩვენს ბანაკში ებრუნდებოდი, სოფლის ბოლოში. ხშირი წვიმა მიდამოს ყვითელსა და ჭუჭყიან სახეს აძლევდა, ცა ერთიანათ ჩამოქურუშებულიყო, თითქო ასპიდის ფენებით არის დაფარულიო. კოკიპირული წვიმა თვისის წკეპლებითა სწკეპლავდა ყველას. კედელს გასწვრივ სოლდათები მობუზულები მიბობღავდენ გაუვალ ტალახში, საცოდავათ, დარცხვენილები.

ამ წვიმასა და ქარში, ამ სიცივეში ფერმის ალაყაფის კარებთან თავი მოეყარა რამდენსამე სოლდათს. ერთმანერთს მიჭუჭკულები შორიდან ვეებერთელა ღრუბელსა ჰკვანძენ. ზოგი ფეხის წვერზედა დგებოდა, ამხანაგის თავ ზევიდან იყურებოდა და ამბობდა:

— ბარაქალა, ბიჭო!!..

— სიცივისა არც კი ეშინიან, ოღონდ ტილები მოიშოროს როგორმე.

მერე ცნობის მოყვარენი, ცხვირგაწითლებულები და სახედასველებულები დაიშალნენ, თუმცა წვიმა ზევიდან ასხამდათ და ქარიც ნემსივითა ჩქმეტდათ. ხელები ჯერ ცას შეუშვირეს გაოცებისაგან, მაგრამ მერე ისევ ჯიბეში ჩაიწყვეს.

შუაში, წვიმისაგან გაწუწული ფუიადი იდგა, ამათი თავმოყრის მიზეზი, სრულებით დედიშობილა, წვიმისათვის ტანი შეეშვირნა და იბანდა.

მწერივით მჭლე გრძელ და გამხდარ ხელებს იქნევდა და ფრუტუნით თავსა, კისერსა და გულზე გარეთ გამოშვერილ ნეკნებამდე საპონს ისვამდა. ძაბრივით ჩავარდნილ ლოყებზე საპნის მაგრათ წასმისაგან ბამბიქულა წვერი გაუკეთდა, თავი თოლიის ბურთს დაემსგავსა და ამ ბურთს წვიმის წვეთები რომ ეცემოდა, პატარა ნახვრეტებს უკეთებდა.

სათილი ვერ ეშოვნა წყლისათვის და სამაგიეროთ სამი წვნის ჩასასხმელი პატარა ქვაბი გაევსო წყლითა. წყალი სადღაც სასწაულით ეშოვნა, თორემ სოფელში არსად იყო. რადგან ამ თავსხმაში რისამე დასადები ადგილი არსად იყო, პირსახოცს ყოველ ხმარებას შემდეგ თავის ძიქვის ქამარში გაიკეთებდა, ბოლოს საპონს, რომ წაისვამდა, მერე ჯიბეში იდებდა.

ვინც იმასთან დარჩა, უკვირდათ მისი ხელებისა და ტანის ქნევა ამ ავდარში და თავის ქნევით ამბობდენ:

— სისუფთავე სწორეთ რომ ავადმყოფობად აქვს გადაქცეული ამ ოჯახქორს!

— იცი, ბრძანებაში მისი და ვოლპატის გვარი გამოცხადებული იქნება ყუმბარის საქმის გამოვო.

— ღირსიცაა ქებისა, მე და ჩემმა ღმერთმა

ორივე გმირული მოქმედება სოლდათებმა შეუგნებლათ ერთიმეორეს გადააბეს, ერთი—ნამდვილი გმირობა, სანგრებში გამოიჩინა ფუიადმა, და მეორე გმირობა კი ახლა. მართლა რომ გმირი უნდა იყოს კაცი, რომ ამ თავსხმაში ტანის ბანვა გაბედოს! ყველა იმის ქებაში იყო. ფუიადი კი ფრუტუნებდა, ხვნეშოდა, იფურთხებოდა და ცდილობდა ტანი შეემშრალებინა ამ ზეციურ დუშს ქვეშ. ბოლოს, ტანისამოსის ჩაცმას შეუდგა.

* *

ბანაობა რომ გაათავა, შესცივდა.

მოტრიალდა და სარაიის შესავალთან გაჩერდა, სადაც ჩვენ დაბინავებულნი ვიყავით. ყინულივით ცივმა ქარმა მისი

გამხდარი, ჩამოგრძელებული, მზემოკიდებული და ლოყებ ჩაცვივნული სახე წითელის ლაქებით დაჰფარა. თვალთაგან ცრემლები ჩამორეცხდა, ცხვირიდან სკვინტლი ჩამოსდიოდა. ქარი მწვავეთ სჩქმეტს, ყურები გაუწითლა, თუმცა თავზე კაშნე აქვს შემოხვეული. მამლის ბარკლის მსგავს ფეხებზე ყვითელი ტოლაღები ახვევია, მაგრამ ესეც ვერასა შველის. შემოვიდა სარაიაში, მაგრამ მალე ისევ გავარდა თვალების ბრიალით და ბურდღუნით: „ღმერთმა დასწყეველოს!“

ისევ გარეთა სდგას, ზეზე. ასე უბინაოთ და უთავშესაფაროდ თავის დღეში არ დარჩენილა ამ ჩრდილოეთის მხარეში. ქარი ისევ გაშმაგებით ეხეთქება და აჯანჯღარებს მისს გაძვალტყავებულს, საფთხერის მსგავსს სხეულს.

საქმე ისაა, რომ—დაჰლახვროს ღმერთმა!—იმ სარაიაში, სადაც ჩვენ დაგვაყენეს ამ შესვენების დროს, ადამიანს არ ეცხოვრება. ბნელია, ვიწროა როგორც ჰა და ზევიდანაც წვიმა დასდის. ერთ ნახევარში მორევი დგას—და შიგ ვირთაგვები ცურაობენ—და ხალხი კი მეორე ნახევარშია ერთმეორეზე მიყრილი. თხელის ლამპების კედლებს გარედან გამხმარი ტალახი სკხია, დამსკდარი და ბევრგან დაფარღალავებულია. როდ მოვედით იმ ღამესვე, საცა კი ხელი მიგვიწვდებოდა, ჰუჰრუტანები დავუცევით ფოთლებითა და ტოტებით, მაგრამ კედლის ზემონაწილზე და სახურავზე ისევ ღია დაგვრჩა ქარაფები. სინათლე რის ვაი-ვაგლახით შემოდის, საშაგიეროთ ქარი ყველა მხრიდან ზუზუნით უბერავს, მთელის ძალღონით, და მწყობრი განუწყვეტელ ორპირ ქარს შუაა მომწუვდეული.

და როცა შიგ შედიხარ, უნდა ფეხზე გაჩერდე, დასაჯდომი ალაგი არსადაა, ფაცურით უნდა იარო და სიცივისაგან კბილები აკაწკაწო, თავბედი იწყევლო.

ფუიადი ისევ შემოვიდა, სიცივისაგან აბაბანებული და ნანობს,—რა ღმერთი გამიწყრა, ტანი რათ დავიბანეო. წე-

ლებს იტკივებდა, გვერდებში მჩხვლეტსო. უნდოდა რამე ექნა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რა?

დამჯდარიყო? შეუძლებელი იყო. საშინლათ გაბინძურებულია აქაურობა, რომ ადამიანი სადმე დაჯდეს: მიწა და ქვის ფიქალი ტალახითაა დაფარული, ჩალა რო ჰყრია ზედ დასაწოლათ, ერთიანათ დასველებულია წვიმისაგან, ზევიდან რომ ედინება, და აგრეთვე ტალახიან ფეხებისაგან, რომლებსაც ამ ჩალაზე იწმენდავენ. თუ ჩამოჯექი, გაიყინები და თუ ჩალაზე დაწექი, ნეხვისა და შარდის სუნი დაგახრჩობს.. ფუიადი თავისს ადგილს უყურებს და ამთქნარებს, ისე საშინლათ ამთქნარებს, რომ გეშინია, ერთმანერთს არ დაშორდეს მისი გრძელი ყბებიო, რომლის ბოლოზე პატარა წვერი აქვს ამოსული. წვერში თეთრი გამოჰკრავია, მაგრამ ამის დანახვა მაშინ-ლა შეიძლებოდა, სინათლე მართლა რომ სინათლესა ჰგვანებოდა.

— არ იფიქროთ,--სთქვა მარტრომ,—რომ სხვა ჩვენი ამხანაგები ჩვენზე უკეთეს დღეში იყვნენ. ნასადილევს ერთი ამხანაგი უნდა მენახა, მეთერთმეტე გუნდელი, ფერმაში, ლაზარეთს ახლო. ჯერ კედელზე უნდა გადამეველო ერთის მოკლე კიბითა. გაგიხარიან, მე სიცხე დამადგა!—წამოიძახა მარტრომ, რომელსაც ძალზე მოკლე ფეხები ჰქონდა.—მაგრამ იმათთან უარესია. საქათმეა სწორეთ მათი ბინა. ფეხის დასადგმელი ადგილი არსადაა. ყველა ილანძღება, გვერდებს გამტვრევს. ერთ წამსაც ვერ გავჩერდი და გამოვიქეცი, უკან არც კი მომიხედნია.

— ჰამას რომ მოვრჩით,—სთქვა კოკონმა,—მინდოდა მჭედელთან შესულვიყავ ლ ცხელი რამ მეყიდნა. გუშინ ცხელ ყავასა ჰყიდდა, მაგრამ ამ დილას ჟანდარმებს გაუვლიათ მის კარწინ: შეშინებია, ვაჭრობისათვის არ დამიჭირონო და კარი კლიტით დაუკეტნია.

ფუიადს ენახნა, თავდაღუნულები მოდიოდენ და ლოგინთან დაეყარნენო.

ლამუზი თოფის წმენდას შეუდგა. მაგრამ ვერ მოახერხებს, თუნდაც ძირს დაჯდეს, კართან, თუნდაც ბრეზენტი მისწიოს, გაშეშებული და გაყინული, სტალაქტიტის მსგავსათ დაკიდებული,—ძალზე ბნელა.

— მერე, თუ ღმერთი გაწყრა და ხელიდან ხრახნილი რამ გაგვარდა, უნდა გამოეთხოვო, რო გადააკვდე, ვერ იპოვი, განსაკუთრებით, როცა ხელებიც სიცივისაგან გაფიჩხებულები გაქვს.

— მე-კი რაღაც მინდოდა გამეკერნა, მაგრამ უკაცრავათ.

ეს ლა დარჩენია ადამიანს: ჩალაზე გაიშხლართოს, თავი ცხვირსახოცით ან პირსახოცით შეიხვიოს, რომ აყროლებული სუნი არ იგრძნოს ჩალისა და დაიძინოს. ფუიადი დღეს არც სამუშაოზეა წასასვლელი და არც საყარაულოზე, შეუძლია თავისი დრო, როგორც უნდა, ისე მოიხმაროს. ამიტომ გადასწყვიტა დაწოლილიყო. სანთელს მოუკიდა, თავიდან კაშნე მოიხსნა და თავისს ტომარაში რიღასიც ძებნა დაიწყო.

— ჩემო ციკნებო, გასწით კართოფილის საწმენდათ!— იძახის ზღურბლიდან ვილაცა, კაპუშონიანი.

სენჟანტია, ანრიო. კარგი ბიჭია, მაგრამ ეშმაკია. თან ვითომ ხუმრობს, თანაც თვალს ადევნებს, როცა სხვაგან სადმე გვგზავნიან ყველასა, არავინ გამეპაროსო. ქუჩაში თავსხმაა. მეორე მწყობრი, სამუშაოზე გაგზავნილი, მუხლებამდე წყალში მისტოპავს. ორივე მწყობრი ერთმეორეში ავირიენით. ავბობღდით ქუჩით, მოვექეცით ერთ წითელ მიწიან გორაკს, სადაც მოძრავ სამზარეულოს კვამლი ასდის.

— აბა, ბიჭებო, ჩქარა! თუ ყველამ ხელი მოჰკიდა, უცბათ მოვრჩებით... ეი, შენ მანდ, რას ბუზღუნებ! არ იცი, ბუზღუნი ვერ გიშველის?!...

ოც წუთს უკან ქაქანით დავბრუნდით. სარაიაში დაუსვეღებელი არაფერი დარჩენილა, ზოგი რამ გაფიჩხებულა

კიდეცა ყინვისაგან; ყველაფერს წვიმა დასდის, შმორის სუნს ახლა ჩვენის ქვეშაგების მყრალი სუნიც უერთდება.

ერთათ შევიპუპკენით სარაიას შეყენებულ სვეტებსა და სახურავის ნახვრეტებიდან ვერტიკალურათ ჩამონადენ წვიმას გარშემო. ზეზე ვდგევართ ყველანი.

— აჰა, იგინიც მოვიდნენ!— წამოიძახეს ერთხმათ.

კარში ერთი-მეორეს შემოჰყვა ორი ლანდი, ორსავე წყალი წურწურით ჩამოსდის: ლამუზი და ბარკია, ცეცხლის მოსატანათ რომ იყვნენ წასულნი. ბრაზისაგან ცოფებსა ჰყრიდა ორივე: „არსადაა ნახშირის შოვნა. გინდაც რომ თან გადაჰყვე, ვერც შეშას იშოვი სადმე და ვეღარც ნახშირსა“.

ეგ არის, უკეცხლოთა ვრჩებით.

— ტყუილათ შეგვრჩა სიარული, მაგრამ ესეც კია, რომ საცა მე ვერას გავხდი, იქ სხვა აბა ვინ რას გახდება,— სთქვა ბარკმა თავმომწონეთ. და ყველამ ვიცით და თვითონაც არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი სიმარჯვე.

უძრავათა და ზლაზვნით თუ ვიცვლით ადგილს იმ მცირე სივრცეზე, დაუსვენებელი რომ დაგვრჩენია გაჭირვებისაგან დაძმარებულთ.

— ეს გაზეთი ვისია?.

— ჩემია,—იძახის ბეკუში.

— რასა სწერენ? ფუ, დასწყეველოს ღმერთმა, ამ სიბნელეში აბა რაღას წაიკითხავს კაცი!

— რა და ისა სწერია, რომ ამ ჟამათ რაც საჭირო იყო, ყველაფერი გავაკეთეთ სოლდათებისათვის და სანგრებში კარგათ ეცხოვრება ყველასაო. შალის საცვლებიც დავურიგეთ, პერანგებიცა, ღუმელებიც, ცეცხლიცა აქვსთ, შეშაცა, ნახშირიცაო. ყოველივე ეს მოწინავე ხაზების სანგრებშიაც აქვსთო.

— ისემც ღმერთი მაგათ უშველისთ, რაც ჩვენ არაფერი გვეტიალოს!—ბურდღუნებს ზოგი სარაიის საცოდავ

ტყვეთაგანი და მუშტებს უღერებენ სივრცეში და ვაზეთის დამწერისაკენ.

მაგრამ ფუიადი ყურს არ უგდებს სხვების ნალაპარაკევს. თავისი სხეული, მჭლე, დონკიხოტისებური, უფრო მოჰბუზა, ხოლო ჰიანურის მავთულებისაგან დაწნული კისერი წაიგძელა. ძირს რალაცაა და იმის ყურადღებას იპყრობს.

ლაბრის, სხვა რაზმის ძაღლსაა, რომ უყურებს.

ლაბრი, ნარევი ჯიშის ძაღლი მწყემსისა, კუდმოჭრილი, გარგალასებ წევს ერთ მუჭა ნამჯაზე.

ფუიადი ძაღლს უყურებს და ძაღლი კიდენ—ფუიადს.

ბეკუევი მიუახლოვდა და ქალაქ ლილის შემოგარეთა მცხოვრებთა მსგავსად სიმღერანარევ აკცენტით დაელაპარაკა:

— სალაფავს არა სჭამს? ალბათ, ავათაა საწყალი ძაღლი! ლაბრი, რა დაგემართა, შე საცოდავო? აი პური, აი ხორცი,—ხეთქე, რაღას უყურებ! ხომ გემრიელია... მოწყენილია, სწუხს... ვაი თუ ერთ მშვენიერ დილას ფეხები გაუშიკოს.

ლაბრი ბედნიერი არ არის. ის სოლდათი, ეს ძაღლი ჩაბარებული რომ ჰყავს, გულქვაა, ცუდათ ეპყრობა და თითქმის არც კი უგდებს ყურს. საცოდავი ძაღლი მთელი დღე დაბმულია. სცივა, ცუდათ არის, უპატრონოდაა. თავისი ჩვეულებრივი ცხოვრება არა აქვს. დრო და დრო, როცა დაინახავს, რომ მის გარშემო ამოძრაველებიან და სალმე წასვლას დააპირებენ, იმედი მოეცემა, იქნება მეც თან წამიყვანონო და ოდნავ კუდის ქნევას მოჰყვება. მაგრამ იმედი უცრუვდება. ლაბრი ისევე წვება და თითქო განგებ გადახედავს თავისს ჯამს, საქმლით სავსეს, მაგრამ ახლოს კი არ ეკარება.

მოწყენილია, ცხოვრება მობეზრებული აქვს. რო დაინდოს კიდეცა ტყვიამ ან ყუმბარის ნატეხმა, რომლისგან ჩვენთან ერთათ იმასაც მოელის საფრთხე, სულერთია, ვერ იცოცხლებს, აქვე უნდა მოჰკვდეს.

ფუიადმა თავისი მჭლე ხელი თავზე გადაუსვა; ძაღლმა ხელახლა შეხედა. იმათი შეხედვა ერთის ხასიათისაა, განსხვავება მხოლოთ ის არის, რომ ერთი ზევიდან დასცქერის და მეორე ქვევიდან შესცქერის.

ფუიადი ბოლოს და ბოლოს დაჯდა,—რაც იქნება, იქნებაო. ერთი კუთხე ამოირჩია, ხელები მაზარის ნაოჭებს ქვეშ ამოაფარა, გრძელი ფეხები ერთმანერთს მიაკრა, დასაკეც ლოგინის მსგავსად.

თვალებდახუჭული რაღასაც ფიქრობს. ასეთ წუთებში განსაკუთრებით მკაფიოთ წარმოუდგა აქედან დაშორებული სავშობლო სოფელი, მთელის თვისის სიტკბოებითა, სხვა და სხვა სურნელოვანებით მფშვინავი ეროლი, სეტის ქუჩები... ისე ცხოვლათ, ისე ახლოსა ხედავს ყველაფერს, რომ თითქო ესმის კიდეცა ხოპების მოსმა არხებში და ნავთსადგურებში საქონლის გადმოტვირთვის ხმაურობაო.

გზას ზემოდან უკვდავა და სხვა ყვავილები ასეთს სუნსა ჰფენს გარემოს, რომ ფუიადს ახლაც ცხვირში უდგას ეს სუნი; მზიურზე, ნაზი სურნელოვანი ნიავი სისინებს და ყვავილთა და მცენარეთა შორის ამართულია პატარა სახლი მისის მშობლებისა. აქედანვე მოსჩანს გუბე ტო, ბოთლის ფერისა, და ხმელთაშუა ზღვა, ლურჯი, როგორც ცა; ხანდისხან ცის ლაჟვარდზე იხატება, თითქო მოჩვენებაო, პირინეის მთები.

აი, იქ დაიბადა, იქ გაიზარდა, ბედნიერი, თავისუფალი. იქ დახტოდა მოსვრილ და მუქ მიწაზე და სოლდათობანაც კი უთამაშნია ბავშვებთან ერთათ. როდესაც სათამაშო ხმალს იქნევდა, მისი ამობუშტული ლაყეები, ახლა რომ ჩაცვენული და ნაოჭებით დასერილია, წითლათ ღვიოდა, ენთებოდა. თვალები გაახილა, გარშეო მიმოიხედა, თავი ჩააქნია და დანანდა ის დრო, როდესაც ომი და სახელის მოხვეჭის სურვილი გულს წმინდა, მზიან, აღტაცებულ გრძნობით აღუვსებდა ხოლმე.

თვალებზე ხელები მიიფარა, რომ დ-დსხანს არ გაეშვა ეს ტკბილი შინაგანი მოჩვენება.

ახლა სხვა სურათები გადაეშლება თვალწინ.

იქავე, მაღლა, იმავე ადგილას იყო, რომ, უფრო გვიანრელე, კლემანსი გაიცნო. პირველათ ჩაიარა, მზის სხივებში მთლათ ამოვლებულმა. ხელში ერთი ხელეური ჩალა ეჭირა და ისეთი ქერა იყო, რომ მის თავთან შედარებით ჩალა წაბლისფრათ მოსჩანდა. მეორეჯელ ერთი ამხანაგი ქალი მიჰყვებოდა. ორივე შედგა მის საყურებლათ. მათს ჩურჩულს ყური მოჰკრა და მათკენ მიბრუნდა. რომ გაიგეს, დაგვინახაო, ქალები გაიქცნენ სიცილ-კასკასით, თითქო გნოლები არიანო.

იქავე, შემდეგში, ორივემ თავიანთი კერა გაიჩინა. წინ ვენახი აქვს, ზამთარ-ზაფხულ ჩალის ქუდი ხურავს და ისე უვლის ამ ვენახსა. ბალის შესავალთან ერთი ძირი ვარდი უდგას; ამ ვარდის ბუჩქს ძალიან ელოლიავება; ბუჩქიც თავისს ეკლებს იმისთვის-ღა ხმარობს, რომ ფუიადი თავისს ახლოს ცოტა მეტს ხანს გააჩეროს ხოლმე.

მოესწრება-ღა იმ დროს, რომ ყოველსავე ამას დაუბრუნდეს? ფუიადმა მეტათ შორიდან ჩაიხედა წარსულის სიღრმეში და ამიტომ არ უნდა დაინახოს მომავალი მთელის მისის საშინელის სინამდვილითა! ჰფიქრობს, მისს პოლკს რამდენი კაცი აკლდება ყოველ გამოსვლას შემდეგ; ფიქრობს, თუ რა და რა საშინელ ბრძოლაში ერია; ხედავს, რომ ასეთი ბრძოლა კიდევ უძევს წინ; იცის, რომ მოელის ავადმყოფობა; იცის, რომ ასე დაუსრულებელ წოწიალისა და ტანჯვისაგან საბოლაოთ დაუსუსტდება სხეული...

წამოდგა, ტანი შეიბერტყა, რომ აზრი გაეთავისუფლებინა იმისაგან, რაც წარსულში იყო ან რაც მომავალში იქნება. და დაინახა, რომ გარს არტყია სიბნელე, სულის შემხუთველი სიცივე, ქარი, სასოწარკვეთილი ამხანაგები, რომელნიც, თითქო ბრმანი არიან და ვერასფერსა ხედავენო, დაღამებას მოელიან. დაუბრუნდა ისევ აწმყოს, თავისს ახლანდელ

მდგომარეობას თვალი გაუსწორა და ერუანტელმა დაუარა მთელს ტანში.

ორი ნაბიჯი გადასდგა თვისის გრძელის ფეხებისა და წაწყდა ამხანაგების ერთს ჯგუფს, გასართობათ და გულის გასამაგრებლათ საჭმელზე რომ ლაპარაკობდენ დაბალის ხმითა.

— ჩემსას,—სთქვა ერთმა,—ვეებერთელა პურებს აცხობენ, მრგვალ პურებს, ურმის თვლის ოდენებს, ვაი არა აქვს ჩემს თავს!

და ამის მთქმელს დიდად გაუხდა თვალები, თითქო უნდა უკეთესათ დაინახოს ეს მშვენიერი, დიდი, მისს სახლში გამომცხვარი პურებიო.

— ჩვენში კიდევ კვირა-უქმეებში ჭამა-სმას რო გავმართავთ, იმდენს ხანს გრძელდება, რომ სუფრას რომ მოვუსხდებით, პური თბილია და სუფრის ალაგებისას უკვე გამხმარია.

— ჩვენში, ძმაო, ღვინო გვაქვს ერთნაირი, თვალად თითქო მსუბუქიაო, მაგრამ შერცხვენილი ვიყვე, თუ, სულ უკანასკნელი, ხუთმეტი გრადუსი არ ექნება.

ფუიადიც ჩაერია ლაპარაკში და იმანაც აქო თავის სოფლის ღვინო. წითელი, თითქმის იისფერია, წყალი რამდენიც გინდა გაურიოს კაცმა, ფერი და სიმაგრე არ აკლდება, თითქო წყლის გარეშით არის დაყენებული ასე კარგიო.

— ჩვენში,—სთქვა ერთმა ბეარნელმა,—ჟურასონის ღვინო იცის; მაგრამ წმინდა, ის კი არა, ჟურასონის სახელით რომ ჰყიდიან და პარიზში რომ აკეთებენ.

— ჩვენსკენ თუ გამოიარე,—დაუმატა ფუიადმა,—იცოდე, რომ შემიძლია დაგალევინო ყველა ნაირი ღვინო მუსკატისა; რა ფერისა და გემოსი გინდა, აქ არ იყოს, თითქო აბრეშუმის ნაქსოვის ნიმუშებიაო. შეგიძლია ერთის თვით მეწვიო და ფუიადი მოგიკვდეს, თუ ყოველდღე სულ სხვა და სხვა ღვინოს გემო არ გაჩვენო, ჩემო კარგო.

— მაშ მეპატიჟები?—წამოიძახა მადლიერმა სოლდათმა.

თავის ღვინოების მოგონებაზე ფუიადს გული აუჩუყდა, მოაგონდა ნივრის სუნიცა, მის სუფრაზე ხშირათ რომ ყოფილა. ვარდისფერ ღვინოებისა და სხვა და სხვა სასმელების სუნი თავში აუვარდა და დაბნიდა იმ დროს, როცა... ნელი და სამგლოვიარო ქარიშხალი პარპაშებს მის ამხანაგების სარაიაში.

უცბათ მოაგონდა, რომ იმ სოფელში, სადაც ესენი დაბანაკებულნი არიან, ერთს ბეზიედან მოსულ მიკიტანს, მანიაკს, დუქანი გაუღია და ამ მანიაკმა უთხრა: „როდისმე შემოიარე ჩემთან, ამხანაგო, ჩვენებური ღვინო უნდა დაგალევინო. რამდენიმე ბოთლი გადამალული მაქვს. თან დავლევთ და თანაც ამბებს რასმე მეტყვი“.

ამან ერთბაშათ გაახარა ფუიადი. სიამემ თხემით ტერფამდე დაურბინა, თითქო ძლივს სწორ გზას დაადგაო... სამხრეთის ღვინოს დავლევ და იმასაც ჩემის სოფლისასო. მერე ბევრიც შემეძლება დავლიოვო... ხუმრობა საქმე ხომ არ არის!.. იმას რა სჯობია, გავმხიარულდე, თავი ბედნიერად ვიგრძნო, თუნდაც ერთის ღითო. ღვინო სწყურიოდა ფუიადს, სმაზე ოცნებობდა.

დაუყოვნებლივ თავი მიანება ამხანაგებს, რომ პირდაპირ მანიაკთან წასულიყო. მაგრამ კარჯან კაპორალი ბრუაიე შეეხეჩა. ოთხნაღებ გარბოდა ქუჩაზე გაზეთის გამყიდველივით და ყოველ სარაიაში შემოსძახებდა:

— შეგროვდით, ბრძანება რამ უნდა წაგიკითხონ.

გუნდი ოთხკუთხათ გამწკრივდა თიხნარიან ბექობზე, სადაც სამგზავრო სამზარეულოს ბოლი ასდის.

— არა უშავს, ბრძანების წაკითხვას შემდეგ წავალ დასალევათ,—თავისთვის ამბობს ფუიადი.

ყურს უგდებს ბრძანების კითხვას, მაგრამ მისი ფიქრი და აზრი ღვინოს დასტრიალებს თავს. მართალია, სხვა რაზედმე ფიქრობს, მაგრამ მაინც ყური მოჰკრა უფროსის სიტყვებს: „სასტიკათ აკრძალულია ბანაკიდან გასვლა ჩვიდმეტ საათზე

ადრე და ოც საათზე გვიან". კაპიტანმა მაყურებელთა დრტვინვას ყური არ ათხოვა და შეუდგა ბრძანების განმარტებას:

— დივიზიის მთავარი ბანაკი ახლა აქ იმყოფება. სანამ აქა დგეხართ, ნუ გამოჩნდებით, დაიმალენით! თუ დივიზიის გენერალმა ვინმე ქუჩაში გამოსული დაინახა, დაუყონებლივ სამუშაოთ უკრავს თავს. ღმერთი არ გაგიწყრესთ და თქვენთაგანი არავინ მოხვდეს თვალში. მთელი დღე თქვენს ბანაკში იყავით დამალულნი. რაც გინდათ, ისა ქენით, მხოლოთ არავის დაენახოთ.

ყველანი სარაიაში დაბრუნდენ.

* * *

ორი საათია. სამს საათს უკან, როდესაც მთლათ დაღამდება, შეიძლება კაცმა გაჰბედოს გარეთ გასვლა ისე, რომ შიში არა ჰქონდეს დასჯისა.

ფუიადმა არ იცის, მანამდე რაღა უნდა ჰქნას. დაიძინოს? მაგრამ ძილით არ ეძინება; ღვინის დალევის იმედმა მთლათ აუფორიაქა ნერვები. მერე დღისით რომ დაიძინოს, მაშინ ღამე არ დაეძინება. არა, ეს არ შეიძლება, მთელი ღამე თვალებ დაუხუჭავათ რა გააძლებინებს, ხომ გაგიჟდა?!

დარი უარესათ მოიქურუშა. წვიმამ და ქარმა იმატა, როგორც გარედან, ისე შიგნიდან...

რა უნდა ქნას კაცმა? გაუნძრევლათ გაჩერება არ შეიძლება, აღარც დაჯდომა, აღარც დაწოლა, აღარც სადმე წახეტება შეიძლება, აღარც მუშაობა. მაშ სად უნდა წავიდეს?.

საშინელმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა სოლდათები, დათენთილები, დასველებულები; ყოველი ნაწილი სხეულისა ეწიწკნებათ და არ იციან, თავიანთს თავს რა უყონ.

— დასწყეველოს ღმერთმა ჩვენი ბედი და იღბალი! რა ჯოჯოხეთში ვართ!..

საცოდავები ხმამაღლა უჩივიან ბედს, თითქო ვისმე მისაშველებლათ უძახიანო!

ერთი რამ დარჩენოდათ: სარაიაში იქით-აქეთ ევლოთ, რომ ცოტათი მაინც წელში გასწორებულიყვნენ და გამთბარიყვნენ. და იმათაც ამ საქმეს მიჰყვეს ხელი.

დაიწყეს ბოლთის ცემა ამ ვიწრო სარაიაში. ტრიალებენ, ერთმანერთს ეჯახებიან, ჯიბეში ხელებჩაწყობილები ფეხებს ატყაპუნებენ. ეს არსებანი, რომელთაც ცივი ქარი უტყლაშუნებს, ადამიანს ქალაქის მაწანწალებს მოგაგონებსთ, ზამთრის ცივს ღამეში, ცას ქვეშ რომ არიან თავმოყრილნი და ელოდებიან ამა თუ იმ საქველმოქმედო დაწესებულების თავშესაფარის კარის გაღებას, რომ შიგ ღამის გასათევათ შეუშვან. მაგრამ ამათთვის კი კარი მხოლოთ ოთხ დღეს უკან გაიღება, დასვენების გათავებისას, საღამოთი, ისიც იმისთვის, რომ სანგრებს დაუბრუნდენ.

მხოლოთ კოკონია კუთხეში მიმჯდარი, მობუზული. მკბენარები მთლათ დაჰხვევია, მაგრამ სიცივისა და სინესტ.საგან დასუსტებულს იმის თავიც კი არა აქვს, საცვლები გამოიცვალოს; დაღვრემილი, უძრავი, მკბენარებს ეჭმევინება.

რაც უფრო ახლოვდება ხუთი საათი, ფუიადი უფრო და უფრო ღელავს, ღვინოზე ოცნებობს, აცა როდის ვეღირსები დალევასაო.

— რომელი საათია?.. ხუთს ჩარექი უკლია... ხუთს ხუთი უკლია... ჰაიდა!

ფუიადი ქუჩაზე გამოვიდა ამ ღამის სიბნელეში. ტალახში ფეხებს მიაჭყაპუნებს, თითქმის მიბტის მანიაკის დუქნისაკენ, თავის სულგრძელ ერთსოფლელთან, ღვინის დასალევათ. ღამის სიბნელესა და მელნისებურ წვიმაში კარების პოვნა გაუჭირდა. ღმერთო ჩემო, სინათლე რა იქნა! ვაი თუ დაკეტილია! მოკიდებულ ასანთის სინათლეზე, მისი დიდი ხელი აბაჟურივით რომ ეფარებოდა, წარწერა წაიკითხა: „სოლდათებისათვის დუქანი დაკეტილია.“ ეტყობა, მანიაკმა რაღაც დააშავა და ვაჭრობა აუკრძალესო.

ფუიადმა ზურგი შეაქცია დუქანს, მარტოხელა მიკიტნისათვის საპყრობილედ რომ გამხდარიყო. მაგრამ თავის ოცნების საგანზე ხელის აღებას მაინც არ აპირებდა. რა გაეწყობა, სხვა მედუქნესთან წავალ, მართალია, ისეთი ღვინო კი არ ექნება და ფულიც უნდა გადავიხადო, მაგრამ რას ვიზამ.

ჯიბეში ხელი ჩაიყო, ვნახო, საფულე ხომ მაქვსო. შიგა ჰქონდა.

საფულეში ოცდა ჩვიდმეტი სუ უნდა სდებოდა... ბევრი არაფერი ბედენაა, მაგრამ...

მაგრამ უცბათ შეხტა და შუბლზე ხელი დაირტყა. საშინლათ დაეჭყანა წაგრძელებული სახე, სიბნელით დაფარული.

არა, ოცდაჩვიდმეტი სულ არა აქვს! ახ, რა ვირისთავი რამ ვარო! დაავიწყდა თან წამოეღო სარდინის კოლოფი, წინადღით რომ იყიდა. სულ ერთავათ მოშავო მაკარონის ჭამამ ილაჯი წაიღო და ერთხელ მაინც ჩავიგემრიელო პირიო. დაავიწყდა, რომ მეწაღეებს, ფეხსაცმელზე ლურსმნები რო დაუკრეს, ლუდი დაალევინა.

აი რა ვუთხრა ასეთს ბედსაო! სულ ცამეტი სუ-ღა თუ მატიალიაო!

ცოტათი მაინც რომ შექეფიანდეს და დააკიწყდეს თავისი ძაღლუმადური ყოფა, ერთ ლიტრნახევარი მაინც უნდა დალიოს! აქ ლიტრ წითელ ღვინოში ოც-და-ერთი სუ უნდა მისცეს, ფული კი ბევრი აკლია!

საცოდავი ფუიადი ამ სიბნელეში თვალებს იქით-აქეთ აცეცებს. ვიღასაც ეძებს. იქნება ამხანაგი ვინმე ვნახო, ან ფულს დავესესხები ან კიდევ შეიძლება თვითონ დამპატიჟოს და ღვინო დამალევინოსო.

მაგრამ ვინ, ვინ იქნება ასეთი? აბა ბეკუჟს რა შეუძლია: ერთი ნათლია ჰყავს, ორ კვირაში ერთხელ თამბაქოსა და ფოსტის ქაღალდს უგზავნის. ეგ არის და ეგ. არც ბარკი მისცემს,—ნაესია, ხელიდან კაცი ვერაფერს გააგდებინებს; ბლერი ძუნწია და იმის გულის დარდს ვერ გაიგებს. მიკე

რაღაზედაც უწყრება; პეპენს მუქთახორაობა უყვარს და შენს მაგიერ თავისდღეში არ გადაიხდის, მაშინაც-კი, როცა გჰატიჟობს. ვოლპატი რომ იყოს, სულ სხვა საქმე იქნებოდა!.. მენილ ანდრე რომ გამოჩნდებოდეს, ყველას აჯობებდა, მაგრამ ფუიადისათვის უკვე რამდენჯერმე დაულევინებია ღვინო. კაპორალი ბერტრანი? მაგრამ ბერტრანი არ იყო, რაღაც შენიშვნისათვის დროზე ადრე დაწვეჩიო რომ უთხრა, აწყენინა და დღესაც ერთმანერთს ამრეზით უყურებენ. ფარფადე? იმას, ჩვეულებრივ, არც კი სცემს ხმას... ფუიადი კარგათა გრძნობს, რომ ფარფადესთან აჭის შესახებ ლაპარაკიც კი აღარ შეიძლება. მერე, დასწყეველოს ღმერთმა, რაში მინდა იმათის სახელების მოგონება, როცა აქ, ჩემს გვერდით, მაგათგანი არავინაა!

ნელა, უკან ბრუნდება, ბინაზე. მერე მიტრიალდა და ისევ გასწია წინ, ოჩნობით. მაინცა სცდის. შეიძლება ამხანაგებს გადავაწყდე სადმე, მაგიდას გარშემო შემომსხდრებსაო... სოფლის შუაგულისაკენ გაემართა. ის დროა, როცა დედამიწას მწუხრის ზეწარი გადაეფარა.

დუქნების განათებული კარ-ფანჯრები მთავარ ქუჩის გუბეებში გამოკრთის. ყოველ ოც ნაბიჯზე თითო დუქანია. მოსჩანს მძიმე ლანდები სოლდათებისა, უმეტესობა ჯგუფ-ჯგუფათ ჩამოდის ქუჩით; როცა ავტომობილი რამე წამოვა, მწკრივად დაეწყობიან და გზას უტევენ, ერთხანს თვალები უპრელდებათ ავტომობილის ფანრებისაგან. ტან*ე ტალახი ეყრებათ, თვლები გზის მთელს სიგანეზე რომ ისვრიან.

დუქნები სავსეა. შეორთქლილ სარკმელებიდან კასკიან ხალხის გროვა მოსჩანს.

ფუიადი ალალ-ბედზე ერთ-ერთ დუქანში შედის. ზღურბლზე ფეხები შეადგა თუ არა, სახეში ეცა ამონაორთქლი, სინათლე, სუნი მაგარ სასმელებისა, ღრიანცელი. გული აუტოკდა. პატარა მაგიდებს გარშემო დამსხდარმა სოლდათებმა ფუიადს მოაგონეს წარსული ტკბილი.

ათვალიერებს ყოველს მაგიდას, წინ მიდის, აწუხებს მუშტრებს, ხან ერთს წამოსდებს ფეხსა, ხან მეორეს, ყველას აცქერდება, ნაცნობი ხომ არავინ ურევიაო. დალახვროს ღმერთმა! ყველა უცნობი არ გამოდგა!

საითკენაც არ მივიდა, ყველგან უცნობი სახეა. ბედი არა აქვს, რაღა! ტყუილათ იგრძელებს კისერს და ათვალიერებს. იქნება ერთი მაინც გამოდგეს ნაცნობი ამდენს ხალხშიო. ყველანი სხედან, ზოგნი ჯგუფ-ჯგუფათ, ზოგი ორ-ორი სვამს, თან ბაასობს, ან მარტო ზის და წერილსა სწერს. ფუიადი უფრო მათხოვარასა ჰგავს და ზედაც არავინ უყურებს.

რაკი ვერავინ იპოვნა ისეთი, რომ ამ გაჭირვების დროს მიშველებოდა, გადასწყვიტა: რაც ჯიბეში მატიალია, იმას მაინც დავხარჯავო. დახლთან მიდის...

— გეთაყვა, ნახევარი ბოთლი ღვინო გადმოასხით, მაგრამ კარგისა, აი...

— თეთრი?

— ჰო, თეთრი.

— ჩემო კარგო, სამხრეთის კაცსა ჰგევხართ, ხომ ასეა? —ჰკითხა შედუქნის ცოლმა და წინ დაუდგა ნახევარი ბოთლი ღვინით სავსე და ჭიქა. თან თორმეტი სუ დახლში ჩაჰყარა.

ერთ მაგიდის კუთხეს მიუჯდა. ამავე მაგიდას გარს უსხდენ ოთხნი და ქალალდს თამაშობდენ. ფუიადმა ხარბათ დასცალა თავისი ბოთლი.

— ეი, ძმობილო, შენი სადღეგრძელო იყოს! ჭიქა არ გატეხო, შე კაი კაცო!—შიგ ყურში ჩასძახის ერთი ახლათ შემოსული, ნახშირით გათხუნული, ჩაყვითლებულ სახეზე სქელი წარბები ჩამოჰფარებოდა, წოწოლა თავიანია და დიდ-ყურა, ცალი ყური ნახევარი გირვანქა მეტი გამოუვიდოდა. არლინგი იყო, ზეინკალი.

კაცმა რომ სთქვას, ბევრი არაფერი სასახელოა, წინ ნახევარი ბოთლი გედგას და შენს პირდაპირ კიდენ ამხანაგი იჯდეს, რომელიც განიშნებდეს—უარს არ ვიტყოდი ღვინო-

ზედაო. მაგრამ ფუიადმა თავი მოიკატუნა, ვითომ არც-კი ხედავს მეზობელს და არ ესმის, რომ იმასაცა სურს ღვინის დალევა. საჩქაროზე უქობოთ დასცალა ჰიქა. ახალ-შემოსულმა ზურგი შეაქცია და თან ბუზღუნს მოჰყვა: „ე სამხრეთის ხალხი დიდი პურა-ძვირი და უკხვირპირო რამ არისო“.

ფუიადმა ნიკაპს მჯიღები შეუყენა და თვალები მიაშტერა დუქნის ერთ კუთხეს, სადაც სოლდათები ერთიმეორეს აწვებიან, ეჯაჯგურებიან, ჩქარობენ და ერთიმეორეს ხელსა ჰკრავენ გარეთ გასასვლელათ.

— ცხადია, ეს თეთრი ღვინო კარგია, მაგრამ რამდენმამე წვეთმა ხახაც კი ვერ ჩამისველაო,—სჩივის ფუიადი. ნაღველი ცოტა ხნით თითქო უკუეყარაო, მაგრამ ისევ მოუბრუნდა.

ფუიადი წამოდგა. მუცელში ორი ჰიქა ღვინო უდგას და საფულეშიც ერთი სუ-ლა უობრია. იმდენი გამბედაობა შესწვდა, რომ ერთ დუქანშიაც შევიდა, მიათვალიერ-მოათვალიერა და თითქო ბოდიში უნდა მოიხადოსო, წაიბურტყუნა:

— ღმერთმა ნუ იცის მაგის თავი და ტანი! ერთხელ მაინც დროზე მოვიდეს ეს ვირის თავფეხი ესა!

მერე ისევ ბანაკს დაუბრუნდა. სარაიას ისევ დასდის წვიმა და შიგ ისევა ცივა. სანთელს მიუკიდა. სანთლის ალი სასოწარკვეთით იქით-აქეთ იხრება, თითქო გაფრენა უნდა სადმეო. ალის შუქზე ლაბრისთან მივიდა.

ხელში სანთელი უჭირავს. მიუცუცქდა და უყურებს საცოდავ ძაღლს, თანაც გულში აშბობს, შეიძლება ჩემზე უწინ მოკვდესო. თვითონ ლაბრისა სძინავს, მაგრამ ფხიზლათ კი. ძაღლმა მაშინათვე გაახილა ცალი თვალი და კუდი გააქნია.

სამხრელი უალერსებს და ჩუმათ ეუბნება:

— რას იზამ! მეტი გზა არ არის...

მეტი არაფერი უნდა უთხრას, რომ არ დააღონოს; მაგრამ ძაღლი თავის ქნევით ეთანხმება და თვალებს ისევა ხუჭავს.

ფუიადი, ცოტა არ იყოს, გაჭირვებით წამოდგა, რათგან სახსრები„ დაუჟანგდა" და დასაძინებლათ მიდის. ახლა ერთისღა იმედი აქვს: დაიძინოს, რაც შეიძლება მალე, რომ დასრულდეს ეს სამგლოვიარო დღე. სანამ დადგებოდებს უკანასკნელი დღე ომისა და სიცოცხლისა, ასეთი დღეები ჯერ კიდევ ბევრი უდევს წინ.

XII.

გალერეია.

— ჯანყ-ბურუსია. არ გინდა, წავიდეთ?

პოტერლუა, რომ მეკითხება და ჩემსკენ მოიბრუნა თავისი გულკეთილობითა და სიტკბოებით სავსე სახე, ქერა თმებით შემოსილი; ღია-ცისფერ თვალთაგან ეს მისი საჰე თითქო გამჭვირვალეაო.

პოტერლუ სუშედანაა. რაც გერმანელებისაგან უკან დავიბრუნეთ სუშე, სულ იმას იძახის, უნდა წავიდე, ვნახო ჩემი საჰშობლო, საცა ასე ბედნიერათ მიცხოვრია, წინათ, ოდეს ადამიანი ვიყავიო.

სახიფათო კი არის მანდ წასვლა! შორს კი არა ვართ: სუშე აქვე, ახლოსაა. ექვსი თთვის განმავლობაში სანგრებსა და საფარებში გვიცხოვრია და გვიმუშავნია ამ სოფლის ყურის ძირში. აქედან გავალთ ბეტუნის გზაზე. ამ გზას სიგრძეზე მიჰყვება სანგრები და სანგრებს ქვეშ კიდენ ჩვენი საფრებია გათხრილი; მერე ამ გზით ოთხას-ხუთას მეტრს როჰ ჩავივლით, სუშეც იქ იქნება. მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ ამ ადგილებს ყველა მხრიდან რეგულიარულათ და საშინლათ უშენენ თოფ-ზარბაზანსა. რაც უკან დაიხიეს გერმანელებმა, შეუწყვეტლათ გვაყრიან ყუმბარებსა, და ჩვენს მიწისქვეშეთს ზანზარი გაუდის. ვხედავთ, როგორა სკდება ყუმბარები, როგორ აუდის კვამლის სვეტები, რომელსაც თან ასდევს მიწა და ნამტვრევები, ვხედავთ, როკორ ადის ჰაერში ეკლესიის სიმაღლე კვამლი, ბოლქვა-ბოლქვათ. რათ უშენენ

სუშეს? არავინ იცის, ამიტომ რომ სოფელში დიდი ხანია, არც არაფერია და არც ადამიანი მოიძევა; ვინ იცის, რამდენჯერ აიღეს და ისევ უკან დაიბრუნეს. ვინ იცის, რა სიმძაფრით ებრძოდა ორივე მოპირდაპირე ერთიმეორეს.

მაგრამ ამ დილას, მართლაც, საშინელი სქელი ბურუსი გვეხვია გარს. შეგვიძლია ავიფაროთ ეს რიდე, ცა დედამიწაზე რომ უშვებს, და კაცმა გაჰბედოს წასვლა.,. ყოველსავე შემთხვევაში, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყვეთ, რომ ვერავინ დაგვინახავს. ნისლი გერმეტულათ ეფარება წინ გჭრმანელ გაუმჯობესებულ ჯოგრს, რომელიც, უეჭველია, ახლოს იქნება დადგმული სადმე გორაკზე; ნისლს თავისი ვრცელი და თხელი ფარდა ჩამოშვებული აქვს ჩვენს ხაზებსა და გერმანელთა საზვერ პუნქტებს შორის, ლანსსა და ანგრში რომ იმყოფება და საიდანაც მტერი თვალყურს გვადევნებს და გვითვალთვალებს.

— ბაშ უსთა!—ეუბნები პოტერლუს.

ადიუტანტმა ბარტმა ჩვენი განზრახვა გაიგო, თავი ააქნია და ჩამოაქნია, თვალები ძირს დახარა, თითქო ამით უნდა გვითხრას,—რაც გინდათ, ისა ქენით, მე ვითომ არც კი გამიგიაო.

სანგრებიდან გამოვძვერით და აჰა, ორნივე ბეტუმის გზას ვადგივართ.

ამ გზაზე დღისით პირველათ ახლა მივდივარ. შორიდან თუ ღა გვინახავს ეს გზა, ეს საშინელი გზა. ზედ სირბილით ბევრჯელ გაგვირბენია, წელშიმოხრილებს, სეტყვასებ წამოსულ ტყვიებსა და ყუმბარებს ქვეშ.

— აბა, მოდიხარ, თუ არა, ძმაო?

რამდენიმე ნაბიჯი რო გადასდგა, პოტერლუ ზედ შუა გზაზე გაჩერდა, გადმოკარკლა თავისი ღრმა თვალები და პირი დააღო.

— ვაი, ვაი, ვაი!—იძახის თანამგზავრი.

მოვტრიალდი მისკენ. იმანაც თავის ჩაქნევით გზაზე მიმითითა:

— სწორედ ისაა, ის! ღმერთო ჩემო, რას დამსგავსებია! ამ ადგილს, საცა ახლა ვდგევართ, ისე კარგათ ვიცნობ, რომ თვალხუჭელა შემიძლია დავინახო იმ სახით, რა სახითაც წინათ იყო. რა საშინელი სანახავია ახლა, ჩემო კარგო!.. რა საუცხოვო რამ იყო, რა მშვენიერი! მთელ სიგრძეზე უშველებელი ხეები ჰქონდა ჩამწკრივებული...

„ახლა რალასა ეხედა? აბა ერთი უყურე: რალაც გრძელ სხეულს დამსგავსებია, მკვდარს, დასახიჩრებულს, საცოდავ საყურებელს, გულის შემზარავს... ერთი ამ სანგრებსაც შეხედე, გზის ორსავ მხარეზე რომაა, გრძლათ... შოსე თით-ქო გადაუხნავსთო, ძაბრები გაჩენილა, ხეები ძირიან-ფესვიანად ამოუთხრიათ, დაუხერხიათ, ნაფოტებად გადაუქცევიათ, გაურუჯავსთ, იქით-აქეთ მიმოუფანტავსთ, ტყვიებით დაუცხრილავსთ!

„შეხე, ქაფქირიც კი დაუგდია ვილასაც! ეხ, ჩემო კარგო! ვერც კი წარმოიდგენ, როგორ დაუმახინჯებიათ ეს საცოდავი გზა!

მიდის წინ, თანაც ყოველ ნაბიჯზე იხედება და უფრო და უფრო შფოთავს, გული ეთანაღრება.

მართალს ამბობს: გზა კი არა, რალაც ფანტასტური რამ არის! მის ორსავ მხარეზე ორი არმია თხრილებში ჩამჯდარა და წელიწადნახევრის განმავლობაში ერთიმეორეს ყუმბარებს აწვიმებს თავზე. სწორეთ რომ გოლგოთის გზაა, ზედ მხოლოდ ტყვიები და ყუმბარები გადადის, გარდი-გარდმო დასერილია ამ ყუმბარებით, გადაჩიჩქნილია, მინდვრებიდან მოტანილი მიწა ზედაა დაყრილი, დაღარული და გულ-ღვიძლ გადმოტრიალებულია. დაწყევლილსა და შეჩვენებულსა ჰგავს, დაღლეტილი, დაბერებული, სანახავათ გულის შემზარავი.

— შენ წინათ უნდა გენახა! სუფთა იყო, ფიცარივით მოპრიალებული,— სთქვა პოტერლუმ.—აუარებელი ხე იდ-

გა, ნაირ-ნაირი, ათასფერი ფოთლები ტანს უმშვენებდა, თით-ქო საპატარძლოთ მორთულიაო, გამვლელი გამოულეველი იყო და ერთმანეთს ტკბილათ სალამს აძლევდენ: ხან კალა-თებიან დედაკაცს დაინახავდი, ხან ურემზე დამსხდარი გლე-ხები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ხმა-მაღლა, ქარის სასიამოვ-ნო ქროლაზე ბლუზები ბუშტებივით ებერებოდათ. არ იცი, რა ბედნიერები ვიყავით, რა კარგათ ვცხოვრობდით ერთს დროს!..

პოტერლუ მიადგა ერთ ნისლიან, გზის გასწვრივ მიმა-ვალ მდინარის ნაპირებს. დაიხარა და შესდგა თითქმის მიწას-თან გასწორებულ ბორცვებთან: ზედ ჯვრები იყო ამართუ-ლი: საფლავებია. ნისლის კედელში მწკრივათ ჩაჭდეულია, ეკლესიის ჯვრიან გზის მსგავსად.

დავუძახე: თუ ასე ვიარეთ, წრეულ ვერ მივალთ, ცოტა ფეხს მოვუჩქაროთ-მეთქი! საცაა, მივალთ. მე წინ მივდიყარ, პოტერლუ უკან მომდევს, ცოტა ჩამორჩენით. თავჩაქინდრუ-ლი მოდის. ფიქრები უმძიმებს თავს და ამაოთ ცდილობს გა-არჩიოს ნაცნობი საკნები. აქ გზა დაქანებულია, ერთ ალაგას ფერდობი გამოწეულია და ჩრდილოეთის მხრიდან გზის გა-გრძელებას თვალთაგან ჰფარავს. აქაურობა მოფარებულია და სიცოცხლე და მოძრაობა, ცოტა არ იყოს, ეტყობა.

მიწა მოუხვნელია, ჭუჭყიანი და ავ-დმყოფი, დამარხულია გაქხმარ ბალახ-ბულახით და ხედაც მიცვალებულებია გამ-წკრივებული: აქ გადმოაქვსთ, როცა დასცლიან სანგრებს ან მინდვრებს, ღამ-ღამობით. აქ აჩერებენ—ზოგს დიდისხნობი-თაც—მანამდე, სანამ ღამით ზურგს უკან არ წაასვენებენ სა-საფლაოზე.

ნელ-ნელა ვუახლოვდებით. მკვდრები ერთმანეთს მიჯრით არიან მიწყობილები. ხელ-ფეხ გაფიჩხებულებს ყველას სულ-თაბრძოლის წამის გამომეტყველება დაკვდომოდათ სახეზე. ზოგს ხე ნახევრათ დაობებული აქვს, კანს ჟანგის ფერი გადაჰკრავს, დაჰყვითლებია და შავი ლაქები დასხდომია. არიან ისეთებიც,

რომელთაც სახე სრულებით გაშავებიათ, თითქო ფისი წაუსვიათო, ტუჩები დაჰსიებიათ და გამსხვილებიათ, თითქო ზანგის თავებია, გაბერილი, ბუშტების მსგავსადო. ორ ცხედრისაგან გამოშვერილია მოკრილი ხელი ისე, რო ძნელი იყო თქმა, თუ რომელ ცხედართაგანს ეკუთვნოდა; ხელს ბოლოში ერთმანეთში ჩახლართულ ძაფების შულო ჰკიდია.

სხვები რაღაც უსახო, ალუფხულ მასას წარმოადგენს, გასვრილს, და ამ მასიდან თავი ვამოუყვია ტანისამოსის ნახევებს ან კიდევ ძვლების ნამსხვრევებს. ცოტა მოშორებით ერთი ცხედარი სულ ნაკუწებადაა ქცეული. რომ გზაში არ დაბნეოდათ, რკინის ცხრილზე დაუყრიათ და ცხრილი კიდევ სარის იქით-აქეთ ბოლოებზე დაუკიდნიათ. ბურთივით წამოუღიათ ამ თავისებურ რკინის გამაკით და აქ დაუსვენებიათ. ამ ცხედრის ვერც ტანის ზედა ნაწილს გაარჩევს კაცი და ვერც ქვედას; ალუფხულ გროვიდან მოსჩანს მხოლოდ ძიქვის გადმობრუნებული ჯიბე. რაღაც მწერი ხან შედის და ხანაც გამოდის ამ ჯიბიდან.

მკვდრებს გარშემო მიმოპნეულია წერილები, ალბათ ჯიბიდან ან საპატრონედან გამოუცვივდათ, როცა მიწაზე ჰყრიდენ. ერთ ამ ქაღალდის ნახევს ნიავი აფრიალებდა და თან ტალახი ედებოდა. ძირს დავიხარე და ეს ფრაზა წავიკითხე: „ჩემო ძვირფასო ანრი, შენის დაბადების დღეს რა მშვენიერი დარი დგას!.." კაცი პირქვე წევს; წელთან ტანი სიგრძეზე აქვს გადაჭრილი; თავი ნახევრათ მობრუნებული აქვს; თვალები ჩასცვივნია, ხოლო საფეთქელსა, ლოყასა და კისერთან თითქო მწვანე ლაბი რამ გადაჰფარებიაო.

საშინელი სუნი მიმოაქვს ქარს ამ მიცვალებულთა და მათს გვერდით დაყრილ ნახევებს გარშემო: ყველგან ჰყრია კარვების ნაჭრები, ტანისამოსის ნახევები, გასისხლიანებული, გამხმარ სისხლისაგან გახამებული, დანახშირებული ყუმბარის ცეცხლისაგან, გაშეშებული, ტალახიანი და უკვე გახრწნილი. შიგ მატლები ფუსფუსებენ. გაძლება სჭირს. თავის ქნევით

ერთმანერთს ვუყურებთ და ვერა ვბედავთ ერთმანეთს ხმამაღლა ვუთხრათ,—აქაურობა საშინლადა ჰყარსო. მაინც ნელნელა ვშორდებით აქაურობას.

ნისლში გავარჩიეთ წელში მოხრილი რამდენიმე კაცი. რაღაც მოაქვსთ. მესაკაცენი არიან, ახალი მკვდრები მოაქვსთ. მოხუცებული თავები ჩაუქინდრავსთ, კვნესითა და ოფლის წურვით მოდიან, ჰაპანს ქვეშ სახე ელმიჭებათ. შემაერთებელ ხვრელებიდან ორ კაცისათვის მიცვალებულის გამოტანა, ისიც როცა გარშემო მუხლამდე ტალახია, პირდაპირ ტანჯვაა.

მიცვალებული ძირს დაასვენეს. ტანთ სულ ახალთახალი ეცვა.

— ამას წინათ ჯერ ისევ ცოცხალი იყო,—სთქვა ერთმა სანიტართაგანმა.—ამ ორ საათს წინათ გერმანელის თოფს დაუწყო თურმე ძებნა, მინდორში, ტყეია შიგ თავში მოხვდა და იქვე სული გააფრთხობინა: ამ ოთხშაბათს შვებულებას აძლევდენ და უნდოდა თოფი თან წაეღო. მე-405 პოლკის სერჟანტია, 1914 წ. გაწვეული. ძალიან კარგი ბიჭი იყო საწყალი.

გვაჩვენა: სახეზე ცხვირსახოცი ქონდა გადაფარებული, და გადასწია: სულ ახალგაზდაა და თითქო სძინავსო. მხოლოთ თვალები ამღვრევია, ლოყები გაყვითლებია და ვარდისფერი სითხე უსველებს ნესტოებს, პირსა და თვალებს.

ამ ცხედარს ცოტაოდენი სიცოცხლე შეაქვს ამ მიცვალებულთა სამეფოში; სხეული ჯერ კიდევ ეღრიკება, თაფი განზე ეხრება. როცა ხელს მოჰკიდებენ, თითქო უნდა უფრო მოხერხებულათ დააწვეს მიწასაო; როცა უყურებთ, ასე გგონიათ სხვა მკვდრებზე უფრო ცოცხალიაო. მაგრამ რაკი სხვებზე უფრო ნაკლებათ არის დასახიჩრებული, ვინც ახლოდან უყურებს, იმისთვის უფრო მახლობელია, უფრო ნაცნობია, თავისი გაჭირვების გაზიარება უფრო შეუძლიაო. და ვენ რომ განგვეზრახნა ამ დაგროვილ მკვდრებისთვის რისამე თქმა, ჩვენი ნათქვამი მხოლოთ და მხოლოთ ამ ახალ მკვდრი-

საკენ იქნებოდა მიმართული და ვიტყოდით: „საწყალი ბიჭი!“

ისევ განვაგრძეთ გზა. აქედან თავქვეა ბოლომდე და მერე სოფელი სუშეც იქავეა. ნისლის სინათლეზე გარემო უბედურობისა და საცოდავობის ჭყეყნად გვეჩვენება. ნამტვრევების გროვა, მძოვრი, განავალი და ყოველგვარი სიბინძურე დაგროვილია გზაზე და გაუვალი ხდება. ძირიანათ მოთხრილი და დაჩეჩქვილი ხეები ყრია ყოველ ფეხის გადადგმაზე. ფერდობები ყუმბარებისაგან გადათხრილია. გზის გაყოლებაზე მხოლოთ საფლავის ჯვრებია ზეზე, იქით-აქეთ ნაპირებზე სანგრებია, ასჯერ ამოვსებული და მერე ისევ ამოთხრილი, ხვრელები, ხვრელებზე გასავლელები, ძაბრები, ჩასავარდნები.

რაც უფრო წინ მივდივართ, ყველაფერი თავდაყირა გადმოტრიალებულია, საშინელი, გახრწნილებით სავსე, აყროლებული. ყველაფერს ქვეყნიერების რღვნა ეტყობა. ყოველ ნაბიჯზე ყუმბარების ნამტვრევებია, თითქო იმითაა მოკირწყლული გზაო; გეშინიან, ფეხი არ ჩაგივარდეს და ხაფანგში არ მოემწყვდე; ხან აქ წამოჰკრავ ფეხებს და ხან იქ: იარაღის ნამტვრევებს, სამზარეულოს ჰურჭლის ნატეხებს, ცარიელ ჰურჭლებს, ღუმელებს, საკერ მანქანებს, ელექტრონის მავთულების გორგლებს, ფრანგულ და გერმანულ სამხედრო ტანისამოსს, დამფხრეწილსა და ტალახსა და სისხლში ამოსვრილს. თან ფეხი ფრთხილათ უნდა გადაადგა, ამიტომ რომ გარშემო გაუმსკდარი ყუმბარები ჰყრია, ყველგან მოსჩანს მათი წოწოლა თავები და სხვადასხვა ფერათ შეღებილი გვერდები.

— აქ გერმანელთა წინანდელი სანგარია, საიდანაც, როგორც იყო, განდევნეს ფრანგებმა.

სანგარი ალაგ-ალაგ მიწითაა ამოვსებული; ზოგან დაცხავებულია ყუმბარებისაგან. მიწით გატენილი ტომრები დახეულა, ფაშვებგამოყრილია, წაქცეულა, დაცლილა, ქარს უთამაშებია. ფიცრის საფარები ნაფოტებად ქცეულა და ყველ-

გან მიმოფანტულა. საფრები პირთამდე მიწითა და კიდევ, ღმერთმა უწყის, რით ამოვსებულა. ასე გეგონებათ, ჩემს წინ მდინარის კალაპოტია, რომლისათვის თავი დაუნებებია ადამიანსაცა და წყალსაც და ამომშრალაო. ერთ ალაგას სანგარი მართლა რომ სრულებით წაუშლია ზარბაზნის ყუმბარასა. ზევითკენ ფართეთ ამოსული თხრილის პირი სწყდება და პირდაპირ ნახნავს ემსგავსის, დაფარულია სიგრძე-სიგანეზე სიმეტრიულათ დაწყობილ თხრილებითა.

პოტერლუს შევახედვინე ამ მინდვრისათვის, სადაც თითქო რაღაც უზარ-მაზარ გუთანს უნდა გაევლო კვალიო.

მაგრამ ამხანაგი ისევ თავისს აზრებს დასტრიალებს თავს, და თავზარსა სცემს ეს საშინელი ცვლილება პეიზაჟისა.

* * *

მინდორში ერთ ადგილისაკენ გაიშვირა ხელი და თავზარდაცემული, თითქო ძილისაგან გამოერკვიაო, იძახის:

— „წითელი დუქანია"!

მაგრამ ის, რასაც ეს სახელი უწოდა, ტრიალ მინდვრადაა გადაქცეული, გაპარტახებული და ზედ აგურების ნამტვრევები ჰყრია.

— ეს რაღა არის?

კილომეტრების მაჩვენებელი ქვაა? არა, ქვა არ არის. თავია, გაშავებული, თმაგაცვენილი, გალოპრილი, გალაპლაპებული. პირი განზე მოქცევია, ულვაშები ორსავე მხარეზე ღორის ჯაგარისებ გაბურძგვნია. თავია, მსხვილი, დანახშირებული თავი, კატის თავის მსგავსი. მას ქვეშ მდგომელა დამარხულა გერმანელი.

— ეგ რაღაა?

გლოვისა და ზარის მაჩვენებელი გროვაა: სულ მთლათ გათეთრებული თავი ჰგორავს ადამიანისა, მახლობლათ წაღები

გდია და მათს შორის კიდევ თასმის ნაგლეჯები და ტალახიანი მჩვრებია.

— წამოდი. ნისლმა გადაიყარა. მოვუჩქაროთ.

ჩვენს წინ, ასე ას მეტრზე, ნისლის გათხელებულ ტალღებ შორის, ჩვენ რომ მოგვყვება და უფრო და უფრო ნაკლებათა გვფარავს, ყუმბარამ დაისტვინა და გასკდა... სწორეთ იმ ალაგას დაეცა, სადაც უნდა გავიაროთ.

ჩამოვედით. დალმართი მცირდება.

მხარდამხარ მივდივართ. თანამგზავრი ხმას არ იღებს, იცქირება მარჯვნივ, მარცხნივ.

მერე ისევ გაჩერდა, როგორც გზის თავში. ბურტყუნებს, თითქმის ჩუმათ:

— მგონი, მოვედით... მოსული უნდა ვიყოთ...

უნაყოფო და გადამწვარი ველი არ დასრულებულა,—და სუშეში კი ჩავედით.

* * *

სოფელი გამქრალა. ჯერ არ მინახავს, რომ სოფელი ასე მოსპობილიყო. აბლენ-სენ-ნაზერს და კარანსის, თუმცა სახლები და ეზოები დანგრეულია და შიგ კედლების საგოზავი და კრამიტები ჰყრია, მაინც შერჩენია ადამიანთა საცხოვრებელ ადგილის ნიშანწყალი. აქ კი, ძირიანათ მოთხრილ ხეებს შორის, ჩვენს გარშემო რომ არის, ნისლში, ამ თავისებურ დეკორაციაში, არაფერი დარჩენილა ისეთი, რომ რისამე სახე ედოს: წაქცეულია ყველაფერი, კედელი, ღობე, ალაყაფის კარები სულ ძირსა ჰყრია. და როცა ამ ერთმანეთზე დაყრილ დვრეებსა, ქვებსა და რკინას დაინახავ, თითქო კიდეცა ჰკვრივობ: ბიჭოს, აქ ქუჩა ყოფილაო! აქაურობა სადმე ქალაქს ახლო მდებარე ცარიელ, ბინძურ დაპენჭრობიან ველსა ჰგავს, სადაც მთელის წლების განმავლობაში გამოაქვსთ და ჰყრიან, რაც რამ უვარგისია, ყოველგვარ ნამტვრევებს, დანგრეულ სახლებისაგან დარჩენილ უხმარ მასალას, დამტვრეულ იარა-

ღებს: ყოველივე ესე უწმინდურობის და ყოველგვარ ხარახურას ფენებსა ჰქმნის, და მათს შორის ნელა და დიდის გაჭირვებით გვიხდება სიარული. ზარბაზნების ყუმბარებს ყველაფრისთვის ისე გამოუცვლია სახე, რომ წისქვილის რუ სხვა მხარეზე გადაუგდია, ასე რომ წყალი განზე მიდის, მოშორებით. პატარა მოედნის ალაგზე, საცა ჯვარი იყო, გუბეც კი გაუჩენია.

ზოგან ყუმბარებს მიწაში ძაბრები გაუკეთებია, და შიგა ლჰება და იხრწნება ცხენების ლეშები და უსახო ნეშთები იმათი, ვისაც ერთ დროს „ადამიანებს“ ეძახდნენ.

ბილიკს ვადგევართ. აქაურობა წალეკილია ნამტვრევებითა და ხარახურათი. ზევიდან კიდევ ცა დაგვყურებს, მოწყენილი, დაძმარებული, მოქურუშებული. ბილიკს გარდიგარდმო მკვდარი წევს, თითქო სძინავსო, მაგრამ ისე დაჰკვრია მიწასა, რომ მაშინვე შეატყობ, რომ მკვდარია და არა მძინარე. ეტყობა, მზარეულია: მის გვერდით ჰყრია კანაფზე ასხმული მრგვალი პურები და ღვედებზე გაყრილი ტოლჩები ამხანაგებისა. ალბათ წუხელ გაუხვრეტია მისთვის ყუმბარის ნატეხს ზურგი. რა თქმა უნდა, პირველათ ჩვენ წავაწყდით ამ უცნობ სოლდათს, უცნაურათვე მოკლულს. სანამ ჩვენს გარდა სხვაკა ნახავდეს, შეიძლება გაიხრწნას კიდეცა. ვინაობის ფირფიტას დავუწყე ძებნა: აპრილ სისხლის გუბეში მისი მარჯვენა ხელი გდია და ზედაც ფირფიტა აქვს გაკეთებული. ავიღე და სისხლით დაწერილი სახელი და გვარი გადმოვიწერე.

პოტერლუს არც-კი ეკითხავს, რასა შვრებიო. ბნედიანივით დადის, მარტო იყურება, იქით-აქეთ ათვალიერებს და ამ გამოფაშვილ, გამქრალ საგანთა შორის, ამ სიცარიელეში რაღასაც ეძებს, ეძებს სანამდინაც თვალები მიუწვდება, ცისკიდურამდე.

მერე ერთ ბოძზე ჩამოჯდა და ბოძიდან გაჭეჭყილი ქვაბი გადააგდო ფეხით. მე გვერდით მოვუჯექი. ჟინჟლავს. ნის-

ლის სინესტე პატარა წვეთებად იქცა და რასაც ასხდება, მპზინავს ფერს აძლევს.

პოტერლუ ჩურჩულებს:

— ღმერთო, ეგ რა ამბავია?!..

შუბლზე ოფლი მოიწმინდა: ისეთის თვალებით შემოხედა, თითქო მთხოვდა — შემიბრალეო. ცდილობს ჩახვდეს ამ საშინელებას, გაითვალისწინოს ქვეყნიერობის ამ კუთხის განადგურება, ძაძით შეიმოსოს და იგლოვოს; ბუტბუტებს უაზრო სიტყვებს, ოხრავს, ვიშვიშებს. თავისი ფართო კასკა მოიხადა და თავიდან ორთქლი აუვიდა. მერე ძლივ-ძლივობით მითხრა:

— ჩემო კარგო, არ შეგიძლია წარმოიდგინო, არ შეგიძლია წარმოიდგინო, არ შეგიძლია...

ჩურჩულით მეუბნება;

— „წითელი დუქანი“ აი იქ იყო, საცა გერმანელის თავი გდია და გარშემო ყოველგვარი საზიზღრობა რომ ჰყრია... საცა ახლა ნამდვილ სიბინძურის სამეფოა... ავტურის შენობა იყო, გზის პირას, გვერდითაც ორი სახლი ედგა, დაბალი... სწორეთ იქ, საცა ჩვენ გავჩერდით, ვინ იცის, რამდენჯერ დამიკრავს თავი გამოთხოვებისას კართან მდგარ და მოლიმარე დედაკაცისათვის, ტუჩები მომიწმენდია და მერე სუშეს გზას დადგომივარ. რამდენსამე ნაბიჯს რო გადავსდგამდი, მოვბრუნდებოდი და რამე სალაზღანდარო სიტყვებს დავუძახებდი... არ შეგიძლია წარმოიდგინო...

„აი ეს... სულ ეს ადგილი...

ხელი მიმოავლო და მაჩვენა მთელი დაცარიელებული სივრცე, გარშემო რომ გვერტყა.

— დიდსხანს ნუ გავჩერდებით, ჩემო კარგო, ხომ ხედავ, ნისლი, საცაა, გადაიყრის.

ზეზე რის ვაი-ვაგლახით წამოდგა.

— წავიდეთ...

ყველაზე საძნელო რაც იყო, ახლა იყო.

მისი სახლი...

ყოყმანობს, იქით-აქეთ იცქირება, ცდილობს თავტანისა გაიგოს რამე, ეძებს...

— აი აქ იყო... არა, მგონი, გავსცდი. აქ არ არის. არ ვიცი, სად იყო... ღმერთო ჩემო! რა შავქვას ვახალო თავი, რომ არ ვიცი!

სასოწარკვეთილი ხელებს იმტვრევს, ფეხზე ძლივასა დგება დვირეებსა და ნამტვრევებს შორის. თავტანდაკარქული ამ დახერგილ მინდორზე, ფეხქვეშიდან ნიადაგ გამოცლილი, მაღლა იცქირება, როგორც ბრიყვი ბავში, ან გიჟი. და ცდილობს იპოვნოს. ეძებს თავისს ტკბილ ოთახებს, უსაზღვრო სივრცეში მიმოფანტულებს, მათის ავეჯის სახეს, ჭარისათვის რო გაუტანებიათ!

რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, მერე ერთ ალაგას გაჩერდა და ცოტათი უკან დაიხია.

— აქ იყო! ნამდვილათ ვიცი, აქ იყო... ხედავ, აი ამ ქვით მივხვდი... აქ ჰაერის დასახურავი ჰქონდა... დასახურავი რომ მოგლეჯილა, რკინას კვალი დაუმჩნევია ქვაზე.

თითქოს ყველაფერს სუნავსო, სულს იკრებს, აზრობს, ნელა თავს აქნევს და ერთ ალაგას ვერა ჩერდება.

— როცა ყველაფერი დაკარქულია, მაშინ ღა აფასებ წარსულ ბედნიერ ცხოვრებას. აჰ, რა ბედნიერი ვიყავი!

მოვიდა ჩემთან და ნერვულათ გაიცინა.

— ხუმრობა საქმე ხომ არ არის! დარწმუნებული ვარ, რომ შენ შენს დღეში არ გენახვება ამის მსგავსი ამბავი. გაგონილა, შენი საკუთარი სახლი ვერ იპოვნო კაცმა, ის სახლი, საცა მთელი შენი დღენი გაგიტარებია...

ნახევრათ მიტრიალდა და წამოდიო, მითხრა.

— რას ვიზამთ. რაკი არაფერი დარჩენილა, წავიდეთ, აქ რაღას გავუჩერდეთ!.. მთელი საათი ყურება ეყოფა! დავანებოთ თავი, ჩემო კარგო.

უკან დავბრუნდით. ჩვენა ვართ ორად-ორი ცოცხალი

ადამიანი, ამ ადამიანთა ნასახლარზე და გაერანებულ ადგილზე რომ ვმოძრაობთ, ამ ნაოფლარზე რომ დავდივართ.

ზევით ავმოვდივართ. ცოტა-ცოტათი განათდა. ნისლი მალე გაიფანტა. ჩემი ამხანაგი დიდ ნაბიჯებსა სდგამს, თავჩაქინდრულია და ხმას არ იღებს. მერე ერთი მინდორი მაჩვენა:

— სასაფლაოა,—მეუბნება პოტერლუ,— ეს სასაფლაო მანამდე იყო აქ, სანამდე სასაფლაოები ყველგან არ გავრცელდებოდა, სანამ ყველას არ ჩანსთქავდა, როგორც სენი რამ მსოფლიო.

შუა გზაზე სიარულს მოვუკელით. პოტერლუ მომიახლოვდა.

— ხედავ, არ შემიძლია მეტი, ამას ვერ გავუძლებ, თავზეით ძალა არ მაქვს... მთელი ჩემი წარსული ცხოვრება მოისპო, სრულიად მოისპო, იმდენათ მოისპო, რომ მეშინია... გულსა მზარავს...

— რას ამბობ, კაცო, არა გრცხვენიან? ცოლი ხომ კარგათა გყავს, ქალიცა! მაშ რაღა გადარდებს!

სახეზე რალაცა უცნაური რამ დაეტყო.

— ჩემი ცოლი... რაღაც უნდა გითხრა: ჩემი ცოლი...

— რა იყო?

— რა და, ჩემო კარგო, ვნახევი.

— სადა? მე-კი მეგონა, რომ დაპყრობილ მხარეში იყო?

— ჰო, ლანსშია, ჩემ მშობლებთან... და ვნახე... მერე... კარგი, რაც იქნება, იქნება, ყველაფერს გეტყვი, როგორც ჩემს ძმას. ჰო და, ამ სამ კვირას წინათ ლანსში ვიყავ. თერთმეტს იყო ეს ამბავი, ოცი დღე, რალა, მას აქეთ.

გაშტერებული ვუყურებ... მაგრამ კილოზე ეტყობა, სიმართლეს მეუბნება. ლულლულებს და თან გვერდით მომდევს სინათლეზე, თანდათან რომ ეფინება არემარეს.

— იქნება გახსოვს,... ერთხელ გვითხრეს.. მაგრამ მგონი, მაშინ შენ არ იყავი... ჰო და, გვითხრეს: მავთულიანი

ლობე ბილიარის სანგრებს წინ უნდა კარგათ გაამაგროთო. ხომ იცი, ეს რასა ნიშნავს? აქამდე, რამდენს არ ეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს ამის გაკეთება: სანგრიდან თავს გამოჰყოფ თუ არა, ფერდობიდან დაგინახავენ. ამ ფერდობს რალაც ეშმაკური სახელი ჰქვიან.

— ტობოგანი.

— ჰო, მართალია. ეს ადგილი საშიშია ღამითაც ან როცა ნისლია, და დღისითაც, ამიტომ რომ მტერს წინდაწინვე აქვს ნიშანში ამოღებული თოფებითა და ტყვიისმტყორცნელებითაც. როცა სიბნელეში ვერასფერს არჩევენ გერმანელები, თავზე განუწყვეტლივ გვაწვიმებენ ყუმბარების წვიმასა, ამ საშიშო საქმისათვის მიწისმთხრელებად სოლდათები იმ გუნდიდან გამოიყვანეს, რომელიც ომში პირდაპირ არ იღებს მონაწილეობას, მაგრამ ზოგიერთი გაიპარა და იმათს მაგიერ მომქმედ გუნდის სოლდათები ჩააყენეს. და აი მეც იმათში ვიყავი. შენ ხარ ჩემი ბატონი. გამოვძვერით. ერთი თოფიც არ გავარდნილა... რა ამბავიაო, ვკვირვობთ. ერთბაშათ ერთი ბოში დავინახეთ, მერე ორი, შემდეგ ათი; გამოძვრენ მიწიდან და გვანიშნეს და თან გვიყვირიან: „ამხანაგო!... ჩვენ ელზასელები ვართ“, და თან თავიანთ „ინტერნაციონალურ“ შემაერთებელ გასავალიდან გამოსვლას განაგრძობენ. — „ნუ გეშინიათ, არ გესვრით, მეგობრებო, მხოლოთ გვადროვეთ, ჩვენი მკვლრები დავმარხოთ“. და აჰა, ორიე მხარე თავთავის საქმეს შეუდგა. ერთმანერთს გამოველაპარაკეთ კიდეც, ამიტომ რომ ელზასელები იყვნენ. აგინებდენ ომს, აგინებდენ ოფიცრებს. ჩვენმა სერჟანტმა მშვენივრათ იცოდა, რომ აკრძალული იყო მტერთან გამოლაპარაკება, საგანგებო ბრძანებაც კი წაგვიკითხეს,—მტერთან მარტო თოფით შეიძლება ლაპარაკიო. მაგრამ სერჟანტს ესმოდა, რომ ეს საუკეთესო და ერთად-ერთი შემთხვევა იყო მაეთულიან ღობის გასამაგრებლათ და რაკი საშუალებას გვაძლევდენ გვემუშავნა, უეჭველათ უნდა გვესარგებლნა ამ შემთხვევით...

„და აი ერთი ბოშთაგანი გვეუბნება: ხომ არავინ გირევიათ ასეთი, რომ დაპყრობილ ადგილებიდან იყოს და უნდოდეს თავისიანების ამბის გაგებაო?.“

„აქ-კი, ჩემო ძმაო, ველარ მოვითმინე. არ ვიცოდი, კარგსა ვშვრებოდი, თუ ცუდსა, მაგრამ მაინც მივედი და მე მინდა ჩემიანების ამბის გაგება-მეთქი. ბოშმა ამბავი გამომკითხა. ჩემი ცოლი და ქალი ჩემ მშობლებთანაა ლანსში-მეთქი. მკითხა, სადა ცხოვრობს შენი ცოლიო. მე ავუხსენი და მითხრა, ამ ადგილს კარგათ ვიცნობო. „იცი, რა გითხრა,—მეუბნება გერმანელი,—წერილი მომეცი და წავიღებ, და, თუ გინდა, პახუსსაც მოგიტან.“ მერე ერთბაშათ შუბლზე ხელი დაირტყა, უფრო მომიახლოვდა და ჩურჩულით მეუბნება: „ყური დამიგდე, ამხანაგო. უფრო უკეთესათ მოგიწყობ საქმეს. თუ შენ იმას იზამ, რასაც მე გეტყვი, ცოლსაც გაჩენებ, შვილსაც და ყველაფერს, რის ნახვაც გინდა, ისე როგორც ახლა მე მიყურებ“. ამიხსნა, ამა და ამ საათზე ჩემთან ერთათ წამოდი, გერმანული ქუდი ჩამოიფხატე და ტანზედაც ფარაჯა მოისხიო. ნახშირის მთხრელთა კომანდაში ჩაგრიცხავ, ეს კომანდა ლანსში მიდისო. იქ შენებსა ნახავ, მხოლოდ ერთის პირობით: ძალიან ფრთხილათ კი უნდა იყო და თვალით არავის დაენახვო, ამიტომ რომ თუმცა ჩემის კომანდის ხალხის იმედი მაქვს, არასფერს იტყვიან, მაგრამ შენის ცოლის სახლში უნტერ-ოფიცრები ცხოვრობენ და პირობას ვერ მოგცემ, იმათ არ გიღალატონო... დავთანმხდი.

— ძალიან სახიფათო საქმეში ჩაგიგდია თავი.

— სახიფათოში და ეგრე! მაგრამ ერთბაშათ გადავწყვიტე, აღარც კი მიფიქრია, რასა ვშვრებოდი, აღარც კი მინდოდა მეფიქრნა,—ისე მიხაროდა ჩემიანების ნახვა. ამას შემდეგ კიდეც რომ დამხვრიტონ, აღარ ვანაღვლი, რათგან თუ თევზი გიყვარს, ტრაკის დასველებისაც არ უნდა გეშინოდეს-მეთქი. როგორც ამბობენ, ასეთია კანონი წინადადებისა და მოთხოვნილებისა, ხომ კი?

„გაგიხარიან, ჩემი საქმე კარგათ მოეწყო! ერთად-ერთი დაბრკოლება ის იყო, რომ ჩემის თავის მოსარგო ქუდი ვერ მიშოვეს, ხომ იცი, რა დიდი თავი მაქვს. მაგრამ ესეც მოვახერხეთ: ბოლოს, როგორც იყო, ერთი ტილიანი კოლოფი იშოვნეს იმდენათ დიდი, რომ თავზე დამეტეხოდა და ჩამომაფხატეს. ჩექმებიცა მაქვს გერმანული, აი ის, კარონმა რომ დამიტოვა. და აჰა, გერმანელების სანგრებისაკენ გავემართეთ (უნდა-კი გითხრა, რომ მათი სანგრებიც ისევე ბინძურია, როგორც ჩვენები). თან მიმყვებოდნენ ეს ვითომ-დ გერმანელი ამხანაგები; ყველანი ისეთისავე ფრანგულის ენით მელაპარაკებოდნენ, როგორითაც ახლა ჩვენ ერთმანეთს ველაპარაკებით, და მეუბნებოდენ—ნუ გეშინიანო.

„არავის რა გაუგია. წასვლაზე ასე იყო. ყველაფერმა ისე კარგათ და ადვილათ ჩაიარა, რომ ჩემი თავი გერმანელი მეგონა. ბანდისას ლანსში მიველით. მახსოვს, რომ ქალაქის სამმართველოს ჩავუარეთ და „ივლისის 14-ის ქუჩა“-ს გავყევით. ხალხი ისე ირეოდა ქუჩებზე, როგორც ჩვენს ბანაკში ვირევით ხოლმე. ბნელოდა და ვერავინ ვიცანი. ვერც ისინი მცნობდნენ. ჯერ ერთი, ბნელოდა და მერე ამა რას წარმოიდგენდენ ჩემს თავს გერმანულ ფარაჯაში... ისე ბნელოდა, რომ თვალებთან თითს ვერ მიიტანდა ადამიანი; ამ დროს ჩემის დედმამის ბაღთან მივედი.

„გული საშინლათ მიცემდა. თავით ფეხებამდე ვკანკალებდი, თითქო მთლათ გულად ვიქეციო. თავს ძალას ვატანდი, ღმერთი არ გამიწყრეს და ხუმრობა რამე არ დავიწყო და ისიც ფრანგულათ-მეთქი,—იმ ზომამდე ვიყავ ბედნიერი და აღელვებული. ამხანაგმა მითხრა: „აუარ-ჩაუარე და კარსა და ფანჯარაში შეიხედე. ისე კი შეიხედე, ეშვი არავინ აიღოს, თითქო არც კი უყურებდე... ფრთხილათ იყავ, აი...“ გული გავიმაგრე, ვცდილობ აღელვებული თავი დავიმორჩილო, ერთბაშათ. ჩემი გერმანელი კაი ბიჭი იყო. ჩემი ამბავი რომ გაეგოთ, დღეს უტირებდენ, ხომ?

„ჩვენს სახლში, როგორც საერთოთ ყველგან პა-დე-კალეში, შესავალი კარი ორადაა დაყოფილი: ქვევით, წელამდე, ბარიერის მსგავსადაა, წელს ზევით-კი თითქო დარაბა არისო. ასე რომ შეგიძლია მხოლოთ ქვედა ნახევარი ნაწილი მიჰხურო კარისა და სანახევროთ სახლში იქნები.

„დარაბა ღია დაეგდოთ. სასადილო ოთახი, იგივე სამზარეულო, განათებული იყო და იქიდან ხმა გამოდიოდა. კისერ-მიქცეული შევედი. ბრგვალ მაგიდაზე ლამპა იდგა და გარშამო კაცები და ქალები უსხდნენ. ჩემი თვალები პირველათ იმას მოხვდა, კლოტილდას. კარგათ ვხედავდი. ორ ტიპს, მგონი ორ უნტერ-ოფიცერს, შუაში ჩაესვათ და რაღასაც ელაპარაკებოდნენ. თვითონ რაღას შვრებოდა? არასფერს; იღიმებოდა, ქერა თმის კულულები ჩარჩოსებ ეყარა თავზე და ლამპის სინათლეზე ოქროს ფერი გადაჰკრავდა. სახე ძირს დაეხარა, კოპწიათ.

„იღიმებოდა, კმაყოფილი იყო. თითქო ბედნიერად გრძნობდა თავს ამ საზიზღარ ბოშებს გვერდით, ლამპასთან და ცეცხლთან, ორისავ სითბო პირზე შემომადგა, ნაცნობი სითბო. შევედი, მერე უკან მოვბრუნდი, ისევ შევედი. რამდენჯერაც არ დავინახავდი, სულ იღიმებოდა. და ღიმილი ნაძალადევი არ იყო, ნამდვილი, ბუნებრივი ღიმილი იყო, მისი, მისის სურვილით გამოწვეული. იმ ერთ წამს, როცა ჩავუარე, ჩემს გოგოსაც მოვკარი თვალი: ეფოფინებოდა თავისის პატარა ხელებით ერთს სირმა-დაკერებულ, მსხვილ გერმანელს და უნდოდა მისს მუხლებზე აცოცებულიყო. მერე, გვერდით, იცი, ვინ უჯდა? მადლენი ვანდაერი, ცოლი ჩემის ამხანაგისა, მე-19 პოლკში რომ იყო, იმ ვანდაერისა, მარნაზე რომ მოჰკლეს, მონტიონში.

„მადლენმა აბლათ იცოდა, რომ ქმარი მოკლული ჰყავდა, ამიტომ რომ შავებში იყო. ისიც იცინოდა, ხუმრობდა, პირდაპირ, მოურიდებლათ... როგორც ძმა ხარ ჩემი. ხან

ერთს გადახედავდა, ხან მეორეს და თითქო უნდა უთხრას: „რა კარგათა ვარ თქვენთანაო“!

„ჩემო კარგო. გამოვტრიალდი და „კამრადებთან“ რომ მივედი, კინალამ არ წავიქეცი. იქვე მელოდებოდნენ წასაყვანათ. მე თვითონ არ ვიცი, როგორ დავბრუნდი. მკვდარი ვიყავ კაცი, დანა პირს ვერ მიხსნიდა. ლასლასით მივდიოდი, შეჩვენებულივით. ამ წუთს, ჩემთვის ვისმე რამე რო ეთქვა, რა საჭიროა, ცოცხალი არ გადამირჩებოდა: დავიღრიალებდი, აურზაურს ავტეხავდი, რომ დასახვრეტათ დავეპირეთ და ამ ძაღლუმადურ სიცოცხლესაც ბოლო მოჰღებოდა?

„მიხვდი? ჩემი ცოლი, ჩემი კლოტილდა, იღიმებოდა ასეთს დროს, ასეთს სისხლის წვიმების დროს! რას ნიშნავს ესა? მაშ საკმაოა ცოტა ხნით მოშორდე, რომ გადააივიწყდე, თითქო არც კი ყოფილიყავ როდისმე? სახლში ყველაფერს თავს ანებებ, საომრათ მიდიხარ, თითქო ნაღვლობენ კიდეცა შენს წასვლას, თითქო სწუხანო; მაგრამ მერე უშენოთ ცხოვრებას შეეჩვევიან, დარდსა და ნაღვლს გულიდან გადაიყრიან, თითქო შენ მაგათთვის არც-კი ყოფილიყავ როდისმე, ამიტომ რომ ისევ წინანდებურათ ბედნიერადა გრძნობენ თავსა, ისევ წინანდებურათ იღიმებიან, უშენობას არ იმჩნევენ. ახ, ღმერთო ჩემო! მეორე ქალი რომ იყო მანდა ჭ იცინოდა, იმას ღმერთმა მშვიდობა მისცეს, იმაზე არასფერს ვამბობ. მაგრამ ჩემი კლოტილდა, ჩემი სათაყვანო და სალოცავი კლოტილდა, იმ წამს სრულებით შემთხვევით რომ დავინახე... ვის რაც უნდა, ისა სთქვას, მე-კი ამას ვიტყვი, რომ... დამცინოდა, ფეხებზე ვეკიდე!

„ნეტავი მეგობრებთან ყოფილიყო მაინცა, ან თავისიანებთან, კიდევ ჰო, არას ვიტყოდი; ვის უჯდა გვერდით, ვის? გერმანელ უნტერ-ოფიცრებს!.. ცეცხლია, მა რა ჯანაბაა!.. განა მაღლი არ იქნებოდა, შევარდნილვიყავ ოთახში, ორი შენი მოწონებული სილა გამეწნა ჩემის ცოლისთვის და კისერი მომეგრიხნა ამ დედლისათვის, შავები რო ეცვა?

„ვფიქრობდი, განა არა, ასე მექნა. ვიცოდი, რომ ეს დიდი უპკუობა იქნებოდა... მაგრამ რა მექნა, გონება სრულებით დავკარგე.

„იცოდე, რომ ჩემის ცოლის ცუდი არაფერი მეთქმის. კაი ქალია ჩემი კლოტილდა. ვიცნობ და ვენდობი კიდეც ყველაფერში. დარწმუნებული იყავ, ჩემის სიკვდილის ამბავი რომ გაეგო, სულ ცრემლად დაიღვრებოდა. მაგრამ ცოცხლებში ვეგულები. მართალია, ეს მეც მესმის, მხოლოთ საქმე ეს არ არის... საქმე ისაა, ჩემო კარგო, რომ უნდა იმხიარულოს, ბედნიერი იყოს, განსაკუთრებით, როცა ოთახში თბილი ღუმელი სდგას, ლამპა მხიარულათ ანათებს და გამრთობებიც გვერდთა ჰყავს; იმისთვის კი სულერთია, მე იქა ვარ, თუ არა...

ხელი მოვკიდე პოტერლუს და ვუთხარი:

— საქმეს აზვიადებ, ჩემო კარგო.—არც ისეა, როგორც შენა ფიქრობ...

სულ ნელა მივდიოდით. დალმართის ბოლოს ვუახლოვდებოდით. ნისლი სანამ სულ გაიფანტებოდა, ვერცხლის ფერი გადაეკრა. საცაა, მზეც უნდა გამოსულიყო. და გამოვიდა კიდეც.

* * *

პოტერლუმ შემომხედა და მითხრა:

— კარანსის გზას მოვუხვიოთ, მერე კი უკან დავბრუნდეთ.

ჩვენც მინდორში გადავუხვიეთ. ცოტა ხანს უკან მეუბნება:

— შენა გგონია, რომ ვაზვიადებ? აზვიადებო, მეუბნები? დაფიქრდა.

— ეჰ!..

მერე თავი ჩაიქნია ისე, როგორც ამ დილას აქნევდა, ნანგრევებზე რომ ვიდექით, და დაუმატა:

— მაინც ფაქტი ფაქტადა რჩება...

აღმართ-აღმართ ავდიოდით. სიცივე სითბოდ შეიცვალა. სწორ ვაკეზე რომ გამოვედით, მითხრა:

— ცოტა ჩამოვისხდეთ, სანამ შინ დავბრუნდებოდეთ.

მძიმეთ ჩამოჯდა, თავით ფეხამდე დატვირთული ათასგვარ ფიქრით. შუბლი ენაოკებოდა. მერე მომიბრუნდა შეწუხებულის სახით, თითქო დახმარება რამ უნდა მთხოვოსო.

— გეთაყვა, ერთი მითხარი, მე მართალი ვარ, თუ არა?

მაგრამ ჯერ მე შემომხედა და მერე გარშემო საგნებს დაუწყო ყურება, თითქო იმათგან უნდა მიიღოს პასუხიო.

ცაც და დედამიწაც როგორღაც იცვლებოდა. ნისლი სრულებით გაჰქრა, სიზმარივით. გარემომ, აქამდე დაფარული რომ იყო, რიდე გადაიგდო. ვიწრო ველი, დაღვრემილი, ნაცრის ფერი ფართოვდებოდა. ლანდებს იყრიდა და ფერადები ასხდებოდა. სინათლე ნელ-ნელა ჰფარავდა, აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ორის ფრთის მსგავსად.

და აჰა, ჩვენს ფეხთით, დავინახე სუშე, ხეებს შორის. მანძილის მეოხებით და სინათლის ცელქობის გამო ეს პატარა სოფელი, უხვათ მზე-დაბნეული, ისე გვეჩვენებოდა, თითქო მკვდრეთით დგებოდაო.

— მართალს ვამბობ?—განიმეორა პოტერლუმ. მაგრამ ახლა ხმა უფრო უკანკალებდა, თვითონაც ეჭვი შეჰპარვოდა თავისს სიმართლეში.

სანამ რასმე ვეტყოდი, თავისს თავს თვითონვე მისცა პასუხი. ჯერ დაბალის ხმით დაიწყო:

— კლოტილდა სრულებით ახალგაზდაა; ოცდაექვსი წელიწადი შეუსრულდა. ახალგაზდობა სდუღს და გადმოდის მის სხეულში, და როცა თბილ ოთახში და ლამპის სინათლეზე ისვენებს, მა რა ქნას, რომ არ გაიღიმოს. კიდეც რომ ხმამაღლა გაეცინა და ეხარხარნა, ესეც ეპატიებოდა, უმაგისობა არ შეიძლებოდა, როცა ახალგაზდობით გული სავსებით სავსე აქვს. მართალი უნდა სთქვას კაცმა, მისი ღიმილი სხვებს კი არ გამოუწვევია, არა, თავისთავად ელიმებოდა. რას იზამ,

ყველას ცხოვრება გვინდა. იმასაც უნდა ცხოვრება, დიახ, უნდა და მეტი არა!... იმას ხომ ვერ ეტყვი: მოკვდი, თუ გინდა, და სიცილი კი არ გაბედოვო! ხომ არ გინდა მთელი დღე იტიროს გერმანელებისა და ჩემის მიზეზით! იკივლოს? მაგრამ ხომ არ შეიძლება მთელი თვრამეტი თთვე იტიროს, იკივლოს და თავპირი იკაწროს... ხომ მართალია? დიდი ხანია გასული-მეთქი, გეუბნები, ყველაფრის მიზეზი ესაა.

გაჩუმდა და დაუწყო ყურება ნოტრ-დამ-დე-ლორეტის პანორამას, მთლად გასხივოსნებულს.

— აი, თუნდ ჩემი ჭალიცა. უცხო კაცმა რომ მოუალერსა, ისიც სიამოვნებით მუხლებზე აუცოცდა. რა თქმა უნდა, უფრო ესიამოვნებოდა, რომ ამ კაცის ადგილას მისი ძია ყოფილიყო ან შამის მეგობარი ვინმე, იმათთან უფრო თამამათ იქნებოდა, მაგრამ რაკი ასეთი არავინა ჰყავს, ისეთთან მიდის, ვინც მუდამ აქ არის, თუმცა ნამდვილ სათვალებიან ღორს კი ჰგავს ეს კაცი.

„ეჰ!— წამოიძახა პოტერლუმ და წამოდგა ხელების ქნევით.—ამაზე აი რა შეიძლება კაცმა მითხრას: ომიდან რომ ვერ დაბრუნდეო?—მე კიდენ აი რას ვუპასუხებდი: „თუ ვერ დავბრუნდი, ჩემი წირვა გამოსული იქნება. უნდა გამოვეთხოვო კლოტილდას, უნდა გამოვეთხოვო მისს სიყვარულს! დღეს თუ ხვალ მისს გულში ჩემ მაგიერ სხვა დაიჭერს ადგილს. ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ჩემ სახსოვრათ ჩემი სურათი რომ ჰკიდია გულზე, წაიშლება, იმ სურათის მაგიერ სხვა სურათს დაიკიდებს და ახალს ცხოვრებას დაიწყებს“. თუ ვერ დავბრუნდი, ცხადია, ასე იქნება, ამას წინ არა უდგას რა.

გულიანათ გაიცინა.

— მაგრამ ვანზრახვა მაქვს დავბრუნდე! უეჭველათ უნდა დავბრუნდე. უამისოთ კი... უნდა დავუბრუნდე კლოტილდას, გესმის, უნდა დავუბრუნდე-მეთქი,—ამბობს სერიოზულის კილოთი.—თუ ვერ დავბრუნდი, რაც ზეცაში წმიდანებია, იმათი ლოცვაც-კი ვერ მიშველის,—ჩემს საქმეს ვერაფერი გა-

მოაბრუნებს, დავმარცხდები. რას იზამ, ცხოვრების ჰიდილი ასეთია. მაგრამ მე მაინც დავბრუნდები, უსიკვდილოთ.

იცინის.

— ცოტათი კიდეცა ვარ მანდ!

წამოვდექი და მხრებზე ხელი დავარტყი.

— მართალი ხარ, ჩემო ძმაო, ყველაფერი გათავდება.

ხელებს იფშვნეტს და განაგრძობს ლაპარაკს.

— ჰო, ეოთხელაც იქნება, უნდა გათავდეს ომი. ცოტა კიდევ უნდა გავიჭირვოთ, რომ ბოლო მოეღოს ამ ომს, მაგრამ ომს შემდეგ თავში საცემი კიდევ სხვა გვექნება. მუშაობა მოგვიხდება, დიდი მუშაობა და მარტო ხელებით კი არა.

„ყველაფერი უნდა გადავაკეთოთ. მერე რა, ვერ გადავაკეთებთ თუ! სახლ-კარი?—დანგრეულია. ბაღი? ბაღის კვალიც კი აღარ არის. მერე რა? სახლს გავაკეთებ, ბაღსაც. დანგრეული რაც-კი რამ იქნება, ხელახლა გაუკეთებელს არასფერს გავუშვებთ. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ასეთია და ჩვენც ამისთვის ვარსებობთ, მისთვისა ვართ გაჩენილები, რომ ყველაფერი აღვადგინოთ, ყველაფერი განვაახლოთ. ხომ კი? განვაახლებთ აგრეთვე ჩვენს საერთო ცხოვრებას, ჩვენს ბედნიერებას, აღვადგენთ ღღეებს, აღვადგენთ ღამეებს.

„სხვებიც ამასვე იზამენ. ყველანი თავისას აღადგენენ. იცი, რა გითხრა? შეიძლება ყოველივე უფრო ჩქარა მოხდეს, ვიდრე ჩვენა გვგონია...

„მაგალითად, ნათლათ წარმოდგენილი მაქვს, მადლენა ვანდაერი როგორ შეირთავს სხვა ქმარს. ქვრივია; მაგრამ ჩემო ძმაო, წელიწადნახევარია, რაც დაქვრივდა. წელიწადნახევარი ცოტა დრო კი ნუ გგონია! რამდენადაც ვიცი, ამდენ ხანს შაევები არავის უტარებია. შეიძლება ვინმე კიდეცა სთქვას: „აი, მეხი კი დავათხლიშე შენისთანა ქალსაო"!.. მაშ თავს ხომ არ ჩამოიხრჩობს საწყალი ქალი! დრო რომ მიდის, თან ყველაფერი გვავიწყდება, ჩემო კარგო, ძალაუნებურათ გვავიწყდება ყველაფერი. ამ შემთხვევაში ბრალი არავისა აქვს:

ჩვენ თვითონაც არა გვაქვს ბრალი; ასე ყოფილა და ასეც იქნება. უცბათ რომ დავინახე გაცინებული, ბრაზმა გულღვიძლი გადმომიტრიალა; ჯერ ისე მეგონა, ქმარი სულ ერთის დღის მკვდარი ჰყავს-მეთქი. მაგრამ ეს ადვილი გასაგებია. სულ სხვა საქმეა, როცა წარმოიდგენ, რომ დიდმა ხანმა, სულ დიდმა ხანმა განვლო მას.აქეთ, რაც საწყალი კაცი მოჰკლეს. ყველაფერი იცვლება ხოლმე. და ჩვენც ვიცვლებით. კრიჭაში უნდა ჩავუდგე ცხოვრებას. უნდა დავბრუნდე, უნდა ჩავდგე ჩემს ადგილზე და მეც დავბრუნდები და ჩავდგები კიდეცა ჩემს ალაგას!

თან მიდიოდა და თან მე შემომხედავდა და თვალებს ჩამიკრავდა ხოლმე. გამხიარულდა, თითქო თვისის აზრების დასაყრდნობი წერტილი იპოვნაო:

— ნათლათა მაქვს წარმოდგენილი, ნაომევს სუშეს მცხოვრებნი როგორ შევუდგებით მუშაობასა და განახლებულ ცხოვრებას... უნდა უყურო, როგორ დავტრიალდებით! აი თუნდა ძია პონსი აგიღოთ! ღმერთმა შეარცხვინოს, მაგაზე უკეთესი თუ ვინმე იყოს! ისეთი წესრიგის მოყვარული იყო, რომ თავისს ბაღს ჯაგრის ცოცხითა ჰგვიდა, ან კიდევ მოუჩოქდებოდა და ისე აკვეცდა მაკრატლით მორეულ გაზონებს. იმის ამბავი რომ ვიცი, ახლაც იმასვე იზამს! ახლა ქალბატონი იშაენერი აიღე, სულ ბოლო სახლში რომ იდგა, კარლერის კოშკისაკენ! ისეთი მსუქანია, თითქო გოგორები აქვს შეყენებული კაბას ქვეშ და ისე დაგორავსო. წელიწადს არ გააცდენდა, თითო ბავშვი მაინც არ გაეჩინა, მომართულ მანქანასებ: ნამდვილი ტყვიის მფრქვეველია და ტყვიის მაგიერ ბავშვებს აფრქვევდა. ისიც განაახლებს თავისს საქმეს.

გაჩერდა, დაფიქრდა, გაელიმა ოდნავ, მერე თითქმის თავისთვის განაგრძო ლაპარაკი:

— იცი, რა გითხრა. შევნიშნე... მაგრამ ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს,—სთქვა მან, თითქო უცბათ შერცხვა ამ ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვების უმნიშვნელობისაო,—ჰო,

შევნიშნე, რომ ჩვენში ახლა თითქო უფრო სუფთათ არის ყველაფერი, ვიდრე ჩემს დროს იყო...

მიწაზე გამოჩნდა ორი პატარა რელსი, ზედ გამხმარ ბალახს ქვეშ დამალული. პოტერლუმ წაღების წვერით მაჩვენა ეს თავმინებებული რკინის გზის ლიანდაგი და გაეღიმა:

— ეს ჩვენი რკინის გზაა. კუს ვეძახდით. მართლაც, კუს ნაბიჯით დადიოდა ი დალოკვილი! აბა ლოკომოტივი რა არის და რო გამოსდგომოდა, ისიც კი დაეწეოდა! იმასაც განვაახლებთ. მაგრამ სიარულით კი წინანდელზე ჩქარა ვერ იქნება, ამაზე ხელს მოგიწერ. რო გაიაროს, ღმერთი უწყენს!

ალმართის თხემს რომ მოვეჭეციით, მოპრუნდა და ერთი კიდევ გადაავლო თვალი ამ გაპარტახებულ ადგილს, ჩვენ რომ ვინახულეთ. წინანდელზე უფრო მკაფიოდა ჩნდებოდა, ამ ხეების ნაშთებს შორის მანძილი; თითქო უფრო აღორძინებს სოფელსაო, და თვით ამ წაქცეულ და ჩახერგილ ხეებს შორიდან ახალ ამოყრილ ნერგების სახე დაედოთო. წინანდელზე უფრო მკაფიოთ მოკრიალებული ცა ამ საშენ მასალათა თეთრ და ვარდის ფერ გროვას წინანდელზე უფრო მკაფიოთ ასვამდა ცხოვრების· ბეჭედსა და აზროვნების თვით ნიშან-კვალსაც კი. ქვებმა ფერი იცვალა, განახლება დაეტყო. სხივთა სილამაზე გვპირდებოდა იმას, რაც შემდეგში იქნებოდა, გვიჩვენებდა მომავალს ბედნიერებას. სოლდათის პირისახე, ამას რომ სჭვრეტდა, აღდგომის ნათლით გაბრწყინდა. გაზაფხულმა და მომავლის იმედმა ტუჩებზე ღიმი შეუთამაშა; ვარდისფერი ლოყები, ლურჯი და ნათელი თვალები, დაოქვრილი წარბები თითქო ახალის ფერადებით შეეღებაო.

* * *

შემაერთებელ ხვრელში ჩამოვეშვით. შიგ მზის სინათლე ჩამოდის. ხვრელი განათდა, გამოშრა და რაკრაკი გაუდის. შევხარი მისს კოხტა გეომეტრიულ სიღრმეს, მისს კედლებს, ნიჩბით ჩამოსწორებულს და გაშალაშინებულს და სიხარულს

განვიცდი, იცდეს ყურს ვუგდებ ჩვენის ფეხსაცმლების მკაფიო ბაკუნს გამაგრებულ მიწის ფსკერზე ან აქა-იქ იატაკის მაგივრათ დაწყობილ ფიცრებზე.

საათს დავხედე. ცხრაა. საათზედვე ვხედავ ნაზათ შეღებილ ციფერბლატს, რომელზედაც ჰკრთის ლაჟვარდი და ვარდისფერი ცა, ზედვე მოსჩანს ჩრდილები ბუჩქებისა, სანგრების პირზე რომაა გადმოშვებული.

მეცა და პოტერლუკ ერთიმეორეს ვუყურებთ და რაღაც გამოურკვეველ სიხარულს განვიცდით; გვიხარის ერთი-მეორის ნახვა, თითქო დიდის ხნის უნახავები ახლა შევხვდით ერთმანეთსაო. ლაპარაკი დამიწყო. ყური შეჩვეული მაქვს ჩისის ჩრდილოეთის მცხოვრების ლაპარაკის ანუ მღერის კილოსათვის, მაგრამ ახლა ახლად მომეჩვენა, თითქო მღერით მელაპარაკებაო.

ბევრი ცუდი დღე გვინახავს ერთათ, საშინელი ღამეები გაგვიტარებია, გვცივებია. მუხლებამდე წყალსა და ტალახში ყრილვართ. მართალია, ჯერ ისევ ზამთარია, მაგრამ პირველათაა, რომ ასეთი მშვენიერი დილა გაგვითენდა, და ასეთი დილა ცხადათ გვეუბნება, რომ სულ მალე, ერთხელ კიდევ მოვესწრებით გაზაფხულსაო, ვიგემებთ მისს სიტკბოებასაო. სანგრის თავი უკვე შეამკო ნაზათ მწვანე ბალახმა და მისს ახლათ დაბადებულ შეჟრუოლებაში ყვავილები იღვიძებს. ერთი კიკნა დღეები მეტი აღარ იქნება. გაზაფხული კარებს გვიკაკუნებს, ზევიდანაც თამამათ ვსუნთქავთ. გვეშველა. გადავრჩით.

დიალ, მწარე დღეები თავიდან მოვისხლიტეთ, ამ გასატიალებელ ომსაც მოვრჩებით. და ომი სჭორეთ მაშინ გათავდება, როცა გაზაფხული დადგება; გაზაფხული უკვე ნათელსა გვფენს, გვიალერსებს და შემოგვფოფინებს თვისის ნიავითა.

ჩუ!.. სტვენა რამ მოგვესმა. ტყვიაა, გზადაკარქული.

ტყვიაო? რას ამბობ! ტყვია კი არა, შაშვია!

საკვირველათ კი ჰგვანდა ერთმანეთს ტყვიისა და შაშვის

სტევნა... შაშვები, ტკბილათ მსტვინავი ფრინველები, მინდორ-ველი, წელიწადის დროთა გამოცვლა, მზის სხივებით სავსე ოთახებში შენიანებთან მყუდროთ ყოფნა... ჰო, ომი დასრულდება, ყველანი ჩვენიანებს სამუდამოთ დავუბრუნდებით: ცოლს, შვილებს და ან და იმ არსებას, რომელიც ჩვენთვის ცოლიცაა და შვილიცა. და შევსცინით და შევხარით ამ ნორჩ განთიადს, უკვე რომ გვაერთებს და გვაკავშირებს.

იქ, სადაც ორი შემაერთებელი ხვრელი ჯვარედინდება, გალერეიაა, თაღის მსგავსათ დაკიდული. ორი დვირე ერთიმეორეს მიბჯენილია, ზედ კიდენ ჩამოკიდებულია ელექტრონის მავთულები, უსურვაზივით. ლამაზი რამ საყურებელია. გეგონებათ, სათეატრო დეკორაცია არისო. ერთი წვრილი მცოცავი მცენარე გარს შემოხვევია ერთ-ერთ დვირეს და, თუ კარგათ დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ახლა მეორეზედაც უნდა გაცოცდეს.

გავყევით ამ შემაერთებელ ხვრელს. კედლები ბალახით დაფარულია და კრთის, როგორც ცოცხალ ცხენის ფერდები. ბოლოს მივაღწიეთ ბეტუმს მიმავალ გზას ქვეშ მდებარე სანგრებს.

აჰა, ჩვენი ბინაცა. ამხანაგები აქ არიან, ერთათ თავმოყრილნი. საჭმელსა სჭამენ და სითბოს შეჰხარიან.

ჭამას რომ მორჩნენ, ჯამები და ალუმინიის თეფშები პურის ნატეხით მოასუფთავეს...

— შეხე, მზე კიდეც დაიმალა!

მართალია. ღრუბელი გადაეფარა ცას და მზე ქვეშ მოიყოლია.

— შეიძლება წვიმაც წამოვიდეს, ბიჭებო,—ამბობს ლამუზი.

— ბედია რაღა! ე დალოცვილი წვიმაც სწორეთ მაშინ უნდა წამოვიდეს, როცა აქედან უნდა წავიდეთ.

— დაწყევლილი მხარეა, რაღა,—ბუზღუნებს ფუიადი. საქმე ის არის, რომ ამ ჩრდილოეთის ჰაერი სულ არაფრადა ღირს. ხან ნისლია, ხან მოღრუბლულია, ხან კიდევ სწვიმს. მზე თავის გამოყოფას ვერც კი მოასწრებს, ამ ნოტიოთი დახუნძლულ ცაზე მყისვე ჰქრება.

ოთხი დღე უნდა დარჩენილვიყავით სანგრებში და ეს ოთხი დღე გავიდა კიდეცა. დღე-და-ღამის გაყრისას მოგეხსნიან. ნელ-ნელა წასასვლელათ მზადებას შევუდექით. ჩანთებსა და ტომრებში ბარგი ჩავალაგეთ. თოფები დავწმინდეთ და ლულის ტუჩი დავუცევით.

უკვე ოთხი საათია. ჩქარა ჩამობნელდა. ერთმანერთის გარჩევა გვიძნელდება.

— აი, დასწყევლოს ღმერთმა, წვიმა კიდეც წამოვიდა!

ჯერ რამდენიმე წვეთი ჩამოვარდა. მერე კოკაპირულათ დაუშვა. თავზე ყაბალახები მოვისხით, მოვიხურეთ ბრეზენტები. თავი შევაფარეთ. ვეყუმპალაობთ გუბეებში, ფეხები, ხელები და იდაყვები ტალახში გვესვრება, რათგან სანგრის ძირი დასველდა და მიწა ზედ გვეკვრის. სოროში ძლივას მოვასწარით სანთელი აგვენთო; ქვაზე დავაკარით და გარშემორიგებულები სიცივისაგან ვბაბანებთ.

— აბა, წავიდეთ!

გამოველით ჭარეთ, ბნელაში. წვიმს, ქარი ჰქრის. ბუნდათ შემიძლია გავარჩიო ლონიერი ტანი პოტერლუსი: მწკრივში ორივე სულ ერთათა ვართ ხოლმე. სიარულს რო შევუდექით, დავეკითხე:

— აქა ხარ, ბიშო?

— აქა ვარ, შენს წინ,—მიძახის უკან მობრუნებული პოტერლუ.

ამ შემობრუნებაზე წვიმამა და ქარმა ლონიერათ გაუტყლაშუნა პირისახეზე. მაგრამ მაინც იცინის. იმავე კარგ გუნებაზეა, როგორც ამ დილას იყო. აბა თავსხმას სად შეუძლია ხელი აიღებინოს იმ მხიარულებაზე, რომლითაც თავისი

ვაჟკაცური და მტკიცე გული საკმაო აქვს, და ალარც ტირილი და სახეშეჭმუხვნილ სალამოს შეუძლია ჩაუქროს ის მზე, ამ დილას რომ გაუბრწყინდა თვალებსა და აზროვნებაში.

მივდივართ. ერთმანერთს ფეხებში ვედებით. აქა-იქ წავიფორხილებთ... წვიმა გადაღებას არ აპირებს და სანგრების ფსკერზე დაუბრკოლებლივ ჩამოდის. დაცხრილული ფიცრები დასველებულ მიწაზე ცურდება. ზოგი მათგანი მარჯვნივ ან მარცხნივ გადაიხარა და ზედ ფეხები გვისხლტება. გარდა ამისა, სიბნელეში კარგათ ვერც კი ვხედავთ, ასე რომ ფეხები განზე გვერჩება გუბეში.

ღამის სიბნელეში ვცდილობ თვალთაგან არ დამეკარგოს პოტერლუს კასკა, რომელსაც წვიმა, როგორ თავსხმის დროს სახლის საბურავიდან, ისე თქრიალით ჩამოსდის, ვხედავ მისს განიერ ბეჭებსა, ზურგსაც, ბრეზენტის ნაჭერდაფარებულს და სარკესებ მოლაპლაპეს. ვცდილობ არ ჩამოვრჩე, ხანდისხან დავუძახებ კიდეც და ისიც გამომეხმაურება ხოლმე, —სულ მუდამ კარგ გუნებაზე მყოფი, სულ მუდამ დამშვიდებული და ვაჟკაცურათ გულმაგარი.

საცა ფიცრები არ არის, მუხლებამდე ტალახში მივცურავთ. ახლა სულ ჩამობნელდა. ერთბაშათ შევდექით და პოტერლუს დავეძგერე. წინიდან გულმოსული ლაპარაკი მოისმის.

— კაცო, ბოდიხარ, თუ არა? ლაშის არის, ჩამოვრჩეთ წინწასულებს!

— რა ვქნა, ფეხი ვერ ამომითრევია ტალახიდან! —ისპის საცოდავი ხმა.

ლაფში ჩაფლულმა, როგორც იქნა, ფეხი გაითავისუფლა, და მირბიენართ, რომ სხვებს დავეწიოთ. ქშენა აგვიტყდა და ვაგინებთ დაწინაურებულებს. საცა მოგვხვდება, იქა ვდგამთ ფეხებს: გვიცურდება, კედლებს ვეპოტინებით. და ტალახით ხელები გვეთხუნება; კი არ მიედივართ, მივრბივართ, არეულები, ისმის რკინეულობის ჟღარუნი, გინება, ლანძღვა.

წვიმამ უმატა. უცბათ მეორეჯელ მოგვიხდა გაჩერება. ერთი დაეცა! ატყდა ჩოჩქოლი.

წამოდგა. ხელ-ახლა მივდივართ. ვცდილობ არ ჩამოვრჩე პოტერლუს კასკას, რომელიც სიბნელეში ოდნავღა ბრწყინავს ჩემს თვალებს წინ, და ჟამ-და-ჟამ ვუყვირი:

— როგორ არის საქმე?

— არა უშავს,—მაძლევს პასუხს, თან ცხვირით ჰაერს ისუნთქავს და ხვნეშის მუდამ რაკრაკა და მუდამ მომღერალ ხმითა.

ჩანთა მხრებში ჩაგვაკვდა, თან ჯაყჯაყებს ამ ჯაჯგურის დროს და საშინლათა გვტკენს. ერთ ალაგას მიწა ჩამოწოლილა და შიგ ჩავეფალით... იძულებულნი ვართ რბილ და წებოვან მიწიდან წამდაუწუმ ამოვათრიოთ ფეხები და ყოველ ნაბიჯზე ძალზე მაღლა უნდა ავსწიოთ. ამ ადგილას რის წვალებით თავი დავაღწიეთ და გვეგონა, გვეშველაო, ისე, ერთბაშათ ლიპ რუში ჩავცვივდით. ჩექმებისაგან ძირში ორი ვიწრო ოღრო-ჩოღრო გაჩნდა და თითქო ღარში რაშიმე გვიცვივდებაო. ერთ ალაგას სანგრებზე დიდი ხიდია გადაგდებული და ძალიან ძირს უნდა დავიღუნოთ და ძალიანაც უნდა ვეწვალოთ, რომ მას ქვეშ გავძვრეთ როგორმე. უნდა დავიჩოქოთ, თითქმის მიწას გავერთხათ და რამდენისამე ნაბიჯის მანძილი ვიბობღოთ. ცოტა მოშორებით წვიმისაგან სარი გადახრილა, გარდი-გარდმო გზა შეუკრავს და ახლა იმას უნდა მოვუაროთ.

აჰა, ორ გასასვლელ გზის ჯვარედინთან ამოვყავით თავი.

— აბა, ბიჭებო, წინ! მარჯვეთ!—იძახის ადიუნტანტი, ერთს შიგ შეწეულ ადგილთან გაჩერებული; უნდა რომ ჩვენ წინ გაგვიშვას და გველაპარაკოს. გასასვლელათ მეტად ცუდია ეს ადგილი.

— გავწყდით,—ლუღლუღებს სურდოსაგან ჩახლეჩილის ხმით ერთი და თან ისე ქშინავს, რომ ხმაზე ვერც-კი ვიცანი, ვინ იყო.

— მორჩა, მეტი აღარ შემიძლია, ძმაო. აქ უნდა დავრჩე, —კვნესის მეორე, სრულებით ღანღალაგამოლეული.

— აბა რა გიყოთ?—ეუბნება ადიუტანტი.—ჩემი ბრალი ხომ არ არის. ჩქარა წამოდით, ბიჭებო, საშიში ადგილია. თქვენზე წინ მოხსნილ სოლდათებს აქ სროლა აუტეხეს...

მივდივართ. ქარი, წვიმა ძალზე გვიტყლაშუნებს. ასე გვგონია, სადმე ჯურღმულში ჩავდივართო. ფეხები გვიცურდება, ძირს ტყაპანი გვძვრება, სანგრის კედელს ვასკდებით, მერე იდაყვით მივებჯინებით კედელს და ისევ წელში გავიმართებით. ჩვენი სიარული ერთი დაუსრულებელი წაფორხილება და ძირს დაცემაა. და ყველანი თავს ვიმაგრებთ, როგორცა და საცა-კი შეგვიძლია. ვფორხილობთ, მაგრამ ისე უნდა ვიფორხილოთ მაინცა, რომ სხვას ხელი არ შევუშალოთ და რაც შეიძლება სწორეთ დავიჭიროთ სხეული.

სადა ვართ, ნეტავი? თუმცა წვიმა თავპირში მიტყლაშუნებს, მაგრამ მაინც ზევით ავიღე თავი. ოდნავ დასანახავ ცის ფონზე სანგრის ზემო ნაპირი გავარჩიე, გავარჩიე აგრეთვე რალაც ბნელი გალერეის მზგავსი რამ გალერეია, ერთი მეორისაგან დახრილ ძელებისაგან გაკეთებული, ზედაც ობობას ქსელივით მავთულები ჩამოჰკიდებს. თალია.

— წინ! წინ!

თავი დავღუნე და მეტს ვეღარაფერსა ვხედავთ; მესმის მხოლოთ, რომ წაღები ისევ ტალახში ეფლობა და ტკაცუნით უკან ამოდის, ისმის ხიშტების ჟღარუნი, ყრუ წამოძახილი და აჩქარებული ქშენა.

კიდევ ერთხელ შევინძერით ერთბაშათ. ერთბაშათვე შევსდექით და ამას წინათ რო მომივიდა ისე, პოტერლუს ზურგს დავეძგერე. მეც მივეყრდნე მისს ზურგს, ღონიერს, მტკიცეს, როგორც ხის ტანს, როგორც თვით ჯანსა და იმედსა. მიყვირის:

— ნუ გეშინიან, ძმაო, საცაა, გავალთ!

გავჩერდით. უკან ვიხედეთ... დასწყეველოს ღმერთმა!.. არა, ისევ მივდივართ წინ!...

ერთბაშათ ჩვენს თავს ზემოდან რაღაც საშინლათ იპყრა. თავით ფეხებამდი ამათახთახა, ლითონისებურის გუგუნით გამეესო თავი, გოგირდის მწვავე სუნი ცხვირში შემივიდა და მახრჩობს. ჩემს წინ მიწა გასკდა. რაღაცა მაღლა ამიტაცა, შერე განზე გამტყორცნა, მოკრუნჩხული, სულშეხუთული და ნახევრათ დაბრმავებული ამ გაელვებისა და გრგვინვისაგან... ის მაინც მაგონდება, რაც მოჰყვა ყოველსავე ამას: იმ წამს, როცა თავტანდაკარჭული, გაგიჟებული, ინსტინკტურათ ჩემს ამხანაგს ვეძებდი, დავინახე, რომ მისი სხეული მაღლა აიტაცა, იმანაც ფართე ხელები გაშალა და საცა მისი თავი იყო, იქ ალი ავარდა.

XIII

უკაცრაული სიტყვა-პასუხი.

რაღასაცა ვსწერავდი და ბარკმა დამინახა. ძირს რომ ჩალა გვეყარა, იმაზე გამობობღდა, მომიახლოვდა და მოშაშტერა თავისი ცბიერი სახე, მოწითანო კულულებიანი, როგორც ჯამბაზებს აქვსთ ხოლმე; თვალები იქით-აქეთ დაურბის და ზევიდანაც წარბები ხან შეეკერება, ხანაც გაეხსნება. ტუჩებს აცმაცუნებს: პირში შოკოლადის ნატეხი უდევს, აკნატუნებს და ღეჭავს, ხელშიაც მეორე ნატეხი უჭირავს. სავსე პირიდან შიგ ცხვირპირში მაორთქლებს დუქნისა ჭ საკონდიტროს სუნს და ბუტბუტებს:

— ერთი ეს მითხარ, გეთაყვა, შენ ხომ მწერალი კაცი ხარ! მერე ხომ დასწერ ყველაფერს სოლდათების ამბავს, ჩვენს ამბავს?

— რა თქმა უნდა, ჩემო ბიჭუნა, შენს ამბავს დავსწერ, ამხანაგების ამბავსაც, საერთოთ, ყველაფერს, თუ როგორ ვცხოვრობდით.

— შენ ეს მითხარი...

თავით ქალალდი მანიშნა, სადაც სხვადასხვა შენიშვნებს ვიწერავდი. ხელში ფანქარი მიჭირავს, ვუყურებ და ყურს ვუგდებ, აბა რა მითხრას-მეთქი. ეტყობა, რაღაც უნდა მკითხოს.

— გეთაყვა, ერთი მითხარი... რამე უნდა გკითხო. თუ შენს წიგნში სოლდათებს ალაპარაკებ, ხომ ისე ალაპარაკებ, როგორც ნამდვილათ ლაპარაკობენ, თუ ამათს ნათქვამს შენებურათ გაალამაზებ? აი, იმ უკაცრაულ სიტყვა-პასუხის შესახებ გეკითხები, ესენი რომ ხმარობენ ლაპარაკში. თუმცა

ერთმანეთთან სიამ-ტკბილობითა ვართ, მაგრამ მაშინაც კი, როცა არა ვჩხუბობთ, ლაპარაკის დროს იშვიათია, რომ მაგარ-მაგარი სიტყვები არ ვიხმაროთ. აბა ასეთ სიტყვებს წიგნის მბეჭდავები რა შვილები გაუშვებენ? ჰო და, შენც თუ ეს სიტყვები არ დასწერე, შენი დახატული სურათი ჩვენ არ დაგვემსგავსება. იცი, რა გამოგივა: წარმოიდგინოთ, რამე სურათი დახატე და უმთავრესი ფერადი, საცა საჭიროა, ყველგან გამოაკელი და აღარ წაუსვი. მეორე მხრით, თითქო არც შეიძლებაო.

— უკაცრაულ სიტყვებს, საცა საჭირო იქნება, თავ-თავის ალაგას ყველგან ჩავურთავ, ამიტომ რომ ეს მართალია.

— ახლა ის მითხარი, თუ შენ ამ სიტყვებს ჩაურთავ, შენი წრის ხალხმა, სიმართლე რომ ფეხებზე ჰკიდია, ხომ სასაცილოთ აგიღო,—ვიღაც ღორი ყოფილა ამის დამწერიო.

— შეიძლება, მაგრამ მე მაინც არ დავიშლი და ჩემზე კი რაც უნდათ, ისა სთქვან.

— ჩემი აზრი გინდა გითხრა? ჩემო ძმაო, წიგნებისა მე არაფერი გამეგება: მაგრამ მაინც შენის მხრით ეს დიდი გამბედაობა იქნება, რათგან ამას სხვა არავინა შვრება, ყველა ერიღება. ბარაქალა, თუ ასე დასწერ. მაგრამ შენის თავაზიანობის ამბავი რომ ვიცი, ბოლოს და ბოლოს გაგიჟირდება და ხელს აიღებ!.. რაც გაგიცანი, მას აქეთ ეს ნაკლი შემიმჩნევია შენში. მეორე ჩვეულებაცა გაქვს ცუდი: როცა არაყს გვირიგებენ, შე კაი კაცო, იძახი—სიმრთელისათვის მავნებელიაო და იმის მაგიერ, რომ შენი წილი ამხანაგს დაუთმო, თავზე ისხამ ხოლმე ტილების გასაწყვეტათ.

XIV

სოლდათის ავლა-დიდება.

სარაიი „მუნჯთა ფერმის“ ეზოს ბოლოშია, დაბალი, გაშოქვაბულის მსგავსი. გამოქვაბულებში ყოფნა გვიწერია, ჩვენთჯის სახლებშიაც კი გამოქვაბულებს უნდა ჰგავდეს ჩვენი სადგომი ბინები. როცა ეზოზე უნდა გავიაროთ, საქონლის პატივს ფეხებ ქვეშ ჰყაპა-ჰყუპი გააქვს; თუ გვინდა ამ წვირეს მოვუაროთ, უნდა ძალზე ვიწროთ ქვაფენილით გავიაროთ, იმდენათ ვიწროთი, რომ თავს ძალას ვატანთ, არ წავიქცეთ; ბოლოს, მივადგებით სარაიის შესავალ კარებს, მაგრამ პირველათ შიგ ვერაფერსა ვხედავთ, ისე ბნელა...

მერე, სიბნელეს ცოტათი თვალს რომ შევაჩვევთ, დავინახავთ რაღაც ჩამობნელებულ სიღრმეს. და ამ სიღრმეში ბუნდოვანი ფორმები ზოგი მოკრუნჩხულა, ზოგი ძირს გაშოტილა, ზოგიც ბოლთასა სცემს. სულ სიღრმეში მარჯვნივა და მარცხნივ ორი სანთელი ბეჟუტავს, გარს შემოხვევია ნისლიანი რგოლები, თითქო შორიდან მოწითანო მთვარე მოსჩანს ცაზედაო. ამ მკრთალ სინათლეზე ძლივ-ძლივობით გაარჩევთ ადამიანებს, პირიდან ზოგს ოხშივარი ამოსდის, ზოგსაც სქელი კვამლი თუთუნისა.

ამ სალამოს ჩვენს საეჭვო ბუნაგში, სადაც დიდის სიფრთხილით შევდივარ, დიდი ფაცა-ფუცია. სანგრებში ხვალ დილას უნდა დავბრუნდეთ და სარაიის დაღონებული მდგმურები თავიანთს ბარგი-ბარხანასა ჰკრავენ.

გარეთგან შემოსულს სარაიის სიბნელემ თვალები სრულებით დამიფსო, მაგრამ მაინცა ვცდილობ ფეხი არ წამოვ-

კრა ხაფანგის მსგავსათ მიწაზე დაყრილ თუნუქის ჭურჭლებს, რკინის ჯამებს, ტანისამოსს. მაგრამ დაცემა მაინც არ ამცდა: სწორეთ შუაში დაყრილ მრგვალ პურებს ფეხი წამოვკარ და თქვენი მოწონებული სასახლე ავაგე... როგორც იყო, მივალწიე ჩემს კუთხეს. ჯერ უშველებელი ფართე ზურგი დავინახე ერთის კაცისა. მატყლის მოკლე მოქსოვილი რამ ეცვა. წინ გაეშალნა რაგინდარა პატარა ნივთები, ბრეყვიალები. ხელი დავკარ ცხვრის ტყავის მსგავს მხარზე. კაცი მობრუნდა და მიწაში ჩარჭობილ ხიშტის რგოლზე წამოცმულ სანთლის სინათლეზე დავინახე ნახევარი სახე, თვალი, ულვაშის ბოლო და გაპობილ პირის კიდური, ამხანაგურათ გამიჯავრდა და განაგრძო თავის ხარა-ხურას თვალიერება.

— აქ რას იქექები?

— ბარგი უნდა დავაწყო და ჩავალაგო.

ეს კაცი, ყაჩაღს რომ ჰგავდა, ნადაელის დამთვლელსა, ჩემი ამხანაგი ვოლპატია. ვხედავ, რასაცა შერება: ბრეზენტი ოთხათ დაუკეცია და ლოგინზე, ე. ი. ძირს დაყრილ ჩალაზე, გაუშლია და ზედ დაუბერტყნია, რაც რომ ჯიბეებში ეყარა.

მთელი მაღაზია უდევს წინ, კარგ დიასახლისისებრ დაჰხარის თავის ქონებას, თან თვალი უჭირავს და საცემრადაც მზათ არის, თუ ვინმე გაჰბედა და რისამე მოტაცება განიზრახა... თვალებით დავთვალე მის-მიერ გამოფენილი ნივთები.

ცხვირსახოცს გარშემო ჩიბუხია, მერე სათუთუნე ქისა, ქისაში თუთუნს გარდა ულაგია პაპიროსის ქაღალდის წიგნაკი, ჯაყვა, საფულე და ტალ-კვესი (ყველაზე საჭირო და აუცილებელი ნივთები), აქავე დევს ორი წაღების შესაკერელი ზონარი ტყავისა, ეს ზონარი ჭიაყელასებ გარს შემოხვევია საათს, ცელულოიდის გამსჭვირვალე კოლოფში რომ აქვს ჩადებული. ამ კოლოფს, როცა ძველდება, რალაც უცნაურათ ეკარქვის ფერი. იქვეა ერთი მრგვალი და ერთიც ოთხკუთხი სარკე; ოთხკუთხი სარკე გატეხილია, მაგრამ საუკეთესო ლირსებისაა, გაშალაშინებული. მერე მისდევს: ერთი

შუშა სკაპიდარი, ერთი შუშა მინერალური ზეთი და მესამეც ცარიელი; ერთი გერმანული ქაღალდი შემდეგის წარწერიანი: „Gott mit uns“ (ჩვენთან არს ღმერთი), ერთი გერმანულივე სათბური, ქალალდში გახვეული ჰაეროპლანიდან სასროლი ისარი, ფოლადის ფანქარს რომ ჰგავს და ნემსივით წამწვეტებულია; დასაკეცი მაგრატელი და დასაკეცივე კოვზ-ჩანგალი; ერთი პატარა ფანქარი და ერთიც სანთლის ნამწვი; შუშის ლულა ასპირინის ჩასაწყობათ, იმ ლულაშივეა ოპიუმის ტაბლეტები; რამდენიმე თუნუქის კოლოფი.

რო დამინახა, მ-სს პირადს ქონებას ვათვალიერებდი ვოლპატი თვითონ მომეშველა, რომ აეხსნა ამა თუ იმ ნივთის დანიშნულება.

— ეს ძველი ტყავის ხელთათმანია ოფიცრისა. თითები დავაჭერი, რომ იმით ჩემის არბალეტის ლულა დამეცო. ესეც, ჩემო კარგო, ტელეფონის მავთულია. თუ გინდა ბაზარის ღილები არ აგვარდეს, ამ მავთულით უნდა დააკერო. გინდა გაიგო, ამაში რა მაქვს? რა და თეთრი ძაფი, ისეთი კი არა, ტანისამოსს რომ გიკერავენ და რომელიც ისე გამოიწვება, თითქო ჩანგალს მაკარონი აჰყვაო. ამ ღია წერილზე მთელი დასტა ნემსები მაქვს დაბნეული. ინგლისური ქინძისთავებიცა მაქვს, ცალკე.

„აქ კი ქალალდებია. წიგნთსაცავი...

მართლაც, ვოლპატის ჯიბეებიდან ამოლაგებულ ნივთთა შორის რა და რა ჯურის ქალალდი გინდა, არ იყოს: იის ფერი კონა ფოსტის ქაღალდისა, კონვერტი რომ შემოძრცვნია, სოლდათის წიგნაკი, კუთხეებ შემოკეცილი, მტვრიანი და ნაპირებ შემოცვეთილი, ტყავის ყდიანი უბის წიგნი, სხვა, დასხვა ბარათებით და ფოტოგრაფიულ სურათებით გატენილი: შუაში დიდის ამბით უდევს სურათი ცოლისა და ბავშვებისა...

გაშავებულ და გაყვითლებულ ქალალდების გროვიდან ვოლპატმა გამოათრია და მაჩვენა ერთი სურათი, არაერთხელ რომ მინახავს. ვოლპატის ცოლია, გულამობურთული, გულ-

კეთილისა და მოლეშილ სახისა. იქით-აქეთ ორი ვაჟი უდგას, თეთრსაყელოიანები, უფროსი წვრილია, უმცროსი კი მრგვალია, ბურთივით.

— მე-კი,—სთქვა ოცის წლის ბიკემ,—მხოლოთ ჩემის დედმამის სურათი მაქვს.

სურათი სანთელთან მიიტანა და გვაჩვენა. მოხუცებული ცოლ-ქმარი ერთათაა გადახატული. ორივე მშვიდობიანათ გამოიყურება, როგორც ვოლპატის ბავშვები.

— მეცა მაქვს ჩემი მშობლების სურათი,—იძახის მეორე.—სულ თან დამაქვს და არ ვიშორებ.

— ასეცაა, ყოველს ჩვენთაგანს თან მიჰყავს საფლავში თავისი მშობლები.

— საკვირველია,—შენიშნა ბარკმა,—როცა ხშირათ უყურებ სურათს, სცვდება. ხშირათ როდი უნდა უყურო; არ ვიცი კი რათა, და როცა ხშირათ ჩავსცქერი, ბოლოსა და ბოლოს მსგავსება იკარგება.

— მართალი ხარ,—უთხრა ბლერმა,—მეც ისე მგონია, რომ ეს ასეა, ნამდვილათ ასეა.

— ჩემს ქალალდებში იმ ადგილის რუკაცა მაქვს,—განაგრძო ვოლპატმა.

სინათლეზე გაშალა. გადანაკეც ადგილებში გათხელებული და გაცვეთილი რუკა ფარდასა ჰგავს, ოთხკუთხედებისაგან შეკერილს.

— ერთი გაზეთიცა მაქვს, (გაშალა გაზეთი, საცა წერილია სოლდათებზე), წიგნიცა (იაფფასიანი რომანი ამ სათაურისა: „ორჯელ ქალწული“)... აჰა, კიდევ გაზეთის ნახევიცა—„ეტამპის ფუტკარი“. თვითონაც არ ვიცი, რისთვის შევინახნია. ალბათ შიგ რაიმე საყურადღებო იქნებოდა, თორემ ისე არ შევინახავდი. როცა მოკლით ვიქნები, უნდა გადავათვალიერო. მერე მაქვს აგრეთვე ერთი დასტა ბანქო და ქალალდისაგან გაკეთებული ჭადრაკი, ლუქისაგან გაკეთებულ კაცებითა.

ბარკი მიუახლოვდა, გაშინჯა ოლპატის აელადიდება და უთხრა:

— ეგ რა არის, შენ ჩემი ჯიბეები ნახე! რა გინდა, შიგ არა მქონდეს!..

— აბა თუ გაქვს გერმანელ სოლდათის წიგნაკი, შე თავტილიანო? აბა ბიჭი ხარ და გექნება იოდის შუშები, ბრაუნინგი? ეს სუყველაფერი მაქვს და ორი ჯაყვაცა.

— მე,—უპასუხა ოლპატმა,—გერმანელ სოლდათის წიგნაკი არა მაქვს, არც რევოლვერი, ჯაყვები ორი კი არა ათიც შემეძლო მქონოდა, მაგრამ რა თავში ვიხლიდი, ერთიც მეყოფა.

— ეს კიდევ საკითხავია, გექნებოდა თუ არა,—უთხრა ბარკმა;—კარგი და თავისით შესაკვრელი ღილები გაქვს, ოჩოპინტრევ?

— ჯიბეში მიდევს,—წამოიძახა ბეკუშმა.

— სოლდათს, თუ ასეთი ღილი არა აქვს, გაუჭირდება,—ამბობს ლამუზი,—შარვლის ასაწევის დასაპერათ უამისობა არ იქნება.

— მე-კი ჯიბეში სულმუდამ მაქვს ბეჭდების გასაქლიბავი იარაღები, და როცა დამჭირდება, ხელათ ამოვიღებ.—სთქვა ბლერმა და ამოიღო და დააჩხარუნა. ქლიბმა და ალუმინიის გაუქლიბავმა რგოლებმა ქლარუნი დაიწყო. ჯიბიდან ამოიღო მახრჩობელა გაზის საწინააღმდეგო პარკი, იარაღები შიგა ჰქონდა შეხვეული.

— მე კიდევ კანაფი მიდევს ჯიბეში, ძალიან გამოსადეგია,—ამბობს ბიკე.

— ლურსმნები უფრო გამოსადეგია,—შენიშნა პეპენმა და აჩვენა სამი ლურსმანი: ერთი დიდი, ერთი პატარა და ერთიც საშუალო.

თითო-თითოთ სხვებიც ჩაერივნენ ამ ლაპარაკში და ყველამ სათითაოთ აჩვენა თავისი აელადიდება. ბნელაში ყოფნას თვალები უკვე შევაჩვიეთ. მაგრამ კაპორალ სალაველს, ყველაფრის

გაკეთება რომ ემარჯვება, ერთი თავისებური საკიდელა გაუკეთებია ყველის კოლოფისა და მავთულისაგან და ამ საკიდელაში სანთელი ჩაარჭო. ამ ჯალს გარშემო თითოეულმა ჩვენთაგანმა ისე ალერსიანათ დაიწყო თავის ჯიბეში ჩალაგებულ ნივთების ჩამოთვლა, თითქო დედა სდგას და თავისს საყვარელს შვილებსა სთვლის მაყურებელთა წინაშეო.

— ჯერ ის ვიკითხოთ, სულ რამდენი ჯიბე გვაქვს?

— ჯიბეები? თვრამეტი. — სთქვა ვილამაც და ეს ვილაცა, ცხადია, კოკონი იქნება, კაცი-ციფრი.

— სწორეთ თვრამეტი,—გამოეკამათა კოკონი.—აბა დათვალე, თუ შეგიძლია.

ლამუზს უნდა დაუმტკიცოს ყველას, მართალი ვარო, ორივე ხელი სინათლესთან მიიტანა და მტვრიან ტალკესის მსგავს თითებზე თვლა დაიწყო: „ორი ჯიბე მაზარას ზურგზეა მიკერებული, გარედან, ერთი ჯიბე ჭრილობის შესახვევ მასალისათვის, ახლა შიგ თუთუნს რომ ვინახავთ, ორი ჯიბე მაზარას შიგნითაა, წინიდან; ორი ჯიბე მაზარას გვერდზე. გარედან, ყურებიანი. სამიც ძიქვაშია, სამი კი არა, სამნახევარია, ამიტომ რომ ერთი პატარა ჯიბე წინიდანა აქვს ძიქვას."

— ამ პატარა ჯიბეში მე კომპასი მაქვს,—სთქვა ფაჩფადემ.

— მე აბედის გრეხილი მიდევს ამ პატარა ჯიბეში.

— მე-კი,—სთქვა ტირლუარმა,—სასტვინავი მიდევს. ჩემმა ცოლმა გამომიგზავნა და შემომითვალა: „თუ ვინიცობაა, ბრძოლის დროს დაგჭრეს, დაუსტვინე, ამხანაგები მოგეშველებიან და სიკვდილისგან გიხსნიანო".

ყველას გაეცინა ამ გულუბრყვილო ფრაზაზე.

ტულაკი ჩაერია ლაპარაკში და ლმობიერებით ეუბნება ტირლუარს:

— კი არ გეწყინოს; აბა ზურგში რა იციან, თუ ბრძოლის ველზე რა ამბავია, ისე როგორც შენ არ იცი, ზურგში

რა ამბავი ხდება. ახლა ვისმე რომ შენთვის ზურგის ამბავი ეკითხნა და შენც მოჰყოლოდი, ვინ იცის, რამდენი რამ მიგეჩმახნა!

— ამ ჯიბეს ნულარ ჩავთვლით, ძალიან პატარაა, —სთქვა სალავერმა. —ასე რომ თითოეულს ათი ჯიბე გვაქვს.

— პიჯაშიაც ოთხია. ესეც ჯერ თოთხმეტია.

— პატრონების ჩასაწყობი ორი ჯიბე?

— თექვსმეტი, —წამოიძახა სალავერმა.

— ახ შე უბედურის შვილო, შე ინდოურო, აბა კარგათ დათვალე ჩემის პიჯაკის ჯიბეები. ეს ორი ჯიბე რატომ არ დათვალე? მა რა სხვა ნაირი ჯიბე გნებავს? ჯიბეა და ჯიბე. მერე თავის ადგილას მაინც არ იყოს მიკერებული! ნამდვილი სამოქალაქო ტანისამოსის ჯიბეებია: ჩვეულებრივ შიგა სდებენ თუთუნს, ადრესებს და სხვა რაგინდარას.

— თვრამეტი! — წამოიძახა სალავერმა მოხელე კაცის კილოთი. — თვრამეტია. სწორია.

ამ ლაპარაკის დროს კარის ზლურბლს ვიღამაც რამდენჯერმე ფეხი წამოჰკრა და ტყაპა-ტყუპი გაუდის, თითქო ერთ ალაგას გაჩერებული ცხენი ფეხებს აბაკუნებსო. თანაც გინება გაისმა.

ცოტა სიჩუმეს შემდეგ ბრძანებითის კილოთი დაიძახა:

— ეი, ვინა ხართ მანდა! ჩქარა ჩაალაგეთ! ამ სალამოსთვის სულ მზათ უნდა იყვნეთ; იცოდეთ, კარგათ შეჰკარით ბარგი. ამ ხელათ მოწინავე ხაზზე წავალთ და შეიძლება შეგვახურონ კიდეცა.

— კარგი, კარგი, —ჩვენო ადიუტანტო, — უგულოთ უპასუხეს სოლდათებმა.

— ერთი მითხარ, სიტყვა არნესი, როგორ იწერება, — იკითხა ბენეშმა. ძირს გაშოტილა და ჩალათას ფანქრით მისამართი უნდა დააწეროს.

სანამ კოკონი ასო-ასო უკარნახებდა სიტყვა „ერნესტს“,

უფროსი წავიდა და სხვა სარაიებ'შიაც იგივე ბრძანება გაავრცელა. ბლერი გვეუბნება:

— ბიჭებო, ისე მოიქეცით, როგორც მე გითხარით: — ტოლჩა უეჭველათ ჯიბეში იქონიეთ. სად და სად არ ვცადე მომეთავსებინა, მაგრამ ყველას ჯიბემ ბჯობა, დამიჯერეთ. თუ გზაში ხარ, შეიარაღებული ან სანგრებში უიარაღოთ და ისე მოხდა, რომ დაგჭირდა, ხელათ ამოიღებ. შეიძლება ამხანაგს ზედმეტი ღვინო ექნეს და შემოთავაზება მოინდომოს, ან კიდევ სადმე ღვინით ვაჭარს გადააწყდი,—ხელათ ჯიბიდან ტოლჩას ამოაძვრენ და ღვინოც მზათაა!... ამიტომ, ბიჭებო, დამიჯერეთ: ტოლჩა სულ მუდამ ჯიბეში გედოსთ!

— ტყუილია, ჯიბეში ტოლჩას ვერ ჩავიდებ,—წამოიძახა ლამუზმა.—არა, შენს ლხენას, ჰკუათამყოფელ კაცს ასეთი აზრი როგორ მოუვა? არა, გეთაყვა, ყურში ღვედს გავუყრი და ისე დავიკიდებ.

— მაზარის ლილზე სჯობია დაკიდება ისე, როგორც მახრჩობელა გაზის საწინააღმდეგო ტომსიკა გვკიდია ხოლმე. ვსთქვათ, უიარაღოდა ვართ, მაზარა ზედ გვექნება და ღვინის ჩასასხმელი ტოლჩაცა.

— მე გერმანული ტოლჩა მაქვს,—სთქვა ბარკმა.— ბრტყელია, შეგიძლია გვერდის ჯიბეში ჩაიდვა, ან, თუ გინდა, საპატრონეშიაც ჩაეტევა, როცა ცოტა პატრონას მოაკლებ ან და როცა პატრონებს სულ ამოჰყრი და ჩანთაში ჩაჰყრი.

— გერმანული ტოლჩა არაფრად ვარგა,—სთქვა პეპენმა.—ზეზე ვერა ჩერდება და მხოლოთ ადგილს იჭერს.

— დაიცა, შე ვირისთავო,—უთხრა ტირეტმა, რომელსაც ხშირათ დაკვირვების ნიჭი ეტყობა,—თუ ან ხელათ გერმანელებთან შეტაკება მოგვიხდა, როგორც ადიუტანტმა გვითხრა, შეიძლება სადმე იპოვნო გერმანული ტოლჩა და აბა მაშინა ვნახავთ, თუ დაიწუნებ!

— ადიუტანტმა კი გვითხრა,—შენიშნა ევდოკიმა,—მაგრამ დანამდვილებით იმანაც არ იცის.

— გერმანულ ტოლჩაში ლიტრის მეოთხედზე მეტი ჩაეტევა,—ამბობს კოკონი,—რადგან მეოთხედ ლიტრის ჩამტევობა მაგათს ტოლჩაზე ხაზითაა აღნიშნული, ფსკერიდან სამ მესამედის სიმაღლეზე. უფრო ხელსაყრელია ასეთი ტოლჩა იქონიო, ამიტომ რომ თუ შენ ასეთი ტოლჩა გაქვს, რომელიც სწორეთ ლიტრის მეოთხედს ჩაიტევს, როცა დაგისხამენ ყავას, ღვინოს ან „პილატეს ცრემლს", უნდა პირთამდე გაგივსონ, ამას კი კერძის დარიგების დროს თავისდღეში არა შვრებიან და თუ იზამენ, სულერთია, დაგელევრება.

— ასე თავისდღეში არ დაგისხამენ,—სთქვა პარადიზმა, სულმუდამ რომ სჩივოდა—სასმელს გვაკლებენო.—როცა კერძაული რასმე გისხამს, ერთს თითს უეცველათ ტოლჩაში ჩასჩრის, თან ორ თითს ქვეშიდან ამოარტყამს, რა არის, ძირი ამოვსწიოვო. ასე რომ სულ უკანასკნელი მესამედ ტოლჩას გაკლებენ და უსინიდისოთ გატყუებენ.

— მართალს ამბობ,—უთხრა ბარკმა,—მართალს. მაგრამ არც ძალზე დიდი ტოლჩა ვარგა, ამიტომ რომ ამ შემთხვევაში კერძაულს ეკვი შეუვა და ეცდება პირთამდე არ მოჰყაროს, გადადინებას ვინა ჩივის. ცხადია, წაგებული იქნები.

ამასობაში ვოლპატმა სათითაოთ ჩაილაგა ჯიბეებში ჩვენს შინ გამოფენილი ნივთები. როცა საფულე უნდა ჩაედო, სიბრალულით დაუწყო ყურება.

— ძალზე სიფრიფანა გახდა, საცოდავი.

დათვალა.

— სამი ფრანკი! ცუდათაა საქმე, თუ სადმე არ ვიშოვე კიდევ.

— მარტო შენ კი არა ხარ ასეთს დღეში.

— სოლდათი რასაცა შოულობს, იმაზე მეტსა ხარჯავს. ოღონდაც რომ ასეა. ნეტავ ვიცოდეთ, რა დაემართებოდა საცოდავს, მარტო ულუფას რომ სჯერდებოდეს?

პარადიზი კორნელისებურის სიმარტივით უპასუხებს:

— ძაღლივით ჩაიღრძობოდა.

— აი, შეხედე, რა მიდევს ჯიბეში! ამას-კი ვერ შევეღევი, თავისდღეში.—და პეპენმა ამაყათ უჩვენა ვერცხლის დანაჩანგალი.

— ეს დანაჩანგალი ერთ ბებერ მაიმუნს ეკუთვნოდა, ვისთანაც ვიდექით, როცა გრან-როზუარში ვიყავით.

— შეიძლება ახლაც იმას ეკუთვნოდეს?

პეპენმა გამოურკვეველათ ჩაიქნია თავი, და ამ თავის ჩაქნევაში ერთსა და იმავე დროს სიამაყეც ეხატებოდა და მოკრძალებაც; მერე გათამამდა, გაიღიმა და სთქვა:

— კარგათ ვიცნობ იმ ბებერ ტარტაროზს. დარწმუნებული ვარ სიკვდილის დღემდე ყოველგან თავისს ვერცხლის დანაჩანგალს ეძებდეს იქნება.

— მე-კი ვერსად ვერავის რა წავსწაპნე, შვილოსა,— სთქვა ვოლპატმა,—მხოლოდ ერთი მაკრატელი ჩამივარდა ხელში ეგ იყო და ეგა. ზოგი ისეა დაოსტატებული ასეთ საქმეში, რომ რა გითხრა! მე-კი ვერა. რა თქმა უნდა, დიდათ ვუფრთხილდები ამ მაკრატელს, თუმცა შემიძლია თამამათა ვსთქვა, რომ გამოყენებით ვერასფერში გამომიყენებია.

— ზოგჯერ მეც მომხვედრია ხელში პატარ-პატარა რამეები, მაგრამ რა გამოვიდა? იმ სალაყათძაღლ საპიორებმა არ შემარჩინეს,—ნაძარცვია, ნება არა გაქვსო.

— რაც უნდა გააკეთო, უეჭველათ ვინმე გამოგიტყვრება და ხელიდან გამოგვაცლის, ჩემო ძმაო! კი არ უნდა გეწყინოს.

— ეი, ვინა ხარ მანდა, იოდი ხომ არ გინდათ?—შეჰოგეძახა სანიტარმა საკრონმა.

— მე ჩემის ცოლის წერილებს ვინახავ ხოლმე,—სთქვა ბლერმა.

— მე-კი წაკითხვას შემდეგ უკანვე ვუბრუნებ ჩემს ცოლს.

— მე-კი შენახულები მაქვს. აი!

ევდორმა ჯიბიდან ამოათრია მთელი კონა დაძენძილ და

გაქონილ ქალალდებისა. ღამის სიბნელემ მორცხვათ გამოაჩინა მათი სიშავე.

— ვინახავ ხოლმე. ხანდახან გადავხედავ. როცა მცივა და ცუდ გუნებაზედა ვარ, გადავიკითხავ. მართალია, არ მათბობს, მაგრამ მგონია კი, მათბობს-მეთქი.

ამ სასაცილო ფრაზაში რაიმე ღრმა აზრი უნდა იყოს, ამიტომ რომ ზოგიერთმა თავი მაღლა ასწია და სთქვა: „ჰო, ეგრეა“.

ლაპარაკი გრძელდება ამ ფანტასტურ სარაიის გულში, რალაც დიდი ლანდები მოძრაობს; ლანდები არა სჩანს მხოლოთ ბნელ კუთხეებში, საცაც უბადრუკ სანთლების მბჟუტავი სინათლე ვერა სწვდება.

ეს ლანდები იქით-აქეთ იძვრის, უცნაურ სახეს ღებულობს, ხან დაიხრებიან პირდაპირ მიწაზე, ბარგსა ჰკრაევენ აჩქარებით,—მერე ცოტა რამ კი არა აქვსთ ჩასალაგებელ-შესაკერელი!—თავისთვის ლაპარაკობენ ან ერთმანეთს ხან რასა ჰკითხავენ, ხან რასა; ფეხებზე, ვინ იცის, რა არ მოედებათ ხოლმე. ერთი-მეორეს თავიანთ ქონებას ახარებენ:

— აბა ერთი შეხე, რა მაქვსო!

— დიდი რამეც გქონია, შენმა მზემ!—უპასუხებს შურიანის კილოთი ამხანაგი.

ყველას უნდა, რაცა სხვასა აქვს, იმასაცა ჰქონდეს. ჩვენს მწყობრში ზოგს ისეთი რამ ნივთი აქვს, რომ ყველასა შურს და შეჰნატრის: მაგალითად, ბარკს ერთი საკვირველი ბიდონი აქვს ორლიტრიანი, უტყვიოთ თოფი დაუცლიათ შიგა და ისე გაუბერიათ, რომ ახლა ორლიტრნახევარი ჩადის; მერე საქებური დიდი დანა ბერტრანისა, რქის ტარიანი!...

ამ ფაცა-ფუცში ამ სამუზეუმო იშვიათ ნივთებს ხან ერთი და ხან მეორე ცალის თვალით შეხედავს და მერე ისევ დაიწყებს თავის წინ ყურებას. ყველა თავისს „საწვრილმანოს“ დასტრიალებს და გულმოდგინეთ დაწყობას და ჩალაგებასა სცდილობს.

მართლა რომ საცოდავი „საწვრილმანოა“! ყველაფერი, რაც საგანგებოთ სოლდათისათვის არის გაკეთებული, უპრალოა, დამპალ საქონლისა, უშნო კარტონისაგან გამოჭრილ და დამპალ ძაფით ერთმანერთს მიკოწიწებულ წაღებიდან მოკიდებული მათს ტანისამოსამდე. ტანისამოსი უშნოთ არის გამოჭრილი, ცუდათ შეკერილი, ცუდის საღებავით შეღებილი, დაცხავებულ და რომ იმტვრევა ისეთ მაუდისა—ნამდვილი საშრობი ქაღალდია—, ერთის დღის მზე რომ მოხვდება, ხუნდება, ერთის საათის განმავლობაში რომ დააწვიმოს, წყალი შიგ გაუვა. ღვედებიც თხელებია, ბურბუშელას მსგავსი, ბალთას ვეღარ უძლებს და იგლიჯება. აღარც მათი ფლანელის საცვლები ვარგა რადმე, ნარჩის საცვლებზე უფრო თხელია. თუთუნი? ჩალაა ნამდვილი.

მარტრო ჩემს გვერდთაა. ამხანაგებზე მანიშნა:

— ერთი შეხედე და ამ სოლდათებს, თავიანთს ხურდა-მურდას რომ ათვალიერებენ!.. ასე გეგონება, დედები შვილებს შუაში ჩასხდომიან და მათის ცქერით ვერ გამაძღარანო. ერთი ყური დაუგდე, თუ ძმა ხარ, რას უძახიან თავიანთს ნივთებს: „ჩემი დანა!“ ამის თქმა ყურში ისე გესმის, თითქო დედა ეძახდეს შვილს: „ჩემო ლეონ, ჩემო შარლ ან ჩემო დოლფო“. მერე იცი, არ შეუძლიათ მოაკლონ რამე თავიანთს ტვირთს, წაუღებელს არაფერს დასტოვებენ. იმიტომ კი არა, თითქო არ უნდოდეს მსუბუქ ტვირთის წაღება,—ხომ იცი, სამხედრო სამსახურში რომა ხარ, ბევრი ჯანი და ღონე გაკლდება!—არა, იმიტომ რომ უეჭველათ ბევრი უნდა წაიღონ. მეტად უყვარსთ თავიანთი ნივთები და ისე ადვილათ ვერ შეელევიან.

თქვენ ტვირთის სიმძიმე სთქვით: ხაშინელებაა პირდაპირ! ყველამ ვიცით, ყოველ ზედმეტ ნივთის საზიდავათ თუ რამდენი ოფლი უნდა იწუროს სოლდათმა, რამდენი გული უნდა იხეთქოს! ყოველი უმნიშვნელო და ზედმეტი, ნივთი ზედმეტადა ღლის და მხრებს ზედმეტადა სტკენს.

მათი საზიდავი მარტო ის ბარგი ხომ არ არის, რაც ჯიბეებსა და ჩანთებში ულაგიათ. ამას დაუმატეთ ისიცა, რასაც ზურგითაც ჰზიდავენ ხოლმე, ე. ი. სამხედრო კანონით დაწესებული ბარგიცა.

ჩანთა—იგივე ჩემოდანია და იმავე დროს განჯინაცაა. და ძველი გამოცდილი სოლდათი ისე დაოსტატებულია, რომ რაც ჩაეტევა, ორ იმდენს ჩასტევს, რაკი იცის, როგორ უნდა ჩაალაგოს მოხერხებულათ თავისი ნივთები და საჭმელსასმელი. კანონით დაწესებული და სავალდებულო ბარგია, რაც სოლდათმა უნდა ზიდოს ხოლმე: ორი კოლოფი ხორცის კონსერვი, თორმეტი ბისკვიტი, ორი ტაბლეტი ყავე და ორი პაკეტი შესქელებულ სუფისა, ერთი ტომსიკა შაქარი, ერთი ხელი საცვალი და სათადარიგო წაღები. იმდენს კიდევ ვახერხებთ, რომ ყოველსავე ამასთან ჩავსტენავთ რამდენსამე კოლოფ კონსერვს, თუთუნს, შოკოლადს, სამთელს და ფოსტლებს; ამას მივუმატებთ საპონს, სასპირტე ლამპას, გასქელებულ სპირტს და შალეულობას. ახლა დასძინეთ: საბანი, ფეხების პატარა სათბური, საბნის მსგავსი, გაფისულ ტილოს ნაჭერი, ყოველგვარი იარაღები, ჯამი, სალაგერო ნივთები. ყოველივე ეს ტვირთს ამსხვილებს, ადიდებს და აგანიერებს; დიდი, უშველებელი ხდება ტვირთი და მისს სიმძიმეს ქვეშ სოლდათი ჰკუნესის ხოლმე. ჩემი მეზობელი მართალს ამბობს: ყოველთვის, როცა სოლდათი მთელ კილომეტრებს გაივლის გზაზე და შემაერთებელ ხვრელებში და დანიშნულ ადგილამდე მოვა, დაფიცებს ხოლმე,—მეორეჯელ უეჭველათ ბევრი რამ უნდა მოვაკლო ნივთებს და მხრები ზედმეტ ტვირთისაგან შევიმსუბუქოვო. მაგრამ ყოველთვის, როცა გზას უნდა დაადგეს, ისევ შეუჯდება ამ დამაუძლურებელ ტვირთს, ჯიუტურათ მიათრევს და არაფრის გულისათვის მოშორდება, თუმცა, ყური რომ უგდო, სულ იგინება და იწყევლება.

— ისეთი გამოცვეთილი ბიჭებიც არიან,—ამბობს ლაშუში,—რომ ახერხებენ და თავისს ბარგს გუნდის ან სასანი-

ტარო ურმებზე უდებენ. ბევრს ვიცნობ ასეთებსა, მაგრამ, ხომ იცი, გუნდში ორასორმოცდაათი კაცია და ყველა კი ვერ მოახერხებს, ეშმაკობას მაშინავე მიუხვდებიან, მით უფრო, რომ ურემზე ბარგის დადების უფლება იმათა აქვსთ, ვინც უბრალო სოლდათები არ არიან. უფროსებიც ხშირათ ჩაიხედავენ ურმებში და თუ დაგინახეს ბარგი, მაშინ არც-კი გაგაფრთხილებენ, — შენ ბარგს მოუარეო, პირდაპირ გზაში გადაგიყრიან, ლანძღვა-გინება კიდევ სხვა იქნება.

— ომის დასაწყისში ცოტა სხვანაირათ იყო, ჩემო კარგო. ისეთი ბიჭები მინახავს ჩემის თვალით, რომ თავის ბარგსა და განჯინასაც კი საბავშვო ურემზე უდებდენ, უკანიდან აწვებოდენ და ისე მიდიოდენ ომში.

— ოღონდაც რომ კარგი დრო იყო, მე და ჩემმა ღმერთმა! მაგრამ ახლა კი სულ სხვაა.

ვოლპატს არაფერი ესმის, რასაც მის გარშემო ლაპარაკობენ. საბანი შალივით მოუხვევია და ასე გაჩულული ნამდვილ ბებერ კუდიან დედაკაცს დამსგავსებია. ძირს რაღაც ნივთი გდია და იმას გარშემო დასტრიალებს.

— ნეტავი ვიცოდე, — ამბობს თავისთვის, — ამ ოხერ მათარას რა ვუყო: თან წავიღო, თუ არა. მთელს გუნდში ჩემს მეტს არავის დაჰქონდა მათარა. მაგრამ ბალა ის არის, რომ ამ სატიალოს ისე გასდის, თითქო ცხრილიაო.

ვერაფერი გადაეწყვიტნა და თითქო ვისმე გულითადს მეგობარს ემშვიდობებაო.

ბარკი გვერდიდან უყურებს და დასცინის. ბუტბუტებს: „აი, შენს ბებერს თავს კი რა ვუთხრა!“ მაგრამ მალე დაცინვა შესწყვიტა და ამბობს:

— ბოლოსა და ბოლოს, მის ადგილას ყველა ივისებ მოიქცეოდა.

ვოლპატმა სხვა დროსთვის გადასდო ამა თუ იმ გადაწყვეტილების ასრულება.

— ხვალ დილას ვნახავ, როცა ფილიბერს ვუჩვენებთ

ბარკმა ჯიბეები გაივსო, კარგათ გაიშინჯა, კიდევ ხომ არაფერი ჩამეტეოვო. მერე ჯერი ჭიდგა ტომარასა და საპატრონეზე. იმის ბჭობას შეუდგა, თუ როგორ უნდა ჩატეულიყო ორასი წასაღებად სავალდებულო პატრონა სამ საპატრონეში. კონებად ჩალაგება შეუძლებელიაო. უნდა დავშალო კონები და პატრონები ერთი-მეორეს ამოვულაგო ისე, რომ ზოგი თავდაყირა იყოს და ზოგსაც თავი მაღლა ჰქონდესო, რიგრიგათ. ამნაირათ პატრონტაში ისე გაივსება, რომ შიგ ცარიელი ადგილი არ დარჩებაო. ყველას ერთ ჭამაზე გავიკეთებ და ასე შვიდ კილომდე იწონიდეს იქნებაო.

თოფები უკვე დაფერეს. უნდა შეამწმონ მხოლოთ, კონდახს ტილო კარგათა აქვს შემოხვეული და ლულასაც ტუჩი დაცობილი აქვს თუ არაო,—ასე თუ არ შეეინახეთ თოფები, სანგრებში ჩამოცვენილ მიწით გაგვევსება.

ახლა საჭიროა ყველა თოფს სათითაოთ რამე ნიშანი გაუკეთდეს, რომ პატრონმა ადვილათ გამოიცნოს თავისი თოფი.

— მე ღვედზე ჭდეები გავუკეთე. შეხედე!

— მე კი ღვედს მაღლა ფეხსაცმლის გრეხილი შემოვახვიე, ასე რომ ხელით შემიძლია გავიგო, ჩემი თოფი რომელია, თითქო თვალით ვუყურებო.

— მე მექანიკური ღილი მოვაბი, ასე სხვის თოფში არ ამერევა. ბნელაშიაც რომ იყოს, მაშინაც ვიცნობ და ვიტყვი, ეს ჩემი კარაბინია-მეთქი. ზოგი ვაჟბატონია, ნიშანს არაფერს უკეთებს და არცა სწმენდს თავისს თოფს, მერე მივლენ და სხვისას ხელს დაავლებენ. და ასეთს ვაჟბატონს არც კი რცხვენია და იძახის: „კაპიტანო, თოფი ისე გამიწმენდია, სუ პრიალი გაუდისო“. მაგრამ ჩემთან ამისთანები ვერ მოგართვეს.

და თოფები, მართლაც, ერთი შეხედვით თითქო ერთნაირია, მაგრამ ხელნაწერივით ერთიმეორესაგან განსხვავდება.

* * *

— საკვირველი და გასაოცარია,—მეუბნება მარტორო,— ხვალ სანგრებში უნდა ჩავსხდეთ და ჯერ არაერთ დამთვრალა და არც-არავის უჩხუბნია. მე-კი...

„რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი,—სიტყვა გაისწორა მარტორომ,—ამ ორ ვაჟბატონს მოუკუპრავში არ გადაეშვას, თუმცა როგორც რიგია, ისე ჯერ არ არიან გალეშილები... ისე, რაღა, ცოტა აქვსთ ჩაყლაპული... ცხვირზე ეტყობათ, ჭუპყიანი რომ აქვსთ...

— პუატრონი და პუალპოა, ბრაიერის გუნდისა.

წვანან და არაფერს ლაპარაკობენ. ვხედავთ ერთ-ერთ მათგანის მრგვალს ცხვირს, პირივით ულაპლაპებს, ზედ სამთელს გვერდით; ცალის ხელის ერთი თითი მაღლა აუშვერია და რაღასაც ანიშნებს, თითის ლანდი თითის მოძრაობას მიჰყვება.

— ცეცხლის დანთება შემიძლია, მაგრამ თუ ერთი ჩამიქრა, მერე ვეღარ დავანთებ,—ამბობს პუატრონი.

— ყეყეჩი!—ეუბნება პუალპოი,—თუ ერთხელ შეგიძლია დაანთო, მეორეჯელაც შეგეძლება დაანთო, ამიტომ რომ თუ აანთებ, ეს იმასა ნიშნავს, რომ არა ნთებული და ჩამქრალი ყოფილა; მაშასადამე, როცა ანთებ, შეგიძლია სთქვა, ხელახლა ვუკიდებ ცეცხლსაო.

— ამბობ რაღა! შენის ლაპარაკის არაფერი მესმის, გაიგე? გეუბნები, ცეცხლის დანთება ვიცი და თუ ჩაქრა, მერე ვეღარ მოვუკიდებ-მეთქი, მორჩა. ამაზე უკეთესათ ვერ გეტყვი.

პუალპომ პასუხად რა უთხრა, არ გამიგონია.

— შე ვირის თავფეხო,—ღრიალებს პუატრონი,—ასჯერ ხომ არ გეტყვი, არ ვიცი-მეთქი, შე ღორის დინგო, შენა!

— კაცს გულს აურევს მაგათი ყურისგდება,—მეუბნება მარტორო.

ცხადი იყო, ცოტა აჩქარებულა, როცა ამას წინათა სთქვა, ჩვენში ჯერ არავინ დამთვრალაო.

გამომშვიდობებას წინ შეზარხოშებულს სოლდათებს ჩვენს მტვრიან ჩალით სავსე ბუნაგში აურზაური შეუდგათ. ზოგი ზეზე ლასლასებს, ზოგიც დაჩოქილია ან მიწაზე ზის და ასწორებს, აკერებს, ალაგებს სანოვაგეს, იარაღს, ტანისამოსს. ყველაფერი ალუფხულია. ჰყვირიან, ხელფეხს აქნევენ. ძაღლი პატრონს ვერა სცნობს.

ამას ზედ ისიც დაუმატეთ, რომ მეზობელ ფარდულიდან, კაცის სიმაღლეზე-ღა რომ არის გადატიხრული, ჩოჩქოლის ხმა შემოდის, ორი კაცი ჩხუბობს და ღრიალებს. ისმის საშინელი ლანძღვა-გინება. მაგრამ ერთი მათგანი, სხვა გუნდისა რომ ყოფილა, სარაიის მდგმურებმა გარეთ გააგდეს და მის ლანძღვა-გინების ხმაც მისუსტდა და ბოლოს სულაც მისწყდა.

— ჩვენ ჯერ კარგათა ვართ! — შენიშნა თავმომწონეთ მარტრომ.

მართალს ამბობს. ბერტრანის წყალობით ჩვენ არა გვიშავს-რა. ამ სოლდათს სასმელების სიძულვილი პირდაპირ ავადმყოფად აქვს გადაქცეული, დაუძინებელი მტერია ალკოგოლიზმისა, ხალხის ამ გამანადგურებელ სენისა, ამიტომ ჩვენს ბწყაბრში ღვინოსა და არაყს იმდენი გასავალი არა აქვს.

გარშემო-კი ჰყვირიან, მღერიან, თავდაყირა გადადიან. დაუსრულებლივ ხარხარებენ...

ცდილობ, ნახევრათ ჩამობნელებულ ფარდულში ლანდებივით რომ იძერიან, ამათს სულსა და გულში, ზოგიერთისაში მაინც, უფრო ღრმათ ჩაიხედო. მაგრამ შეუძლებელია. ვერა ხედავ მათს სახეს, ვერა ხედავ, სახეს იქით რა ხდება,

* * *

უკვე ათი საათია, მეგობრებო,—ამბობს ბერტრანი.—

ჩალაგება ხვალ მოათავეთ. ახლა დროა ტანი მჩვრებში გახვიოთ.

ყველანი ნელ-ნელა დასაძინებლათ მოემზადნენ. მაგრამ ლაყბობა მაინც არ შეუწყვეტიათ. სოლდათი ყოველთვის, როცა იძულებული არ არის მალე გააკეთოს რამე, უეჭველათ ყველაფერს ზოზინით შეუდგება. ზოგი მიდი-მოდის და ხელში რამე უჭირავს. კედელზე უშველებელი ლანდი გამოიხატა ევდორისა, სანთელს წინ გაიარა და თითების წვერზე უჭირავს ორი პარკუჭა ქაფურისა.

ლამუზი იქით-აქეთ ჰგორაობს და სცდილობს კარგი მოსასვენებელი ადგილი იშოვნოს. ეტყობა, გუნებაზე არ არის: მართალია, მის მუცელს ბევრ საჭმლის ჩატევა შეუძლია, მაგრამ დღეს, ცხადია, ცოტა მეტი მოსვლია.

— ძილი გვინდა! ეი, თქვ ძროხებო, ე ყბები დააყენეთ! — ჰყვირის მენილ ჟოზეფი თავის საწოლიდან.

მენილ ჟოზეფის დაყვირებაზე ერთხანს დაჩუმდენ, მაგრამ საბოლოოთ მაინც არც ხმაურობა შეწყვეტილა და არც იქით-აქეთ ხეტიალი.

— ხვალ სანგრებში ვბრუნდებით, და სალამოს უკვე მოწინავე პოზიციებზე გვიკრავენ თავსა, — ამბობს პარადიზი. — მაგრამ ამაზე არც-კი ფიქრობს ვინმე. იციან კი და მორჩა და მოისვენა.

ნელ-ნელა ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭირა. მე ჩალაზე გავიშხლართე, მარტო გვერდთ მომიწვა და საბანი არტახებივით შემოიხვია.

აყლაყუდა ვინმე შემოდის ფეხაკრეფით და ცდილობს ხმაურობა რამ არ ასტეხოს. შემოსული — სერჟანტი-ფერშალია, ძმა მარისტი, უშველებელის ტანისა, წვერიანი და სათვალებიანი; ეტყობა, ჯერ უცდის, სხვებმა დაიძინონ და მერე გაიხადოს, ამიტომ რომ რცხვენიან — მსხვილი ბარძაყები არ დამინახონ და არ დამცინონო. მერე ჩუმათ დაწვა, გმინავს, ოხრავს და რაღასაც ბუტბუტებს.

მარტრომ თავით მანიშნა და ჩუმათ მეუბნება:

— ერთი ამას შეხედე. ასეთი ხალხი თავის დღეში იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს. როცა ჰკითხავ სოლდათობამდე რასა შვრებოდიო, კი არ გიპასუხებს: „სამრევლო სკოლაში მასწავლებლად ვიყავიო“, არამედ თვალებს დახრის და გეტყვის: „მასწავლებელი გახლავართ“. როცა განთიადისას ადგება ხ ეკლესიაში უნდა წავიდეს, თუ შენიშნა, რომ გაიღვიძე, არ გეტყვის: „ცისკარზე მივდივარო“, არამედ იცრუებს: „მუცელი მგვრემს, უნდა გარეთ წავიდეო“.

ცოტა ხანს უკან ძია რამური თვისის სოფლის ამბავს მოჰყვა.

— ჩვენი სოფელი პატარაა. მოხუცებული მამაჩემი მთელი დღე ჩიბუხს აბოლებს და აპურჭყებს. გინდ მუშაობდეს, გინდ ისვენებდეს, ჩიბუხს პირიდან არ გამოუშვებს.

ლაპარაკმა ერთბაშათ სპეციალური, ტეხნიკური ხასიათი მიიღო. მეც ყურს ვუგდებ.

— ჩიბუხისათვის ჯერ ჩალას იშოვის. იცი, ჩალა რა არის? მწვანე პურის ღეროს აიღებ, კანს შემოაცლი, მერე გააპობ შუაზე, კიდევ გააპობ შუაზე და მიიღებ სხვა და სხვა ზომის ნაწილებს, თითქო სხვა და სხვა ნომერიაო, მერე ძაფსა და პურის თხლათ გაპობილ ღეროებს ყალიონის ძირს შემოახვევს...

ლექცია შესწყდა, რადგან ყურისმგდებელი არავინ გამოჩნდა.

ორ სანთელს-ღა უკიდია. სიბნელემ თვისის დიდის ფრთით შეგრაგნა ძირს დაწოლილი ხალხი.

ამ პირველსართულის საწოლ ოთახის სხვა და სხვა კუთხიდან კიდევ მოისმის ნაწუწუტ-ნაწუწუტათ ჩუმი ლაპარაკი.

ახლა ძია რამურმა ბატალიონის კომანდირს დაუწყო ლანძღვა:

— ჩვენი კომანდირი, ჩემო ძმაო, მართალია, დიდათ წარჩინებული კაცია, მაგრამ თუთუნის მოწევის შნო სრულე-

ბით არა აქვს. სუტავს რაც ძალი და ღონე აქვს და ჩიბუხს ტყუილათ კი სწვამს. თითქო პირი კი ვრა, ხახა ჰქონდეს. ხის ჩიბუხი სკდება, იხრუკება და ბოლოს ნახშირდება. თიხის ჩიბუხმა უფრო უნდა გაუძლოს, მაგრამ იმას თიხისაც ვერ უძლებს. ხახა აქვს პირის მაგიერ-მეთქი, ტყუილათ კი არ გითხარი. ყური დამიგდე, რა გითხრა: ერთხელაც იქნება, სასეირო საქმე დაემართება, ჰო ჩემმა მზემ; გახურებული ჩიბუხი გასკდება და თვალპირში შეეყრება ყველას თვალწინ. შეარცხვენილი ვიყვე, თუ ასე არ დაემართოს. ნახავ თუ არა.

ნელ-ნელა მყუდროება, მდუმარება და სიჩნელე გამეფდა სარაიაში და დროებით დამარხა მისთა მდგმურთა ყოველი ზრუნვა და იმედი. მწკრივათ გაწოლილან ერთმანეთის მსგავსი კონები ამ არსებათა, საბნებში რომ გახვეულან და რაღაც გასაოცებელ ორგანოსა ჰგვანან, დაიქიდან მოისმის ნაირ-ნაირი ხვრინვა.

საბანში ცხვირწაყოფილი მარტრო თავისს ამბავს მომიყვა.

— მე ძველ-ძველებსა ვყიდი; მოკლეთ რომ მოვჭრათ. მეძველძველე ვარ, მხოლოთ ბუთუმათ ვყიდი. საქონელს კუჩის მეძველ-ძველეთაგან ვყიდულობ, გავიმართე საწყობი, ან უკეთ რო ვსთქვათ, სხვენი. ვყიდულობ ხოლმე მჩვრებს და ყოველგვარ რაგინდა-რას, საცილებიდან დაწყებული კონსერვების კოლოფებამდე. მაგრამ უმთავრესათ ვყიდულობდი ცოცხების ტარებს, ტომრებს და საშინაო ფოსტლებს; რა თქმა უნდა, შინაურ კურდღლის ტყავსაც არ გავეშვებ, თუ იაფათ მომცეს,—ეს ჩემი სპეციალობაა.

ცოტა გვიანრელე მეუბნება:

-- ისე კი ნუ მიყურებ, რომ პატარა ტანისა ვარ, ბაჯაღლინა. სხვენზე, ფეხებზე ხის წაღები რომ მაცვია ისე, შემიძლია ას კილოს სიმძიმე ტვირთი ისე ავიტანო, ერთიც არ დავიკრუსუნო! ვაი არა აქვს ჩემს თავს! ერთხელ ერთი საეჭვო ყოფაქცევის კაცი გავიცან, ამბობდენ, ქალებსა ჰყიდდა საროსკიპოდაო. ჰო და...

— დასწყეველოს ღმერთმა მათი თავი და ტანი!— ერთბაშათ წამოიყვირა ფუიადმა.— ნეტავ ვიცოდე, როდის მოვრჩებით ამ ვარჯიშობასა და სიარულს! სწორეთ დასვენების დროს მოუნდებათ ხოლმე ჩვენი წვალება! ძალა აღარ არის, რალა!

ვოლპატის მხრითგან რკინის ჟღარუნი მოისმის: მაინც გადასწყვიტა თავისი მათარა არ დასტოვოს, თან ბუზღუნებს, რა კარგი იქნება, ნახვრეტი არა ჰქონდეს და არ გასდიოდესო.

— ჰაი დედასა! ეს სატიალო ომი მალე მაინც გათავდებოდეს!— კვნესის ვილაც ნახევრათ ძილმოკიდებული.

მეორე მხრითგან აღშფოთების ხმა ისმის, მოულოდნელი და უცნაური:

— ტყავი უნდა გაგვაძრონ ამ ურჯულოებმა!

ამას გამოურკვევლათ პასუხი მისცა მეორემ: „ნუ გეშინიათ“.

მაშინ გამომელვიძა, როცა უკვე ორი საათი დაჰკრა და მკრთალ, ალბათ მთვარის, სინათლეზე ვხედავ პინეგალის მოფუთფუთე ლანდსა. შორს მამალმა დაიყივლა. პინეგალი წამოჯდა და ამბობს.

— რა ამბავია, ნეტავ ვიცოდე: ამ შუაღამეში იმ მელას კერძ მამალს რა აღრიალებს, ხატის ღვინო ხომ არ დაულევია!

იცინის და თან იჭორებს: „ნამდვილათ მთვრალია ი ტიალი!“ მერე ისევ გაეხვია საბანში და დაიძინა ბურტყუნით. სიცილი და ხვრინვა ერთმანერთში აირია.

პინეგალის ლაპარაკზე კოკონს გამოელვიძა, კაცმა-ციფრმა ხმამაღლა დაიწყო ფიქრი:

— როცა ომში გაგვიწვიეს, ჩვენს მწყობრში ჩვიდმეტი კაცი გვყავდა. ვინც დაგვაკლდა, იმათს მაგიერ სხვებით შეგვივსეს მწყობრი, ასე რომ ახლაც ჩვიდმეტნი ვართ. თითოეულმა სოლდათმა ოთხი მაზარა გასცვითა. ერთი ლურჯი,— პირველათ ასეთის ფერისა იყო,— მერე სამი ლურჯ-კვამლის ფერი, ორი ძიქვა, ექვსი წყვილი ლაფჩინები. ყოველ კაცზე

ორ-ორი თოფი უნდა ვიანგარიშოთ. ოცდა სამჯერ განგვიახლეს სათადარიგო ულუფა. ჩვიდმეტ კაცში თოთხმეტი კაცი იყო მოხსენებული ბრძანებებში: ორ ბრიგადის მიმართ გამოცემულ ბრძანებაში, ოთხი დივიზიისაში და ერთიც არმიისაში. ერთხელ სანგრებში თექვსმეტის დღის განმავლობაში ვისხედით განუწყვეტლივ. ორმოცდაშვიდ სხვა და სხვა სოფელში გვქონდა ბინა. ომის დაწყებიდან პოლკში გაიარა თორმეტმა ათასმა კაცმა, ნუ დავიწყებთ, რომ ნორმალური შემადგენლობა პოლკისა ორი ათასი კაცია.

რაღაც უცნაურმა ზუზუნმა ლაპარაკი გააწყვეტინა. ბლერი იყო. ხელოვნური ყბა ლაპარაკსაც უშლის და ჭამასაც. მაგრამ ყოველდამ იკეთებს და მთელი ღამე მხნეთ პირში უდევს, რათგან დაჰპირდენ, ბოლოსა და ბოლოს ამ ყბის ტარებას მიეჩვევი და არ გეუცხოვებაო.

წამოვჯექ ისე, როგორც ბრძოლის ველზე წამოვჯდები ხოლმე, კიდევა ვეწერეტ ამ არსებათ, აქ ყველამხრიდან გარემოებას რომ შეუკრეფია. ვუყურებ ყველას; ჩასთრევიან ინერციასა და თავდავიწყებას; ამ თავდავიწყების ნაპირს ზოგი თითქო ებლაუჭება, მათის ზრუნვის საგანი საცოდავია, ამოქმედებსთ მარტოოდენ ბავშური ინსტინკტი და მონური უმეცრება.

ძილი მომეკრია. მაგრამ მახსოვს, თუ რა გააკეთეს ან რასაც გააკეთებენ. და ადამიანთა ამ საცოდავის ღამის სანახაობაზე, რომლითაც უკუმი გამოქვაბული სავსეა, ვოკნებობ—ნეტავ, როდის იქნება, გამოგვიბრწყინდეს ენით გამოუთქმელი, ცხოველი და დიადი სინათლე-მეთქი.

XV.

კვერცხი.

ყველანი გულდაწყვეტილები ვართ. გვშიან, გვწყურიან და ამ საცოდავ ბანაკზე კი შოვნა არაფრისაა.

სურსათი კვლავ წესიერათ მოუწოდებიათ, მაგრამ ახლა რაღაცა ღმერთი გაუწყრათ და უკიდურეს დღეში ჩავცვივდით.

დაყმენდილი სოლდათები კბილებს აკრაჭუნებენ. საცოდავ მოედანზე, გარს რომ გვარტყია, გაშიშვლებული ალაყაფის კარგებია, სახლების დანგრეული კედლები და ქაჩალი სატელეგრაფო ბოძები. ყველანი ვხედავთ ჩვენს დღეს, ვხედავთ, რომ შველა არსაიდან იქნება.

— არსად ხორცი, არსად ყავა, არსად მიწა-ვაშლა... მეტი გზა არ არის, ქამრები მაგრა უნდა შემოვიპიროთ მუცელზე.

— აღარც ყველი, აღარც მურაბა, აღარც ერბო...

— არ არი, არ არი... რაც არ არი, საიდან უნდა გავაჩინოთ!..

— აბა ბანაკიც ამასა ჰქვიან! აი, გატიალდეს და გაოხრდეს ასეთი ბანაკიცა! სამი ცარიელი დუქანი-ღა გადარჩენილა და შიგ თაგვები დანავარდობენ.

— რაც გინდ ბრძენი იყვე, ვერაფერს იშოვი, რაკი ვაჭრები გაწყვეტილან.

— თუნდ როტშილდის ქონება მოგცეს კაცმა ან სამხედრო თერძი იყვე, რა ოხრად გინდა, თუ კი საყიდელს ვერას იშოვნი?

— გუშინ მე-7 გუნდის მხარეს ერთი კატა კნაოდა; სა-

ნაზლაოს დავდებ, თუ ის კატა არ დაუჭერიათ და არ შეუწვამსთ!...

— ი კატა მეც დავინახე. ისეთი მშლე იყო, რომ სათითაოთ დათვლა შეიძლებოდა მისი ნეკნების.

— ათასი ვიოხუნჯოთ, ჩვენ მაინც არაფერი გვეშველება.

— ვინც მარჯვეთ ყოფილან,—სთქვა ბლერმა,—გუშინ რამდენიმე ბიდონი ღვინო უყიდნიათ ერთ მედუქნისაგან, აი მისახვევთან რომ არის.

— მაგათი რჯული კი დაიქცეს, იმათ რა უკირთ, ყელის დასასველებელი მაინც ექნებათ!...

— თუმცა, მართალი რო ვსთქვათ, ღვინო არ ვარგებულა: ტოლჩების გამოსარეცხათ თუ გამოდგებოდა თურმე.

— ამბობენ, ზოგ მათგანს კბილის გასაკრავიც უშოვიათ.

— მაგათი ღდინი კი რა ვქნა!—იძახის ფუიადი.

— მეც ტყუილათ არ მიძებნია. ერთი კოლოფი სარდინი კიდევ დამრჩა, ცოტა ჩაიცა მქონდა და შაქართან ერთათ დავღეჭე.

— შენც ამბობ, რაღა! რას გეყოფოდა!

— რაც უნდა ცოტა ჭამა იცოდე და ვიწრო ყელი გქონდეს, მაინც არაფერს გიზამდა.

— ორის დღის განმავლობაში მხოლოთ ერთხელ შეგვახვრიტეს რაღაც ჭურჭლის ნარეცხის მსგავსი, ოქროს ფერისა იყო. ბულიონიაო! აი ისემც გ. უხარნიათ, როგორც ეს ბულიონი იყო! რაღაც საზიზღარობა იყო! ზედ პირი ვერ დავაკარეთ.

— ალბათ ქონის სანთლისაგან თუ გამოადნეს.

— მეტი უბედურება იქნება, ადამიანს ჩიბუხისათვის ვერ ჰოგიკიდებია!

— უბედურება და ეგრე! აბედიც შემომელია. რამდენიმე ნაჭერი მქონდა და მომპარეს. ბევრი ვეძებე ჯიბეებში, მაგრამ არ გაგიწყრეს ღმერთი, ვერა ვნახე რა. მერე სასტიდათაც რომ ვერსად იშოვნი!...

— მე ერთი ბეწო აბედი დამრჩა და ისე ვუფრთხილდები, როგორც თვალისჩინს.

და ოღონდაც რომ საცოდავი საყურებელნი არიან სოლდათები, ჩიბუხისა და პაპიროსისათვის მოსაკიდებელი ცეცხლიც კი რომ ვერსად უშოვიათ; ემორჩილებიან ბედს, ჩიბუხსა და პაპიროსს ისევ ჯიბეშიევე ილაგებენ და ბოლთასა სცემენ. კიდევ კარგი, რომ ტირლუარს ცეცხლის მოსაკიდებელი მანქანა აქვს და რეზერკუარშიაც ცოტაოდენი ბენზინი ჩარჩენია. ვინც იციან ესა, გარშემო ეხვევიან და გატენილსა და გაციებულ ჩიბუხებს უშვერენ. ქალალდი რა არის, ქალალდიც კი არ აბადიათ, რომ კვესის ალზე მოუკიდონ; თვით აბედის გრეხილის ალზე უნდა მოუკიდონ ჩიბუხი და ერთი ბეწო ბენზინი რომ ჩარჩენილა რეზერვუარში, ისიც დაიწვას.

... სწორეთ, რომ ბედი მეწია. დაინახე პარადიზი. დაეხეტება, თავისი კეთილი თავი მაღლა აუღია, თან ბურტყუნებს რაღასაც და თან ხის ნაჭერსა ღეჭავს.

— აჰა, გამომართვი,—ეუბნები.

— ბიჭოს, ასანთის კოლოფი?—წამოიძახა გახარებულმა და კოლოფს ისე დაუწყო თვალიერება, თითქო ძვირფასი ნივთი რამ არისო.—რა კარგია! ასანთი!..

ცოტა ხანს უკან ჩიბუხს მოუკიდა და ალის ანარეკლისაგან სახე გაუწითლდა. ყველამ ერთხმათ წამოიძახა:

— პარადიზს ასანთი უშოვნია!

სალამო ხანზე პარადიზი ერთ სახლის ნანგრევთან იდგა, ამ საცოდავის სოფლის ორ ქუჩის კუთხეში. მანიშნა:

— სსსს!..

უცნაური სახე აქვს, თითქო ეშინიან რიღასიცაო.

— იცი, რა გითხრა,—მეუბნება პარადიზი აჩჩვილებულის ხმით და თან თავისს წაღებზე იყურება.—შენ ხომ ერთი კოლოფი ასანთი მომეცი, ახლა მე კიდენ სამაგიეროს გაძლევაი, გამომართვი!

და ამის თქმაზე ხელში რალაც ჩამიდვა.

— ფრთხილათ დაიჭირე,—მიჩურჩულებს,—გასატეხია!..

მისის ნაჩუქარის სითეთრემა და მშვენიერებამ თვალი ამაჭრელა, ჩემს თვალებს არ ვუჯეროდი, დავინახე... კვერცხი.

XVI.

ი დ ი ლ ი ა.

— ღმერთმანი,—ბითხრა პარადიზმა, ჩემს მეზობლათ რო მოდიოდა,—გინდა დაიჯერე, გინდა ნუ, მაგრამ საშინლათ კი დავიღალე, პირ-კაპირ მუხლებში წყალი ჩამიდგა, თავზევით ძალა არა მაქვს... გზას ჩემს დღეში არ დაუღლივარ ასე...

ფეხებს საცოდავათ მიათრევდა, ოთხკუთხედი ზედაწელი წინ ეხრებოდა. ზურგზე წამოკიდებულ ტომრის სიგანე და სიმაღლე რაღაც ფანტასტურ სახეს ღებულობდა. ორჯელ წაიფორხილა და კინაღამ დაეცა.

პარადიზი ღონიერია, მაგრამ მთელი ღამე დარბოდა სანგრებში,—როგორც ნაწილებ შუა კავშირის აღმდგენი, სხვებს კი ეძინათ ამ დროს. ამიტომ საბუთი ჰქონდა დაღლილობისა.

ბუზღუნებდა:

— დასწყევლოს ღმერთმა! რეზინისა ხომ არ არის ეგ ასატიალებელი კილომეტრები, რომ ასე იჭიმება და ბოლო არ ეღება. სწორეთ რომ რეზინისაა!..

ყოველი სამ ნაბიჯზე ტომარას ზევით მოიგდებდა წელების შენძრევით. სიმძიმე დაბლა სწევდა და ახვნეშებდა; მთელი მისი სხეული, ამდენ კონებ მოკიდებული, ლახლახებდა და ჭრიალებდა, როგორც ბებერი და ძალზე დატვირთული სახედარი.

— მალე მოვალთ კიდეცა,—ამბობს უფროსი.

უფროსები სულ ასე გაიძახიან, როცა მარჯვე შემთხვევა მიეცემათ. უფროსის ნათქვამი ამ ხელათ გამართლდა. ჩვენც მალე მივედით სოფელში, სადაც სახლები ისე მოსჩანს, გე-

გონებათ, მოლურჯო ცაზე ცარიელთა და შავის მელნის ხაზებით დაუხატნია ვისმეო; ეკლესიის შავი სილუეტი, წვეტიანი სამრეკლო და ორი კოშკი, უფრო წვრილი და უფრო წვეტიანი, უშველებელ კვიპაროსსა ჰგავს.

მაგრამ როცა სოლდათი სოფელში შედის დასადგომათ, სადავიდარაბო და საზრუნავი ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს. იშვიათია, რაზმმა ან ნაწილმა იმ ბინაზე მოახერხოს გაჩერება, რომელიც მისთვის იყო დანიშნული: აქ მოუხდება ხოლმე სხვადასხვა გაუგებრობის გამორკვევა, სხვადასხვა შემცთარათ გაცემულ ბრძანების ახსნა-განმარტება; დავიდარაბასა და ყიჯინას მთელი საათი უნდება კაცი და ბოლოს, როგორც იქნება, ყველას თავისს დროებითს ბინას მიუჩენენ.

ეს ჩვეულებრივი ხეტიალი არც ჩვენ აგვცდა და, როგორც იყო, ღამის გასათევი ბინა მივიჩინეს: ფარდული იყო, ოთხ ბოძზე დაყრდნობილი და უკედლო. სამაგიეროთ ფარდული კარგათ იყო გადახურული და ანას კი დიდი მნიშვნელობა აქვს. შიგ ერთი ურემი და გუთანი იდგა და ჩვენც მათს გვერდით მოვიკალათეთ. სანამ სოფელში იქით-აქეთ დაგვაწოწიალებდენ, პარადიზს კვნესა და ოხვრა არ შეუწყვეტნია. ფარდულთან მოვედით თუ არა, თავისი ტომარა ძირს დაანარცხა, თვითონაც ძირს დაეგდო და გარინდებული კარგა ხანს უძრავათ იყო. სულ იმასა სჩიოდა, მუხლებში მოსწყდი და წაღებიც საშინლათ მტკენსო:

ამ დროს სახლი, ჩვენი ფარდული რომ ჰქონდა მიდგმული, ჩვენს პირდაპირ, განათდა. ღამის ნირშეუცვლელ სიბნელეში სოლდათს ისე არაფერი ახარებს, როგორც ფანჯარა, რომელს უკან ვარსკვლავის მსგავსი ლამპა ანათებს ხოლმე.

— კარგი არ იქნება, იქითკენ წავიდოდეთ?—გვირჩია ვოლპატმა.

— წავიდეთ, რა,—დაეთანხმა პარადიზი.

წამოვდა, მერე ზეზე ადგა. დაღლილობისაგან კოჭლო-

ბით ჯერ გაემარა სინათლით დაფერილ სარკმლისაკენ, ბნელაში რომ გამოჩნდა, მერე კარისაკენ.

ვოლპატი უკან მისდევს და პოლპატს კიდენ მე მივყვები.

შევედით. კარი ერთმა მოხუცმა კაცმა გაგვიღო. ძველ ქუდივით გახუნებულ თავს აცანცარებდა. ვკითხეთ, ღვინო ხომ არ გექნება გასასყიდიო.

— არა,—გვიპასუხა მოხუცმა და დააქნია თავი, რომელზედაც აქა-იქ ბამბის ფთილის მსგავსათ თმა მოსჩანს.

— ან ლუდი, ან ყავე და ან სხვა რამე როგორ არ გექნება, შე კაცო?

— არა, თქვენი ჭირიმეთ, არაფრისაგან არაფერი გვაქვს. აქაურები არა ვართ; გამოქცეულები გახლავართ, ხომ იცით...

— მაშ თუ არაფერია, წავიდეთ.

მოვტრიალდით. ყოველსავე შემთხვევაში, თუნდა ცოტა ხნის განმავლობაში მაინც დავსტკბით ოთახში მდგარ სითბოთი და ლამპის სინათლის ყურებით... ვოლპატმა უკვე ზღურბლს გადააბიჯა ფეხი ჯ მისი ზურგი სიბნელეში შთაინთქა.

მაგრამ ამ დროს სამზარეულოს ერთ კუთხეში თვალი მოვკარ ერთს დედაბერს; სკამზე იჯდა და ეტყობოდა, ძალიან გართულიყო რაღაც ხელსაქმით.

პარადიზს მკლავზე მოვუპირე:

— ეტყობა, ბინის დიასახლისია... მოდი, ერთი გაუარშიყდი!

პარადიზი დაიჭყანა,—ქალები ფეხებზე ჰკიდია. წელიწადნახევარია ზედაც არ უყურებს ქალებს, რაკი ქალებმაც ზურგი შემოაქციეს. მაგრამ მაშინაც ეკიდებოდა ფეხებზე, ამათაც ზურგი რომ არ შემოექციათ კიდეც.

— ბებერი იქნება, თუ ახალგაზრდა, ჩემთვის სულერთია,—მეუბნება პარადიზი და თან ამთქნარებს.

საქმე არაფერი აქვს, თან წასვლაც ეზარება და ამიტომ დედაბერთან მივიდა.

—საღამო მშვიდობისა, დიდედო, —ბურტყუნებს და მთქნარებას მორჩა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, შვილებო, —ჩაფჩითებს დედაბერი.

ახლოდან უფრო დაწვრილებითა სჩანს, სულ ერთიანათ მოკრუნჩხულია, ძალზე დამჭკნარი, მისს დაბერებულ ძვლებს ტყავი-ღა აქვს გადაკრული; სახე ბრტყელი და თეთრი აქვს, საათის ციფრებლატის მზგავსი.

მერე, რას აკეთებს? სკამზე დამჯდარა, იდაყვით მაგიდას დაბჯენია და წაღების გაწმენდასა ცდილობს. მის ბავშვურ ხელებისათვის ეს ძნელი გასაკეთებელი საქმეა: თავისუფლათ მოძრაობას ვერ ახერხებს და საწმენდს ხანდისხან წაღებს დააცდენს; გარდა ამისა, თვით წაღებიც ძალზე ტალახიანია.

რო დაგვინახა, ძიყურებენო, ტიტინით გვითხრა:

— ჩემი შვილისშვილის წაღებია, ამაღამვე უნდა კარგათ გავწმინდო, ქალაქში მოდისტად არის, და დილაადრიანა უნდა წავიდეს.

პარადიზი დაიხარა, რომ უკეთ გაეშინჯა წაღები და უცბათ ხელი გაუწოდა.

— მომეცი, დიდედო, სამ წუთში გაგიწმენდავ შენის შვილისშვილის ფეხსაცმელებს.

დედაბერი უარზედაა, თავსა და მხრებს აქნევს.

მაგრამ პარადიზმა ძალათი წაართვა ფეხსაცმელები. დედაბერი მაინც უარზედაა, თუმცა სისუსტისა გამო წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია.

თითო ხელში თითო ფეხსაცმელი აიღო, ფრთხილათ უპირავს და შინჯავს, და თითქო ხელს უპერს კიდეცაო.

— რა პაწაწუნებია! —იძახის რაღაც უცნაურის ხმით პარადიზი. ამ ხმით თავისდღეში არ ულაპარაკნია ჩვენთან.

აიღო ხელში საწმენდები და გულმოდგინეთ ლ სიფრთხილით დაუწყო წმენდა. და ვხედავ, რომ საჭუშაოსათვის თვალები დაუშტერებია და იღიმება.

როცა ფეხსაცმელებს ტალახი მოაცალა, მწვეტიან ორმაგ საწმენდის წვერით ცოტა ზუმბურზეთი აიღო, უსვამს და უალერსებს გულდასმით.

ფეხსაცმელები გასწმინდა. აშკარათ ეტყობა, რომ კოპწია ქალის ფეხსაცმელებია: მთელი რიგი ბრჭყვიალა ღილები აქვს დაკერებული.

— ერთი ღილიც არ აკლია,—ჩურჩულით მეუბნება პარადიზი და ხმაზე სიამაყე ეტყობა.

ახლა არც ეძინება, აღარც ამთქნარებს. ის კი არა, ტუჩები მოეკუმა; სახე ახალგაზდურის და გაზაფხულის სხივით უბრწყინავს, და ძილისათვის თავი რო უკვდებოდა, იტყოდით, გამოუძინია და, ეს-ეს არის, ახლათ გამოღვიძებიაო.

შავათ გაპრიალებულ საპირეს თითები გადაუსვა, საპირე ზევითკენ განიერდებოდა და რამდენადმე კანჭების ფორმას გამოხატავდა. გაწმენდით მარჯვეთ გაწმინდა, მაგრამ მისს თითებს მაინც რაღაც სიტლანქე ეტყობა; იქითაქეთ აბრუნებს ფეხსაცმელებს ხელში, უცინის და გულიგულში მისი ფიქრი შორეულ საგანს დასტრიალებს თავსა. დედაბერმა ხელები მაღლა აიშვირა და მოწმად დამიყენა:

— აი გულკეთილი სოლდათიც ასეთი უნდა!

წმენდა გაათავა. წაღებს ზუმბურზეთი წაუსვა და გასწმინდა. პრიალებს. მეტი არაფერი უნდა.

მაგიდასთან დაალაგა დიდის მოწიწებით, თითქო წმიდა რამ ნივთიაო. ბოლოს, ხელები მოაშორა.

მაგრამ თვალებს დიდხანს არ აშორებს, უყურებს, მერე ცხვირი დასწია და თავისს წაღებს დაუწყო ყურება. ქალისა და თავისი წაღები ერთმანერთს შეადარა. მახსოვს, რომ ამ დროს ამ აყლაყუდა ბიჭმა, რომელსაც ბედისაგან გმირობაც ეწერა, ბოშობაც და ბერობაცა, ერთხელ კიდევ გულიანათ გაიცინა.

დედაბერი შეინძრა. რაღაც აზრმა გაუელვა თავში.

— ჩემს შვილიშვილს ვეტყვი! მადლობას თვითონ გა-

დაგიხდისთ, ჩემო ბატონო... ჟოზეფინ, ჭალო!—დაუძახა დედაბერმა და კარისაკენ მოიბრუნა პირი.

მაგრამ პარადიზმა ხელით გააჩერა. საშინლათ მომეწონა მისი საქციელი.

— არა! იმად არა ღირს, დიდედო-ჯან. საცა არის, იქვე დარჩეს. უნდა წავიდეთ. ნუ დაუძახებთ, არა ღირს, არა, ღმერთმანი.

ეს სიტყვები ისე რიხიანათ და ძლიერათ წარმოსთქვა, რომ დედაბერი დამორჩილდა და გაჩუმდა.

პარადიზმა ხელახლა დაიწყო მთქნარება, მაგრამ ბაგაში ჩადგმულ სანთლის სინათლეზე, კარგა ხანს შემდეგ, დავინახე, რომ ტუჩებზე ბედნიერების ღიმი ისევ უკრთოდა.

XVII.

გვიანაგი.

ფოსტას არიგებენ და საშინელი ჩოჩქოლია. ზოგს წერილი მიულია და გახარებული ბრუნდება, ზოგს ღია წერილი მოსვლია და ნახევრათ გახარებულია, ზოგს არაფერი მიულია და დალონებული ბრუნდება. მაგრამ მალევე გადიყრის დარდსა,—შემდეგ მაინც მომივა წერილიო. ერთს ამხანაგს ხელში რაღაც ქაღალდი უპირავს, იქნევს და საოცარ ამბავს გვეუბნება:

— გახსოვსთ ძია გოშენი?

— ბებერი ქოფაკი, ზინეთს რო დაეძებდა?

— ჰო, ისა. ზინეთი უპოვნია.

— არა, სტყუი...

— ყეყეჩ, გეუბნები, იპოვნა-მეთქი. მეტი რა გინდა, რო გითხრა. „მამაო ჩვენო“ ხომ არ გინდა წაგიკითხო? არ ვიცი, თორემ იმასაც წაგიკითხავდი. მის ქოხის ეზოს ყუმბარები მოჰხვედრია და კედელს გვერდით, გათხრილ მიწაში ყუოი უნახავსთ, ოქროს ფულით სავსე. იქაური მღვდელი კინაღამ არ გაგიჟებულა და უთქვამს: ეს სასწაული ჩვენის სოფლის მფარველ წმიდანის მიერ არის მომხდარიო.

ყველამ პირი დაავღეთ.

— ზინეთი... ვერ უყურებ ამ ქეციან ბებრუცუნას!.. ამ ახალ ამბავმა ათასგვარ ფიქრის ზღვაში შეგვაცურა.

— თავისდღეში არ იცი, კაცის თავზე რა მოხდება!

— მერე როგორ დავცინოდით ამ ბებრუკას, როცა ზინეთის ამბავს გვეუბნებოდა და ყველას ყური გამოგვიჭედა.

— ხომ გახსოვსთ, ზოგი ვამბობდით, ყველაფერი შეიძლებაო, იქნება მართლაც იყოს სადმე ზინეთი დამარხულიო. ახლა ხომ ხედავთ, ვინც ასე ვამბობდით, მართალი ყოფილვართ.

— მოხდება ხოლმე, რომ როცა ასეთ რასმე გეტყვიან, ხანდისხან მაშინვე დაიჯერებ,—შენიშნა ფარფადემ, რომელიც მას აქეთ, რაც გოშენზე დაიწყეს ამხანაგებმა ლაპარაკი, დაფიქრებული იყო და ხმას არ იღებდა, თითქო ვინმე ძვირფასი არსება უღიმისო.—მაგრამ მე-კი,—დაუმატა ფარფადემ.—არ დავიჯერებდი!.. როცა ომიდან დავბრუნდებით, შენ უყურე, რა თავმომწონეთ იქნება ბებერი!

— აბა, ყმაწვილებო, ვის უნდა საპიორებს დაეხმაროს, ერთი საქმეა გასაკეთებელი?—სთქვა ადიუტანტმა.

— შენმა მზემ!—ბუზღუნებენ სოლდათები და ადგილიდან არ იძვრიან.

— მიწაა ჩამოწოლილი და ქვეშიდან ამხანაგები არიან მოყოლილნი,—განაგრძო ადიუტანტმა.

ეს რო გაიგონეს, ბუზღუნი შესწყვიტეს და ერთი-ორი კაცი წამოდგა.

— აჰა ვარ!—უთხრა ლამუზმა.

— გამოეწყვე, ძამიკო, და წამომყე.

ლამუზმა ჩანთა მოიკიდა, საბანი შეახვია და ტომარა ხელში დაიჭირა.

მას შემდეგ, რაც საყვარელმა ხელი ჰკრა, დამშვიდდა. მხოლოთ უფრო სევდიანი გახდა. რაღაც საბედისწეროთ ხორცი მოისხა, მაგრამ სულერთავათ გულჩათხრობილია, ყველას თავს გვარიდებს და თითქმის არავის ელაპარაკება.

საღამოზე სანგარში ვიღაც ადამიანი გამოჩნდა, ხან ნაღლა აიწევოდა, ხანაც დაბლა დაეშვებოდა იმის და მიხედვით, თუ სანგრის ფსკერი სად იყო ამოწეულ-ჩაწეული. ისე გვე-

ჩვენება, თითქო ეს ბნელი ადამიანი წყვდიადში მისცურავს და ხანდისხან ხელებს იშვერს,—შველასა გვთხოვსო.

ლამუზია. დაბრუნდა სულ მთლათ მიწასა და ტალახში ამოგანგლული. თახთახებს, ოფლი წურწურით ჩამორეცხს, ისეთი სახე აქვს, თითქო ვისმე ძალზე შეუშინებიაო. ტუჩებს აცმაცუნებს და დიდხანსა ჩმუნავს, სანამ სიტყვას რასმე წამოიყრანტალებდეს.

— რა დაგემართა, თქვი რაღა?—ეკითხებიან იქით-აქედან, მაგრამ პასუხს არ იძლევა.

ერთ კუთხეში ძირს დაეშვა, ჩვენს შორის, და გაიშხლართა.

ღვინო მივაწოდეთ. არ მინდაო, გვანიშნა. მერე ჩემკენ მოიხედა, თავით მანიშნა, მოდიო. როცა მიკედი, მიჩურჩულა, ძალზე დაბალის ხმით, როგორც ეკლესიაში, აღსარების თქმის დროს.

— ევდოქსია ვნახე.

სულთქმა უჭირს; ფილტვების სტვენა ისმის და ისევ დაიწყო. თვალების გუგა გადიდებული ჰქონდა, თითქო საშინელს რასმე უყურებსო:

— სულ გახრწნილა...

— იმ ადგილას იყო,—განაგრძო ლამუზმა,—მტერმა რომ წაგვართვა. მერე, ამ ათ დღეს წინათ, კოლონიალურმა ჯარმა უკანვე დაიბრუნა, ხიშტებზე ბრძოლას შემდეგ.

„ჯერ ხვრელი გავაკეთეთ საფარისათვის. ხელი გამოვიღე. რადგან სხვაზე მეტათ ვმუშაობდი, წინ წავედი, სხვები უკან ჩამომრჩნენ, აგანიერებდენ გასავლელს და ამაგრებდენ. ვნახოთ, კოპების გროვას წავაწყდი: ძველი სანგარი ყოფილა, ჩამონგრეულა და ნახევრათ ამოვსებულა. შიგა-და-შიგ ცარიელი ადგილი დარჩენილა. ერთიმეორეზე დაყრილს კოპებს თითო-თითოთ გაღარჩევა დაეწყე და წინ ვაწყობდი. გავიხედოთ, ჩემს წინა დგას რაღაც მიწით სავსე ტომრის მსგავსი, გამართული, ზედაც რაღაც უძევს, ჩამოკიდებული.

„ერთი კოპი ჩამოვარდა და ეს უცნაური ტომარა თავზე კი დამეცა. გახრწნილ მიცვალებულის სუნი მეცა და კინაღამ დამახრჩო. ამ პარკს ზემოდან თაიგი დავინახე და რო დასთრევდა, თმები ყოფილა.

„იცი, ბნელოდა და კარგათ ვერ ვარჩევდი. მაგრამ მაინც მაშინვე ვიცანი თმები, იმის მსგავსი დედამიწაზე არავისა აქვს. მერე სახეც ვიცანი, მთლათ გასივებული და ობმოკიდებული, კისერი გახრწნოდა.—ასე ერთის თვის მკვდარი იქნებოდა. გეუბნები, ევდოკსია იყო-მეთქი.

„დიახ, ის ქალი იყო, წინათ რომ არ მიკარებდა, და მხოლოთ შორიდან ვუყურებდი, ხელს ვერ ვაკარებდი, თითქო ალმასი რამე იყოვო. ხომ იცი, ყველგან დაძვრებოდა, მოწინავე ხაზებზე სირბილისაც არ ეშინოდა. ერთ დღეს ალბათ ტყვია მოხვდა, მოკვდა და დაიკარქა, სანამ შემთხვევით შენათხარ მიწის წყალობით არ ჩამოვიდოდი ამ თხრილში ღა არ ვიპოვნიდი.

„წარმოიდგინე, რა დღეში ვიქნებოდი! ცალის ხელით მიცვალებული მეჭირა და მეორე ხელით უნდა მემუშავნა. წამ და-უწუმ მოველოდი, საცაა, ზედ დამეცემა-მეთქი. ჩემს ძმას გეუბნები, ისე ეჭირა თავი, თითქო ჩემი კოცნა უნდათ, მე კი თავს ვარიდებდი, საშინელება იყო. თითქო უნდა მითხრასო: „ერთს დროს ხომ გინდოდა ჩემი კოცნა, მოდი, მოდი, მაკოცეო!“ ზედ შერჩენოდა... მობმული ყვავილების კონა, ისიც დამპალიყო და ეს კონა შიგ ცხვირში ისე მხვდებოდა, როგორც პატარა რამ ცხოველის ლეში.

„იძულებული ვიყავ მკლავებზე დამესვენებინა—და ორივე ნელა მოტრიალებულვიყავით, რომ ჩემს უკან დამესვენებინა. გასაველელი საშინლათ ვიწრო იყო, მოტრიალებაზე ჩემდაუნებურათ გულზე მივიკარ, მთელის ჩემის ძალღონით, ჩემს ძმას გეუბნები, ისე მივიკარ, როგორც მივიკრავდი წინათ, ნება რო მოეცა...

„მთელ ნახევარ საათს ვიბანდი ხელ-პირს, რომ მომეშორებინა ეს მყრალი სუნი, მისგან რომ მომდიოდა ჩემდაუნებურათ და აგრეთვე მისდა უნებურათაც. ბედი ჩემი, რომ გადავრჩი და თანაც ისე დავიღალე, როგორც ნადირი, რომელსაც მონადირე მისდევს“.

ლამუზი გადაბრუნდა, მუშტები მოკუმშა და დაიძინა, პირქვე. ალბათ კიდევ ფიქრობდა სიყვარულზე და გახრწნილილეში თვალთაგან არა შორდებოდა.

XVIII.

ა ს ა ნ თ ი

საღამოს სამი საათია. სამნივე ბნელ სანგარში სხედან. ფუსფუსებენ. საზარელი საყურებელნი არიან, შავები, ამ გრძელ ჰაში ჩამჭრალ კერას გარშემო. წვიმამ და მათმა დაუდევრობამ ცეცხლი ჩაუქროთ, და ოთხი მზარეული დაჰყურებს ნაცარში ჩაფლულ მუგუზლების ლეშს და დაესებულ კერის ნეშთს. ალი გამქრალია და კერა გაცივებული.

ვოლპატი ბარბაცით მივიდა ჯგუფთან და მხარზე გადებული შავი ხის ნაჭერი ძირს დააგდო.

— ღობეს გამოვაძერ ისე, რომ ძალიან არ დასტყობოდა.

— შეშა კი გვაქვს,—სთქვა ბლერმა,—მაგრამ შენ ცეცხლის დანთება სთქვი. უცეცხლოთ ამ მაგარს ხორცს რა მოხარშავს!

— რა კარგი ნაჭერია,—ოხვრით ამბობს ვილჰა ბნელაში,—ბეჭია. ჩემის აზრით, ხარის საუკეთესო ნაჭერი—ბეჭია.

— ცეცხლი!—იძახის ვოლპატი.—ასანთი აღარსადაა, არც სხვა რამ მოსაკიდებელი.

— უნდა გავიჩინოთ ცეცხლი!—ღმუის პუპარდენი და ამ გალიის მსგავს სოროში მოქცეულ დათვსა ჰგავს.

— ხუთასი იტრიალო, უცეცხლობა არ იქნება,—კვერი დაჰკრა პუპენმა და სამალავიდან თავი ამოჰყო, ბუხრის გამომწმენდის მსგავსმა.

გამოძვრა მთლათ გამურული.

— ნუ გეშინიან, გავაჩენ!—განაცხადა ბლერმა რიხით. მის კილოში ბრაზი და თავგამოდება იყო შერეული.

ახლახან დააყენეს მზარეულად და უნდა დაუმტკიცოს ყველას,—რაც უნდა გასაჭირი დამადგეს, ფონს გასვლა მაინც შემიძლიანო.

ცდილობს, ლაპარაკში ყოველთვის განსვენებულ მარტენ ცეზარს მიჰბაძოს. ეს მარტენ ცეზარი სიარაკო მზარეული იყო და რაც უნდა გაჭირება ყოფილიყო, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა და ცეცხლს მაინც გააჩენდა. აი იმასა ჰბაძავდა ისე, როგორც ოფიცრები ნაპოლეონსა ჰბაძავდენ ხოლმე.

— თუ გაჭირდა, ზურგში წავალ, საცა უფროსები არიან, თვით პოლკის უფროსს ვეტყვი, ასანთი მომეცით-მეთქი. ულუკ წავალ...

— აბა წავიდეთ, ცეცხლი ვიშოვოთ.

პუპარდენი წინ გაუძღვა. გამურული თავი ქვაბის ძირს მიუგავს. რაკი საშინლათა ცივა, რაც რამ ებადა, ყველაფერი ჩაუცვამს. ტყაპუჭი აქვს მოსხმული, ნახევარი თხის ტყავისა და ნახევარიც ცხვრისა: ნახევრათ ყავისფერი, ნახევრათ მოთეთრო; ფერებიც გეომეტრიულათ დასერილია და მისი პატრონი რაღაც უცნაურ კაბალისტურ ცხოველსა ჰგავს.

პეპენის ქუდი, ყაისნაღით ნაქსოვი, იმდენათ გაშავებული და ბრეჭყვიალაა, რომ შავის აბრეშუმის ქუდი გეგონებათ. ვოლპატს სამთო ტანისამოსი და ფლანელები ჩაუცვამს და ხის მოძრავ ძელს მოგაგონებსთ: ამ ძელზე თავში ოთხკუთხი რომ ამოეჭრიათ—მისი ყვითელი სახე იქნება; სქელი და სხვილ კანიანი ტანი ძელისა—მისი სხეულია და ამას კიდევ ორი ფეხი აქვს შეყენებული.

— მე-10 გუნდისაკენ წავიდეთ. რაც საჭიროა, იმათ ყოველთვის აქვსთ. ეს გუნდი პილონის გზაზედა დგას ბუიაო-ნეფს იქით.

ოთხი, ურმის მსგავსი კაცი გზას დაადგა, ღრუბელივით იძვრის. სანგარი, სადაც ესენი მიდიან, მოხვეულ-მოხვეულის გზით მიიკლაკნება მათს წინ, უსინათლო და საშიშო სავალ

ქუჩაბანდის მსგავსათ, ბნელია და მოუკირწყლავი. ამ ალაგას სანგარში ამჟამათ არავინა სდგას, მხოლოთ მეორე და პირველ ხაზებ შორის გასასვლელათ არის დატოვებული.

ცეცხლის საძებრათ წასულ მზარეულებს მაროკოელები შემოხვდათ. ერთი შავი ჩექმის ფერისაა, მეორე—ყვითელ წალისა. იმედის ნაპერწკალი ჩაუვარდათ გულში მზარეულთ.

— ასანთი არა გაქვსთ, ბიჭებო?

— უკაცრაოდ!—უთხრა შავმა და გაიცინა. გაცინებაზე გარეთ გამოჰყარა ფაიფურის მსგავსი კბილები, ჰავანის ტყავის მხგავს ტუჩებ შემოვლებული.

ყვითელი ამასობაში მიუახლოვდა მზარეულებს:

— თამბაქო? ერთი ჩიბუხი თამბაქო?

და გაუშვირა მიხაკის ფერი ხელი. ხელის გული თითქო ჰუხისაგან აჩის გაკეთებულიო, ფრჩხილები კიდენ იისფერისა ჰქონდა.

ჰეპენი ბუზღუნებს, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ამოიღო თითების წვერებით მტევერში არეული თამბაქო და აძლევს მაროკოელს.

ცოტა მოშორებით დარაჯს წავაწყდით, ბნელაში თელემს ჩამოწოლილ მიწაზე. ნახევრათ გამოლვიძებულმა სოლდათმა უთხრა:

— მარჯვნივ მოუხვიეთ, მერე კიდევ მარჯვნივ და მერე კი სულ პირდაპირ იარეთ. გზა კი არ აგერიოსთ.

მიდიან. დიდხანს მიდიან.

— ალბათ შორს წაველით,—იძახის ვოლპატი, ნახევარ საათის უგზო-უკვლო სიარულს შემდეგ.

— კაცო, თითქო ძირს დავეშვითო. ვერ ამჩნევთ?—იკითხა ბლერმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ბებერო ქოფაკო,—დასცინის ჰეპენი.—მაგრამ თუ გეშინიან, დაბრუნდი და ჩვენ წავალთ.

განაგრძეს სიარული ღამის სიბნელეში; ეს სიბნელეც თანდათან ჩამოწვა... უკაცურმა სანგარმა—ამ საშინელმა

გრძელმა უდაბნომ—რაღაც საშინელი სახე მიიღო მიგდებულ და უპატრონო ადგილისა. პირაპეტები ჩამონგრეულია; ჩამოწოლილ მიწისაგან სანგრის ძირი ამერიკულ მთებს დაემსგავსა.

რაღაც გამოურკვეველმა შიშმა აიტანა ეს ოთხი კაცი, ცეცხლის საშოვნელათ წამოსული, და ეს შიში მით უფრო იზრდება, რაც უფრო შორს მიდიან ამ საშინელ გზითა.

პეპენი წინ მიდის, გაჩერდა და ხელი გაიშვირა, რომ სხვებიც გაეჩერებინა.

— ფეხის ხმაა...—ამბობენ სოლდათები ჩურჩულით, სიბნელეში.

გული-გულში ყველას შეეშინდა. შევცდით, რომ ასე შორს წამოვედით ჩვენის ბინიდანაო. დანაშაული ჩავიდინეთ და შეიძლება ამისთვის კარგათაც მოგვხვდესო.

— აქ შევიდეთ,—სთქვა პეპენმა,—აბა ჩქარა!

და მიწის ზედაპირზე ერთი გამსკდარი სწორკუთხიანი ადგილი უჩვენა.

ხელით გაშინჯეს და დარწმუნდენ, რომ ეს საფარის შესავალი იყო და საჩქაროთ შეძვრნენ შიგ თითო-თითოდ: უკანასკნელი მოუთმენლათ მიაწვა სხვებს და ყველანი მიწას გაერთხნენ, გაჰივრებით, ხვრელის სიბნელეში.

ფეხისა და ლაპარაკის ხმა უფრო-და-უფრო მკაფიოთ ისმის და ახლო დება.

მიწაში ჩამალულები ხელებს აფათურებენ გარშემო. უცბათ, პეპენმა წასჩურჩულა სხვებს:

— ეს რა არის?

— რა?—ეკითხებიან ამხანაგები და თან ზედ ეკვრიან.

— პატრონების ჩასაწყობი!—ამბობს ჩუმათ პეპენი.—ფიცარზე გერმანულ პატრონების ჩასაწყობია კონდახში! გერმანელთა შესაერთებელ გასასვლელში მოსულვართ...

— გავიქცეთ.

სოლდათები გასასვლელს ეძგერნენ.

— რასა შვრებით, ღმერთო ჩემო! არ გაინძრეთ!.. მოდიან...

ფეხის ხმა ისმის. ეტყობა, ერთი კაცი მოდის აჩქარებულათ. არ იძვრიან, სულგანაბულნი. კარგათ დააკვირდენ და დაინახეს, რომ ჯერ სიბნელე შეინძრა მარჯვნივ, მერე გამოჩნდა ფეხების ლანდი, მკაფიოთ, მოახლოვდა და ჩაუარა დამალულებს.. კასკა ხურავს, საპირე გადაფარებული, საპირეს ქვეშ კასკის წვეტი უნდა ყოფილიყო. ამ ერთის კაცის ფეხის ხმას გარდა, სხვა ხმა არაფერი ისმოდა.

ის-ის იყო, გერმანელმა ჩაუარა, ოთხმა მზარეულმა ერთათ ისკუპა, კისრის მტვრევით გამოეკიდენ, დაეწიენენ და ჰისცვივდენ.

— კამარად, ბატონებო! —წამოიძახა გერმანელმა.

მაგრამ ამ დროს იელვა დანის პირმა. გერმანელი მოჭრილ ხესებ დაეცა, და თითქო მიწამ პირი უყოვო. ძირს დაეცა თუ არა, პეპენმა კასკა მოხადა თავიდან და ხელში თვალიერება დაუწყო.

— აბა თავს ვუშველოთ! —ბუზღუნებს პუპარდენი.

— ჯერ ტანისამოსი ვუნახოთ!

წამოაყენეს, გადააბრუნ-გადმოაბრუნეს. ზეზე დააყენეს ჰოლეშილი სხეული, სოველი და თბილი. ერთბაშათ დაახველა.

— ისევ ცოცხალია.

— მკვდარია. ჰაერი გამოსდის პირიდან.

ჯიბეებიდან ყველაფერი ამოუღეს. სიჩუმეში ისმის ჩქარი სუნთქვა ოთხის კაცისა, მკვდარზე რომ არიან დახრილნი.

— კასკა ჩემია, —ამბობს პეპენი.—მე მოვკალი. კასკა მე მერგება.

მკვდარს პორტფელი ააცალეს. შიგ ნადები ქალალდები ჯერ ისევ თბილია. ააცალეს დურბინდი, საფულე, მერე ფეხებზე გეტრები გააძვრეს.

— ასანთი! —იძახის ბლერი და კოლოფს აჩხაკუნებს.— კოლოფი სავსეა.

— დახე, ძაღლი!—იძახის ვოლპატი ჩუმათ.

— ახლა კი ვინ წინა და ვინ უკანა!..

მკვდარი ერთ კუთხეში მიაგდეს და მოუსვეს თავზარდაცემულებმა. იმას არც-კი უყურებდენ, თუ რა ხმაურობა ასტეხა მაგათმა არეულმა სირბილმა.

— აქეთ!.. აქეთ!.. ბიქებო! აბა არ ჩამომრჩეთ!

ერთიმეორეს აწყდებიან, ჩუმათ, და მირბიან სანგრის მიხვეულ-მოხვეულ და დაცალიერებულ ლაბირინტით, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

— სულს ვერ ვიბრუნებ,—ჰკვნესის ბლერი.—დავიღუპე.

წაბორძიკდა და გაჩერდა.

— ჰა, თავს ძალა დაატანე, ბებერო,— ღმუის ხრინწიანის და მჭმინავის ხმით პეპენი.

მკლავზე ხელი მოჰკიდა და წინ მიათრევს, როგორც გაჯიუტებულ ცხენს.

— აჰა, სამშვიდობოს გამოვედით,—უცბათ წამოიძახა პუპარდენმა.

— მართალია, ამ ხეს ვიცნობ.

— ეს პილონის გზაა.

— ვაიმე!—ჰკვნესის ბლერი და თან მოტორიით ქშინავს. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, წინ გაიწია და მიწაზე დაჯდა.

— შესდეგ!—ისმის დარაჯის ხმა.

— ბიჭოს!—ბურდღუნებს დარაჯი, როცა ოთხი ფრანგი სოლდათი დაინახა.—აქეთკენ სადა ყოფილხართ?

იცინიან და ხტიან ჯამბაზებივით, ხვითქი გადასლისთ. სისხლში ამოსვრილები ღამით უფრო შავადა სჩანან; პეპენის ხელში გერმანელ ოფიცრის კასკა ბზინავს.

— დაგაჯვით!—ბურდღუნებს დარაჯი, პირდაღებული.—თქვე ოხრებო, არ იტყვით, რა ამბავია?..

გამოელილ შიშს შემდეგ საშინელი მღელვარება დატყოთ სიხარულისა. უფრო გიჟებსა ჰგვანდენ.

ყველანი ერთათ ლაპარაკობენ. საჩქაროზე იგონებენ ახლახან დატრიალებულ დრამას, კარგათ ვერ გამორკვეულან, თუ რა და როგორ მოხდა. „შენ რო თავი დაგანებეთ, გზა დაგვეკარგა და „ინტერნაციონალური“ შემაერთებელ ხვრელში შევყავით თურმე თავი, ამ ხვრელის ერთი ნაწილი ჩვენია და მეორე ნაწილი—გერმანელებისა. ფრანგებისა და გერმანელების ნაწილებს შუა არაფერია ამართული, არც ჯებირი რამე, არც რამე ტიხრი. მხოლოთ ერთგვარი ნეიტრალური ზონაა, და თითოეულის ბოლოში განუწყვეტლივ ორი დარაჯი დგას. ცხადია, გერმანელი დარაჯი თავისს პოსტზე არა მდგარა, ან ოთხი კაცი რო დაგვინახა, დაიმალა ან კიდევ გაიქცა მისაშველებლათ სხვების დასაძახებლათ, მაგრამ დაუგვიანდა. ან ისიც შეიძლება, რომ გერმანელი ოფიცერი ძალიან გართულა და ნეიტრალურ ზონას გასცდენია. ერთის სიტყვით, ჩვენ თვითონ კარგათ არ ვიცით, რა მოხდაო“.

— ყველაზე სასაცილო ის არის,—სთქვა პეპენმა, რომ ყველაფერი ეს ვიცოდით და არცკი გვიფიქრნია ფრთხილათ ყოფილვიყავით, როცა მოვდიოდით.

— ცეცხლის ძებნამ გვიყო, აი!—სთქვა ვოლპატმა.

— ვიშოვეთ კიდეცა!—იძახის პეპენი.—ყეყეჩო, ღმერთი ხომ არ გაგიწყრა და არ დაჰკარქე?

— გიჟი ხომ არ ვიყავ, დამეკარქნა!—ამბობს ბლერი.—გერმანული ასანთი ჩვენსასა სჯობია. ესეც არ იყოს, ამის მეტი არაფერი გვაქვავია ცეცხლის მოსაკიდებლათ! მე და—ასანთი დავკარქო! კბილებით ვერ გამომგლეჯდა ხელიდან კაცი! ხელს თუ მომჭრიდა და თან გაატანდა, არ ვიცი!

— დავიგვიანეთ! ქვაბში წყალი კიდეც გაიყინებოდა. აბა მოვუსვათ. ჩვენს ამხანაგებს, ჯირგვინაში რომ სხედან, მერე ვუამბობთ, რა სეირი ვუყავით გერმანელებს...

XIX.

ზარბაზნების სროლა.

ტრიალი მინდორია. სქელი, უსაზღვრო ნისლი გადასწოლია ყოველსავე.

მუქი-ლურჯი ფერი გადაჰკრავს ცასა. ღამის დასასრულ ცოტა თოვლი წამოვიდა; მხრებსა და სახელოების ნაოჭებს ფქვილივით ეყრება. კაპუშონები გვაქვს წამოხურული და მწკრივში ოთხ-ოთხი კაცი მივდივართ. არც ნათელა, არც ბნელა. ქოჩად მავალ ხალხსა ვგევართ, დევნილს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართულს.

იმ გზას ვადგევართ, ალბენ-სენ-ნაზარზე რომ გაივლის. ეს სოფელი დანგრეულია, მიწასთან გასწორებულია. ბუნდათ დავინახეთ მოთეთრო გროვა სახლებისა და მოშავო გროვა ობობას ქსელივით ჰაერში ჩამოკიდულ სახურავებისა. სოფელი ისეთი გრძელია, რომ შიგ ღამით შეველით და რიჟრაჟისას მის უკანასკნელ შენობებზე რთვილი მოთეთროთ მოსჩანდა. ერ-ერთ სარდაფში, ცხვიდან ამ გაქვავებულ ოკეანეს უკანასკნელ ტალღებთან დავინახეთ ცეცხლი, ამ მკვდარ ქალაქის დარაჯთ რომ ენთოთ. მერე დიდსხანს ვიტყაპუნეთ ჭაობიან მინდვრებში, გზა არაერთხელ დაგვეკარგა უტყვ და მკვდარ ზონებში, საცა მუხლებამდე ტალახში ვიფლებოდით; მერე, როგორც იყო, წელში გავსწორდით, სხვა გზას დავადექით, კარანსიდან სუშეში რომ მიდიოდა. დიდი ალვისხეები, გზის აქეთ-იქით ნაპირებზე რომ ყოფილა ჩარიგებული, დამტვრეულა, ტანი ნაფოტებად ჰქცევია; ერთ ალაგას მთელი უშველებელი მწკრივია გადამტვრეულ და სვეტების მსგავს ხეებისა. შემდეგ

ბნელაში მიჰყვა სხვა ხეთა ნასახი, გაპობილი პალმებისებ, ან სრულიათ დანაყილი ბამბის ძველასებ, კანაფებივით, მოლუნული, თითქო დაჩოქილებიაო. ალაგ-ალაგ ოღრო-ჩოღროები გეხვედება, ხან სად ჩაგვივარდება ფეხი და ხან სად, სიარულს ძალიან გვიშლის. გზა გუბედ იქცა და ქუსლებზე ვდგებით და ისე ვტოპავთ, ფეხებს რომ ამოვიღებთ, თითქო ნიჩბები მოუსვიათო. აქა-იქ ხეები ჩაუგდიათ ზედ გასავლელათ. ტალახიან ხეებზე რომ შევდგებით, ფეხები გვიცურდება. ზოგან წყალი იმდენია, რომ ხეები შიგ ტივტივებს; ზედ რომ შევდგებით, შეჰყაპუნდება და ჩაიყურყუმელავებს; კაცი კიდევ წყალში ვარდება ან წაიფორხილებს და გულმოსული იგინება.

დილის ხუთი საათი უნდა იყოს. თოვლი აღარ მოდის. გაშიშვლებული და ზარდაცემული სურათი თანდათან ჩნდება. მაგრამ ჯერ ისევ სიბნელისა და ნისლის ფანტასტური წრე გვაქვს შემორტყმული.

მივდივართ და მივდივართ, სულერთავათ. ერთ ალაგიდან ოდნავ გამოჩნდა ბნელი გორაკი. გორაკის ძირში კიდენ ადამიანები ფუსფუსებენ.

— ორ-ორი ჩადით,—გვიბრძანა მწყობრის უფროსმა.— თითოეულმა წყვილმა რიგრიგათ წაიღოს თითო ლატანი და ღობე.

დავიტვირთენით. ორიდან ერთმა თავის ამხანაგის თოფი წამოიღო. მეორემ გროვიდან დიდის გაპირვებით გამოაძრო გრძელი, ტალახიანი და ლიპი ლატანი, რომელიც ორმოც კილოგრამს მაინც იწონის, ან და ღობე, კარის სიფართე, ძლივას წამოიკიდა ზურგზე და ნაპირები ხელებით უპირავს, წელში ოთხათ მოხრილს.

ისევ შევუდექით სიარულს. მივდივართ ნაცრისფერ გზაზე, აქეთ-იქით გაფანტულები, სულ ნელა; ვკვნესით და ტვირთისაგან წელში გაწყვეტილნი ყელში წაჭერილ ხმით ვიგინებით. ასი მეტრი არც-კი გაგვიელია, დჯ თუმცა დილის სუსხი-

ანი, მკბენარე ქარი ჰქროდა, ყველანი, ოფიცრებს გარდა, ოფლში იწურებოდენ.

უცბათ ბრწყინვალე ვარსკვლავმა ინათა ჩვენს წინ, იმ ბუნდ ადგილისაკენ, საითკენაც ჩვენ მივდივართ: მაშხალაა. რძისფერ სინათლით გაანათა ცის ერთი ნაწილი, დაჩრდილა თანავარსკვლავედები და ფეიის მოხდენილობით დაეშვა.

ჩვენს პირდაპირ უცბათ ინათა; იელვა, დაიჭექა.

ყუმბარაა.

ჰორიზონტალურ ანარეკლზე, ყუმბარის გასკდომამ ცის ქვედა ნაწილში რომ გაავრცელა ჩვენს წინ, ასე ერთის კილომეტრის მანძილზე, დავინახეთ მთის ქედი.

ეს ქედი მთლათ მოსჩანს აქედან, თხემამდე, სადაც ჩვენი ჯარი დგას. ქედის მეორე მხარეზე, ჩვენის ხაზიდან ას მეტრზე, გერმანელების პირველი ხაზია.

ყუმბარა თხემზე დაეცა ჩვენს ხაზთან. გერმანელებია, რომ ისვრიან.

გავარდა კიდევ. მეორე, მესამე... გორაკის თხემზე სკდება. ირის თეთრი სვეტები ჩნდება სინათლისა და ყოველი სვეტი ბუნდათ ანათებს ცისკიდურს.

მოკლე ხანში ვარსკვლავედების გუნდმა იფეთქა და მთელს გორაკზე ტყე გაჩნდა სინათლის სვეტებისა: ლურჯ და თეთრ ცეცხლის რაღაც ფეერია დაეკიდა ჩვენს თვალწინ ღ.მის წყვდიადში.

ჩვენი ამხანაგები, რომელნიც თავიანთის მოკაკვულ ხელფეხის კუნთების ღონეს იმას-და ანდოებენ, რომ ზურგიდან არ ჩამოუცურდესთ ტალახიანი და მძიმე ტვირთი ან თვითონ არ დაუსხლტსთ ფეხი მოლიპულ გზაზე, ამას ვერასფერს ხედავენ და არცა რას ამბობენ. სხვები სიცივისაგან ბაბანებენ და კბილს კბილზე აცემინებსთ, ჰხვინავენ, დასველებულ ცხვირსახოცებით ცხვირებს იწმენდენ, სწუელიან ოღროჩოღროიან გზას, უცქერიან და რიგი რას ამბობს, და რიგი რას.

— ნამდვილი მაშხალაა, — ამბობენ სოლდათები.

თითქო ამ ფეერიულ და უპედურობის მომასწავებელ დეკორაციის სრულ-საყოფადო, რომელს წინ ჰყაპა-ჰყუპით მიბობღავს და მიიზლაზნება ჩვენი მთლათ ტალახში ამოსერილი, გაშავებული რაზმი, იფეთქა კიდევ ვარსკვლავმა და განაბნივა მთელი ხელეური მწვანე და წითელ ნაპერწკლებისა.

ჩვენს რიგში სოლდათები თავს ველარ იკავებენ და, როგორც მდაბიო ხალხს შეჰფერის, ამ სურათის ნახვაზე, თავიანთს აღტაცებას გამოსთქვამენ, სხვები კი, ვისაც ყურების თავი აქვსთ, იძახიან:

— ჰეე!... წითელი!... ეჰე! მწვანე!..

გერმანელები არიან, რომ ნიშნებს აძლევენ; აგრეთვე ჩვენებიც ანიშნებენ და არტილერიის მოშველებას თხოულობენ.

გზა უხვევს, და აღმართს შევუდექით. როგორც იყო, გათენდა. გარშემო ყველაფერი ჭუჭყიანად გვეჩვენება. გზა დაფარულია ლია-ნაკრისფერ საღებავის ფენითა, შიგ თეთრი წინწკლები ურევია. მის გარშემო ქვეყნიერობამ თავი გამოჰყო. უკან დაგვრჩა დანგრეული სუშე. მისი შენობები პატარა მოედნებად არის გადაქცეული, ზედ საშენი მასალა და ნაფოტებად ქცეული ხეებია დახერგილი. შევდივარ მარცხნით პირაშკის ხვრელში. ამ ხვრელს შემაერთებელ გასავალთან მიეყევართ.

ერთ მრგვალ ადგილას მოტანილი მასალა დავყარეთ. გაოფლიანებულები ვართ და თანაც ვთრთით, დასველებული და დაფხაჭნილი ხელები გვიკანკალებს. დავლაგდით და ველოდებით, რას გვეტყვიან, საით წაგვიყვანენ.

ნიკაპამდე მიწაში ვართ ჩაფლულები, გულმკერდით მიწას ვეყრდნობით. ვეფარებით მისს სისქეს და თვალს ვადევნებთ თვალის მოუჭრელ უშველებელ დრამის განვითარებას. ზარბაზნების სროლა გაძლიერდა. გორაკის თხემზე მანათობელი სვეტები დღის სინათლეზე გამსქვირკალე რამ პარაშუ-

ტებს ან უფერულ მედუზებს ემსგავსება, ქვეშიდან ცეცხლის წერტილიანებს. მერე, რაც უფრო თანდათან ნათდება, სვეტებს თავზე თითქო ქოჩორი უკეთდებათ კვამლის ფრთებისაო: ეს ფრთები სირაქლემას ფრთების მსგავსია, თეთრი და ნაცრისფერი, ერთბაშათ ჩნდება „119“ მაღლობი მოლრუბლულ და სამგლოვიარო თხემზე, ჩვენგან ხუთას თუ ექვსას მეტრის მანძილზე, მერე, ნელ-ნელა, ჰქრება. სწორეთ რომ დაბადების ცეცხლისა და ღრუბლის სვეტებია, რომ ერთათ კორიანტელს აყენებს და იმავე დროს გრგვინავს. ამდროს გორაკის ზურგზე დავინახეთ ადამიანთა ჯგუფი, მიწაში ჩასაძრომათ რომ მირბოდა. თითო-თითოდ იმალებიან ჰიანჰეელების სოროებში, ფერდობებზე მიმოპნეულებში.

ახლა უკეთესათ შეგვიძლია გავარჩიოთ ჩვენამდე „მოსულ“ ყუმბარების სახე: ყოველ გასკდომაზე ჰაერში ჩნდება თეთრ-მოყვითანო ნაფერთლები; ნაფერთლებს შავი ფერი აქვსთ გამოსმული ქვევიდან; ასე სამოციოდ მეტრის სიმაღლეზე ნაფერთლები იყოფა ორად, ტრიალებს, სკდება, და გასკდომის დროს გესმის ზუზუნი მთელ დასტა ტყვიებისა, ეს ყვითელი ნაფერთლები მიწას რომ აწვიმებენ.

სკდება კონებად, წყებაში ექვსია და იძახის: ჰან, ჰან, ჰან, ჰან, ჰან, ჰან. ეს იარაღი 77 მილიმეტრიანია. 77 მილიმეტრიან შრაპნელს იწუნებენ; მიუხედავათ ამისა, სწორეთ ასეთ შრაპნელისაგან მოკვდა ბლებუა ამ სამ დღეს წინათ. ეს შრაპნელი თითქმის ყოველთვის ძალიან მაღლა სკდება.

თუმცა ყველამ ვიცოდით ამის ამბავი, ბარკმა მაინც აგვიხსნა:

— საღამურ ქოთანსაც კი შეუძლია დაგიფაროს თავი ამ ტყვიის აბებებისაგან. შეიძლება მხრებში დაგჭრას ან მიწაზე გაგაგოროს, მაგრამ მოკვლით ვერ მოგკლავს. რა თქმა უნდა, მაინც უნდა უფრთხილდეს კაცი. როცა ეს შრაპნელი ცვივა, ტანი მაღლა არ უნდა ასწიო, არც ხელები გაიშვი-

რო იმის გასაგებათ, წვიმს თუ არა. ჩვენი 77 მილიმეტრიანი შრაპნელი კი სულსხვა ბიჭია...

— გერმანელებს 77-ანს გარდა სხვაც ბევრი აქვსთ, — გააწყვეტინა მენილ ანდრემ. — ჰი თუნდ ამას დახედე.

ისმის გულისგამაწვრილებელი ზუილი, მკრთომარე ან მოკრიალე. ფერდობზე, სადაც ჩვენები დამალულები არიან, სხვადასხვა სახის ღრუბელი გროვდება. ცეცხლისა და ნისლის უზარმაზარ ბუმბულს უერთდება უშველებელი მტევნები კვამლისა, ქოჩრები, სწორ ძაფებს რომ უშვებენ, ბუმბულების კონა, რომელთა ბოლოები განიერდება და მერე ძირს ეშვება, — ყოველივე ეს თეთრია ან მომწვანო-ნაცრისფერი, ნახშირის ფერი ან კიდევ სპილენძის ფერი, დაოქვრილ ან კიდენ შავ ლაქებიანი.

ორი უკანასკნელი შრაპნელი ჩვენს მახლობლათ გასკდა, დატკეპნილ მიწაზე უშველებელი ბურთები დააყენა შავ და შავ-მოწითლო მტვრისა, ეს მტევრი გასკდომას შემდეგ რაღაც აყლა-უყდა მდევებს ემსგავსება.

თავები სანგრების ზედაპირს სისწრაფით გვიპირავს. ამ ამბის დროს თავებს მოვიბრუნებთ და თხრილის სიღრმიდან თვალს ვადევნებთ ამ მომჯადოებელ და თან გულისშემზარავ სურათებს.

— ეს 150 ნია...

— 210-ნია, შე ხბოსთავო. განა ვერა ხედავ?

— ვირისთავებო, აბა ერთი ამას უყურეთ!

დავინახეთ ყუმბარა, მიწაზე რომ გასკდა და მაროას მსგავსათ აიტანა ჰაერში ნამტვრევებისა და მიწის ღრუბელი. ასე იტყოდით, მიწა გასკდა და იქიდან ეულკანმა ამოხეთქა, დედამიწის გულში დაგროვილმაო.

ჩვენს გარშემო ჯოჯოხეთური ხმაურობაა. ასე გვგონია, მსოფლიო რისხვა განუწყვეტლივ მატულობს, უფრო და უფრო მრავალსახოვანი ხდებაო. მთელი ქარიშხალია ყრუ და გამძვინვარებულ რუხ-რუხისა, გაშმაგებულ ყვირილისა, მხეც-

თა ყმუილისა. ეს ჭარიშხალი გადაურბენს დედამიწას, კვამლის ბოლქვებით დაფარულს, და ამ კვამლში კიდევ ჩვენა ვართ ჩაფლულნი კისრამდე.

— ნახე ბიჭი!—იძახის ბარკი.—თითქო ტყვია-წვიმალი შემოელიათ გერმანელებსაო!

— ჰო, ჰო, ვიცით, ვიცით ეს ზღაპრები! ის ზღაპრებიც გაგვიგონიაო, გაზეთებში დასტა-დასტად რომ ჯღაბნიან და ჩვენ გვაკითხებენ.

საათის კაკუნის ჩსგავსმა ხმაურობამ ამ ყურთასმენის წამლებ ორონ-ტრიალში ჩვენი ყურადღება მიიპყრო. ეს ნელი ხმა ტკაცუნასი ჩვენთვის ყველაზე მეტათ ნაცნობია და ყველა ხმაზე მეტადაც გულს გვიწვრილებს.

— ყავის საფქვავია, ნამდვილი! ჩვენებისაა, აბა ყური დაუგდე: ჩვენი სროლასა და სროლას შუა ერთსა და იმავე დროს ანდომებს, ბოშები სულ სხვა ნაირათ ისვრიან. ისინი. ასე შვრებიან: ტაკ... ტაკ-ტაკ-ტაკ... ტაკ-ტაკ... ტაკ...

— მე-კი მგონია, რომ თითქო ვილამაც ზვიდან დაგვაწვიმაო, —განაცხადა პეპენმა და თავი მაღლა აიშვირა ჰაერში ჰაეროპლანის საძებნელათ.

დავა გაიმართა. ნამდვილათ არავის შეუძლიან სთქვას რამე, ამ არეულს ხმაურობას თაცსა და ბოლოს ვერავინ გაუკებს. ყოველთვის შეგცთება. ამ დღეებში ჩვენი მწყობრი ტყეში იყო, ყველას ეგონა, გამოსროლილმა ყუმბარამ გადაგვიარა თავზედაო, თურმე სახედარი ყოფილა და ჩვენს მოშორებით დაიყროყინა.

— აბა ერთი შეხედეთ, რამდენი „ძეხვი“ გაჩენილა ცაზე,—შენიშნა ლამუზმა.

— ჩვენებს რვა ჰყავსთ და გერმანელებსაც რვა,—განაცხადა კოკონმა,—კიდეც დაეთვალა.

მართლაც, ცისკიდურთან ერთიმეორისაგან თანაბარ მანძილით დაშორებულნი დაჰფრინავდენ, მტრის დაბმულ ბურთებს წინ, რომელნიც სულ პატარებად მოსჩანან, რვა მსუ-

ბუქი და მახვილი „თვალი არმიისა" უფროსების სამყოფ ადგილთან ეს ბურთები ცოცხალის ძაფით არის შეერთებული.

— იგინი ჩვენა გვხედავენ და ჩვენ კიდენ მათ. არა, როგორც გინდა ამ ყოლის მხედველ ღმერთებს სადმე დაემალო?

— აი ჩვენი პასუხიც!...

მართლაც, ჩვენს ზურგს უკან გაისმა მკაფიო, მკვეთრი, ყურთასმენის წამღები ჯახაჯუხი 75 მილიმეტრიანისა. განუწყვეტლივ რუხრუხებს.

ეს გრგვინვა თითქო გვათროპსო... ზარბაზნების ხმასთან ჩვენცა ვყვირით, შევსცქერით ერთმანერთს და ერთმანერთისა კი არაფერი გვეყურება, ისმის მხოლოთ ღრიალი ბარკის ხმა. ამ ფანტასტურ დოლის შესაზარ რახუნზე პირდაპირ შეუძლებელია ლაპარაკი.

ვიცქირებით წინ, კისერ-გამოწეულები. და სერზე ვხედავთ ჯოჯოხეთურ შავ სვეტების რიგს. მათი საზარელი ფესვები უხილავ ფერდობში ჩაჰკვდომია, სადაც შეფენილა მტერი.

— ეს რალაა?

იმ დროს, როცა 75 მილიმეტრიანების ბატარეია, ჩვენს უკან ასის მეტრის მანძილზე მდგარი, ჰახა-ჰუხს განაგრძობს, თითქო მდევური ხვედა გრდემლსა ხვდება და მერე ისმის საშინელის ძალღონით ყვირილიო, რალაც უბედურობის მომასწავებელი ღრიალი ჰფარავს ამ კონცერტსა. ასეთივე გუგუნი მოისმის ჩვენის მხრიდანაც.

— აი, „გოდორა" მოფრინავს!

ყუმბარამ ჩვენს ზემოდან, დაახლოებით ათასის მეტრის სიმაღლეზე, გააპო ჰაერი, მისი რუხრუხი ყველაფერს ისე გადაეფარა, როგორც თალი, ხმის გამომღები. ნელა სუნთქავს. კაცი გრძნობს, რომ ეს ყუმბარა სხვა ყუმბარებზე გაცილებით უფრო დიდია, უფრო ღიპიანია. გვესმის როგორ მიჰქ-

როლავს, როგორ ეშვება ძირს, მძიმეთ, თანდათან თრთოლას უმატებს, მოგვაგონებს მატარებლის რუხ-რუხს, როცა ტუნელში გადის. მერე მისი მძიმე სტვენა შორიდან-ღა მოისმის. ვუცქერით გორაკს, ჩვენს წინ რომ არის. რამდენსამე წამს შემდეგ გორაკი დაიფარება ნარინჯის ფერ ღრუბლითა, და ქარიც ამ ღრუბელს ცისკიდურის მთელ ნახევარ ნაწილზე ჰფანტავს.

— ეს 229 მილიმეტრიანია, „გამმა"-ს პუნკტის ბატარეიდან.

— შეგიძლია თვალიც-კი გაადევნო ამ ყუმბარას, — გვარწმუნებს ვოლპატი.—მხოლოდ სწორეთ იმ წამს უნდა დაინახო, როცა ზარბაზნიდან გამოვა და ნიშანში. ამოღების ადგილის პირდაპირა დგეხარ; შეგიძლია ყუმბარა დაინახო მაშინაც კი, როცა ზარბაზანს კარგა იქნება მოშორებული.

ამ დროს გამოფრინდა მეორე ყუმბარაც.

— აი, აი! ნახე?... ვერა, ვერ მოასწარ დანახვა. აი ახლა შეხედე! დაინახე?

— ვერა, ვერ დავინახე.

— დოყლაპია! ჩქარა შეხედე! აი კიდევ! ახლა მაინც ნახე?

— დავინახე. ეს იყო?

ზოგიერთმა დაინახა პატარა შავი სხეული, წვერიანი. ფრთებშეკეცილ შაშვსა ჰგავდა, ნისკარტ-წაშვერილი მაღლიდან ძირს რომ დაეშვება ხოლმე მიხვეულ-მოხვეულ ხაზების კეთებით.

— ეს ყუმბარა ას თვრამეტ კილოს იწონის, ჩემო ბებერო ბალლინჯოვ,—სთქვა თავმომწონეთ ვოლპატმა,—და როცა საფარს დაეცემა, ვინც შიგაა, ცოცხალს არავის გაუშვებს. ვინც ნამტვრევებს გადაურჩება, იმისი მონაბერი ქარი გააბრუებს ან გაზი ისე უცბათ დაახრჩობს, „რომ ვაიმეს" დაძახებასაც ვერ მოასწრებს.

— კარგათ შეიძლება დანახვა აგრეთვე 270 მილიმეტრიან ყუმბარებისა. აი ეს არის, რაც არის! შენ მაშინ უნდა უყურო, როცა სცდება! ბიჭი ხარ და ახლოს გაუჩერდები!

— ახლა კიდევ 155 მილიმეტრიანები იქითხე! მაგრამ ამის ყუმბარები მალე გეკარქება თვალთაგან, ამიტომ რომ პირდაპირ და შორს მისრიალებს: რაც უფრო უყურებ, მით უფრო დნება და იმალება.

მინდორ-ველზე გადაფარებულია სუნი გოგირდისა, ტრუსისა, შავ თოფის-წამლისა და შეტრუსულ მიწისა; ასეთი სუნი ხომ ტრიალებს და თან ისმის განუწყვეტელი რუხ-რუხი და გაშმაგებული ღმუილი; გურგური, ზუილი, ღრიალი, გულისგამაწვრილებელი ან და გულღვიძლამდე ჩამწდომი და საბედისწერო კნავილი კატისა, ან გაბმული, გულისშემომყრელი სტვენა, როგორიც ზღვაში ისმის ხოლმე, როცა გემი იღუპება. ზოგჯერ ეს ხმები ერთი-მეორეს გადაეჯვარედინება და მოგვაგონებს ადამიანთა იქით-აქეთ მხრიდან ერეულ ძახილს; ზოგან .მინდორი ხან აიწევა, ხან დაიწევა და ცისკიდურის ერთ თავიდან მეორე ბოლომდე საგანთა არაჩვეულებრივი ალუფხულობა, ორონტრიალი წარმოგვიდგება.

შორს, ძალიან შორს, ყრუთ გუგუნებს დიდი ზარბაზნები. მათი გუგუნი იმდენათ მკაფიოთ არ ისმის, მაგრამ თუ რა ძალისაა ეს ზარბაზნები, ჰაერის მოძრაობაზე ეტყობა, ყურებში რო გვიტყლაშუნებს.

...აჰა, საცა სროლაა, იმ ადგილზე ქანაობით წამოვიდა მძიმე მაფრაშა მწვანე ბამბისა და ყველამხრით გადნა. ამ მკაფიოთ გამოჩენილმა ფერადმა ლაქამ ჩვენი ყურადღება მიიპყრო და მიწაში ჩაფლულებმა ყველამ მისაკენ ვიბრუნეთ პირი.

— ალბათ, მახრჩობელა გაზებია. ნიღაბები დავიმზადოთ.

— ღორები.

— მე თუ მკითხავ, ეს დიდი უსინიდისობაა,—ამბობს ფარფადე.

— რაო, რა სთქვი?—დაცინვით ეკითხება ბარკი.

— რა და, უსინიდისობაა-მეთქი. მეტი არაფერი..

— რო იცოდე, როგორ მეცინება, როცა იძახით—ეს უსინიდისო საშუალებაა ბრძოლისა, და ის-კი სინიდისიერიაო... შე კაი კაცო და მე უკეთესი, შენ ის მითხარი, ის კი სინიდისიერი საშუალებაა: როცა ადამიანს შუაზე გადახერხავს ყუმბარა, ან ნაკუწ-ნაკუწად აქცევს ხოლმე ჩვეულებრივი ტყვია; როცა მუცელი გამოეფათრება და შიგნეული იქითაქეთ იპნევა; როცა თავში თითქო ვინმე ორთითი ჩაჰყო და გადმოაბრუნა ტვინიო, ან კიდევ როცა თავი ფილტვებშია ჩატკეპნილი, ან თავის ალაგას რალაც კუნძი რჩება და იქიდან მომცხარის მურაბის მსგავსათ ტვინი გადმოერთხევა... ყოველივე ესა, კიდევ მითხარი, სინიდისიერი საშუალებაა ბრძოლისა? სთქვი რალა!..

— ყუმბარის სროლა შეიძლება, კანონით ნებადართულია... ყველა შვრება ამას...

— ეჰ, შენისთანას რა ველაპარაკო, ჩემო ძმაო!?. მაგრამ მაინც გეტყვი: შენს სიცოცხლეში ისე ვერ მატირებ, როგორც ახლა მაცინებ!

და ზურგი შეაქცია.

— ბიჭებო, თავს უშველეთ!

ყურები ვცქვიტეთ: ერთი ჩვენთაგანი პირქვე დაემხო მიწაზე, სხვები კოპებს იკრავენ და ინსტინქტურათ საფარისაკენ იცქირებიან, მაგრამ ისიც იციან, რომ მანამდე მირბენას ვერ მოასწრებენ. ამ ორ წუთის განმავლობაში ყველამ მხრებში ჩაიძვრინა კისერი, მოიბუზა. რალაც უზარმაზარ მაკრატლების კნატუნი გაისმა, ეს ხმა მოგვიახლოვდა, მოგვიახლოვდა და... ყურთასმენის წამლები რახუანი კი მოსძვრა, თითქო რკინის ფურცლების დასტა დაეცაო.

ყუმბარა ჩვენს მახლობლათ დაეცა: ასე ორასიოდ მეტრის მანძილზე. სანგრის ფსკერს სულ მთლათ გავერთხენით,

დაყუნცულები ვუცქიოთ, სანამ პატარა-პატარა ნამსხვრევები თავზე გადაგვივლიდეს.

— მაინც და მაინც არ გიამება, თუ ასეთი ნაჭერი, თუნდაც ასეთ შორ მინძილზე, სახეში ჩაგაჯდა,— სთქვა პარადიზმა და სანგრის კედლიდან გამოათრია ნატეხი, ეს-ეს არის, მიწას რომ ჩაკვდა, კოკისის ნატეხის მსგავსი... მკრელ და წვეტიან ზედა-პირითაა მთლათ დაფარული. არ დამწვასო და ხელში ათამაშებს პარადიზი.

უცბათ თავი ძირს დაღუნა; ჩვენც დავღუნეთ.

ზზზზ, ზზზ...

— შრაპნელია!... გადაიარა...

შრაპნელი მაღლა ავიდა, მერე ვერტიკალურათ დაეშვა; საპერკუსიო ნაწილი, გასკდომას შემდეგ, ყუმბარის ტანსა შორდება და საცა დაეცემა, იქავე მიწაში ჩაჯდება. მაგრამ ხანდახან ისეც მოხდება, რომ ყუმბარას მოსხლტება და, ძალზე გახურებულ დიდ ქვის მსგავსათ, იქითკენ წავა, საითკენაც მოეგუნებება. უნდა ერიდოთ, ამიტომ რომ შეიძლება დიდ ხანმაც გაიაროს გასკდომას შემდეგ და ეს ნაწილი მაინც მოგხვდეს, ისიც სრულიათ არაჩვეულებრივის გზით,—მაგალითად, შეუძლია გადაფრინდეს თხრილზე და ხვრელში შეიჭრას.

— ამაზე საზიზღარი არაფერია! მე დამემართა...

— ერთი რამ ამაზე უარესია,— სიტყვა გააწყვეტინა ბარკმა, მეთვრამეტე გუნდის სოლდათმა,— ეს გახლავსთ ავსტრიული ყუმბარები, 130 და 74 მილიმეტრიანები. ამათი ძალიან მეშინიან. ამბობენ, ნიკელი აქვსთ გადაკრულიო; ნიკელისა არ ვიცი, და ის კი ვიცი, რომ, როგორც თვითონ დავრწმუნდი, ისეთი სწრაფია, რომ დამალვას ვერ მოასწრებ. მისის ხმის გაგონება და გასკდომა და შენი წაქცევა ერთია.

— გერმანელების 105 მილიმეტრიანი ყუმბარაც ასეთივე სწრაფია. სანამ შენ დამალვას მოასწრებდე, ის უკვე გაგტყლიტავს და კოტლეტებად გაქცევს.

— იცი, რას გეტყვი: საზღვაო ზარბაზნების ყუმბარებიც ასეთია. ხმას ვერც-კი გაიგონებ. ჯერ მოგსპობს და მერე-კი...

— ახალი ყუმბარა გამოუგონიათ. მაშინ-ღა სკდება, როცა მიწაზე დაეცემა და ორჯერ უკან გადახტება... როცა ვიცი, რომ ასეთი ყუმბარა ჩემს ახლოა, შიშით მთიგარი სული მძვრება.

— ყველაფერი ეს ჩმახია, ბიჭებო,—ჩაილაპარაკა ახალმა სერჟანტმა, ამ ლაპარაკის დროს რომ ჩაგვიარა და გაჩერდა.—უნდა გეყურებინათ, რა ყუმბარებს გვთავაზობდენ ვერდენთან, საიდანაც ახლა აქა ვარ გადმოყვანილი. მხოლოთ და მხოლოთ დიდები იყო: 380, 420 და 440 მილიმეტრიანები. ვისაც მანდ უსუნებია თოფის-წამლისათვის, მარტო მაგას შეუძლია მართლაცა სთქვას, თოფისწამლის სუნი ვიცით. მთელი ტყეები ისე გააჩანაგა, თითქო პურია და მოუცელავს ვისმეო. საფარი არსად დაუტოვებია, რომ არ დაეცხავებინა. მაშინაც კი, როცა ზედ მიწით გატენილი ტომრები ეყარა სამ ფენად. ყველა ჯვარედინ გზებზე წვიმასებ გვაწვიმებდა: გზა თუ სადმე იყო, გადათხარა; რაც რამემ ზედ გაიარა, ყველაფერი ზედ დააგროვა. ჯვარედინებზე ნახავდი, რომ ერთის ყუმბარით ოცდაათი კაცი ერთათ იყო მოკლული; ხედავდი, რომ კაცებს მაღლა ჰაერში აიტაცებდა ბურთივით, ხუთმეტ მეტრის სიმაღლეზე, ხედავდი შარვლის ნახევრებს, ხეებზე როგ პროწიალებდა. შენ უნდა გეყურებინა, როცა 380 მილიმეტრიანი ყუმბარები ვერდენის სახლებში შეიჭრებოდა სახურავიდან! ორ-სამ სართულს გაანგრევდა, დაბლა გასკდებოდა და მთელს სახლს ნაფოტებად გადააქცევდა. ხოლო ტრიალ მინდორზე ერთ ამგვარ ყუმბარის შიშით მთელი ბატალიონები ძირს დაეყრებოდენ და იმალებოდენ უმწეო ფრინველებივით. მინდვრებში ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებოდა ხელის სიმსხო ნატეხები. თითოეულს ოთხი კაცი თუ-ღა ასწევდა ამ რკინის ნაჭერს. მინდვრები ისე გაუხდია, იტყოდით, დამტვრეული კლდეები მოუტანიათ და მოუყრიათო!.. მთელის თვეების

განმავლობაში გრძელდებოდა ასეთი ამბავი. შენ კი აქაური უკმბარები უკმბარებად მიგაჩნია! რის უკმბარები, რა უკმბარები! უკმბარები კი არა—სათამაშოა, რაც მე მინახავს, იმასთან შედარებით.—ეს გვითხრა და სერჟანტი მოგვშორდა, ალბათ იმისთვის, რომ ახლა სხვა პუნკტებში გაეზიარებინა ჭსმენელთათვის თავისი შთაბეჭდილებანი.

— ერთი შეხედე, კაპორალო, ამ ბიჭებს, ხომ არ გაგიჟდენ!

დავინახეთ, რომ საცა სროლა იყო, იმ ზონაში ვილეები აჩქარებით მიდიოდენ იმ ადგილებისაკენ, საცა უკმბარები სკდებოდა.

— არტილერისტებია,—სთქვა ბერტრანძა,—სადმე უკმბარა დაეცემა და გასკდება თუ არა, მაშინვე იქითკენ მირბიან და ცდილობენ მანძილის მაჩვენებელი მილი სადმე ხვრელში მოსძებნონ, ამიტომ რომ ამ მილის მდებარეობა და ისა, თუ რა სახით ჩაერჭობა მიწაში, შენ ხარ ჩემი ბატონი, აჩვენებს ბატარეიის მიმართულებას; თვით მანძილს, რომელიც ბატარეიამდეა, ამ მილზე წაიკითხავ: გარშემო ხაზები აქვს დანიშნული.

ეგ სულერთია, როგორც არის, მაგრამ ესენი მაინც ყაჩაღები არიან, რომ ასეთ სროლის დროს საფარიდან გამოსვლასა ჰბედავენ.

— არტილერისტი, ჩემო ძმაო, ან სულ ყოჩაღია ან სულ არაფრადა ვარგა,—ჩაერია ლაპარაკში ერთი სხვა გუნდის სოლდათი, სანგრებზე რომ დადიოდა იქით-აქეთ.—ან მამაცია, ან კიდევ მშიშარაა. მაგალითათ, მე შემხვდა...

— რასაც შენ ამბობ, ყველა სოლდათის შესახებაც ითქმის.

— შეიძლება. მაგრამ მე ყველა სოლდათის შესახებ არ ველაპარაკები. მე გეუბნები არტილერისტების შესახებ და იმასაც გეტყვი, რომ...

— ძმებო, წავიდეთ, თავი შევაფაროთ სადმე, თორემ

ვაი თუ ფერდები ჩაგვემტვრას. სიფრთხილეს თავი არა სტკივა... თავში რომ მოგვხვდეს, რაღა ვქნათ.

სოლდათმა თავისი ამბავი ვერ დაასრულა, ისე წავიდა. ხოლო კოკონმა, შეკამათება და პირში შებმა ძალიან რომ უყვარდა. განაცხადა:

— წარმომიდგენია, საფარში რა მხიარულათ გავატარებთ დროს, თუ გარეთაც კი ასე ვერთობით ხოლმე.

— შეხე, ნაღმებს ისვრიან!—წამოიძახა პარადიზმა და მიგვითითა ჩვენს პოზიციებზე, მარჯვნივ მაღლობზე რომ იყო.

ეს ნაღმები მაღლა მიდის და თითქმის პირდაპირ, ტოროლას მსგავსათ, თრთის და შრიალებს; მერე გაჩერდება, თითქო ყოყმანობსო, და თავდაყირა ძირს დაეშვება. ჩამოვარდნას იმით გაიგებს კაცი, რომ „ბავშვივით იძახის“, და ეს ძახილი ადვილი გამოსაცნობია ხოლმე. სერზე მდგარი ხალხი აქედან უხილავ მოთამაშეებსა ჰგვანან, გაჭკრიებულთა და ბურთის მოთამაშეთა.

— არგონში,—ამბობს ლამუზი.—როგორც ჩემი ძმა მწერს, „გვრიტებს“ ისვრიანო. „გვრიტებს“ დიდ და მძიმე ყუმბარებს ეძახიან, ელით რომ ისვრიან ახლოდან. ეს ყუმბარა ფრენის დროს გვრიტივით ღუღუნებს და შენ მაშინ უნდა ნახო, როცა გასკდებაო!...

— „ბაყაყზე“ უარესი არაფერია. თითქო ცკან ფეხდაფეხ მოგდევს და ზედ გახტება, გასკდომით კი თვით სანჯარში სკდება და ზევიდან დაყრილ მიწას სულერთიანათ გადააცლის ხოლმე.

— გაიგონე?...

ჩვენსკენ რაღაცა სტვენით წამოვიდა, მერე ხმა ერთბაშათ მისწყდა. ყუმბარა არ გასკდა.

— ამ ყუმბარას „მძღნერს“ ეძახიან,—შენიშნა პარადიზმა.

დავაყურეთ, რომ სხვების გაგონების სიამოვნება გვეგრძნო, ან სულ არ გაგვეგონა.

ლამუზი ამბობს:

— მინდვრები, გზები, სოფლები აქ ყველა მოფენილია გაუმსკდარ და ყველა ზომის ყუმბარებითა; მართალი უნდა სთქვას კაცმა, ამათში ჩვენი ყუმბარებიც ურევია, მიწაში აუარებელი უნდა იყოს ჩასული, ისე რომ არც-კი სჩანს. ახლა ჩემს თავს ვეკითხები, რა უნდა ჰქნას გლეხობამ, როცა ისევ დადგება დრო ამ მიწის დამუშავებისა?.

ნირუკეთელი გრიგალი ცეცხლისა და რკინისა განაგრძობს ბობოქრობას: ნალმები სტვენითა სკდება, თითქო სული აქვს ლითონისა და ულმობელიო, მერე მსხვილი ყუმბარები, დარტყმით რო სკდებიან, გვრგვინავენ და მათი გვრგვინვა მოგაგონებს აგრეთვე იმ ხმაურობას, მაღლიდან ჩამოცვენილ რელსების და ფოლადის ლარტყების მთელი გროვა რომ გამოიღებს ხოლმე. ატმოსფერა მკრივი ხდება, გამქვირვალება ეკარქვის, მძიმდების; და გარშემო ტიალდების, ოხრდების მიწა, და რაც უფრო ღრმათ მიდიხართ, უფრო ულმობელათ სახიჩრდების ნიადაგი.

ახლა სხვანაირი ზარბაზნებიც აამუშავეს. ჩვენი ზარბაზნებია. ხმა ისეთივე აქვს, როგორც 75 მილიმეტრიანებს, მაგრამ უფრო ძლიერია, თან გაგრძელებული უპუ გამოისმის, ისე წკარუნებს, როგორც მთაში მეხის გავარდნა.

— ესენი 120 მილიმეტრიანებია, გრძელები. ტყის პირას არის დაწყობილი, აქედან ერთ კილომეტრის მანძილზე. ლამაზი ზარბაზნებია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ნაცრისფერ მწევრებსა ჰგავს. წვრილი და მშვენიერი ტუჩი აქვს ამ ზარბაზნებს. ისე მოკეწრონება, იტყვი, მოდი — „ქალბატონო“ დაუძახოვო. 220 მილიმეტრიანს კი არა ჰგავს, საქონლის პირს რომ მიუგავს ტუჩი, სანახშირე სათილსავით, და თავისს ყუმბარას ქვევიდან ზევით რომ ამოაფურთხებს ხოლმე. ამათ ჰახა-ჰუხი დიდი გაუღიათ, მაგრამ საარტილერიო ურმებზე ალაგია, თითქო უფეხო კაცი ჰოპინათი მიჰყავსთო.

ლაპარაკი როგორღაც არ გვეხერხება. ზოგ-ზოგი ამთქნარებს კიდეცა.

სიდიადე და სიძლიერე ამ სააერტილერიო ბრძოლისა გონებასა ჰლლის, ადუნებს. ხმაც იღლება, სროლის ხმაურობაში.

— ასეთი სროლა ჩემს დღეში არ მინახავს, —იძახის ბარკი.

— ჩვენ სულ ასე ვიძახით,—შენიშნა პარადიზმა.

— ამბობენ,—ღრიალებს ვოლპატი,—ამ დღეებში მტერს უნდა შევუტიოთო. მე მგონია, ეს მომასწავებელი იქნება რისამე.

— ეჰ,—იძახიან მხოლოთ სხვები.

ვოლპატს განზრახვა აქვს ცოტა ძილი გამოაცხოს; ჩამოჯდა ძირს, ზურგით კედელს მიეყუდა, ხოლო ფეხები მეორე კედელს მიაბჯინა.

ლაყბობენ ათას რაზედმე. ბიკეს ცრთი თაგვი ენახა და იმის ამბავს მოგვიყვა.

— რო იცოდეთ, რა მსხვილი და მსუქანი იყო ი ტიალი... წაღები გავიხადე და იმ საოხრეს ზედაპირი ისე დაუხრავს, რომ ცხრილისათვის დაუმსგავსებია. მართალია, იმას წინათ ჭონით გაუპოხე.

ერთხანს გაშეშებული ვოლპატი შეინძრა და ამბობს:

— დამაძინეთ ერთი, დააყენეთ ე ყბები, თქვე ოხრებო!

— ახ შე მჩვარო შენა, ამ ოროტრიალში რა ეშმაკმა უნდა დაგაძინოს!—ჰკითხა მარტროზ.

ამაზე ვოლპატმა უშველებელის ხვრინვით უპასუხა.

* * *

— დამწყრიენდით! მარშ!

ადგილი უნდა გამოვიცვალოთ. სად უნდა წაგვიყვანონ? არაფერი ვიცით. ის-ღა ვიცით, რომ რეზერვშია ვართ და ერთ ადგილიდან მეორეზე გადავყეყართ ზოგიერთ პუნ-

კტების გასამაგრებლათ ან და წესიერების დასაცავათ, როდესაც ჯარი შემაერთებელ ხერელებში მიდი-მოდის. ამ ხერელებში ჯარის წესიერად გატარება იმდენათ რთული საქმეა, თუ გინდა, რომ გასასვლელი არ შეიკრას და ან ერთი ჯარი მეორეს არ შეეხეჩოს, რამდენადაც რთულია მატარებლების გატარების საქმე რკინის გზის დიდ სადგურებზე. შეუძლებელია წინდაწინვე თავტანი გაუგო იმ უშველებელ მანევრს, სადაც ჩვენი გუნდი სულ მცირე ურმის თვალსა ჰგავს, ან გაითვალისწინო, თუ რას აპირებენ ბრძოლის მთელს სექტორში. თუმცა მართალია, ამ მიწის ქვეშეთში ვართ ჩამარხულები, რომელსაც, ვინ იცის, რამდენჯერ ვუბრუნდეთ, დათენთილები, დიდიხნის ლოდინით ილაჯგაწყვეტილები, ჯაჯგურისა და ყვირილისაგან გამოყრუებულები, კვამლისაგან მოშხამულები, მაგრამ მაინც გვესმის, რომ ჩვენი არტილერია სერიოზულ საქმეში იქნება ჩაბმული და საცაა, შეტევაზე უნდა გადავიდეთ.

* * *

— სდეგ!

ატყდა საშინელი, გაშმაგებული, ჯერ არ მოვსწრებივართ ისეთი თოფის სროლა. პირდაპირ სანგრების პარაპეტებს უშენენ, სადაც ჩვენ ამ წუთას გაგვაჩერეს.

— მათი ზარბაზანი დიდს ამბავშია. შემოტევისა ეშინიან; პირდაპირ გიჟდებაო. უჰ, ღმერთო, რანაირათ აწვიმებენ ტყვიასა!

ტყვია სეტყვასებ გვეყრება თავზე, სცელავს საშინლათ არემარეს, ყველაფერს მიწასთან ასწორებს.

ერთს ზარბაზნის დასადგმელში შევიხედე. თვალწინ წარმომიდგა უცები და საოცარი სურათი.

ჩვენს წინ, ასე არა უმეტეს ათის მეტრის მანძილისა, ჩაწყობილია მთელი მწკრივი სოლდათებისა, ტყვიებისაგან მოცელილები და ამავე დროს თავზე ბერრივით ეყრებათ ტყვია.

ტყვიები როცა მიწას გაჰკენწლავდენ, სწორ კვალს გაავლებდენ, მტვრის პატარა ღრუელს დააყენებდენ, მერე ხვრეტდენ და ასახიჩრებდენ მიწაზე დამხობილ სხეულებს, უმტვრევდენ ხელფეხს, აკვდებოდენ გამწვანებულ სახეებზე, უჩიჩქნიდენ თვალებს და განუწყვეტელის ჯაჯგურით თითქოს გაცოცხლება უნდოდათ ამ გვამებისაო.

ისმოდა მშრალი ჯახუნი, ამ ჯახუნს იწვევდა გაფხავებული ნაპრები სპილენძისა, ზევიდან რომ ესობოდენ ტანისამოსსა და სხეულს; ისმოდა ხმაურობა, და ეს ხმაურობა მოგაგონებდათ სწრაფათ გასროლილ დანის ხმაურობას ან ჯოხით ტანისამოსის ბერტყვას. ჩვენს თავს ზემოდან ზუზუნით გადაიჭიდა ტყვია და ამ ზუზუნს თან სდევდა უფრო დაბალი ხმა რიკოშეტებისა. და ჩვენც თავსა ვხრიდით ამ ჯოჯოხეთს ქვეშ.

— ნაბრძანებია სანგრების დაცარიელება! აბა, ჩქარა.

*

ვტოვებთ ბრძოლის ველის ამ პატარა ნაწილს, სადაც თოფებით დაუსრულებლივ იკოდება ხალხი და უკვე დახოცილები ხელმეორეთ იხოცებიან. ვბრუნდებით მარჯვნივ და ზურგის აკენ. შემაერთებელი ხვრელი აღმა მიჰყვება. ხრამის თავში გავუარეთ სატელეფონო პუნკტს და არტილერიის ოფიცრებისა და სოლდათების ჯგუფს.

აქ ხელახლა გავჩერდით. ერთ ალაგას ფეხებს ვატყაპუნებთ და უურს ვუგდებთ საარტილერიო მეთვალყურეს. იძახის მიღებულ განკარგულებას, აქას საფარში მყოფი ტელეფონისტი ისმენს და იმეორებს:

— პირველი ზარბაზანი: იგივე სიმაღლე. ორი მეათედი მარჯვნივ. ერთ წუთში სამი გასროლა!

ზოგიერთმა ჩვენთაგანმა გაჰბედა და თავი ამოჰყო მიწის ბექობზე. ერთის თვალის გადავლებით შეგვეძლო დაგვენახა

მთელი ველი ბრძოლისა, რომლის გარშემო ჩვენი გუნდი დილას აქეთია დახეტიალობს.

დავინახე ნაცრისფერი ფართე ველი; ზედ ქარი თითქო მიერეკება მტვრის ბუნდოვან და ალაგ-ალაგ კვამლგარეულ ტალღებსაო.

ეს უზარმაზარი სივრცე, მზე და ღრუბლები შავსა და ნათელ ლაქებს რომ ისვრიან ზედ, ალაგ-ალაგ მკრთალათა ბრწყინავს. ჩვენი ბატარეებია, რომ ისვრიან. ერთ წამს მთელი ეს მიდამო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნაპერწკლებით დაიფარა, მეორე წუთს მინდვრის ერთი ნაწილი მოთეთრო და ორთქლოვან, თოვლის კორიანტელის მსგავს სუდარას ქვეშ მოექცა.

შორს საბედისწერო, უსაზღვრო, სასაფლაოების ჩსგავსათ დაცხავებულ მინდვრებზე ქალალდის ნახევის მსგავსი რამ მოსჩანს — ეკლესიის სილუეტია. სურათის ერთ ბოლოდან მეორე ბოლოსაკენ გამწკრიეებულა მთელი რიგი ვერტიკალურ ხაზებისა, ეს ხაზები ჯოხებს მოგაგონებენ და ქვეშ გამოსმული აქვსთ ერთი ჰორიზონტალური ხაზი: გზებია იქითაქეთ დარგულ ხეებითა. მიხვეულ-მოხვეულებით ველი დასერილია გარდი-გარდმო, ოთხკუთხედებადა ჰყოფს და ეს მიხვეულ-მოხვეულები კიდენ მოფენილია ხალხითა.

აქა-იქ შეამჩნევთ ამ ხაზების ნაწყვეტებს, ცოცხალ წერტილებით რომაა შედგენილი. ეს წერტილები ჩაღრმაებულ კვლებიდან რომ გამოვლენ, მიიმართებიან მრისხანე, გაბოროტებულ ცას ქვეშ.

თითქო არც-კი გჯერაო, რომ ყოველი ეს პაწია ლაქა — ცოცხალი არსებაა, მთრთოლარე სუსტი ხორცი, სავსე აზრ-ფიქრითა, მოგონებათა და სხვადასხვა სურათებითა. თქვენ ვაბრმავებსთ ასე მტვრის ღრუბლად ქცეული ადამიანთა, ცის პაწაწუნა ვარსკვლავებივით რომ მოსჩანან.

საწყლებო, უცნობნო, ახლა თქვენი რიგია სამსხვერპლოზე თავი დასდოთ! მეორეჯელ ჩვენი რიგიც დადგება,

შეიძლება ხვალაც დადგეს ჩვენი რიგი, რომ თავზე ცა რისხვით დაგვატყდეს, ქვეშ კიდევ დედამიწამ პირი გვიყოს და თან ჩაგვიტანოს, ტყვია-ზარბაზნის ზღვა მოგვაწვეს და წაგვლეკოს, ან ქარიშხალმა წარგვიტაცოს, ნამდვილ ქარიშხალზე ასწილ ძლიერმა, ასწილ ულმობელმა.

ზურგის საფარში გვერეკებიან. თვალთაგან მოგვეფარა ბრძოლის ველი. ღრუბელთა გრდემლზე უხილავ ხვედას რახა-რუხი მისუსტდა. მთელის მსოფლიოს განადგურების ხმაურობა მისწყდა. ჩვენი მწყობრი ეგოისტურათ გაეხვია ცხოვრების ჩვეულებრივს ხმაურობაში, ჩაეფლო საფართა მოძღერსე ვიწრობებში.

XX.

ც ე ც ხ ლ ი.

უცბათ გამოღვიძებული სიბნელეში თვალებს ვახელ.

— რა იყო? რა ამბავია?

— შენი რიგია, სადარაჯოზე უნდა წახვიდე. ნაშუადღევის ორი საათია,—მეუბნება კაპორალი ბერტრანი. მხოლოთ ხმა მესმის მისი, მაგრამ ხედვით ვერა ვხედავ ხვრელის ძირში გაწოლილი.

ბუზღუნით ვეუბნები, მოვდივარ-მეთქი, ვიზმორები და ვამთქნარებ. გაშვერილი ხელი სველ, ცივ თიხას მოხვედა. მერე ფათურით მივდივარ თავშესაფარის სიბნელეში, ვაპობ მძიმე ჰაერს, წყვდიადში, მძინარე სხეულთა შორის. წავაწყდი ტომრებს, ფეხი წამოვკარ იარაღს და ყველა მხრით გაშვერილ ხელ-ფეხს. როგორც იყო, ვიპოვე ჩემი თოფი. ჯერ კიდევ კარგათ ვერ გამორკვეულვარ, ისე გარეთ გამოვედი, სუფთა ჰაერზე. ცივმა ქარმა სახეზე გამიტყლაშუნა.

აძაგძაგებული უკან მივდევ კაპორალს; ჩვენს გზაზე ყოველგვარი რაგინდარა მაღლა ახოხოლავებულია. ბნელა. და ამ სიბნელეში კაპორალი შიგ ეფლობა. გზა ჩვენს უკან ჭირს როგორღაც უცნაურათ იკვრის. გაჩერდა. აქ არის... კედელს შორდება და ძირს ჩამოდის რაღაც შავი მასა. ეს შავი მასა ამთქნარებს. მისი მთქნარება ცხენის ხვიხვინს მოგაგონებსთ. შეველი ნიშაში, მასას რომ ეპირა.

მთვარე ნისლშია დამალული, მაგრამ ყველა საგანს რაღაც ოდნავ შესამჩნევი, გაფანტული სინათლე ეფინება, და ამ სინათლეს თვალი უნდა შეაჩვიო. სინათლეს ზევიდან ეფა-

რება წყვდიადი, თავს რომ დამტრიალებს. როცა მივეკარე, მაშინ-და გავარჩიე, ისიც ოდნავ, ჩარჩო და სარკმლისებურათ გამოჭრილი ადგილი ზარბაზნის დასადგმელისა, ჩემ თავს გასწვრივ. ხელი რომ შევყავ, საგანგებო ხვრელში ვიპოვე მთელი რიგი გრანატების ხელებისა.

— თვალები გაახილე, ძია,—მეუბნება ბერტრანი დაბალის ხმით.—არ დაგავიწყდეს, რომ წინ მარცხნივ ჩვენი სადარაჯო პოსტია. ნახვამდე.

მესმის მისი ფეხის ხმა. უკან მისდევს მძინარე დარაჯი, მე რომ გამოვცვალე.

ყველა მხრიდან თოფებს ტკაცა-ტკუცი გაუდის. უცბათ ტყვია მიწანაყარს მოხვდა, სადაც მიყრდომილი ვარ. ხვრელში გავიხედე. ჩვენი სანგარი ველივით მიიკლაკნება ხრამის ზედაპირზე: მიწა-ნაყარის გაგრძელება ჩემგან მიფარებულია და წყვდიადში, საცა იგი ჩაფლულია, ვერასფერსა ვხედავ. ბოლოსა და ბოლოს თვალები შეეჩვია გაარჩიოს ჩვენის მავთულებიან ღობის სწორი მწკრივი სარებისა, გაარჩიოს აგრეთვე მრგვალი ძაბრები, სხვა და სხვა სიდიდის ყუმბარებს რომ გაუკეთებია მიწაში. ზოგიერთი სულ ახლოსაა და რაღაც უცნაური რამე ჰყრია შიგა. ქარი პირდაპირ სახეში მიბერავს. არაფერი იძვრის, მხოლოდ ქარი ჰქრის და ნოტიო წვეთ-წვეთად ჩამოდის ძირს. ცივა, დაუსრულებლივ მაკრჭოლებს. ავიხედე: თვალი მიმოვავლე იქაურობას. საშინელი ძაძა გადაჰფარებია ყველაფერს. ისე მგონია, სრულებით მარტო ვარ მეთქი, გემი დაიღუპა და ნაპირას ვარ გამოგდებული ღრეობისაგან გაოხრებულ ქვეყანაში-მეთქი.

ჰაერი უცბათ გაწითლდა.—მაშხალაა. გარემოს, საცა ჩანთქმული ვარ, ჩემს თვალწინ თავისი სახე მკაფიოთ დაედო. ვხედავ ჩვენის სანგრის გადახნულ ზურგს, ყოველ ხუთ ნაბიჯზე წინა-კედელს აკრულ დარაჯების ლანდებს. მათი თოფები მათს გვერდით გამწკრივებულა და მწყობრ წერტილებად ანა-

თებენ. სანგარს დაფარებული აქვს მიწით გატენილი ტომრები. ყველგან გაფართოებულა და ზოგან მიწაც ჩამოწოლილა კიდეცა. ეს მიწით სავსე ტომრები, ერთი-მეორეზე დაყრილები და გაბრტყელებულები, მაშხალის უცებ განათებაზე ძველებურ შენობების ლოდები გეგონებათ. ჯიხედები ხვრელში, ბუნდ და მკრთალ სინათლეზე, ჩამოვარდნილმა მაშხალამ რომ დასტოვა. შემიძლია გავარჩიო რიგი სარებისა და თვით ხაზი ეკლიან მავთულისა, ამ სარებს რომ აერთებს: თითქო ვისმე მელნით გაუვლია ხაზები და ამ ხაზებით მთელი მინდორი აუპრელებიაო. ცოტა ქვემოთ, ამ წყვდიადის ოკეანეში, ხრამს რომ ავსებს პირთამდე, მდუმარება და უმოძრაობა გროვდება.

ჩემს საზვერავ პუნქტიდან ჩამოველ და ალალბედზე მეორე დარაჯისკენ გავემართე. ფათურით ხელი მოვკიდე:

— შენა ხარ?— ჩუმათა ვკითხე, თუმცა არ ვიცოდი, ვინ იყო.

— ჰო, მე ვარ,—მიპასუხა დარაჯმა. არც იმან იცოდა, ჩემსებ ჯსინათლემა, ვინ ვიყავი.

— რა სიჩუმეა!—დაუმატა დარაჯმა.—ამ ცოტა ხანს წინად-კი ისე მეგონა, ეს-ეს არის, შემოგვიტევენ-მეთქი. შეიძლება სცადეს კიდეცა ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მოეტანათ იერიში, ამიტომ რომ ხელით სასროლი ყუმბარები დაგვიშინეს. ამის პასუხად ჩვენმა 75 მილიმეტრიანმა ზარბაზნებმა დაუშინეს და გზა შეუკრეს. ვამბობ: „დასწყეველოს ღმერთმა, ეს 75-იანები ისე ესვრიან, თითქო დაჭირავებულნი არიანო. თუ გერმანელები სანგრებიდან გამოძვრნენ, გაგიხარიან, ჩვენები მათ კუდით ქვას ასროლინებდენ-მეთქი". აი, თუ არა, ყური დაუგდე, რა ჰახა-ჰუხი გაუდის გრანატებს! ხომ გესმის?

გაჩერდა, მათარას პირი მოხსნა და ერთი გადაჰკრა. მერე ღვინის სუნი შემომაორთქლა და ისევ დაბალის ხმით მეუბნება:

— ამ ომის მომგონს კი რა ვუთხრა! ყოფილვიყავით ჩვენთვის სახლში, მოსვენებულათ. ეს არ ემჯობინებოდა? აი, კიდევ აპირებენ რაღასაც.

ჩვენს მახლობლათ თოფი გავარდა, ჰაერში მოელვარე და სწრაფი ხაზი გაავლო. ჩვენს ხაზზე პირველს მეორე მიჰყვა, მერე მესამე, აქა-იქ. ღამით თოფის სროლა გადამდებ სენივითაა.

ფათურით ბნელაში, სახურავივით რომ გვეფარებოდა თავზე, მივდივართ იმისკენ, ვინც ისროდა. ლასლასით მივედით და ვეკითხებით:

— რა იყო!

რა და საითგანღაც მოძრაობა რამ მოსჩვენებოდა. მეტი არაფერი. მე და ჩემი მოზობელი ჩვენ-ჩვენს ადგილს დავუბრუნდით ლასლასითვე. წებოიან ტალახიდან ფეხების ამოღება გვიჭირდებოდა და ისე ვიხრებით, თითქო მძიმე რამ ტვირთი გვაქვს ზურგზე მოკიდებული ჲ წელში გვწყვეტავსო ცისკიდურის ხან ერთ წერტილზე, ხან მეორეზე, ჩვენს გარშემო ყველგან ზარბაზანი გვრგვინავს. მისს რუხრუხს უერთდება ტაცა-ტაცა თოფისა. ეს ტაცა-ტაცა ხან მატულობს და ხანაც კლებულობს, მასვე უერთდება გრანატების ხმა, მტევნებივით ასხმული; გრანატების ხმა უფრო მკაფიო და წკრიალაა, ვიდრე ტაცა-ტაცა ლებელის თოფისა ან მაუზერისა; ამ თოფებს დაახლოვებით იგივე ხმა აქვს, რაც ძველებურს თოფებსა ჰქონდა. ქარი ძლიერდება. თან და თან ისე გაშმაგდა, რომ სიბნელეში იძულებულნი ვართ ბისგან როგორმე თავი დავიფაროთ საფრებში. მთვარეს უშველებელი ღრუბელი გადაეფარა ცაზე.

მე და ეს კაცი ორნივე ერთათა ვართ; ერთმანეთზე ისე ახლოსა ვდგევართ, რომ ერთიმეორეს ვეხებუნებით კიდეცა. მხოლოდ ყუმბარის აფეთქების დროს თუ-ღა შეგვიძლია გაკერით ერთიმეორის სახის მოხაზულობა დავინახოთ. ერთათა ვართ, სიბნელისაგან შეპუპკულები, უშველებელ კოკონის

შუაგულში. ეს კოცონი ხან გამოჩნდება, ხანაც ჰქრება, თითქო კუდიანები დაელურს უვლიანო.

— შეჩვენებულნი ვართ, კრულნი,—მეუბნება მეზობელი.

ერთმანერთს გავშორდით. თითოეულმა ჩვენ-ჩვენი ადგილი დავიჭირეთ, და თვალებს ძალას ვატანთ, იქნება რამე გავარჩიოთ ამ უკუმეთშიო.

რა საშინელი და გულშემზარავი ქარიშხალი მოგველისო?!

ამ ღამეს ქარიშხალი არ ამოვარდნილა. ხანგრძლივ ლოდინს შემდეგ, რიერაჟისას, თითქო მიყუჩდა კიდეცაო.

იმ დროს, როცა განთიადი ჩვენს ზემოდან მრისხანე სალამოზე უარესათ სახეშეჭუხვნილი გვეფინებოდა, ერთხელ კიდევ დავინახე, რომ შავ, ფისის მსგავს ღრუბლებს ქვეშ ამოტივტივდა, თითქო ახლათ დაიბადაო, ფლატოიანი ნაპირები, მგლოვიარე და პუპყიანი, ნამტვრევებითა და უწმინდურობით პირთამდე მოყრილი,—ეს სანგრები გახლავსთ, საცა ჩვენა ვართ.

მღვრიე სიბნელე იცრიცება. ამ სინათლეზე მიწიანი ტომრები, სინესტისაგან გვერდებ დასველებულები, ოღნავ ბრჟყვიალებს ტყვიით დაფერილივით. ადამიანის შიგნეულსა ჰგავს, უშველებელ შიგნეულს, გარეთ გამოყრილს.

ჩემს უკან კედელში მიწა შეთხრილია და შიგ პერეხებივითა ჰყრია ჰორიზონტალურათ რაღაც ნივთები, თითქო კოცონისათვის დამზადებული შეშის მორებიაო.

ხის მორებია? არა: მკვდრებია.

* * *

ხნულებს ფრინველთა ჟრიამული ეუინება, მინდორ-ველი ნელა იბერტყაეს ბინდ-ბუნდსა, სინათლე ყოველ მდელოს დასთამაშებს. მეც თან-და-თან უფრო და უფრო ვიცქირები ხრამისაკენ. გაჩანაგებულ მინდორს ქვემოთ, სადაც მიწის გოროხები და ძაბრია გაკეთებული და სარები გადახრილ-გად-

მოხრილი, იგივე სიბნელეა და პირდაპირ ფერდობზედაც ისევ ღამეა, სიბნელის კედელია აყუდებული.

მერე მოვბრუნდი და მკვდრებს დავუწყე თვალიერება. სიბნელე თანდათან შორდებათ, და ჩნდება მათი გაფიჩხებული და გასისხლიანებული სახე. ოთხნი არიან. ჩვენი ამხანაგებია: ლამუზი, ბარკი, ბიკე და პატარა ევდოკი. იქვე, ჩვენს ახლო იხრწნებიან, სანახევროთ ამოუვსიათ მიხვეულ-მოხვეული და ჭუჭყიანი სანგარი, ცოცხლათ დარჩენილები ჯერ ისევ რომ იცავენ.

ავათ თუ კარგათ აქ დაუსვენებიათ. ერთი-მეორეს აწვებიან, ჭყლეტენ. ზემოთგან რომელიცაა, ბრეზენტი აქვს გადაფარებული. სხვებისათვის სახეზე ცხვირსახოცები გადაუფარებიათ, და პირისპირ ვცხოვრობთ მიცვალებულებთანა, ერთიმეორეზე რომ არიან დაყრილნი, ცოცხალ კოკონის მსგავსად.

* * *

ოთხმა ღამემ გაიარა მას აქეთ, რაც ესენი ყველანი ერთათ მოჰკლეს. კარგათ არ მაგონდება ეს ღამე, სიზმარივითა ვნახე. პატრულებად ვიდექით: იგინი, მე, მკნილ ანდრე და კაპორალი ბერტრანი. დაგვავალეს დაგვეზვერა მტრის ახალი სადარაჯო პოსტი, რომლის შესახებ საარტილერიო მზვერავებმა გვითხრეს. შუაღამისას სანგრიდან გამოვედით და ფერდობი ფორთხვით ჩავიარეთ. ბაწარაღებით მივდევდით ერთმანეთს, ასე სამ-ოთხ ნაბიჯით ვშორავდით ერთიმეორეს. ამ სახით სულ დაბლა ჩავედით ხრამში, სანამ დავინახავდით მაგათს ინტერნაციონალურ შემაერთებელ ხერელის ნაპირს, დავარდნილ საქონლის გაბრტყელებულ სხეულის მსგავსს. როცა დავრწმუნდით, რომ ამ ადგილას მათი პოსტი არ იყო, ისევ ამოვედით დიდის სიფრთხილით; ბუნდათ ვხედავდი ჩემს მარჯვნით და მარცხნით მომავალ მეზობლებს, ჩრდილის ტომრების მსგავსებს. ძლივას მობობღავდენ, ფეხები უცურდებოდათ, ბარბაცებდენ, ტალახში ვარდებოდენ ბნელაში, თოფებს

წინა სწევდენ. ჩვენს თავს ზემოდან ტყვია ზუზუნით გადაიოდა, მაგრამ ტყვიამ არ იცოდა, ვინ ვიყავით, ჩვენ არ გვეძებდა. ჩვენის ხაჩის ბორცვამდე რომ მოვატანეთ, ცოტა სული მოვითქვით; ერთმა ჩვენთაგანმა ამოიხვნეშა, მეორემ ლაპარაკი დაიწყო, მესამე მოტრიალდა, როგორღაც უხერხულათ შეექნა მოტრიალება და ხიშტი ქვას მოხვდა და დაიწკარუნა. მაშინათვე „ინტერნაციონალური“ გასავალთან მაშხალა აუშვეს. ერთმანეთს მივეჰუჰკენით, აღარ ვიძროდით და ველოდით, როდის ჩაქრებოდა ჩვენს ზემოდან დაკიდებული საშინელი ვარსკვლავი, ცხოველის სინათლით რომ გაგვანათა ჩვენის სანგრიდან ასე ოცდა ხუთ-ოცდაათის მეტრის მანძილზე მყოფნი. შემდეგ ხრამს გაღმა დაგმულმა ტყვიის მფრქვეველმა მთელს იმ ზონას, საცა ჩვენ ვიყავით, მორწყვა დაუწყო. კაპორალმა ბერტრანმა და მე მაშხალის აშვების დროს მოვასწარით ძაბრში ჩაძრომა. ძაბრი უკმბარას გაეკეთებინა და შიგ, ტალახში, დამტვრეული გადაჯვარედინებული თოფები ეყარა. ორივე ძაბრის ამოწეულ ნაპირს ავეკარით და ტალახში ჩავეფალით, თოფებს ამოფარებულები. რამდენჯერმე გადაგვიარა ტყვიის წვიმამ. ყოველ გასროლის დროს მოგვესმოდა გულის გამაწვრილებელი სტვენა, მერე გვესმოდა, როგორ ვარდებოდენ მშრალათ ტყვიები მიწაზე. ამავე დროს გაისმოდა ტყაპუნი, კვნესა, ერთბაშათ დაყვირება და ხრიალი და ისიც მალე მისწყდებოდა. ჰორიზონტალურათ მომავალი სეტყვა ტყვიებისა ჰაერს ამოძრავებდა და დაგვიქროლებდა. ტყვია სულ რამდენისამე სანტიმეტრის სიმაღლეზე გადაგვირბენდა თავზე და ერთ-ორჯელ ტანისამოსიც კი აგვიწვა. რაცა ძალა და ღონე გვქონდა, მიწას ვეკვროდით და განძრევას ვერა ვბედავდით. ბოლოს ტყვიის მფრქვეველი გაჩერდა. საშარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მეოთხედ საათს უკან ორივე ძაბრიდან გამოვედით ძ მუხლებით და იდაყვით დავიწყეთ ფორთხვა. ბოლოს დაჭანცულები და ღონეგამოლეულები ჩვენს სადარაჯო ფოსტთან მოვედით და იქვე და-

ვეყარენით. და სწორეთ დროზე მოვედით, ამიტომ რომ სწორეთ ამ დროს მთვარეც გამოჩნდა. ამას შემდეგ სანგრის ძირში დილამდე ვიყავით, მეორე დღე საღამომდე იქავე გავატარეთ. ტყვიის მფრქვეველები განუწყვეტლივ ისროდენ: სადარაჯოს პოსტის სანათურიდან მიწაზე გაშხლართული მკვდრები ნიაღაგის უსწორმასწორობის გამო არა ჩანდა. მხოლოთ თუ ძალიან დააკვირდებოდით, დაინახავდით რაღაც მასას: ერთ-ერთ მათგანის ზურგი უნდა ყოფილიყო. საღამოს თხრილს თხრა დავიწყეთ, რომ იმ ადგილამდე მისულვიყავით, საცა ჩვენი ამხანაგები დაიხოცნენ. მაგრამ ეს სამუშაო ერთ ღამეში ვერ დავასრულეთ; მეორე ღამეს ისევ განაახლეს მუშაობა საგანგებოთ მოწვეულმა მიწის მთხრელებმა, რათგან საშინლათ დავიღალენით და არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეძინა.

მკვდარიცით მძინებოდა. რო გავიღვიძე, დავინახე ოთხი მკვდარი, მინდვრებიდან საჰერებს რომ აეკრიფათ თხრილიდან გადასროლილი ჩანგლებისა და თოკების საშუალებით. თითოეულს მათგანს რამდენიმე ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ერთიმეორის ახლო-მახლო. მხოლოთ მენილ ანდრეს გვამი ვერ ეპოვნათ. მისი ძმა ჟოზეფი კინაღამ გაგიჟდა. რადაც უნდა დამიჯდეს. უნდა მოვძებნოვო. მარტოდ-მარტო გამოვიდა ველზე, რომელსაც ტყვიისმფრქვეველი სეტყვასებ აყრიდა ტყვიას. მეორე დილას, ლოკოკინას მსგავსად მოფოფხდა. სახე ტალახში ჰქონდა მოსვრილი. დარდისაგან გადარეულიყო.

შევათრიეთ სანგარში. ლოყები სულ დალადრული ჰქონდა მავთულის ეკლებისაგან, ხელები სისხლში ამოსვრილი, მთლათ ტალახში იყო ამოგანგლული და მკვდრის სუნი უდიოდა. გიჟივით სულ ერთსა და იმასვე იმეორებდა: „არსადაა". მერე ერთს კუთხეში მიეგდო თავის თოფიანად, და თოფს წმენდა დაუწყო. არაფერი ესმოდა, რას ეუბნებოდენ, და ერთავათ გაიძახოდა: „არსად არის".

მას აქეთ უკვე ოთხმა ღამემ გაიარა და ვუყურებ ამ

სხეულებს განთიადის სინათლეზე, რომელიც ისევ გამოჩნდა, რომ მორეცხოს ეს საქაო ჯოჯოხეთი.

გაცივებული ბარკი უშველებელ ტანისად გვეჩვენება. ხელები სიგრძეზე ტანს მიჰკვრია, გული დამსხვრეული აქვს, მუცელი შიგნით ჩასჭეჭყია. თავი მაღლა აქვს აწეული ქვეშიდან მიკრულ მიწისაგან, და ვინც მარცხნიდან მიუდგება, თითქო ფეხებს ზევიდან უყურებსო. სახე-მოღუშულს გასვრილი თმები ზედ მისწებებია, აჭრილ სისხლის ლაქებით დაფარულია. ევდოკი კი, პირიქით, სულ დაპატარავებულა: მისი პატარა სახე მთლათ თეთრია, ისე თეთრია, რომ გეგონებათ ჯამბაზის გაპუდრული სახეაო. შიშსა გვრის კაცსა მისი სახე, თეთრ ქაღალდის მრგვალ ნაჭრის მსგავსი, ნაკრისფერ და დალურჯებულ ცხედრებ შორის. ბრეტონელი ბიკე, ბრგე და ქვის ლოდივით ოთხკუთხი, ისეთ კაცის შთაბეჭდილებასა გვგვრის, რომელიც თავს საშინელს ძალას ატანს: თითქო ჯანყ-ბურუსს უნდა შეუჯდეს და მაღლა უნდა ასწიოსო. ამ ძალისდატანებისაგან წამოშვერილ ლაწვებიანი და შუბლიანი სახე დაჭყანვია, მიწიანი და გამშრალი თმა ალაგ-ალაგ აბურძგვნია, პირი დაღებული დარჩენია; ალბათ დაყვირება უნდოდა, თვალები სულ ღია დარჩენია, კაკის მსგავსი; ხელები უკანასკნელ გაჯაჭოლებაზე დაკრუნჩვია.

ბარკსა და ბიკეს ტყვიები მუცელში აქვსთ მოხვედრილი, ევდოკს—კისერში. ჩანგლებით გადმოთრევის დროს გვამები უარესათ დასახიჩრებულა. მსხვილი ლამუზი, ეტყობა, სრულებით დაცლილა სისხლიდან. მის დასივებულ სახისა და ჩაცვენილ თვალების ყურება გულსა გვზარავს. საკარვე ტილოში შეუხვევიათ და კისრის ალაგას მოშავო ლაქა ეტყობა. რამდენისამე ტყვიისაგან მარჯვენა მხარი სრულებით დამსხვრევია და ხელი ჩამოკიდებული აქვს თოკით შეხვეულ ტანისამოსის სახელურის ნაფლეთებითა. პირველ ღამეს ეს გაყვით-

ლებული ხელი დაჰკიდებდა და ვინც გაუვლიდა, ყველას სახეზე ხვდებოდა. ამიტომ ქინძისთავით მაზარაზე მივამაგრეთ.

სულისშემხუთავი სუნი გაედინა ნეშთებს ამ ცოცხალ არსებათა, ვისთანაც ასე სიამტკბილობით გვიცხოვრია და ამდენი ხანი ერთათ გვიტანჯვნია.

როცა ვუყურებთ, ვიძახით: „ოთხივე მკვდარიაო". მაგრამ იმდენათ დასახიჩრებულნი არიან, რომ არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ მართლა ჩვენი ამხანაგები არიან, თუ არა. და თვალი უნდა მოვარიდოთ ამ უმოძრაო საშინელ არსებათ, რომ მხოლოთ მაშინ ვიგრძნოთ, თუ რა ზომამდე დაგვაობლეს ჩვენმა მიცვალებულმა ამხანაგებმა.

სხვა გუნდებისა და პოლკების სოლდათები, აქ დღისით რომ გამოიცლიან, სანგარში დაყრილ მკვდრებს რომ დაინახვენ, შეშინებულები უკან იხევენ. ზოგს გული-კი მოსდის:

— ნეტავ ვიცოდე, მკვდრებს აქ რა უნდა, აქედან ვერ წაიღებენ!

— სირცხვილი და თავლაფდასხმაა.

მერე დასძენენ:

— ისიც მართალია, რომ აქედან მათი წაღება შეუძლებელია.

მანამდე კი მათი საფლავი—მხოლოთ ბნელი ღამეა.

გათენდა. ჩვენს პირდაპირ ხრამის მეორე ფერდობი მოსჩანს—სიმაღლე „119", გადასერილი, გადაბარული, გადახნული ღ გაესებული ძაბრებითა, შენაერთებელ გასავალებითა ღ ერთი-მეორეს გვერდთ მიმავალ კირნარიან და თიხნარიან სანგრებითა. ზედ არაფერი იძვრის. ჩვენები ყუმბარებს უშენენ ბოლქვა-ბოლქვა კვამლი დგება, ქაფის მსგავსათ. ყუმბარების დარტყმის ხმა ისე მოისმის, თითქო გაოხრებულს და დანგრეულს კედელს რასმე ეხეთქებაო.

ჩემი მოსრიგეობა გავათავე. მიწაში ჩამალული სხვა მოსრიგენიც ამოძვრენ კარვის ტილოებ მოსხმულები, ტალა-

ხიანები, გაყვითლებულები. მეორე მწყობრმა სათოფურებთან დაიჭირა ადგილი. ჩვენ-კი ვისვენებთ სალამომდე.

ვამთქნარებთ, იქით-აქეთ დავდივართ. ხან ერთი ამხანაგი გამოგვივლის, ხან მეორე. სანგრებში ოფიცრები გაფაცებით დადიან, ხელში პერისკოპი და ჭოგრჭბი უპირავსთ. ნელ-ნელა გონს მოვდივართ და ისევ ვიწყებთ ჩვეულებრივს ცხოვრებას. გაისმა ყოველდღიური ლაპარაკი, შეკამათება. ჩვენს სანგრებს, სადაც ხრამის ფერდობზე ჩამარხულები ვართ, გაოხრებული სახე რომ არა ჰქონდეს და გარდა ამისა, შიგ ხმამაღლა ლაპარაკი აკრძალული რომ არა გექონდეს, გვეგონებოდა—ზურგის სანგრებში ვართო. დაღლილობისაგან ფეხზე ვერავინ დგება, ყველა ჩაყვითლებულია, თვალებგაწითლებული. უძილობისაგან ისეთი ფერი დაგვედო, თითქო დიდისხნის ნამტირალევნი ვართო. რამდენსამე დღეში წელში მოვიხარენით და ბებრებს დავემსგავსენით.

ჩვენის მწყობრის სოლდათებმა თითო-თითოთ მოიყარეს თავი სანგრის ერთ მოსახვევთან. აქ სანგარს ფსკერი კაჟნარისა აქვს, ზევიდანაც, მიწის ქერქს ქვემოთ, საცა მცენარეთა ფესვებია გამოსული, თეთრის ქვის ფენებია. ასი ათასი წელიწადი მაინც იქნება, რაც ამ ფენებს ადამიანი პირველათა ხედავს.

აქ, ფართო გასავალთან, დაბინავებულია ბერტრანის მწყობრი. ახლა ძალიან შემცირებული კია. იმ ღამეს რომ დაიხოცნენ, იმათს გარდა გვაკლია პოტერლუ, მოწინავე ხაზიდან დაბრუნების დროს რომ მოჰკლეს, გვაკლია კადიიაკი, —ამას ფებში მოხვედრია ყუმბარის ნატეხი იმავ სალამოს, რა სალამოსაც პოტერლუ მოჰკვდა, გვაკლია კიდევ ტირლუარი და ტულაკი,—ესენი საქიმოთ წაიყვანეს: ერთს დიზენტერია გამოაჩნდა, მეორეს ფილტვის ანთება. ტულაკმა ღია წერილიც კი გამოგვიგზავნა ლაზარეთიდან—ცუდათ არის ჩემი საქმეო.

ერთხელ კიდევ ვხედავ ამ ხალხს, ერთათ თავმოყრილს,

მიწაზე გორაობისაგან გასერილს, თოფის-წამლისაგან გაშავებულს. კიდევა ვხედავ მათს ნაცნობ სახეს, მათს ნაცნობ მიხვრა-მოხვრას; ვხედავ იმათ, ვისთანაც ომის დასაწყისიდან ერთათ გვიტარებია დრო, ძმურათ გვიცხოვრია ერთათ. თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ წინანდელებს ნაკლებათა ვგევართ გამოქვაბულებში მცხოვრებ ხალხის ჩაცმულობითა...

ძია ბლერს საკოხტაოდ თავისი თვალის მომშრელ სითეთრის ახალი კბილები აქვს ჩასმული. მის საცოდავ სახეზე ამ ჩასმულ ყბას-ღა ხედავს კაცი. ბლერი ცოტ-ცოტათი შეეჩვია ამ კბილებსა და ხანდისხან საშმეოსაც კი ჰლეჭავს. მისი ხასიათი და ზნე ამ უცხო კბილების ჩასმამ ძალიან გამოსცვალა: გამჯრუელი თითქმის ნაკლებათაა და თვისს გარეგნობასაც მეტის ყურადღებით ეკიდება. რაკი გალამაზდა, კოხტაობაც მოინდომა. ამ წუთას დაღვრემილია, შეიძლება იმიტომაც იყოს დაღვრემილი — ოჰ, საკვირველებავ! — რომ ადგილი არსადაა, ხელპირი დაიბანოს. კუთხეში მიჯდა, განზე იცქირება, მობუზღუნე კაცივით ულვაშებს იკვნეტავს — წინათ ეს ულვაშები-ღა იყო მისის სახის დამამშვენებელი — და ნაკვნეტ ბალანს გამოაფურთხებს ხოლმე.

ფუიადს სურდო შეხვდა და ბაბანებს, ან და ამთქნარებს, მობუზული, გაცრეცილა. მარტოო რაც იყო, ისევ ის არის: წვერმოშვებული, მრგვალ და ლურჯ თვალება. ფეხები ისეთი მოკლე აქვს, გეგონებათ, ძიქვა, ეს-ეს არის, ქამარს მისცილდება და ზედ ფეხებზე დაჰვარდებაო. კოკონი ისევ კოკონია: მის მოტვლეპილ, პერგანენტის ქაღალდის მსგავს თავში ციფრები ფუსფუსებს; მაგრამ ამ ერთის კვირის განმალობაში თავზე ტილები ისე დახვევია, რომ კისერში და სახელოებიდანაც გამოაცოცდება ხოლმე. ამიტომ ერთავათ მათთან ბრძოლაშია გართული. და ამ ბრძოლას შემდეგ ჩვენთან როგ მოვა, ცუდ გუნებაზეა ხოლმე. პარადიზს ძველებურათ შერჩენია მბიარული გუნება და კარგი ფერი სახისა; უცვლელია, უცვეთელია. ყველას გვეცინება, როცა შორიდან და-

ვინახავთ. მიწიან ტომრებ შორის ისე გამოსჩანს, როგორც ახალი აფიშა რამ. ერთი ბეწოთიც არ არის გამოცვლილი პაპენი: იგივე შავ-წითელი მუშამბის საშახმატე დაფა ზურგზე აქვს მიკრული, იგივე სახე, დანის პირივით გაფხავებული, იგივე ცივი, ნაცრისფერი თვალები. არც ეოლპატია გამოცვლილი: შერჩენია გეტრები, ხმრებზე საბანი აქვს გადაგდებული, პირისახე კიდევ, ტალახით ტატუაჟგაკეთებული, ანამიტელ კაცს მიუგავს. ტირეტიც წინანდებური დარჩენილა: თუმცა ეს უკანასკნელი ხანია, რაღაც უცნაური აღელვება ეტყობა, მიზეზი არავინ იცის, თვალებიც-კი გაუხისხლიანდა. ფარფადეს განზე უჭირავს თავი, დაფიქრებულია, რაღასაც მოელის. მხოლოთ წერილების დარიგების დროს ოცნებისაგან გამოერკვევა, მერე ისევ გულჩათხრობილია. მისი ხელები, როგორც ნამდვილ კანცელიარისტისა, აუარებელ ღია წერილებსა სწერს, სუფთათ, გულმოდგინებით. ევდოკსიას რა მოუვიდა, ჯერ არ იცის. ლამუზს სხვა არავისათვის უამბნია, როგორ მოეხვია ამ ქალს უკანასკნელათ და ან რა საშინელება იყო ეს მოხვევა. ლამუზი, მეშგონია, იმასაც ნანობდა, რომ მე გამიმჟღავნა, და სამარის კარამდე ყველას უმალავდა თავისს საიდუმლოებას. აი ამიტომაა, რომ ფარფადე ისევ ოცნებობს თავის ქერათმიან ქალზე, მისი ფიქრი და აზრი ამ ქალთან არის, და ამ ფიქრსა და აზრს მაშინ-ღა ანებებს თავს, როცა ჩვენთან გამოლაპარაკება მოუნდება კაპოროლს ბერტრანს ისევე სერიოზათ უჭირავს თავი, მამაცათ, წინანდებურათ დამშვიდებულის სახით გვიღიმის, თუ რამე ვკითხეთ, დაწერილებით, ნათლათ განგვიჯარტავს ხოლმე, ყველას ეხმარება მოვალეობის ასრულებაში.

ისევე ვბაასობთ, როგორც წინათ, მაგრამ ჩურჩულით ლაპარაკის ნება-ღა გვაქვს, ამიტომ ისე ბევრს ვერა ვლაპარაკობთ და თან თითქო მგლოვიარენი ვართო.

* * *

ერთი უცნაური რამ ამბავია: ეს სამი თვეა, ყოველი ერთეული ჯარის ნაწილი მოწინავე ხაზის სანგრებში ოთხ-ოთხ

დღეს უნდა ყოფილიყო. აგერ მეხუთე დღეა აქა ვართ, ყურს არავინ იბერტყავს, გამოსაცვლელები ვართ თუ არა. ხმა დადის, ამ მოკლე ხანში შეტევაზე გადავალთო. ეს ამბავი შემაერთებელ და სურსათის მომწოდებელ სამსახურის სოლდათებმა მოგვიტანეს. სურსათი ყოველ ორ ღამეში ერთხელ მოაქვსთ, ისიც არარეგულიარულათ. ხანდისხან შეიძლება აღარც კი მოკვიტანონ და სრულებით უსურსათოდ დავრჩეთ კიდეცა. ახვა ნიშნებიცაა მომავალ შეტევის დაწყებისა. შვებულებას არავის აძლევენ, წერილები აღარ მოგვდის; ოფიცრებიც როგორლაც სულ სხვანაირები გახდენ: სერიოზულები და დაფიქრებულნი არიან. ამ საგნის შესახებ ლაპარაკი სულმუდამ იმით თავდება, რომ მხრებს შევიშმუშნით ხოლმე და მოვრჩი: სოლდათს წინდაწინ არავინ ეუბნება, თუ რა უნდა უყონ; თვალებზე რიდეს დააფარებენ ხოლმე და ამ რიდეს მხოლოთ უკანასკნელ წამს ჩამოხდიან. ამიტომ ასე ვათავებთ ხოლმე ლაპარაკს:

— ვნახოთ.

— მეტი რა გზა გვაქვს, უნდა ვუცადოთ.

ამ მომავალ უბედურობის შესახებ ჩვენც გავჩუმდებით ხოლმე. მერე რატომა ვჩუმდებით, რატომ არაფერს ვამბობთ? შეიძლება იმიტომა ვჩუმდებით, რომ არ შეგვიძლია ამ კითხვას სავსებით გავუგოთ თავი და ბოლო; შეიძლება იმიტომაც იყოს, რომ ვერა ვბედავთ ჩავუკვირდეთ, რაც ბედისაგან გვიწერია და ჩვენგან საიდუმლოების რიდეთი ერის დაფარული, ან კიდევ შეიძლება იმიტომ იყოს, რომ ჩვენ ყველაფერს ვემორჩილებით, ან და იმიტომ, რომ ჩვენში სულ მუდამაა იმედი— იქნება ახლაც აგვცდეს ხიფათი და განსაცთელიო, იქნება ახლაც გვერდთ ჩაგვიაროს სიკვდილმაო. ასეა თუ ისე, მიუხედავათ ყოველგვარ ნიშნებისა და წინასწარმეტყველებისა, რომელიც, როგორც ეტყობა, ახლა უნდა გამართლდეს, ჩვენი არსება ჩანთქმულია დღიურ პირვარამისათვის ზრუნვითა: ვფიქრობთ, რა ვეჭამოთ, რა ვსვათ, როგორა ვხოცოთ ტილე-

ბი, თითის ფრჩხილები სულ ერთიანათ რომ დაგვისისხლიანეს, როგორ გავუძლოთ საშინელ დაღლილობას, უკანასკნელი ძალღონე რომ გამოგვაცალა.

— ამ დილას ჟოზეფი ხომ არ გინახავს?—მეკითხება ვოლპატი.—საწყალი ბიჭი! ცუდათაა მაგისი საქმე.

— დარწმუნებული ვარ, რასმე აუტეხავს თავისს თავს. ნახავ, თუ არა. წერამ აიტანა საცოდავი. შემთხვევა მიეცემა თუ არა, გულს თვითონვე შეუშვერს ტყვიას.

— მე შენ გეტყვი და სადარდებელი ლ ჰკუიდან შესაშლელი არა აქვს! ღმერთი ძმანი იყვნენ. ოთხი მათგანი მოჰკლეს: ორი ალზასში, ერთი შამპანში და ერთიც არგონში. თუ ანდრეც მოკლულია, ეს მეხუთე იქნება.

— რო მოეკლათ, მისს გვამს იპოვიდენ, ან საზვერავ პუნკტიდან მაინც დაინახავდენ. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა. მე მგონია, იმ ღამეს, როცა ესენი პატრულებზე იყვნენ წასულნი, ალბათ გზა დაეკარგა სადმე და ამხანაგებს ჩამოშორდა. საწყალი ბიჭი სხვა გზით წაბობღდებოდა და მერე გერმანელებს ჩაუვარდებოდათ ხელში.

— შეიძლება მაგათს მავთულის ღობეს წააწყდა და ელექტრონის ნაკადმა სული გააფრთხობინა...

— კაცო, რით ვერ გაიგე, მკვდარი რო ყოფილიყო, ჩვენები იპოვიდენ, გერმანელები ხომ არ დაასაფლავებდენ! შენ თვითონ იცი, რამდენი ეძებეს. და რა-კი ვერ იპოვეს, ეტყობა, გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში ან უვნებელი და ან დაჭრილი.

ყველას ჰკუაში დაუჯდა ეს ჰკვიანური ახსნა-განმარტება. და ახლა, როცა ანდრე მენილს ტყვედ ჩავარდნილადა ვსთვლით, მისი დარდი ალარა გვაქვს. მაგრამ ძმა მაინც თავს იკლავს.

— საცოდავი, რა ჯელია!

სოლდათები ქვეშ-ქვეშ უყურებენ ჟოზეფსა.

— მშიან!—წამოიძახა ერთბაშათ კოკონმა.

ვახშმობის დრო გადასულია და საშმელი მოვითხოვეთ. შართალია, ვახშამი არის, მაგრამ წინადღით მოტანილის ნარჩენია.

— კაცო, ე კაპორალი რაღას ფიქრობს, შიმშილით ხომ არ უნდა ამოგვხოცოს? აჰა, ისიც მოდის. ახლავე დედას ეუტირებ... კაპორალო, რას აკეთებ, რატომ საშმელს ალარ იძლევი?

— გვშიან, გვშიან!—ერთხმათ ღრიალებენ დამშეულები.

— ახლავე მოვალ,—ეუბნება გართული ბერტრანი, სულმუდამ მოუცლელი—დღეცა და ღამეც.

— რას გვიშვრებიან, ნეტავ ვიცოდე?—ბუზღუნებს პეპენი, სულმუდამ გაბოროტებული.—ბევრი კი არაფრად მეპიტნავება სულმუდამ მაკარონის ჭამა. მეც ავდგები და კონსერვს გავხსნი.

— ღმერთი არ გაგიწყრესთ და კონსერვებს ხელი არ ახლოთ,—ეუბნება ბერტრანი.—კაპიტანთან მივდივარ და იქიდან მოვბრუნდები თუ არა, ვახშამს გაშმევთ.

რო დაბრუნდა, თან მოიტანა და დაგვირიგა საშელი. ვსჭამთ კარტოფილის სალათს, ხახვჩაშრილს, და რაც უფრო ვძღებით, სახე გვიბრწყინდება, თვალები გვიმშვიდდება.

ვახშმის პატივსაცემლათ პარადიზმა თავზე პოლიციელის ქუდი ჩამოიფხატა. აქ არც ადგილია სამაგისო და არც დრო, მაგრამ ქუდი კი სულ ახალთ-ახალია; თერძი ჯერ ისევ ამ სამ თვის წინათ დაჰპირდა—შევიკერავო, ახლა, როგორც არი, პირობა შეუსრულებია სწორეთ იმ დღისათვის, რა დღესაც ჩვენ მოწინავე ხაზისაკენ გვისტუმრებენ. ეს რბილი ქუდი, ღია ლურჯ მაუდისა, მისს მუდამ მოლიმარე და ღაჟღაჟა სახეზე ჩამოფხატული, პარადიზს ბავშვების სათამაშო ჟანდარმის სახეს აძლევს. პარადიზი თან ილუკმება და თანაც მე მიყურებს. ახლო მივიწიე.

— რო იცოდე, რა გიხდება ე ქუდი!

— კარგი ერთი! — მიპასუხა. — მინდა რამე გითხრა. განზე გავიდეთ.

მისწვდა თავისს ტოლჩას, ნახევარათ საესეს, თეფშთან რომ იდგა, ყოყმანობს, მერე გადასწყვიტა — ყველაზე უკეთესი ალაგი შესანახად ჩემი ხახა იქნებაო, გადაჰკრა და ტოლჩა კიდენ ჯიბეში ჩაიდო. წამოდგა და იქაურობას მოშორდა.

მე უკან დავედევნე. გზად თავისი მიწურ საჯდომზე დადებული კასკა აიღო. ათიოდ ნაბიჯი რო გაიარა, მომიახლოვდა და ჩუმათ მითხრა რაღაც უცნაურის სახით. ჩვეულებადა აქვს ხოლმე, როცა გულაჩვილებულია, რომ მელაპარაკება, თვალებში არ მიყურებს. ახლაც ისე მოიქცა:

— მე ვიცი, საცაა მენილ ანდრე. ხომ გინდა მისი ნახვა? წამოდყე.

ეს რომ მითხრა, პოლიციელის ქუდი მოიხადა, დაჰკეცა და ჯიბეში ჩაიდო. თავზე კასკა დაიხურა. შეუდგა გზას. მეც ხმის ამოუღებლივ მივდევ.

ორმოცდათიოდ მეტრი გავიარეთ აქედან. და მივედით იქ, საცა საერთო ბინაა. იქვეა რაღაც ბოგირის მსგავსი, მიწით გატენილ ტომ-ებისაგან გაკეთებული. როცა ამ ბოგირს ქვეშ გინდა გაიარო, ძალიან უნდა დაიკუზო და თან გეშინიან, საცაა, ყველაფერი ზურგზე დამეყრებაო. ამ ბოგირს იქით სანგრის კედელში მიწაა შეწეული და პატარა კიბეცა აქვს წკნელისა, თიხით დაფარული. პარადიზი ამ კიბეზე ავიდა და მანიშნა, შენც ასე მოიქეციო. ამ ადგილას წინათ დარაჯისათვის ჰვრიტიმალი იყო, მაგრამ მერე ამოჰქოლეს. სათოფური ცოტა ქვემოთ იყო გამოჭრილი და ორი ფარიცა ჰქონდა, ტყვიის საწინააღმდეგო. იმისთვის რომ ამ სასკმელს ზემოდან კაცმა თავი ვერ გაჰყოს, საჭიროა დაიკუზოს.

პარადიზი დაბალის ხმით მეუბნება:

— ეს ორი ფარი მე გავუკეთე, რომ უშიშრათ შეძლებოდა გარეთ გახედვა. იცი, ერთი ზრი რამ დამებადა და

მინდოდა გამეგო, შეეძლებდი მისს ასრულებას თუ არა. აბა ამ ხვრელში გაიხედე.

— ვერასფერსა ვხედავ. რალაც ეფარება. რა ბოხჩა გდია მანდ ნახევებისა?

— იგია,—მეუბნება პარადიზი.

მკვდარი იყო, მკვდარი, ხვრელში ჩამჯდარი, ჩვენგან საზარლათ ახლოს.

პირისახე ფოლადის ფარს მივადევი და ხვრელში გავიხედე. მთლათ დავინახე. ეყუნტა, თავი ფეხებ შუა ჩაჰკიდებოდა, ხელები მუხლებზე დაეწყო, თითები მოჰგრეხოდა ჭ სულ ახლოს იყო, სულ ახლოს!—ადვილათ ვიცანი, თუმცა თვალები გადმოჰკარკლოდა, გაჰბუნდებო და გაელმებოდა, წვერი ტალახითა ჰქონდა სავსე, პირი მოჰღრეცოდა და კბილები დაეკრიჭა. თოფი წინ ედგა, ტალახიანი, და თითქო უღიმის კიდეცა და ეშყანება კიდეცაო. წინ გაშვერილი ხელები მთლათ დალურჯებოდა ზემოდან და შავებედითათ დასწითლებოდა ქვეშიდან.

ანდრე მენილი იყო. ზედ წვიმა დასდენოდა; ტალახი და რალაც ქაფის მსგავსი ზედ შეხმობოდა: ჰუჩუიანი იყო და გულშემზარავათ ყვითელი. ოთხის დღის მკვდარი იყო; ჩვენის სანგრის ბექობს ახლო ამ ხვრელში მჯდარა; და კიდეც იმიტომ ვერ ეპოენათ, რომ სულ ახლოს ყოფილა.

ამ უპატრონოთ, მარტოდ-მარტო დაგდებულ მკვდარსა და იმ ხალხს შუა, სანგარში რომ ცხოვრობს, ტიხრია, მიწისა, და რო კარგათ დავუფიქრდი, ის ადგილი, სადაც თავს მივდებ ხოლმე, როცა დასაძინებლად ვწვები, გარედან დაახლოვებით იმ ადგილის პირდაპირაა, საცა ჩაკვეხებულია ეს მკვდარი.

ჰვრიტიმალს თვალები მოვაშორე.

მე და პარადიზმა ერთმანერთს გადავხედეთ.

— ძმას ჯერ არაფერი ეუთხრათ,—ჩურჩულით მეუბნება ამხანაგი.

— ჰო, ჯერ არა...

— კაპიტანს ველაპარაკე, მკვდარი უნდა წამოვიღოთ-შეთქი; იმანაც ისე სთქვა: „ძმას ჯერ არაფერი უთხრათ“.

მსუბუქმა ნიავმა გაისისინა.

— სუნია...

— ჰაი, ჰაი, რომ არის!

შეიყნოსეო. აზრებამდე ჩაგვწვდა, გულ ღვიძლი გადმოგვიტრიალა.

— მაშ ასე,—იძახის პარადიზი,—ექვს ძმაში მარტო ჟოზეფი დარჩა. ერთი რამ უნდა გითხრა: დიდი დღე არც ამ ბიჭსა აქვს. თავი სრულებით არ ეზოგება საცოდავს. განგებ წაუდგება სიკვდილს პირში. ნეტავ როგორმე დაიჭრებოდეს და გადარჩეს, თორემ სხვაფრივ მისი საქმე ხელიდან წასულია. ექვსის ძმის სიკვდილი მეტის-მეტია. შენ რას იტყვი, ასე არ არის?

მერე დაუმატა:

— საკვირველი არ არის, რომ ასე ახლოს ყოფილა ჩვენგან!?

— მისი მკლავი სწორეთ იმ ადგილის პირდაპირა დევს, საცა მე თავი მიდევს ხოლმე ძილის დროს.

— ჰო,—მიპასუხა პარადიზმა,—მარჯვენა მკლავი, რომელზედაც საათი აქვს გაკეთებული...

საათიო... გაეჩერდა... ცხადლივ იყო, თუ სიზმრად? მე მგონია, და ახლა დარწმუნებულიცა ვარ, რომ ამ სამ დღეს წინათ, დაძინებამდე, ღამით, როცა ასე დაღლილები ვიყავით, თითქო საათის ტაკა-ტუკი მესმოდაო და ჩემს თავსა ვკითხე კიდეცა, ეს ხმა საიდან უნდა მოდიოდეს-მეთქი.

— შეიძლება მიწის თხელ კედელში გაატანა საათის ტაკა-ტუკმა და შენც გაიგონე,—მითხრა პარადიზმა, რომელსაც ჩემი მოკონება გაეუხიარე.—კაცი მოკვდა, გაჩერდა, საათის მანქანა-კი მუშაობას განაგრძობდა. მანქანა იმას რადი უყურებს, პატრონი რასა შვრებაო. იგი თავისთვის მიდის და ისრებით წრეს ავლებს.

ერთხანს სიჩუმეს შემდეგ პარადიზს ვეკითხები:

— ხელები სისხლში აქვს მოსვრილი; ნეტავ ტყვია სად უნდა მოხვედროდა?

— არ ვიცი. მე მგონი მუცელში, ამიტომ რომ მუცელს ქვემოდან რალაც შავი ლაქა ეტყობა. შეიძლება სახეშიაც მოხვდა. ლოყაზე პატარა ლაქა არ დაგინახავს?

მოვიგონე გამწვანებული სახე მკვდრისა.

— ჰო, მართალი ხარ, ლოყაზე რალაცა ატყვია. შეიძლება ტყვია იქ მოხვდა...

— ჩუმათ!—მითხრა საჩქაროთ პარადიზმა,—აი, მოდის! აქ როდი უნდა გაჩერებულვიყავით.

ჩვენ მაინცა ვდგევართ და არ ვიცით, რა ვქნათ. ჟოზეფ მენილი პირდაპირ ჩვენკენ მოდის. აგრე დასუსტებული, როგორც ახლა იყო, თავის დღეში არ გვინახავს. მისი გაყვითლებული და დატანჯული სახე შორიდანვე სჩანს. სიარულის დროს წელში იკაკვება, ნელა მოდის, დაუსრულებელ დაღლილობისა და დარდისაგან დატანჯული.

— სახეზე რა გაქვს?—მეკითხება მენილი.

დაუნახვივარ, როცა პარადიზს სახეზე ნატყვიარის ადგილს ვუჩვენებდი.

თავი მოვიკატუნე, თითქო მისი კითხვა არც კი გამეგო და რალაც ორპოფული პასუხი მივეცი.

— ჰო, მაშ ასე იყო?—მიპასუხა დაბნეულათ.

ამ დროს შიშმა შემიპყრო: სუნი იდგა. ეს სუნი ყველას ეცემოდა და ყველაც მიხვდებოდა, რომ მკვდრისა იყო. ვაი თუ იფიქროს-მეთქი, რომ...

მე მგონია, მაშინვე მიხვდა ამ ჩვენშანს, რომლითაც საცოდავი მკვდარი ეძახდა. მაგრამ არაფერი უთქვამს, მოგვშორდა და განაგრძო განმარტოებულათ სიარული და მოსახვევს მიეფარა.

— გუშინ,—მიამბო პარადიზმა,—სწორეთ აქ მოვიდა, ხელში ფლავით საესე ჯამი ეჭირა. თვითონ არ უნ-

დოდა ჭამა. განგებ აქ გაჩერდა, მოიქნია ჯამი და სანგარს გარეთ უნდა გადაეყარა ფლავი, სწორეთ იქითკენ, საცა მიცვალებულია. აბა ამის ნებას როგორღა მივსცემდი, ხელი დაეუპირე სწორეთ იმ წუთას, როცა ჯამი გადმოაპირქვავა ფლავი აქ დაიპნა, სანგარს შიგნიდან. საშინელი გული მოუვიდა, მთლათ აინთო და მომვარდა: — „რას სჩადი? ხომ არ გაგიჟდი?“ სულ მთლათ დავიბნიე და წავილულღლულე, — მარცხათ მომივიდა-მეთქი. მხრები შეიშმუშნა, მერე გაფხორილ მამალივით შემოიბღვირა და მომაძახა: „დათვო!“ ხომ იცი, რა ფხუკიანია. კარგა ხანს ვერ დაშოშმინებულა. მეცა მწყინდა, რომ მასთან ვსტყუოდი, მაგრამ მაინც ასე უნდა მოქცეულვიყავ.

ჩუმათ დავბრუნდით.

შევედით ჩვენს საფარში. სხვებს უკვე თავი მოეყარათ, წინათ ამ ადგილას საკომანდო პუნკტი ყოფილა და ამიტომ ადგილი ფართეა და საკმაო ხალვათობაა.

რო შევდიოდით, პარადიზმა ყური ათხოვა.

— ჩვენმა ბატარეიამ, ეს ერთი საათია, სულ რკუული გააგდებინა მტერს. შენ რას იტყვი, ხომ ასეა?

— ვიცი, რაც უნდა სთქვას ამითი და ორპოფულის ხელის ჩაქნევით ვუპასუხე:

— ენახოთ, ჩემო კარგო, ენახოთ!

საფარში სამი ამხანაგი გარშემოუსხავს ტირეტს და ყაზარმულ ამბებს უამბობს. ერთ კუთხეში მარტროს ხვრინი ამოუშვია. სწორეთ კარებთანა წევს და შიგ შესვლის დროს ზედ უნდა გადავალაჯოთ მისს მოკლე ფეხებზე, რომლებიც თითქო მუცელში შესძრომიაო. საბანი გაუკეციათ, ერთი ჯგუფი შემოსხდომია და ბანქოსა თამაშობს.

— რიგება ჩემია!

— 40, 42!—48!—49!—საუცხოოა!.

— როგორ მოსდის ამ მუდრუგს! პირდაპირ დაუჯერებელია! სამჯერ ამოგვივიდა რჩები! შენთან თამაში აღარ მინდა!

ამ სალამოს გამფცქვენი, იმ დღესაც ცარიელზე დამსვი, შე ოხერო!

— რატომ კოზირით არ აიყვანე, შე ბატის-ტვინავ!

— ხელში მეფე-და მყავდა.

— მერე რა მეფე! ყვავისა.

— ამაზე უკეთესი სათამაშო-და გინდოდა, შე ჩასაფურთხებელო ქოთანო?

— ამ ოხერ ყველში,—პუზღუნებს ვიღაცა კუთხეში,— ოცდახუთი სუ გადამახდევინჯს და პირში-კი არ ჩაიშვება: გარედან აყროლებულ მასტიკის ფენი აკრავს და შიგნიდან კიდენ მშრალი გიპსია.

ამასობაში ტირეტი უამბობს მსმენელთ, თუ რა უსიამოვნება გადახდა ერთ ოხერ ხასიათის კომანდერის გადამკიდეს, როცა სამის კვირით გაიყვანეს საავარჯიშოთ.

— ჩემს სიცოცხლეში ღორი ბევრი მინახავს, ძმაო, მაგრამ ასეთი კი არა! მერე რა ბრაზიანი! როცა შევხვედებოდით ან მასთან უნდა მისულვაყავით რაზედმე, პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო, რაღა! გაბღენძილი სავარძელში იჯდა ხოლმე, მის ქვეშიდან სავარძელი არც კი სჩანდა. უშველებელ ლიპიანს თავზედაც დიდი კეპი ეხურა, ქვეშიდან თავამდე მთლათ სირმაშემოვლებული, ასე იტყოდი, სალტებიანი კასრიაო. მერე რა სილის ჰქონდა იცოდა! ლები ერქვა, ნამდვილი გერმანული გვარი!

— მეც ვიცნობდი!—წამოიძახა პარადიზმა.—ომი რომ ატყდა, რა თქმა უნდა, დაიწუნეს,—დავრდომილი ხარ, მომჭმედ ჯარში არ გამოდგებიო. სამოსწავლო კომანდა ჩაბარეს. მთაკარი სტული ამ გვხადა, რაღა! თვითონ კი დააძვრინა თავი ნამდვილ სამსახურს და ჩვენ-კი ორპირ ტყავს გვაძრობდა. თუ ღილი, ერთიც არი, შეკრული არ გვექნებოდა—ერთის დღით დამწყვდევდა ძირს ეკდო; მერე სულ უბრალო რისთვისმე სხვებთან ისე გაგთათხავდა, რომ არ იცოდი, სად ჯანდაბას გადაღუპულიყავ... სხვებს ეცინებოდათ, კომანდირი-კი ფიქრობდა,

შენ გეცინიანო, შენ-კი იცოდი, რომ შენზე-კი არა, მაგაზე ეცინებოდათ, მაგრამ რა გამოვიდა, ამით შენ არაფერი მოგეცხებოდა. სულ ღმერთს გვაცლიდა ი პირძაღლი, ისა!..

— ცოლიცა ჰყავდა.—განაგრძო ტირეტმა.—ბებერი...

— მახსოვს, მახსოვს,—წამოიძახა პარადიზმა!—აი პირმა კი სჭამოს მაგის თავი და ტანი! ხორველა იყო ნამდვილი!

— ზოგ კაცს ძაღლისთვის ჯაჭვი უბია კისერზე და თან დაჰყავს ხოლმე. ეს კი ამ ხორველას დაათრევდა, ბაფრანასებ გაყვითლებულს, კუდიან დედაკაცივით ავსა და ბოროტს. სწორეთეს კუდიანი დედაკაცი აქეზებდა ქმარს, სოლდათებს კარგა მოუპირეო. ცოლი იყო, რომ ბოროტებდა, თორემ ისე უფრო სულელი იყო, ვიდრე ბოროტი... გაგიხარიან, ჩვენ ცუდი დღე გვადგა მისს ხელში!..

ამ დროს მარტროს, შესავალთან რომ იწვა, გამოელვიძა კრუსუნით. წელში გასწორდა და ჩალაზე დაჯდა ტყვესებ. მის ბანჯგვლიან სახის სილუეტი ჩინურ ლანდივით მოსჩანს. მრგვალს თვალებს სიბნელეში იქით-აქეთ აცეცებს, თითქო ისევ სიზმარშია და ძილისაგან კარგათ ვერ გამორკვეულაო.

მერე ხელები სახეზე მოისვა, თითქო ახ ხელის გადასმას სიზმართან რამე კავშირი ჰქონდაო, მოიგონა სანგრებში მომხდარი ამბები.

— მაინც,—ამბობს მარტრო ძილისა და სიზარისაგან ჩახრინწიანებულის ხმით,—მარჯვეთ კი დავტრიალდით წუხელ, მე და ჩემმა ღმერთმა! ყველა ეს გუნდები, პოლკები, მთელი ლაშქარი როგორ ღრიალებდენ და მღეროდენ, ალმართს რომ ადიოდენ!.. მოდიოდენ და მოდიოდენ, თითქო ზღვა მოსკდაო, უკან მოსდევდათ საარტილერიო ურმები, სასანიტარო ავტომობილები. ერთ ღამეში იმდენი ჯარი და ურმები ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. არა, ღმერთმანი.

მერე გულში მჯილვი ჩაირტყა, რაღაც წაიბურტყუნა, წელში გასწორდა და გაჩუმდა.

ბლერმა ხმა აიმაღლა და გამოსთქვა ის შიში, რაც იქ მყოფთ ყველას აწუხებდა:

— ახლა ოთხი საათია. უკვე გვიანაა და არა მგონია, ჩვენებმა დღეს რამე დაიწყონ.

კუთხეში მიმჯდარ მოთამაშეთაგან ერთმა მეორეს შეუტია:

— ჰა, თამაშობ, თუ არ თამაშობ, შე ჰიაყელავ?

ტირეტმა ისევ თავის კომანდერის ამბავი განაგრძო.

— ერთხელ გულისამრევი წვენი დაგვირიგეს, მგონი ქონის სათნლებისაგან იყო გაკეთებული. ღმერთო, როგორა ჰყარდა? რომელიღაც ამხანაგი კაპიტანთან მივიდა და შიგ ცხვირთან მიუტანა ჯამი...

— ეი, ჩექმის ლანჩავ,—ჰყვირიან მეორე კუთხეში,—რატომ კოზირებს არ ჩამოდიხარ?

— „დასწყევლოს ღმერთმა! რა საზიზღრობაა!—სთქვა კაპიტანმა.—გადაღვარეთ ეს სუპი. პირდაპირ ჰყარს!“

— ჩემი ჩამოსვლა არ ყოფილა!—უპასუხებს ვიღაცა რიხიანის კილოთი.

— ჰო, და კაპიტანმა ბატალიონის კომანდერს მოახსენა. ბატალიონის კომანდერი გაბრაზდა და ჰყვირის: „აბა აქეთ მომიტათ და გემო ვნახო, რა სუფსაა რომ სწუნობენ“. სუფთა ჯამით მიუტანეს, უსუნა და დაიძახა: „სუნი კარგი აქვს, ამაზე უკეთესი რა გინდათ“.

— შენი ჩამოსვლა როდია; ახლა იმან არ დაარიგა, ჩექმის ლანჩავ, შენა? ინდოურო! შენთან თამაშობას, ქვა რომ ჰკოდოს კაცმა, ისა სჯობია, ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა.

— ხუთ საათზე, კაზარმის კარებთან ბატალიონის კომანდერი და მისი ცოლი დადგნენ და დაგვიწყეს შემოწმება, ხომ ყველას წესიერათ აცვიათ ტანთაო. „ჩემო ბიჭუნებო, მითხრეს, სუფსა სწუნობთო. მე და ჩემი ცოლი კი ამ სუფის ჰამით ვერა ვძღებით! დამაცათ, მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ

უნდა სუფის დაწუნება!.. ეი, მანდ, გრძელთმიანი არტისტი რომ აყუდებულხარ, ერთი აქეთაც მობრძანდი, კარგათ შეგიხედო.“ და ბატალიონის კომანდერი ჩვენ რო გვიტატანებდა, მისი ძროხა ცოლი მის გვერდით იდგა. თითქო სარი ჩაუყლაპიაო, და თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებდა.

— იმას კიკო ჰყავს, კიკოთი ხომ შეუძლია აიყვანოს?

— უცბათ, ეხედავთ, რომ ცოლს ფერი მისდის, ქალალდივით გათეთრდა, ხელები ღიპზე იტაცა, კანკალი აუვარდა. ქოლგა ხელიდან გაჰვარდა და დაიწყო რწყევა. არწყია, მავრამ რა არწყია,—მანდაურობა სულ ნარწყევით დაჰფარა.

— ჩუბათ, ბიჭებო!—წამოიძახა უცბათ პარადიზმა.—სანგარში რაღაც ყვირილის ხმა ისმის, არ გესმით? მგონია, განგაშის ხმაა.

— განგაშიო? ხომ არ გაგიჟდი?

ეს სიტყვები არც კი წარმოგვეთქვა, ჩვენის საფარის დაბალ შესავალთან ვიღასიც ლანდი გაჩნდა და შემოგვძახა:

— განგაშია. 22-რე! იარაღს ხელი!

სამარისებური სიჩუმე. მერე აქეთ-იქიდან წამოიძახეს:

— ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა,—კბილების ღრჭიალით წაიბუზღუნა პარადიზმა და მუხლებით მიიბობღდა ჩვენის თხუნელას სოროს გასავალთან.

შემდეგ ლაპარაკი მისწყდა. ყველა თითქო დამუნჯდაო. საჩქაროთ ყველანი წამოკვივდენ, ფაცა-ფუცში არიან, ტანისამოსის ღილებს იბნევენ, ქამრებს წელზე ირტყავენ. ნახევრათ ჩამობნელებულ საფარში ხელები იქით-აქეთ ფათურობს, ზოგი რას იტენავს ჯიბეებში, ზოგი რას. გამოვდივართ არევდარევით, უკან მოვათრევთ ღვედებს, საბნებს, ჩანთებს.

გარეთ ყურთასმენის წამღები ჩოჩქოლი და ხმაურობაა. თოფის ტაცა-ტაცები საშინლათ გახშირდა როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, წინ. ჩვენი ბატარეიები განუწყვეტლივ გრგვინავს.

— შენა გგონია, ივათ შემოგვიტიეს?—ჰკითხულობს ვილაცა.

— მე რა ვიცი!—უპასუხებს მეორე, მოკლეთ, ბრაზიანათ.

ყველას პირი გვაქვს მოკუმული. ყველა ჩუმათ ჰფიქრობს. ვჩქარობთ, ერთი-მეორეს ვებეთქებით, ვეჯაჯგურებით, ხმისამოუღებლათ ვბუზღუნებთ.

ბრძანება ისმის:

— ჩანთები ზურგზე!

— კონტრ-ბრძნებაა...—იძახის ოფიცერი და მირბის სანგრებში და თან ხალხს იდაყვით არღვევს.

მის ნათქვამის უკანასკნელი სიტყვები უკვე აღარ ისმის.

— კონტრ-ბრძანება...

ამის გაგონებაზე მწკრივებში ერუანტელმა დაურბინა ყველას. თითქო გულიდან მძიმე ქვა ამოჰკრესო, ყველამ თავები მაღლა აიღო და ნერვებ დაძაბულები რიღასიც მოლოდინში არიან.

მაგრამ არა: ეს კონტრბრძანება მხოლოთ ჩანთებს შეეხება. ჩანთები არ უნდა წამოიღოთო. საბნები წელზე უნდა შემოვიხვიოთ და ბარებიც კიდევ ქამარში უნდა გავირჭოთ.

ჩალაგებული საბნები ისევ უკან გამოვათრიეთ და შევახვიეთ. წინანდებურათ ხმა-კრინტი არ იძვრის, ყველა დაშტერებით იცქირება, პირებ-მოკუმული.

კაპორალები და სერჟანტები ცივებ-ცხელებიანებივით დარბიან, ხან სად ეწყვეტებიან, ხან სად, ყველას აჩქარებენ.

— აბა ჩქარა! ჰა, მანდ რას იზლაზნები! გამოეტევით, თუ არა?

ერთი წყება სოლდათებისა. რომელთაც მაჯაზე დაკერებული აქვსთ ორ გადაჯვარედინებულ ცულის სახე, წინ გადადგა და მსწრაფლ შეუდგა სანგრის კედელში ხვრელის გამოთხრას. ალმაცერათ გადავხედავთ ხოლმე ამ სოლდათებს და თანაც გამოწყობას ვათვალებთ.

— ესენი რალას აკეთებენ, ნეტავი?

— ჩვენთვის აქედან გასასვლელს ამზადებენ.

მზათა ვართ. გა მწკრივდით. ისევ ხმას არავინ იღებს. დახვეული საბნები მხარზე გვაქვს გადაგდებული, კასკების დასამაგრებლათ ნიკაპ ქვეშიდან თასმები გავიკეთეთ, აპეურებივით, და თოფებს დავებჯინეთ. ვუკვირდით მაგათს სახეს, გაყვითლებულს, დამანჭულს, დანაღვლიანებულს.

ესენი სოლდათები კი არა, ადამიანები არიან ყოველთ უწინარეს. ავანტიურისტები, სხვადასხვა სახიფათო შემთხვევათა მაძიებელნი არ არიან, არც მხეცები არიან, საგანგებოთ ადამიანთა სასაფლაოზე მოყვანილნი, როგორც ყასბები ან დასაკლავი საქონელი. ესენი მხვნელ-მთესველი და მუშა ხალხია და მათს ძაზარას ქვეშ ადამიანი ადვილათ გამოიცნობს, ვინცა და რანიც არიან. მოკალაქენია, ნაადაგს მოწყვეტილნი. მზათ არიან, ელოდებიან, როდის ანიშნებენ, რომ დაიხოცნენ და სხვებიცა ხოცონ. მაგრამ თუ დააკვირდებით მათს გაშეშებულ სახეს, მაღლა აშვერილ ხიშტებ შორის, ზედვე ეტყობათ, რომ ესენი არიან ადამიანები და მხოლოთ ადამიანები.

ყოველმა მათგანმა იცის, რომ თავი უნდა დასდოს, შეუშვიროს გული, მუცელი, მთლათ თვისი სხეული მისკენ მომართულ თოფის ტუჩს, ყუმბარებს, გრენადებს, განსაკუთრებით დაუცთენლათ მსროლელ ტყვიისმფრქვეველებს, ერთის სიტყვით, ყველაფერს, რაც მანდ, შორს, მიყენებულა საბედისწეროთ და ელის, აცა, როდის დავიწყებ ჩვენს გამანადგურებელ მუშაობასაო. ამ ხალხს სიცოცხლე არ მოჰპეზრებია უაჩალებივით, ბრაზისაგან თვალახვეულები არ არიან, როგორც ველურები. მართალია, პროპაგანდა დიდია გაწეული მათს შორის. მაგრამ მაინც არ უნდათ ომი. აღფრთოვანება საომრად სრულებით არა აქვსთ. არც მატერიალურათ არიან დაინტერესებულნი და აღარც ზნეობრივათ. მთელის თავისის შეგნებით, მთელის თვისის ძალღონით მოსულან აქ მისთვის,

რომ ერთხელ კიდევ ზედმეტათ ითამაშონ როლი გიჟებისა, ის როლი, რომელსაც ყველა ჩვენთაგანს ადამიანის სიბეცე გვაკისრებს, თავზე გვახვევს ხოლმე.. ნათლათა ვხედავ, თუ როგორ ეშინიათ, თუ ვითარის მღუმარებით ეთხოვებიან ხოლმე სიცოცხლეს, თუმცა გარეგნულათ წინააღმდეგობას არ აცხადებენ, თუმცა გარეგნულათ სიმშვიდის ნიღაბი აქვსთ აფარებული, თუმცა თავს საშინელს ძალას ატანენ, რომ დაჰფარონ, არ გამოაჩინონ, თუ რა ცეცხლი უნთიათ გულში. გმირები არ არიან, გარნა მათი შეწირული მსხვერპლი ათას წილ ძვირფასია. და ვისაც ისინი ასეთს წუთებში არ უნახავსთ, ოლონდაც რომ ვერ დააჯასებენ მათს ასეთს მსხვერპლსა.

ელიდებიან. ლოდინი ჰიანურდება, ბოლო არ უჩანს. ჟამით-ჟამამდე, ხან ერთსა და ხან მეორეს მწკრივში ცოტათი გააგრძელებს, როცა წამოსული ტყვია ჩვენს დასაფარავად მიწანაყარის ბეჭობს გადაურბენს და სანგრის უკანა კედელში ჩაესობა.

მიწურული დღე ბუნდ სინათლესა ჰფენს ცოცხალთა ამ ღონიერ და ჯერ კიდევ ხელუხლებელ გროვას. ვინ იცის, შუალამემდე მაკათი ერთი ნაწილი დარჩება კია. სწვიმს. სულ მუდამ წვიმაა დაკავშირებული ამ უდიდეს ომის ტრაგედიის მოგონებასთან. ერთათ გვიახლოვდება სალამო, უხილავ მუქარის მსგავსი; ადამიანთ ხაფანგს უგებს, ისეთსავე დიდს, როგორიც თვით ქვეყნიერებაა.

მწკრივებში ერთიმეორეს გადასცემს ახალს ბრძანებასა. არიგებენ გრენადებს, რკინის მავთულის რგოლებზე წამოცმულებს. „თითეულმა სოლდათმა ორ-ორი გრენადა იქონიეთ თანაო“.

კომანდერმა ჩაიოგვიარა. საომარი, კვარტუა ტანისამოსი აკვია, თავდაჭერილია, დამშვიდებული. გეუბნება:

— კარგი ამბებია, ბიჭებო, ბოშები გარბიან. აბა თქვენ იცით, რა ყოჩაღათ იქნებით და მასახელებთ!

ქარიშხალიით დაგვირბინა ახალ ამბებმა.

— ჩვენს წინ შეტევაზე გადადიან მაროკოელები და მე-121 ვუნდი. შეტევა მარჯვენა ფრთიდან დაიწყო.

კაპორალებს კაპიტანთან დაუძახეს. მთელი იღლია რკინულობა მოათრიეს. ბერტრანმა ხელი მოიმავლო და ჩემის მაზარის ღილზე რაღაც ჩამომკიდა: სამზარეულოს დანა ყოფილა.

— შეხე, რა დაგკიდე მაზარაზე!—მითხრა ბერტრანმა.

დამათვალიერა, მერე მომშორდა და ახლა სხვებს დაუწყო ძებნა.

— მეცა!—უთხრა პეპენმა.

— არა,—უპასუხა ბერტრანმა,—აღკრძალული მაქვს, ვისაც უნდა, ყველას კი ვერ მიეცემ.

— თავზე გადაიყარე!—ბუზღუნებს პეპენი.

წვიმას ქვეშა ვდგევართ და ვუცდით. თან ყურს ვუგდებთ შორიდან მომავალ ხმას ზარბაზნებისას. ბერტრანმა დარიგება გაათავა და დაბრუნდა. ზოგიერთი სოლდათი ჩამოჯდა კიდეცა, ზოგი ამთქნარებს.

ციკლისტმა ბილეტმა ჩაიოგვიქროლა. ხელში ოფიცრის საწვიმარი უჭირავს.

— რატომ ჩვენთან არა ხარ?—უძახის კოკონი.

— არა, არ მოვდივარ,—უთხრა ციკლისტმა,—მე ხომ მე-17 გუნდში ვარ. მე-15 ბატალიონი არ შეუტევს!

— სწორეთ რომ ძალლის ბედი აქვს ამ მეხუთმეტე ბატალიონს. აქამდე ერთხელაც არ გადასულა შეტევაზე.

ბილეტი უკვე შორსაა. სოლდათები უკანიდან რომ უყურებენ, იქყანებიან.

სირბილით მოვიდა ერთი სოლდათი და ბერტრანს ლაპარაკი დაუწყო. მაშინ ბერტრანი ჩვენ მოგვიბრუნდა.

— აბა, ძმებო, ჩვენი რიგია.

ყველანი ერთათ ამოძრავდენ. ფეხები საპიორებისაგან დამზადებულ საფეხურებზე შევდგით და ერთმანერთს ვეკროჩით, ისე საფარიდან გამოვედით და პარაპეტზე ავედით.

* * *

ბერტრანი ფერდობზედა სდგას. სწრაფათ თვალი გადაავლო ჩვენს მწყობრსა. მერე გვიკომანდა.

— წინ!

ლაბარაკის ხმა რაღაც უცნაურია. ეს გასვლა სწრაფათ მოხდა, ჩოფლოდნელათ, თითქო სიზმარში ვიყავითო. ჰაერში სტვენა აღარ ისმის. ზარბაზნების რუხ-რუხში მკაფიოთ გვესმის, რომ თოფები არ ზუზუნებს ჩვენს გარშემო...

ჩამოვდივართ იკლიბაკლო დ მოლიპულ ფერდობით, რაც-რაცით, ხანაც ჩვენს თოფებს დავეყრდნობით, ხიშტებწამოგებულებს და გაგრძელებულებს. თვალები მაშინალურათ აკვირდება გზას, მისს დეტალებს, გადაბრუნებულ-გადმობრუნებულ მიწას, მავთულ ჩამოგლეჯილ და აქა-იქ დარჩენილ სარებს, მიწაში გაკეთებულ ძაბრებს. პირდაპირ არა გვჯერა, რომ ჩვენ ახლა დღისით-მზისით იმ ფერდობზედა ვდგევართ; ამ ფერდობზე ზოგიერთი ჩვენთაგანი ბნელაში თუ გაჰბედავდა ჩამოსვლას, ისიც დიდის სიფრთხილით, სხვები-კი ქურდულათ-ღა ვუყურებდით სანგრის სათოფურებიდან. არა... თოფებს აღარ გვესვრიან. მთელი ბატალიონი რომ გაეროვედით სანგრიდან, ალბათ, ვერ შეგვამჩნიეს, თორემ სროლას უეჭველათ აგვიტეხდენ. ამ სიწუხარეში ჩაქსოვილია შუქარა, სულ დიდი მუქარა. მკრთალი სინათლე თვალებსა გვჭრის.

ფერდობი ყველა მხრიდან სოლდათებით დაიფარა, ესენიც ამავე დროს ჩვენთან ერთათ ჩამოდიან. მარჯვნივ მოსჩანს სილუეტი იმ გუნდისა, ხოამში 97-ტე შემაერთებელ გასასვლელიდან რომ გამოდის. ეს საგასვლელი გერმანელებს წავართვით და სახახუროთ დანგრეულია.

გამოვედით ჩვენს მავთულებიან ღობესთან. ჯერ კიდევ არ გვესვრიან. ვინც მარჯვე არ არიან, წაბორძიკებიან, დაეცემიან და მერე ისევ წამოდგებიან. მავთულის ღობეს რო

გამოვცდით, დავეწყვეთ და მერე უფრო ჩქარის ნაბიჯით დავეშვით თავქვე. უველანი ინსტინქტიურათა ვჩქარობთ. ამ დროს პირველათ გავარდა თოფი და ტყვიამ ჩვენამდე მოატანა. ბერტრანი გვიყვირის,—გრენადებს გაუფრთხილდით, უკანასკნელ წუთამდე არ გაისროლოთო.

მაგრამ მისი ხმა ქარმა წარიტაცა. უცბათ ჩვენს წინ, ფერდობის მთელ სიგანეზე ბუნდმა ცეცხლმა იელვა, და ჰაერი უურთასმენის წამღებ რუხრუხით გაივსო. მთელს ხაზზე მარცხნიდან მარჯვნივ ჰაერში ცეცხლი ელავს, ხოლო მიწაზე უუმბარები სკდება. რაღაც საშინელი ფარდა ჩამოგვეფარა ჩვენსა და დანარჩენ ქვეყნიერობას შუა, დაგვაშორა ჯარსულსა, დაგვაშორა მომავალსა. გავშეშდით, ერთ ადგილიდან ველარ ვიძვრით, თავტანი დაგვეკარჭა ამ მოულოდნელ ჭექა-ქუხილისაგან, უველა მხრიდან რომ გრგვინავს; მერე ერთბაშათ თავს ძალა დავატანეთ, რაღამაც აგვწია და წინ გადაგვტყორცნა საშინელის სისწრაფით. ვბორძიკობთ, ერთიმეორეს ვებღაუჭებით, კვამლში გახვეულები. ვხედავთ, რომ იქ, საითკენაც მივიმართებით, გულის გამაწვრილებელი ჭექა-ქუხილია და მტვრად ქცეულ მიწის კორიანტელი დგას, და თითქო მიწიდან ცეცხლმა ამოხეთქაო, ჯერ ერთ ალაგას, მერე მეორე ალაგას. შემდეგ ერთიმეორეს გვერდით, ან იქავე, საცა უკვე ამოხეთქილი იყო. ბოლოს, სულ აგვიჩქარდა თვალი და ველა ვხედავთ, სად ვარდება უუმბარები. ზარბაზნების ჰაბაჭუხი საშინელი რამ არის; ვგრძნობთ, რომ მარტო ეს გრგვინვა და უუმბარების ვარსკვლავთა მსგავს ნამტვრევების ელვარებაც საკმაოა ჩვენს მოსასპობადო. ვხედავთ, ვგრძნობთ, რომ თავთან ახლოს შიშინით გაგვიელის რაღაც ცხელი რამ. გამსკდარ უუმბარის ცხელმა ორთქლმა ისე დამწვა ხელი, რომ უცბათ თოფი გამვარდა, მერე ავიღე და ბარბაცით, თავჩალუნგული ისევ შევიჭერ ამ მოელვარე ქარიშხალში, ამ გამანადგურებელ თავსხმაში. პირისახეზე ცხელ მტვრის ტალღა მიტყლაშუნებს, მშვარტლი მეცხება. უუმბარები რო სკდება, ისეთი ხმა-

ურობა დგება, რომ ყურები ამატკივა, თითქო ჩაქუჩითა მცემს ვინმეო კისერში, საფეთქლებში, და ისედაცა მცემს, რომ არ შემიძლია არ წამოვიყვირო. გოგირდის სუნისაგან გული მეშლერევა, მეკრუნჩხება. სიკვდილის სულთქმა გვაჯანჯლარებს, ხან მაღლა აგვიტაცებს, იქით-აქეთ გვაწყვეტებს. უკვე ხტომელა მივდივართ, მაგრამ არ-კი ვიცით, საით მივდივართ. თვალები გვიხამხამებს, გვებლიტება, გეეკრემლება. ჩვენს წინაშე მთლიანი კედელია ამართული, ცეცხლისა.

ეს [გზის შესაკვრელი ცეცხლია. ამ ალის კორიანტელს უნდა გავატანოთ, ამ საშინელის ცეცხლის სვეტებს შორის უნდა გავიაროთ. გავიარეთ კიდეცა, ალალ-ბედზე. ვხედავ, ხან აქა და ხან იქ კაცი შეტრიალდება, რაღაც აიტაცებს, მერე ისევ ძირს დაეშვება და განათდება, თითქო ჯოჯოხეთის ცეცხლის სინათლემ გადაურბინა სახეზედაო. ზოგი, ეტყობოდა, ჰყვიროდა, მაგრამ ხმა-კი არ ისმოდა, ამ ორონტრიალში. უშველებელი, გავარვარებული გროვა, წითელი და შავი, ჩემა გარშემო ცვივოდა, მიწასა ხეთქავდა, ჩემს ფეხებს ქვეშიდან მაცლიდა და იქით-აქეთ მტყორცნიდა, თითქო სათამაშო რამ ყოფილვიყავ. მახსოვს, ერთს მკვდარს გადავლაჯე: იწვოდა, მთლათ გაშავებული. მის გარშემო სისხლის გუბე შიშხინებდა; მახსოვს აგრეთვე, როგ მაზარის კალთებს, რომ დამთრეოდა, ცეცხლი მოეკიდა და უკან კვამლის პატარა კვალი მრჩებოდა. ჩვენს მარჯვნივ, 97 შემაერთებელ გასასვლელის გასწვრივ, თვალებს ატყვევებდა და აბრმავებდა მთელი ჯაჭვი მფეთქავ და მოელვარე ცეცხლებისა, ერთიმეორეზე მჭიდროთ მიჯაჭვულებისა, თითქო ადამიანები არიანო.

— წინ!

ახლა თითქმის მივრბივართ და ვინ წინა, ვინ უკან. გაიხედავ, მოცეკლილივით გაიშხლართა კაცი, წინ თავი და უკან ფეხები; იქ გაიხედავ—კაცი წაიქცა, მაგრამ მოჩიდებით ეშვება ძირს, თითქო მიწაზე ჯდებაო. უცბათ იძულებული ხდები გზა უქციო მკვდრებს, რიგზე გაწოლილებს, გაფიჩხებუ-

ლებს, მშვიდათ მყოფთ; ზოგს სახეზე ტანჯვა-წვალება დაჰკვდომია. უფრო გვიპირდება დაპრილების შემოვლა, რათგან მიწაზე იკრუნჩხებიან და ხელებს იშვერენ, რომ კალთები დაგვიჭირონ, დაგვეხლაუჭონ. ამიტომ ხან აქეთ უნდა გადმოხტე და ხან იქით, თუ გინდა გზა გაიკვალო.

აჰა „ინტერნაციონალური“ გასავალიცა.

მიეედით. რკინის მავთულების ღობეები სარებიანათ ამოგლეჯილია, იქით-აქეთ მიმობნეულია, გადახლართულია, აღგვილია და საარტილიერო ცეცხლით საოცრათ დაგრეხილია. ამ წვიმით დასველებულ რკინის ბუჩქებ შორის გზა გახსნილია, თავისუფალია.

შესავალს მცველი არავინ უყენია. ორში ერთია: ან გერმანელებს თავი მიუნებებიათ ან კიდენ ჩვენს წინ იერიშით მისულთა ტალღას გაუელია. სანგარს შიგნით ამოშვერილებია თოფები, მიწანაყარ ადგილას გასწვრივ. ძირში კალთა მკვდრებისა. ყველგან ხელებია ამოშვერილი და ნაცრისფერ სახელოებზე წითლები აქვსთ დაკერებული; ალაგ-ალაგ ჩექმებიანი ფეხებია გამოშვერილი. აქა-იქ მიყრილი მიწა გადაყრილია, გარშემო შემოკრული ხეები ნაფოტებად ქცეულა. მთელი ცალი გვერდი სანგრისა გადახრილი და გადახერხილია ზოგან ღრმა ჭები გაჩენილა. განსაკუთრებით მახაოვრებაში ჩამრჩა ერთ სანგრის სახე, სხვადასხვა ნახევებით მთლათ დაფარულისა: მიწისათვის ტომრების შესაკერად გერმანალებს, ალბათ, ყოველგვარ ფერის მატერია გამოუყენებიათ, საავეჯო მაღაზიებიდან რეკვიზიციით წამოღებული. ეს ჰერელი ნაგლეჯები, დაფლეთილები, ნაკუწებად ქცეულები, ზოგი სად ფრიალებს, ზოგი სად, ასე რომ თვალები გვიჭრელდება.

სანგარში იქით-აქეთ დავიფანტენით. ლეიტენანტი, მეორე მხარეზე რომ გადახტა, გვიყვირის:

— აქ ნუ გაჩერდებით, წინ! სულ წინ გასწით!

ავძვერით სანგრის ზემოდან დაყრილ მიწაზე, ვებღაუჭებით ტომრებს, ვებჯინებით თოფებს. ხრამთან მიწა სულ გა-

დახნულია ყუმბარებისაგან, მოფენილია ნამტვრევებითა და დაწოლილ სხეულებით. ზოგი სულ მკვდარია, ზოგიც კიდევ ფრთხიალებს და სულსა ჰლევს. გზისშემკვრელი ცეცხლი განაგრძობს ბუბაქრობას ჩვენს ზურგს უკან, იმ ადგილას, საცა, ეს-ეს არის, გამოვიარეთ. მაგრამ იქ, საცა ახლა ვართ, ფერდობის ძირში, მკვდარი ზონაა, მტრის არტილერია ვეღარ მისწვდება.

ცოტა ხნით შესწყდა. ცოტ-ცოტათი გვესმის. ერთმანერთს ვუცქერით. ყველას თვალები უბრწყინავს ცოებ-ცხელებიანივით, სახეზე სისხლი აქვს მოწოლილი. ვქშინავთ, გულს დაგა-დუგი გაუდის.

საჭიროთ ვცნობილობთ ერთმანერთს, ბუნდათ, თითქო სიკვდილის ნაპირებთან შევხვდით ერთმანერთსა, თითქო მაკლაკუნა დაგვწვაო. ამ ჯოჯოხეთურ ცეცხლის წამიერ მიწყნარების დროს ერთიმეორეს სხარტულათ ვეკითხებით:

— შენა ხარ?

— დედასა მტრისასა, რა დღე გვადგა!

— კოკონი სადღაა?

— არ ვიცი?

— კაპიტანი ხომ არ გინახავს!

— არა...

— როგორა ხარ?

— ისე, რალა...

ხრამის ფსკერი უკან დაგვრჩა. შევუდექით მოპირდაპირე ალმართს. ბაწარაღებით ავედით, მიწაში გამოთხრილ კიბეებით.

— ფრთხილათ!

ერთს სოლდათს, კიბის შუა წელამდე მოსულს, წელში იქიდან წამოსულ ყუმბარის ნამტვრევი მოხვდა, ჩამოვარდა, თითქო სიმაღლიდან წყალში გადამხტარი მცურავიაო, უქუდო, ხელებწინწაშვერილი. კიდევ შეგვიძლია გავარჩიოთ მის უსახო, ხრამში გადავარდნილ სხეულის სილუეტი. გაკ-

ვრით და დავინახე ერთი წვლილიცა,—გაშავებულ სახეზე თმა ჩამოშლოდა.

სერზე ავედით.

ჩვენს წინ გადაიშალა ცარიელი, უფერო სივრცე. პირველათ ვერაფერსა ვხედავთ ცარციან და ქვიან ველს გარდა, ყვითელსა და ნაცრის ფერს, შორს, ცისდასაველისაკენ მიმართულს. არ კერთი ტალღა გვიძღვის ადამიანთა; ჩვენს წინ სულიერი არსება არავინა სჩანს, ხოლო ნიადაგი მოფენილია მკვდრებითა: არის ახალი მკვდრები, რომელთა სახეზე ჯერ კიდევ არ გადაურბენია ტანჯვასა და საუკუნო განსვენებასა, არის ძველების ნეშთიცა, უკვე გახრწნილი, ქორისაკან წარტაცებული და ძიწისაგან ნახევრათ შეჭმული.

ჩვენი მწკრივი წინ დაიძრა და გამოჩნდა თუ არა, ვიგრძენი, რომ ჩემს ახლო ორი ამხანაგი დაეცა. ორნივე მორბენალთა ფეხებ ქვეშ ჩაიკეცნენ. ერთი ყვირილით გაგორდა, მეორეს კი ხმა არ ამოუღია, როგორც ხარს, ცულით თავწაგდებულს. აი კიდევ ერთიც გაჰქრა. ვიჭურათ ხელფეხის ქნევით, თითქო გრიგალმა მოიტაცაო. ინსტინკტურათ ერთმანერთს ვეკვრით და შეუჩერებლივ მირბივართ წინ, სულ წინ. ჩვენს მწკრივში ყოველი ცარიელი ადგილი მაშინათვე თავისთავათ ამოივსება. ერთბაშათ ადიუტანტი გაჩერდა, ამოსწია ხმალს, მაგრამ ხელიდან გაჰვარდა და ჩაიჩოქა; მისი დაჩოქილი სხეული ნელ-ნელა უკან-უკან წავიდა, კასკა ფეხის ქუსლებზე დაეცა და გაშეშდა ასე, თავშიშველი, თვალები ზეცად აპყრობილი. ჩვენი მწკრივი უკბათ გაწყდა იმ ადგილას, რომ პატივი გვეცა მიცვალებულისათვის და მისი უშოძრაობა არ დაგვერღვია.

აღარც ლეიტენანტი სჩანს სადმე. უუფროსოდ ვრჩებით, რაღა... ამ ადამიანთა ტალღამ, უკვე სერს რომ მიატანა, ყოყმანი დაიწყო. ფეხებს ვაბაკუნებთ, აჩქარებით ვსუნთქავთ, ვხრიალებთ.

— წინ!—გვიყვირის ვილაც ამხანაგთაგანი.

ჩვენც გაორკეცებულის სისწრაფით გავექანეთ წინ, უფსკრულისაკენ.

*
* *

ბერტრანი სადაა?—რის წვალებით ხრიტინებს ვილაც წინიდან..

— აქ არის, აქ!..

გზად ერთს დაპრილს დასწვდა, მაგრამ უცბათ თავი გაანება. დაპრილი კი მაინც ხელს უშვერს და თითქო სტირისო.

სწორეთ მაშინ, როცა ბერტრანი დაგვეწია, წინიდან გორაკს ამოფარებულ ტყვიისმფრქეველის ტაკა-ტუკი მოგვესმა. საშინელი წამი დადგა, იმაზე გაცილებით უარესი, როცა გამოვიარეთ ის ადგილი, საცა მიწა იძვროდა და ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა. ეს ნაცნობი ხმა ახლაც გაისმის მკაფიოთ და საზარლათ, სივრცეში. მაგრამ გაჩერებით მაინც არ გავჩერდით.

— წინ! წინ!

სწორი სულთქმა ყრუ კვნესად გადაგვექცა, მაგრამ წინ მიექრით, ცის დასავლისაკენ.

— ჯოშებს ხომ უყურებ? მე ვხედავ.—წამოიძახა უცბათ ერთმა.

— ჰო... სანგარს ზემოდან მათი თავები მოსჩანს... სანგარი იქა, იმ ხაზთან... აქედან სულ ახლოსაა. შეხე, სად დამალულან ე ძაღლები, ესა!..

მართლაც, ვარჩევთ პატარა ნაცრისფერ ჭუდებს, ხან გამოჩნდება, ხან ისევ ამოეფარება ბეჭობს, ჩვენგან ასე ორმოცდაათ მეტრის მანძილზე.

ის ჯგუფი, საცა ახლა მე ვარ, რაღამაც ჰაერში შეაგდო. აქამდე ცოცხლები გადავრჩით და ახლა ნუ თუ ვერ მივაღწევთ მიზანს? მკრეხ ასე ახლოს არის. ნუ გეშინიანთ, მივაღწევთ! ნაბიჯს მოეუხშირეთ. მეტი არაფერი ისმის. ყოველი

ჩვენგანი წინ მიეკანება, ყველას თავისკენ გვიზიდავს ეს საშინელი ხნარცვი, არ შეგვიძლია ან მარჯვნივ მივიბრუნოთ თავი, ან მარცხნივ.

ბუნდათა ვგრძნობთ, რომ ბევრი ჩვენგანი ძირს ვარდება; მოცელილივით. ერთბაშათ განზე გავხტი, თორემ, ის-ის იყო, ერთ ხიშტს წამოვეგებოდი თოფისას; თოფი ჯერ აიმართა და მერე პატრონიანათ გადავარდა. ჩემს ახლოს, ფარფადე, თავპირგახსისხლიანებული, გასწორდა, დამეჯაჯგურა, მერე ჩემს გვერდით ვოლპატს მივარდა და დაებღაუჭა; ვოლპატი მოიკაკვა, სირბილი განაგრძო და თან აითრია ამხანაგი რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე; მერე მოიბერტყა, ზედაც არ შეუხედნია ისე, არც ის იცოდა, ვინ ებღაუჭებოდა. ეს კი მიაძახა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ, ძალისდატანებისაგან ჩახლეჩილის ხმით:

— გამიშვი, გამიშვი რაღა, შე ოჯახქორო!... ახლავე მოვლენ და აგიყვანენ. ნუ გეშინიან.

ფარფადე მიწაზე გაიშხლართა. სისხლში მოსვრილ სახეზე ყოველივე ნიშან-წყალი დაეკარგა სიცოცხლისა, გადატრიალ-გადმოტრიალდა. ვოლპატი კი უკვე შორს იყო და მაშინალურათ კბილების ღრჭენით იმეორებდა: „ნუ გეშინიან". თანაც გერმანელთა სანგრების ხაზს თვალს არ აშორებდა.

ჩემს გარშემო ტყვიის ღრუბელი დადგა. ისე ნაბიჯი ვერ გადაგვიდგამს, რომ ვინმე უცბათ არ გაჩერდეს და არ დაეცეს. ყვირიან, იწყევლებიან, გმინავენ, ხრიალებენ მომაკვდავის ხრიალითა. ხოლო ვინც ჯერ კიდევ დაგვზოგა ტყვიამა, წინ ვიცქირებით და თავდავიწყებით მივრბივართ, სიკვდილის დაშინებულნი; სიკვდილი კი მწკრივიდან ხან ერთს გამოგვტაცებს და ხან მეორეს.

რკინის მავთულის ღობეა. ერთი ნაწილი ხელუხლებელი დარჩენილა. გარს მოვუარეთ. ერთს ალაგას თითქო მუცელი გამოუფაშვიათო, გამორღვეულია და ფართო გასავალი დარ-

ჩენია: ეს უშველებელი პირი ვულკანისა ზარბაზნის ყუმბარას გაუთხრია.

ამ ღრეობა-ნგრევის და განადგურების სურათი თავზარს დასცემს ადამიანსა. მხოლოთ მიწის შუაგულიდან ამონახეთქ ძალას თუ შეეძლო ასეთი საქმეო, იტყოდით. დედამიწის ფენები ასე დაგლეჯილ-დაფლეთილები რომ დავინახეთ, თითქო ცივი წყალი გადაგვასხესო, სწრაფ სიარულს ვუკელათ. ზოგმა დუეთ თავის ჩაქნევით წამოიძახა იმ წუთას, როცა ყელიდან სიტყვა ასე გაპირვებით ამოგდის კაცსა:

— დაჰლახვროს ღმერთმა! მაგათთვის დედა კი არ უტირებიათ ჩვენს არტილერისტებსა!

თითქო უკანიდან ქარი გვაწვებაო, ხან ავდივართ და ხან ჩამოვდივართ ოღრო-ჩოღროებზე, ვცილდებით გარღვეულ ღობეს, ცეცხლს ზოგან დაუდენია კიდეც. მიწა ფეხზე გვეკვრის. გაშმაგებით. ვიბერტყავთ ფეხებს და ტალახს ვიშორებთ. ძირსა ჰყრია იარაღის სხვა და სხვა ნაწილები, ტანისამოსის ნახევები და საცვლები, დაბეულ ჩანთებიდან გამოცვინული, ფეხები შიგ გვეხლართება. ამიტომ ვცდილობთ ზედ გადავახტეთ ხოლმე.

უკანიდან გასამხნევებლათ მოგვძახიან:

— აბა, ბიჭებო, წინ! წინ!..

— უკან მთელი პოლკი მოგვდევს!—გულს გვიკეთებს ვილაცა.

უკან არ ვიხედებით, რომ დავრწმუნდეთ, მართალს გვეუბნებიან, თუ არა. მაგრამ მაინც ცარიელი გრძნობა იმისა, რომ უკანიდან ჩვენები მოგვდევენ, ღონესა გვმატებს, აღგვაფრთოვანებს.

იმ სანგარს იქიდან, ახლა რომ ვუახლოვდებით, გერმანელების ქუდები უკვე აღარა სჩანს: ჩვენს წინ ჰყრია გერმანელების მკვდრები. ზოგან გამწკრივებულია ცალ-ცალკე, ზოგან კიდენ ერთიმეორეზე ყრია, ჰერეხებივით. ხაკაა, ზედ მივადგებით. მიწანაყარი ადგილი მკაფიოთა სჩანს, სჩანს მისი

ცბიერი და მოთვალთვალე სათოფურებიცა... პირდაპირ სასწაულია, არავისა ვეკერა: ლამის არის, ზედ მივადგეთ, ისე ახლოსა ვართ.

ჩვენს წინ რაღაც დაეცა მიწაზე. გრენადაა. ბერტრანმა მარჯვენა ფეხი გაჰკრა და წინ გადაისროლა, და ისიც მიწანაყარ ადგილისაკენ გასკდა, ზევ სანგრის თავზე.

აი, ასე მარჯვენა დავიჭირეთ გერმანელთა სანგარი.

პეპენი მუცლით მიბობღავს ზევითკენ. გზაზე მკვდარი დაბჯდა, მაგრამ მოუარა. მივიდა ნაპირთან და იქიდან შიგ ჩაძერა. პირველათ პეპენი შევიდა სანგარში. ფუიადი ჰყვირის, ხელებს იქნევს, გიჟივითა ჰხტის თხრილთან სწორეთ იმ წუთას, როცა პეპენი ძირს ჩახტა. თვალის დახამხამებაზე ვხედავ ეშმაკებივით შავათ გამურულ სოლდათებს, მიწადაყრილ ადგილის ნაპირთან ძირს რომ იღუნებიან და ჩასვლა უნდათ ამ შავ ხაფანგში.

პირდაპირ ცხვირპირში თოფები დაგვიშინეს და თხრილის ნაპირებზე ერთბაშათ ალი აეარდა. ცოტა გონს რომ მოვედით, ტანისამოსი გავიბერტყეთ და ხარხარი აგვიტყდა, დაბცინავი. ტყვიებმა თავზე გადაგვიარა! და მაშინათვე ყვირილითა და ღრიალით, ცურვითა და გორებით ჩავცვივდით შიგ სანგარში—ცოცხლები!

* *

სქელს კვამლში გავეხვიენით. ამ ვიწრო ჯურღმულში ჯერ მხოლოთ ჩვენს ლურჯ მაზარებსა ვხედავ. ჯერ ერთს ჰხარეს მივაწყდებით, მერე მეორეს, უკანიდან ერთმანერთს ვაწყებით, ვიგინებით, ვყვირით, ვეძებთ მტერს. ხელში გვიპერია დანა, გრენადა, თოფი. ისევ მოვტრიალდებით და პირველ ხანს არ ვიცით, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ.

— სოროებში მიმალულან ე ძაღლები, ესა!—ჰყვირიან სოლდათები.

ყრუ სროლაჭ ნიადაგი შეანძრია: ახლა ხელჩართული ბრძოლა მიწას ქვეშ, სოროებში უნდა გაიმართოს. საშინელი ბუღი შემოგვეხვია, ისე რომ ერთმანერთს ვერ ვარჩევთ, თან თითქო სახეზე ნილაბი აგვაფარაო, გარშამო ვერასფერსა ვხედავთ, თვალებთან თითსაც ვერ მივიტანთ. დამხვრჩვალებივით ვფორთხალობთ ამ ბნელეში. ხან ერთ კუთხეში წავაწყდებით დაჭრილებს, სისხლიდან დაცლილებს, ხან მეორეში. ჰკვნესიან, ჰგმინავენ, ყვირიან. ძლივას ვარჩევთ სანგრის კედლებს. ეს კედლები აქ სწორეთ არის აყვანილი, მიწის თეთრ ტილოს ტომრებისაგან გაკეთებული. ტომრები ყველგან დახეულია ქალალდივით. ჟამდაჟამ მძიმე კვამლი შეინძრევა და ვხედავთ მოფუთფუთე მტრებს, ჩვენს წინააღმდეგ წამოსულებს... აჰა, ჩვენს წინ ზემოდან ნაყარ მიწაზე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, ბნელაში. მესმის წრიპინა ხმა „კამრად!“ სანგრის კუთხეში შერეკილ და რუხ ტანისამოსიან გერმანელების ჯგუფისა. ყურყუმ კვამლში გახვეული ტალღა ადამიანთა ხან მარჯვნივ გაგორდება, ხან მარცხნივ, გამძვინვარებული ტრიალებს ვითა მორევი, გურგურებს.

* *

და როგორღაც ერთბაშათ ვიგრძენით, რომ ყოველივე დასრულდა. ვხედავთ, გვესმის, შევიგენით, რომ ჩვენს ტალღას, ყოველგვარ დაარკოლებათა შორის რომ გამოჰგორდა, სწორი მოპირდაპირე ტალღა არ დახვდა და რომ მტერმა ჩვენს მოსვლაზე უკან დაიხია, გზა გვიტია. ადამიანთა ბრძოლა ჩვენს წინაშე გათავდა. თხელი ფარდა სანგრის დამცველთა ნაკუწნაკუწად იქცა და სოროებში გადნა. ჩვენც საცა მოვასწრებთ, ვირთაგვებსავით ვიჭერთ ან და პირდაპირა ვხოცავთ. წინააღმდეგობას არავინ გვიწევს: მარტოოდენ სიცარიელეა. მივდივართ წინ ჯგუფებად, თითქო სეირს უნდა ვუყუროთო.

აქაც სანგარი ნამეხარსა ჰგავს. კედლები ჩამონგრეულია, გაუხეიერებულია და მოგაგონებსთ გამშრალ მდინარის კალაპოტს. ხოლო ამ მდინარის ნაპირებზე, ნაყარ მიწაზე და შიგნით მკვდრები ჰყრია. ყოველსავე ამას ემატება ჩვენის ჯარის ახალ-ახალი ტალღები, გურ-გურით წამოგორებულები. საფრებიდან ამომავალ კვამლსა, და ქვესკნელიდან ამონახეთქით შენძრეულ ჰაერში ბლომათ თავმოყრილ ხალხს წავაწყდი. ერთი-ჭეოარისათვის ხელები ჩაუქიდნიათ და ამ მოედანზე ციბრუტივით ტრიალებენ. ჩვენ რომ მივედით, ეს ხალხი დაიშალა, გაიფანტა: ბრძოლა სულსა ჰლევს. ამ დროს დავინახე ბლერი, ამ ხალხის გროვიდან რომ გამოვარდა, თავიდან გადავარდნილი კასკა თასმით ეკიდა კისერზე, პირისახე დაფხაჭნილი ჰქონდა; მხეცივით ღრიალებდა. მერე ერთს კაცს წავაწყდი, ხვრელის შესავალთან მარცხენა ხელით ბოძს ებღაუჭებოდა. მარჯვენა ხელში გრენადა უპირავს და რამდენისამე წამის განმავლობაში აქნევს. საცაა, უნდა გასკდეს... ხვრელში ჩავარდა. საშინლათ იცინა. მიწის გულიდან საზარელი ღმუილი აღმოხდა მომაკვდავ ხალხისა. ამავე კაცმა მეორე გრენადას დაავლო ხელი.

მეორემ წერაქვი აიღო და, რაც ძალა და ღონე ერჩოდა, დალეთო ბოძებს, საფარის შესავალს რომ ჰქონდა შეყენებული. მიწა ჩამოწვა და გასავალი ამოიქოლა. ვხედავთ რამდენისამე კაცის ლანდს, ხელებს აქნევენ და ამ საფლავს ფეხებითა სტკეპნიან.

მოდის ერთი, მეორე... ამ ცოცხლებს შორის, ვინც შესძლო მტრის სანგრებამდე მოღწევა, ვინცა სძლია ყოველგვარი დაბრკოლება, გადაურჩა მათს წინააღმდეგ გამოსროლილ ტყვიებს, ყუმბარებს, ჰო, ამათს შორის თითქმის ვერა ვსცნობ იმათ, ვისაც ასე დაახლოვებით, ასე კარგათ ვიცნობდი, თითქო მთელი ჩემი ცხოვრება ერთბაშათ, ერთის ხელის მოქნევით სადღაც უკან შორს, ძალიან შორს დამრჩაო. სახე გაჰქვავებიათ, რაღაცნაირათ გამოსცვლიათ. რაღაც სიშმაგეს დაეტყობია მათს სხეულში და ათახთახებსთ.

— აქ რათ გავჩერდით?—გვეკითხება ერთი კბილთა ღრჭენით.

— რატომ შეორე სანგართან არ მივდივართ?—ვანრისხებული იძახის მეორე.—რაკი აქ მოვედით, რამდენიმე ნახტომი—და მეორე სანგართან გავჩნდებით!

— მეც მინდა წავიდე.

— მეცა! ოჰ, წყეულები, ძაღლები!

ყველანი აღენთნენ, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევენ, დამთვრალები, ნახევრათ გონება-დაკარგულნი.

ვდგევართ დაშერილ სანგართან. ვდგევართ ამ უცნაურ, დანგრეულ გზასთან, მინდორში რომ მიიკლაკნება და ერთ უცნობ ადგილიდან მეორე უცნობ ადგილისაკენ მიიმართება, და ველოდებით.

— მარჯვნივ, გასწით!—გაისმის კომანდის ხმა.

მივდივართ მარჯვნივ. უეცველია, იქ, სადღაც, ჩვენმა უფროსებმა შეიმუშავეს ასეთი პლანი ჩვენის სიარულისა. ფეხებს ვადგამთ რბილ სხეულებს, ზოგი კიდევ იძვრის. გვაბრუნებასა და ნელნელა ადგილის გამოცვლას ახერხებს, თან თქრიალით სისხლი სდის და ყვირილი აღმოხდება პირიდან. მკვდრები გარდი-გარდმო ჰყრია, ძელებისა და ხარა-ხურას მსგავსათ, ზოგან პირდაპირ დაშრილებზეა დახერგილი, აწვებიან, ახრჩობენ, ყელში უკერენ და სიცოცხლეს ართმევენ. გზაზე ფეხი წამოვკარ და განზე გადავაგდე ერთი თავწაჩრილი სხეული, კისრიდან სისხლი შადრევანითა სჩქეფდა.

სურათი ასეთია: დედამიწა ჩაინგრა, ყველგან ძელების ნამტვრევები და ჩამოცვენილი ხარაჩოები ჰყრია, სანგარს შიგნითა მიწა მოფენილია მკვდრებითა და დაშრილებით; ერთათ, ერთმანერთში არეულნი იძვრიან, მოძრაე ტყის მსგავს კვამლით გავსებულია სანგარი და მისი მიდამო. და ამ დროს თუ ვისმე ცოცხალსა ხედავთ, უეცველათ ცეცხლი უნდა უკი-

დებოდეს პირისახეზე, ხვითქი ჩამორეცხდეს, თვალებს გიჟივით აბრიალებდეს. ხედავთ აქა-იქ ჯგუფებს, თითქო ხტიან დანების ქნევითაო. გახარებულნი არიან, ბედნიერებისაგან, რო ცოცხლები გადარჩნენ, გონება დაჰკარქვიათ, გამხეცებულან.

ნელ-ნელა დამშვიდდენ. ერთი სოლდათი კითხულობს:

— ახლა რა უნდა ვქნათ?

ერთ ალაგას ისეე უნდათ ბრძოლა: აქედან ოციოდ ჭეტრის მანძილზე, მინდორში თოფის სროლის ჰახა-ჰუხი ისმის ერთ ტყვიის მფრქვეველს კარშემო; თვით ტყვიისმტყორცნელი მიწაში ჩაფლულა, აფრქვევს ტყვიებს და თითქო თავს იცავს მოსეულებისაგანო.

მოყვითანო-მოლურჯო კვამლში კაცები მოსჩანან, ტყვიის მფრქვეველს შემოხვევიან და თან და თან ვიწრო წრეს აევლებენ. ჩემს ახლო მენილ ჟოზეფის სილუეტი გავარჩიე. არც-კი ცდილობს, რასმე მოეფაროს, ჯიქურ მიდის იქითკენ, საიდანაც სროლის ხმა მოდის.

სანგრის ერთ კუთხიდან თოფი გავარდა. ჟოზეფი გაჩერდა, შეტორტმანდა, დაიხარა და ცალ მუხლზე დაიჩოქა. მივეშველე. დამინახა, მისკენ რომ მივდიოდი და მეუბნება:

— არა მიშავს რა... ბარძაყში მომხვდა... მარტო გავბობღდები როგორმე.

თითქო უფრო დაჭკვიანებულაო, მორჩილი და დამჯერო გამხდარაო, და ნელ-ნელა გაბობღდა უკან...

ახლაც თვალწინ მიდგას ის ადგილი, საიდანაც ზოლივით წამოვიდა თოფის ტყვია და ჟოზეფს მოხვდა. ცოტა შორიდან მოვუარე მარჯვნით და ისე წაველი იქითკენ.

არავინაა. ერთი ჩვენთაგანი-ღა შემხვდა. იგიც ჩემსებ ეძებდა. პარადიზი იყო.

დაგვეჯაჯგურნენ სოლდათები, მხრებზე გადადებული და ამოღლიავებული მოჰქონდათ რაღაც სხვა და სხვა ფორმის რკინის ნაჭრები. თხრილი ამოჰქოლეს და ჩვენ გაგვაცალკევეს.

— ტყვიისმფრქვეველი მეშვიდე გუნდს წაურთმევია,— ჰყვირიან სოლდათები.—ამას შემდეგ კი ვერ ამოარწყვევს ტყვიებსა ე სავერნე, ესა! აი დასწყეველოს ღმერთმა მაგის თავი და ტანი, ე პატრონ მკ დარი ეგა!

— ახლა რაღა უნდა გავაკეთოთ?

— არაფერი.

დავრჩით შიგა, არეულ-დარეულები, ალუფხულები. დავსხედით. ცოცხლები ქშენას მორჩნენ, მომაკვდავნი—კვნესას. გარშემო გვარტყია მშვარტლი, ცეცხლი და ზარბაზნების რუხრუხის ხმა, თითქო დედამიწის ყველა კუთხიდან აქ იყრის თავს ეს ხმაო. აღარ ვიცით, სადა ვართ. არც მიწა სჩანს სადმე, აღარც ცა. არის მაარტოოდენ მთლიანი ღრუბელი და სხვა არა რა. ამ ქაოსის დრამაში თითქო ჩაისახაო დასაწყისი დასვენებისა. საერთოთ მიწყნარდა მოძრაობა, ხმაურობა. ზარბაზნის სროლამ იკლო, მეგეგრჩა მხოლოთ დაუსრულებელი დაღლილობა, და ამ დაღლილობას ახლა უფრო ვგრძნობთ, უფრო გვახრჩობს. შეგეგრჩა აგრეთვე დაღლილობასთან ერთათ დაუსრულებელი ლოდინიცა.

* * *

მტერი სადღაა? ადგილი არ დარჩენილა, რომ მისი მკვდრები კალოსებ არ ეყაროს; ვნახეთ აგრეთვე მაგათის ტყვეების რაზმები: აი იქაც, შემშვარტლულ ცის ფონზე, მოსჩანს კიდევ ერთი ჯგუფი, ნირშეუცვლელი, გამურული. მაგრამ უმთავრესი ძალა გერმანელებისა შორს დაფანტულა. მათი გამოსროლილი ყუმბარა კანტი-კუნტათ ჩვენამდეც მოდის, მაგრამ, ეტყობა, ნიშანში კარგათ ვერ ამოუღიეართ, ვერაფერს გვაკლებს და დაცინით. გადაეჩრით, გული საგულესა გვაქვს, მარტონი ვართ ამ ერთგვარ უდაბნოში, სადაც მიცვალებულთა კალო მხარ.და-მხარ ცოცხალთა ხაზთანაა დამდგარი.

დალამდა.. მტვერმა გადაიარა, აღგილი დაუთმო ბინდსა და სიბნელეს, ალუფხულათ გაწოლილ სოლდათებს თავზე რომ გადაეფარა. ხან ერთათ შეეყრებით, ხან ავდგებით, სიარულს მოეყვებით, ერთმანერთს ვეყრდნობით და ვებღაუჭებით. მკვდრებით სავსე საფრე შორის ჯგუფ-ჯგუფათ ვიკრიბებით, ვყუჩდებით. ზოგიერთს თავისი ბოლო ძირს დაუგდია და ხბრილის ნაპირებთან დაყიალებს, დაღლილობისაგან ხელები თითქო მოწყვეტილი აქვსო: ახლოდან რომ უყურებთ, ხედავთ, რომ ეს ხალხი გაშავებულა, თითქო მზე მოჰკიდებიათო, თვალები დასისხლიანებიათ, სახე ტალახით დაჰფარვიათ. თითქმის ხმას არ ვიღებთ, მაგრამ რიღასიც ძებნას-კი შევუდექით.

გამოჩნდენ სანიტარები. ეძებენ. ძირს იკუზებიან, მერე იქით მიდიან, და თან რაღაც მძიმე მიაქვსთ გრძელ საკაცებითა. ცოტა იქითკენ, ჩვენს მარჯვნივ, წერაქვისა და ბარის დარტყმის ხმა ისმის.

ამ არეულ-დარეულობაში მეც იქით-აქეთ ვეხეტები.

ერთგან, საცა სანგარზე დაყრილი მიწა ყუმბარებისაგან ჩამოკვენილია და მსუბუქ ფერდობის მსგავსი გაუკეთებია, ვიღაცა ზის. გარშემო ისევა ჰკრთის ბუნდი სინათლე. მშვიდათა ზის და დაფიქრებული გაიყურება. თითქო ქანდაკება რამ არისო, ისე ზის. რო დავიხარე, ვიცანი: კაპორალი ბერტრანია.

ჩემსკენ მოიბრუნა თავი და ვკრძნობ, რომ ამ სიბნელეში თვისის დაფიქრებულის ღიმილით მიღიმის.

— შენ უნდა მეპოვნე,—მეუბნება ბერტრანი.—სანამ ამბავი მოგვივიდოდეს, თუ რა ქნეს სხვებმა ან რა ხდება ჩვენს წინ, აქ სანგრის დარაჯობის საქმე უნდა მოვაწყოთ. შენ და პარადიზს ერთათ დაგაყენებთ სადარაჯო პოსტზე, ეს-ეს არის, საპიორებმა რომ გამოსთხარეს.

ვუყურებდი გამვლელთა ლანდებს, ვუყურებთ უწძრევლათ დაყრილ მიცვალებულთ, მელნის ლაქებივით რომ ჩანან

და ათასნაირათ მოკრუნჩხულან. მაგათი სილუეტები ნაცრისფერ ცაზე იხატება დანგრეულ მოაჯირებს გასწვრივ. როგორლაც უკნაურათ არიან ერთი-მეორეზე დახერგილნი და სიბნელეში პატარებად მოსჩანან, გეგონებათ, ჭიები არიანო, ამ სიბნელით დაფარულ მინდვრებზე, სადაც სიკვდილმა თავისი მუუდროებისა და მშვიდობის ფრთები რომ გადააფარა. ეს ორი წელიწადია, რაც იბრძვიან და სიკვდილი თვისის ცელითა სცელავს ყველას და სოლდათების ქალაქები თელა-უწვდენელ და ბნელ სასაფლაოებად გადააქცია.

სიბნელეში ორმა ლანდმა ჩ.გვიარა, ჩვენზე ორის ნაბიჯით ახლოს; რალასაც ჩურჩულებენ.

— მე, შენ ხარ ჩემი ბატონი, რა თქმა უნდა, ყური არ ვუგდე და პირდაპირ მუცელში ჩავსცი ხიშტი... ბერე ისე ღრმათ მომივიდა, რომ ძლივს ამოვიღე უკან...

— როცა სოროში შევხტი, შიგ ოთხნი იყვნენ. გამოდით-მეთქი, დავუძახე. რამდენიც გამოვიდოდა, იმდენს იქვე სულს ვაფრთხობინებდი.(იდაყვამდე სისხლითა მქონდა ხელი მოსვრილი, ზედ სახელოებიც კი მიმეწება.

— ეჰ, ღმერთო ჩემო! —განაგრძო პირველმა,—როცა ჩვენიანებთან დავბრუნდებით, თუ კი დავბრუნდებით, და ბუბართან და სანთელთან მიმსხდარნი ვუამბობთ ყოველსაე ამას, ვინ დაგვიჯერებს! ამაზე მეტი საშინელება-ღა იქნება რაღე?

— მე კი ფეხებზე მკიდია, ოღონდ კი დავბრუნდე,—სთქვა მეორემ.—ნეტავი ჩქარა კი მოეღოს ბოლო ამ ომსა და!

ბერტრანმა ძალიან ცოტა ლაპარაკი იცოდა, თავის თავზე თავისღლეში არას იტყოდა. და მაინც მითხრა:

— მე სამ კაცთან ერთათ მქონდა საქმე. არ დაჰბზოგნია კი; როგორც გიჟი, ისე ვცემდი სამსავე ხიშტებით, ჰოდა ჩემმა ღმერთმა. აქ რო მოვედით, ყველანი მზეცებად ვიქცეთ!

ხმა აუკანკალდა, ეტყობოდა, თავს იკავებდა:

— ასეც უნდა გვექნა, — განაგრძო, — ასეც უნდა ვქნა... ჩვენის მომავლის გულისათვის.

გულზე ხელები დაიკრიფა და თავი ჩაქნია.

— მომავალი! — წამოიძახა ბერტრანმა წინასწარმეტყველურის კილოთი. — რა თვალებით უნდა შემოგვხედონ ჩვენ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ იცხოვრებენ და ვისს სინდისშიაც სწორწონაობას დაამყარებს პროგრესი, აუცილებელი რომ იქნება, როგორც ბედისწერა? რა თვალებით უნდა შეხედონ მათ ჩვენს მიერ კაცისკვლას და ჩვენთა საგმირო საქმეთა, რომელთა შესახებჩვენ თვითონ, მათს მომქმედთა, არ ვიცით — შევადაროთ პლუტარქისა და კორნელის გმირების საქმეთა, თუ ყაჩაღების საქმეთა საგმიროთა!

„და მაინც, — განაგრძო ბერტრანმა, — არის ერთი ადამიანი, არის ერთი სახე, რომელიც ომზე მაღლა სდგას და რომელიც თვისის გამბედაობის სილამაზით და მნიშვნელობით ბრწყინავს...“

ჯობს დავეყრდნე, მისკენ მივიწიე და ყური დავუგდე. ხარბათ ვისმენდი ამ სიტყვებს, დამის მდუმარებაში ამ კვლავ მუდამ. უტყვ ბაგეთაგან რომ მესმოდა. მკაფიო ხმით წამოიძახა:

— ლიბენჯტი!

წამოდგა. ხელები გულზე ისევ ეკრიფა. მისი მშვენიერი სახე, ჭანდაკების გამომეტყველების სერიოზობა რომ იხატებოდა შიგ, გულზე დაეშვა. მაგრამ თავისი მდუმარება ერთხელ კიდევ დაარღვია და ამეტყველდა:

— მომავალი! მომავალი! მომავლის საქმე ის იქნება, რომ წარხოცოს ეს აწმყო, წარხოცოს უფრო ძლიერთა, ვიდრე ამას ვინმე იფიქრებდეს, წარხოცოს როგორც საშინელი და სამარცხვინო რამ. და ეს აწმყო მაინც საჭირო იყო, საჭირო სირცხვილი საძხედრო დიდებას, სირცხვილი ლაშქარს, სირცხვილი სოლდათის ხელობას, სირცხვილი ყველას, ვინც ადამიანები რიგრიგათ გვდაჰკიან უტევინო მსხვერპლებად და საზიზღარ ჯალათებად. დიახ, სირცხვილი! ეს მართალია, მაგრამ

ეს შეტის-მეტად მართალია! ეს მართალია მარადისობისათვის, მხოლოთ ჯერ ჩვენთვის არა. კარგათ ჩაუფიქრდი, ამ წუთას რას ვამბობთ! ეს მაშინ იქნება მართალი, როცა მართალი იქნება, რაც სახარებაში სწერია! ეს მაშინ იქნება მართალი, როცა ამ სიმართლეს სხვა ქვეშმარიტებათა შორის გამონაკლისათვინ და მის გაგებას ჩვენ შემდეგში შევიძლებთ, ოდეს ვანწმინდება სული ჩვენი. ჩვენ-კი ჯერ მეტათ დაშორებულნი ვართ ამ ეპოქაზე. ახლა, ამ ჟამათ, ეს სიმართლე—შეცთომად მიაჩნიათ. ეს წმიდა სიტყვა ღვთისგმობად ითვლება.

როგორლაც გულიანათ გაიცინა და დაფიქრებულათ გაანაგრძნო:

— ერთხელ სოლდათებს ვუთხარი, წინასწარმეტყველებსა მკერა-მეთქი. ეს გასამხნევებლათ ვუთხარი, რომ წინ წასულიყვნენ.

ბერტრანს ვერდით მოვუჯექი. ეს სოლდათი, რომელიც სულმუდამ იმაზე მეტს აკეთებდა, ვიდრე მისგან მოვალეობა მოითხოვდა და მაინც აქამდე ცოცხალია, ჩემს თვალში ისეთ კაცად მომეჩვენა, რომელშიაც განხორციელებულია უმაღლესი ზნეობრივი იდეა და რომელსაც საკმაო ღონე შესწევს თავი გაინთავისუფლოს თანამედროვე ცხოვრების პირობებისაგან, მაღლა მოეჭცეს თავისს ეპოქას, თუ დიდ გარემოებათა ტრიალში მოჰყვა.

— მე ხშირათ მიფიქრნია ამაზე,—ჩუმათ ვუთხარი მე.

— მართლა?—მკითხა ბერტრანმა.

ჩუმათ გადავხედეთ ერთმანერთს, გვეოცა კიდეც ერთიმეორის აზრი. კარგა ხნის სიჩუმეს შემდეგ, განაგრძო:

— დროა სამსახურს შევუდგეთ. აიღე თოფი და წაჩოდი!...

* * *

...ჩვენს სადარაჯო პოსტიდან აღმოსავლეთის მხრით ხანძარი დაინახეთ, უფრო ლურჯი, უფრო ჰგუნვარე,

ვიდრე ნამდვილი ხანძარი. აცისკროვნებს ცას ერთ გრძელ და შავ ღრუბელს ქვემოდან. ღრუბელი ჰაერშია დაკიდებული, როგორც უშველებელ ჩამქრალ კოცონის კვამლი, როგორც უსაზღვრო ლაქა სამყაროს პირისახეზე მიტყებებული. დილა თენდება.

ისე ცივა, რომ შეუძლებელია უმოძრაოთ ვიყოთ, თუ-ცა დაღლილობისაგან ყოველი სახსარი დახუთული გვაქვს. გვაკანკალებს, გვაჟრჟოლებს, კბილს კბილზე გვაცემინებს. თვალები გვეცრემლების. ცოტ-ცოტათი, მტანჯავის ზოზინთ გაარღვია დღემ ცა და შავ ღრუბლების თხელ ხარაჩოდან თავი გამოჰყო. ყოველივე შებოჭილია სიცივითა, უფერულია, უდაბურია; მდუმარება სიკვდილისა გამეფებულა ყველგან. თრთვილი და თოვლი ნისლისა და წყვდიადის სიმძიმეს ქვეშ მიჰყლეტილა. ყოველივე თეთრათაა გადაპენტილი. პარადიზი შეიჩმუჩნა: ნისლში თეთრ მოჩვენებასა ჰგავს. ყველანი თეთრები ვართ, ჩვენცა. ჩემი ჩანთა სადარაჯოს მოაჯირზე ჩამოვდე. ისე გახდა, იტყოდით, თითქო თეთრ ქაღალდში გაეხვიაო ვისმეო. სოროს ძირშიაც ციალებს თოვლი, მხოლოთ ფუნხებ ქვეშ ნაცრისფერი გადაჰკრავს. ხვრელს გარეშე კი, საცა ათასი რამეა დახერგილი, ან მოთხრილი, მიცვალებულთა კალოზე—ყველაფერს თოვლი ზედ გადაჰპენტია მსუბუქათ.

ნისლში გამოჩნდა ორი კაცი, წელში მოხრილი. რო მოგვიახლოვდენ, უფრო შავათ გამოჩნდენ და დაგვიძახეს. ჩვენს გამოსაცვლელად არიან მოსულნი. სიცივისაგან სახეები დაჭლურჯებიათ და დასველებიათ, ლოყა აგურს ჰიღუგავსთ, მაგრამ მაზარები პუდრმოყრილივით არა აქვსთ: მიწას ქვეშ სძინებიათ.

პარადიზი სადარაჯოდან გამობობდა. გამოეცდით მინდვრად. მე უკან მივსდევ. ზურგი, საშობაო მოხუცს რომ ხატვენ, იმას მიუგავს, თეთრათ გადალესილი; ბაჯბაჯით მიდის, იხვივით. ფეხებზე ფიფქი ეკვრის და წალები თეთრ ნაბდის ლანჩებ ამოკრულს დაუმსგავსა. წელში მოხრილნი შე-

ველით სანგარში: ვინც ჩვენ გამოგვცვალა, იმათი ნაცვალი შაცვლია ალბეჭდილი თოვლის თეთრ ფიფქზე, მიწას რომ ჰფარავს.

სანგარში ალაგ-ალაგ სარები შეუყენებიათ და ზედ გადაუფარებიათ ბრეზენტი, უშველებელ და უსწორმასწორო კარვების მსგავსათ. ბრეზენტი ზევიდან თრთვილის თეთრის ხავერდით არის დაფარული და ქვეშიდანაც დარაჯები დგანან. დარაჯებს შორის ჩაჩხირულნი არიან სხვა სოლდათები, მიწაზე გაწოლილნი, მოკაკვულნი. ებრძვიან სიცივეს, ცდილობენ საცოდავი გულმკერდი გაითბონ, ზოგი სრულებით გათოშილა. ოდნავ ღვერდზე გადახრილი მკედარი დგას. ფეხები სანგარში აქვს გადმოშვერილი, ხოლო გულმკერდი და ორივე ხელი გარეთ მიწანაყარზე უდევს. ცისაკენ შეშვერილი სახე თრთვილით აქვს დაფარული, ქუთუთოები და თვალები გასთეთრებია, ხოლო ტუჩებზე ქაფი დაჰყინვია.

არიან მძინარენიც: ესენი ისე არ არიან გათეთრებულნი, როგორც სხვები; თოვლის სუდარა უცვლელია მხოლოთ უსულო საგნებსა და მკედრებზე.

— დავიძინოთ.

მე და პარადიზი ბინას ვეძებთ, ხვრელს რასმე, საცა შევეძლებოდა თავი შეგვეფაროთ და თვალები მოგვეხუჭოთ.

— არა უშავს რა, თუნდ მკედრებთან მოგვიხდეს დაწოლა,—ჯუჯღუნებს პარადიზი,—ამ სიცივეში სუნი ისე არ გაგვდინებათ, თვითონაც ეცდებიან არ შეგვაწუხონ.

მივდივართ წინ, მაგრამ ისე ვართ მოწყვეტილები, რომ ბალღა თავის აწევის ღონე აღარა გვაქვს.

მარტო დავრჩი. პარადიზი რა იქნა? ალბათ სადმე მიწვა. იქნება დამიძახა კიდეც, და მე კი ვერ გავიგონე.

მარტო შემომხვდა.

— დასაძინებელ ადგილს ვეძებ; ყარაულად ვიდექი,—მეუბნება ამხანაგი.

— მეც. მოდი, მოვძებნოთ სადმე.

— ე რა ხმაურობაა?—მეკითხება მარტრო.

ამ დროს მოგვესმა ფეხების ტყაპუნი და ლაპარაკი ხალხის გროვისა. შემაერთებელი გასასვლელები სოლდათებითაა სავსე...

— თქვენ ვინა ხართ?

ერთმა ახლოს მდგარმა გეიპასუხა:

— მე-ე ბატალიონისანი ვართ.

ახალმოსულები გაჩერდენ. საბრძოლველად არიან გამოწყობილნი. მოლაპარაკე სოლდათი ჩამოჯდა, რომ სული მოეთქვა, ჩამოჯდა მიწის ტომარაზე, სხვა ტომრებ შორის ცოტაოი გამოწეულ ტომარაზე, და თავისს ფეხებთან ხელით სასროლი გრენადები დააწყო; მერე სახელურით ცხვირი მოიწმინდა..

— აქ რისთვის მოსულხართ? ხომ არ უთქვამთ, რისთვისაც მოხვედით?

— გვითხრეს, მაშ: იერიშის მისატანად მივდივართ. აი, იქამდე უნდა მივიდეთ, სულ ბოლომდე.

თავით ჩრდილოეთი მანიშნა.

ჩვენ ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებთ ამ ახალმოსულებს და ვეკითხებით:

— მთელი ტყვია-წამალი წამოიღეთ?

— მა ხომ არ გადავყრიდით?

— წინ!—გაისმა კომანდერის ხმა.

წამოიშალნენ, უძინარნი, თვალებაწითლებულნი, დაღლილნი და გასწიეს წინ. მათს შორის ახალგაზდებიც ურევია, წვრილ კისრებიანნი და უგამომეტყველო თვალებიანნი; ურევია მოხუცებიცა, მავრამ მომეტებულათ შუა ხნის ხალხია. ჩვეულებრივისა და მშვიდობიანის ნაბიჯით მიდიან. იმნაირი საქმე, რაც ამათ ახლა წინ უძევსთ გასაკეთებლად, ჩვენ უკვე გუშინ გავაკეთეთ და გვგონია, რომ ადამიანისათვის პირდაპირ შეუძლებელია მისი გაკეთება. ეს ხალხი მაინც მიდის ჩრდილოეთისაკენ.

— თითქო სიკვდილით დასასჯელებს აღვიძებენ დასჯას წინაო,—მეუბნება მარტრო. ზარდაცემულნი და მათდამი პატივისცემით აღსავსენი ვუტევთ გზას.

როცა გაიარეს, მარტრომ თავი ჩააქნია და წამჩურჩულა:

— იქაც, მეორე მხარეზედაც არის, ჩემო კარგო, ხალხი, რუხვ ტანისამოსიანი, ახლა ისიც ემზადება საბრძოლველათ. მაგრამ შენა გგონია, ბრძოლა უნდათ? შენც არ მომიკვდე! და არცა მგონია, შენ ამას ფიქრობდე. გიჟს დაგიძახებდი, ასე რომ ფიქრობდე, ვაი არა აქვს ჩემ თავს! მაგრამ შენ ის მითხარი, იმათ აქ რა უნდათ? გაწა არ ვიცი, რომ აქ არ უნდა მოსულიყვნენ, არაფერი ესაქმებათ. მაგრამ რაკი მოვიდნენ, ცოტა მაგათი ბრალიცაა. ვიცი, რაც ამბავია, ყველაფერი ვიცი, მაგრამ თქმა მემძიმება, უცნაური ამბავი კია.

ამ დროს ერთმა სოლდათმა ჩამოიარა. მისმა დანახვამ სულ სხვა საგანზე გადაგვახტუნა.

— აი, შეხედე, მოდის... რა ჰქვიან?... ჰო, რაც უნდა ერქვას, აი ეს აყლაყუდა, ხომ იცი... ღმერთო. რა აყუდღული და წოწოლაა! მე, მართალია, ღმერთმა დიდი არ გამზარდა, მაგრამ ამისთვის კი მეტის-მეტათ აუყრევინებია ტანი, თითქო ცას ებჯინებაო ე ოჯახქორი. და რაც უნდა ჰკითხო, ყველაფერი იცის ამ სარიყლაპიამ. ყველაფრის ცოდნაში ბადალი არა ჰყავს. მოდი, ერთი ვკითხოთ, იქნება სადმე დასავანებელი ეგულება ჩვენთვის.

— საწოლ ოთახს მეკითხებით?—უპასუხა აყლაყუდამ და მარტროსაკენ დაიხარა, თითქო ალვისხე მოიდრიკაო.—რა თქმა უნდა, არის. რამდენიც გნებავსთ.—ესა სთქვა და გაიშვირა ხელი, თითქო ხელით სანიშნებელი ტელეგრაფიაო.—აი ჰიდენბურგის ვილლა, ემანდ მეორეც; თუ არცერთი მოგეწონათ, გეტყობათ ძნელათ თუ რამ მოგეწონებათ, შვილოსან. შეიძლება შიგ თითო-ოროლა მდგურიც დაგხვდესთ, მაგრამ ისეთი მდგმურებია, რომ არ იძვრიან, შეგიძლიათ მათთან ხმა-მაღლაც ილაპარაკოთ, არ დაუშლით! გესმისთ?

— დასწყევლოს ღმერთმა!—წამოიძახა მარტარომ ერთ მეოთხედ საათს უკან, როცა ერთ-ერთ ამ ოთხკუთხ თხრილში დავვანდით,—რამდენი მდგმური ყოფილა ამ დასაქცევში. ე სად მოგვიყვანა იმ წყეულმა მეხთამრიდმა.

თვალები ებლიტებოდა, მაგრამ წამ-და-უწუმ ახელდა და მკლავებსა და გვერდებს იფხანდა.

— ძილისთვის თავი მიკვდება, მაგრამ რა ვქნა, რომ არ შემიძლია დავიძინო!

მოვყევით მთქნარებას, ხვნეშას და ბოლოს სანთლის ნამწვს მოვუკიდეთ. ხელში გვეჭირა ლ ვითბობდით, მაგრამ რაკი დასველებული იყო, არ კარგათ ეკიდებოდა. ისევ მთქნარება დავიწყეთ და ერთმანერთს ვუყურებდით.

გერმანელთა საფარში რამდენიმე ხანყოფილება იყო. ჩვენი განყოფილება მეორესაგან ფიცრით იყო გადაძგიდული. ამ ძგიდეს იქით მეორე განყოფილებაშიაც არ ეძინათ: ჭარაფებში სინათლე გამოდიოდა და ლაპარაკი ისმოდა.

— ლაპარაკი რომ ისმის, მეორე განყოფილებაშია,— მითხრა მარტარომ.

ჩვენც მაშინალურათ მივაყურეთ:

— შვებულებაში რო გამიშვეს,—გუგუნებდა თვალთუხილავი მოლაპარაკე,—ძალიან დაღონებული ვიყავით, ამიტომ რომ გვაგონდებოდა ჩემი საცოდავი ძმა, მარტში რომ დაიკარგა, ალბათ მკვდარი იქნება, და ჩემი ვაჟი, ჟულიანი, 1915 წელში წაყვანილი სოლდათად და ღვინობისთვის შეტევის დროს მოკლული. მერე მე და ჩემი ცოლი ცოტა-ცოტათი დავმშვიდდით, ბედნიერებად მიგვაჩნდა თავი, რაკი ერთათ ვიყავით. რას იზამ, ასეთია ადამიანის ცხოვრება. ჩვენი ნაბოლარა შვილი, ხუთის წლის ბიჭუნა, ძალიან გვართობდა, ის იყო ჩვენი ნუგეში, ჩვენი სიხარული.. ჩემთან სოლდათობანა უნდა ეთამაშნა. პატარა თოფი გავუთალე, ავუხსენი, სანგრები როგორაა გაკეთებული. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ჩიტუნიასებ ხტოდა, მიყვიროდა და თავის ჰკუაში

თოფს მესროდა. დიდი მამაძაღლი ვინმე იქნება. ისე ვარჯიშობდა, რომ შენი მოწონებული! თუ ღმერთმა მაჩუქა, სამაგალითო სოლდათი დადგება თავის დროზე... რა საჭიროა, ახლავე კოჭებში ეტყობა, რაც იქნება!

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ისევ რაღაც ლაპარაკი დაიწყეს და ერთ სიტყვას-ღა მოვკარ ყური. ეს სიტყვა იყო: „ნაპოლეონი.“ მერე მეორე მოლაპარაკემ — ან იმანვე — სთქვა:

— ვილჰელმი სალახანა ვინმეა. ეს ომი სულ იმის ბრალია. მაგრამ ნაპოლეონი კი, ჩემო ძმაო, დიდებული კაცია.

მარტრო ჩემს აბლო დაჩოქილია და თითქო თბებაო ჩვენის სანთლის სუსტ სინათლეზე.

ორიენ კი ვსხედვართ ამ ბნელ და ნახევრათ დაუშვარავ ჭაში, სადაც სიცივე საშინლათ უბერავს და ათასობით ტილი დაღოღავს, მკვდრებსაც კი არ ანებებენ თავს... მარტრო შიგ თვალებში მიყურებს. ჩემსებ იმასაც ესმის უსახელო სოლდათის ნათქვამი: „ვილჰელმი სალახანა ვინმეა. მაგრამ ნაპოლეონი კი, ჩემო ძმაო, დიდებული კაცია“. ესმის აგრეთვე პატარა მეომრის ამბავი, მამას რო დარჩენია როგორც ერთადერთი შვილი. ძირს დაუშვა ხელები და თავისი დაღალული თავი ჩაიქნია. — სუსტმა სინათლემ ფიცრის კედელზე უცბათ კარიკატურა გამოხატა მისის ამ ორგვარ მოძრაობისა.

— ეჰ! — მითხრა ჩემმა თავმდაბალმა ამხანაგმა, — ვერავინ იტყვის, ჩემო კარგო, რომ მაინც და მაინც ცუდები ვიყვეთ. არც ისე ვართ საცოდავები და უბედურები. მაგრამ რათ გინდა, მეტის მეტი სულელები ვართ, მეტის მეტი!

ისევ შემომხედა. მის ბანჯგვლიან სახეზე, ძაღლის თავს რომ მიუგავს, გაუბრწყინდა მშვენიერი, ძაღლური თვალები, რომლებიც რილათიც გაკვირვებულია, რაღასაც ფიქრობს, — მართალია, ჯერ ბუნდათ ფიქრობს, მაგრამ მაინც ფიქრობს, და გაგებასა და მიხვედრას იწყებს.

გამოვედით ამ საფარიდან, სადაც ძე-ხორციელს არ ედგომება. ჰაერი ცოტათი შეთბა: თოვლი გადნა და ყველაფერი ტალახად აქცია.

— ქარიც დატკბა, ისე არ იკბინება,—სთქვა მარტრომ.

* * *

მე დამავალეს ჟოზეფ მენილი საევაკუაციო პუნკტამდე მივიყვანო, პილონში. სერჟანტმა ჰანრიომ დაკრილი ჩამაბარა და მასთან ერთათ საევაკუაციო ბარათიცა.

— თუ გზაში ბერტრანი შეგხვდათ სადმე,—გვითხრა ჰანრიომ,—უთხარით, ჩქარა წამოვიდეს. წუხელ შემაერთებელ სამსახურისათვის წავიდა და ეს ერთი საათი მეტია ვუცდით და მის დაბრუნებას არაფერი ეშველა. ჩვენი მოხუცი ცხარობს, აქამდე რა იქნაო.

მე და ჟოზეფი გზას დავადექით. ჟოზეფი ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალია, წინანდებურათ ჩუმათ არის და ნელნელა მოდის. ჟამდაჟამ გაჩერდება და სახეზე საშინელი ტანჯვა გამოეხატება. შემაერთებელ გასავალით მივდივართ.

ერთბაშათ კაცი წამოგვადგა თავზე. ვოლპატია. მეუბნება:

— ფერდობის ბოლომდე ჩვგაცილებთ.

უსაქმურათაა, არ იცის, დრო რას მოახმაროს და მშვენიერ დაგრეხილ წკეპლას ხელში ათამაშებს და თითქო ტყაცუნა უკირავს ხელშიო, თავისს ძვირფას მაკრატელს ატკაცუნებს. სულ თან დააქვს და ერთი წამსაც არ იშორებს.

სამნიენ სანგრიდან გამოვედივართ, როცა ფერდობი იმდენია, რომ ამოფარება შეგვეძლოს და ტყვია არ მოგვხვდეს, თორემ უყმბარისა არ გვეშინიან, რათგან ზარბაზნები გაჩუმებულნი არიან. გარეთ გამოვედით თუ არა, ერთათ თავმოყრილ სოლდათებს წავაწყდით. წვიმს. ჩვენი მძიმეთ გადადგმული ფეხები ბურუსში ისე მოსჩანს, თითქო შიგ ხეები დაურგავსთო. ერთ ჰატარა ტრიალ მინდორზე მკვდარი დავინახეთ.

ვოლპატი წინ გაძვრა და მივიდა ჰორიზონტალურათ დაგდებულ სხეულთან. უცბათ მოტრიალდა ჩვენსკენ და დაგვიყვირა:

— პეპენი!

— ვაიმე!—წამოიძახა ჟოზეფმა, რომელსაც, ლამის არი, გული წაუვიდეს.

ხელზე დამგყრდნო და ორივე მიეყუახლოვდით. პეპენი გრძლათ გაშხლართულა, ხელფეხი გასჭიმვია, სახე ნაცრისფრათ გასივებია და ზედ წვიმა დასდის.

ერთ სოლდათს ხელში წერაქვი უჭირავს, ტალახიან სახეზე ოფლი ჩამორეცხს. პეპენის სიკვდილის ამბავი ასე გვიამბო:

— ერთს საფარში შევიდა, შიგ ბოშები ყოფილან დამალულნი. მაგრამ ამხანაგებს არა სცოდნიათ ესა და კვამლი შეუხრჩოლებიათ საფარში, რომ შიგ მყოფი ბოშები გაეგუდათ. ასე კი იყო!.. მერე მკვდარი კი ვნახეთ პეპენი, ლორიევით შემჭვარტლული, ბოშების ხორცთან ერთათ. გაგიხარიან, იმასაც გამოუშვია ამ შეჩვენებულების სისხლი, სანამ თვითონაც მოკვდებოდა. კარგათაც გამოუშვია სისხლი, ამიტომ რომ მე თვითონ პარიზს გარეთ ყასბადა ვარ ნამყოფი და ვიცი, რასაცა ჰქვიან სისხლის გამოშვება, ეს ჩემი ხელობაა!

— ჩვენს მწყობრს ეს ერთი კაციც მოუკვდა,—ამბობს ვოლპატი, და ჩვენც განვაგრძეთ გზა.

ახლა ჩვენ ხრამის მაღლა თავში ვართ, საცა ვაკე იწყება. ეს ვაკე სწორეთ გუშინ სალამოს გამოვიარეთ აჩქარებით, როცა შესატევად მივრბოდით. ახლა ველარც-კი ვცნობთ.

ეს ვაკე, გუშინ რო სწორი მეგონა და ნამდვილათ კი დაქანებული ყოფილა, წარმოუდგენელ სალეშედ გადაქცეულა. მთელი კალოები დგას მკვდრებისა. სასაფლაოსა ჰგავს, მხოლოთ მიწის ზედაპირაცლილსა.

გარშემო დაძრწიან და წინადღით და წინაღამით მოკლულებს შინჯავენ, პირალმა აწვენენ და ამა თუ იმ ნიშნით

მათს ვინაობას არკვევენ. ერთმა ამ მაძებართაგანმა ერთს მიცვალებულს ხელიდან ფოტოგრაფიული სურათი გამოაცალა, —დაჰმუქნილი, სანახევროთ ფერგადასული, თითქო სურათიც კი მომკვდარაო.

შავი კვამლი ზარბაზნებისა ბოლქვა-ბოლქვათ ადის მაღლა, მერე შორს სადღაც, ცის დასავალს, კუგუნი ისმის; ცაში მთელი გუნდი დაჰფრენს ყვავ-ყორნებისა.

ამ დალრეჯილ და გახრწნილ გვამთა შორის მოსჩანს გვამები ზუავებისა, მსროლელთა რაზმისა, ლეგიონერთა, მაისის შეტევის დროს რომ დახოცილან. ჩვენის საზღვრების უკანასკნელი საზღვარი მაშინ ბერტონვალის ტყეში იყო, აქედან ხუთ-ექვს კილომეტრის მანძილზე. ასეთ საშინელ შეტევის მაგვარი არც ამ ომისა და არც სხვა ომების დროს ყოფილა. სოლდათებმა ერთსულოვნათ და გულდაგულ მოირბინეს ამ ადგილამდე. ამიტომ ძალიან წამოიწიეს წინ და თითქმის განმარტოებულნი დარჩნენ, მტერმაც ფრთებიდან დაუშინა ტყვიის მრფქვეველები როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხრიდან. უკვე რამდენიმე თთვე გავიდა მას აქეთ, რაც სიკვდილმა თვალები დასჩიჩქნა და ლოყები გამოუხრა მიცვალებულთ. მაგრამ მათს ნეშთს, იქით-აქეთ მიმობნეულს და თითქმის მიწად ქცეულს, მაინც ეტყობა, თუ რაზომ უნადგურებია ტყვიისმფრქვეველებს სოლდათების რაზმები, ტყვიას როგორ უხერეტია მათი ზურგი, როგორ უპრია შუაზე, თითქო ხერხით გადაუხერხიათო. გდია გაშავებული და ცვილისაგან გაკეთებულის მზგავსი თავები, თითქო ეგვიპტური მუმიებიაო, შიგ მატლები და სხვადასხვა მწერები ფუთფუთებს; პირის სიღრმეში კბილები უბრწყინავსთ: იქ ვაიხედავ, გდია გალოპრილ ჯირკვის მზგავსი კისერი, თავწაწყვეტილი, მის გვერდით თავი ჰგორავს, ტყავგადამძვრალი, თავებს ზედ შერჩენია წითელი ფესვები, ნახევრათ დამპალი დოლბანდის ნახევები. ტანისამოსის ნაფლეთებიდან თავი გამოუყვია ბარძაყის ძვლებს, ხერხემლის მალებს. ნეკნები მიწას დაჰფენია,

თითქო დამტვრეული გალია არისო. მის გვერდით ტივტივებს გაშავებული თასმები, გაჭყლეტილი ტოლჩები, მათარები... ძვლებსა და ტანისამოსის ნახევებზე ერთი დაძენძილი ტომარა გდია, გარშემო რაღაც თეთრი წერტილები ასხედს მწყობრათ. რომ დავიბარეთ, გავარჩიეთ, რომ ეს წერტილები თითების ძვლები ყოფილა გახრწნილ სხეულისა.

ქარისაგან მონაბერ მტვრისაგან გაკეთებულ გაგრძელებულ ბექობებს ქვეშიდან მოსჩანს ტანისამოსის ნაჭერი. თვით ბუნებას დაუმარხავს აქ ადამიანის გვამი, ამიტომ რომ ეს დაუსაფლავებელი მიცვალებულები ბოლოს და ბოლოს მიწამ უნდა შესჭამოს.

გერმანელებს, ჯერ კიდევ გუშინ აქ რომ იყვნენ, თავიანთი მიცვალებულები ჩვენს მიცვალებულებს გვერდით დაუტოვებიათ დაუმარხველათ.

ამას მოწმობს სამი მკვდარი, უკვე გახრწნილი და ერთიმეორეზე დაწყობილი, ერთიმეორეში შესული. აქვეა მათი ნაცრისფერი ქუდები. ქუდების წითელი არ'მია დაფარულია ქუდის შემოსაჭერ ნაცრისფერ თასმით, აქვეა მათი ნაცრისფერი და მოყვითანო ტანისამოსი, მათი გამწვანებული სახე. ვცდილობ გავარჩიო ერთ-ერთის სახე: კისრის ძირიდან თმამდე, თავის ქალას ნაპირებს რომ მიჰკვრია, დამიწებულ მასას წარმოადგენს და ჭიანჭველები დაჰხვევია. თვალების ალაგას ორ დამპალ მსხლის მსგავსი რაღაც უსხედს. მისსავე გვერდით ჰირდაღმა დევს მეორე მკვდარი, სრულებით გამხმარი, ზურგი სრულებით დაშლია, ხელფეხი და სახე თითქმის მიწაში ჩასვლია.

— შეხედეთ, ეს სულ ახალი მკვდარია...

მინდვრის შუაგულზე, სადაც ეს ადამიანთა ჯგლეტა იყო გამართული, თითქო ვისმე განგებ ჩაურჭვიაო, მოსჩანს უსისხლო და სველი თავი, დიდ და დამძიმებულ წვერიანი.

ჩვენიანია: გვერდით კასკა გდია. დასიებულ ქუთუთოებს ქვეშიდან თვალები ოდნავ გამოკრთის ლურჯათ. ტუჩები

ბნელ წვერში ღებრწყინავს, ლორწოსებ. ეტყობა, ჯერ ყუმბარის მიერ გაკეთებულ ძაბრში ჩავარდნილა, მერე მეორე ყუმბარა ზევიდან დასცემია, ამას მთელი ტანი მიწაში ჩაუტანია. ამასაც ისე დამართნია, როგორც იმ გერმანელს, კატას რომ მიუგავდა თავი, „წითელ დუქანთან“.

— თითქო მეცნაურებაო,—სთქვა ჟოზეფმა. ნელ-ნელა მიუახლოვდა და რის წვალებით ახერხებს ლაპარაკს.

— მე კი ვიცი, ვინც არის,—უთხრა ვოლპატმა.

— ამ დიდწვერას იცნობ?—ყრუთ ეკითხება ჟოზეფი.

— წვერი სრულებითაც არა აქვს. აი თუ არა, ახლავე გაჩვენებთ.

ვოლპატი დაიკუზა და ჯოხით ნიკაპს ქვეშიდან ტალახი მოაშორა, ჩვენ რომ წვერი გვეგონა. მერე აიღო კასკა და მკვდარს დახურა და თვალებზედაც ერთის წვერით თავის მაკრატლის ყურები მიადო, თითქო სათვალებიაო.

— ვაიმე დედავ!—წამოვიძახეთ ყველამ.—კოკონი, ბიჭო!

როცა გაიგებ ან დაინახავ, რომ მოკვდა ერთი იმათგანი, ვინც შენს გვერდით იბრძოდა ბრძოლის ველზე ან სწორეთ იმავე ცხოვრებით სცხოვრობდა, რა ცხოვრებითაც შენა სცხოვრობდი, გულში ლახვარივით მოგხვდება, სანამ გაითვალისწინებდე მთელს დანაკლისსა. ასეთის კაცის სიკვდილის ამბავი, თითქო შენს სიკვდილსაც უდრისო, თითქო შენც იმასთან ერთათ ჰკვდებიო; ერთბაშათ მხოლოთ შემდეგ იგლოვებ ასეთს თანამებრძოლს.

ვუყურებთ ამ გულშესაზარ თავს, ამ კაციკალიობის მსხვერპლს, ამ განადგურებულს თავს, თვისის გულშემზარავობით უკვე რომ წარშალა ყოველგვარი მოგონება. ერთმა ამხანაგმაც დაგვაობლა... ვდგეგვართ მის გარშემო, დაშინებულები, დაობლებულები.

— ეს იყო...

გვინდოდა რამე გვეთქვა. მაგრამ არ ვიცოდით, რა გვეთქვა ისეთი, რომ მნიშვნელოვანი ყოფილიყო, დიდი რამ

ჰეშმარიტება რომ ყოფილიყო შიგ ჩაქსოვილი.

— წავიდეთ,—გაჰკრივებით წაილუღლუღა ჟოზეფმა, ტკივილებით შეწუხებულმა.—იმდენი ღონე არა მაქვს, რომ წამდაუწუმ გავჩერდე.

თავი დავანებეთ საცოდავ კოკონს, ყოფილ ადამიანციფრს, და უკანასკნელათ შევხედეთ, გაკვრით, თითქმის დაბნეულათ.

— პირდაპირ შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა... —ტუტუნებს ვოლპატი.

ოღონდაც რომ წარმოუდგენელია. ყველა ამ ამხანაგების სიკვდილი გულს გვიკლავს. ცოცხლები ცოტანი-ღა დავრჩით. მაგრამ მეტათ ბუნდი წარმოდგენა გვაქვს მაგათის სიკვდილის სიდიადის შესახებ. დახოცილებმა ქვეყანას ყველაფერი ანაცვალეს, ყველაფერი შესწირეს; ცოტ-ცოტათი შესწირეს მთელი თვისი ძალ-ღონე, მერე შესწირეს თავიანთი თავიკა, ყველამ, ერთათ. ცხოვრებას გაუსწრეს; მათი ცდა, მათი თავისგამოდება რაღაც ზეკაცობრულია, რაღაც სრულია.

* * *

— ერთი ამ მკვდარსაც შეხე, თითქო, ეს-ეს არი, დაჭრილაო... და ის კი არა...

მკვდარს კისერზე სრულებით ახალი პრილობა ეტყობა და სისხლი სდის, ჩონჩხს კი ხორცი სრულებით შემოცლილი აქვს.

— ვირთაგვას საქმეა,—ამბობს ვოლპატი,—მკვდრები ძველებია, მაგრამ გარშემო დიდძალი ვირთაგვები ახვევია... ვერა ხედავ, რამდენი მკვდარი ვირთაგვაა—შეიძლება, მოწამლულებიც იყვნენ—მკდარს ზემოდან ან მის ქვეშიდან! დამაცა, ახლავე გაჩვენებ ამ საცოდავს ვირთაგვებს.

ფეხით გახრწნილ გვამს გადასწია და მას ქვეშ მართლაც ორი მკვდარი ვირთაგვა დაინახეთ.

— მინდა ფარფადეკ ვიპოვნო,—იძახის ვოლპატი. როცა მივრბოდით, კალთაზე დამებღაუჭა; ვუთხარი, ერთი ბეწო ხანი დამაცადე-მეთქი. ნეტავი თუ ცოცხალი გადარჩა საწყალი ბიჭი?

ცნობისმოყვარე თვალებით ხან ერთს მკვდარს ათვალიერებს, ხან მეორეს, მაგრამ ყველა უცნობი მკვდარია. ერთბაშათ თავში წაიშინა და დაიღრიალა. მერე ხელები დაგვიქნია და ერთ მიცვალებულის წინაშე მუხლები მოიყარა.

— ბერტრანი!

სიკვდილი გავათავეთ! იგიც სხვებივით მომკვდარა! მერე რა კაცი! სწორეთ ის კაცი, რომელიც ყველას მაგალითს გვაძლევდა თავისის ნათელის გონებითა და მხნეობითა, ის კაცი, რომელიც თავისს მოვალეობას მუდამჟამ პირნათლათ ასრულებდა. ბოლოს ბრძოლის ველზე განუტევებია სული.

ვუცქერით, მერე თავს ვაქიდებთ და ერთმანეთს ვუყურებთ.

მისმა სიკვდილმა ხომ თავზარი დაგვცა, მაგრამ უმეტესათ საშინელი საყურებელია მისი ნეშთი. გულისამრევი სანახავია. სიკვდილი თითქო დასცინოდა ამ კაცსაო, ისეთი სასაცილო, არაბუნებრივი პოზა მიუღებინებია, და საზარლათ დაუსახიჩრებია მისი სულმუდამ მშვიდობიანი და ლამაზი სახე. თმა თვალებზე ჩამოშლია, ულვაშები პირში ჩასველია, სახე დაჭსივებია და თითქო იცინისო, ცალი თვალი ფართეთ დაუღია, მეორე დაუხუჭნია. ენა გარეთ გამოუგდია. მკლავები გულზე დაუკრეფია ჯვარედინათ, ხელგაშლილად დარჩენია. თითები გაუპარპაშავს. მარჯვენა ფეხი ცალ მხარეზე გაწეულა, მარცხენა—ყუმბარის ნატეხს მოუშტვრევია, რკალად მოკრუნჩხვია, სისხლიდან დაცლილა და ალბათ იმისაგან მომკვდარა. ბედს მწარეთ დაუცინია ამ კაცისათვის და სულთა-ბრძოლის დროს ტაკიმასხარას მანქვაგრეხა დაჰკვდომია სახეზე.

მიცვალებული გავასწორეთ, თვალებზე გადავაფარეთ და ეს საშინელი ნიღაბი დავამშვიდეთ. ვოლპატმა ბერტრანს ჯიბიდან პორტფელი ამოუღო კანცელარიაში წარსადგენად. საკუთარ ქაღალდებში ჩასდო, თავის ცოლშვილის ფოტოგრაფიულ სურათთან ერთათ. ამას რომ მორჩა, თავი დააქნია.

— ნამდვილი კაცი იყო, ცხონებული. თუ იტყოდა რასმე, მისი ნათქვამი უეჭველათ სწორი უნდა ყოფილიყო. ეჰ, რა საჭირო კაცი იყო ჩვენთვის! უმაგისობა ძალიან დაგვაჩნდება!

— მართალს ამბობ,—ვუთხარი მე. —იმისთანა კაცი სულმუდამ იქნებოდა ჩვენთვის საჭირო.

— ოჰ, ღმერთო! — ოხრავს ვოლპატი და თან კანკალებს.

ჟოზეფი კი ჩუმათ ამბობს:

— დასწყეველოს ღმერთმა! დასწყეველოს ღმერთმა!

მთელი მინდორი ბალხით სავსეა. ზოგი სანიტარია, ზოგი ისე. მესაკაცე სანიტრები ნელ-ნელა შეუდგნენ თავიანთს საშინელს საქმეს.

ვოლპატი გამოგვეთხოვა და სანგრისაკენ დაბრუნდა, რომ უთხრას ახალ დახოცილების ამბავი, განსაკუთრებით, ბერტრანის სიკვდილი შეატყობინოს. გამოთხოვებისას ჟოზეფს უთხრა:

— აბა შენ იცი, თუ არ დაგვივიწყებ. როცა დრო გექნება, ორიოდ სიტყვით გვაცნობე: ყველაფერი კარგათაა თქო, ქვეშაც მოაწერე: „კამამბერ“. კარგი?

ესა სთქვა და გაერია იმათში, ვინც მინდვრად დაძრწიან და მკვდრებს აგროვებენ ამ თავსხმა წვიმაში.

* *

ჟოზეფი მკლავზე მეყრდნობა. ხევში დავეშვით.

ამ ფერდობს, სადაც ახლა ჩვენ უნდა დავეშვათ, „ზუავების უჯრედებს“ ეძახიან... მაისის იერიშის დროს ზუავებმა*)

*) ზუავი ალჟირში იქაურ მკვიდრთაგან და ნახევრათ ფრანგებისაგან შემდგარ კორპუსის ჯარისკაცსა ჰქვია. ზუავეები ბრძოლაში თვისის შემმართებლობით არიან ცნობილნი.

აქ თავთავისათვის სათითაოთ გამოითხარეს საფრები და ამ საფრებს გარშემო გაწყდენ კიდეცა. ახლაკა სჩანს, რომ დაწყებულ ხერელთან ძირსა ჰგდია კაცი, პატარა ნიჩაბი უპირავს ძვლად ქცეულ ხელებში ან და თავისს სამუშაოს ამოცარიელებულ თვალების ფოსოებით უცქერის. მიწა იმდენათაა გაცსებული მკვდრებითა, რომ როცა ჩამოზვავდება, მთელი ტყე ჩნდება ხოლმე ფეხებისა, ნახევრათ დაფარულ ჩონჩხებისა და ფერდობის ნაპირზე ერთმანერთთან მიწყობილ თავის ქალებისა, თითქო ფაიფურის თასებია.

აქ მკვდრები რამდენსამე ფენად არის ჩაყრილი; ზოგან ყუმბარებს სულ ქვედა ფენი გადმოუბრუნებია და ახალ ფენების ზემოდან გადაუყრია. ხრამის ძირი ამოვსებულია იარაღის ნამტვრევებით, საცვლების ნახევებით და სხვადასხვა ხელსაწყოების ნამსხვრევებითა. ყოველ ნაბიჯზე გხვდებათ ყუმბარების ნატეხი, ყოველგვარ რკინეულობის ხარა-ხურა, პური და ორცხობილებიც-კი, ტომრიდან რომ გამოვარდნილა და წვიმას ჯერ კიდევ ვერ დაუშლია. ჯამები, მოთარეში, კონსერვის კოლოფები და კასკები სულ ტყვიით არის დაცხრილული და სხვადასხვა სახისა და სიდიდის ქაფქირები გეგონებათ.

ამ ვაკეს გასწვრივ გაკეთებული სანგრები თითქო მიწისძვრისაგან არის დახეთქილებიო; ასე გეგონებათ, მიწა რომ ძრულა, ეს ამოდენა ხარა-ხურა ზედ დაგროვილაო. და სადაც მკვდარი არ არის დამარხული, თვით მიწა ლეშსაა დამსგავსებული.

გავცდით „ინტერნაციონალურ“ შემაერთებელ გასავალს. ზედ ისევ ფრიალებს სხვადასხვა ფერის ნაგლეჯები და ამიტომ ამ სანგარს ძალით მოკლულ და ტანისამოს-შემოგლეჯილ ადამიანის სახე აქვს. მთელ სიგრძეზე იმ ადგილამდე, საცა მიწაა დაყრილი, ჯებირის მსგავსათ, გერმანელი მკვდრებია დახერგილი, ერთი მეორეში ჩახლართული, როგორც ნაკადული ცოდვილთა. ზოგს ტალახიან ხერელებიდან გამოუშვერია თავი, გარშემო უყრია ძელები, თოკები, მავთულები,

წანელები, ფარები. მიწის ჯებირთან სხვა მკვდრებს შორის ერთი მკდარი ამართულა: იქვე მეორე გაფიჩხებული მკვდარი რკალივით მოხრილა: ასე გეგონება, უშველებელ ურმის თვალში ღერძია გაყრილი და ტალახში ჩაფლულაო, ან ჭარის წისქვილის თვალი მოგლეჯილაო. ყველა ამაზე, ამ სიბინძურისა და გახრწნილ ადამიანთა ლეშის გროვაზე ჰყრია ხატჯვრები, ღია წეოილები, გოტურის ანბანებით დაბეჭდილები. ყველაფერი დალპობილ ჯიბეებიდან გამოცვინულა. ამ ქაღალდებზე დაბეჭდილი სიტყვები თითქო ცდილობს ააყვავილოს თვისის ამაო სისპეტაკითა და უნაყოფობით ეს შავიპირმოდებული ნაპირებიო, ეს არყოფნის ხვედრიო.

ვეძებ ისეთ უშიშარ ადგილს, რომ ჟოზეფი რაც შეიძლება ადვილათ გავატარო, ამიტომ რომ ჭრილობა ძალიან აწუხებს და ლამის არის, სრულებით შეუკრას ხელფეხი. ჩემზე დაყრდომილი არაფერს უყურებს. მე კი ამ განადგურების სურათს თვალს ვერ ვაშორებ.

აი ფელდფებელი ზის, ზურგით ორ გაპობილ ფიცარს მიჰყუდებია. ეტყობა, ეს ფიცრები სადარაჯოსი იყო და ამ ადგილასაც, საცა ჩვენ ფეხს ვადგამთ, სადარაჯო ყოფილა. თვალს ქვემოდან პატარა გაჭრილი აქვს: ხიშტი რამ თუ მოხვდა და თავით ზედ ფიცარს მიალურსმა. მას წინ სხვა მკვდარია. ისიცა ზის, იდაყვები მუხლებზე უწყვია, ხელები კისრისათვის შეუბჯენია. თავის ქალას სარქველი სულ ახდილი აქვს, თითქო თავმომტვრეული თოხლო კვერცხიაო... მათს გვერდით სადარელ დარაჯადა სდგას ნახევარ-კაცი: თავში რო დაუკრაესთ მახვილი, წელამდი გაუპიათ სიგრძეზე და მიწის კედელზე მიუტეჭყიათ. არავინ იცის, რა იქნა ამ ადამიანისაგან გაკეთებულ სოლის ნახევარი, რომლის თვალი მაღლაა ჩამოკიდებული, ხოლო მოლურჯო გულღვიძლი და ნაწლავები სპირალურათ შემოხვევია ერთადერთს ფეხს.

ძირსა ჰყრია სისხლში ამოსვრილი ხიშტები ფრანგულ თოფისა, მოკაკული, მოღუნული, დაგრეხილი.

ზემოდან დაყრილ და გადაბრუნებულ მიწიდან ძირს მოსჩანს პრუსიელ გვარდიელთა გვამები; დაჩოქილები დახოცილან, თითქო ლოცულობენო. ყველას ხიშტი აქვს ნაძგერები ზურგში. ეტყობა, ეს ჯგუფი ესროდა ზედმოსულთა. სენეგალელი მსროლელი, უზარმაზარ ტანისა, იმავე მდგომარეობაში გაქვავებულა, რა მდგომარეობაშიაც სიკვდილმა მოუსწრო, მერე ცარიელ ადგილისაკენ გადახრილა, ზეზე მაგრათ მდგარა და ალბათ იცქირებოდა თავისს მოწყვეტილ ხელებზე, რომლებიც, ეტყობა, გავარდნილ ყუმბარას მოუგლეჯია, ხელში რომ სჭერია. მთელ სახეზე მატლები დაჰხვეევია და თითქო ჰღეჭავს კიდეც ამ მატლებსაო.

— აქ,—გვეუბნება ერთი ალპელი მსროლელი, რომელმაც, ის-ის იყო, ჩაგვიარა,—ბოშებმა თავისს ჩვეულებრივს ეშმაკობას მიმართეს და თეთრი ბაირაღი ააფრიალეს, და რათგან საქმის დაჭერა სენეგალელებთან მოუხდათ, რა თქმა უნდა, არაფერი გაუვიდათ. აი, ის დროშაც აქ არის, ამ სასაზიზღრებმა რომ ააფრიალეს.

დაავლო ხელი და ჰაერში დააქნია გრძელი ლატანი, მიკრული რომ აქვს ოთხკუთხი ნაჭერი თეთრ ტილოსი—დროშაც უმანკოთ გაიშალა.

დანგრეულ სანგრის გასწვრივ ბარებიანი კაცები მიდიან. ნაბრძანები ჰქონდათ სანგრების დანარჩენ ნაწილისთვისაც წაეყარნათ მიწა, რომ აქავე დაემარხნათ დანარჩენი მკვდრები... ამ სახით, ამ კასკებიან მშრომელთ ამ ადგილას სამართალი და სამაგიერო უნდა მიაგონ ამ დახრულ ეელებს, თავისი პირვანდელი სახე უნდა დაუბრუნონ და ამოასწორონ თხრილები, ნახევრობამდე საესენი რომ არიან ჩვენს ქვეყანაში შემოპრილ მტრების ლეშებითა.

* * *

სანგრის მეორე მხრიდან ვიღაც მეძახის: მიწაზე კაცი ვინმე ზის და ზურგით მიწაში ჩარჭობილ სარს მისწოლია.

ძია რამიურია. ღილგახსნილ მაზარას და ჯუბას ქვეშიდან ბინტებ შემოხვეული გული მოუჩანს.

— სანიტრები მოვიდენ და ჭრილობა შემიხვიეს,— საღამომდე ვერ წამიყვანენ აქედან. და მე კი მანამდე ვერ გავატან, ვიცი, რომ ამ ერთს საათში გავთავდები კიდეცა.

თავი ჩაიქნია და დასძინა:

— ცოტა ხანს ჩემთან დარჩი, შენი პირიმე...

გული აუჩვილდა. თვალთაგან ცრემლები წასკდა. ხელი დამიჭირა. დიდხანს უნდოდა ჩემთან ელაპარაკნა და თითქმის აღსარებაც კი ეთქვა.

— ომამდე პატიოსან კაცს მეძახდენ,—მითხრა მომაკვდავმა ცრემლების ყლაპვით.—დილიდან საღამომდე ვმუშაობდი, რომ ოჯახი მერჩინა. მერე აქ მოვედი ბოშების სახოცავად. და აჰა, ახლა მეც მომკლეს... ყური მიგდე, შენ გენაცვალე, ყური მიგდე, ყური მიგდე, თავს შემოგევლე, ნუ წახვალ, ნუ მომშორდები, ეგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, მოგისმინე, რაც გითხრა...

— ჯერ ჯოზეფი უნდა წავიყვანო, ხომ ხედავ, რა დღეშია. მერე დავბრუნდები.

რამიურმა ცრემლიანი თვალები დაჭრილს მიაპყრო.

— ღმერთო მაღალო! არამც თუ ცოცხალია, დაჭრილიცაა! სიკვდილს პირიდან გაჰვარდნია! ეჰ, ბედი აქვს ზოგიერთის ცოლშვილსა!... კარგი, წაიყვანე, და დაბრუნდი... შეიძლება, კიდევ მოგისწრო ცოცხალსა.

ახლა ხრამის მეორე ნახარეზე აღმართი უნდა ავიაროთ. ძველ მე-97 შემაერთებელ გასასვლელს გაწვრივ უნდა ავიდეთ.

ერთბაშათ ყურთასმენის წამღებმა სტვენამ გააპო ჰაერი. შრაპნელის წვიმა წამოვიდა ჩვენს ზემოდან... ოხრის ფერ ღრუბლებში აეროლიტები ენთებიან და საშინელ წვიმასებ იბნევიან. დაეცა ფერდობზე, გახეთქა ბორცვი, ძველი საფლავები ძირიანათ ამოთხარა და მაღლა ადამიანის ძვლები ამოჰყარა. ეს ცეცხლი გორებით წავიდა მთელ ხაზს გასწვრივ.

გზის შესაკვრელი სროლაა, რომ ატყდა.

ბავშვებივით ვყვირით:

— კმარა! კმარა!

ვუყურებთ, როგორ გაშმაგდა სასიკვდილო მანქანები, ვხედავთ, რა წარღენას აყენებს დედამიწაზე ტეხნიკა. ეს მანქანები და ტეხნიკა ორივე, საცა არ უნდა მივიდეთ, ყველგანა გვდევნის. და მათს გაშმაგებაში ჩაქსოვილია ისეთი რამ, რაც აღემატება ადამიანის ძალღონეს და ნებისყოფას, ჩაქსოვილია რალაცა ზესთაბუნებრივი. ჟოზეფს ჩემი ხელი თავისს ხელში უპირავს და მხარს ზევით იხედება უკან, უყურებს ამ ცეცხლის წვიმებას. მოიგრიხა კისერი სირბილით დალალულ ცხოველივით და გაგიჟებული დუდუნებს:

— რა ამბავია? ისევა?.. ასე ხომ თავისდღეში არ გათავდება!.. არ გვეყოფის, რაც გავაკეთეთ? არ გვეყოფის, რაცა ვნახეთ?.. და აჰა, ახლა ისევ უნდა დაიწყონ!.. არა, არა!

მუხლებზე დაეცა, ძლივასა ქშინავს, ზიზღით სავსე თვალებით გაიხედა წინ, მოიხედა უკან. იმეორებს:

— მაშ თავისდღეში არ უნდა გათავდეს?!

მკლავებში ხელი გავუყარე და ავაყენე.

— წამოდი, შენთვის კი გათავებულია!

* * *

სანამ ავიდოდეთ, ცოტა უნდა შევიცადოთ. ვფიქრობ, მოდი, მომაკვდავ რამიურთან დავბრუნდე და მივხედო-მეთქი, მაგრამ ჟოზეფი ხელს არ მიშვებს და, გარდა ამისა, იმ ალაგას, საცა მომაკვდავი დავტოვე, დიდი ფაცა-ფუცია. რა კითხი უნდა, არც-კი ღირს ახლა იქ წასვლა.

ხრამთან ნიადაგს, საცა ჩვენა ვდგევართ ერთმანერთს ხელი-ხელს ჩაკიდებული, ზანზარი გაუდის. პირდაპირ ქარიშხალია ყუმბარებისა. მაგრამ შეთხრილ მიწაში, საცა ჩვენ თავი შევაფარეთ, საშიშო არ არის, ზარბაზნის ყუმბარა ვერას

დაგვაკლებს. ცოტა სიჩუმე ჩამოვარდა თუ არა, ვინც ჩვენსებ ელოდებოდა ამას, აღმართს შეუდგნენ: მესაკაცენი წელში სწუდებიან, რომ საკაცეთი როგორმე მაღლა აიყვანონ დაჭრილები. ამათ რო უყურებთ, გაგონდებათ ძორუდუნე ჭიანჭველები, რომელთაც საღმე ალმართზე რამე ააქვსთ, მაგრამ ჩამონაცვინი ქვიშა უკანვე თავდაღმა ჩაჰყრის ხოლმე ტვირთიანათ. სხვებიც მიბობლავენ: ზოგი დაჭრილია, ზოგიც შემაერთებელ სამსახურის სოლდათებია.

— აბა, რაღას ვუყურებთ, წავიდეთ,—მეუბნება ჟოზეფი და თან თვალებით ა ხომაეს, თუ რამდენი დარჩენია ასასვლელი გოლგოთამდე.

გარშამო ხეების ნამტვრევებია: მთელი რიგია გალოპრვილ ტირიფებისა, გაპობილებისა, დაბურღულებისა, ზოგიც გამოფულრულია, დაყირავებულ კუბოების მსგავსი. ჩვენს გარშემო ყველაფერი დაგლეჯილ-დაფლეთილია და ძირიან-ფესვიანათ გადმობრუნებულია. გაჩენილა ბექობები, ხრამები, თითქო საცა რამ გრიგალი იყო, სულ აქ გადასულაო. და მთელ ამ განაწამებ და ჩაბნელებულ ბუნებას თავზე დაჰკიდებია მოქურუშებული ცა, დასერილი, ალაგ-ალაგ რძის ფერი, ბუნდათ, ანქვითის ფერად მკრთომარე.

მე-97 შემაერთებელ გასასვლელთან გარდი-გარდმო წამოქცეულა უზარმაზარ ტანის მუხა. თვით შესავალს პირსაცობივით დასცობია ერთი მკვდარი. თავი და ფეხები შიგ დარჩენია. დანარჩენი სხეულისა ხვრელში წანწკარით ჩამდინარე წყალს ლამითა და ქვიშით დაუფარავს. ამ სოველ საფარველს ქვეშიდან მოსჩანს გული და მუცელი, პერანგით დაფარული.

გადავალაჯეთ ამ გაყინულ, წებოვან და ლიპ სხეულს, მკვდარ გომბეშოს მუცელს რომ ჰგავდა. წამ და უწუმ ფეხი გვიცურდება. ხელები იდაყვამდე ტალახში გვეფლობა, რათგან ფერდობს ვებღაუჭებით.

ამ დროს ჩვენს თავს ზემოდან გაისმის რაღაც ჯოჯოხეთური სტვენა. ლერწამივით ვიღუნებით წელში. ჩვენს წინ ჰაერში შრაპნელი გასკდა. დაგვიყრუა ყურები, მოგვეპრა თვალები და შავ, მოზუზუნე კვამლის მთაში ჩაგვვარხა. ჩვენს წინ სოლდათი რომ მიდიოდა, აიტაცა, იმანაც ერთი კი შეაქნია ხელები და სადღაც კვესკნელში შთაინთქა. ყვირიან, კვნესიან. ქარმა ჩამოწოლილი კვამლის ღრუბელი რომ გაჰფანტა, დავინახეთ, რომ ჭესაკაცეებმა საკაცე ძირს დასდგეს და იქეთკენ გაიქცნენ, სადაც იფეთქა, და რაღასაც ხელში აყუანა დაუწყეს. მომაგონდა მარად სახსოვარი ღამე, როცა ჩემი იარაღით თანამოძმე, პოტერლუ, გული იმედით რომ ჰქონდა სავსე, თითქო ამნაირათვე გაჰფრინდაო ხელებგაშლილი, აფეთქების ალში გახვეული.

როგორც იყო, მაღლა ამოვედით. იქ რაღაც უცნაურათ დაჭრილი კაცი დაგვხვდა. ტანი ქარისათვის შეუშვერია, თითქო მიწაშია ჩარჭობილიო და მთლათ თახთახებს. ყაბალახი მოჰხდია და ქარი ათამაშებს. ვხედავთ მის სახესაც: ეკრუნჩხვის და ყვირილისაგან პირი ფართეთ დაღებული დარჩენია. წინ გავუარეთ ამ მყვირალა ხეს.

* * *

მივაღწიეთ ჩვენს წინანდელ მოწინავე ხაზს, საიდანაც წელან იერიში მოვიტანეთ მტერზე. ჩამოვსხედით სასროლ ფიცარზე, ზურგით მივეყრდენით საფეხურებს, საპიორებმა ჩვენების გასვლის უკანასკნელ წუთში რომ მოსთხარეს. ეველოსიპედისტმა ევტერჰმა, ამას წინათაც რომ ვნახეთ, ჩაგვიარა და გამარჯვება გვითხრა. მერე ისევ მობრუნდა, გადაკეცილ სახელურიდან ჩალათა გამოიღო, რომლის წვერები თეთრ სირმასებ ჰქონდა შემოვლებული სახელოზე.

— მგონი, შენა ღებულობ გადაცვლილ ბიკეს წერილებს?..

— ჰო.

— აი, ერთი წერილი დაუბრუნეს,—მისამართი გადასვლია.

ჩალათა ალბათ პაკეტს ზემოდან მოჰყვა, ზედ დაუწვიმია, გადაურეცხია, და გამშრალ ქაღალდზე მისამართის წაკითხვა შეუძლებელია იისფერ წყლის პეწზე. მხოლოთ ნაპირზე დამწერის მისამართის ამოკითხვა-ღა შეუძლია კაცს... ჩალათიდან ფრთხილათ ამოვიღე წერილი: „ჩემო ძვირფასო დედავ"...

— ჰო, მაგონდება!...

ბიკემ, რომელიც სწორეთ ამავე სანგარში წევს, სადაც ჩვენ ვისვენებთ, ამას წინათ დასწერა ეს წერილი, გოშენლ'აბეში დგომის დროს, ერთ მშვენიერ და მზიან ნაშუადღევს, დედის წერილის პასუხად. დედა რომ უთვლიდა,— შვილო, მგონი, გაჭირებული ხარო, ამას გაეცინა, — ვინ უთხრა დედაჩემს ასეთი ჰორებიო...

„რათა გგონია, დედილო, რომ მცივდეს, მაწვიმდეს, ხიფათი რამ მომელოდეს! არა, გენაცვა, ნუ გეშინიან. ყველაფერი მორჩა. ახლა თბილა, ოფლი გვდის. სრულებით უსაქმურადა ვარ და მზეს ვეფიცები. შენს წერილზე ბევრი ვიცინე"...

წერილი ისევ ჩავდე დაჭმუჭვნილ ჩალათაში. მოხუცებულს დედას დროზე რომ მისვლოდა, სწორეთ მაშინ წაიკითხავდა, როცა მისი შვილი დასველებული უსულო ნეშტი-ღაა და ზედ დასდის წვიმა და რეცხავს სანგრის ფერდიდან ჩამომდინარი წყალი. მაგრამ შემთხვევით ასცდა მისი მილება.

ჟოზეფმა თავი უკან გადიგდო. ერთ წამს თვალები დახუჭა და კვნესა აღმოხდა.

— ნუ გეშინიან!—ვუთხარი მე.

თვალები ისევ გაახილა.

— ეს მე კი არ უნდა მითხრათ, ჩემო კარგო. იმათ შეხედეთ, იქითკენ რომ ბრუნდებიან; თქვენც მალე დაბრუნდებით. თქვენთვის ეს ამბავი კიდევ გაგრძელდება. მართლა დიდი ღონე უნდა ჰქონდეს კაცს, რომ განაგრძოს, განაგრძოს!...

XXI.

ჭრილობათა შესახებ ევი კუნძტი.

აქედან მოკიდებული, ის ადგილები, საცა ჩვენ უნდა გავიაროთ, მტრისათვის საჩინოა, ამიტომ შემაერთებელ გასასვლელებს თავი არ უნდა დავანებოთ, მაღლა ვერ ვიელით. სანგარი გზის პირას არის გამოთხრილი, ხოლო გზას გზობა აღარ ეტყობა: რაც მის პირად ხეები იყო, სულ ძირიან-ფესვიანათ არის ამოგლეჯილი. რაც სანგარს გასწვრივ მიმავალი გზაა, ნახევარზე მეტი დახრჩლი და განადგურებულია; რაც გადარჩენილა, იმასაც მიწა დაჰყრია, ბალახი მოჰკრავია და გარშემო მდებარე მინდორთან გასწორებულა. ალაგ-ალაგ, სანგრების გაყოლებაზე, საცა მიწის ტომარა გამსკდარა და იქიდან მიწა გამოცვენილა ტალახის უჯრედის მსგავსად. თვალების სიმაღლეზე კიდევ მოსჩანს ვაშიშვლებულ გზის ქვისკიდური ან და ნაპირას დარგულ ხეების ფესვები. თვით ხეები მოჰრილია და გასამაგრებელ მასალად მოუხმარიათ.

მივატანეთ გასასვლელების ჯვარედინს. ბორცვზე, ნაცრისფერ ცის ფონზე განმარტოებით რომ მოსჩანს, საბედისწერო წარწერაა გვერდელათ მიკრული. გასასვლელთა ბადე უფრო და უფრო ვიწროვდება, სეკტორის ყველა მხრიდან აჭიყრიან თავს ყველანი, ვისაც ჭრილობათა შესახვევ პუნკტში ჰგზავნიან.

მოწყენილი ქუჩაბანდები მკვდრებითაა მოფენილი. კედელი ალაგ-ალაგ ჩაქცეულია და გაჩენილა ახალ-ახალი ხვრელები, მიწის ძაბრები. შიგა ჰყრია დაყუნცული მკვდრები. მუხლის თავები ზედ თვალებთან აქვსთ მიტანილი, ან კედელს

მისწოლიან, დგომელა, თოფებიც იქვე უდევსთ, გვერდით. ზოგ დგომელა მკვდარს გადარჩენილებისაკენ მიებრუნებინა სისხლით მოთხუპნული სახე, ან კიდენ განზე იყურებიან ცის სივრცეში.

ჟოზეფი სულის მოსათქმელად გაჩერდა. ეუთხარი იმ კილოთი, როგორც ბავშვებს ეუბნებიან ხოლმე:

— მიეედით! მიეედით!

ეს გზა მწუხარებისა, საბედისწერო ფერდობებიანი, თანდათან ვიწროვდება. თითქო ყელში წაგვიჭირესო. კედლები თითქო, საცაა, ერთმანერთს მიეკვრობაო და მეც შუაში უნდა გავიჭყლიტოვო. ყოველ ნაბიჯზე ვაჩერებდა გვიხდება, უნდა გავძვრეთ, გამოვძვრეთ, მიცვალებულები შევაწუხოთ, ხალხს ვეჯაჯგუროთ. უკანიდან გვაწვება მთელი ტალღა. ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს: შიკრიკები, დაჭრილები, ზოგი კვნესის, ზოგი პირდაპირ ღრიალებს, ზოგს სიცხესაგან სახე გავარვარებია, ზოგს სიმწარისაგან მკვდრის ფერი ადევს.

* * *

ამ ხალხმა, როგორც იყო, თავი მოიყარა ერთ პატარა მოედანზე; ამ მოედნიდან შესავალია დაჭრილთა შესახვევ პუნქტში.

ერთი ექიმი ხელებს იქნევს და ჰყვირის. ხალხის ტალღა შესავალთან ერთიმეორეს აწვება და შესვლასა ჩქაროქს. ექიმი აქვე, შესავალთან, გადაუხურავში სახელდახელოთ უხვევს ჭრილობებს. თურმე დღედაღმე შეუსვენებლივ მუშაობენო როგორც თვითონ ექიმი, ისე მისნი თანაშემწენი, პირდაპირ თავზევით ძალა აღარა აქვსთო.

აქ რომ შეუხვევენ, დაჭრილების ერთი ნაწილი ჰების მსგავს ხვრელებში შეჰყავსთ, მეორე ნაწილი კი უკან მიჰყავსთ, საცა უფრო დიდი პოსტია დაჭრილთათვის მოწყობილი, ბეტუნის გზის სანგარში.

ამ ვიწრო ჯურღმულში, საცა სოროები ერთათ თავს იყრის, და საჰყართა და დავრდომილთა ბუნაგი გგონიათ, მთელი ორი საათი ვიცადეთ. გვაწვებიან, ვიჰყლიტებით, სული გვეხუთება, თვალთ ვერ ვიხედებით, ერთიმეორეს თავზე ვასხდებით საქონელივით, სისხლისა და ხორცის სუნი დგას, თითქო საყასბოში სალმე ვართო. ტკივილებისაგან სახე ეჰყანებათ, წამდა-უწუმ ფეთი მისდისთ. ერთმა დაჭრილთაგანმა ცრემლები ვერ შეიკავა, ნაკადულივით წასკდა თვალთაგან და თავი რომ გააქნია, მეზობელს გადაესხა მისი ცრემლები. მეორეს სისხლი თქრიალითა სდის, ღრიალებს: „კაცო, ღმერთი არა გწამთ, ნუ გამჰყლიტეთ!“... ერთი ახალგაზდა, გაცეცხლებულ თვალებიანი, ხელებს მაღლა იშვერს და ჯოჯოხეთში ჩაგდებულივითა ჰყვირის: „დავიწვი!“ ჰქშინავს და შიშინებს კოცონივით.

* * *

ეოზეფს პრილობა შეუხვიეს. ხალხი გაარღვია, ჩემთან მოვიდა და ხელი გამომიწოდა.

— მგონი, საშიშო არაფერია; მშვიდობით, ძმაო.

ხალხის გროვამ იმ წამსვე ერთმანერთს დაგვაშორა. ერთი უკანასკნელათ კიდევ შევხედე მისს გამოცვლილ სახეს; თვითონ კი არავის უყურებს და ვერცა რას არჩევს ტკივილისაგან. მესაკაცეს ხელი მხარზე მოჰხვია და გაჰყვა. ჩემ თვალთაგან გაჰქრა.

ომში სიცოცხლეც, ისე როგორც სიკვდილიც, ერთი-მეორეს ხანდისხან ისე სწრაფათ გვაშორებს, რომ ამაზე ფიქრსაც კი ვერ მოვასწრებთ ხოლმე.

ოხრი შესავალია, ძალზე დაბალი, ძალზე ვიწრო, თითქმის მიწის პირას. აქედან სიღრმეში ჩადის დაქანებული გალერეა, ვიწრო, ჯირგინის მილის მსგავსათ. თუ გინდათ პოსტში შეხვიდეთ, ჯერ უნდა მობრუნდეთ და კურტუკულმა წა-

მოხვიდეთ, წელში მოკაკული, ამ წვრილ მილში, სადაც ფეხები თითქო კიბეებზე ჩადისო: ყოველ ნაბიჯზე ერთი მაღალი საფეხურია.

შიგ რომ შეხვალთ, ასე გგონიათ, გაზი რამ მომიპირესო, და ისე გრძნობთ, რომ არც ტანის მოტრიალება შეგიძლიათ, არც ჩასვლა სადმე და აღარც იქიდან უკან ამოსვლა. ამ უფსკრულში რომ ჩაჰყოფთ თავს, რაკ უფრო ძირს დაეშვებით, უფრო და უფრო გრძნობთ, რომ ვიღამაც ყელში წაგიჭირათ და გახრჩობსთ ამ ვიწრო გასავალში. ყველა მხრიდან მიწას ეჯახებით, ეხახუნებით, თქვენც იკუმშებით, მჯილვის ტოლა ხდებით და მაინც შიგ გაქედილიეთა ხართ. საპატრონესებრ ქვეით უნდა ჩაიწიოთ, ჩანთა ხელში დაიჭიროთ, გულზე მიიკრათ და ისე ატაროთ. შეოთხე საფეხურზე სულ უარესათ მოგეჭირებათ და ერთს წამს არ იცით, რა ქნათ, ისეთი შიში შეგიპყრობსთ. მუხლებს სულ ერთი ბეწოთი სწვეთ მაღლა, მაგრამ ზურგი მაინც თაღს ეხეთქება. ამ ადგილას ფორთხვით უნდა იაროთ, სულ კურტუკულმა. რაც უფრო ჩადიხართ საღრმეში, რაღაც მოშხამული, მძიმე და სულისშემხუთველი ჰაერი გეცემათ მიწისა. ხელი თიხის კედლებსა ხვდება, ცივს, წებოვანს, სამარისებურს. ეს მიწა ყველამხრითგან გაწვებათ, და ცხვირ, დამპლისა და შმორის სუნით გევსებათ. ჩის წვალებით უკანასკნელ საფეხურებს მიატანეთ. აქ მკაფიოთ შეგიძლიათ გაარჩიოთ, ქვესკნელიდან ამომავალი ალიაქოთის ხმა და ცხელი ოხშივარი ჰაერისა, თითქო სამზარეულოდან საიდანმე გამოდისო.

ბოლოს ამ ქვესკნელსაც მიატან, მაგრამ ჯოჯოხეთურ მდგომარეობის დასასრული ჯერ ისევ შორს არის: აქ დაგხვდება ბნელი სარდაფი, ვიწრო და გრძელი, კორიდორივით, სიმაღლე მეტრ-ნახევარზე მეტი არ ექნება. როცა წელში გაიმართები, რომ ერთავათ მოღუნულ მუხლებს ცოტა ქარი ამოაღებინო, ერთბაშათ თავს აჰკრავ ძელებს, რომლებისაგანაც საფარის ჭერია გაკეთებული. ყველა მხრითგან გინება და

წყევლა მოისმის... „კიდევ ჩემი ბედი, რომ კასკა მხურავს, თორემ“... იძახის ვიღაცა.

ერთს კუთხეში ვიღაც დაყუნცულა და განკარგულებას იძლევა. სანიტარია. ყველა ახალ მოსულს ერთისა და იმავე ხმით ეუბნება,—„სანამ შემოხვიდოდე, ფეხებიდან ტალახი მოიშორე.“ ცოტა-ცოტათი მთელი გორა დებება ტალახისა. შიგ ეფლობი, სანამ უკანასკნელ საფეხურზედაც ფეხს გადაადგამდე, ამ ჯოჯოხეთის ზღურბლზე.

* * *

ამ განუწყვეტელ კვნესა-მოთქმაში, ჭრილობებისაგან ნადენ სისხლის სუნით გაჟღენთილ ჰაერში, ამ გამოქვაბულში, საცა გონებით მიუწდომელი და ალუფხული ცხოვრებაა, ვცდილობ გავიგო, სადა ვარ, რა წრეში ჩავარდნილვარ-მეღქი. სანთლის მკრთალი ალი ბუტუტავს საფარის სიგრძეზე და მხოლოთ იმ წერტილს ანათებს, სადაც დაკრულია სანთელი. სიღრმეში, სადღაც შორს, როგორც დილეკის ძირას, ბუნდი სინათლე მოსჩანს დღისა. ამ სინათლეზე შეგიძლიათ გაარჩიოთ კედლების გასწვრივ გაწყრიებული საკაცეები, დაბლები, კუბოების მსგავსი. ამ საკაცეებს გარშემო რაღაც ლანდები ფაცურობენ, ხან დაიკუზებიან, ხანაც აიმართებიან.

მოვტრიალდი. ბოლოში, იმის პირდაპირ, საცა ეს სინათლე გამოჰკრთის, ბრეზენტის ტილო ფარდასებ თაღიდან მიწამდე ჩამოუშვიათ და მის წინ ხალხია დაგროვილი. ამ ფარდას უკან აცეტილენის ლამპის სინათლეზე ტანის გაცბუნების საწინააღმდეგო შრატს უცრიან სოლდათებს. როცა ფარდა აიწევა, რომ ვინმე ან შიგნით შეუშვან ან გარეთ გამოუშვან, უცბათ ცხოველი სინათლე გამოვა და გაანათებს გასვრილ-დაგლეჯილ ტანისამოსს დაჭრილთა, რიგს რომ ელოდებიან. დაჭრილები ან წელში მოხრილნი დგანან, ან ძირს მიწაზე სხედან ან და კიდევ მუხლებზე დაბობღავენ, ერთმანერთს ეჯაჯგურებიან და ცდილობენ თავისი რიგი არ გამოუშვან, ან კიდევ სხვის მაგიერ ჩადგნენ რიგში და თან ძალ-

ლივითა ჰყეფენ: „ჩემი რიგია“! „ჩემი რიგია“! „ჩემი რიგია“! ძალიან მაგარი გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ გაუძლოს ამ ბრძოლის ყურებას, აცეტილენის მყრალ სუნს და გასისხლიანებულ ადამიანთა ცქერას.

განზე მივდექი, იქნება, საღმე ჩამოსაჯდომი ადგილი ვიპოვო-მეთქი. ხელებ-გაშვერილი, მოკუზული, ვფათურობ.

ერთი ჩიბუხს ეწეოდა და ჩიბუხის ცეცხლის სინათლეზე ჩემს წინ მერხი დავინახე. ზედ ვილეებიც ისხდენ.

თვალები ცოტ-ცოტათი შევაჩვიე ამ სარდაფის ბინდს და თითქმის ვავარჩიე დაჭრილებიც: ვის თავი ჰქონდა შეხვეული, ვის—სხეულის სხვა ნაწილი.

სახიჩარნი, გონჯნი, უსახურნი... ზოგი უნძრეველათაა, ზოგი იქით-აქეთ ეწყვეტება. ამ მერხს ყველა ებღაუქება. ყველანი ერთათ ადამიანის ტანჯვისა და უბედურობის კოლექციას წარმოადგენენ.

ერთმა მათგანმა ერთბაშათ წამოიყვირა, წამოდგა და მერე ისევ დაჯდა. მისმა მეზობელმა, დახეულ მაზარიანმა და თავშიშველმა, შეხედა და უთხრა:

— არა გიშავს-რა, გაუძელი!

ეს ფრაზა რამდენჯერმე გაიმეორა, ისე, ალალბედზე. თან ხელები მუხლებზე ედო და თვალები კიდენ სარდაფის სიბნელისათვის მიეშტერებინა.

ერთი ახალგაზრდა მერხის შუაში იჯდა და თავისთვის ლაპარაკობდა. ამბობს, ავიატორი ვარო. ტანის ცალი მხარე და სახე დამწვარი აქვს. სიცხე აქვს. ცეცხლი ეკიდება და ისევა ჰგონია, ალის ცხელი ენა მედებაო, მოტორიდან გამომავალ ალის ცხელი ენა სახეს მილოკავსო. დუდუნებს: „Gott mit uns“, მერე დაატანს: „ჩვენთანა არს ღმერთი“!

მეზობლად ერთი ზუავი ეჯდა, ცალი ხელი ახვეული ჰქონდა, განზე იყო გადაწეული და ცალი მხარი ისე უჭირავს, თითქო მძიმე რამ ტვირთი აწევსო. ავიატორს მიუბრუნდა:

— აეროპლანიდან ჩამოვარდი, არა?

— ჰო. ვინ იცის, რა არ გადამხდა თავსა,—რის წვალებით უპასუხებს ავიატორი.

— არც ჩვენ გადაგვხედნია ნაკლები,—სიტყვა გააწყვეტინა სოლდათმა.—შვილოსან, ვისაც არ უნახავს, რაც მე მინახავს, ტყუილათ ნუ დაიკვეხის, რამე მინახავსო.

— მოდი, ჩვენთან დაჯექი,—მითხრა ერთმა დაჭრილთაგანმა და ადგილი დამიცალა.—შენც დაჭრილი ხარ?

— არა, დაჭრილი მოვიყვანე და ახლა უკანვე უნდა გავბრუნდე.

— მაშ დაჭრილზე უარეს დღეში ყოფილხარ; მოდი, დაჯექი.

— ჩემ სოფელში მამასახლისადა ვარ,—მეუბნება ერთი დამჯდართაგანი,—მაგრამ როცა დავბრუნდები, დარწმუნებული ვარ, ვერავინ მიცნობს, ისე დამაბერა ამდენმა მოწყენილობამ და დაუსრულებელმა დარდმა.

— აი, ეს ოთხი საათია, ამ მერხზედა ვარ მიკრული,—კვნესით ამბობს ერთი სოლდათი, მათხოვრის მსგავსი. მრგვალი ზურგი აქვს, ხელები უკანკალებს და თავი ჩაუქინდრავს. კასკა მუხლებზე დაუდვია, თითქო მოწყალების დასადები ჯამიაო.

— ველოდები, როდის წამიყვანენ საექიმოთ,—მიამბობს ერთი მსხვილი დაჭრილი. ძალზე ხვნეშის, ოფლი სდის და თითქო მთელი ტანი უდუღსო. ულვაშები ჩამოშვებია, თითქო სახის სისოველისაგან ნახევრათ კანს მოშორებიაო.

შემომხედა ორ ბინდგადაკრულ თვალითა, პრილობა კი არსად ეტყობა.

— საქმეც ის არის,—ამბობს მეორე.—ჩვენს ბრიგადაში ვინც-კი დაიჭრა, სულ აქ მოვიდენ, ახლა სხვა ბრიგადების სოლდათებიც მიათვალე! აქ მთელის ბრიგადის სანაგვე ჰაა, სწორეთ!

— განგრენა მაქვს, გულღვიძლი სულ ნაკუწ-ნაკუწადა მაქვს დაფლეთილი,—წუწუნებს სხვა დაჭრილი და თვალებზე ხელი მიიფარა, და მისი ლაპარაკი თითებს შორიდან ისმოდა.—ამ უკანასკნელ კვირამდე-კი ახალგაზდაც ვიყავ და სუფთათ ჩაცმულიცა. ახლა კი თითქო სრულებით გამომცვალა ვილამაცაო: ჩემი სხეული მოხუცის სხეულსა ჰგავს, ჭუჭყიანი, და ასეთი სხეული უნდა ვათრიო.

— მერე,—ჩაერია მეორე.—გუშინ ოცდაექვსის წლისა ვიყავ და აბა გამოიცან, ახლა რამდენისა ვიკნები?

ცდილობს გვაჩვენოს თავისი ერთ ღამეში დაბერებული სახე, ჩაცვენული ლოყები და თვალები, რომლებშიაც გაქრობამდე მილწეულ ღამის სანათურის ზეთიანი ბრწყინვა ბუტბუტავს.

— ვაიმე, მტკივა,—თავდამბლათ იძახის ვილაც მიმალული არსება.

— არა გიშავს რა, ნუ გეშინიან!—მაშინალურათ იმეორებს მისი მეზობელი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ავიატორმა ერთბაშათ წამოიყვირა:

— ორიენ მხრიდან მღვდლები ცდილობდენ ერთიმეორეზე მეტი ეყვირნათ.

— რაზედა?—გაოცებით ეკითხება ზუავი.

— ხომ არ გაბოდებს, შე საცოდავო?—ეკითხება ხელშიდაჭრილი მზვერავი, ცალი მხარი და მკლავი შეხვეული რომ აქვს. თან ერთის წამით თვალები ხელს მოარიდა და ავიატორს მიაპყრო.

ავიატორმა თვალები სივრცეში დააშტერა და შეეცადა გაეგო შინაარსი და აზრი იმ მოჩვენებისა, ყოველგან თან რომ სდევს ხოლმე.

— მაღლიდან, ზეციდან, უნდა გითხრათ, ბევრი არაფერი სჩანს. ოთხკუთხს მინდვრებსა და ერთმანერთს მიჭუჭკულ სოფლებს შორის გზები თეთრ ძაფივით მოსჩანს. ხედავთ აგრეთვე ზოგიერთ ძაფისებურ ღრუებს, თითქო ქინძისთავით ქვეშაზეა გავლებულიო. ეს ჩაწეული ადგილები, მინდორს რომ

სერავს ხოლმე,—სანგრებია. კვირა დილას სრულის ხაზს ზემოდან დავფრინავდი. ჩვენსა და მტრის მოწინავე სანგრებს შუა, ორ უშველებელ არმიას შუა, ერთი-მეორის პირდაპირ რომ დგანან და ერთიმეორეს კი ვერა ხედავენ,—დიდი მანძილი არა დევს: ზოგჯერ ორმოცი მეტრი იქნება, ზოგჯერაც—სამოცი. მე კი ისე მეჩვენებოდა, სულ ერთი ნაბიჯია. მეთქი, ამიტომ რომ ძალიან მაღლა დავფრინავდი. გავიხედოთ, ბოშებთან და ჩვენებთან პარალელურ ხაზებზე, ერთმანერთთან შეერთებულთ რომ ჰგავდა, ფაცა-ფუცი და მოძრაობა შევამჩნიე: დავინახე რაღაცა მასა, რაღაც ცოცხალი გუდა და მის გარშემო-კი რაღაც შავ ქვიშის მარცვლების მსგავსი, ეს მარცვლები ზედ ეყრებოდა ნაცრის ფერ ქვიშას. მერე ყოველივე გაჩერდა, თითქო მოკვდაო. შიში რაიმე არ ეტყობოდა. ცოტა ქვემოთ დავეშვი, მინდოდა გამეგო, რა ამბავი იყო.

„მიეხვედი: კვირა დღე იყო და ორსავე მხარეზე წირვა გამოჰყავდათ ჩემს ქვემოდან: აემართნათ ტრაპეზი, იდგნენ მღვდლები და სოლდათების ფარა. რაც უფრო ძირს ვეშვებოდი მით უფრო მკაფიოთა ვხედავდი, რომ ორივე მოძრაობა მთლათ ერთმნაირი იყო, ზედმიწევნით ერთნაირი, პირდაპირ, სულელურათ ერთნაირი. ერთი წირვა მეორესა ჰგავდა, და მეორე—პირველსა. თვალში ჭრელათ ხომ არ მეჩვენება-მეთქი, ვაშბობდი. კიდევ დავეშვი. ქვევიდან არ მესროდენ. რატომ? მეც არ ვიცოდი, რატომ. დავუცადე. მომესმა ჩურჩული—მხოლოთ ერთი. მესმოდა მხოლოთ ერთი საერთო ლოცვა, ყველასაგან ერთად რომ ამოდიოდა მაღლა, ერთად-ერთი გუგუნი გალობისა, გვერდთ რომ ამიარა და ზეცად რომ აღვიდა ჰაერში იქით-აქეთ დავდიოდი, რათა ყური მეგდო ამ შეერთებულ გალობისთვის. მართალია, ერთი გალობა მეორეს პირდაპირ იყო, მაგრამ მაინც ერთდებოდა, და რაც უფრო ცდილობდა ერთი მეორეზე ხმამაღლა ეგალობნა, მათი გალობა მით უფრო უერთდებოდა ერთმანერთს მაღლა, ცაში, საცა მე დაკიდებული ვიყავი.

„შრაპნელი სწორეთ მაშინ ჩამხვდა, როცა ძალიან დაბლა ვიყავ და მკაფიოთ მოვკარ ყური ორს ხმას, ერთად შეერთებულს: „Gott mit uns!“ და „ჩვენთანა არს ღმერთი“! ეხ გავიგონე და მეც ავფრინდი ისევე.

ახალგაზრდამ შეხვეული თაიე გაიქნია. ამის მოგონება არ ასვენებდა.

— იმ წუთას ჩემს თავს ვეუბნებოდი: ჰკუაზე შევიშალე-მეთქი.

— შენ კი არა, თვით ქვეყნიერება შეშლილა ჰკუაზე, — უთხრა ზუავმა.

ავიატორს გიჟური თვალები უბრწყინავდა და ცდილობდა მსმენელთათვის გაეზიარებინა ის დიდი შთაბეჭდილება, გულს რომ უღრღნიდა და რომლისაგან თავი ვერ გაეთავისუფლებინა.

— მაშ რა ამბავია, რომ არ მესმის! — სთქვა ავიატორმა. — წარმოიდგინეთ, ორი ერთნაირი ხალხი ერთსა და იმასვე ჰყვირის, და ნამდვილათ კი სხვადასხვას იძახის, ორისავე ნაძახები ერთი-მეორის საწინააღმდეგოა და გარეგნულათ კი ერთნაირის ფორმით გამოიხატება. არა, ბოლოსა და ბოლოს, ღმერთმა რალა უნდა სთქვას? ვიცი, რომ ღმერთმა ყველაფერი უწყის; მაგრამ რაც უნდა უწყოდეს ყველაფერი, მაინც გაუკვირდება და არ ეცოდინება, რა ჰქნას, როგორ მოიქცეს.

— ამბავი თუ გინდა, ეს არის, აი! — წამოიძახა ზუავმა.

— ნუ გეშინია, ღმერთს ფეხებზე ჰკიდია ჩვენი საქმე!

— მერე საკვირველი აქ რა უნდა იყოს. ტყვიებიც ხომ ერთნაირის ენით ლაპარაკობენ, მაგრამ ხალხი მაინც ერთმანერთს თავ-პირს ამტვრევს და მერე შენ ისა სთქვი, როგორ!

— მართალია, — სთქვა ავიატორმა, — მაგრამ ღმერთი ხომ ერთია. მესმის, რომ ხალხი ლოკულობს, ღმერთს ევედრება, მაგრამ ის მინდა გავიგო, თუ როგორ ესმის ღმერთს ეს სხვადასხვა ხალხის ლოცვა.

ლაპარაკი შესწყდა.

— რამდენ დაჭრილს მოუყრია თავი აქა! — მანიშნა უფეროთვალებიანმა კაცმა. — ამდენი ხალხი, ნეტავ, როგორ ჩამოიყვანეს? ხომ საშინელი სანახავი იქნებოდა მათი აქ ჩამოთრევა!

ორი კოლონიალურ ჯარის სოლდათი, გამხდარი და ჩაკვრივული, ერთიმეორეს მხარში უდგა, როგორც ორი ნასვამი კაცი, მოვიდენ, ჩვენ დაგვეტაკნენ და მერე უკან დაიხიეს, მიიხედ-მოიხედეს — სად დავეყარნეთ მიწაზეო.

— ჩემო ჯარგო, — დაათავა თავისი ლაპარაკი ერთმა მოშლილ ორგანივით, — მე რო ვეუბნებოდი, იმ სანგარში სამი დღე უჭმელათ ვეყარენით, სრული სამი დღე პირში ნაწილი არ ჩაგვეშვა, რას ვიზამდით, რო გაგვიჭირდა, ჩვენსავე შარდსა ვსვამდით, მაგრამ წყურვილი მაინც არ მოგვიკლა.

მეორემ ამის პასუხად ხოლერის გაჩენის ამბავი უამბო.

— ახ, რო იცოდე, რა საზიზღარი ავათმყოფობაა ე რჯულძაღლი: ჯერ სიცხეს მოგვცემს, მერე პირიდან გასაქმებს, მუცელსა გგლეჯს. ჩემო ძმაო, აბა მე ვიყავ ავად, აი!

— მაგრამ, — დაიღრიალა უცბათ ავიატორმა, ამ უშველებელ ამოცანის გამოცნობაზე თავს რომ იმტვრევდა, — ე ღვთის საქმეც რომ ვერ გამიგია! როგორ აძლევს ნებას, რომ ყველას ეგონოს, რომ ღმერთი იმასთანაა, ვინც ილოცავს და შეევედრება? რათ გვაძლევს ნებას, ყველამ ერთი-მეორის გვერდით გიჟებივით ვიღრიალოთ: „ჩვენთანა არს ღმერთი!“ „არა, თქვენა სცდებით. ჩვენთანა არს ღმერთი!“

ერთ საკაცედან კვნესა მოისმა და ერთ წამის განმავლობაში ეს კვნესა-და ისმოდა სიჩუმეში, თითქო ეს ყოფილიყო ამ დაწუეველილ კითხვის პასუხი.

* * *

— მე, ძმაო, — წამოიძახა ერთმა ტკივილისაგან გამწარებულის ხმით, — ღმერთი არა მწამს. ვიცი, რომ ღმერთი არ

არსებობს; რომ არსებობდეს, მე არც-კი ვიტანჯებოდე იქნება. რაც უნდა ლათაიები ილაპარაკონ, რაც უნდა გამოიგონონ, ყველაფერი ტყუილი და ჩმახია: თუ ყველა ამ ტანჯვაში ღმერთი, ჭეშმარიტი ღმერთი ურევია, ვინც ასეთს ღმერთს იწამებს, დიდი სულელი და ბრიყვი იქნება.

— მე-კი,—დაიწყო მეოხემ, მერხზე მჯდარმა,—ღმერთი იმიტომ არა მწამს, რომ ცივა. რამდენი კაცი მინახავს, რომ ნელ-ნელა გადაქცეულა გაფიჩხებულ ლეშად, მიზეზი—სიცივე ყოფილა. ღმერთი რომ არსებობდეს, შემბრალებელი, მოწყალე, არც სიცივე იქნებოდა: ეს ცხადია.

— ღმერთი რომ იყოს, რაც ახლა ხდება, არაფერი იქნებოდა. ჩვენ-კი ყველაფერ ამასა ვხედავთ; ჩვენს გარშემო, ვინ არ იცის, რა უბედურება ტრიალებს.

რამდენიმე დაჭრილი, თუმცა ერთმანეთს ვერა ხედავენ, მაგრამ ერთსა და იმავე დროს თავს აქნევენ, თანხმობის ნიშნად.

— მართალი ხართ, მართალი!—იძახის ვილაცა.

ამ ხალხს, ამ დასახიჩრებულ ხალხს, ამ ძლეულებს, თითო-თითოდ დამარცხებულებს და დამარცხებას შემდეგ დატანჯულებს, თვალები ეხილებათ, გონება უნათლდებათ. დიდ ამბების ტრაგედიაში გამოერევა ხოლმე წამები, როცა ადამიანი არამცთუ გულწრფელათ ლაპარაკობს, არამედ სიმართლესაც ლაპარაკობს და მისს სახეზე აღმოიკითხავ თვით ჭეშმარიტებასა, პირდაპირ ამართულსა.

— მე,—ჩაერია ლაპარაკში ახალი მოლაპარაკეც,—იმიტომ არა მწამს ღმერთი, რომ...

მაგრამ საშინელი ხველება აუტყდა და ლაპარაკი შეაწყვეტინა. როცა ხველას მოერჩა და გაჩუმდა, ლოყები სულ დაულურჯდა კუნთების დაძაგვრისაგან და ზედაც ცრემლები დასდიოდა. ჰკითხეს:

— შენ რა ადგილასა ხარ დაჭრილი?

— დაჭრილი არა ვარ, ისე ვარ ავად.

— მაშ!..—წამოიძახა რამდენმამე ერთათ ისეთი კილოთი, რომ ეტყობოდა, უნდა ეთქვათ—შენი ნათქვამი იმდენათ საყურადღებო არ იქნებაო!..

ავადმყოფიც მიხვდა ამას და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მისი ავადმყოფობაც ანგარიშში იყო ჩასაგდები:

— დავიღუპე. სისხლს ვიღებ. ძალა არა მაქვს. ამ ავადმყოფობის მორჩენა არ შეიძლება.

— ჰო, ჰო,—წაიჩურჩულეს ამხანაგებმა. ეტყობოდათ, ყოყმანობდნენ—მძიმედ ჩავთვალოთ მისი ავადმყოფრბა, თუ არაო; მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რაც უნდა იყოს,—სად ჩვეულებრივი ავადმყოფი და სად ომში დაჭრილი ადამიანიაო!

ავადმყოფმა თავმდაბლათ ჩაჰკიდა თავი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სიარული აღარ შემიძლიან!.. სად ჯანდაბას უნდა წავიდე, რომ არ ვიცი?

* * *

ეს ჰორიზონტალური ჯურღმული საკაცედან საკაცემდე სადღაც შორს მიდის სიბნელეში და იმ ადგილას თავდება, საცა დღის სინათლე ოდნავ-ღა, მკრთალათ შემოიჭყიტება. ამ შავბნელ ვესტიბულში აქა-იქ ბუჟუტავს სანთლების საცოდავი ალი, მოწითანო. თითქო იმათაც სიცხე აქვსთო. ერთბაშათ რაღაცა ფაცა-ფუცი შეექნათ. ამოძრავდა თავები და ფეხები, გაისმა ყვირილი, კვნესა, და ეს ყვირილი და კვნესა ერთ ჯგუფიდან მეორე ჯგუფზე გადადის, თითქო უხილავი მოჩვენებააო. მიწაზე დაყრილი სხეულები ხან ამოიბურთება, ხან ცალ გვერდიდან მეორეზე გადაბრუნდება.

ამ მოძრაობაში, ამ ტანჯვა-წვალებისა და გაწამების მიერ ტყვედქმნილთა, ღირსებააყრილთა და დასჯილთა შორის ვხედავ ერთ ჩასხმულ სანიტარს. მძიმე მხრები გადაკიდებულ და გავსებულ ხურჯინის თვლებივით უთახთახებს და მისი ხმაც გუგუნით მიჰგორავს სარდაფის მთელ სიგრძეზე.

— შესახვევი კიდევ შეგისხნია, შე ხბოს თავო, შე ტილიანო!— უყვირის სანიტარი ერთ დაჭრილს.—ისევ შეგიხვევ; ჩემო კარგო, შენ რომ არ იყვე, სხვას კი არ შეეუხვევდი. მაგრამ თუ კიდევ შეგიხსნია, მაშინ კი გაყურებინებ შენს თვალისეირს!..

და აჰა, ნაცრისფერ სინათლეზე ტილო შემოახვია თავზე ერთ კაცუნას, სულ პატარას, ჯაგარივით ყალხზე შემდგარ თმიანს და აჩეჩილ წვერიანს. დაჭრილიც, ხელებჩამოშვებული, ფრთებჩამოყრილ ქათამივით, ჩუმათ გაჩერდა და თავი შეახვევინა.

სანიტარმა ამას თავი დაანება, მეორეს დააცქერდა და ხმამაღლა დაიღრიალა:

— ეს რა ამბავია? ეი, შენ, ხომ არ გაგიჟდი, ჩემო ძმაო? ე რა ჰკუაში მოგსვლია დაჭრილზე დაწოლა?

თვისის მსხვილის ხელებით ზევიდან დაწოლილი გადააგდო, თანაც შეუკურთხა და ქვეშიდან ლეიბივით, საცოდავათ მოყოლილი სხეული გაათავისუფლა. თავშეხვეული კაცი მარტო რო დარჩა, ჩუმათ ცდილობს ტილო, თავზე რომ უჭერს, ისევ შემოიხსნას როგორმე.

ჯაჯგური, შეხლა-შემოხლა. ყვირილი: ქვესკნელის განათებულ ფონზე რაღაც უცნაური ლანდები მოსჩანს. რაჭდენიმეა. სანთლის სინათლეზე ერთ დაჭრილს შემოხვევიან და საკაცეზე ძლივას იმაგრებენ. ყველას უძალიანდება. დაჭრილს ფეხები არა აქვს. ფეხების ალაგას საშინელი სანახავი არტაშნები აქვს! და ზედაც გამონასკული თოკები სისხლის დენის შესაჩერებლად. სისხლს მაინც გაუჟონავს ტილოებში და გეგონებათ წითელი ძიქვა აცვიაო. ეშმაკსა ჰგავს, სახეს თაფლის სანთლის ბრჭყვიალი გადაჰკრავს; ჰბოდავს. აწვებიან მხრებსა და მუხლებზე ამ უფეხო კაცს, საკაცედან წამოხტომა და გაქცევა რომ უნდა.

— გამიშვით!—ღმუის ბრაზიანის კილოთი და მერე წრიპინს იწყებს.—ღმერთი არა გწამთ, გამიშვით-მეთქი, არ გეს-

მისთ, თქვე ურჯულოებო? თქვენა გგონიათ, აქ გაგიჩერდებით? გამიშვით, თორემ ყველას დაგხოცავთ!

გიჟი საშინლათ იკლაკნება. სანიტრები, რაც ძალი და ღონე აქვსთ, აწვებიან, რომ ერთს ალაგას გააჩერონ. ერთს ანთებული სანთელი უპირავს ცალის ხელით და მეორე ხელით გიჟს ქაშარი უნდა შემოარტყას წელზე; გიჟი-კი ისე ღრიალებს, რომ მძინარეებს აღვიძებს და მთელ ეზოს აფხიზლებს. ყველა მხრიდან მისკენ იყურებიან, წამოსხდებიან, ყურს უგდებენ მის უაზრო წუწუნს. ბოლოს როგორც იყო. წუწუნიც მისწყდა სიბნელეში. ამავე დროს, მეორე კუთხეში, ოხრამა დაჭრილმა, დაწოლილმა, მიწაზე გაკრულმა, ერთი-მეორეს ჩხუბი აუტეხა. იძულებულნი იყვნენ, ერთი მათკან სხვაგან გადაეყვანათ, რომ ჩხუბისათვის ბოლო მოეღოთ.

იქითკენ მივდივართ, სადაც ერთმანეთში გადახლართულ ძელებ შორის დღის სინათლე შემოდის. იძულებული ვარ გადვხტე ხოლმე საკაცეების დაუსრულებელ მწკრივებზე, ამ დაბალ და ვიწრო მიწის-ქვეშეთის მთელი სივანე რომ უპირავსთ. პირდაპირ ვიხვრჩვები. საკაცეზე გაწოლილნი არსებანი ახლა ალარ იძერიან, მხოლოდ ყრუთ კვნესიან და ხვრინავენ.

ერთ საკაცის ნაპირზე ვინმე ზის, კედელს მიწოლილი; გაღეღილ ზედსამოსის ბნელ ფონზე თეთრ ლაქად მოსჩანს მისი გვემული გული. უკან გადაგდებულს თავს ჩრდილი ეფარება; მაგრამ გულის ძგერას მაინცა ვხედავ.

ერთ ალაგას მიწა ჩამოწოლილა და დღის სინათლე წვეთ-წვეთად ჩამოჟონავს. რამდენიმე ყუმბარა ერთსა და იმავე ალაგას დაცემულა და სქელი მიწური ბანი დაჭრილთა შესახვევ პუნკტისა შიგ ჩაუტანია.

აქ რამდენიმე თეთრი ლაქა მკრთალ სინათლისა ეცემა ლურჯ მაზარებს, მხრებსა და ტანისამოსის ნაოჭებს. ამ გარღვეულ მიწასთან თავი მოუყრია ადამიანთა მთელ ფარას, რომ ცოტათი მაინც შეისუნთქოს სუფთა ჰაერი, რომ თუნდ ერთის წუთითაც თავი განითავისუფლოს ამ საფლავიდან. შავ

ჯურღმულის ბოლოზე ეს კუთხე ოაზისსა ჰგავს, საცა ადამიანს შეუძლია დადგეს წელში მოუხრელათ, დაინახოს ცა და ჰაერი შეისუნთქოს.

— აქ კაცები მდგარან და უუმბარები რო დაცემულა, ყველა გაუწყვეტია,—მითხრა ერთმა აქ მდგარმა.—შეგიძლია წარმოიდგინო, თუ რა დომხალი გაკეთდებოდა? აი, ემანდ შეხედე, მღედელი ამ კაცების ნაფლეთებს აგროვებს.

ერთი ჩასუქებული სერჟანტი-სანიტარი, მიხაკისფერ ჭილეტიანი, გორილას მსგავსი, ცდილობს ჩამოქცეულ ლატნებზე ჩამოკიდებული ადამიანთა ნაწლავები ჩამოიღოს. ჩამოსაღებად კიდენ ხიშტწამოგებულ თოფსა ხმარობს, რადგან საკმაოთ გრძელი ჯოხი ვერ უშოვნია. თავმოტეხილი, დიდწვერა, მსხვილი კაცი თოფს როგორღაც უშნოთა ხმარობს. ტკბილი და საბრალო სახე აქვს. რამდენსაც გამართავს თოფს ნაწლავების ჩამოსაღებად, იმდენჯერ დაატანს „უჰ", თითქო კვნესისო. თვალებზე ლურჯი სათვალეები უკეთია, ხმამაღლა ხვნეშის; წოწოლა პატარა თავი კისერში აქვს ჩამჯდარი.

ამ კაცს რომ უყურებთ, თუ როგორ ჩამოაქვს ხიშტით ადამიანის შიგნეულობა და ხორცის ნაფლეთები, გგონიათ, ყასაბი ვინმეა და ჯოჯოხეთურ საქმეს რასმე აკეთებსო.

მე ერთს კითხვაში მივჯექი, თვალები დავხუჭე და თითქმის ვერა ვხედავ, რაც ჩემს გარშემო ხდება.

ბუნდათ ფრაზის ნაწყვეტ-ნაწყვეტები მომესმის. ისევ ჰრილობების შესახებაა ნირშეუცვლელი ლაპარაკი გამართული:

— აი, დალახვროს ჩემმა გამჩენმა! ამ ალაგას, ისე მეგონა, თითქო ტყვია ტყვიაზე ეცემოდაო, ისე დაგვაყარეს სეტყვასებ იმ ოხრებმა.

— ზოგს თავი ისე ჰქონდა გახვრეტილი, რომ შიგ კანაფს გაუყრიდა კაცი.

— მთელი ერთი საათი დასჭირდათ ამ ძაღლებს, რომ ნიშანი ცოტა ზევით აეღოთ და ჩვენთვის თავი დაენებებინათ...

ჩემს ახლოს ვილამაც ასე დაათავა ლაპარაკი ბუტბუტით:

— ძილში სულ ისე მგონია, იმ კაცს მეორეჯელა ვკლავ-მეთქი!

ზუზუნივით მომესმის კიდევ სხვა ნაწყვეტები ფრაზებისა, ასე მგონია, მანქანის აუარებელი თვლებია და დაუსრულებლივ ტრიალებს და ტრიალებს-მეთქი.

ახლა სხვა კაცის ხმა მესმის: „ნუ გეშინია, გაუძლებ“. ამ სიტყვებს სხვა და სხვა კილოზე იმეორებს, ხან ბრძანებისა და ხან სიბრალულის ხმით, ხან ისე იძახის, როგორც წინასწარმეტყველი, ხან ისე, როგორც წყალში ჩავარდნილი; სხვა დატანჯულთ მიკნავებული და მოტირალე ხმა ჰქონდათ და კვნესა-ოხვრით ცდილობდენ გამოეხატნათ თავიანთი ტკივილი; იმის ხმა კი მათს შორის ტკეპნით გაისმოდა.

ერთი კაცი ჩემკენ წამოვიდა. ბრმა იყო და გზის გასაკვალავათ კედელს ჯოხს უკაკუნებდა და ისე მოდიოდა. ფარფადე იყო! დაეუძახე. თითქმის მოტრიალდა ჩემკენ და მითხრა, ცალი თვალი დაშავებული მაქვსო. მეორე თვალი შეხვეული ჰქონდა. ჩემი ადგილი დავუთმე, მხარზე ხელი მოვკიდე და დავსვი. დამყვა, კედლის ძირას ჩამოჯდა და მოთმინებით დაიწყო ლოდინი, როგორც მოხელეთა სჩვევიათ ხოლმე, როცა უფროსს ელოდებიან მოსაცდელ ოთახში.

მე ცოტა მოშორებით დავჯექი. ჩემს ახლო ორი კაცი წევს და რაღასაც ეჩურჩულებიან ერთმანერთს. ჩემთან ისე ახლოს არიან, რომ თუმცა ყურს არ ვუგდებ, მაგრამ მაინც მესმის მათი ლაპარაკი. უცხოეთის ლეგიონის სოლდათები არიან. კასკა და მაზარა მოქ-ყვითელი აქვსთ.

— არაფერი მეშველება, — ბუზღუნებს ერთი. — ამ ხელათ ვერ გადავრჩები. ამას კითხი არ უნდა. წელში გამიარა ტყვიამ. ქალაქში რომ ვიყვე, სადმე ლაზარეთში თავის დროზე გამიკეთებდენ ოპერაციას და შეიძლება მიეკოწიწებინათ როგორმე. მაგრამ აქ!.. გუშინ დამჭრეს. ბეტუნის გზიდან აქედან ორსამ საათის სავალზედა ვართ და ახლა იქიდანაც რამდენი

საათის გზაა გასავლელი, სანამ ლაზარეთში მიგიყვანდენ საოპერაციოდ? და ან როდის იქნება ჩვენი აქედან წაყვანა? ეს არავის ბრალია. ახლა რაც არის, არის. ეხედავ ჩემს დღესა, ვერ გადაეურჩები, ამიტომ რომ ნაწლავის გახვრეტა ხუმრობა საქმე ხომ არ არის. შენ-კი რა გიშავს, ძმაო. ხელი მალე მოგირჩება, ან თუ მოგკრეს, სამაგიეროს გაგიკეთებენ. მე კი უნდა მოვკვდე, სხვა გზა არა მაქვს.

— ეჰ!—ნუგეშის მაგიერ წამოიძახა მეორემ: ხედავდა, რომ ამხანაგი მართალს ამბობდა.

პირველმა სოლდათმა ისევ დაიწყო:

— დომინიკ, ყური მიგდე. ხომ იცი, რა ცუდ ცხოვრებას ეწეოდი. ბევრი ცუდი რამ ჩაგიდენია და სიმთვრალეში ბევრი მიქარვა მოგსვლია. შენს პასპორტში, ვინ იცის, რა არ არის აღნიშნული, შენი საწინააღმდეგო!

— რაც მართალია, მართალია, უარს არ ვამბობ,—უპასუხა მეორემ.—მაგრამ შენ რაში გეკითხება, მე რა მიქნია.

— ომი რომ გათავდება, ცხადია, ძალაუნებურათ, ისევ ცუდ ცხოვრებას მიჰყოფ ხელს. სხვას რო თავი დავანებოთ, მეკასრეს როგორ გადაეურჩები?

მეორე სოლდათი პირდაპირ გამხეცდა და საცემრად მიიწია.

— მის ამარ ე უბა დააყენე, თორემ მე ვიცი შენა... შე შუდრეგო, შენ რაში გესაქმება ჩემი ამბავი?

— ჩემო ძმაო, მე, შენსებ, მახლობელი არავინა შყავს, ლუიზას გარდა. მაგრამ იგიც ანგარიშში ჩასაგდები არ არის, ამიტომ რომ ჯვარდაუწერავები ვართ. სასამართლოში საქმე ჩემს დღეში არა მქონია. უბრალო რამეებისთვის სამხედრო სამსახურში, მართალია, შენიშვნები მოუციათ, მაგრამ ეგ არის და ეგ. სახელი სრულებით უმწიკვლო მაქვს.

— მერე? ფეხებზედ მკიდია შენი სახელი.

— ყური დამიგდე: მოდი, ჩემი გვარი დაირქვი. ნებას გაძლევ, დაირქვა, ამიტომ რომ ოჯახი არც შენა გაქვს და არც მე.

— შენი გვარი?

ყველას ასე უთხარი, ლეონარდ კარლოტი ვარ-თქო. მორჩა და გათავდა. შენთვის სულ ერთი არ იქნება? სასჯელისაგან ერთბაშათ განთავისუფლები. ძებნას არავინ დაგიწყებს და ისევ ბედნიერი იქნები, როგორც მე ვიქნებოდი, ამ საშინელ ტყვიას ფაშვი რომ არ გაეხვრიტნა ჩემთვის.

— ახ, შე კატის ნაჯვამო, შენა. იზამ მერე ამასა? ნუ თუ ასეთს სიკეთეს მიზამ, ჰა?

— წაიღე, ჩემს უბის წიგნში მიდევს, მაზარის ჯიბეში. აბა, გამომართვი და შენი წიგნაკიც მე მომეცი. და თან წაიღებ. შეგიძლია, საცა გინდა, ყველგან იცხოვრო, იმ ადგილებს გარდა, სადაც მიცხოვრია და მიცნობენ, მაგა გალითად ლონგვილში, ტუნისში. ეს არ დაგავიწყდეს, და თუ დაგავიწყდა, წიგნაკშიაცა სწერია, სად და სად მიცხოვრია. წიგნაკი წაიკითხე უეჭველათ. მე არავის ვეტყვი: თუ გვინდა ასეთი საქმე მოხერხდეს, პირში წყალი უნდა ჩავიყენოთ.

გაჩუმდა და მერე, ცოტა არ იყოს, კანკალით უთხრა:

— ყოველსავე შემთხვევაში, შეიძლება ეს ამბავი ლუიზას ვუთხრა, მინდა იცოდეს, რა კაი საქმე ვქენი და კეთილათ მომიგონოს. გამოსათხოვარ წერილში შევატყობინებ.

მაგრამ მერე, თავი გააქნია, არაო; ეტყობოდა, ეს აზრი არ მოეწონა:

— არა, ძმაო, ჩმასაც არ ვეტყვი. ქალების ამბავი ხომ იცი, ენაზე არაფერი დაადგებათ!

მეორე უყურებს და ერთავათ ამას გაიძახის:

— მაინც!.. დასწყეველოს ღმერთმა, რა კარგი იქნებოდა!

არცერთს შევუმჩნევივარ ისე, თავი დავანებე ამ დრამას, ამ საცოდავ კუთხეში რომ ხდებოდა, საცა ხალხი მიდიმოდის, ერთმანეთს ეჯაჯგურება და ერთი ჯოჯოხეთი ტრიალებს.

ახლა მეორენაირ ლაპარაკს მოვკარ ყური, უფრო დაწუნარებულსა და მშვიდობიანსა.

— რო იცოდე, ჩემო კარგო, რა რიგ უყვარს თავისი ვენახი! ვაზსა და ვაზს შუა ერთი ბეწო ბალახი რა არის, ვერა ნახავ. შვილსავით თავს ევლება...

— როცა ჩემს პატარა ბიჭუნასთან ერთათ სადმე გამოვიდოდი, მისი პატარა ხელი ჩემს ხელში მეჭირა და ისე მეგონა, ხელში მერცხლის თბილი კისერი მიჭირავს-მეთქი

ასე ტკბილ და გულისამაჩუყებელ საუბარს გვერდით, სხვათა შორის, აი რა გამკილავის კილოს ლაპარაკი აქვსთ:

— მეკითხები, თუ ვიცნობ მე-547 პოლკს! ვიცნობ და ეგრე! შენ ყური დამიგდე: ასეთი სასაცილო პოლკის მნახველი არა ვარ, მე და ჩემმა ღმერთმა. ერთი სოლდათია—პტიჟანი ჰქვიან, მეორეს — პტიპიერი, მესამეს პტილუი*)... ძმობამ, ასეთი სახელები ჰქვიანთ. სწორეთ სასაცილო პოლკია.

ამ მიწის ქვეშიდან გასკლას რო შევუდექი, ატყდა რაღაც ალიაქოთი, ვილასაც ძირს ზღართანი მოსძვრა და გაისმა ყვირილი.

თურმე ნუ იტყვი, სერჟანტი-სანიტარი დაცემულა. იმ ცარიელ ადგილიდან, საიდანაც იგი დახიცილების შიგნეულსა და ხორცის ნაფლეთებს აშორებდა, ტყვია პირდაპირ ყელში მოხვედრია. მიწაზე გაიშხლართა, თვალებს უაზროთ აბრიალებს და პირიდან სისხლიანი ქაფი ამოსდის.

პირი და პირისახის ქვედანაწილი მალე ვარდისფერ ბუშტების ღრუბლით დაეფარა. თავი ჰრილობაჰა შესახვევ მასალის ტომარაზე დაუდეს, მაგრამ მალე ტომარაც სულერთიანათ გაიქლენთა სისხლით. ერთი სანიტარი ჰყვირის,—ბინტებს ნუ გამიფუჭებთ, ამის მეტი არა მაქვსო. დაიწყეს ძებნა, —რაზედ დავუდოთ თავიო, თავი კი მთლად დაჰფარა დუჟმა. ერთი პური იშოვეს და თავქვეშ ამოუდეს.

ხელი დაუჭირეს, ეკითხებიან, როგორ მოგივიდაო; იმას კი ახალ-ახალი ბუშტები ამოსდის პირიდან და გარშემო ჰგროვ-

*) პტი—პატარა; პტიჟანი—პატარა ივანე, პტიპიერი—პატარა პეტრე, პტილუი—პატარა ლუი.

დება. შავი წვერი, მახვილი თვალი ამ ვარდისფერ ღრუბლიდან მოსჩანს. მიწაზე გაშხლართული ზღვის უზარმაზარ ცხოველსა ჰგავს, ფრუტუნებს და გამსკვირვალე და ვარდისფერი ქაფი ახლა უკვე მისს ამღვრეულს, სათვალებ-ჩამოშორებულ თვალებსა ჰფარავს.

მერე ხრიალი დაიწყო. ხრიალებს ბავშვივით და ჰკვდება. თან თავს იქით-აქეთ აქნევს, თითქო რაღაზედაც ამბობს, — ეს ასე არ არისო.

ვუყურებ ამ უშველებელ კაცის სხეულს და მაგონდება, რომ ეს კაცი კეთილი იყო, უმწიკვლო და მგრძნობიარე გული ჰქონდა. და ახლა ჩემს თავს ვაყვედრი, რომ ხშირათ დავცინოდი ამა თუ იმ კითხვის შესახებ თავის გულუბრყვილო და ვიწრო შეხედულობისათვის და იმ გადამეტებულ ცნობის. მოყვარეობისათვის, საზოგადოთ ეკკლესიის მსახურთ რომ სჩვევიათ ხოლმე. ერთხელ წერილსა ვსწერდი და ჩემთან შიგ ჩაიხედა. რა ბედნიერი ვარ ახლა, ამ საშინელებათა შორის, რომ მაშინ თავი შევიკავე და საყვედური არ ვუთხარი... მაშინ რომ იმას გავჯავრებოდი, სულ ტყუილათ ვაწყენინებდი ამ ალალის გულის ადამიანს! მაგონდება აგრეთვე ის შემთხვევაც, როცა თავს მაბეზრებდა თვისის განმარტებითა და ქადაგებით ღვთისმშობლისა და საფრანგეთის შესახებ. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ გულწრფელათ სწამებოდა, რასაც ამბობდა. არა, გულწრფელი რატომ არ უნდა ყოფილიყო? დღეს ხომ ნამდვილათ მოკვდა? მაგონდება მოყვასთათვის თავდადება, მოთმინება ამ მსხვილ კაცისა, ომისათვის ისევე უცხო რომ იყო, როგორათაც უცხო იყო ცხოვრებისათვის. დანარჩენს ისეთი ცნობისშენელობა არა აქვს. თვით მისი რწმენა და აზრები არაფერია შედარებით მის სათნოებით სავსე გულთან, ახლა მიწაზე რომ ძევს და ალარა სცემს, გენია-ცეცხლის კუთხეში. ხო ყველაფერი მაშორებდა ამ კაცს, უცხონი ვიყავით ერთი-მეორისათვის, და მაინც, რომ იცოდეთ, ახლა რა რიგ მებრალება, რა რიგ მწყდება მისთვის გული!...

.... სწორეთ ამ დროს გავარდა მეხი. მიწა და კედლები საშინლათ შეინძრა და ჩვენ ერთმანეროს მიგვახეთქა. ისე მეგონა, ჩვენს ზემოდან რაც მიწა იყო, სულ თავზე ჩამოგვექცა-ვეთქი. ერთი ნაწილი კოშკებისა ჩამოინგრა და ცარიელი ადგილი უფრო გაფართოვდა მიწის-ქვეშეთში. მეორე გავარდნაზე ხელმეორეთ ჩამოიქცა მიწა. მსხვილ სერჟანტ-სანიტრის გვამი ხის ძელიეით მიეხეთქა კედელს. ამ სარდაფის ჩილანგრის ძელები, მთელი მისი ჩონჩხი აკრაჭუნდა და ამ დილეგის ტყვეებს ყველას ერთხმათ აღმოხდა საშინელების ყვირილი.

ზედიზედ გასკდა ყუმბარები და იქით-აქეთ მიგვახეთქა. ინგრევა ჩვენი საფარი, და, თავად პატარა, ნაწილ-ნაწილ იშლება და უარესათ პატარავდება. შიგ ჩამოვარდნილ ყუმბარებთან ერთათ ახალ ცარიელ ადგილებიდან დღის სინათლეც შემოიჭრა. ახლა უფრო მკაფიოთა და როგორღაც უფრო ზესთაბუნებრიევათა სჩანს ანთებით გაწითლებული ან მკვდრის ფერ გადადებული სახეები დაჭრილთა, სულთმობრძავთა თავლების ხუჭვა, თეთრ ტილოებში შეხვეული და არტაშნებში შეკრული, ერთმანერთს მიწებებული სხეულები. ყველაფერი, რაც აქამდე დაფარული იყო, ახლა გამოჩნდა. ამ ცეცხლისა და რკინის ქარიშხლისაგან გონებადაკარგული დაჭრილები წამოხტნენ, იქით-აქეთ დაიფანტნენ, გაქცევას ლამობენ. მთელი ეს ხალხი, თავზარდაცემული, ჰგორავს მიწაზე, მთელს გალერეიაში, თითქო ღელვის დროს გემი იღუპება და მის ერდოზე ამოცვივდენ შეშინებული მგზავრებიო.

ავიატორი, რაც კი შეუძლია, გაიმართა წელში, ნიკაპი კედელს მიაბჯინა, ხელებსა შლის, იხმობს ღმერთსა და ეკითხება,—რა გქვია, შენი ვეშმარიტი სახელი რა არისო? ხან ერთს მიეარდება, ხან მეორეს, ხანაც ქარი წააქცევს. ტანისამოსი შემოხიხია და გადაღეღილ გულს, ქრისტესებ, ყველას უჩვენებს. იმ კაცის მაზარა, ვინც ნირშეუცვლელათ ერთაეათ იძახდა: „არა უშავს, მოითმინე", ერთბაშათ ღია-მწვანე ფერისა გახდა, ალბათ პიკრიკის სიმწავისაგან, რომელიც გამ-

სკდარ ყუმბარამ გამოუშვა.ყუმბარის გახეთქამ გონებაც შეურყია. სხვები, უმწეონი, დასახიჩრებულნი მიწაზე დაბობღავენ, კუთხეებში მიძვრებიან, როგორც თხუნველები, როგორც დაშინებული ნადირი, რომელსაც ზარბაზნის ყუმბარები სდევს.

ზარბაზნების სროლა ცოტათი მიწყნარდა, შეჩერდა ქვამლის ღრუბლებს შორის, ბოლქვა-ბოლქვად რომ ადის და ყოველსავე სწვამს. გარღვეულ ადგილიდან გარეთ გამოვდივარ: ყურში მიდგას სასოწარკვეთილი ყვირილი. გამოვდივარ ღია ცას ქვეშ. ტალახში ვეფლობი, შიგ ჩავარდნილ კოჭებს შორის ფეხები მეხლართება. ვებღაუჭები ხის ნამტვრევებს; აჰა, შემაერთებელ გასასვლელზე დაყრილი მიწაცა. იმ წუთში, როცა ხვრელში თავი შევყავი, დავინახე იგივე აუარებელი ხალხი, სანგრებიდან რომ გამოდიოდა და ჭრილობათა შესახვევ პუნკტისაკენ რომ მიედინებოდა. კიდევ დიდხანს არ შესწყდება ეს დენა ხალხის გრძელ ნაკადულებისა, რომლებიც მოგლეჯილ იქნებიან ბრძოლის ველიდან, ამ მინდვრიდან, რომელსაც აქვს გულღვიძლი, სისხლისაგან რომ იცლება და იხრწნება. იქ, შორს, უსაზღვრო სივრცეში.

XXII.

გასეირნება პარიზში.

გავყევით ჯერ რესპუბლიკის ბულვარს. მერე გამბეტას ხეივანს და იქიდან კიდევ ვაჭრობის მოედანზე გამოვედით. ჩვენის დაწმენდილ წაღების ლურსმნებს პარიზის ქუჩების ქვაფენილზე წკარუნი გააქვს. მშვენიერი დარია. ცხრათვალა მზე დაქათქათებს ქალაქს. თითქო სათბურის შუშებიდან გამოდის მისი სხივებიო, ნაპერწკლები ასდის მაღაზიების დიდს შუშებს. ჩვენის სუფთათ გაწმენდილ მაზარების კალთები ჩამოშვებულია და რადგან ჩვეულებრივ აწეულები გვაქვს ხოლმე, ეს ორი კვადრატი კალთა უფრო ლურჯია, ვიდრე დანარჩენი გახუნებული ნაწილი მაზარისა.

ჩვენის მოხეტიალე ამხანაგების ჯგუფი ერთ წამს დადგა და ყოყმანი დაიწყო „საყავო სუნ-პრეფექტურას“ წინ, აგრეთვე „გრან კაფეს“ რომ ეძახიან.

— უფლება გვაქვს შიგ შევიდეთ,—სთქვა ვოლპატმა.

— წავიდეს!.. ოფიცრებითაა სავსე,—უთხრა ბლერმა, გიპიურის ფარდას ზემოდან რომ შეიხედა და სარკეში დაინახა საყაღოში მსხდომარე ხალხი.

— ეგეც არ იყოს,—სთქვა პარადიზმა,—ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა უნახავი.

ისევ შევუდექით სიარულს. და უბრალო სოლდათები, როგორებიც ჩვენა ვართ, ვათვალიერებთ მშვენიერ მაღაზიებს, მოედანს გარშემო რომ აჰკის, ტანისმოსის მაღაზიებს, ქალალდით სავაჭრო მაღაზიებს, აფთიაქებს, ოქრო-ვერცხლეულის ვიტრინებს, გენერლის მუნდირივით რომ ბრჭყვიალებს. სახეზე

ღიმი დაგვთამაშებს. სალამომდე საქმე არაფერი გვაქვს, თავისუფლები ვართ, ჩვენი დრო ისე შეგვიძლია მოვიხმაროთ, როგორც ჩვენ გვინდა, დამშლელი არავინა გვყავს, ნება-ნება, სვენებ-სვენებით მივაბიჯებთ ფეხებს; ცარიელი ხელები ძირს ჩამოშვებულები გვაქვს, და ხელებიც სეირნობენ: წინა და უკან ქანაობენ.

— კითხი არ უნდა, კარგი რამ არის ეგ შვებულება.— შენიშნა პარადიზმა.— დაილოცოს, ვინც ეს მოიგონა.

ჩვენს თვალწინ გადაშლილი ქალაქი დიდ შთაბეჭდილებასა გვგვრის. ვუკავშირდებით მცხოვრებთ, ცხოვრებას, ზურგს უკანის ცხოვრებას, რეალურს, ნამდვილს ცხოვრებას. ბრძოლის ველზე რომ ვიყავით, რამდენჯერ გვინატრნია: ჩვენ „იქიდან“ ვინ გვაღირსებს აქამდე ჩამოსვლასაო!

ვუყურებთ დართულ კაცებსა, ქალებსა, ბავშვებიან ცოლქმრებსა, ინგლისელ ოფიცრებსა, ავიატორებს, რომელთაც შორიდანვე ეტყობათ კოხტაობასა და დაჯილდოების ნიშნებზე, ვინცა და რანიც არიან, ვხედავთ აგრეთვე სოლდათებს, ჩვენსებ რომ დასეირნობენ, გახეხილ ტანისამოსიანები და ქარისაკან პირისახე დახეთქილები. ერთად-ერთი დამაშვენებელი ამათის ტანისამოსისა—რკინის ფირფიტაა, რომელზედაც მათი სახელი და გვარია ამოკრილი. ფირფიტა მაზარაზეა დაკრული და მზეზე ბრჭყვიალებს. ფრთხილათ დადიან, თითქო ერიდებათ, რომ გარშემო ყველა სუფთათაა ჩაცმული და არა ჰგვანან სანგრებში მცხოვრებთა, ჯოჯოხეთურ ცხოვრებას რომ ეწევიან.

ხან ერთი და ხან მეორე წამოვიძახებთ, სოფლელებივით, თითქო არაფერი გვენახოსო, ყველაფრის ხმები ვიყოთო.

— ე რა მილეთის ხალხი ირევა ამ დასაკლავ ქალაქში!— ჰკვირვობს ტირეტი.

— ძალიან მდიდარი ქალაქი კი უნდა იყოს, აი!— იძახის ბლერიო.

ერთმა მუშა ქალმა ჩაგვიარა და გვიყურებს.

ვოლპატმა ხელი წამკრა, კისერი წაიგრძელა და თვალებით კინაღამ გადაჰყლაპა ქალი. მერე მოშორებით ორი ქალი მანიშნა, ჩვენკენ რომ მოდიოდა. თვალები უბრწყინავს და აღნიშნავს, ქალაქში ბევრი ქალი ყოფილაო.

— შენი გულისა, რა დუნდულებია, და!.. ვენაცვალე სულში!..

ამას წინათ პირადიზს კარგახანს დასჭირდა თავისთავთან ბრძოლა, სანამ გაჰბედავდა და მიუახლოვდებოდა ერთს ადგილს, სადაც ფაფუკათ იყო დაწყობილი ტკბილი ქადები და სხვადასხვა ნამცხვრები. კრძალვით აიღო ერთი და შეჭამა. ახლა ბლერი იკითხეთ! პირდაპირ გაგვიჭირა საქმე. წამდაუწუმ შუა ტროტუარზე უნდა შევდგეთ და ვუცადოთ, სანამ დაგვეწყოდეს. მაღაზიის ვიტრინებში გამოლაგებულ საქონელზე თვალი რჩება. ხან მოქსოვილ სათბურებს ათვალიერებს, ხან ქუდებს, ხან ყელსახვევებს, ხან წითლათ მოელვარე ტუფლებს. სანგრებში რო ვიყავით, თვისის სიბინძურითა და ჩათლახობით პირველი ადგილი ამას ეჭირა, აქ კი ყველაზე უკეთესათ ესაა მორთული; განსაკუთრებით მას შემდეგ ვამოიცვალა, რაც ახალი ყბები ჩაუსხეს. აქ სულ თავისუფლათ უჭირავს თავი.

— სრულებით გაუაწვილდა,—იძახის მარტრო.

ერთბაშათ ერთს კბილებჩაცვენულ ქალს შეეხეჩეთ; ძალზე იღიმებოდა... ქუდს ქვეშიდან თხელი შავი თმა ჩამოსჩეროდა. მსხვილ ნაკვთებიანი სახე ყვავილისაგან დაკენკილი აქვს, ჩოფურა, და იმ გათხუპნულ სურათსა ჰგავს, ბაზრობებზე სხვადასხვა გასართობებისათვის რომ ჰხატავენ ხოლმე.

— რა ლაჰაზია!—იძახის ვოლპატი.

მარტრო, ვისაც ქალმა გაუღიმა, აღტაცებისაგან ხმას ველარ იღებს.

აი, რას განიცდიან სოლდათები, ერთბაშათ მომხიბვლელ ქალაქში ვადმოტყორცნილნი! უფრო და უფრო სტკბებიან მისის ლაჰაზ და უაღრესათ სუფთა გარეგნობით, ისევ გაიღეს გემო მშვიდ და მყუდრო ცხოვრებისა, ხელახლა დაებადათ

სურვილი სახლებში ადამიანურათ ყოფნისა და ბედნიერათ დროსგატარებისა.

—ბოლოსა და ბოლოს, ჩემო ძმაო, ხუმრობა იქით იყოს და, შეიძლება, ჩვენც შეგვეჩვიოთ ასეთს ცხოვრებასა! ვაი არა აქვს ჩემს თავსა!

ამასობაში ერთ მაღაზიას წინ ხალხი მოგროვდა. შეკეთილ ტანისამოსით ვაჭარს ხისა და ცვილის მანეკენებისაგან სასაცილო რამ ჯგუფი შეუთხზავს:

პიწაზე მოყრილია პატარა კენჭები, თითქო აკვარიუმის ფსკერიაო გერმანელს ახალი სამხედრო ტანისამოსი აცვია და გულზედაც კარტონისაგან გამოჭრილი რკინის ჯვარი უკეთია. დაჩოქილია და ხის ხელებს ფრანგის ოფიცრისაკენ იშვერს. ფრანგის ოფიცრის დაკულულებული პარიკი ბავშის კეპის ბალიშსა ჰგავს. ოფიცერს ლოყები გამობუშთული აქვს, მსუქანი, ხოლო შუშის თვალები სრულებით განზე იცქირება. ამ ორ არსებათა ახლოს სათამაშო თოფი ძევს. გრუპას ქვეშ ასე აწერია: „კამრად"! *).

— აი, მეხი-კი დაგათხლიშეთ მაგ სულელ თავზე!— წამოიძახა ერთმა ჩვენთაგანმა.

ეს ბავშვური ჯგუფი ღა თუ მოაგონებს ადამიანს, რომ სადღაც უშველებელი ომია გახურებული, მეტი არაფერი. ამის დანახვაზე მხრები ავიჩეჩეთ და ბრაზი მოგვერია. რაც გვინახავს და რაც გაგვიგონია, იმის შეურაცყოფად მიგვაჩნია ყოველივე ეს. ტირეტმა კოპები შეიკრა და მზად არის ერთი თავისებურათ შეუკურთხოს. მაგრამ პროტესტის ხმა გულშივე ჩაიკლა, ამიტომ რომ ჩვენი აზრი-გონება სულ სხვა მხარესაკენ გაიტაცა მოულოდნელათ სანახაობის გამოცვლამ.

ჩაგვიარა ერთმა მშვენივრათ ჩაცმულმა ქალმა, მიაშრიალებს იისფერ და შავ კაბასა და თან სურნელებასა ჰფენს გარემოს. დაინახა ჩვენი ჯგუფი, მოგვიახლოვდა და ხელთათმნიანი, კოპწია ხელი ჯერ ვოლპატს მიაკარა მაჯაზე და

*) ამხანაგო, გერმანულ გამოთქმით.

მერე ბლერს დაადო მხარზე. ორნივე ერთბაშათ გაშეშდენ ამ ჰაეროვან არსების მიკარებისაგან.

— ბატონებო, გეტყობათ, რომ ფრონტიდან მოსულები ხართ და ერთი მითხარით, გეთაყვათ, ყოველივე ხომ ასეა სანგრებში?

— ჰმ... დიახ... დიახ...—უპასუხეს დაბნეულებმა და თან ამ ქებით გახარებულებმა.

— ჰა, ხომ ხედავ? ესენი პირდაპირ სანგრებიდან ჰოდიან!—იძახიან შეგროვილ ხალხში.

როცა მარტოკანი დავრჩით ტროტუარის სწორ ქვაზე, ვოლპატმა და ბლერმა ერთმანეთს გადახედეს და თავები ჩაიქნიეს.

— ბოლოს და ბოლოს,—ამბობს ვოლპატი,—დაახლოვებით ასეა იქაც...

ჰაი, ჰაი, რომ ასეა...

და ამ დღეს ეს პირველად იყო, რომ ყურყუაით სიმართლე.

* * *

„მრეწველობის და ყვავილთა კაფეში“ შევედით.

პარკეტის შუაზე დაფენილია მშვენიერი ხალიჩა ბილიკის მსგავსათ. კედლებზე, ჭერს შეყუნებულ სვეტებზე, დახლს გასწვრივ დახატულია იები, სულ დიდი ყაყაჩოები და ვარდები, ყვავილოვან კომბოსტოს სიმსხოები.

— რა საჭიროა, ფრანგებს გემოვნება გვაქვს!—სთქვა ტირეტმა.

— სწორეთ რომ სახედრის მოთმინება უნდა ჰქონოდა ამის დამხატავს,—შენიშნა ბლერმა, როცა ამ აჭრელებულ მხატვრობას მიმოავლო თვალი.

— აქ, ძმაო, სმაც რომ არ გინდოდეს, ისე დაჯდომაც სასიამოვნოა!— დასძინა ვოლპატმა.

პარადიზი გვეუბნება, კაფეებში სიარული ძალიან მიყვარდაო. კვირაობით ყოველთვის ასეთ ლამაზ კაფეებში, და

ხანდისხან უკეთესებშიაც, შემოვდიოდიო. მაგრამ მას აქეთ დიდიხანია და გადავეჩვიე კიდეც კაფეებში სიარულსო. მერე ერთი პატარა მინანქრიანი ხელსაბანი გვიჩვენა, გაოშემო ყვავილებ დახატული და კედელზე დაკიდებული.

— აქ ხელის დაბანაც შეიძლება.

ზრდილობიანათ ხელსაბანისაკენ გავემართენით; ვოლპატმა პარადიზს ანიშნა, ონკანი მოუშვიო:

— აბა თუ ბიჭი ხარ, ერთი ეს სადუქებელი მანქანა აამუშავე.

მერე ხუთნივე ზალაში შევედით. უკვე სტუმრებით იყო გავსებული, და ერთ მაგიდას მოვუსხედით.

— მოდი, ხუთი ვერმუტი შევუკვეთოთ, ჰა, რას იტყვით?..

— ჯანი გავარდეს, რაც იქნება, იქნება, მოდი, ისევ დავეჩვიოთ,—იძახიან ამხანაგები.

მოჭალაქენი თავიანთ ადგილებიდან წამოდგნენ და ჩვენს ახლო დასხდენ.

— ადოლფ, შეხედე, ყველას სამხედრო ჯვარი მიუღია..

— ეტყობათ, ნამდვილი ფრონტზე მებრძოლები არიან!

ამხანაგებს მაგათი ნათქვამი ესმისთ. ერთმანეთს უგულოთ უსმენენ, უფრო იმათკენ ცქვიტეს ყური და თავისდაუნებურათ გაიფხორნენ.

ცოტა ხანს შემდეგ ერთი ქალი და კაცი, ეს ლაპარაკი რომ გააბეს, ჩვენსკენ დაიხარნენ, იდაყვებით მაგიდის თეთრ მარმარილოს დაეყრდნენ და დაგვიწყეს გამოკითხვა:

— ძნელი სამყოფი უნდა იყოს სანგრებში, არა?

— ჰმ... მაშა... არც თუ ადვილია...

— რა ფიზიკური და მორალური სიმტკიცე უნდა გქონდესთ, რომ გაუძლოთ! ღმერთმა კი შეგაძლებინოსთ. პირველათ გაგიჩირდებოდათ, თორემ მერე და მერე ალბათ შეეჩვეოდით, განა?

— მაშა... ძალიანაც შევეჩვიეთ.

— მაინც საშინელი ცხოვრება უნდა გქონდესთ, დიდს ტანჯვას უნდა განიცდიდეთ,—ტიტინებს ქალი და თან ერთ დასურათებულ ჟურნალსა ჰფურცლავს. ჟურნალში განადგურებულ ადგილების სურათებია დახატული.—ასეთი რამ როდი უნდა დაბეჭდონ ხოლმე, ადოლფ!.. სირცხვილია ამეების დახატვა: სიბინძურე, ტილები, საკატორღო სამუშაო... გეტყობათ, ყოჩაღები ხართ, მაინც ალბათ უბედურებად ბიგაჩნიათ თავი, თქვე საცოდავებო?

ვოლპატი, რომელსაც ელაპარაკება ქალი, წამოჰარხლდა. ბარემ რცხვენია იმ საშინელებისა და უბედურობისა, თავი რომ განარიდა და მერე ისევ რომ უნდა დაუბრუნდეს. თავი დახარა და ტყუილები დაიწყო; შეიძლება არც კი აძლევდეს თავის თავს ანგარიშს იმისას, თუ რა ზომისაა მისი სიცრუე.

— არა, არც ისე უბედურები ვართ... როგორც გგონიათ, იმდენათ საშინელი როდია!..

ქალიც ეთანხმება.

— მეც ვიცი,—ამბობს ქალი,—რომ ომში ყარგიც ბევრი რამაა. აი, მაგალითად, შეტევა. რა ემჯობინება მისს ყურებას, როცა ერთათ შეუტევთ მტერს! ხომ? ამოდენა ხალხი ზღვასებ ,რომ მოსკდება და თითქო დღეობაში სადმე მიუხარისთო... ნალარას რომ დაჰკრავენ და დაიძახებენ: „იქ, მაღლა, ღვინოს შევსვამთ!" *) ან და სოლდათები რომ მიიწევიან და იძახიან: „გაუმარჯოს საფრანგეთს!" ან იმათი ყურება, ვინც თანა ჰყვდებიან და თანაც იცინიან, უხარისთ სიკვდილი!.. ეჰ, თქვენსებ ჩვენ როდი გვხდა წილად ეს პატივი: ჩემი ქმარი პრეფექტურაში მოხელეობაა და ახლა შეებულებაშია, ქარები აქვს და იმასა სწამლობს.

— ბარემ ძალიან გულით მინდოდა, სოლდათად ყოფილვიყავ,—გვითხრა ქალის ქმარმა,—მაგრამ ბედი არა მაქვს: ჩემს უფროსს უჩემოთ ერთს წუთსაც არ შეუძლია გასძლოს.

*) საომარი სიმღერაა.

ხალხი მიდი-მოდის, ერთმანეთს ეჯაჯგურება, ერთიმეორეში ირევა. ლაქიები დასრიალებენ და ხან ერთგან ჩამოურიგებენ, ხან მეორეგან კვანჩხებს, ბრეშყვიალა სასმელებით სავსეს,—ზოგი მწვანეა, ზოგი წითელი და ღია-ყვითელფერისა... ისმის პარკეტის ჭრიალი, ლაპარაკი მუდმივის მუშტრებისა, მაგიდის მარმარილოზე ჭიქებისა და დომინოს წკარუნი... დარბაზის სილრმეში გააქვს ჯახუნი სპილოს ძვლის ბურთებს ბილიარდის მაგიდაზე; ბილიარდს გარშემო მაყურებელთ მოუყრიათ თავი და ჩვეულებრივ ოხუნჯობენ.

— ყველას თავისი ხელობა აქვს, ჩემო კარგო,—შიგ პირში ეუბნება ტირეტს მოპირდაპირე მაგიდიდან ერთი კაცი, ღაჟღაჟა სახისა.—თქვენ გმირები ხართ! ჩვენ კი აქ ქვეყნის ეკონომიურათ აყვავებას ხელი უნდა შევუწყოთ. ესეც იგივე ბრძოლაა, როგორც თქვენი. მეც სასარგებლო ვარ. არ ვიტყვი, თქვენზე მეტად სასარგებლო ვიყვე, მაგრამ თქვენოდენათ-კი ვარ.

ვუყურებ ტირეტს—ასეთი ენამოსწრებული ამხანაგი მწყობრში არ გვერია,—სიგარების ბოლში თვალები გააჭყიტა და მიუხედავათ ამ ხმაურობისა მაინც გავიგონე მისი პასუხი, თავმდაბლათ რომ გასცა:

— მართალი ბრძანებაა... ყველას თავისი ხელობა აქვს...

ჩუმათ გავიპარენით...

* * *

„ყვავილთა კაფედან“ რო გამოვედით, ხმა არ ამოგვეღია ერთმანეთთან, თითქო ლაპარაკი დაგვავიწყდაო. ერთგვარ უკმაყოფილებამ მოიცვა და სახე დაუმახინჯა ჩემს ამხანაგებს. თითქო თავიანთს თავს აყვედრიან,—მშვენიერი შემთხვევა გვქონდა ჩვენი მოვალეობა შეგვესრულებინა და ხელიდან კი გავუშვითო.

— რა სისულელე არ დაროშეს ამ ოხრებმა, ამათ!—ბუზღუნებს, როგორც არი, ტირეტი; რაც უფრო მარტოკანი

ერჩებით, უფრო და უფრო მოსდის გული.

— დღეს ერთი რჯულზე უნდა გამობრუჟულვიყავით!.. —უპასუხებს უკმეხათ პარადიზი.

მივდივართ, მაგრამ კრინტს არა ვძრავთ. ცოტა ხანს შემდეგ ისევ ტირეტმა დაიწყო.

— რა სალახანა ვინმე ყოფილან, თქვენი პირიმეთ! უნდა გავეცურებინეთ, მაგრამ ვერ მივართვი! თუ სადმე მეორეჯელ შემხვდენ, —თანდათან ცხარობს ტირეტი,—მე ვიცი, რა პასუხიც ეკადრებათ. ისეთი კარგებისა მოვახსენო, რომ შენი მოწონებული!

— სადღა ვნახავთ კიდევ..—ეუბნება ბლერი.

— ამ რვა დღეში შეიძლება ჩავიღვრძვეთ კიდეცა,— ამბობს ვოლპატი.

მოედნის ნაპირთან ხალხი შემოგვხვდა. რიგი ქალაქის გამგეობის შენობიდან გამოდიოდა, რიგიც ისეთ შენობიდან, რომელსაც ფრონტონი და კოლონები ჰქონდა ტაძრის მსგავსათ. მოხელენი იყვნენ, კანცელიარიებიდან გამოდიოდენ. მოქალაქენი იყვნენ ყველა ჯურისა და ყველა ასაკისა; შეგ ერიენენ სამხედრონიცა, ზოგი ხნიერი, ზოგიც ახალგაზდა. ახალგაზდებს შორიდან თითქმის ჩვენსებ ეცვათ. მაგრამ ახლოდან კარგათ რომ დააკვირდებოდით, შეატყობდით, რომ ეამხედრო ტანისამოსს ქვეშ იმალებოდა დეზერტირი და საზოგადოთ ყველა, ვინც ომს გაურბოდა და თავს არიდებდა.

გარეთ ქალები და ბავშვები ელოდებიან, ლამაზ საჩუქრებივით. ვაპრები დუქნებსა ჰკეტავენ და კმაყოფილნი არიან, რომ ამ დღეს კარგი ვაპრობა ჰქონდათ, იმედი აქვსთ, ღმერთი მოწყალეა, ხვალაც ასევე ვივაპრებთო. თვლიან ნავაპრს, შოგებას და სიამოვნებით უყურებენ სავსე დახლს. ბედნიერნი არიან იმითაც, რომ თავისს კერას, თავისს ცოლ შვილს შერჩნენ. ბედნიერებაა, მა რა არის, კაცს ძირს დახრას მეტი არა სჭიროდეს, რომ თავისს ბავშვებს აკოცოს, მოუალერსოს! ქუჩაზე ფანრები აენთება თუ არა, ყველა ეს მდიდრები,

უფრო და უფრო რომ მდიდრდებიან, ყველა ეს დამშვიდებული ხალხი, დღითი-დღე რომ უფრო მშვიდდება და ღმერთს შესთხოვს, უმეტესი სიმდიდრე და უმეტესი კეთილდღეობა მოგვანიჭოს, ყველა ესენი, პირველი ვარსკვლავები ცაზე აციციმდება თუ არა, გარეთ ქუჩაში გამოიშლებიან. მერე აუჩქარებლივ შინა ბრუნდებიან, სადაც ყველაფერი აქვსთ, არაფერი აკლიათ, ან კაფეებში მიდიან, სადაც ყველაფერი მზა-მზარეულათ მოერთმევათ ხოლმე. ქალი და კაცი წყვილწყვილად—ახალგაზდა ქალები და კაცები, მოქალაქენი თუ სოლდათები, რომელთაც საყელოებზე მათის დეზერტირობის მაჩვენებელი ნიშნები უკეთიათ, ფანრების სინათლეზე მიეჩქარებიან თავიანთს მყუდრო ბუდეში, სადაც მოელისთ დასვენება, ალერსი.

ერთ სახლის დაბლა სართულში დავინახეთ, მოლებულ ფანჯარაზე ნიავი ბაბთის ფარდას ათამაშებდა და სუზუკ და ნაზ პერანგს ამსგავსებდა.

ხალხის მოძრაობა განზედა გვწევდა, თითქო საბრალო უცხოელნი ყოფილვიყავით ამ ხალხისათვის.

საღამოს მწუხრით დაფარულ ქუჩებზე დავეხეტებით. ეს ქუჩებიც გაჩირაღდნდა, თითქო ზეციდან ალმასები დააბნიესო. ამ ქვეყნის ნახვამ, ჩვენდა უნებურათ, თვალები აგვიხილა, წინ გადაგვიშალა დიადი ქეშმარიტება ცხოვრებისა: დაგვანახვა ადამიანთა შორის არსებული განსხვავება; დაგვანახვა, რომ ადამიანთა შორის მდებარე უფსკრული უფრო ღრმაა, უფრო გაუვალი, ვიდრე განსხვავება ეროვნებათა შორის არსებული; დაგვანახვა, თუ რა მკაფიო და ნათელი განსხვავებაა ერთისა და იმავე ერის წევრთა შორის, იმათს შორის, ვინც შრომობენ და იტანჯებიან, და იმათს შორის, ვინც ამათის ნაოფლარითა და ნაწვავ-ნადგითა სარგებლობენ; იმათს შორის, ვისაც მოსთხოვეს—ყველაფერი შესწირეთო და ვინც სამსხვერპლოზე მიიტანეს ზვარაკად ყოველივე, რაც გააჩნდათ: მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი თავი, და მათს შორის,—ვინც

ლიმილით მათს ლეშებზე გადადიან და განცხრომაში არიან.

ამ ხალხში შავ ლაქებად მოსჩანან აქა-იქ ძაძებიანი ქალები და ჩვენს გულს, ცოტათიც არი, ფხანენ; გარნა თვინიერ ამ ქალებისა სხვებს საგლოკო არაფერი აქვსთ, არამედ დღესასწაულობენ დღესასწაულს დაუსრულებელს

— მართალი ყოფილა, ბხოლოდ ერთი ქვეყანა არა გვქონია.—საოცარის ზედმიწევნილობით ჯამი გაუკეთა ყოველსავე ნანახს ვოლპატმა.—ორი ქვეყანაა, ძმაო; ჩვენი ქვეყანა ორ ერთმანეთისათვის უცხო ქვეყნადაა დაყოფილი: წინ, სულ შორს, ფრონტზე;—ერთია, სადაც ყველაზე უბედურებს მოუყრია თავი, და მეორე—უკან, აქ, სადაც, თუ საკმე ბედნიერი იყო, სულ ერთათ შეგროვილა.

— რას იზამ?.. ალბათ ესენი საჭირონი არიან... ესენი საფუძველია... მერე...

— ვიცი; მაგრამ რაც უნდა იყოს, ასეთი ბედნიერები ძალიან ბევრნი არიან და თან მეტის-მეტად ბედნიერათაც ცხოვრობენ! მერე სულ ერთნი და იგივენი ცხოვრობენ ბედნიერათ...

— რას იზამ!—სთქვა ტირეტმა.

— სულერთია!—დაუმატა ბლერმა და უფრო მოსპრა აზრი.

— ამ ბრთ კვირაში შეიძლება მტერად გვაქციონ,— სთქვა დასასრულ ვოლპატმა.

წავედით, თავებ-ჩაქინდრულები.

XXIII.

სამუშაოზე

სანგრებს თანდათან აწვება მწუხრი. მთელის დღის განმავლობაში ახლოვდებოდა, უხილავი, როგორც ბედისწერა, და ახლა პირთამდე ამოავსო გრძელი თხრილები, პირშეუკვეღლი, როგორც ჭრილობა რამ უსაზღვრო.

თხრილის ფსკერზე დილიდან მოკიდებული ხანა ვლაპარაკობთ, ხანა ვსჭმთ, ხანა გვძინავს, ხანაცა ვსწერთ და დროს იმითი ვატარებთ. დამწუხრებისას ჩვენს სოროებში ფაცა-ფუცი შეიქნა. იქით-აქეთ მიმობნეული სოლდათები თავს ერთათ იყრიან. ამ დროს სამუშაოდ მიკლიავართ.

ვოლპატი და ტირეტი მომიახლოვდენ.

— ეს ერთი დღეც გავაჩანჩალეთ იმნაირივე, როგორც სხვა დღეები,—მეუბნება ვოლპატი და თან უყურებს სიბნელეს, კოპწებს რომ იკრავს.

შენც ლაპარაკობ რალა! ჩვენი დღე ჯერ არ გასულა,— უპასუხა ტირეტმა.

მწარე და ხანგრძლივმა გამოცდილებამ ასწავლა ტირეტს, რომ დღის გათავებამდე თუნდ რამდენიმე წამი აკლდეს, მაინც არ უნდა სთქვა, საღამო, ჩვენი საცოდავი საღამო დადგაო, თორემ თვალსა გვკრავს ვინმეო.

— აბა, მოგვრჩვდით!

ზლაზვნით და გონება-დაფანტულათ შეეუდექით ჩვენს ჩვეულებრივს მზადებას. თითოეულს ჩვენთაგანს მოაქვს თავისი თოკი, საპატრონეები, მათარა და ტომარა, რომელშიაც ერთი ნაჭერი პური დევს. ვოლპატი ჯერ ისევ ყბებს აქნევს,

ლოყები ებერება და იქით-აქეთ ატოკებს. პარადიზი ბუზღუნებს, კბილებს აღრჭიალებს და გალურჯებულ ცხვირს ისრესავს. ფუიადი თავისს თოფს ცოცხის ტარსავით მიათრევს. მარტოროს ჯერ დ:ხედა და მერე ჯიბეში ჩაიდო თავისი საცოდავი ცხვირსახოცი, გასვრილი და შეწებებული.

ცივა, ტინტლავს. ყველას გვაკანკალებს.

საითგანლაც ნირშეუცვლელის ხმით ლაპარაკი მოგვესმის.

— ორი ბარი, ერთი წერაქვი, ორი ბარი, ერთი წერაქვი...

სოლდათები რიგ-რიგათ ჰიდიან იარაღის საწყობისაკენ, ჯგუფდებიან შესავალთან და მერე ბრუნდებიან ბარ-წერაქვებით აღჭურვილები.

— ხომ ყველანი აქა ხართ? მარშ! —ბრძანებს კაპორალი.

ყველანი გამოვედით და გზას შევუდექით. წინისკენ მივდივართ, და რათ?—თვითონაც არ ვიცით. არაფერი ვიცით იმას გარდა, რომ ცა და დედამიწა ამ სიბნელეში შეერთდა და წარმოადგენს მთლიან უფსკრულს რასმე.

* * *

ჩამქრალ ვულკანივით გაშავებულ სანგრიდან გამოვედით და ღამის სიბნელეში დავადექით მინდორს. ნაცრისფერი მძიმე ღრუბლები, წყლით გაბერილი, ცას დაჰკიდებია. მინდორსაც ნაცრის ფერი ადევს; მიმქრალი სინათლე თუ-ღაა სადმე, ბალახი ტალახიანია და აქა-იქ გუბეებიცაა. ადგილ-ადგილ გამოშვერილია გაშიშვლებულ ხეების დაგრეხილი ტოტები.

გარშემო შორს ვირახა ვხედავთ, ამ ნოტიო ღრუბელთა შორის. არც სადმე ვიხედებით, ვიცქირებით მხოლოთ ძირს და ვუყურებთ ფეხებს, ტალახში რომ გვიცურდება.

— ტალახიც აგეთი უნდა, აი! —ვიძახით.

მინდორ-მინდორ რომ მივდივართ, წებოვან ცომსა ვზვლავთ, ეს ცომი ჯერ იხსნება და მერე ყოველ ფეხის გადგმას შემდეგ ისევ პირს შეიკრავს ხოლმე.

— შოკოლადის კრემია, ე ტიალი!.. მოკას კრემია!...

გზების ქვამოყრილ ნაწილებზე—წინანდელი გზები წაშლილია და ის ადგილები იმნაირათვე უნაყოფოა, როგორც მინდვრები,—რო მიედივართ, ქვებსა ეფშვნით, დაფშვნილი ქვები ტალახთან ერთათ დაჭედილ წაღების ლანჩებზე გვეკვრის და ღრჭიალი გააქვს.

— თითქო მოხალულ და ერბოწასმულ პურზე ვადგართ ფეხებსაო,—ვოხუნჯობთ.

ზოგან, ბორცვებზე, ქვეშიდან გამშრალი შავი ტალახია, დახეთქილი, როგორც ამას ხშირათა ეხედავთ სოფლის ჭებსგარშემო. ამ დახეთქილებში ყველგან გუბეებია, და მათი უს წორ-მასწორო ნაპირები თითქო ნაკუწ-ნაკუწად არის ქცეულიო.

ხუმარა სოლდათები, წამოსვლისას დასვენებულები და ხუმბრობის გუნებაზე რომ იყვნენ, გუბე რომ შეხვდებოდათ, იხვებივით ყივყივს იწყებდენ. მაგრამ ახლა იმათაც უკლეს ხუმბრობასა და სიცილსა. წვიმამ უმატა. გვესმის წვიმის ხმა. გარშემო სულ ჩამობნელდა; სიერცე როგორღაც ვიწროვდება, პირს იკრავს. გუბეებზე ცოტა-ცოტათი ჰკვდება მკრთალყვითელი ნაშთი მიწურულ დღისა.

* * *

დასავლეთის მხრიდან, თითქო ბურუსშიაო, წვიმას ქვეშ გამოჩნდა ბერების სილუეტები: მე-508 პოლკის ერთ-ერთი გუნდია, ბრეზენტ-წამოსხმულები. რო ჩავუარეთ, დავინახეთ მათი ნაცრისფერი, აცრეცილი სახეები, შავი ცხვირები ამ გაწუწულ დიდ მგლებისა. მერე თვალთაგან მოგვეფარნენ.

მინდორზე, საცა ჩვენ მიედივართ, ბალახია ამოსული, და აუარებელი თანტოლი კვლებია გაველებული. ეს კვლები ერთისა და იმავე მიმართულებით ჩაქყლეტილია ფეხებითა და ურმის თვლებითა, ზოგი მათგანი წინ მიდის, ზოგიც უკან.

ზედ ვეველებით პირღიადარჩენილ შემაერთებელ ხვრელებს. და ეს ყოველთვის ადვილი საქმე როდია: მისი ნაპი-

რები წებოვანია, ფეხი ზედ ადვილათ უცურდება კაცს და, გარდა ამისა, პიწა რომ ჩამოწვება, ესეც ფართოვდება. ამასთან ერთათ, დაღალულობა მხრებზე გვაწვება. რუხრუხით შემოგვხდება ხოლმე ურმები და ტალახს ცხვრპირში ვვაყრის. საარტილერიო წინა-მატარებლები პირდაპირ წყალს გვასხამს სახეში. საბარგო ავტომობილები ნამდვილ თვლებს გარდა რაღაც თხელ თვლების მსგავსს რასმე მიათრევენ; და ეს თვლები ნამდვილ თვლებზე ტრიალებენ და კოშტებს ისვრიან.

რაც უფრო ბნელდება, ეს ურმები და ცხენოსნების სილუეტები, მოფრიალე საწვიმრებითა და მხარზე თოფგადაგდებულები, რაღაც ფანტასტურ სახეს ღებულობენ მოქურუშებულ და ღრუბლებით დაფარულ ცის ფონზე. ერთ ადგილას ტყვიაწამლის ყუთებმა მოიყარა თავი. სანამ გავუვლიდეთ, სოლდათები გაჩერდენ და ერთ ალაგას ფეხებს აბაკუნებენ. გვესმის ურმის ღერძის ჭრიალი, მოჩხუბართა ხმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბრძანება და წვიმის შხაპუნი. ამ სიბნელეში დაფარულ გროვას ზემოთ ადის ორთქლი ცხენების გავიდან და ცხენოსანთა საწვიმრებიდან.

— ხაბარდა!

მარჯვნივ, მიწაზე რაღაცა გაშხლართულა. მწკრივია მკვდრებისა. როცა გავუვლით, ფეხებს ინსტინკტურათ ვარიდებთ,—მაგრამ თვალებით კი მაინც ვუყურებთ. ვხედავთ მალლა ამართულ ფეხსაცმლის ლანჩებს, გამოწეულ კისერს, ჩავარდნილ ლოყებს, ნახევრათ მოკუმშულ ხელებს, ჰაერში გაშვერილებს...

და ჩვენ-კი მივდივართ ფერმკრთალ და ფეხებით დაღარულ მინდვრებზე, ღრუბლების ნაწყვეტ-ნაწყვეტებით დაფარულ ცას ქვეშ. მივდივართ და თან ვეფლობით შავს სივრცეში და ასე გვეჩვენება, რომ ეს სივრცე გააპუპყიანა, გააბინძურა საცოდავ ადამიანთა დუნდგოს მიკარებამაო!

ჩავდივართ შემაერთებელ ხვრელებში.

ეს ხვრელები ჩვეულებრივზე დაბლაა. სანამ მივატანდეთ, დიდ მანძილზე უნდა შემოვუაროთ, ასე რომ არიერგარდში მდგომარე სოლდათები ასიოდ მეტრის მანძილზე ხედავენ მთელს გუნდს, რომელიც რკალივით უხვევს სიბნელეში. არიერგარდს სულ პატარა ბნელ კაცუნებივით ეჩვენება ამ გუნდის სოლდათები. ესენი ებღაუჭებიან დალმართს, იქითაქეთ ჰხრებზე თოფი და ბარი უდევსთ. თოფები და ბარები სიბნელეში ისე ბოსჩანს, გეგონებაო მლოცველები მიდიან და მაღლა ღუპყრიათ ხელებიო.

მეორე ხაზზე გათხრილ შემაერთებელ ხვრელებში ხალხია. მათის საფარის ზღურბლთან, სადაც აფარებულია ნაღირის ტყავები ან კიდევ ნაცრისფერი ტილო, სხედან სოლდათები, დაყუნცულები, ველურების მსგავსები და ჩვენ რალაც უსიცოცხლო და არაფრის გამომხატველ თვალებით გვიყურებენ, თითქო არაფერსა ხედავენო. ძირამდე დაშვებულ ტილოების ქვეშიდან გამოშვერილია ფეხები და მოისმის ხვრინვა.

— დასწყეველოს ღმერთმა! რითი ვერ მოვრჩით ამ საოხრე სიარულსა!—გაისმის ბუზღუნი მოსიარულეთა შორის.

უკანანი წინებს დაეჯაჯგურნენ.

— სდევ!

უნდა გავჩერდეთ, რომ სხვები გავატაროთ, ვეკვროთ სანგრის ლიპ გვერდებსა. გაიარა ტყვიისმრფქვეველთა გუნდმა თვისის უცნაურ ტვირთითა.

ბოლო არ ეღება. გაჩერებამ და დაუსრულებელმა ლოდინმა პირდაპირ სული ამოგვხადა. კუნთები გვეკუმშება. ერთ ალაგას ფეხების ბაკუნმა ძალა წაგვართვა.

ძლივას ავაყოლეთ ფეხები, რომ ისევ მიგვაჭეჭყეს კიდელს; ახლა ტელეფონისტებია გასატარებელი. ჩვენც უკანუკან ვიხევთ, თითქო ერთ ალაგას თავმოყრილი ფარა ვიყოთ.

რის გაჭირვებით ისევ დავიძარით ადგილიდან, მძიმეთ.

— ფრთხილათ! მავთულებია!

ტელეფონის მავთული სანგარს ზემოდან მიივართება და ზოგან გადასჭრის კიდეცა. როცა ქარგათ დაჭიმული არ არის, გამვლელ სოლდათების თოფები ზედ ედება. სოლდათები იგინებიან და წყევლიან ტელეფონისტებს,—ამ ოხრებმა თავისდღეში არ იცინან თავიანთის „კანაფების“ მიმაგრებაო.

რაც უფრო წინ მიდიან, მით უფრო ეხლართებათ დაკიდებულ მავთულებში თოფები. ამიტომ თოფების დუმები მაღლა უნდა დავიჭიროთ და ისე ვიაროთ, ბარგები ძირს დავხაროთ და მხრებიც მოვღუნოთ.

* * *

გუნდმა ერთბაშათ სიარულს უკლო. ჩვენ ძლივ-ძლივობით მივდივართ, ვეჯახუნებით წინ მიმავალთა. ცხადია, კოლონის თავი ძნელ გასავალს მიადგა.

ჩვენც მივედით იქ: ნიადაგის სილრმეს ერთ პირდაღებულ ნაპრალთან მივყევართ. დაფარული გასავალია. წინამავალნი უკვე გავიდენ და ამ თავისებურ, დაბალ კარებს ამოეფარენ.

— ნუ თუ ამ „ძეხვში“ უნდა შევძვრეთ?

ყველა ყოყმანობს და არ იცის, შეძვრეს თუ არა ამ ვიწრო და ბნელ ხვრელში. და ამით აიხსნება ისა, რომ ერთბაშათ ნაბიჯს უკლეს და უკანიდანაც არიერგარდიც მოგვაწვა.

ამ დახურულ გასავალში პირველი ნაბიჯი გადავსდგით თუ არა, უკუმ სიბნელეში გავეხვიენით და გვერდში მდგომთაც-კი ვერა ვხედავთ. ცხვირი გაგვევსო აშხორებულ სარდაფისა და ჭაობის სუნითა. ხვრელის ჭერში აქა-იქ ხოლებივით ჩამოდის უფერული სინათლე. ფიცრების არეები და ნახეთქებია. ზოგან წყალი ჩამოდის თქრიალით და თუმცა მეტათ ვფრთხილობთ, მაგრამ ვერ ავცდებით, ძირს დაჩეხილ ხის ნაპრებს ფეხი არ წამოვკრათ ხოლმე. გვერდებიდანაც მსხვილ ფიცრის ბიწკინტებს ვეჯახუნებით ხოლმე.

ჰაერი ამ დაუსრულებელ, დახურულ გასავალში ყრუდ გუგუნებს და ზანზარებს: პროჟექტორის მარქანაა რომ მუშაობს და, საცაა, გვერდთ გაეცვლით.

მეოთხედ საათის განმავლობაში ფათურით სიარულს შემდეგ, ვილაცა მოიქანცა ნოტიოსა, სიბნელისა და დაუსრულებელ ფორხილისაგან და ბუზღუნებს:

— ჯანდაბას მაგის თავი და ტანი, არ შეიძლია, უნდა გავანათო!!.

ელექტრონის ლამპამ თვისის თვალისმომჭრელ სინათლით გაანათა და მაშინათვე გაისმა სერჟანტის ყვირილი:

— თქვე შეჩვენებულებო, რომელი ოხერია, მანდ რომ ანათებს? ხომ არ გაგიჟდი? შე ქეციანო, როგორ არ გესმის, რომ ჰვრიტიმალებიდან შეუძლიათ სინათლე დაინახონ?

ელექტრონის ფანარმა ერთწამიერათ გაანათა ბნელი, ნესტიანი კედლები და ისევ ჩაქრა.

— რა ფეხები უნდა დაინახონ აქ!—ბუზღუნებს ვილაცა. —პირველ ხაზზე ხომ არა ვართ, რომ დაგვინახონ!..

— მედავება კიდეცა, ე მუდრეგი!—შეუტია სერჟანტმა.

სერჟანტი მიჰყვება მწკრივს, ჩვენ კი ვგრძნობთ, რომ თან უკან იხედება, არავინ გაანათოს ლამპაო და ბუზღუნებს:

— ვირის თავი! დოღლაპია ოხერი!..

ერთბაშათ ხელ-ახლა დაიღრიალა:

— ეს ვილა ოხერი წევს? თქვე ოხრებო, თქვენა...

უნდა გაჩერდეს, მაგრამ რამდენს არ ეცადა, რამდენს არ ებღაუჭა კედლებს, ადამიანთა ტალღამ თან გაითრია და მისი ლანძღვა-გინებაც მისდაუნებურათ მისწყდა. ამასობაში პაპიროსიც, რომელმაც გააბრაზა, ჩუმათ ჩაქრა.

*
* *

ნაწყვეტ-ნაწყვეტათ კაკუნი მანქანისა თანდათან იზრდება და სითბოში გვახვევს. რაც უფრო წინ მივიწევთ, გასაღლულის შეკუმშული ჰერი უფრო და უფრო თრთის. მალე მანქანის ხვნეშამ ყურები გამოგვიპყდა და მთელის ტანით გვა-

ზანზარებს. სიცხემ იმატა. თითქო უზარმაზარი გველეშაპი რამ შიგ პირისახეში გვიბერავს სულსაო. ამ ჩაბარხულ ხვრელის გზით ჩავედით ერთ ალაგას, საცა ჯოჯოხეთის მსგავსი რამ უცნაური ფაცა-ფუცია. წითელ-მოშავო სახეები ხვრელის ბნელ კედლებს ეცემა და ზედვე აღიბეჭდება ჩვენი ლანდები.

რუხრუხი თანდათან იზრდება, ცხელი ქარი გვიბერავს, სინათლე თვალებს გვიბრმავებს და ამასობაში ვუახლოვდებით ქურას. ყველას სმენა წაგვეოთვა. თითქო პოტორი ტორმოზგაფუქებულ მოტოციკლეტივით ჩვენსკენ გამოექანა ამ ხვრელში და თვისის ლამპებით ჩვენსკენ მოჰქრის თავბრუდამხვევის სისწრაფით და, საცაა, უნდა გაგვიტანოსო.

ნახევართ დაბრმავებულებმა, დამწვრებმა გავუარეთ გავარვარებულ ქურას და შაჭს პოტორს; მისი ბოქობლები გრიგალივითა გუგუნებს. ერთმანერთის მოძრაობას ძლივასღა ვხედავთ. თვალებსა ვხუჭავთ, სული გვიგუბდება ამ გახურებულ და მოგიზგიზე სულთქმის მიკარებაზე.

შემდეგ, ხმაურობა და სიცხე უკანა გაჩერება და თანდათან სუსტდება... ჩვენი მეზობელი ულვაშებში პუზღუნებს:

— და ეს მუდრეგი კიდევ იძახდა, ლამპა ნუ იქნებაო, დაინახავენო!

აჰა, თავისუფალ ჰაერზე გამოვედით! ცა ძალზე მუქლურჯია, თითქმის მიწისავე ფერი გადაჰკრავს. წვიმა უსაშველოთ ასხამს. ამ ლამიან ადგილებზე ძლივას მივაბიჯებთ ფეხებსა. წაღები პირთამდე იფლობა ტალახში და რამდენი შრომა გვჭირია, დაღლილ-დაქანცულებს და მოწყვეტილებს, რომ უკანვე ამოვათრიოთ ხოლმე. თვალთან თითის მიტანა გვიჭირდება, ისე ბნელა. დაეინახეთ მზოლოთ, ხვრელიდან გამოსვლისას, დახერგილი კოჭები გაფართოებულ სანგრის ნაპირას: დაქცეულ საფარისაა.

ერთმა პროექტორმა ამ დროს ჩვენს ზემოდან თავისი სახსრიანი და ფეერიული დიდი მკლავი გააჩერა და სივრცე-

ში იქით-აქეთ მიმოავლო. და დავინახეთ, რომ უწესრიგოთ დაყრილ კოპებსა და დამსხვრეულ ბიძგებ შორის მკვდრებია დაყრილი. ჩემს გვერდით ერთის თავი სხეულთან ბეწვით იყო გადამბმული და ზურგზე ეკიდა: ლოყებზე ტალახი და აჭრილი სისხლი შეხმობია. მეორე ერთს სარს დაბლაჭებია და ნახევრადაა ჩაკეცილი. მესამე რკალივითა გდია, ყუმბარას ძიქვა შემოუხევია და მოუჩანს მუცელი და წელი. ხოლო ზედ გზაზე ერთსაც თავისი ცალი ხელი დაუგდია. ამ ადგილას გავლა მხოლოთ ღამით შეიძლება, ამიტომ რომ მიწა ჩამოწოლილა, სანგრის პირი ამოუვსია და დღისით კაცი ვერ მიუდგება. ასე რომ ამ ხელს ყველანი ფეხებს ვადგამთ. პროჟექტორის სინათლეზე გარკვევით დავინახე,—მთლათ გაბრტყელებულა და თეზის ფარფლებს დამსგავსებია.

წვიმა კოკიპირულათ ასხამს. მის ხმაურობაში არაფერი ისმის. საშინელმა სასოწარკვეთილებამ მოგვიცვა. დაუსველებელი არაფერი შეგვრჩენია. მივდივართ თავახდილ შემაერთებელ გასასვლელებით. ღამის სიბნელე და ჭარიშხალი მძვინვარებს და ჰფარავს აქ, ტივის მსგავს ალაგზე, დაყრილ მკვდრებს.

ქარმა ზედვე შეგვაყინა სახეზე ოფლის წვეთები. შუაღამეს გადასულიე. ექვს საათზე მეტია, რაც უფრო და უფრო დამძიმებულ ტალახში მოვსტოპავთ.

სწორეთ ამ წუთას პარიზის თეატრები სავსეა ჰაღების სინათლითი. მორთულ-მოკაზმული ქალი და კაცი ირევა დარბაზებში და შიგ თბილა, ყველა განცხრომითაა. საზეიმოთ განწყობილ ხალხს სიამოვნებისაგან სახე უბრწყინავს, იღიმება, იცინის, ტაშს უკრავს, ნეტარობს და ხარობს მსახიობთა დახვეწილის თამაშითა, ან აწყდებამ დიდრულათ და საუკეთო მორთულ მუსიკ-ჰოლებს, სადაც სამხედრო .აპოთეოზები იმართება.

— დასწყევლოს ღმერთმა, როდის მივალთ? როდის-ღა მოელება ბოლო?

ამ ხერელის ყველა კუთხიდან მოისმის ეს სიტყვები; გულიდან ამოხდება ამ ხალხს, რომელსაც თან მიაქვს თოფი, ბარი, წერაქვი ამ თავსხმა წვიმაში. მიედიევართ და მიედიევართ. ბოლო კი აღარ უჩანს. დაღლილობისაგან ხან ერთს გვერდს მივეხეთქებით, ხან მეორეს: დამძიმებულნი, გაწუწულნი მხრებით ვეჯაჯგურებით ჩვენსებ დასველებულსავე მიწას.

— სდეგ!

— მოვედით?

— როგორ არა, მოსულვართ!...

ერთ წამს უკან ყველამ უკან დაიხია, და საერთო ჩოჩქოლი გაისმა:

— გზა დაგვებნა!

ამ სინამდვილემ ყველა არიე-დარია: ხვრელთა რომელიღაც შტოსთან გზა დაგვკარქვია და ეხლა ეშმაკიც ვერ გააგნებს, საით უნდა წავიდეთ.

უბედურება კიდევ ის არის, რომ ვილამაც დაიძახა და ყველას პირიდან პირზე გადაურბინა ამ ამბავმა: ჩვენს უკან ერთი გუნდი მოდის, მოწინავე პოზიციები უნდა დაიჭიროსო. ისე გამოდის, რომ ჩვენ მაგათთვის გზა შეგვიკრავს. ასე რომ არც წინ შეეძლებათ წასვლა და აღარც უკან და შიგ მოემწყვდევა ყველა.

მეტი გზა არ არის, რადაც უნდა დაგვიჯღეს, ისევ უნდა დაეუბრუნდეთ იმ სანგარს, რომ დაგვეკარქა და, როგორც ეტყობა, ჩვენს მარცხნივ რომ უნდა იყოს. ერთ-ერთ შენათხარის საშუალებით თუ ღა შეგვეძლება მანამდე მისვლა. ღანღალა-გამოლეულ ხალხს ნერვები საშინლათ აეშალა, რიგი ხელებს აქნევს, რიგი იგინება. ერთხანს ფეხებს მიათრევენ როგორმე, მერე ხელსაწყოსა ჰყრიან და ალაგიდან ფეხს არ იცვლიან. ზოგან კონებადა ჰყრიან ხელსაწყოს— ამას მაშხალების სინათლეზედა ვხედავთ. ჯარი ელოდება რაღასაც, გაფანტული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ულმობელ წვიმას ქვეშ.

ოფიცერი, წინ რომ მიგვიძღოდა და გზა რომ აგვირია, დაგვეწია, გაარღვია სოლდათები და დაუწყო ძებნა გამოსავალ გზას, გვერდებიდან. დავინახეთ ერთი შემაერთებელი ხერელი, ვიწრო და პატარა.

— აი, აქეთ უნდა წავიდეთ, აქედან სწორ გზაზე გავალთ. აბა, ბიქებო, გამომყევით!

ბუზღუნით ყველამ წამოიკიდა თავისი ტვირთი... მაგრამ საშინელი გინება და წყევლა ასტეხეს, ვინც ამ პატარა შენათხარში შეჰყო თავი.

— ბიჭო, აქ ფეხისალაგი ყოფილა! დასწყევლოს ღმერთმა!

ისეთი საშინელი სუნი გვეცა, რომ კინაღამ დავიხრჩვით. ცხადი იყო, რომ მარტო ფეხისალაგიდან თუ მოგვედინებოდა ასეთი სუნი. ვინც შევიდა, ბორძიკობს, ჩერდება და წინ წასვლაზე უარს ამბობს. ერთიმეორეს ვაწვებით და ამ ფეხისალაგების ზღურბლს იქით ალარ მივდიოვართ.

— ისევ მინდორ-მინდორ ვიარო, მირჩევნია, — იძახის ვილაცა.

მაგრამ სწორეთ ამ დროს თხრილის ზემოდან ყველა მხრიდან იელვა. ისე გაანათა ცა, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე ამ სანახაობამ, რომ ამ სიტყვების მთქმელი გიჟად ჩათვალეს და მხარი არავინ დაუჭირა.

გვინდა თუ არა, ამ გზით უნდა გავიაროთ, რათგან უკან ვეღარსად წავალთ.

— შესტოპეთ მძღნარში! — იძახის სულ წინ მდგომი.

თავს ძალა დავატანეთ და შევედით. ისე ყარს, რომ სუნთქვა შეუძლებელია. პირდაპირ განავალში მივაჰყაპუნებთ ფეხებს.

ტყვია ზუზუნით მოდის.

— თავები დაღუნეთ!

რათგან თხრილი მეტად დაბალია, იძულებულნი ვართ ძალიან მოვიხაროთ წელში, რომ ტყვია არ მოგვხვდეს, და

ასე ვიაროთ ქალალდების ნახევებით მოყრილ განავალში.

ბოლოს, ისევ იმ თხრილში მოვხვდით, შეცთომით თავი რომ დავანებეთ. დავიწყეთ ისევ სიარული. მივდივართ და მივდივართ, მაგრამ დანიშნულ ადგილას მისვლას მაინც ვეღარაფერი ეშველა.

სანგრის ძირას მთელი ნაკადული მოდის, თან მოაქვს განავალი და შიგ ფეხებს მივაცურებთ. მივყიალობთ, ჩუმათ, თავგამოლაყებულები, გამოშტერებულები. დაღალვისაგან თავბრუ გვეხვევა.

არტილერიამ სროლას უფრო და უფრო მოუხშირა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მთელმა სამყარომ დაიწყო ზანზარი. ყველა მხრიდან გამოსროლილი ყუმბარები და მათი გასკდომა უცბათ ბუნდ ზოლებად ეფინება მოქურუშებულ ცას ჩვენს ზემოდან. მერე ისე მოუხშირეს სროლას, რომ განუწყვეტელი სინათლე დადგა. გაგრძელებულ ჯაჭვივით მისდევს გრგვინვა. და ჩვენ ერთმანერთის გარჩევა შეგვიძლია. ვხედავთ, კასკებიდან რომ წყალი ჩამოგვრეცხს, თითქო წყლიდან ახლათ ამოყვანილი თევზები ვიყოთო; ვხედავთ დასველებულ ტყავს, ბარებს, შავსა და ბრჭყვიალას; გადაუღებელ წვიმის მოთეთრო წვეთებსაც კი ვხედავთ. პირველადა ვხედავ ასეთს სურათს: ნამდვილი ხელოვნური მთვარიანი ღამეა, ზარბაზნების სროლისაგან წარმოშობილი.

ამავე დროს აუშვეს მაშხალები როგორც ჩვენის, ისე მტრების პოზიციებიდან; ეს მაშხალები ვარსკვლავების ჯგუფებად ერთდებიან; წამი იყო, როცა პარაპეტებიდან დავინახეთ, როგორ გაკეთდა ცაზე დიდი დათვის ვარსკვლავები და გაგვინათა ჩვენი გზა საშინელი.

* * *

ხელახლა დაგვეკარგა გზა. ახლა მოშინავე პოზიციებთან უნდა ვიყოთ. მაგრამ ნიადაგი ჩაწეულია, პატარა ვაკეხვ ჩნდება და მის გვერდებზე რაღაც ლანდები მიძვრება.

ჯერ ერთის გზით ავუარეთ შენათხარს, მერე მეორე გზით ჩამოვუარეთ. ზარბაზნებს ზემოდან დავინახეთ ორი სანიტარი. დატვირთული საკაცე მიჰქონდათ და ცდილობდენ გაეარნათ სანგარზე.

ოფიცერი, რომელმაც ის ადგილი მაინც უნდა იცოდეს, საცა მუშათა გუნდი მიჰყავს, სანიტრებს ეკითხება:

— ახალი გასავალი სად არის, ხომ არ იცით?

— არ ვიცით.

მაშინ ერთ-ერთი მუშა-სოლდათი ეკითხება:

— ბოშებისაგან რა მანძილზეა?.

პასუხს არ იძლევიან. თავიანთვის რაღასაც ლაპარაკობენ.

— უნდა გავჩერდე,—სთქვა წინ მიმავალმა სანიტარმა. —ძალზე დავიღალე.

— წამოდი რაღა, შე ოხერო!—ეუბნება უკანა, თან ტალახსა ზელავს და თან საკაცეზე უკიდია ხელი.—ამ ტლაპოში ხომ არ უნდა ჩავიხრჩოთ!..

საკაცე პარაპეტზე დადგეს, სანგრის თავზე. ქვევიდან მკვდრის ფეხებსა ვხედავთ: ზევიდან წვიმა დასდის და შავათ ჩამორეცხს.

— დაჭრილი ხომ არ არის?—ეკითხებიან ქვევიდან.

— არა, მკვდარია,—ბუტბუტებს მესაკაცე,—სულ უკანასკნელი, ოთხმოც კილოს იწონის. დაჭრილის გადაყვანა კიდევ ადვილია,—ეს ორი დღე-ღამეა, განუწყვეტლივ გადაგვყავს,—მაგრამ მკვდრების გადათრევა პირდაპირ უბედურებაა. გავწყდით, მეტი აღარა ვართ კაცი.

მესაკაცემ სანგრის ნაპირიდან ცალი ფეხი გადაღმა გადააბიჯა და თავს ძლივას იმაგრებდა, ისე ასწია საკაცესა, მეორე მხარეზე გადასატანად; თან ამხანაგს უძახის, მომეშველეო.

ცოტა მოშორებით ოფიცერი დგას, ყაბალახ-მოხეული. ხელი პირთან მიიტანა, და დავინახეთ, მკლავზე სირმები რომ ეკეთა.

იქნება ამან მაინც გვიჩვენოს გზა... მაგრამ გზის ჩვენების მაგიერათ გვეუბნება: ჩემი ბატარეია დაიკარქე და იმას დავეძებო.

რა საჭიროა, თავისდღეში ვერ მივალთ!

მაინც მივედით.

ერთ ნახშირიან მინდორთან მივედით, აქა-იქ სარებია ჩარჩობილი; ავბობღდით და იქით-აქეთ დავიფანტენით ჩუმათ. აი, აქ იყო, რომ მოვდიოდით.

დაწყობაა ძნელი. ოთხჯერ წინ წავიწიეთ და ოთხჯერვე უკან დავიხიეთ, რომ გუნდი კარგათ გამწკრივებულიყო ახლათ გასათხრელ გასავლის სიგანეზე და თანასწორი მანძილი დარჩენილიყო წერაქვით მომუშავეთა და ბარით მთხრელთა შორის.

— სამი ნაბიჯი წინ გადასდგით... არა, ბევრია. ერთი ნაბიჯი უკან. ხომ არ დაყრუვდით, ერთი ნაბიჯი უკან-მეთქი?... სდეგ!... ასე!...

სამუშაოზე ოფიცერმა და ერთმა საპიორმა დაგვაყენა, რომელიც ხელათ გაჩნდა საითგანღაც. ფაცა-ფუცში არიან, მწკრივებს დაურბენენ, სათითაოთ ყოველ სოლდათს ჩურჩულით გადასცემენ ბრძანებას, ზოგს ხელსაც მოჰკიდებენ, ასე გააკეთეო! მუშაობა წესიერათ და მწყობრათ დავიწყეთ, მაგრამ რაკი სოლდათები დაღლილები და ცუდ გუნებაზე ვიყავით, თან სველი მიწაც ცუდი სათხრელი იყო, ავირიენით და მუშაობას ვაგიერ ერთი-მეორეს ვეკაკვურებით.

— მოწინავე პოზიციების პირდაპირა ვართ,—ჩაილაპარაკა ვილამაც ჩემს გვერდით.

— არა,—ამბობენ სხვები,—სწორეთ უკანა ვართ.

არაფერი ვიცით, სადა ვართ. წვიმა ისევ მოდის, თუმცა სიარულის დროს რომ ასხამდა, ისე არ ასხამს. მაგრამ წვიმის დარდი ვისა აქვს! შეგვიძლია მიწაზე დავწვეთ. ისე კარგათა ვგრძნობთ თავს, რბილ მიწაზე გართხმულები, მუხლებს კოტა ქარი რომ ამოვაღებინეთ. სახეზე წყალი გვიშხაპუნებს, ხორცის კანამდე გვწუწავს, ჩვენს სარეცელს დასველებულ

ღრუბელს ამსგავსებს, მაგრამ ამას არც-კი ვუყურებთ.

მაგრამ ერთის წუთით-ღა თუ დაგვასვენეს. გეყოფათ დასვენებაო. წელებზე ფეხი უნდა დაიდგათ და იმუშაოთო. დილის ორი საათია: ოთხს საათს უკან სინათლე იმდენად მოერევა ღამეს, რომ აქ გაჩერება აღარ შეგვეძლება. ერთი წუთი რა არის, ერთი წუთიც არ უნდა დავკარგოთ.

— თითოეულმა,—გვიბრძანებენ,—უნდა გასთხაროთ ერთი მეტრ-ნახევარი სიგძეზე, 70 სანტიმეტრი სიგანეზე და 80 სანტიმეტრი სიღრმეზე. მაშასადამე, ყოველმა ჯგუფმა 4 მეტრი და ნახევარი უნდა გათხაროს. გირჩევთ, ცოტა ჩქარა გააკეთოთ: რაც უფრო მალე მორჩებით, უკეთესია, მალევე დაბრუნდებით უკან.

ვიცით, რა ფასიცა აქვს მათს დაპირებას და წაქეზებას. გუნდის ცხოვრებაში ჯერ არავის ახსოვს, რომ მიწის თხრის სამუშაოდან მანამდე გავეშვეთ, სანამ სამუშაოს საათი არ შესრულდებოდა. და სამუშაოს მხოლოთ მაშინ ვანებებდით თავს, როცა ხედავდენ, რომ საშიშო იყო გაჩერება, მტერს შეეძლო ჩვენი დანახვა. და თუ მტერი დაგვინახავდა, ყუმბარებით ამასაც დაგვინგრევდენ, რაც მთელ ღამეში გაგვეკეთებინა.

ვილამაც წაიბუტბუტა:

— ვიცით, შვილოსან, თქვენი დაპირება... თქვენთვის შეინახეთ.

მაგრამ ყველანი, ძილისგუდა სოლდათებს გარდა, რომელთაც ახლავე წამოაგდებენ და ჯანს გააგდებინებენ მუშაობითა, მხნეთ შევუდექით მუშაობას.

ვეძგერენით ახალ ხაზის მიწის პირველ ფენს: ბალახის ფესვებიანი მიწა შეგვხდა. ადვილათ და ჩქარა ვთხრით, როგორც ყველგან, საცა მიწა ყომირია, და ჩვენცა გვგონია, რომ სამუშაოს ჩქარა მოვრჩებით და ხვრელში დაძინება გვეღირსება. ეს იმედი გვამხნევებს და ძალასა გვმატებს.

მაგრამ არ ვიცი, ბარების ხმაურობა იყო მიზეზი, არ ვიცი—ზოგიერთის ხმამაღლა ლაპარაკი, თუმცა ნაბრძანები გვაქვს ხმა არ ამოვიღოთ, მაშხალა ავარდა ჩვენს მარჯვნივ და გრძელი ხაზი გაავლო სინათლისა.

— დაწექით!

ყველანი მიწას გავეკარით. მაშხალა ტორტმანებს და თავისს უშველებელ სიყვითლეს იქით-აქეთ აქანებს და ჰფენს მკვდრებით დაფარულ მინდვრის მსგავს ველსა.

მაშხალა რომ ჩაქრა, ჯერ ცოტა-ცოტათ, მერე ყველა ხმრიოგან სოლდათებმა თავები წავოჰყვეს და უფრო ფრთხილათ შეუდგნენ მუშაობას.

მალე, მეორე მაშხალამ გაისროლა თავისი დაოქერილი ტოტი. მის დანახვაზე სანგრის მთხრელები ისევ დაწვნენ და გაინაბნენ. ამას მეორე მოჰყვა, მერე მესამე.

ჩვენს გარშემო ტყვიები ჰაერს აპობს. ვილამაც დაიძახა:

— კაცი დაჭრა!

ამხანაგებმა ხელი გაუყარეს და გაატარეს; ისე ეტყობა, სხვებიც არიან დაჭრილნი. ვუყურებთ, ერთი-მეორეს ჯგუფ-ჯგუფათ როგორ მიჰყავსთ დაჭრილები.

აქ გაჩერება სჭირს. რაც შეგვიძლია, ვილუნებით, თითქმის დაყუნცულები ვართ. ზოგი მუხლებითა ბობღავს მიწაზე, ზოგი მიწაზე გართხმული მუშაობს, წვალობს, ხან იქით გადაბრუნდება, ხან აქეთ, თითქო მაჯლუჯუნა აწვებათო. მიწის ერთი პირი კარგი სათხრელი იყო, მაგრამ მერე წებოიანი გახდა, ძნელი სათხრელია, ზედ ეკვრის ბარს, როგორც კევი, ყოველ ამოღებაზე ბარის პირს ხელით უნდა მოვაცალოთ მიწის გუნდები.

ცოტ-ცოტათი ჩნდება ამოყრილ მიწის ბორცვის მსგავსები, და ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს თავისი ჩანთა და დახეული მაზარა გადაიფაროს ზევიდანაც, რომ როცა ტყვიის წვიმა წამოვა, ამ უბადრუკ საფარის ჩანასახს უკან ამოეფარნენ...

ხვითქი გადაგვდის მუშაობის დროს; ერთი ბეწო რომ შევჩერდეთ, სიცივე ლურსმანივით დაგვივლის ხოლმე ტანში, ამიტომ დაღალვას არ უნდა შევუშინდეთ და ისევ გაუწყნარებლივ ვთხაროთ მიწა.

ეჰ, გათავებას ბედნიერი მოესწრება!... მიწა უფრო და უფრო ძნელი სათხრელი ხდება. თითქო ვილამაც თვალი გვკრა და ხელ-ფეხი შეგვეკრაო. მაშხალები მოსვენებას არ გვაძლევენ, უკანა გვდევენ, დიდისხნით არ გვაჩერებენ სამუშაოზე; და როცა ერთი მაშხალა თვისის სინათლით გაგვაშუშებს, მერე უფრო გაშმაგებით უნდა შეუდგეთ თხრას.. მძიმეთ, რის წვალებით ვალრმავებთ მიწას.

ნიადაგი გარბილდა, ბარის ამოღებული მიწა ჟონავს, წურწური გასდის და ბარს ჰყაფა-ჰყუპითა შორდება. ვილამაც წამოიძახა:

— წყალი გამოჩნდა!

ყველამ განიმეორა, წყალიო.

წყალმა იხეთქა. თხრა არ შეიძლება.

— მელუსონის გუნდმა უფრო ღრმათ გასთხარა და იქაც გამოჩნდა წყალი. ჰა ამოდის.

— ტყუილათ ვმუშაობთ!

გავჩერდით, თავგზადაკარკულები. ამ შუალამეში გვესმის, როგორი ჰყრიან ბარებსა და წერაქვებს, თითქო ცარიელი თოფები რამ არისო. უნტერ-ოფიცრები ფათურით დაეძებენ ოფიცერს, ჰკითხონ, რა ვქნათო. ზოგან პასუხს აღარც კი დაუცადეს სოლდათებმა, პირდაპირ სიამით დაეყარნენ მიწაზე, თუმცა წვიმა ჰკოცნისთ და შუქმფენარე მაშხალებიც თავს ევლებიან.

* * *

თითქმის ამ დროს, რამდენადაც მაგონდება, ზარბაზნების სროლაც დაიწყეს.

პირველი ყუმბარა ისე ჰაის ჰექაქუხილით წამოვიდა, თითქო ჰაერი შუაზე გახიაო. პირველს სხვები მიჰყვა. პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. გამსკდარი მიწა აჰერში აიტაცა და ცეცხლის ალით შემოსა.

ცხადია, მტერმა მაშხალების საშუალებით დაგვინახა და პირდაპირ ნიშანში ამოგვიღო...

სოლდათები ახლახან ამონათხარ თხრილებს მისცვივდენ, უკვე წყლით ამოვსებულებს. შიგ ჩაძვრნენ და ზემოდანაც ბარები დაიფარეს. მარჯვნივ, მარცხნივ, წინიდან, უკანიდან ისე ახლოს სკდებოდა ყუმბარები, რომ ყოველი მათგანი გვაჯანჯღარებდა თხრილში ჩაწოლილებს. მალე მთელი მიწისძვრა შეიქნა. ყუმბარის ნატეხების სტვენითა და შიშხინით გაივსო მთელი სივრცე და ყველა ჩვენს თავს ზემოდან გროვდებოდა. ყველას ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე აზრი დაგვებადა:

— ახლა კი გამოვ-და ჩვენი წირვა!

ჩემს მახლობლათ, მარჯვნივ, ვილაც წამოდგა და დაიყვირა:

— აქედან გავიქცეთ.

დაწოლილები ნახევრათ წამოდგნენ ტალახის სარეცლიდან. ტალახი ჩამოსდიოდათ მთელ ტანზე. ყველამ ერთხმათ დაიძახა:

— აქედან წავიდეთ!

დაჩოქილები, ფოფხვით წამოვედით გასაქცევად.

— გასწით! აბა, ჰა, გასწით!

მაგრამ გრძელი რაზმი არ ინძრეოდა. უკანიდან საშინლათ უყვიროდენ, მაგრამ ამ ყვირილითაც ვერაფერს ხდებოდენ. უკან მდგომნი რაკი არ იძვროდენ, წინანიც გასვლას ვერ ახერხებდენ.

დაჩრილები ამხანაგების თავზე გადადიოდენ, თითქო რამე ხერგზე გადადიანო, და სისხლითა სვრიდენ.

ბოლოს, როგორც იყო, გავიგეთ, რაც გვაკავებდა.

— თხრილის ბოლოს წყალი დაგუბებულა!

ამ ამბავმა თავზარი დაგვცა ყველას. ღმუიან, უიმედოთ ხელებს იქნევენ, სიმწარით თავზე თმას იგლეჯენ. ერთს ალაგას ვაწყდებით, ვყვირით. მართალია, თხრილი ძალზე დაბალი იყო, მაგრამ მაინც ვერავინა ჰბედავდა, იქიდან მიწის ზედაპირზე ამოსულიყო და იქვე მახლობლათ მდებარე სანგარში გადასულიყო... დაჭრილებს ნება მისცეს ცოცხლებზე გადასულიყვნენ, მაგრამ იმათთვისაც მეტად საშიშო იყო, ამიტომ რომ თავს ამოჰყოფდენ თუ არა, ტყვია არ ინდობდა და წუთისოფელს ასალმებდა.

ნამდვილი ცეცხლის თავსხმა იყო, წვიმასთან შერეული. რაღაც ზესთაბუნებრივი რუხრუხი თავით-ფეხამდე გვათახთახებდა. უუსაშინელესი და უუსაზიზღრესი სიკვდილი ჩამოდიოდა, ხტოდა და ჩვენს გარშემო სინათლის ტალღებში უჯრყუმელავებდა. მისს ყოველ განათებაზე უველამხრით ვაცეცებდით თვალებსა. ჩვენი სხეული საშინელ მსხვერპლისათვის ემზადებოდა!... ჩვენმა აღელვებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მხოლოთ მაშინ მოგვაგონდა, რომ ასეთი რამ წინადაც არაერთხელ გამოგვიცდია. ზარბაზნების სროლის დროს-და გაგონდება კაცს საზოვადოთ ცხოვლათ, რაც წინათ განგიცდია.

ახალ-ახალი დაჭრილები განუწყვეტლივ მიბობლავდენ და გაურბოდენ იქაურობას. მათი დანახვა თავზარსა გვცემდა და მათს შეხებაზე გვაჟრჟოლებდა, რათგან ყველა მხრიდან გაიძახოდენ:

— აქედან ცოცხლები ვერ გავალთ, ვერავინ გადარჩება!..

ერთბაშათ ეს დაგროვილი ხალხი, თითქო გაირღვაო; ცხადი იყო, რაზმის თავი დაიძრა, გზა იპოვნა გასავლელი.

ჯერ გავფოფხდით, მერე გავიქეცით მოკაკულები, ტალახსა და წყალში, ყუმბარის გასკდომაზე სინათლისაგან რომ კრთოდა; ვბორძიკობთ, ვეცემით, როგორც მძიმე რამ ყუმბარა, მიწის პირას გატყორცნილი.

როგორც იყო, მივატანეთ თხრილის ნაპირს, რომლის თხრაც, ის-ის იყო, დავიწყეთ.

— აღარც სანგარია და აღარც არაფერი!

მართლაც-და იმ მინდორზე, საცა ჩვენ მიწის თხრა დავიწყეთ, საფარი არავითარი სჩანდა. ველი-ღა სჩანდა, უშველებელი უდაბნო, გაშმაგებული, თვით მაშხალების გაელვებაზედაც კი. სანგარი აქედან შორს არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ რომ აქეთ ჩვენ იმას გამოვყევით და ისე წამოვედით. მაგრამ საქმე ისაა, რა მხრით უნდა წავიდეთ, რომ ვიპოვოთ?

წვიმამ უფრო მოუხშირა. ერთს წამს გავჩერდით. იმედგადაწყვეტილებმა არ ვიცით, რა ექნათ, უცნობ ადგილას თავმოყრილთ მეხნაკრაჭებივით, მერე გავიფანტენით. ზოგი მარცხნივ გაიქცა, ზოგი მარჯვნივ, ზოგი წინ, პირდაპირ, ერთკიკნები. ერთის წამის განმავლობაში ალმოკიდებულ კვამლისა და წვიმის რიდემ ერთმანეთს დაგვაშორა.

ზარბაზნის სროლამ იკლო. უმთავრესათ იმ ადგილს ესროდენ გაცხარებით, საცა ჩვენ ვიყავით. მაგრამ ყოველწამს იყო მოსალოდნელი ჩვენკენაც გამოეშვათ ყუმბარები, ყველა-მხრით გზა შეეკრათ და წინ გადაგვლობებოდენ.

წვიმა კოკაპირულლათ ასხამდა. ნამდვილი წარღვნა იყო. ისეთი სქელი ჯანყი ჩამოწვა, რომ მაშხალები არემარეს პატარ-პატარა ნაგლეჯებს-ღა ანათებდა. და ამ არემარეში მიდი-მოდიოდენ, წრეს აელებდენ ადამიანთა სუსტი ლანდები.

მეძნელება დანამდვილებითა სთქვა, რამდენს ხანს დავეხეტებოდი სოლდათების ერთ მცირე ჯგუფთან ერთათ, რომელსაც არ მინდოდა ჩამოვშორებოდი. ღრანტეებით მივდიოდით. ჩვენი თვალები ამაოთ დაეძებდა სიბნელეში, ფათურით, მხსნელ სანგრებს, სადმე რომ უნდა ყოფილიყო, როგორც ზღვის უბეში ნავთსაყუდელი რამ.

ბოლოს, როგორც იყო, გულზე გვეფონა: გაისმა ძახილი, და ამ ძახილმა დაჰფარა ყუმბარების რუხრუხი და სტიქიონის ბუბაქრობაცა:

— სანგარი!

მაგრამ მაგარი ის იყო, რომ ამ სანგრის ზემოდან მიწანაყარი შევედებოდა. ხალხი სანგარს თავს ანებებდა, იქით-აქეთ გარბოდა.

— აქ არ დარჩეთ, ბიჭებო,— ჰყვიროდენ გამოქცეულები.—ნუ მოდიხართ, ახლოს არ მოგვეკაროთ! საშინელებაა! ყველაფერი ჩაწოწვა. ზემოდან მიწანაყარი გაიშალა, ხვრელები მიწით გამოიჩურთა. ყველვან ტალახი შედის. ხვალ დილამდე სანგრების ხსენებაც კი აღარ იქნება. სულ აღარაფერი დარჩება!

წავედით. სად? სრულებით დაგვავიწყდა ამ კაცებისათვის გვეკითხნა, საით წასულვიყავით. გამოჩნდენ თუ არა, გაწუწულები, ბნელაში ჩაინთქნენ.

თვით ჩვენი მცირედი ჯგუფიც იქით-აქეთ დაიფანტა ამ განადგურებაში. არ ვიცოდით, ვინ ვისთან ვიყავით. ყველა მიდიოდა: ჯერ ერთი დაიმალებოდა სიბნელეში, მერე მეორე, მეორეს მესამე მიჰყვებოდა და ყველანი ეძიებდენ ხსნას.

ავდიოდით და ჩამოვდიოდით ფერდობებზე. ჩემს წინაშე დავინახე, წელ'მი მოხრილი და კუზიანი ხალხი ერთ მოლიპულ ფერდობზე ადიოდა. რამდენს წინ წასდგამდენ ფეხებს, ტალახი იმდენს უკან დაახევინებდა, უკანიდან ქარი და წვიმა აწვებოდათ, ზემოდან კიდენ მაშხალები ელავდა ყრუთ.

შემდეგ ერთს ჯაბაში ჩავცვივდით, შიგ მუხლებამდე ვიფლობოდით. ფეხები სულ მაღლა უნდა ამოგვეწია, თითქო მივცურავდითო. წინსვლისათვის დიდი ჯაფანწყვეტა გვჭირდებოდა და ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ძალ-ღონე გვაკლდებოდა. პირდაპირ გული გვიკვდებოდა,—ვიძახდით, ეს რა ღვთის წყრომა არისო!

აქ უეჭველი სიკვდილი მოგველოდა. მაგრამ ბედად ფეხი შევდგით რაღაც მიწანაყარ ბექობის მსგავსზე, საფლობს შუაზე რომ მიჰყვებოდა. გავყევით ამ საცოდავ კუნძულის მოლიპულ ზურგს. მაგონდება, რომ როცა ძალიან შეგვეშინდა ფეხი არ დაგვცურებოდა და საფლობში არ ჩავინულვიყავით, იძულებული ვიყავით, დახრილვიყავით და ხელებით დავბღაუჭებოდით მკვდრებს, ნახევართ ჩაფლულები რომ იყვნენ გამორეცხილ მიწაში. ჩემი ხელი მიეკარა ერთის ბეჭებს, გაშეშებულ ზურგს, კასკასებ გაცივებულ პირისახეს და ჩიბუხს, სასოწარკვეთილათ პირში რომ ეჭირა.

აქედან რო გამოვედით, უცაბედათ, თავები მაღლა ავწიეთ და ჩვენს ახლოდან ლაპარაკის ხმა შემოგვესმა:

— ადამიანის ხმაა! ადამიანის ხმაა!

რა ტკბილი იყო ეს დაძახება! თითქო ჩვენ გვეძახიანო. შევგროვდით, რომ მივახლოვებოდით ადამიანთა ამ ძმურ ლაპარაკს.

სიტყვები მკაფიოთ მოგვესმა; სულ ახლოს ლაპარაკობდენ, ხმა იმ გორაკიდან გამოდიოდა, ოაზისს რომ მივამსგავსეთ; მაგრამ საქმე ის იყო, არ გვესმოდა, რას ლაპარაკობდენ. ბგერები რაღაც ბუნდი იყო; მნიშვნელობას ვერ მიმხდარვიყავით.

— რას ამბობენ, ხომ არ იცი?—მკითხა ერთმა ჩვენთაგანმა რაღაც შეშინებულის კილოთი.

შესაკალის ძებნას ინსტინკტურათ დავანებეთ თავი.

ეშვი, საზარელი აზრი დაგვეებადა. ამ დროს მკაფიოთ გავარჩიეთ ეს სიტყვები:

— Achtung!... Zweites Geshütz... Schuss...

და უკან ,ამ ტელეფონით ბრძანებაზე, ზარბაზანი გავარდა.

თავზარი დაგვეცა და ერთხანს ადგილიდან ველარ დავიძარით.

— სადა ვართ? დასწყეველოს ღმერთმა! სადა ვართ?

თუმცა შიში დიდი იყო, მაგრამ ისე ვიყავით ქანცგაწყვეტილები, რომ ნელა-ღა შევიძელით მოტრიალებულვიყავით და უკან წამოსულვიყავით. ისე ვართ დაღლილები, თითქო ტყვიითა გვაქვს სხეული დაცხავებულიო. თუმცა რაღაც ძალა მტრის მხარესაკენ მიგვეწევა და ყურში ჩაგვძახის —ბარემ ტყვილათ მოკვდით და ერთხელ და სამუდამოთ მოისვენეთო, მაინც თავს ძალას ვატანთ და ვილტვით აქედან.

ერთ უშველებელ ველზე ვამოვედით. გავჩერდით და მიწაზე დავეყარენით ერთ ბექობის ძირას; ბექობს ზურგით მივეყრდენთ და რო მოვეკალით, ერთის ნაბიჯის გადადგმა აღარ შეგვეძლო.

ჩემი ამხანაგები და მე არ ვჩუჩუნებდით. წვიმა პირდაპირ, სახეში გვასხამდა; ჩამოგვდიოდა გულსა და ზურგზე, მუხლებიდან საცვლებში გაატანა და წაღები აგვივსო.

ხვალ ან მოგვკლავენ, ან ტყვედ ჩაგვიგდებენ ხელში. მაგრამ არაფრის დარდი გვაქვს. ღონე სრულებით გამოგვეღლია, არ ვიცით, გარშემო რა ხდება.

XXIV.

განთიადი.

იქ, საცა ჩვენ დავეყარენით, გათენებას დავუწყეთ ლოდინი. ისიცა ჩნდება, ნელ-ნელა, ციცი და მოქურუშებული, უბედურობის მოჰასწავებელი, და იფანტება მეწამულ სივრცეში.

წვიმამ გადაიღო. ცაზე არსადა სჩანს. ტყეიის ფერ ველზე ბნელ სარკეებივითა ბრწყინავს წყალი, და თვით ველს ისეთი სახე ადევს, თითქო ღამიდან კი არა, ზღვიდან გამოსულაო.

არცა გვღვიძავს, არცა გვძინავს, ჟამითი-ჟამად თვალებს ვახელთ და ისევა ვხუჭავთ; მოლეშილები, მოწყვეტელები, სიცივისაგან გაფიჩხებულები მოწმენი ვართ იმისა, ხელახლა როგორ მოეფინა სამყაროს სინათლე.

ნეტავ, საღ არის სანგრები?

ვხედავთ მხოლოთ ტბებს და მათს შორის მოსჩანს რძისფერ და დაგუბებულ წყლის ზოლები.

არ გვეგონა, თუ წყალი ამდენი დადგებოდა: ყოველივე დაუფარავს; ყველგან გავრცელებულა. სოლდათებმა რაც იწინასწარმეტყველეს ღამით, გამართლდა: სანგრების ნასახიც კი არსადა სჩანს; ახლა არხებს რომ ვხედავთ, სანგრებია, წყალ ქვეშ ჩაფლულები. წარღვნილა მთელი სამყარო. ბრძოლის ველს კი არა სძინავს, მომკვდარა. იქით, შორს სადმე, შეიძლება კიდევა სცხოვრობდენ, მაგრამ ჩვენ კი მანამდე თვალი ვერ მიგიწვდება.

წამოვდექი, რის წვალებით, ლასლასით, ავათმყოფივით. მინდა დავინახო, რა ამბავია. ჩემ დამძიმებულ მაზარის აწევა არ გინდა! ჩემს გვერდით სამი საზარელი, ყოველსავე ადამიანურს სახეს მოკლებული არსებაა: ერთი მათგანი პარადიზია, რომელსაც რაღაც უშველებელი კეცტყავა შემოჰკვრია ტალახისა, ხოლო ის ადგილი, საცა პანტრონტაშები უნდა ჰკიდებოდა, საშინლათ გამოჰბერვია. იგიც ადგა. ორს სხვასა სძინავს, არ ჩუჩუნებენ.

თქვენ ის იკითხეთ, რა სიჩუმეა! პირდაპირ საოცარია, საზარელი. ჩა!ი-ჩუმი არსაით ისმის, მხოლოთ ჟამითი-ჟამად საითგანმე მიწის კოშტი თუ ჩავარდება წყალში და წყალიც შეშხაპუნდება ამ დადამბლავებულ ქვეყნიერობის დუმილში. სროლა შეჩერებულია. აღარც ზარბაზნების ყუმბარები მოდის, რათგან რომ ისროლონ კიდეც, არ გასკდება, აღარც თოფს ისვრიან, რათგან კაცები...

კარგი და კაცები? კაცები რაღა იქნენ?

ცოტ-ცოტათი, აქა-იქ კაცებიცა ჩნდება. ჩვენს ახლოს არიან, მკვდრებივითა სძინავსთ, ჩურჩხელებივით თხემით ტერფამდე ტალახში ამოვლებულებს, თითმქის უსულო საგნებად ქცეულებს.

ცოტა მოშორებით სხვებსაცა ვხედავ. ოთხად მოხრილები ლოკოკინების მსგავსათ ერთ ბექობზე გამწკრივებულან, სხეული ნახევრათ წყალში უყვიათ. უძრავ და ტლანქ ნივთებსა ჰგვანან, ერთ-ჰეორეს გვერდთ დაწყობილ ტომრებს; დასდით წყალი, ტალახი; მიწაში გარეულებს მიწისავე ფერი ადევსთ.

ვცდილობ, სიჩუმე დავარღვიო; ხმა ამოვიღე, ვეკითხები პარადიზს, იგიც აგრეთვე იქითკენ იყურება.

— მკვდრებია?

— ახლავე ვნახავთ,—მიპასუხა ჩურჩულით პარადიზმა,—ჯერ ცოტახანს კიდევ დავრჩეთ აქ. შეიძლება, მერე უფრო გავბედოთ მათთან მისვლა.

ერთმანეთს შევხედეთ და მერე ისევ დავეწყეთ ყურება იმათ, ვინც აქ დახოცილან. ისე ვართ მოწყვეტილები, რომ ადამიანის სახე არ გვადევს გათხუპნულებს, სახეწაშლილებს და ჩამკვდარებულებს. ომის დაწყებიდან ბევრგვარათ გამოგვცვლია სახე, ვინ იცის, რას არ დამზგავსებივართ, მაგრამ ახლა რომ ვართ, ისე თავისდღეში არ ყოფილვართ. მეტი იქნება?—ერთმანეთს ვეუბარა ვსცნობთ...

პარადიზმა თავი მოიბრუნა და სხვა მხარეზე დაიწყო ყურება.

ერთბაშათ ვხედავთ, რომ კაცს კანკალი აუვარდა.

თავისი უშველებელი, ტალახის გოროხებიანი მკლავი გაშალა:

— აი ემანდ... ემანდ...—მეუბნება პარადიზი.

ერთ სანგრის ნაპირებიდან წყალი გადმოდის მუტრუ-მეტათ დახრამულ ველის ნაკერზე და ამ წყალში დასცურავს რაღაც სხეულები, თითქო წყალქვეშიდან ამოშვერილი, მრგვალი სპონდიო არისო.

მივედით და ვნახეთ: დამხვრჩვლები აღმოჩნდენ.

თავი და ხელები წყალში უყვიათ. ზევით ამოშვერილია: ზურგი, ღვედები იარაღისა, გაბერილი ლურჯი ხალათები, გაბერილი სხეული. წყალში ჩამალულ ერთ-ერთ თავის თმა მაღლა ამოსულა და წყალ-მცენარას ფესვებივითაა ამოშვერილი. აჰა, ერთიცა: თავი ნაპირას დაბჯენია, ხოლო ტანი წყალშია ჩამალული. თეთრი კაკლები თვალებისა ზეცად აღუპყრია; პირი ღია დარჩენია. გაყვითლებული და გასივებული კანი ამ დამხვრჩვალისა დარბილებული და დამკნარია, როგორც გაცივებული ცომი პურისა.

ესენი ღამის დარაჯები არიან. ალბათ, ტალახიდან ზევით ვერ ამოატანეს. ალბათ, ბევრს ეწვალნენ, თხრილის ლიპ კედელზე აბობღებულიყვნენ. მაგრამ თხრილი წყლით ივსებოდა ნელ-ნელა, საბედისწეროთ, და დარაჯები რამდენს ზევით აიწევდენ, იმდენი უფრო ჩამოცურდებოდენ და ძირსა

სცვივოდენ. მიწის გამოწეულს ლიპ ქიმს დაბლაუჭებიან და ისე დამხვრჩვალან.

იქვეა ჩვენი და გერმანელების მოწინავე პოზიციები. ორივე სდუმს, ორივე წყლითაა დაფარული.

მე და პარადიზი ამ დამბალ ნანგრევების სანახავადაც მივდივართ. გავიარეთ ის ზონა, ჯერ კიდევ გუშინ ასეთი საშინელი რომ იყო. შევსდექით მოპირდაპირე პოზიციებს შუა მდებარე საზარელ ადგილთან,—ამის ზღურბლზე უნდა შეგვეჩერებინა ჩვენ-მიერ მიტანილი უკანასკნელი იერიში. წელიწადნახევარზე მეტია, რაც თოფის ტყვია და ზარბაზნის ყუმბარები აქ სივრცესა სერავენ და აქვე ამ დღეებში იგივე ტყვიები და იგივე ზარბაზნების ყუმბარები მიწაზე ეჯვარედინებოდენ ერთ ცისკიდურიდან მეორე ცისკიდურამდე.

ახლა ეგეგე ადგილი რაღაც ზესთაბუნებრივი ველია განსვენებისა. ერთი ფეხის დადგა მიწა არ დარჩენილა, რომ ზედ ადამიანები არ იწვნენ, ზოგსა სძინავს, ზოგი ნელა ინძრევა, ხან ბელს ასწევს მაღლა, ხან თავს, გამოცოცხლება სწადიათ, ან და სულსა ლევენ.

მტრის სანგრებიც წყლით იფარება. მათს ალაგას ჩნდება ჭები და გუბეები. ზოგან, რო ვუყურებთ ისე, ხან ერთი ნაპირი ჩაწვება სანგრისა, ხან მეორე.

ამ საშინელ საფლავში მკვდრები არა სჩანს. სამაგიეროთ, ერთ ალაგას მკვდარზე უარესი სანახავი რამ არის: ყვითელი და შიშველი ხელი წყალს ქვეშ მოქცეულ თხრილის ხვრელიდან გამოშვერილია. ცხადია, თავისსავე საფარში დამხვრჩვალა კაცი და მხოლოდ ხელის გამოშვერა-ღა მოუსწრია.

ახლოს რომ მიველით, დავინახეთ, რომ, ჩვენ რომ დაზვენილი მიწა გვეგონა, ამ ჯურღმულების გვერდებთან, თურმე ადამიანები ყოფილან. მკვდრები არიან, თუ სძინავთ—არაფერი ვიცით.

გერმანელები არიან, თუ ფრანგები?—არც ეგ ვიცით.

ერთმა მათგანმა თვალები გაახილა და თავის ქნევით ყურება დაგვიწყო. ჩვენა ვკითხევით:

— ფრანგი ხართ?

მერე გერმანულათ ვეკითხებით:

— Deutsch?..

არაფერი გვიპასუხა და თვალები ისევ დახუჭა საუკუნოთ. ასე რომ ისე მოკვდა, ვერ გავიგეთ, სადაური იყო.

შეუძლებელია ამ პირთა ვინაობის გამორკვევა: არც ტანისამოსით, სქლათ ლამით რომ არის დაფარული; არც მათის თაესახურავით: ამიტომ რომ სულ თავშიშველანი არიან; არც იარაღით: რათგან თოფი არ უპირავსთ ან და ხელები რაღაც უსახო ლიპ და უშველებელ თევზის მზგავს რალაზედაც უდევსთ.

ეს ხალხი, მკვდრის ფერ-გადადებული, ჩვენს წინა და ჩვენს უკან რომ არის, საძრაობას მოკლებულია, წართმევია ენა, წართმევია ნებისყოფა; ყველა ესენი მიწაში ჩაფლულან, შეიძლება ითქვას. თვითონ დაუმარხნიათ თავიანთი თავიო; ერთმანერთსა ჰგვანან, თითქო ყველანი შიშველები იყვნენო. ამ საზარელმა, მაჯლაჯუნას მსგავსმა ღამემ როგორც ერთისა, ისე მეორე მხრიდანაც ყველა გაასწორა, ყველას ერთგვარათ ჩააცვა, ყველანი უბედურობისა და სიბინძურის სამოსით შემოსა.

დასასრულია ყოველისავე. სულ ერთ წუთში შეჩერდა, შესწყდა ომი.

ერთს დროს მეგონა, რომ ომის დროს ყველაზე საშინელი ყუმბარების ალია-მეთქი; მერე კარგა ხანს ვიძახდი— საშინელება მიწის ქვეშეთში ყოფნაა, სიცა მუდამ ვიმყოფებით და სული გვხდება-მეთქი. მაგრამ ბოლოს დავინახე, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთი—წყალი ყოფილა.

ამოვარდა ქარი. თითქო გაყინულიაო და მისი გაყინული სულთქმა ძვალრბილში ლურსმანივით გვატანს. ამ ველზე,

ტბებითა და გუბეებით რომ არის სავსე, მიმობნეულია პატარა კუნძულებივით მკვდრები, ერთმანერთს მიწებებულები, როგორც მყვარები, ამ ქაოსში, რომელიც ბრტყელდება და ქვეშ იძირება. ეხედავთ, რაღაც მოძრაობა იწყება, ნელ-ნელა დაიძრა ჯგუფები,—ქარავნის ნაწყვეტები ადამიანთა. მაზარების სიმძიმისა და უზომოთ მიტყეპებულ ტალახისაგან წელში იკაკვებიან, და მიფორთხავენ და იფანტებიან მინდორში, მოლრუბლული ცა რომ დასცქერის ზედ. განთიადი იმ ზომამდე ჰუპყიანია, რომ ასე გგონია, გათენდა და მყისვე დღე მიიწურა კიდეცაო.

ვინც ცოცხალი გადარჩენილან, მოათრევენ ფეხებს ამ განადგურებულ ველზე, დევნილნი უსაზომო, ენითგამოუთქმელ უბედურობის მიერ, საცოდავნი, საზარელ შესახედავნი, ნახევრათ გატიტვლებულნი საფლობებისაგან, ახლაც რომ გაურბიან.

რო ჩაგვივლიან, იქით-აქეთ მოიხედავენ, დაგვაცქერდებიან და რაკი ადამიანებად ჩავვაგდებენ, მოგვაძახებენ:

— იქ ამაზე უარესია. კაცები თხრილებში სცვივიან და იქიდან ვერ ამოუყვანიათ. ვინც წუხელ ყუმბარების მიერ გაკეთებულ ძაბრების ნაპირას დაადგა ფეხი, ცოცხალი არავინ გადარჩენილა... იქ, საიდანაც მოვდივართ, ერთ ალაგას დავინახეთ, მარტო თავი იძვროდა კაცისა, ტანი მიწაში ჰქონდა ჩაფლული. ერთგან კიდენ გზაა, წინათ ზევიდან წკნელი ჰფარებია, ეს წკნელი ჩამტვრეულა და ვინც ზედ გაივლის, უეჭველათ შიგ ჩავარდება, როგორც ხაფანგში. საცა წკნელი არ არის, ორ მეტრის სიღრმე წყალი დგას... თოფები! ზოგს შიგ რო ჩაჰფლობია თოფი, მერე იქიდან ვერას გზით ამოუძვრია. აი ამ კაცებს შეხედეთ: წელს ქვემოთ მაზარა სულ მოვაჭერით—აფსუს, ჯიბეებო!—რომ ტალახიდან როგორმე ამოგვეყვანა, იმათაც იმდენი ღონე არა ჰქონდათ, ამ სიმძიმე მაზარები ეთრიათ... დიუმას რის წვალებით მოვაშორეთ მაზარა. იცით, რამდენს იწონიდა? ორმოც კილოს მაინც:

ორმა ძლივას ავსწიეთ. ან კიდენ ამ კაცს შეხედე, შიშკელი კანჭები რომ აქვს: მას მიწა ისე გაუჯდა, რომ მოახია ძიქვა, პერანგის ამხანაგი, წალები. ჩვენს სიცოცხლეში მაგის მსგავსი არა გვინახავს რა.

მიეთრევიან და სხვებსაც მიათრევენ, აჰ საშინელებას თავს არიდებენ, დატანჯულები. ფეხის ყოველ აწევაზე მიწიდან ამოაქვსთ მთელი გორახები ტალახისა. თვალთაგან გვეფარება ეს ადამიანთა ტალღა, თანდათან უჩინარდება ეს ლოდების მგავსი გროვა, უზარმაზარ ტანისამოსიანი.

აედექით. ცივი ქარი ხეებსავით გვათახთახებს.

ნელის ნაბიჯით მივდივართ. გზაზე გადავუხვიეთ, რათგან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა კაცმა. ორივე ერთ შთლიან მასასა ჰგავდა. ერთიმეორეს მხარდამხარ ედგნენ, და ერთიმეორისათვის კისერზე მოეხვიათ ხელები. ორი მოპირდაპირე ხე არ არის, ნეტავი, ბრძოლის დროს ერთმანერთს რო შებმიან, შეკვდომიან და ერთმანერთს რომ ვერ მოჰშორებიან საუკუნოთ? არა, ორი ამხანაგია, ერთიმეორეს მიჰყუდებიან დასაძინებლად; თურმე ვერ შესძლეს მიწაზე გაჭრთულიყვნენ, რათგან ღამი ქვეშიდან გამოეცლებოდა მწოლიარეთ და მერე ზევიდან მოექცეოდა, ამიტომ ერთმანერთს მიჰყრდნობიან და, საფლობში მუხლებამდე ჩაფლულებს, დგომელა დაუძინიათ.

შეგვეკოდა და არ გავაღვიძეთ. მოვშორდით კაცობრიობის საცოდავობის ამ ორმაგ ქანდაკებასაც.

მერე ჩვენ თვითონ გავჩერდით. კარგათ ვერ გამოვზომეთ ჩვენი ძალ-ღონე. თავს ზევით ძალა აღარა გვაქვს, თუნდ ერთი ნაბიჯიც გადავდგათ. და ჩვენის უბედურობის დასასრული კი ძალიან შორსაა. ერთი ცომივით გაფუებული ადგილი მოვნახეთ და ზედ ზღართანი მოგვეძრა, თითქო ადამიანის განაჟალის გროჯა დაატყება ვინმე მიწაზეო.

დავხუჭეთ თვალები. ჟამითი-ჟამად გავახელთ.

ჩვენსკენ ვიღეებიც მოდიან რაცრაცით. დაიხარნენ და დაბალისა და დალალულის ხმით დაიწყეს ლაპარაკი. ერთი ამბობს:

Sie sind todt. Wir bleiben hier. (თქვენ მკვდრები ხართ. ჩვენ აქ დავრჩებით).

— Ia,—უპასუხა მეორემ ამოოხვრით.

მაგრამ ამ დროს დაინახეს, რომ შევინძერით. მაშინ ხელათ ორნივე ჩვენს პირდაპირ დაეშვნენ. მიკნავებულის ხმით მოლაპარაკე კაცი ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— **ხელები მაღლა აგვიწევია.**

და უნძრეველათ გაჩერდენ.

მერე ორნივე, გულმოფონებულნი, ჩვენს გვერდით გაიშხლართნენ; გრძნობდენ,—ჩვენს ტანჯვას ახლა მაინც მოეღება ბოლოეო. ერთს მათგანს ტალახით მოთხუპნულ სახეზე ღიმიც-კი შეუთამაშდა.

— დარჩი,—ეუბნება პარადიზი და ბორცვზე მიდებულ თავს არც-კი ანძრევს.—ცოტახანს უკან, თუ გინდა, ჩვენთან ერთათ წამოხვალ.

— დავრჩები,—უთხრა გერმანელმა.—მეყოფა, რაც გადამხდენია...

ჩვენ არაფერს ვეუბნებით.

— სხვებსაც შეუძლიათ დარჩენა?

— შეუძლიათ,—უპასუხა პარადიზმა.

ოთხნი არიან და ოთხნივე მიწაზე გაიშხლართნენ.

ერთმა ხრიალი დაიწყო. პირიდან თითქო რალაც ტირილნარევი სიმღერა ამოსდისო. მაშინ სხვები წამოსხდენ მუხლებზე და ტალახისაგან აჭრელებულ სახეზე შიშის ზარი აღებეჭდათ. ჩვენც წამოვსხედით და ყურება დავუწყეთ ამ სურათს. ხრიალი შეწყდა და ჭუჭყიანი კისერიც, ამ დიდ სხეულზე პატარა ჩიტივით რომ ინძრეოდა, გაჩერდა.

Er ist todt (მოკვდა),—ამბობს ერთი მათგანი.

და დაიწყო ტირილი. სხვები დალაგდენ დასაძინებლად. მოტირალსაც ჩაეძინა, ტირილით.

რაკრაცით რამდენიმე სოლდათი მოვიდა, ყველაფერი ფეხებში ედებოდათ მთვრალ კაცებსავით, ხანაც ჰიებივით ცურვით მოდიოდნენ. უნდათ ამ ხვრელის მსგავს ადგილას, სადაც ჩვენა ვართ, თავი შეაფარონ. და ყველანი ერთათ ვიძინებთ ამ ძმურ სასაფლაოში.

* * *

გამოვეღვიძა. მე და პარადიზი ერთმანერთს ვუკვირით და გვინდა მოვიგონოთ, რაც გადაგვხდა, გონს მოვიდეთ. ნელნელა ეუბრუნდებით ცხოვრებას, დღის სინათლეს და მაჯლაჯუნას, ყველას რო გვაწევს და გვახრჩობს. ჩვენს თვალწინ ისევა ჩნდება განადგურებული ველი, სადაც ბუნდი ბორცვები აქა-იქ ამოშვერილა, ჩნდება ტყვიის ფერი, წყლით დაფარული ველი, სადაც ადამიანის განავალივით აქა-იქ დაყრილია ადამიანთა სხეულები: ზოგი მათგანი მკვდარია, ზოგიც ჯერ კიდევა სუნთქავს.

პარადიზი მეუბნება:

— აი, ჩემო ძმაო, ომიცა!

— დიახ, თურმე აი რა ყოფილა ომი,—იმეორებს პარადიზი ისეთის ხმით, თითქო შორიდან მოდის ეს ხმაო.

მესმოდა, რაც უნდა ეთქვა ამითი. უნდა ეთქვა ისა, რომ:

„ომი—შეტევა არ არის, ალლუმს რომ ჰგავს; ომი ბრძოლა არ არის, სადაც აფრიალებული დროშებია; არც ხელჩართული ბრძოლაა; არამედ ომი—დაღალვაა, წელამდე წყალში დგომა, ტალახი, სიცივე, ათასგვარი სიბინძურე. ომი—დაობებულ სახეებსა და ნაფლეთებად ქცეულ ხორცსა ჰქვიან; ომი ჰქვიან მკვდრებსა, მკვდრებსაც რომ არ ჰგვანან და გაუმაძღარ მიწის ზედაპირზე რომ ტივტივებენ; ომი—ნირშეუცვ-

ლელი ტანჯვაა და არა ვერცხლივით ბრჭყვიალა ხიშტები და საყვირის ხმა, მზის ამოსვლისას რომ ისმის ხოლმე!“

აი ამასა ჰფიქრობდა პარადიზი ომის შესახებ და სრულებით ბუნებრივათ მოაგონდა ჩვენი გასეირნება პარიზში და ბუზღუნით მითხრა:

— ხომ გახსოვს, პარიზში რო დავსეირნობდით ამ ცოტახანს წინათ, ერთმა ქალბატონმა შეტევის შესახებ რომ გვითხრა და თან დორბლები რომ ჩამოსდიოდა: „რა მშვენიერი საყურებელი უნდა იყოს შეტევაო“!.. ერთმა მესროლ ჯარის სოლდათმა, რომელიც პირდაღმა იწვა ბრტყლათ, გაშლილ მინდორივით, ტალახში ჩაყოფილი თავი მაღლა ასწია და წამოიძახა:

— დიახ, მშვენიერი საყურებელი!.. იმის მეტი, თავს ლაფი დავასხი!

„ეს სულ იმასა ჰგავს, ძროხამ რომ სთქვას: „რა მშვენიერი საყურებელია, სასაკლაოზე აუარებელ ხარებს დასაკლავად რომ მიერეკებიანო!“

ტალახით გამოვსებულ პირიდან ლამი ვამოაფურთხა, როგორც პირუტყვმა, რომელსაც ბალახთან ერთათ მიწაც შეჰყვება ხოლმე.

— საპირო არის ომიო, რო სთქვან, კიდევ ჰო.—დაიბუზღუნა, ტკბენით, ბრაზმორევით.—თანახმა ვარ. მაგრამ ვინც იტყვის, მშვენიერიაო, უნდა აიღო და თავზე დააჯვა! ჰო, ჩემმა მზემ.

ამნაირ აზრს ვერ შეჰგუებია. და გაცხარებით დასძინა:

— აი, ამ ნაირ ლაპარაკზე ითქმის, რომ ჩვენ ყველას ფეხებზედა ვკიდივართ, ჩვენი სიცოცხლე ჩალად არ უღირსთ!

ისევ გადააფურთხა. მაგრამ ამის თქმაზე, ეტყობოდა, დაიღალა, ისევ ტალახზე გაგორდა და თავი თავისსავე ნაფურთხში ჩარგო.

* * *

პარადიზს, ბოლმამორეულს, ათასგვარი აზრი ჰქენჯნიდა და არ ასვენებდა. ჰაერში ხელი გაიქნია და დაიბუზღუნა:

— ამასა ჰქვიან, ძმაო, ომი... ყველგან ასეა. რანი ვართ, ან რა არის ყოველივე ესა, აქ? სრულიათ არაფერი. ყველაფერი, რასაცა ხედავ, კნინი-ღაა. შენ მხოლოთ ის წარმოიდგინე, რომ მარტო ამ დილას ქვეყნიერებაში, სამ ათას კილომეტრის სივრცეზე, ასეთი უბედურება დატრიალდა, თითქმის ამდენივე, ან შეიძლება უარესიცა.

— ჰო და,—სთქვა ჩვენს გვერდით მწოლიარე ამხანაგმა, რომელსაც მის პირიდან გამომავალ ხმაზედაც ვერა ვსცნობდით,—ხვალ ეგეც ამბავი დაიწყება. გუშინწინ ხომ დაიწყო, იმას წინის-წინათაც ხომ დაიწყო!

შესროლი ძალით წამოდგა, თითქო მიწა უნდა დახიოსო, მოჰგლიჯა თავისი სხეული მიწასა. მიწა კი ისე ჩაელრმავებინა, რომ წულის გამომჭონავ კუბოსთვის დაუმსგავსებია, და ამ ხვრელში წამოჯდა. თვალები დაახამხამა, ტალახით დატვირთული თავი დააქნია, რომ ტალახი გაებერტყნა, და სთქვა:

— ამ ხელათ გადავრჩით. იქნება ხვალაც გადავრჩეთ! ვინ იცის?

პარადიზი, ქვეშ ხალიჩად აყალო და წითელი მიწა რომ ჰქონდა გაშლილი, ცდილობდა გამოეხატნა, თუ რავდენათ წარმოუდგენელი და უსაზომოა ომი დროსა და სივრცეში.

— როცა ომზე, როგორც მთლიან რასმე შესახებ, ლაპარაკობ,—ხმამაღლა ჰფიქრობდა პარადიზი,—თითქო არაფერზე ლაპარაკობო, რათგან სდუმხარ, სიტყვები ვერ გამოგინახავს იმის გამოსათქმელად, რაც გულში გიდევს. დგეხარ და შესცქერი ომს, როგორც ბრმა, როგორც სულელი...

ქვევიდან ვილამაც ბოხის ხმით წამოიძახა:

— არა, შეუძლებელია ყველაფერი ეს წარმოიდგინო.

ამის თქმაზე ყველას ხარხარი აუტყდა.

— ან როგორ უნდა წარმოიდგინოს, ვინც აქ არ ყოფილა?

კაცი გიჟი უნდა იყოს, რომ ამის წარმოდგენა შეიძლოს!

პარადიზი დაიხარა მის გვერდით ძირს გაშხლართულ კაცისაკენ.

— გძინავს?

— არა. მხოლოთ არ უნდა გავინძრე,—ტალახის ბორცვის მსგავს სხეულს ქვეშიდან მოისმა ბურტყუნი.—მგონი მუცელი გამსკდარი მაქვს. ნამდვილათ კი არ ვიცი, თან მეშინიან დავხედო.

— აბა ენახო.

— არა, ჯერ არა, უთხრა ტალახის ბორცვმა.—დამაცა, ცოტა ხანს ასე დავრჩები.

სხვები ცდილობდენ განძრეულიყვნენ, იდაყვებს ებჯინებოდენ, ცდილობდენ კეცტყავივით გადაეგდოთ ტალახის საბანი რომ ამძიმებდათ. სიცივისაგან გათოშილები, წამებულნი ცოტა-ცოტა თბებოდენ, თუმცა დღის სინათლე ჯერ კიდევ მძლავრათ არ ეფინებოდა ამ ბინძურ ზღვას, სასოწარკვეთილებას ისევა ფრთები ჰქონდა გაშლილი.

ერთმა ჩვენთაგანმ: მოწყენით, სამგლოვიარო ზარის ხმაზე, დაილაპარაკა:

— რაც უნდა ილაპარაკო, სულერთია, შენს ნათქვამს არავინ დაიჯერებს. არ დაიჯერებს იმიტომ კი არა, რომ შენი მსმენელი ბოროტი იყოს ან შენ მასხარად გიგდებდეს, არა, არ შეეძლება დაიჯეროს. როცა, გვიანრელე, ეტყვი ვისმე, თუ კი მანამდი ცოცხალი გადარჩი და თქმა შეიძელი: „ღამით მიწასა ვსთხრიდით, ამ დროს ყუმბარები დაგვიშინეს და, ცოტას გაწყდა, ტალახში არ ჩავიხვრჩვით“, გეტყვიან: „უჰჰ“; ან შეიძლება ეგეც გითხრან: „ამ დროს, ცხადია, ხუმრობისა არ გეცხელებოდათო“. მორჩა. არავის ეცოდინება.

შხოლოთ ჩვენ და ისევ ჩვენ თუ გვეცოდინება, რაც იყო.

— არა, აღარც ჩვენ გვეცოდინება, აღარც ჩვენ!—წაშოიძახა ვიღამაც.

— მეც შენსებ ვამბობ: დაგვავიწყდება... ჯერ ახლაცა გვაქვს დავიწყებული ზოგი რამ, ჩემო კეთილო!

— იმიტომ რომ ბევრი რამ გვინახავს, იმაზე მეტიცა, რაც უნდა გვენახა!

— ზედმეტ რასმე ვხედავდით. ვის შეუძლია, ყველაფერი დაიხსომოს... ხსოვნიდანა ჰქრება; მეტად პატარეები ვართ, რომ ყველაფრის დახსომება შევიძლოთ.

— მართალია, ყველაფერი გვავიწყდება. გვავიწყდება არა მარტო ის, თუ რამდენს ხანს გაგრძელდა ჩვენი უუდიდესი წვალება, რომელიც, როგორც შენა სთქვი, აღურაცხელია მას შემდეგ, რაც დაიწყო; გვავიწყდება, რომ ფეხებით ვხნავდით და ხნავენ დღესაც მიწასა, დაუსრულებელის სიარულით მუხლებში წყალ ი რომ ჩაგვიდგებოდა ხოლმე, ჩვენი ძვლები რომ იცრიცებოდა უშველებელ ტვირთის ზიდვით, სიარულის დროს თითქო უფრო რომ იზრდებოდა და ცათამდე ადიოდაო; გვავიწყდება, რომ იმ ზომამდე ვიქანცებოდით, რომ ხანდისხან ერთმანერთის სახელსაც-კი ვერ მოვიგონებდით; ხან წყნიალი, ხანაც ერთს ალაგას დაუსრულებლივ გაჩერება, გადამეტებული მუშაობა, უძილო ღამეები, დარაჯობა მტრისა, ღამის სიბნელეში ყველგან რომ იყო, დაძინების დროს სასთუმლად ნეხვის ამოდება, ტილები... ყუმბარები, ბომბები, ნაღმები, მახრჩობელა გაზი, შეტევა... კონტრშეტევა... ამ წუთას ამ სინამდვილეს, ამ საშინელებას განვიცდით, ვგრძნობთ. მაგრამ შემდეგში, რაც დრო და ხანი გადის, ეს განცდაც ძველდება შენში და ჰქრება, არ იცი—როგორ, არ იცი—რად. ხსოვნაში შეკრჩება მხოლოთ სახელები, საგნის სახელწოდება, როგორც გაზეთში წაკითხულ ახალ ამბებში.

— რასაც ამბობს, მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა!—ამბობს ერთი სოლდათი თავის გაუქნეველათ, ტალახის სარეცელზე გა-

წოლილი. შვებულებაში რომ ვიყავ, შევნიშნე, რომ ბევრი რამ დამვიწყებოდა ჩემის წარსულის ცხოვრებისა. ერთხელ ჩემი მიწერილი წერილი წავიკითხე და ისე მეგონა, რალაც ახალი წიგნია და იმასა ვკითხულობ-მეთქი. სხვა და სხვა რამეები ხომ დამვიწყნოდა, აგრეთვე დამავიწყდა, მიუხედავათ ამისა, ჩემი ტანჯვა-ჯახირი ომის დროს. რა საჭიროა, ნამდვილი მანქანები ვართ დავიწყებისა. ადამიანი შეიძლება უსუ-ლო არსებას შევადაროთ, რომელსაც ფიქრი ცოტაოდნათ ეხერხება, მაგრამ 'ყველაფერს ივიწყებს. აი რანი ვართ, ჩემო ძმაო.

— მაშ არც სხვებს ეცოდინებათ რამე, და ჩვენც ვერაფერს ვიტყვით. ამდენმა მწუხარებამ განა ასე ტყუილათ უნდა ჩაგვიაროს?

ასეთმა აზრმა უარესათ გაუძლიერა ყველას თავისი დარდი, თითქო ვინმე უფრო მეტს მწუხარებასა და უბედურებას დაე-ქადაო, უარეს უფსკრულისაკენ გააქანაო.

— ეჰ, ყველაფერს რომ მოვიგონებდეთ, რა კარგი იქ-ნებოდა, მე და ჩემმა ღმერთმა,—წამოიძახა ერთმა.

— რომ ყველაფერი მოგვაგონდებოდეს, მაშინ ხომ ალარც ომი იქნებოდა!

მესამემ ბრძნულათ დასძინა:

— დიახ, ყველაფერი რომ მოგვაგონდებოდეს, მაშინ ომი ასე უსარგებლო არ იქნებოდა.

ამ დროს ერთი გადარჩენილთაგანი, ძირს რომ იწვა, მუხლებზე წამოჯდა, ტალახიანი ხელები გაიბერტყა, ტალახი მოიშორა, და შავმა, უშველებელ ღამურას მსგავსმა, ყრუთ დაიძახა:

— ამ ომს შემდეგ ომი ნუღარ იქნება!

ამ ტალახიან ჯურეში, სადაც ჯერ ისევ სუსტებსა და უწყეოთა ქარი ისე გვიბერავდა, რომ გვეგონა, ფეხ ქვეშ ნია-დაგი უნდა გამოგვაცალოს და სადმე გადაგვტყორცნოსო,

ძახილმა ამ კაცისამ, რომელიც თითქო სადმე გასაფრენად ემზადებაო, სხვებსაც წამოაძახებინა იგივე სიტყვები:

— ვეტი საჭირო აღარ არის ომი! ნუღარ იქნება ომი!

ამ მიწაზე მიჯაჭვულ, მიწაში ფესვებგაკეთებულ ხალხის ვრისხანე, გულმოსული ძახილი მაღლა ავიდა და ფრთაშესხმული ქარს გაერია.

— არ გვინდა ომი, არ გვინდა!

— არ გვინდა! გვეყოფა!

— დიდი სისულელეა, დიდი... დიდი სისულელეა,— ბუზღუნებენ ყველანი.—ბოლოსა და ბოლოს, ყოველსავე ამას რა სახელი ჰქვიან? რა ოხრობაა ისეთი, რომ კაცს სახელიც კი ვერ დაგირქმევია!

ბუზღუნებენ, ღმუვიან, თითქო მხეცები ირიანო, ზღვაში გაცურებულ ყინულის მსგავს საჯდომზე დამსხდარნი და იმასაც ქარი და წვიმა რომ ედაევებათ... ახლა მაგათი ტალახის ნიღაბები იკითხეთ! მაგათი გულისწყრომა იმდენათ უსაზომოა, რომ ყელში არ ეტევათ და ახრჩობსთ.

— ჩვენ სიცოცხლისათვისა ვართ გაჩენილები და არა იმისათვის, რომ ძაღლებივით ჩავიღრძოთ!

— ადამიანები ქმრებად, მამებად—ჰო ადამიანები რალა! —არიან გაჩენილნი და არა მხეცებად, ერთმანერთს რომ სდევენ, ახრჩობენ, სჭამენ.

— და ყველგან, საცა არ უნდა მიიხედო, ყველგან მხეცებია, ტყის საშინელი ნადირები ან და გასრესილი ნადირები! აბა შეხედე, თუ არა! შეხედე!

ჩემს დღეში არ დამავიწყდება სურათი ამ უსაზღვრო მინდვრებისა, საიდანაც აბინძურებულ წყალს გადაურეცხნია ყოველგვარი ფერი, დაულრღნია ყოველგვარი ნაკვთი, ყოველგვარი ამობურცულობა; მაგათი მოხაზულობა, თხელ სიდამპლისაგან გახრწნილი, ყოველმხრივ იფანტებოდა და მიიზლაზნებოდა, გვერდთ უვლიდა ამოშვერილ სარებს, რკინის

ეკლიან მავთულებს, სხვა და სხვა ხარაჩოებს. და ამ ჯოჯოხეთის მდინარის, სტიკსის, უსაზღვროებას შორის შეითამაშა გონიერების, ლოღიკის და შეგნების პირველმა თრთოლამ და ერთბაშათ, თითქო საგიჟემ იფეთქა, გაანათა ეს ხალხი.

სჩანდა, რომ ეს აზრი მათ არ ასვენებდა. დაიწყეს შეგნება იმისი, რომ ადამიანურათ ცხოვრება და ბედნიერათ ყოფნა არა მარტო უფლებაა მათი, არამედ მოვალეობაცა, და აგრეთვე იდეალი და ვაჟკაცობაცაა; დაიწყეს შეგნება იმისი, რომ საზოგადო ცხოვრება იმისთვისაა გაჩენილი, რომ ყველას გაუადვილოს თავისი პირადი ცხოვრება.

— ცხოვრება!..

— ყველამ უნდა ვიცხოვროთ!.. შენცა!.. მეცა!..

— აღარ გვინდა ომი. აღარა... ეს მეტის-მეტი სისულელეა!.. ამაზე—უარესიცა, ეს მეტის-მეტი...

რაღაცა ბუნდი აზრი გამოისახა ამ ბრბოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, უგერგილო დრტვინვაში, მის დანაკვესებ სიტყვაში... დავინახე, რომ ერთმა მაღლა ასწია თავი, ტალახის გვირგვინივით შემკული, და მისმა პირმა მიწის პირას ეს წინასწარმეტყველება წარმოსთქვა:

— ორი მებრძოლი არმია—ერთი დიდი არმიაა, თავის თავს თვითონვე რომ იკლავს.

* * *

და მაინც ერთი ეს ვიკითხოთ: რეებად გადავიქეცით ამ ორი წლის განმავლობაში? წარმოუდგენელია, როგორ გავსაცოდავდით, როგორ გავუბედურდით! დავემსგავსენით მხეცებს, ტლანქ, მოუხეშავ არსებათ, ყაჩაღებს, ბინძურებს.

— ამაზე უარესებსაც!—წამოიყვანტალა ერთმა, რომელსაც სხვა სიტყვებით გამოთქმა აზრისა არ ემარჯვებოდა.

— ჰაი, ჰაი, რომ მართალს ამბობ, მე და ჩემმა ღმერთმა.

ამ დილას ისვენებდენ, თუ კი დასვენება დაერქმის ამ საცოდაობას. სოლდათებს დაღლილობა გახურებულ შანთივითა სტანჯავდა. მთელი ღამე წვიმა მათრახივით პირისახეში უტყლაშუნებდათ, ზარბაზნების რუხრუხისაგან გულ-ღვიძლი გადმოტრიალებული ჰქონდათ. ვინც-კი ცოცხალი გადაურჩა ცეცხლსა და წალეკვასა, ბუნდათ, გაკვრით ხედავდა, თუ როგორა ჰხრწნის ადამიანს ომი როგორც ხორციელათ, ისე სულიერათ; ხედავდა, რომ ომი არამცთუ ჰხრწნის და აჩლუნგებს ჭკუა-გონებას, არამცთუ ფასს უკარგავს ყოველსავე ამაღლებულ აზრსა, არამცთუ დედაა ყოველგვარ ბოროტებისა, არამედ აგონდებათ, თუ ვითარის სავსებით განავითარა ამ ომმა მათში და მათს გარშემო ყოველგვარი ცუდი მიდრეკილება: ბოროტება საზიზღრობამდე მიიყვანა, ეგოიზმი—გამხეცებად გადააქცია, სურვილი სიამოვნებისა—სიგიჟედ.

ჯარისკაცებმა ყოველივე ეს თვალწინ წარმოიდგინეს იმის მსგავსადვე, როგორც ამ ერთს წუთს წინათ ბუნდათ გაითვალისწინეს თავიანთი ბეჩავი ყოფა. გულზე მოაწვათ წყევლა-კრულვა, და ეს წყევლა-კრულვა გზის გაკაფვასა და სიტყვებად გადმონთხევასა ჰლამობდა. ოხრავდენ, ღმუოდენ, ასე იტყოდით, ცდილობენ თავი დააღწიონ შეცთომასა და ცოდვასაო, მათ ტალახივით რომ სვრიდა; ცდილობენ ბოლოსა და ბოლოს გაიგონ მაინც, რისთვისა სჯიან, რისთვისა ჰგვემენ.

— მაშ რა ექნათ?—იძახის ერთი.

— რა ექნათ?—იმეორებს მეორე უფრო ხმამაღლა.

ქარი აჰანებს წალეკილ სივრცეს და გაჰძვინვარებული ეხეთქება ამ ადამიანთა, დაწოლილთა თუ დაჩოქილთა, მიწაზე დაკრულთა, თითქო ფიქალები ან ამართული ქვის ძეგლებიაო, და აჟრჟოლებს.

— ომი აღარ იქნება—ღრიალებს ერთი სოლდათი,—თუ გერმანეთი მოისპობა.

— შენ ასე კი არ უნდა სთქვა!—ღრიალებს მეორე.— ეს არა კმარა. ომი მაშინ აღარ იქნება, როცა დამარცხდება თვით სული და გული ომისა!

რათგან ჭარის ღრიალმა ეს სიტყვები ნახევრათ ჩააჩუმა, ამის მთქმელმა თავი მაღლა ასწია და განიმეორა.

— გერმანეთი და მილიტარიზმი,—თითქო ცულით გასჩრაო მეორემ,—ერთი და იგივეა. გერმანელებს უნდოდათ ომი და აკი იმათ მოამზადეს კიდეცა. გერმანელები—მილიტარიზმია.

— მილიტარიზმი...—დაიწყო ერთმა.

— რა არის მილიტარიზმი?—ჰკითხეს სხვებმა.

— ეს არის... ტლანქი, უხეში ძალა, რომელიც ერთბაშათ თავს დაგატყდება და გაგანადგურებს. ამას კიდენ აბრაგობას ეძახიან.

— დიახ. დღეს მილიტარიზმს გერმანეთი ჰქვიან.

— მართალია, ეს დღეს და ხვალ რაღა ერქმევა მილიტარიზმს?

— არ ვიცი,—სთქვა ერთმა დინჯათ, წინასწარმეტყველურის კილოთი.

— თუ სული ომისა არ აღმოიფხვრა, სულმუდამ იქნება ადამიანთა ქლეტა.

— უნდა აღმოიფხვრას... უნდა აღმოიფხვრას.

— უნდა ვიბრძოლოთ!—წამოიყრანტალა ერთმა, რომელიც რაც ჩვენ გავიღვიძეთ, მკვდარივით მიწაშია ჩაფლული.— უნდა, უეჭველათ.—და სოლდათმა მძიმეთ გვერდი იცვალა,—უნდა შევსწიროთ ამ ბრძოლას, რაც რამ გაგვაჩნია: ჩვენი ძალღონე, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი სული და გული, მთელი სიცოცხლე, სიხარული, რომელიც კიდევ შეგვრჩენია. ჯოჯოხეთურ არსებობას არ უნდა შევუშინდეთ. ყველაფერს უნდა გავუძლოთ, თვით უსამართლოებასაც, გარშემო რომ არის გამეფებული, უნდა გავუძლოთ ყოველგვარ სირცხვილს

და საზიზღროებას, რის მოწმენიცა ვართ—და ყველანი მზად ვიყვნეთ საომრად, რათა ვძლიოთ. მაგრამ თუ ასეთის მსხვერპლის შეწირვა საჭირო იქნება,—დასძინა უსახო ადამიანმა გულ-გატეხილის კილოთი და ახლა მეორე გვერდზე გადმობრუნდა,—საჭირო იქნება იმიტომ, რომ მარტო ერთის რომელისამე ქვეყნის პროგრესისათვის კი არ ვიბრძოლებთ; არ ვიბრძოლებთ რომელისამე ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ ვიბრძოლებთ მთელ მსოფლიოში გამეფებულ უსამართლოების წინააღმდეგ.

— უნდა მოვსპოთ ომი,—სთქვა პირველმა მოლაპარაკემ,—უნდა ჩავკლათ გერმანეთის მუცელშივე!

— კიდევ კარგი,—ჩაურთო სიტყვა ერთმა, რომელიც ახლოს იჯდა და თითქო ფეხები აქვს ჩაშვებული მიწაშიო,—კიდევ კარგი, რომ იმის შეგნება ვვებადების, თუ რისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

— მაინც,—ჯუჯღუნებს თავის მხრივ მზვერავი, მობუზული,—ზოგი სულ სხვა აზრით იბრძვის. ახალგაზდები მინახავს, ფეხებზე ეკიდათ საკაცობრიო აზრები. უმთავრესი მნიშვნელობა მათთვის ეროვნულ საკითხსა ჰქონდა, სხვას არაფერს, და ომიც, მაგათის აზრით, სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა ეწარმოებინათ: ყველას უნდა თავისი სამშობლო სახელოვანი იყოს, მეტი არაფერი. ესენი იბრძოდენ და, მართალიც უნდა სთქვას კაცმა, კარგათაც იბრძოდენ.

— ჯერ ისევ ახალგაზდები არიან, შენ რომ ამბობ ეს ბიჭუნები, ამიტომ უნდა ვაპატიოთ ხოლმე.

— ხანდისხან კაცმა თვითონაც არ იცის, რასა შვრება.

— ოღონდაც, ხალხი გიჟია! რაც უნდა ხშირათ უთხრათ —გიჟები ხართ და გონს მოდითო, მაინც არა კმარა!

— შოვინისტები—ტილებია ნამდვილი...—დაიბუზღუნა ერთმა.

რამდენჯერმე განიმეორეს, თითქო გზის გასაგნებათ უნდათ და (ცდილობენ არ დაივიწყონო.

— უნდა მოვკლათ ომი! ომი, სწორეთ ომი!

ერთი ჩვენთაგანი, თავს რომ არ ანძრევდა, თითქო მხრებში ჩაკირული აქვსო, მაინც თავისას გაიძახოდა:

— ყოველივე ეს ცარიელი ლაპარაკია! რის მაქნისია, შენ ამასა ჰფიქრობ, თუ იმასა! უნდა ვძლიოთ, მორჩა და გათავდა!

მაგრამ სხვებმა კვლევა-ძიება დაიწყეს. უნდოდათ დაენახათ და გაეგოთ ის კი არა, რაც ახლა ხდება, არამედ ის, რაც შემდეგში მოხდება. გული უფანცქალებდათ, ცდილობდენ გულში ჩასახვოდათ გონიერებისა და ნებისყოფის შუქი. მათს თავში ათასი სხვა და სხვა გვარი აზრი ირეოდა და ბაგეთაგან აღმოხდებოდათ ბუნდი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამ აზრებისა.

— რა თქმა უნდა... მაშ... მაგრამ უნდა გავიგოთ საქმე. უნდა გავითვალისწინოთ, რა ნაყოფს გამოიღებს, ჩემო კარგო.

— ნაყოფი!.. ამ ომში რომ გავიმარჯვოთ, —იძახდა კერპივით მდგარი სოლდათი,—განა ნაყოფი არ იქნება?

ორმა სოლდათმა ერთხმათ უპასუხა.

— არა!

* * *

ამ დროს რალაც ყრუ ხმა გაისმა. ჩვენს გარშემო ყვირილი ატყდა და ყველას გაგვაჟრჟოლა.

გორაკი, საცა მიყუდებულები ვიყავით, ჩამოზვავებულა და გამოჩნდა მკვდარი, ჯდომელა, ფეხებ გაშლილი.

ზვავმა გორაკზე დაგუბებულ წყალს გზა მისცა. და წყალიც ჩხრიალით გადაესხა მკვდარს და სანამ ვუყურებდით, რეცხავდა.

ყველამ წამოიძახა:

— სახე მთლათ გაშავებია.

— რა მოსვლია?—შეშინებულის ხმითა ჰკითხულობს ერთი.

ვისაც ფეხზე დგომის თავი ჰქონდათ, წრე შემოავლეს ბაყაყებივით. ეს თავი ჩამოზვავებულ მიწის კედელზე ბარელიეფივით მოსჩანდა და გამოცნობა სჭირდა, თუ რა იყო.

— პირისახე! ეს ხომ პირისახე არ იყო?

პირისახის ალაგას თმა ჰქონდა ჩამოშლილი.

დავინახეთ, რომ მკვდარი, დამჯდარი რო გვეგონა, გადაღუნულა და შუაზე გადატეხილა.

თავზარდაცემულნი ჩუმათ ვუცქერით დაშლილ ლეშის ამ ვერტიკალურ ზურგს, ჩამოშვებული ხელები უკან მოჰგრეხია, გამართული ფეხები წყლით გაჟღენთილ მიწაზე დაუწყვია თითებით.

გულშემზარავმა მკვდარმა დავა ისევ განგვაახლებინა. გაშმაგებით წამოიყვირა ყველამ, თითქო მიცვალებულსაც უნდა გააგონონო:

— არა! მტერზე გამარჯვება არა კმარა! მტრები კი არა, ომი უნდა დავამარცხოთ!

— მაშ ვერ გაგიგია, რომ ომს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ? თუ ომის გათავება გადავდევით თუნდა ერთის დღითაც, რაც აქამდე გვიკეთებია, ყოველივე ფუჭი და წყალში გადაყრილი იქნება. კარგათ დაფიქრდი; გეუბნები, სულ ფუჭი იქნება-მეთქი. გაიელის ორი ან სამი წელიწადი, თუნდ მეტიც, ეს ხანი ტყუილათ დაიკარგება და ჩვენ მაინც ვიტანჯებოდეთ იქნება.

* * *

— ეჰ, ჩემო კარგო, თუ მეტყვი, რომ რაც ჩვენ გამოვიარეთ, დასასრული იქნება ამ უდიდეს ტანჯვა-წვალებისა, კიდევ ჰო, გეტყვი,—სიცოცხლე კიდევ მინდა-მეთქი: ცოლი მყავს, ოჯახი მაქვს, სახლ-კარი, მინდა ჩემი ცხოვრება კარგათ მოვაწყო, როცა აქაურობას მოვრჩებით... მაგრამ მაინც მირჩევნია მოვკვდე.

— ვაიმე, დედავ, ვკვდები...—დაიკვნესა სწორეთ ამ დროს, უპუსებ, პარადიზის მეზობელმა; მუცელში რო ჭრილობა ჰქონდა, ალბათ, დაინახა.—ვაი ჩემის საცოდავის შვილების ბრალიცა!

— მე-კი,—ჩურჩულითა სთქვა მეორემ,—სწორეთ ჩემის შვილებისთვისაა რომ სიკვდილი არ მენანება.—როცა ვიძახი, უნდა მოვკვდე-მეთქი, ვიცი, რასაც ვამბობ: ჩემს შემდეგ ჩემი შვილები მაინც ელირსებიან მშვიდობიანს ცხოვრებას!"

— მე, შეიძლება, არ მოვკვდე,—სთქვა მეორემ მთრთოლვარე იმედით, მის წინ მდგომარე სასიკვდილოთ განწირულთაც-კი რომ ვერ დაუმალა,—მაგრამ ტანჯვისა მაინც არ მეშინიან. ვიტყვი მხოლოთ: კარგი იქნებოდა, რომ არ ვიტანჯებოდე-მეთქი, მაგრამ იმის თქმასაც არ მოვერიდები: რაც უფრო დავიტანჯები, მით უკეთესი-მეთქი; რაც უნდა დიდი ტანჯვა მომაყენონ, ყველაფერს დავითმენ, ყველაფერს გავუძლებ, ამიტომ რომ ვიცი, ჩემი ტანჯვა ვისმე რადმე გამოადგება.

— მაშ ომს შემდეგაც უნდა განვაგრძოთ ბრძოლა?

— შეიძლება...

— რას ამბობ, კაცო, ამას შემდეგ კიდევ უნდა ვიბრძოლოთ?

— უნდა, მაშ არ იცი!.. ახლა იმიტომ უნდა ვიბრძოლოთ, რომ მერე არ დაგვჭირდეს ბრძოლა!—უპასუხა ბურტყუნით.

— იქნება უცხოელებთან არ მოგვიხდეს ბრძოლა?

— ესეც შეიძლება.

ისე ძლიერათ შემოგვიბერა ქარმა, რომ თვალები დაგვახუჭვინა და თითქო ყელში წაგვიჭირაო. ქარმა ჩაგვიარა და გადაირბინა ველზე, ტალახი მისწი-მოსწია და მთელის ჯარის სამარეებს მსგავსათ გაგრძელებულ სანგრებში ჩამდგარს წყალს პირი შეუთამაშა. მაშინ ჩვენც განვაგრძეთ ლაპარაკი:

— ბოლოს და ბოლოს, რისთვისაა საჭირო ომის დიდება და საშინელება?

— ერთა დიდებისათვის.

— რა ვქნა, ეს ერი ხომ ჩვენა ვართ!

ვინც ეს სიტყვები წარმოსთქვა, მე შემომხედა, თითქო შეკითხებაო.

— დიახ, — ვუპასუხე მე. — დიახ, ჩემო ძმაო და კეთილო, მართალს ამბობ! ჩვენის საშუალებითაა, რომ ერთი ერი მეორეს ერს ებრძვის. საომარი მასალა ჩვენა ვართ. ომი უბრალო სოლდათების სისხლისა და ხორცისაგან არის შემდგარი. ჩვენაა, რომ ველებს მკვდრებით მოვფენთ და სისხლის მდინარეებს დავაყენებთ ხოლმე, ყველა ჩვენ. თითოეული ჩვენი წევრი ჩუმათაა და უჩინარია, რადგან ჩვენი საერთო რიცხვი დიდია. დაცარიელებულ ქალაქებს რომ ხედავთ, განადგურებულ სოფლებს რომ უყურებთ, ვინ აკლია აქაც და იქაც? — ჩვენ. ყველგან ჩვენა ვართ, ერთობლივ.

— მართალია, მართალი, მე და ჩემმა ლმერთმა. ომი — ხალხებია. ხალხები რომ არ იყოს, არაფერი იქნებოდა, სრულებით არაფერი, მარტო შორიდან თუ გაიგონებდი ყვირილს რასმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხალხს არავინა ჰკითხავს ომის დაწყებას. ომის ატეხა ბატონების საქმეა.

— დღეს-დღეობით ხალხი იმისათვის იბრძვის, რომ ბატონები არა ჰყავდეს, მისს სვე-ბედს რომ განაგებენ ხოლმე. ეს ომი ვითომც საფრანგეთის რევოლიუციაა, და ეს რევოლიუცია კიდენ ვითომ დღესაცა გრძელდება.

— მაშ, ეტყობა, პრუსიელებისათვისაცა ვმუშაობთ, ხომ?

— ჰო, — ხმა მოგვაწვდინა ერთმა უბედურთაგანმა მინდვრიდან, — იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაგათთვისაც ვაკეთებთ რასმე.

— უკაცრავათ! — კბილების ღრჭენით წამოიძახა მზვერავმა.

მაგრამ მერე თავი ჩაიქნია და მეტი არაფერი უთქვამს.

— ჩვენ, ჩემო ძმაო, ჩვენი თავისათვის ვიზრუნოთ! სხვათა საქმეში ნუ გავერევით, ყველას ღმერთმა მშვიდობა მისცეს! —გვირჩია თავისნათქვამმა ბუზღუნამ.

— რათა! უნდა სხვებსაც ვუშველოთ ხოლმე. ამიტომ რომ რასაც „სხვებს“ ეძახი, „სხვები“ კი არ არიან, იგივე ჩვენისთანა ხალხნი არიან!

— რათ არის ხოლმე, რომ სუმუდამ ჩვენ უნდა ვზრუნავდეთ მთელის ქვეყნისათვის?

— ასე კია დი!—სთქვა ერთმა, და განიმეორა ამას წინათ ნათქვამი სიტყვები: „მით უარესი ან მით უკეთესი!“

— ერები—არაფერია და ამავე დროს ერები—ყველაფერი უნდა იყოს.—სიტყვა ჩაურთო ამ დროს იმ კაცმა, ამას წინათ რო მეკითხებოდა თვალებით, და განიმეორა, თვითონაც არ იცოდა ისე, ამ ერთს საუკუნეს წინათ ნათქვამი ისტორიული ფრაზა, და თან ამ ფრაზას თავისი ნამდვილი მსოფლიო მნიშვნელობა ჩააქსოვა.

და ეს საცოდავი არსება, დაოთხილი ტალახში რო ბობღაედა, თვისის კეთროვანის კაცის სახით ხარბათ შორს იყურებოდა, დაუსრულებლობაში.

უცქეროდა, დიდსხანს უცქეროდა, თითქო ცის კარების შელებას ცდილობდაო.

* * *

— ხალხებმა ქვეშ უნდა ამოიდონ, ვინც ამა თუ იმ საშუალებით მათს სისხლსა სწოვენ, და ისე მოილაპარაკონ ერთმანერთთან, უნდა შესთანხმდენ. რაც ქვეყანაზე ხალხია, სუყველა უნდა შეთანხმდეს.

— დასასრულ, ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ.

ამ სიტყვამ გაჭირვების ტალკვესივით მიუსწრო ყოველ ჩვენს კითხვასა და ფიქრსა.

— თანასწორნი... დიახ... დიახ... არსებობს დიადი აზრი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისა. არის ჭეშმარიტება,

რომელიცა გწამს, რომელსაც მუდამ უყურებ ხოლმე, როგორც სინათლეს. მათს შორის მთავარია—თანასწორობა.

— არის აგრეთვე თავისუფლება და ძმობა.

— განსაკუთრებით თანასწორობა.

მე ვუთხარი, რომ ძმობა—ოცნებაა, ბუნდი, შინაარსს მოკლებული გრძნობაა-მეთქი; ადამიანს თვისებად არა აქვს შეიძულს ის, ვისაც არ იცნობს, მაგრამ არც მისი თვისებაა—ეს უცნობი შეიყვაროს. ძმობაზე ვერასფერს ააგებ. თავისუფლებაზე ხომ მით უფრო: ეს ცნება მეტის-მეტი შეფარდებითი ცნებაა საზოგადოებაში, სადაც ურთიერთშორის ესდენი და აუცილებელი ურთიერთობაა.

ხოლო თანასწორობა მუდამ შეიცავს აზრსა. თავისუფლება და ძმობა კი მხოლოთ სიტყვებია, იმ დროს როცა თანასწორობა სინამდვილეში არსებული ცნებაა, თვით სინამდვილეა. თანასწორობა (რა თქმა უნდა, სოციალური, რათგან ყოველი პიროვნება ცოტათ თუ ბევრათ ჰფასობს, მაგრამ რათგან სიცოცხლე ერთის ადამიანისა იმდენათვე ძვირფასია, როგორც მეორე მისივე მსგავს ადამიანისა), თანასწორობა—უდიდესი ფორმულაა კაცობრიობისა. უდიდესი მნიშვნელობაცა აქვს. პრინციპი ყოველ არსების სწორუფლებიანობისა და უმრავლესობის წმიდა ნებისყოფისა უცთომელია და აგრეთვე უძლეველიც უნდა იყოს, და მაშინ ამ პრინციპს შეუძლია უდიდესის პროგრესის გზაზე დააყენოს ყველა მართლაც რომ ღვთიურის ძლიერებითა. ჯერ პირველათ საძირკველს ჩაუყრის პროგრესის ყოველგვარ დარგს; დაამყარებს ისეთს წესს, რომ ყოველგვარი უთანხმოება საშართლიანობის გზით გადასწყდეს და სამართლიანობა და საზოგადო ინტერესი ხომ ერთი და იგივეა.

ეს ხალხის შვილები, აქ რომ არიან, ჰგრძნობენ რომელიღაც ახალ რევოლიუციის მოახლოვებას. არ იციან, როგორია ეს რევოლიუცია; მხოლოთ იციან, რომ აქამდე რაც რევოლიუცია ყოფილა, ყველაზე დიდი ეს რევოლიუცია

უნდა იყოს, და ეს რევოლიუცია კიდევ—ჩვენ უნდა დავიწყოთო. და ერთავათ გაიძახიან:

— თანასწორობა!..

თითქო უკვირდებიან კიდეც ამ სიტყვასა, მისი აწონ-დაწონვა სწადიათო. მათის აზრით ამ ქვეყანაზე არ უნდა არსებობდეს ისეთი ცრუმორწმუნოება, ისეთი პრივილეგია ან უსამართლობა, რომ არ დაიმსხვრეს თანასწორობის სახელთან დაპირისპირების დროს. თანასწორობა ყველაფრის პასუხს იძლევა. და ეს ხალხი ხელახლა აკვირდება და უფიქრდება ამ სიტყვას, ცდილობენ ყოველმხრივ წარმოიდგინონ და ხედავენ, რომ ამაზე სრული არაფერია. უკვე ხედავენ, რომ მასთან მიკარების დროს როგორა ჰქრება და ისპობა ყოველგვარი ბოროტება.

— მშვენივრება უნდა იქნეს!—ამბობს ერთი.

— მეტად მშვენიერი რამ იქნება, როგორც თვით ჭეშმარიტება!—უთხრა მეორემ.

ახლა მესამე გაიძახის:

— და სწორეთ იმიტომაა მშვენიერი, რომ ჭეშმარიტებაა. მისი სიმშვენიერეც ამაში გამოიხატება. და ასე იმიტომ კი არ იქნება, რომ ეს მშვენიერია: მშვენიერებასა და სიყვარულს ჩვენში მაინცა და მაინც გასავალი არა აქვსთ. ასე იმიტომ იქნება, რომ, როგორც ყოველიკე ჭეშმარიტება, ეს აუცილებელია!

— რაკი ხალხსა სურს სამართლიანობა და რაკი ძალა კიდევ ხალხისაგე ხელშია, ამ ხალხმა აიღოს და განახორციელოს ეს სამართლიანობა.

— ხალხი უკვე შეუდგა!—ჩაილაპარაკა ვილამაც.

— საქმე ამისკენ ეწყობა.—ბანი მისცა მეორემ.

— როცა ყველა გათანასწორდება, იძულებულნი იქნებიან შეერთდენ.

— მაშინ ცას ქვეშ ადგილი აღარ ექნება იმ საშინელებას, ახლა ოცდაათ მილიონი ხალხი თვისის სურვილის წინააღმდეგ რომ სჩადის.

მართალია. ამის საწინააღმდეგო არაფერი ითქმის. ან და ვის რა საბუთის წამოყენება შეუძლია ასეთის დებულების წინააღმდეგ: „ცას ქვეშ ადგილი აღარ ექნება ისეთს ამბავს, რომ ოცდაათ მილიონ ხალხს რამე საქმე მისის სურვილის წინააღმდეგ გააკეთებინოს ვინმე“.

ყურს ვუგდებ, ვაკვირდები ამ მწუხარებისა და ურვის ველზე გამოყრილ ხალხის წინასწარმეტყველურ სიტყვების ლოღიკას; იმ სიტყვებისას, მაგათის ჭრილობათა და ტკივილებისაგან რომ გადმოსჩქეფენ; სიტყვებისას, სისხლთან ერთათ რომ გამოედინებათ ხოლმე.

ცამ ისევ კოპები შეიკრა. ქვეიდან მსხვილ ღრუბლებით მოიგრაგნა. მაღლა ერთ ალაგას სუსტი სინათლე გამოჰკრთის და წვირილი და ნესტიანი მტვერი ბრქყვიალებს. ჩამობნელდა. წვიმა ისევ წამოვა. ჯერ კიდევ არ მოელო ბოლო ქარიშხალსა და ჩვენს წამებასა.

— ჩვენს თავს რო ვკითხოთ, — ამბობს ერთი: — „ბოლოსა და ბოლოს, რისთვისა ვომობთ?“ ვერ ვიტყვით, რისთვის. მაგრამ ის კი შეგვიძლია ვსთქვათ, თუ ვისთვის ვომობთ. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ დაინახოს, რომ ერი არ არის, ომის კერპს ყოველ დღე ხუთმეტ ათას ახალგაზდას არა სწირავდეს მხოლოთ იმიტომ, რომ ააშოს რამდენსამე თითებზე ჩამოსათვლელ მეთაურს; ყველანი ვხედავთ, რომ მთელი ერი საჭონლის ჯოგს დამსგავსებულ არმიას შეადგენს და მიდის ადამიანთა სახოცველად იმიტომ, რომ სამხედრო კასტამ თავისი სახელი ისტორიაში შეიტანოს და უკვდავ ჰყოს; იმიტომ რომ სირმიანმა ხალხმა, ამავე ბრბოს რომ ეკუთვნის, თავისი პირადი საქმე მოაგვაროს. ერთის სიტყვით, ისარგებლონ პატიკისმოყვარე ნაწილმა საზოგადოებისამ და ვაჭრებმა. და როგორც

კი თვალები აეხილება ხალხს, დაინახავს, რომ ადამიანთა შორის რო ჰგონიათ, ის განსხვავება სრულებით არ არის. თუ ხედავენ განსხვავებას რასმე, ეს განსხვავება მხოლოთ მოჩვენებითია, ნამდვილათ კი არ არის.

— ყური დამიგდეთ!—ლაპარაკი გააწყვეტინა ვილამაც.

ხმა გავქმინდეთ და შორიდან ზარბაზნის გრიალი მოგვესმა. იქ, შორს, ზარბაზნის გვრგვინვა ჰაერის ფენებს აზანზარებს და ეს შორეული ძალა ჩვენს მიწით ამოვსებულ ყურებში სუსტათ იჭრქვევა. ამასობაში წყალი თან და თან გაუჯდა მიწას და ნელ-ნელა გორაკების სიმაღლეებამდეც აატანს.

— ისევ დაიწყო...

ერთმა ჩვენთაგანმა სთქვა:

— ვინ იცის, რამდენის წინააღმდეგ მოგვიხდება გალაშკრება ან რამდენი ყალბი აზრი და შეხედულება უნდა უარვყოთ.

ჯერ ისევ ახლა, ამ დავის დროს, ვხედავთ რყევასა, უთანხმოებასა. არა მარტო მწუხარება და საფრთხე მეორდება ხელახლა და დაუსრულებლივ, არამედ მეორდება ამხედრება ყველაფრისა და ყველასი ჰეშმარიტების წინააღმდეგ. ვინ იცის, რასა და რას არ უნდა გასცეს პასუხი ადამიანმა: პრივილეგიები, უმეცრება, შეუსმენოლობა და ბოროტი განზრახვა, მიკერძვა, მოპოებულ კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის გაღმასებული ბრძოლა, ბრბოს სიკერპე, მისი გულგრილობა.

და ჰეშმარიტების მაძიებელი აზრი ჩერდება ახალ მოჩვენებას წინაშე, სადაც საუკუნო მტრები წარსულის სიბნელიდან გამოდიან და პირის-პირ დგებიან აწმყოს მჭუხარე წყვდიადს წინაშე.

* *

აჰა, ისინიცა... თითქო ცაზე მოსჩანან, ჰეჭა-ჭუხილის თხემებზე, ქვეყნიერებას სამგლოვიარო ძაძაში რომ ხვევენ, გუნდი მხედართა თოფ-იარაღის ჩხარუნით და ბრჭყვიალით მო-

მოვალნი: ცხენებს მოაქვსთ იარაღი, გვირგვინები, ხმლები, მხრებზე დასაკერებელი სირმები; ჩაფხუტის ფრთები. მოდიან დიდის ზეიმით, აბჯრით დატვირთულნი. ადამიანი თვალს ვერ უსწორებს მათს ბრწყინვას. ეს საბრძოლველად წამოსული გუნდი, ქედმაღალი, ამაყათ აპობს ღრუბლებს, ცაზე მიკერებულებს, თეატრის დეკორაციის მსგავსებს.

ისინი, ვინც ქვევით მიწაზე არიან და ვისაც სანგრების შუაგულისა და გაოხრებულ მინდორ-ველის ტალახი კეც-კეცად აკრავს, სიცხისაგან ანთებულ თვალებითა ხედავენ, რომ ეს ჯარი, ცის ოთხივ-კუთხივ მომავალი, განუსაზღვრელ ცის სივრცეს იკავებს და ცის ლაჟვარდსა ჰფარავს.

მთელი ლეგიონია. ვინ გინდათ, აქ არ იყოს! აქ არის საპხელდრო წოდება, ვისაც ომში მიუხარის და ვისთვისაც ომი სათაყვანო საგანია; აქ არიან ისინიც, ვინც მსოფლიო მონობის წყალობით ჯადოსნურ ძალა-უფლებით არიან შემოსილნი; მემკვიდრეობით ძლიერნი ამა ქვეყნისანი ზეზე დგანან და მათს ფეხ ქვეშ კიდევ კაცობრიობაა გართხმული. სამართლის სასწორზე ხელი უკიდიათ, რათგან ხედავენ, რომ დიდი საქმეა საკეთებელი. უარაცხელი ხალხი, ზოგი შეუგნებლათ და ზოგიც შეგნებულათ, ხელს უწყობს მაგათი საშინელი პრივილეგიები შეანარჩუნებინონ.

— ერთი უყურეთ,—იძახის ერთი დალვრემილი და გაბრაზებული მოლაპარაკეთაგანი, და თან თითქო ვისმე ხედავს და ხელებს მისკენ იშვერსო,—ამ ხალხში ზოგი იძახის: „რა მშვენიერი საყურებელნი არიან ეს მეომრებიო!“

— სხვები იძახიან: „ერთი ერი მეორეს ემტერებაო!“

— ზოგიც აპობს: „ომის დროს მუცელი საესე მაქვს და ვსუქდები!“

— ზოგი კიდევ: „რაც ქვეყანა გაჩენილა, მას აქეთ ომობს ხალხი, მაშასადამე, ომი სულმუდამ იქნება!“

— სხვები გაიძახიან: „ოღონდ მე ვიყო კარგათ, სხვათა პირიო—ღობეს ჩხირიო; სხვებიც ასე უნდა მოიქცნენ».

— ამათ ბანს აძლევენ: „ბავშვები მეომრებად იბადებიან
— არის ისეთიც,—რუხრუხებს ერთი ჩახლეჩილის ხმით, რომ ამბობს: „ეშორჩილენით ყველასა და ჰმონეთ უფთლსა!“

* * *

მართალნი ხართ, ომის საკოდაენო და ურიცხვნო მუშაკნო! მართალნი ხართ თქვენ, ვისაც თქვენის საკუთარის ხელით გიწარმოვებიათ მთელი ეს დიდი ომი! ყოვლისშემძლებელნი ხართ, მხოლოთ ეს არის, რომ თქვენი ყოვლადშემძლებლობა ჯერ კიდევ ვერ ემსახურება სიკეთეს; მართალი ხარ, მიწიერო ბრბოვ, თითოეული შენი სახე—მსოფლიოს ჰმუნვაა; ზევიდან დაგყურებს ცა, სადაც შავი, გაზიდული ღრუბლები იწეწება და იქით-აქეთ იფანტება ავ სულებივით, შენც ქვეშ დამდგარხარ, შეჰყურებ და ოცნებობ, სხვადასხვა აზრთა სიმძიმისაგან წელში მოხრილი! დიახ, მართალი ხარ. ყოველივე ეს შენს წინააღმდეგაა მიმართული. მიმართულია შენისა და შენის დიდის საერთო კეთილდღეობის წინააღმდეგ; ეს კეთილდღეობა კიდენ, როგორც შენ თვითონა რწმუნდები, სწორეთ სამართლიანობასთან არის გადახლართული. თქვენს წინააღმდეგ მარტო ხმლების მატრიალებელნი, ვერცხლმოყვარენი და ჰოქეიფენი არ არიან!

თქვენს წინააღმდეგ არიან საშინელნი მტაცებელნი, ფინანსისტები, მსხვილი და წვრილფეხა აფერისტები, თავიანთს სახლებსა და ბანკებში ჩაკეტილები, სულ ომს რომ ნატრობენ და მშვიდობიანათ მხოლოთ ომის დროს რომ ცხოვრობენ; გულჩახვეულნი მათის ცეცხლუკიდებელ კასებივით მარტო თავისს შავბნელს ფიქრს რომ ჰფიქრობენ, და მარტო მას რომ ულოცავენ.

არიან ისეთნიც, რომელნიც ალტაცებაში მოჰყავს ბრძოლის მოელვარე ცეცხლსა და, ქალთა მსგავსათ, ხარობენ ზიზილ-პიპილებიან სამხედრო ჩაცმულობის ყურებითა, ვერა ძღებიან სამხედრო მუსიკისა და სიმღერების სმენითა. სიმღერასა

და მუსიკას ხალხს ისე აწოდებენ, როგორც მათრობელა სასმელს რასმე! არიან კიდევ დაბრმავებულნი, სულიერათ სუსტნი, ფეტიშისტები, ველურები.

არიან ისეთებიცა, ვინც მარტო წარსულითა ცხოვრობენ, წარსულით უდგასთ სული; ენაზე მარტო წარსულ დიდების სიტყვები აკერიათ; არიან ტრადიციების მიმდევარნი, რომელთათვის ბოროტმოქმედება—კანონია, ამიტომ რომ მათთვის ბოროტმოქმედება ჩვეულებრივი საქმეა; დიდის ხნის მკვდრების თაყვანისმცემელნი არიან დასურსთ ცოცხალი მთრთოლარე მომავალი და პროგრესი მოჩვენებას და ზღაპრებს ანაცვალონ, მათს ძალას დაუმორჩილონ.

მაგათთან იღვწის მთელი სამღვდელოებაც; ეს სამღვდელოება ცდილობს სამოთხის ხაშხაშით დაგაძინოსთ, რომ ამ ქვეყნიური წესწყობილება არ გამოიცვალოს. მასვე მხარში უდგანან ადვოკატები—ეკონომისტები, ისტორიკოსები და ვინ იცის კიდევ ვინ!—ესენი გონებას გიბნელებენ თეორიულ ფრაზებით, იძახიან—ერთა შორის მტრობა და შუღლი არისო, იმ დროს როცა ყოველ თანამედროვე ერს მკაფიოთ შემოფარგლული საზღვარი არა აქვს და ხელოვნურათ შეერთებულ ეროვნებათაგან შესდგება; პატივმოყვარეობისა და გამარჯვების გულისათვის სთითხნიან ყალბ ფილოსოფიურ არგუმენტებს და მოგონილ მოსაზრებას კეთილშობილობის შესახებ, რომ გაამართლონ ყოველი ეს საზიზღრობა და უხამსობა! სიბეცე—ადამიანის შვილის ავათმყოფობაა. მეცნიერნი ხშირათ ერთგვარი უმეცრები არიან, არ შეუძლიათ საგანს მარტივათ შეხედონ ხოლმე და ამა თუ იმ კითხვას სხვა და სხვა ფორმულებითა და დეტალებით სრულებით აბუნდოვანებენ. წიგნების საშუალებით შეგიძლიათ ამა თუ იმ საგნის შესახებ მცირე რამ გაიგოთ, მაგრამ დიად კითხვების შესახებ პასუხს შიგ ნულარ ეძებთ.

და მაშინაც-კი, როცა ეს ხალხი ამბობს—ომი არ გვინდაო, მაშინაც კი ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, ომი დაუს-

რულებლივ გააკრძალოს. ძალმომრეობის საშუალებითა ცდილობს ეროვნული თავმოყვარეობა და სხვაზე გაბატონებისადმი მისწრაფება უფრო გააღვივოს. „მხოლოთ, ჩვენ,—იძახიან ეს ვაჟბატონები, თავისს ჯგუბირებს უკან გამოქიმულნი,—ჩვენ შეგვწევს სიმამაცე, კეთილშობილება, ტალანტი და გემოვნება! ქვეყნის დიდებისა და სიმდიდრისაგან ერთგვარ, ყველაფრის შთამთქმელ ავადმყოფობასა ჰქმნიან. პატრიოტიზმისაგან, რომელიც იმდენადაა პატივსაცემი, რამდენად იგი რჩება გრძნობათა და მხატვრულ მისწრაფებათა ფარგლებში, სწორეთ ისე, როგორც სიყვარული თავის ოჯახისა და სამშობლო მხარისა, რომელიც ასევე წმიდაა, ჰო, ამ პატრიოტიზმისაგან ჰქმნიან უტოპიურსა და მკვდარს, უსიცოცხლო შემეცნებას, ქვეყნიერების სწორწონაობის დამრღვევს, ერთგვარ კუს, რომელიც თქავს ყოველ მაცოცხლებელ ძალას, ღრღნის მთელს ქვეყანას, არღვევს სიცოცხლეს და, როგორც გაღამდები სენი, გამოიწვევს ომს ან ძალას გამოულევს და დაახრჩობს ქვეყანას, რომელიც თუ ჯერ კიდევ არ ომობს, საომრად მაინც ემზადება.

ზნეობა, სათაყვანო ზნეობა აიღეთ—ისიც კი თავისებურათ დაამახინჯეს: ვინ იცის, რა და რა დანაშაული არ გამოუდისთ ხელიდან და ღვაწლად კი ასაღებენ და ეროვნულის სახელითა ნათლავენ! თვით ჭეშმარიტებას ისე გამოუცვალეს სახე, რომ შეუძლებელია მისი გამოცნობა. სამარადისო ჭეშმარიტებას მაგიერ შემოიღეს თავიანთი ეროვნული ჭეშმარიტება. რამდენი ერიცაა, იმდენი ჭეშმარიტებაა, და გააქვსთ და გამოაქვსთ, ყველა თავისებურათ აყალბებს და ამახინჯებს.

ყველა ეს ხალხი, ბავშვურათ რო აზროვნობს, სასაცილოთ, და პირში რომ შემოგღრიალებს: „მე კი არ დამიწყია, შენ დაიწყე! არა, მე კი არა, შენ!—შენ დაიწყე!—არა, შენ დაიწყე!“ ჰო, ყველა ეს ხალხიდაუსრულებლივ აპიანურებს მსოფლიო იარას, ამიტომ რომ თვითონ დაინტერესებული და გულწრფელათ მოწადინებული არ არის, ეს იარა მორჩეს; ამ ხალხს

არ შეუძლიან ან ღ სურვილიარა აქვს დედამიწაზე მშვიდობა დამყარდეს. და ყველა ეს ხალხი, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ძველს, დრომოჭმულ წესწყობილებას ებღაუჭება და თანაც გაიძახის, ამა და ამ საბუთით ეს წყობილება უნდა არსებობდესო, — ყველა ჩვენი მტერია!

ასეთები იმდენათვე არიან თქვენი მტრები, რამდენათაც თქვენი მტრები არიან ეს გერმანელი სოლდათები, რომელნიც აქ, თქვენს შორის, რომ ყრილან და ნამდვილათ კი საცოდავი, გაბრიყვებული ადამიანებია... აი თქვენი მტრები, საცა არ უნდა იყვნენ დაბადებულნი, რაც უნდა სახელი ერქვათ და რა ენაზედაც არ ამბობდენ სიცრუეს! დააკვირდით მათ მალლა ცაზე და ძირს დედამიწაზე; ყველგან დააკვირდით. იცანით კარგათ, რა შვილებიცა ბრძანდებიან და სამუდამოთ დაიხსომეთ მათი სახე!

*
*

— ესენი ასე გეტყვიან, — დაიბუზღუნა დამუხლისთავებულმა კაცმა, ხელებით მიწას რომ ეყრდნობოდა, და თანაც მხრებს რომ იბერტყავდა დოგის ჯიშის ძაღლივით: — „ჩემო კარგო, შენ საუცხოვო გმირობა გამოიჩინეო“. მე კი არ მინდა, ეს მითხრან.

— გმირები — ერთგვარი ზესთაბუნებრივი ხალხია, კერპებია, ხომ? თავი დამანებე ერთი, და! გმირები კი არა, ჯალათები ვიყავით! სინიდისიერათ ვასრულებდით ჯჯლათების ხელობას! კიდევ ავასრულებთ ამ ხელობას, ამიტომ რომ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ხელობაა სიკვდილით დასასჯელად და წასახრჩობად. კაცის კვლა სულმუდამ საზიზღრობა ყოფილა. ზოგჯერ, მართალია, უიმისობაც არ იქნებოდა, მაგრამ მაინც საზიზღრობა ყოფილა. რაც მართალია, მართალია: სასტიკი და მოულალავი ჯალათები ვიყავით. მაგრამ აჭაო და გერმანელებსა ვკლავდიო, ჩემს სამხედრო ღვაწლს ნუღარ მიქებენ.

— ნურც მე,—წამოიძახა მეორემ ისე ხმამაღლა და ისეთის ბრძანებითის კილოთი, რომ ვისმე რო გაებედნა კიდეც, საწინააღმდეგოს ვერ ეტყოდა,—ნურც მე მადიდებენ იმისთვის, რომ ფრანგები სიკვდილს გადავარჩინე. თორემ ეს იმას ემგვანებოდა, ხანძარი ხშირათ გავაჩინოთ, რათა ცეცხლიდან ხალხის გამოყვანისა და შველის შემთხვევა მოგვეცეს.

— ადამიანს დანაშაულობაში ჩაეთვლება ომის ლამაზ მხარეთა მითითება, ასეთი მხარეები კიდეც რომ ჰქონდეს ომსა,—წაიბურტყუნა ერთმა სახეშეპმუხვნით მჯდარმა სოლდათმა.

— შენ შეგაქებენ,—განაგრძო პირველმა,—იმიტომ რომ დაგახარბონ ქებასა და სახელს და თვითონაც დაუმსახურებლათ თავი დაიჯილდოვონ. მაგრამ სამხედრო სახელი ჩვენც, უბრალო სოლდათებსაც, არ დაგვიმსახურებია. ამ სახელს იხვეჭავს ზოგიერთი; მხოლოთ ამ ზოგიერთ რჩეულთა გარდა, არ ითქმის—სოლდათმა სახელი მოიხვეჭაო, ეს ტყუილია, ისევე ტყუილია, როგორც ტყუილია იმისი თქმა, ვითომც ომს თავისი მშვენიერი მხარეები ჰქონდეს. ნამდვილათ კი სოლდათის მსხვერპლად შეწირვა—უბრალო კაციკალიობაა. ვინც აუარებელ ტალღებს აკეთებს იერიშის მისატანად, იმათ ვერაფერით დააჯილდოვებს კაცი. ესენი უსახელოთ იხოცებიან. კაცი ვერასდროს შესძლებს მათი სახელები, ამ საცოდავ და არაფრად ჩასარიცხ არსებათა სახელებიც კი აღადგინოს.

— ფეხებზე გვკიდია ყველაფერი!—უპასუხა მეორემ,—სადარდელი და საფიქრებელი სხვაც ბევრი რამა გვაქვს.

— მაგრამ ბიჭი ხარ და ერთი გაბედე და უთხარი ესენი იმათ?—დაიღრიალა სოლდათმა, რომლისათვის თითქო ვიღასაც საზარელის შაეის ხელით გაუმუშრია სახეო.—შვილით-შვილამდე დაგწყევლიან და კოცონზე დაგწვავენ! იმათ, შვილთნიასა, სამხედრო სახელის გარშემო მთელი სარწმუნოება შეჰქმნეს, და ეს სარწმუნოება იმდენათვე ულმობელი და იმდენათვე სულელურია, როგორც თვით ომი!

კაცი წამოდგა, დაეცა და ისევ წამოდგა ფეხზე. ტალახის ქერქს ქვეშ დაფარულ პრილობისაგან მიწაზე სისხლი სწვეთავდა, და როცა ყოველისავე ამის თქმა გაათავა, გაგანიერებული თვალები მიწაზე დაუშვა. მიწა მისის სისხლით იყო დაფარული და ეს სისხლი მსხვერპლად მიიტანა განკურნებად ქვეყნისა.

* * *

სათითაოთ ყველანი წამოიშალნენ. ელვა-ჰქა მატულობს და ძირს ეშვება გვემულ და წამებულ მინდორ-ველთა სივრცეზე. დღე სავსეა სიბნელით. თითქო ღრუბელთა თხემებზე ჩნდება ახალ-ახალი გუნდი ერთმანერთზე სამტროდ გადაკიდებულ ადამიანთა; ჯვრებისა და არწივების, ეკლესიების, მბრძანებელთა სასახლეთა და ლაშქრის ტაძართა ბარბაროსულ სილიუტებს გარშემო თავს იყრიან, მათი რიცხვი იზრდება და ჰფარავს ვარსკვლავებს, რომელნიც უფრო ნაკლებრიცხოვანნი არიან, ვიდრე თვით კაცობრიობა და აგრეთვე თვით ეს პკვდრები, ყოველის მხრითგან რომ იძვრიან მიწაში, ცოცხალთა შორის გაბნეულნი ან, გაბნეულ ხორბალივით, ნახევართ ჩამარხულნი მიწაში.

ბოლოს ჩემი ამხანაგები, ვინც ცოცხალნი იყვნენ, წამოდგნენ; ამოძრაებულ მიწაზე ძლივას ეპირათ თავი, ტალახის სქელ ფენით დაფარულ ტანისამოსში, წოლით რაღაც უცნაურ კუბოს სახე რომ გაუჩეთა ლამსა; მოაშორეს თავიანთი უშველებელი სისადავე მიწას, ისევე ღრმას, როგორც თვით უმეცრებაა, ინძრევიან და ყვირიან, მკლავებსა და მუშტებს ზეცისაკენ იშვერენ, საიდანაც დღე და ჭარიშხალი ვარდება. ებრძვიან ძლევამოსილ მოჩვენებათ, სირანო და დონ-კიხოტის მსგავსათ, ჯერ კიდევ თვით სირანო და დონკიხოტები.

მათი ლანდები იძვრის და იხატება მღვრიე და დამდორებულ წყლით დაფარულ მიწის და სანგრების ზედაპირზე,

ჩრდილოეთის უდაბნოში, ღრუბლიან ცისკიდურებს შორის.

მაგრამ უკვე თვალები გახელილი აქვსთ. თავიანთს თავს ანგარიშს აძლევენ, თუ რამდენათ უსამზღვროთ მარტივი და სადაა ესა თუ ის საგანი, ესა თუ ის კითხვა. და ჰეშმარიტება არამარტო უნათებს მათ იმედის განთიადს, არამედ ალუდგენს ძალასა და მხნეობასაც.

— კმარა სხვებზე ლაპარაკი,— დაუძახა ერთმა.— მით უარესი მათთვის!..

— ჩვენ! ყველანი ჩვენ!..

მოხდა შეთანხმება მთელის ქვეყნის დემოკრატიათა, პირი შეჰკრეს მთელის ქვეყნის ერებმა და დაებადათ რწმენა, უხეში თვისის მეტის-მეტის სიმარტივითა... ყოველსავე დანარჩენს როგორც წარსულში, ისე აწმყოსა და მომავალში არავითარი მნიშვნელობა აქვს.

და ერთი სოლდათი ჰბედავს ეს ფრაზაც დასძინოს, ესეც კია, რომ თითქმის ჩურჩულით იწყებს:

— თუ აწინდელმა ომმა პროგრესი თუნდ კნინ-ღა წასწია წინ, მაშინ ყველა ის უბედურება, იწროება და კაცის-კვლა, რაც მოხდა, ანგარიშში ჩასაგდები არც-კი იქნება.

და მაშინ, როცა ვემზადებით სხვებს შევუერთდეთ, რომ ისევე დავიწყოთ ომი, მოქურუშებული ცა, ელვა-ქუხილით დატვირთული, ნელ-ნელა იხსნება ჩვენს ზემოდან. ღრუბელთა ორ უშველებელ გროვას შორის გამოხეთქა სინათლის მშვიდმა სხივმა. მართალია, ეს სხივი ჯერ მოკრძალებულია, შეიწროებულია, საცოდავია, მგლოვიარეა, მაგრამ მაინც გვაძლევს იმის საბუთს, რომ მზე არსებობს.

ქრისტეშობისთვე, 1915.

სარჩევი

		გვერდი
I.	მოჩვენება . .	3
II.	მიწაში .	8
III.	გამოცვლა	63
IV.	ოლპატი და ფუიადი	69
V.	თავშესაფარი	79
VI.	ჩვეულებანი . . .	111
VII.	მატარებელში ჩაბარგება	118
VIII.	შეებულება	130
IX.	დიდი რისხკა	140
X.	დასჯა .	166
XI.	ძაღლი	168
XII.	გალერეია	187
XIII.	ლკაცრაული სიტყვა-პასუხი	218
XIV.	სოლდათის აცლა-დიდება . .	220
XV.	კვერცხი	242
XVI.	იდილია . .	246
XVII.	გვირაბი	252
XVIII.	ასანთი . . .	257
XIX.	ზარბაზნების სროლა	264
XX.	ცეცხლი . . .	285
XXI.	ჭრილობათა შესახვევი პუნკტი	356
XXII.	გასეირნება პარიზში ... :	379
XXIII.	სამუშაოზე	390
XXIV.	განთიადი . .	413